საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჯანელიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები

OTAR JANELIDZE

THE ESSAYS OF THE HISTORY OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA

თბილისი • Tbilisi
2018

UDC (უაკ) 94(479.22)"1918.05"
ჯ-221

წიგნში, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავის საიუბილეოდ გამოდის, სამეცნიერო ნარკვევების სახით გაშუქებულია 1918-1921 წლების საქართველოს სინამდვილის სხვადასხვა ასპექტი, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის კარდინალური საკითხები.

ნაშრომი ისტორიის სპეციალისტების გარდა განკუთვნილია სტუდენტი-ახალგაზრდობისა და ფართო მკითხველისათვისაც.

რედაქტორი: **პროფესორი შტეპჰენ ჯონსი**

რეცენზენტები: **პროფესორი მიხეილ ბახტაძე**
პროფესორი პაატა სურგულაძე

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ISBN 978-9941-8-0034-4

შინაარსი

წინათქმა 6

დამოუკიდებლობის აქტის პროექტები 8

სამი სახელმწიფო ერთ ქალაქში 29

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კავკასიური პოლიტიკა 1918-1921 წლებში 45

„ნატეხი ერები“ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 52

საქართველო-გერმანიის ურთიერთობის ხასიათისათვის 1918 წელს 72

გენერალ ფონ-კრესის მემუარები და 1918-1921 წლების ქართული სინამდვილე 86

ევროპული ღირებულებები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 108

ნიკო ნიკოლაძე და პოლიტიკური დისკურსი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 116

ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორიიდან 1918-1921 წლებში 129

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ისტორიიდან (სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია) 158

ოსთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 176

თვითმმართველობის ბეჭდვითი სიტყვა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 193

საქართველოს დამფუძნებელი კრება და ქვეყნის პოლიტიკური სპექტრი 207

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამეზობლო პოლიტიკა და დამფუძნებელი კრება 230

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და აშშ ურთიერთობის ისტორიიდან 1918-1921 წლებში 244

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობა პოლონეთში 269

1920-1921 წლების გეოპოლიტიკური რეალობა და საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაცია 293

1921 წლის თებერვალი საქართველოში 307

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და თურქეთის ურთერთობების ისტორიიდან (1920-1921 წწ.) 314

„დაე წავიდნენ ცოცხლები“ 328

Summary 347

Projects of the Act of Independence 347

Three States in One City 347

Caucasian policy of the Democratic Republic of Georgia in 1918-1921 348

“Fractured Nations“ in Democratic Republic of Georgia 349

German-Georgian Relations in 1918 349

Memoirs of General von Kress and Georgian reality of 1918-1921 350

European values in the Democratic Republic of Georgia 350

Niko Nikoladze and Political Discourse in Democratic Republic of Georgia 351

From the history of public and political activities of Ivane Javakhishvili In 1918-1921 351

On the History of Georgia Administrative-territorial Division (The Autonomy of Muslim Georgia) 352

Ossetians in the Democratic Republic of Georgia 353

Printed media of the Self-government in the Democratic Republic of Georgia 354

Constituent Assembly of Georgia and country's political spectrum 354

Neighborhood policy of the Democratic Republic of Georgia
and the Constituent Assembly 354

From the history of the relations between the Democratic Republic of Georgia
and the United States in 1918-1921..... 355

Diplomatic representation of the Democratic Republic of Georgia in Poland 356

Geopolitical Reality in 1920-1921 and Bolshevik Occupation of Georgia 357

February of 1921 in Georgia 358

From the History of Relationships betweenThe Democratic Republic of Georgia and
Turkey (1920-1921) 359

"Let the alive go" 360

წინათქმა

წიგნში შესული ნარკვევების ერთი ნაწილი წლების წინ დაიწერა და გამოქვეყნდა კიდეც სხვადასხვა სამეცნიერო კრებულსა თუ ჟურნალში. მას შემდეგ გარკვეული დრო გავიდა. რადგან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია ჩემი კვლევითი ინტერესის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, ძიება ამ კუთხით არ შემიწყვიტავს. პუბლიკაციების რაოდენობა გაიზარდა, მით უფრო, რომ ბოლო დროს გაფართოვდა წყაროთმცოდნეობითი შესაძლებლობები, ხელმისაწვდომი გახდა დამატებითი საარქივო ფონდები, ემიგრანტული გამოცემები და სხვ.

მიუხედავად ამისა, გამოქვეყნებულ სტატიებს კონცეპტუალური ხასიათის ცვლილებები არ განუცდიათ, ისინი მხოლოდ ახლად გამოვლენილი პირველწყაროების, ფაქტობრივი მასალისა და უახლესი სპეციალური ლიტერატურის მონაცემებით შეივსო.

საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ თავისი არსებობის ხანმოკლე დროის მიუხედავად, შექმნა დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელიც ფასეულია როგორც შემეცნებითი თვალსაზრისით, ისე სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მიმართებითაც.

1918-1921 წლებში საქართველოში დამკვიდრებული მრავალპარტიულობის, პლურალიზმის, პრესისა და გამოხატვის თავისუფლების, დემოკრატიული არჩევნების ტრადიციის, უაღრესად დემოკრატიული კონსტიტუციის არსებობის გახსენება და აქტუალიზება ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრივი აზროვნების, ევროპული, დემოკრატიული და სამოქალაქო ღირებულებების გაცნობიერებას, რაც ჯერ კიდევ სუსტია ქართულ სინამდვილეში.

ნაშრომში ნარკვევები ქრონოლოგიური და თემატური პრინციპითაა დალაგებული. ეს მკითხველს შესაძლებლობას მისცემს მთლიანობაში გაადევნოს თვალი საქართველოს პირველი

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეს, გაეცნოს მის, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის არსებით საკითხებს, იმ პრობლემებს, რისკებსა და საფრთხეებს, რაც თან ახლდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს წარმოშობასა და განვითარებას. სტატიების ერთ წიგნად გამოცემა იმითაც იქნება გამართლებული, რომ ასი წლის წინ საქართველოს წინაშე მდგომი გამოწვევები - საკუთარი სახელმწიფოებრიობის შექმნა-განვითარება, ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნება და სხვ., - დღესაც საჭირბოროტოდ რჩება. მათი გადაწყვეტა არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ მთელი საზოგადოების ფიქრსა და გონივრულ მოქმედებას მოითხოვს. როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებდა: ამ ჩვენს წარსულშიც აწინდელმა ქართველებმა შეიძლება თანამედროვე მდგომარეობისთვისაც „ბევრი რამე საგულისხმო და გამაფრთხილებელი ამოიკითხონ.“

წიგნის გამოცემაში თანადგომისათვის ავტორი მადლობას უხდის საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის პროექტები

ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ან ძველის მიერ დაკარგული თავისუფლების აღდგენას, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენას, ამ სახელმწიფოს ფუძემდებლები საკუთარ მოსახლეობასა და საერთაშორისო საზოგადოებას საგანგებო პოლიტიკური განცხადების მიღება-დეკლარირებით აუწყებენ ხოლმე. უმეტეს შემთხვევაში ასეთ დოკუმენტს დამოუკიდებლობის დეკლარაციას უწოდებენ. იგი, კონსტიტუციის მსგავსად, ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი და ისტორიული ხასიათის საბუთია. დამოუკიდებლობის აქტს გარდა დეკლარაციული ხასიათისა აქვს წმინდა ნორმატიული ხასიათიც.[1] ჩვეულებრივ, მასში ასახულია კონკრეტული სახელმწიფოს წარმოშობის წინაპირობები, განმარტებულია, რამ განაპირობა ახალი სახელმწიფოს გამოყოფა, განსაზღვრულია მოცემული ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის ფორმა, გამოკვეთილია მოქალაქეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი, ხაზგასმულია მმართველი პოლიტიკური ელიტისა თუ საზოგადოების ღირებულებითი ორიენტაციები და სხვ. დეკლარაციის მიღების დღე ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღედ ითვლება.

სხვადასხვა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია აგებულებით ერთმანეთს წააგავს, ყველა მათგანის დანიშნულება და მიზანდასახულობაც საერთოა, მაგრამ განსხვავებულია მათი შემუშავებისა თუ გამოქვეყნების დრო, ვითარება და გარემოებანი.

როდის, როგორ და რა რეალობაში შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლითაც 1918 წლის 26 მაისს სათავე დაედო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას?

დღემდე ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ორგვარი წყარო მოგვეპოვებოდა: 1. საარქივო მასალა და 2. მემუარული ცნობები.

საარქივო მასალას შეადგენს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებული კომიტეტის 1918 წლის 24 და 25 მაისის სხდომათა

1 ცნობილაძე პ., კონსტიტუციური სამართალი, ტომი I, თბ., 2004, გვ. 95.

ოქმები, რომლებიც უშუალოდ ეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს.[1]

იმსჯელარა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის 1918 წლის 24 მაისის სხდომაზე ჩამოაყალიბა კომისია (გიორგი გვაზავა, იოსებ მაჭავარიანი, გრიგოლ რცხილაძე, პეტრე ქავთარაძე, ბიქტორ თევზაია, რაჟდენ არსენიძე, ირაკლი ჯაფარიძე), რომელსაც დაევალა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავება და კომიტეტში წარმოდგენა.

უფრო არსებითი ინფორმაციის შემცველია 25 მაისს გამართული საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის სხდომის ოქმი. ირკვევა, რომ სხდომის მონაწილეთა ერთი ნაწილი დამოუკიდებლობის გამოცხადებას იმავე დღისთვის ითხოვდა, აღმასრულებელი კომიტეტის ზოგირთი წევრი კი საამისოდ 26 მაისს ამჯობინებდა. კენჭისყრისას უმეტესობამ (6 ხმა 4-ის წინააღმდეგ) მხარი დაუჭირა სუვერენიტეტის დაუყოვნებლივ გამოცხადებას.

ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასკომის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ამ გადაწყვეტილებას კატეგორიულად შეეწინააღმდეგა. მისი აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე აუცილებელი იყო ამიერკავკასიის სეიმის მოწვევა, რომელიც ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის დაშლას და სეიმის თვითლიკვიდაციას დაადასტურებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ნოე ჟორდანია მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობას მთლიანად იხსნიდა. ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ჯერ ბოლომდე შემუშავებული არ ჰქონიათ, რამაც მისი გამოცხადების მეორე დღისთვის გადადება თავისთავად გამოიწვია.

სხდომაზე წაკითხულ იქნა კომისიის მიერ შედგენილი დამოუკიდებლობის აქტის პროექტი, ხოლო შემდეგ გაიმართა კამათი. საოქმო ჩანაწერის მიხედვით, განხილვა დასრულდა იმით, რომ დაადგინეს: „პროექტი შესწორებულ იქნეს კამათის დროს გამოთქმული აზრების თანახმად. შესწორება აქტის პროექტისა დაევალა ბ-ნ ნ. ჟორდანიას.“[2]

---

1 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, ანაწ. 1, საქ. #49, ფურც. 4.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი,

რაც შეეხება მემუარულ ლიტერატურას, არსებობს ნოე ჟორდანიას, ზურაბ ავალიშვილისა და რაჟდენ არსენიძის მოგონებები, რომლებიც შეიცავენ საყურადღებო ინფორმაციას განსახილველ თემასთან დაკავშირებით. მაგალითად, ნოე ჟორდანია ზემოთ მოთხრობილ ისტორიას მოგვიანებით ასე იხსენებდა:

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი დაისვა ეროვნულ საბჭოში, რომელსაც უნდა მოემზადებინა მისი განხორციელება შემდეგ სეიმის დაშლისა. „საჭირო იყო დამოუკიდებლობის აქტის შედგენა და მიღება საბჭოში. გამოვყავით კომისია ჩემთან ერთად სამუშაოდ ამ საკითხში. მე ვთხოვე კომისიის წევრს გ. გვაზავას შეედგინა პროექტი, როგორც იურისტს და მოეტანა ჩემთვის. მან შეადგინა, წავიკითხე, გავოცდი. სწორ, ნაციონალურ დებულებათა გვერდით იყო წამოყენებული სოციალური რეფორმების დებულებანი: რვა საათის სამუშაო დღე, მამულების კონფისკაცია და სხვ. მე ასეთი მუხლები ჩავთვალე უადგილოთ; საჭირო იყო ერთი, ყველასათვის მისაღები ნაციონალური პლატფორმა, საიდანაც უნდა გამოირიცხოს ყველა გამთიშველი ელემენტები. ამ აზრის თანახმად შევასწორე პროექტი, ამოვაგდე იქიდან ყველა კლასიური ხასიათის მუხლები, დავტოვე შესწორებით მხოლოდ ნაციონალურ-პოლიტიკური ხასიათის. ასე შესწორებული წავუკითხე კომისიას. ...ამნაირათ დეკლარაცია შემუშავდა, რაიცა მე წავიკითხე 26 მაისს და გადაიქცა ჩვენი თავისუფლების ხარტიათ.“[1]

ნოე ჟორდანიას მონათხრობი ავსებს საარქივო დოკუმენტების მონაცემებს. ოღონდ, გაურკვეველი რჩება, პროფესიით იურისტმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გვაზავამ ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს თავის მიერ შემუშავებული პროექტი წარუდგინა თუ ხსენებული კომისიისა, რომლის ხელმძღვანელად, გამორიცხული არ არის, ის აერჩიათ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი რაჟდენ არსენიძე მოგვითხრობს: ეროვნულმა საბჭომ გამოყო კომისია, რომელსაც დაევალა დამოუკიდებლობის აქტის პროექტის დამუშავება. კომისია შეიკრიბა 25 მაისს. „ნაშუადღევს დავიწყეთ მუშაო-

ფონდი 1836, ანაწ. 1, საქ. #49, ფურც. 4.

1 ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990. გვ. 89-90.

ბა. ვჩქარობთ, რადგან ხვალ ეროვნული საბჭოს სხდომაა, რომელმაც თავს იდვა ამ ისტორიული აქტის შესრულება. ვჩქარობთ, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ აქტი არ იყოს მოფიქრებული, სერიოზული, ღირსი თავის დანიშნულების; უნდა აღინიშნოს ...უფლებები ახლად დაბადებული მოქალაქის; უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმ ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფებს, რომელნიც ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობენ. და ყოველივე ეს უნდა ითქვას მოკლედ, მოჭრით, მკაფიოდ. ამიტომ თითოეული სიტყვა იწვევს დავას, კამათს, აზრთა შეჯახებას; ყოველი ფრაზა ყალიბდება დიდი გულმოდგინებით. ბოლოს ბრძოლა და ჯახი თავდება მორიგებით; რაც მიღებულია - მიღებულია ყველასაგან. განხეთქილებასა და გულნაკლულობას აქ, ამ დიად გადამწყვეტ მომენტში, არ უნდა დაურჩეს ადგილი. ამას ვგრძნობთ ყველა, თუმცა ეს ჩვენთვის არავის უკარნახია. ...ვიბრძვით და ვჩქარობთ. ...შეღამდა. ...ვერ დაგვისრულებია შრომა. ...ვიკრიბებით ნავახშმევს და ისევ ვმსჯელობთ, ისევ ტექსტის ყველა აზრს ჩავკირკიტებთ; შუაღამეზე ვათავებთ პროექტის დამუშავებას და მაშინვე ორი წევრი გიორგი გვაზავა და პავლე სარჯველაძე მიეშურებიან საბჭოს ბიუროს (უნდა იყოს აღმასკომის, - ო. ჯ.) სხდომაზე, რომ ამაღამვე დაამთავრონ ეს საშური, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა. ნაშუაღამევს ბიურო (უნდა იყოს აღმასკომის, - ო. ჯ.) იღებს ზოგიერთი შესწორებით საბოლოოო რედაქციას და კვირას, 26 მაისს, იგი საჯაროდ ცხადდება სასახლის თეთრ დარბაზში."[1]

ცნობილი სწავლულისა და დიპლომატის ზურაბ ავალიშვილის მოგონება საქმეს რამდენადმე განსხვავებულად წარმოგვიჩენს. ზურაბ ავალიშვილი აკაკი ჩხენკელთან, ნიკო ნიკოლაძესთან და სხვ. ერთად 1918 წლის 11 მაისიდან იმყოფებოდა ბათუმში, როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკის დელეგაციის მრჩეველი და მონაწილეობდა ოსმალეთთან მიმდინარე სამშვიდობო კონფერენციის მუშაობაში. როდესაც ქართული დელეგაციის წევრებმა გერმანიის წარმომადგენელ გენერალ ფონ ლოსოვთან შეთანხმებით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად სამზადისი დაიწყეს, ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ბათუმში მიიწვიეს და

1 ინასარიძე კ., პატარა „ოქროს ხანა." საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921. რადიოდოკუმენტაცია. მიუნხენი, 1984, გვ. 76-77.

მას შექმნილი ვითარება გააცნეს. ნოე ჟორდანია, თავისი პარტიული რწმენის საპირისპიროდ, დარწმუნდა, რომ იმ მომენტში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ალტერნატივა არ გააჩნდა.

ზურაბ ავალიშვილი გადმოგვცემს: „დავწერე სანიმუშო პროექტი საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადებისა. დადგა დრო საქმის ჩამოყალიბების და მოქმედებისა. ჩხენკელმა, ჟორდანიამ, ნიკოლაძემ და სურგულაძემ (პეტრე სურგულაძე - საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე, ბათუმის მოლაპარაკებაზე მრჩევლის სტატუსით შედიოდა გერმანიის დიპლომატიურ მისიაში, - ო. ჯ.) მოიწონეს. ჟორდანიამ ეს პროექტი წაიღო თბილისში.“[1]

გამოდის, რომ ნოე ჟორდანიას ხელთ ჰქონია დამოუკიდებლობის აქტის ორი პროექტი - გიორგი გვაზავასი (იგივე ეროვნული საბჭოს აღმასკომის კომისიის?) და ზურაბ ავალიშვილის. სამწუხაროდ, ჩვენ არც ერთ ამ დოკუმენტს არ ვიცნობთ, რადგან ისინი ან არ შემოინახა ანდა ჯერჯერობით მიკვლეული არ არის.

ამ ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ახალი საგულისხმო მასალა, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ნიკო ნიკოლაძის პირად არქივში მოვიძიე. ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ორგვერდიანი, მანქანაზე ნაბეჭდი, ნიკო ნიკოლაძის ხელით ნასწორები ტექსტი და ასევე დამოუკიდებლობის აქტის ნიკო ნიკოლაძისეული, 4 ფურცლის შემცველი, ფანქრით შესრულებული დაუმთავრებელი ხელნაწერი.

ჩემი აზრით, პირველი დოკუმენტის რედაქტირებული ვარიანტი უნდა იყოს საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული, სტამბურად ნაბეჭდი „აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა“ (დამატება I)[2] რომელიც შესულია აგრეთვე 1990 წელს გამოცემულ წიგნში „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921.“[3]

---

1 ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ. 84.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქ. # 189, ფურც. 1.

3 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბ., 1990, გვ. 5-6.

ახლად მიკვლეულ დოკუმენტთა ტექსტები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. არც ერთი მათგანი შინაარსით სრულად არ ემთხვევა ასევე არც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ოფიციალურ რედაქციას. მაშ, საქმე გვაქვს აქამდე უცნობ პირველწყაროსთან, რომელიც გარკვეულად ავსებს ჩვენს ცოდნას ამ საკითხთან მიმართებაში.

ირკვევა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მომზადებაში წვლილი თერგდალეულთა ერთ-ერთ უკანასკნელ მოჰიკანსაც შეუტანია. ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოსაგრეთა ბრძოლა საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის ლოგიკურ დასასრულამდე ამ თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის ნიკო ნიკოლაძის აქტიური მონაწილეობითაც მისულა.

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ნოე ჟორდანია ნიკო ნიკოლაძის სახელს დამოუკიდებლობის აქტის მომზადებაზე საუბრისას არ ახსენებს (ჟორდანიას მოგონებებში მითითებას ვერ ვხვდებით ვერც ზურაბ ავალიშვილის პროექტზე). ზურაბ ავალიშვილის თანახმად კი, დიდი სამოციანელის კავშირი ამ საქმესთან მხოლოდ პროექტის მოწონებით შემოიფარგლება. საბედნიეროდ, არსებობს სხვა დამატებითი მასალა, საიდანაც დასტურდება, რომ ნიკო ნიკოლაძე აქტიურად იყო ჩართული საქართველოს თავისუფლების აღდგენისა და სახელმწიფოებრიობის განახლებისათვის ბათუმში წარმოებულ მუშაობაში, იზიარებდა და ეთანხმებოდა მოლაპარაკების პროცესში ჩამოყალიბებულ ქართულ-გერმანული ურთიერთობის კურსს, რომელმაც საქართველო 26 მაისამდე მიიყვანა.[1]

ვინც ნიკო ნიკოლაძის მდიდარ მემკვიდრეობას ასე თუ ისე იცნობს, დამეთანხმება, რომ ამ „ულმობელ საქმის კაცს“ ბევრი რამ ხელეწიფებოდა. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში მას უამრავი იდეა, გეგმა თუ პროექტი უქცევია რეალობად. ძნელი წარმოსადგენია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიპეტიებში იმთავითვე ჩართულ ერისკაცს საკუთარი აზრი და შეხედულება არ გამოეხატა ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიმართ, როგორიც დამოუკიდებლობის დეკლარაციაა.

1 ჯანელიძე ო., ნიკო ნიკოლაძე. ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები, თბ., 1998, გვ. 25.

არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ მას ბათუმში საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი მოეხაზა და შეემუშავებინა. სავსებით დასაშვებად მიმაჩნია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ფანქრით ხელნაწერი ნიკო ნიკოლაძის მიერ შედგენილი ტექსტია, ხოლო ნაბეჭდი ვარიანტი, რომელიც ალაგ-ალაგ ასევე ნიკო ნიკოლაძის კალმითაა ნასწორები, შესაძლოა იყოს ზურაბ ავალიშვილის იმ პროექტის ცალი, რომელიც „ნიკოლაძემაც მოიწონა“, ხოლო ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ თბილისში წამოიღო.

სავარაუდოა, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს ევროპაში მოქმედი საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი ნიკო ნიკოლაძის აღნიშნულ ღვაწლსაც ითვალისწინებდა, როცა ამ სახელოვან მოღვაწეს 1918 წლის 9 ივნისს, ბერლინში ყოფნისას, თამარ მეფის ორდენს გადასცემდა. ხსენებული ორდენით კომიტეტი აჯილდოებდა სამხედრო და სამოქალაქო პირებს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის. ორდენით დაჯილდოების მოწმობაში, რომელსაც ხელს აწერენ გიორგი მაჩაბელი, გიორგი კერესელიძე, მელიტონ ქარცივაძე და მიხაკო წერეთელი, ვკითხულობთ: „ნიკო ნიკოლაძეს. მოსაგონებლად იმ ძვირფასი სამსახურისა, რომელიც თქვენ მიგიძღვით ჩვენს საქმეში, გვაქვს პატივი მოგაწოდოთ სამახსოვრო ნიშანი ქართული ლეგიონის.“[1]

ბოლო დროს ელექტრონულ მედიაში ქვეყნდება ურთიერთსაპირისპირო ცნობები საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მომზადებაში ამა თუ იმ პიროვნების აქტიური მონაწილეობის შესახებ. მაგალითად, რუსულენოვან ვიკიპედიაში განთავსებულ გრაფ ვერნერ ფონ დერ შულენბურგის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ქართველ პოლიტიკოსებს თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის საჭირო დოკუმენტების შედგენაში ეს გერმანელი მოღვაწე ეხმარებოდა.[2] საინტერესოა, რომ ამგვარ ინფორმაციას არ შეიცავს იმავე ელექტრონულ ენციკლოპედიაში მოძიებული შულენბურგის ბიოგრაფიის არც გერმანული და არც ქართულენოვანი ვერსიები. სამა-

1 ჯანელიძე ო., თამარ მეფის ორდენის კავალერი, ჟურნ. „ომეგა“, 2003, #8,გვ. 80-81.

2 http://ru.wikipedia.org/wiki/Шуленбург,_Вернер_фон_дер

გიეროდ, ზურაბ ავალიშვილის ბიოგრაფიის შემდგენლები მიიჩნევენ, რომ ამ უკანასკნელს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შედგენაში კონსულტაციას გრაფი შულენბურგი უწევდა.

იმავე წყაროს მტკიცებით, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ბათუმში ზურაბ ავალიშვილმა შეიმუშავა და 1918 წლის 22 მაისს გადმოუგზავნა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, და რომ, „მცირე კორექტივების შეტანის შემდეგ, ეს ტექსტი დამტკიცებულ იქნა ეროვნული საბჭოს საგანგებო ყრილობაზე იმავე წლის 26 მაისს.“[1]

ქართულენოვანი თავისუფალი ელექტრონული ენციკლოპედიის თვალსაზრისი, რომ ეროვნული საბჭოს საგანგებო ყრილობამ (უნდა იყოს სხდომამ) მაინცდამაინც ზურაბ ავალიშვილის მიერ შემუშავებული დამოუკიდებლობის აქტის პროექტი მიიღო, დაზუსტებას საჭიროებს. ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, რომ ამის დამამტკიცებელ უტყუარ ცნობას დღემდე მიკვლეული არც საარქივო მასალა და არც მემუარული ლიტერატურა არ შეცავს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის თანაავტორად დასახელებულია აგრეთვე ცნობილი ქართველი ეროვნული მოღვაწე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ბოლო წინამძღოლი კონსტანტინე აფხაზი.[2] ზოგიერთი მკვლევარი უფრო შორს მიდის და წერს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი სულაც კოტე აფხაზის თავმჯდომარეობით შემუშავდა.[3]

აუცილებელია აღინიშნოს, რომ არც ეს ცნობები შეესაბამება სინამდვილეს. ილია ჭავჭავაძის დისწულს, გენერალ კოტე აფხაზს ქართველი ერის წინაშე არაერთი დამსახურება მიუძღვის, მაგრამ დამოუკიდებლობის აქტის შედგენაში მისი მონაწილეობის დამადასტურებელი რაიმე სარწმუნო წყარო არ მოიპოვება.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველა მათგანს საერთო არქიტექტონიკა აქვს: სახელმწიფოს პოლიტიკური იერსახისა და ღირებულებითი პრიორიტეტების განმსაზღვრელ კონკრეტულ

1 http://ka.wikipedia.org/wiki/ზურაბ_ავალიშვილი

2 http://sakartvelos-tavadaznauroba.ge/masalebi.php

3 http://matiane.wordpress.com/2009/08/30/kote-abkhazi/
ასევე, http:// geoarmylibrery.ucoz.net/load/2-1-0-12

მუხლებს წინ მცირე პრეამბულა უძღვის. ყველა პროექტის პრეამბულის პირველი წინადადება გვამცნობს, რომ საქართველო მრავალი საუკუნის განმავლობაში თავისუფალი იყო და საკუთარი სახელმწიფოებრიობა გააჩნდა. მომდევნო რამდენიმე აბზაცი ჩვენს ქვეყანასთან რუსეთის დამოკიდებულების მიმოხილვას ეძღვნება, ბოლოს კი მოკლედ აღნიშნულია ის წანამძღვრები, რომლებმაც ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და სუვერენიტეტის განახლება განაპირობეს.

საზოგადოების განვითარების დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე, თითოეულ პროექტში ხაზგასმულია, რომ სუვერენულ უფლებათა წყარო საქართველოს ტერიტორიაზე მთელი ქართველი ერია (დოკუმენტების თანახმად - „საქართველოს ხალხი“, „საქართველოს ერი“), ხოლო ახლად შექმნილი სახელმწიფოს პოლიტიკური ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ოფიციალურ ვერსიაში (მუხლი 3), ასევე აქტის ნიკო ნიკოლაძისეულ ხელნაწერ ვარიანტში (მუხლი 3) მითითებულია, რომ საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა. ჩემს მიერ ზურაბ ავალიშვილის პროექტად ნაგულისხმევი დოკუმენტი ნეიტრალიტეტის შესახებ მუხლს არ შეიცავს, პირიქით, აქ ეროვნულ საბჭოსა და დროებით მთავრობას პირდაპირ ევალებათ, „დაიცვან სამხედრო ძალებით საქართველოს საზღვრები“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იმ დროს ჩამოყალიბდა, როცა პირველი მსოფლიო ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ ყოფილა. ხელისუფლება მოვალე იყო, განესაზღვრა ქვეყნის დამოკიდებულება ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენისადმი, რაც აისახა კიდეც „დამოუკიდებლობის აქტში“. საქართველომ საერთაშორისო ომიანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა.

ცხადია, ისეთ რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში, როგორიც სამხრეთ კავკასიაა, ნეიტრალიტეტი ნაკლებად რეალური ჩანდა, მაგრამ ცხადყოფდა ქართული სახელმწიფოს სამშვიდობო მისწრაფებას.

დამოუკიდებლობის აქტის არც ერთ პროექტში საქართველოს საზღვრები აღწერილი არ არის. შესაძლებელი იყო, სრულად თუ არა ზოგად ხაზებში მაინც, მიეთითებინათ რა ტერიტორიაზე

ყალიბდებოდა ახალი ქართული სახელმწიფო, რომ ეს იყო საქართველოს ისტორიული სივრცე, მაგრამ, როგორც ჩანს, ანგარიში გაუწიეს არსებულ ვითარებას. საქმე ის არის, რომ ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მოკლე პერიოდში ვერ მოხერხდა რეგიონის დომინანტი ერების საზღვრების სრული და მკაფიო გამიჯვნა. სომხებიცა და აზერბაიჯანლებიც საქართველოს მის კუთვნილ მიწა-წყალს ეცილებოდნენ და დავა ჯერ დამთავრებული არ ყოფილა. უნდა ვიფიქროთ, დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორები მოერიდნენ მეზობლებთან მდგომარეობის გართულებას, მით უფრო, რომ დამოუკიდებლობის აქტი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას ითვალისწინებდა.

ქვემოთ ვბეჭდავთ ნიკო ნიკოლაძის არქივში აღმოჩენილ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტებს და დამოუკიდებლობის აქტის ორ დამატებას, რომლებიც დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი (ნიკო ნიკოლაძის ფანქრით ხელნაწერი, დაუსრულებელი ტექსტი)

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისგან შევიწროებული საქართველო თვისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტევა ამიერკავკასია.

საქართველო და მასთან ერთად მთელი ამიერკავკასია დარჩა რა თვისი ძალ-ღონის ამარად, თვით იდვა თავს საკუთარი თვისი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნა; მაგრამ გარეშე ძალთა ზესგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

თანახმად ამისა საქართველოს ეროვნული საბჭო, არჩეული 1917 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს საყოველთაოდ აცხადებს:

1.) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2.) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა - დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3.) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4.) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშო-

რისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5.) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეო...

დამოუკიდებლობის აქტი (მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი (ზურაბ ავალიშვილის პროექტი?)

საქართველო თითქმის ოცი საუკუნის განმავლობაში არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. მხოლოდ 1783 წ. შეეკრა იგი ხელშეკრულებით რუსეთს. ამ ხელშეკრულების ძალით რუსეთი ვალდებული იყო, დაეცვა საქართველოს საზღვრები და შემოეერთებინა იმისთვის ზოგიერთი დროთა ვითარების გამო დაკარგული მიწა-წყალი.

სხვაფრივ საქართველო უნდა დარჩენილიყო ისევ თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყნად მის შინაურ წესწყობილებასა და მართვა-გამგეობით.

რუსეთმა დაარღვია ეს ხელშეკრულება და უარჰყო საქართველოს სახელმწიფოებრივი უფლებანი.

ეხლა რუსეთი თვითონ დაირღვა და დაიშალა. საქართველოს თავისთავად უბრუნდება მისი სუვერენობა: თვითონ უნდა თავისუფლად დაიჭიროს შესაფერი ადგილი საერთაშორისო განწყობილებაში, დაამყაროს თავისი სახელმწიფოებრივი წესწყობილება და შეჰქმნას შინაურ ცხოვრებაში ის პირობები, რომელიც აუცილებელია ხალხის კეთილდღეობის და მშვიდობიანი განვითარების დასამყარებლად, ამიტომ საქართველოს ეროვნული საბჭო აცხადებს:

I. სუვერენობა საქართველოს ტერიტორიაზე ეკუთვნის საქართველოს ერს.

II. სახელმწიფოებრივი ფორმა საქართველოსი არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

III. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას შეადგენს ქალაქ ტფილისში შეკრებილი დამფუძნებელი კრება, რომლის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ყოველი სრულწლოვანი მოქალაქე, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა, საყოველთაო თანასწორის პირდაპირის და ფარულის კენჭისყრით. პროპორციული წესიც სავალდებულოა.

IV. დამფუძნებელი კრების მოწვევამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის სათავეში დგას ეროვნული საბჭო და დროებითი მთავრობა, აღჭურვილი ხალხის ნდობით და პასუხისმგებელი საბჭოს

წინაშე.

V. დროებით მთავრობას და ეროვნულ საბჭოს ევალებათ:

ა. დაამყარონ მშვიდობიანი და კეთილგანწყობილება სხვადასხვა სახელმწიფოებთან და მომიჯნავე ერებთან.

ბ. დაიცვან მოქალაქეობრივი თავისუფლება და უფლებრივი თანასწორობა განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა.

გ. დაიცვან სამხედრო ძალებით საქართველოს საზღვრები.

დ. მოაწესრიგონ საქართველოს ფინანსები.

ე. აღიდგინონ თავისუფლება შრომის, მეურნეობის, მრეწველობის და აღებ-მიცემობისა.

ვ. სასტიკად შეებრძოლონ ყოველნაირ ანარქიას და უწესობას.

VI. არც ერთ არაქართველ ერმან არ უნდა იგრძნოს რაიმე შევიწროება მათს კულტურულ და ეროვნულ განვითარებაში. უმცირესობათა უფლება სასტიკად დაცულ უნდა იყოს.

დამატება I
აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მე-XVIII-ე საუკუნის მიწურულში მტერთაგან მიერ ყოველის მხრით გარსშემორტყმული და მეტად შევიწროებული საქართველო რუსეთს შეუერთდა იმ პირობით, რომ რუსეთი მას გარეშე მტერთაგან დაიცავდა.

რუსეთის დიდი რევოლუციის განვითარების დროს ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომლის შედეგიც ბრძოლის მთელი ფრონტის დარღვევა და რუსის ჯარის მიერ ამიერკავკასიის მიტოვება იყო.

საკუთარ ძალების ამარა შთენილმა საქართველომ და მასთან ერთად მთელმა ამიერ-კავკასიამ თვით მოჰკიდეს ხელი საკუთარ ბედის მოწყობას და საჭირო ორგანოებიც შეჰქმნეს; ხოლო გარეშე ძალთა გავლენამ კავშირი, რომელიც ამიერკავკასიის ხალხებს აერთებდა, დაარღვია და მისი პოლიტიკური მთლიანობა დაშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა საქართველოს საკუთარ სახელმწიფოს შექმნის აუცილებელ საჭიროებას გადაჭრით უკარნახებს, რათა მტრულ ძალთა დამონებისაგან თავი გადაირჩინოს და თავისუფალ განვითარებას მძლავრი საძირკველი ჩაუყაროს.

ითვალისწინებს რა ზემოდჩამოთვლილს პირობებს საქართველოს ეროვნული საბჭო, ამორჩეული საქართველოს ეროვნულ კრების მიერ 22 გიორგობისთვეს 1917 წ., დღეს საქვეყნოდ აცხადებს:

1 - დღეიდან ქართველი ერი სუვერენულ უფლებებით აღჭურვილი ერია და საქართველო – სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

2 - დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკურ წყობილების სახე დემოკრატიული რესპუბლიკა არის.

3 - საერთაშორისო კონფლიქტების დროს საქართველო ნეიტრალურია.

4 - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ესწრაფვის ყოველ ხალხთან და განსაკუთრებით მეზობელ ერებთან მეგობრული განწყობილება იქონიოს.

5 - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის მიწა-წყალზე ყოველი მოქალაქის, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა, პოლიტიკურსა და მოქალაქურს უფლებებს უზრუნველჰყოფს.

6 - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მის ტერიტორიაზედ მცხოვრებს ყოველს ერს თავისუფალი განვითარების ფართო ასპარეზს მიანიჭებს.

7 - დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით შევსებული ეროვნული საბჭო და ეროვნულ საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი დროებითი მთავრობა სრულიად საქართველოს მმართველობის სათავეში სდგანან.

დამატება II

საქართველოს ბაგრატიდთა დიდი სამეფოს დანაწილების შემდეგ, სხვადასხვა სახელმწიფოებმა და სამთავროებმა, რომელთაგანაც საქართველო შესდგებოდა, უცვლელად დაიცვეს როგორც მთლიანობა სარწმუნოებისა და საერთო ცივილიზაცია, აგრეთვე ის საერთო პოლიტიკური მისწრაფება, რომელიც მათ ევროპისაკენ მიიზიდავდა. საქართველოს ნაწილებმა ბევრი ფიქრისა, ცდისა და ყოყმანის შემდეგ რუსეთთან დასდვეს მთელი რიგი პოლიტიკურ ხელშეკრულობებისა, რომელთა შორის უპირველესი და უმთავრესი 1783 წლის ხელშეკრულება იყო და რომლის ძალითაც აღმოსავლეთი საქართველო რუსეთის იმპერიის პროტექტორატში შედიოდა. სხვა ხელშეკრულობათა მიზანიც იგივე იყო - ავტონომია საქართველოს ქვეყნებისა შინაგან საქმეებში და რუსეთის პროტექტორატი მათ საგარეო განწყობილებებში; ხოლო ეს რეჟიმი, განმტკიცებული რუსეთის იმპერატორთა საჯარო დაპირებით, მეტათ ხანმოკლე იყო. რუსეთის იმპერიის ცალმხრივმა აქტებმა 1801 წლიდან 1861 წლამდე რუსეთთან საქართველოს შეერთებით საქართველოს ნაწილების ავტონომია, დამყარებული საერთაშორისო ხელშეკრულებაზედ, მოსპეს ისე, რომ პოლიტიკური ხელშეკრულებანი, დადებულნი რუსეთისა და საქართველოს ქვეყნებს შორის, ფორმალურად გაუქმებულნი არ იყვნენ.

დღიდან საქართველოს ანექსიისა ქართველ პატრიოტთა ოცნებას თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო შეადგენდა. ამ მიმართულების მრავალრიცხოვანი გამომჟღავნება მე-XIX საუკუნეში ყოველ ეჭვს გარეშე ჰყოფს საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას. მე-XX საუკუნის დასაწყისშივე შესდგა პარიზში ქართველთა კომიტეტი, რომლის ორგანო „საქართველო“ განთავისუფლებულ და დამოუკიდებელ საქართველოს იდეას ემსახურებოდა. რუსეთის 1905-6 წლების კონსტიტუციის ხანამ მოქმედება რამდენადმე გააადვილა და ყოველგან - სახალხო კრებებზე, ქალაქის თვითმმართველობებში, თავად-აზნაურების ორგანიზაციებში თუ სხვაგან, აგრეთვე როგორც სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან საქართველოს ავტონომიას მოითხოვდნენ. 1907 წელს ქართველმა ერმა ჰააგის მშვიდობიანობის კონფერენციას პეტიციით მიმართა და სთხოვდა სა-

ქართველოს კანონიერი უფლებები აღედგინა. ეჭვს გარეშეა, რომ ქართველი ერი მთლიან და განუყოფელ საქართველოს აღდგენას მოითხოვდა; თვით რუსეთის საჯარო სამართალიც, რადგან მან მიანიჭა რუსეთის იმპერატორს საქართველოს ხელმწიფის ტიტული და მისი ღერბი, მხოლოდ ერთ საქართველოს არსებობას გულისხმობდა.

II

1917 წლის რევოლუციამ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება, ისევე როგორც მთელ რუსეთში, ძირიანად შესცვალა. შეუდრეკელი სურვილი დარღვეულ მაგრამ გარდაუსვლელი უფლებების აღდგენისა მთელ საქართველოში საყოველთაო იყო. უკვე 1917 წლის მარტში სამღვდელოების და მორწმუნეთა კრებულმა რუსეთის სინოდალურ ეკლესიასთან 1811 წლიდან ძალით შეერთებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინა და ივერიის ეკლესიამ რუსეთის ბატონობის დროს მოსპობილ თავისი კანონიური პრეროგატივებით სარგებლობა დაიწყო. ქართული ავტოკეფალური ეკლესია დღეს მხოლოდ ხალხის მიერ ამორჩეულ ყოველ ქართველთა კათალიკოსს-პატრიარქს ემორჩილება. ამრიგადვე რუსეთის ავტოკრატიის მიერ მოსპობილი საქართველოს პოლიტიკური უფლებანი კვლავ ცხოვრებას უბრუნდებოდნენ. 1917 წლის მარტში ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ, მართებლობის უფლებით მოსილ კომიტეტის შექმნით საქართველოს ავტონომიის აღდგენისკენ უკვე ერთი პრაქტიკული ნაბიჯი იყო გადადგმული - საქართველოს ჰმართავდა არა პეტროგრადი, არამედ საკუთარი დედაქალაქი თბილის ზემოდ ხსენებულ განსაკუთრებულ კომიტეტის სახით, რომელშიაც ხალხის ნდობით მოსილი პოლიტიკური მოღვაწენი შედიოდნენ.

III

ამიერ-კავკასიის ხალხები ბოლშევიკების 1917 წლის გიორგობისთვის რევოლუციას არ მიუდგნენ და მათი მთავრობა, უკვე რევოლუციის პირველ ხანებშივე დეცენტრალისტური, ფაქტიურად დამოუკიდებელი შეიქმნა. როდესაც რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკეს, თბილისში ამიერ-კავკასიის სეიმი დაარსდა და ამ სეიმმა 22 აპრილს 1918 წელს ამ ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რაც

უცხო ქვეყნებსაც ამცნო. ამასთანავე ამიერკავკასიის სხვა და სხვა ნაწილები პოლიტიკურ ერთეულების შექმნას შეუდგნენ. საქართველოს ეროვნული საბჭო შეიკრიბა (გიორგობისთვის 1917 წელს) და დააარსა ეროვნული საბჭო, რომელსაც საქართველოს ეროვნულ საქმეების ხელმძღვანელობა დაევალა. საქართველოს ეროვნული საბჭო ამიერ-კავკასიის სეიმს და მთავრობას მჭიდროდ ეკავშირებოდა. ამიერ-კავკასიის სეიმის ქართული სექცია საქართველოს ეროვნულ საბჭოს სრულუფლებიანი წევრი იყო.

IV

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აქტის ფორმალური გამოცხადების დროს (22 აპრილს 1918 წელს) ნაგულისხმები იყო არსებობა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოსი, რომელიც ამიერ-კავკასიის დანარჩენ ხალხებთან კონფედერატიულ კავშირში შედიოდა. ამ კავშირის უმთავრეს დებულებებს უკვე იმუშავებდნენ. ამ დროს შექმნილმა პირობებმა საქართველოს და ამიერ-კავკასიის დანარჩენ ხალხებისათვის ცხადჰყვეს, რომ საჭირო იყო შეცვლა მიღებულ პოლიტიკურ გეზისა და ამიერ-კავკასიის შემადგენელ ელემენტებისაგან შემზადება ისეთი ორგანიზაციისა, რომელიც მომავალში ამიერ-კავკასიას და შეიძლება მთელ კავკასიასაც კონფედერაციად გარდაჰქმნიდა. ოსმალეთის ჯარმა, წინააღმდეგ თვით ბრეს-ლიტოვსკის ხელშეკრულობისა, ბათომისა, ყარსისა და არდაღანის პროვინციები, რუსეთის სომხეთი და აზერბეიჯანი დაიპყრო. ამ მოვლენამ ამიერ-კავკასიის სეიმი იძულებული ჰყო ამიერ-კავკასიის სეიმის დაშლა ერთხმად დაედგინა. ამ გარეგან ძალთა და ზემოდმოყვანილ პირობათა გავლენით საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს აქტი 1918 წელს 26 მაისს მოხდა.

V

ამ მომენტში, ისევე როგორც უკვე 22 აპრილს დეკლარაციის დროს, საქართველოში და საერთოდ ამიერ-კავკასიაში აღარ არსებობდა არც ერთი ისეთი მთავრობა, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელსაც რუსეთთან, ანუ დიდი რუსეთის ბოლშევიკურ რესპუბლიკასთან, რომლის შეიარაღებული ძალებიც ამიერ-კავკასიიდან სავსებით გაყვანილ

იქმნენ, რაიმე დამოკიდებულება ჰქონოდეს.

ზემოდხსენებულიდან ორი უმთავრესი დასკვნა გამომდინარეობს: ერთი – უკვე კარგა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელმწიფო ამიერ-კავკასიას სრულიად მოშორდა; ამიერ-კავკასია რუსეთის ნაწილს აღარ შეადგენდა და მასთან არაფრით აღარ იყო დაკავშირებული. მეორე – ამიერ-კავკასია რეს ნულლიუს-ს არაფრით არ ემსგავსებოდა, პირიქით, ამის სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა მოხდა: რუსეთის ყოფილმა პროვინციამ - ამიერ-კავკასიამ დამოუკიდებელი სახელმწიფო შეჰქმნა და შემდეგში ამ ქვეყნის ერთმა ნაწილმა – საქართველომ თავის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს მაგალითს რუსეთის სასომხეთი და აზერბეიჯანი მიჰყვნენ, რაც საზოგადოებრივ აზრის და ამიერ-კავკასიის პარლამენტის მიერ მიღებულ ფედერალისტურ კონცეფციას ეთანხმებოდა.

VI

ამრიგად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს საქართველოში რუსეთის სახელმწიფო აღარ იყო და ამიტომ ეს დეკლარაცია რუსეთის წინააღმდეგ არ მომხდარა. საქართველოში მისი დამოუკიდებლობის დეკლარაციამდე უკვე განმტკიცებული სახელმწიფო რეჟიმი არსებობდა და ეს რუსეთის სახელმწიფო არ იყო. რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის შემუშავებულ საარჩევნო კანონის მიხედვით ამორჩეულმა საქართველოს ეროვნულ ცხოვრების ორგანომ - საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, გარდაიქმნა რა იგი საქართველოს წარმომადგენელთა კრებულად, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა შეჰქმნა. დამყარებული ასეთს მტკიცე საფუძველზედ საქართველოს მთავრობა ცნობილ უნდა იქმნას, როგორც ეროვნული მთავრობა, რომლის ავტორიტეტი და უფლება ყოველ ეჭვს გარეშეა, ისევე როგორც საქართველოს ეროვნული საბჭო უნაკლო და ნამდვილი წარმომადგენლობა არის.

VII

რეზიუმე ზემოდმოყვანილისა შემდეგია: შეერთებული რუსეთთან საქართველოს მეფეთა მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებით სქართველო, რომელიც არასოდეს არ ყოფილა რუსეთის იარაღის

ძალით დაპყრობილი, განაგრძობდა თვით რუსეთის ერთ საუკუნის ბატონობის დროსაც კი ეროვნულ ცოცხალ ორგანიზმის არსებობას და მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდა, რათა აღედგინა თავისი გარდაუსვლელი ეროვნული უფლებანი და საკუთარი პოლიტიკური და ეროვნული მისწრაფებანი განეხორციელებინა.

დიდი ომის განმავლობაში ბრესტ-ლიტოვსკის ზავამდის, რუსეთის ერთგულ საქართველოს აღარ შეეძლო უმოქმედოდ დარჩენილიყო იმ დროს, როდესაც რუსეთის მთავრობამ თავისი მოქმედებით მტერს საზღვრები გაუღო და ხელშეკრულობით საქართველოს პროვინციები დაუთმო. მას შემდეგ, რაც ამიერ-კავკასიიდან რუსეთის სახელმწიფო სრულიად გაჰქრა და საქართველომ დაინახა, რომ საკუთარ ძალების ამარა არის მიტოვებული, ჯერ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს განმტკიცებაში მიიღო მონაწილეობა და შემდეგ გარემობათა ძალით რუსეთთან (რომლის მთავრობამაც გარდა ყველა ამ მოსაზრებისა ოფიციალურ დეკრეტებით მიიღო პრინციპები - რომელთა მიხედვით ყოველ ერს აქვს სრული უფლება ამოირჩიოს ისეთი პოლიტიკური რეჟიმი, როგორიც მას სურს და თვით რუსეთსაც კი გამოეყოს თუ ამას მოისურვებს) ყოველ ხელშეკრულობათაგან სრულიად განთავისუფლებული საკუთარ სახელმწიფოს შექმნას შეუდგა.

ამრიგად ქართველ ერს, აღიდგინა რა რუსეთის ბატონობის მიერ დარღვეული უფლებანი, სურს თავისუფლად შეჰქმნას თავისი სახელმწიფო და მოაწყოს თავისი საერთაშორისო დამოკიდებულობა, რათა შესძლოს როგორც მის, აგრეთვე კავკასიის საკეთილდღეოთ ხანგრძლივად და უზრუნველყოფით ისარგებლოს თავის აღდგენილი უფლებებით.

სამი სახელმწიფო ერთ ქალაქში

ისტორიულად, თბილისი სამხრეთ კავკასიის გეოგრაფიულ შუაგულს წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც მეცხრამეტე საუკუნის პირველ მესამედში ეს რეგიონი რუსეთის იმპერიამ მიიერთა, თბილისი მის ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრადაც იქცა. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, 1918 წლის აპრილში, აქ მცირე ხნით ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა წარმოიშვა, რომლის დედაქალაქიც ასევე თბილისი იყო.

გეოგრაფიულმა ფაქტორმა თუ ერთი იმპერიის ფარგლებში ხანგრძლივმა თანაცხოვრებამ სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური ინტეგრაციაც განაპირობა. საქართველოზე გაუვლელად და ბათუმის გარეშე აზერბაიჯანის ნავთობი საერთაშორისო ბაზარზე ვერ მოხვდებოდა, სომხეთისათვის საქართველოს რკინიგზა გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი უმთავრესი არტერია იყო, ხოლო აზერბაიჯანული ენერგორესურსებს (ნავთობი, სამანქანო ზეთი, საპოხ-საცხები მასალები) სომხეთისა და საქართველოსათვის ალტერნატივა არ გააჩნდა.

ცხადია, ამ გარემოებებს მხარის გავლენიანი პოლიტიკური ძალები ითვალისწინებდნენ და ანგარიშს უწევდნენ, მაგრამ სამხრეთ კავკასიის დომინანტ ერთა შიდა წინააღმდეგობამ (ეროვნულ ინტერესთა შეუსაბამობა, ტერიტორიული გამიჯვნისა და საზღვრების პრობლემა), საგარეო პოლიტიკური ვექტორების სხვადასხვაობამ და პირველი მსოფლიო ომით გამოწვეულმა ახალმა კონიუქტურამ შეუძლებელი გახადა ამიერკავკასიის რესპუბლიკის ხანგრძლივი არსებობა. იგი ცივილიზებული ფორმით დაიშალა და დარჩა, როგორც მოკლე ეტაპი სამი ახალი სახელმწიფოს - საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების წარმოშობის გზაზე.[1]

1918 წლის 26 მაისს, თბილისში, ეროვნულმა საბჭომ, დამოუკიდებლობის აქტით, განაახლა საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაკარგული ქართული სახელმწიფოებრიობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ორი დღის შემდეგ, ასევე თბილისში მოქმედმა

1 1918-1920 წლებში რეგიონის პოლიტიკური ელიტაში არსებობდა კავკასიის კონფედერაციის იდეა, მაგრამ ამ მიმართებით წამოყენებული არც ერთი პროექტი არ განხორციელებულა.

სომეხთა ეროვნულმა საბჭომ სათავე დაუდო სომხეთის რესპუბლიკის ფორმირებას და 28 მაისს, თბილისშივე აღმოცენდა აზერბაიჯანის სახალხო რესპუბლიკაც. ამრიგად, საქართველოს დედაქალაქში სამ დღეში სამი სახელმწიფო დაფუძნდა და სამივე მათგანის ხელისუფლების ადგილსამყოფელო გარკვეული დროით თბილისი იყო.

ჩამოთვლილ პოლიტიკურ ერთეულთაგან, სუვერენული სახელმწიფო აზერბაიჯანის სახელწოდებით რუკაზე პირველად გაჩნდა, საქართველომ და სომხეთმა კი თავიანთი ისტორიული ავბედობით დაკარგული დამოუკიდებლობა აღიდგინეს. განსხვავებული წარსულისა და სახელმწიფოებრივი ტრადიციების მიუხედავად, სამივე სამხრეთკავკასიურმა სახელმწიფომ ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის ფორმად რესპუბლიკა, ხოლო შინაარსად - დემოკრატიული რეჟიმი აირჩია.

ეროვნული სახელმწიფოებრიობის განახლებას კმაყოფილებით შეხვდა საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა და ეროვნულ-პოლიტიკური ძალა. ამიტომაც, ეს დღე საქართველოში ეროვნულ ზეიმად იქცა და მთელი ქვეყნის მასშტაბით აღინიშნა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო თბილისში გამართული სახალხო მანიფესტაციები და სხვ. ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას პარაკლისი უძღვნა საქართველოს ეკლესიამ,[1] რომლის ავტოკეფალიის აღდგენა (1917 წ. 12 მარტი) წინ უსწრებდა ქვეყნის სუვერენიტეტის გამოცხადებას. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანელთა წარმომადგენელი ფატალი ხან ხოისკი საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე მიესალმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. სომხები ასე არ მოქცეულან. ცნობილი სომეხი პოლიტიკური ლიდერი ა. ხატისოვი, რომელიც იმ ხანად სათავეში ედგა თბილისის საქალაქო საბჭოს, აცხადებდა: „ჩვენ მხარს დავუჭერთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას იმდენად, რამდენადაც იგი დემოკრატიის ნამდვილი დამცველი და გამომხატველი იქნება“.[2]

საქართველოსაგან განსხვავებით, დამოუკიდებლობის ფართოდ აღნიშვნის საშუალებას მოკლებულნი იყვნენ აზერბაიჯანელთა და სომეხთა ეროვნული საბჭოები. ისინი, მართალია, არც ისე უცხო გარემოში, მაგრამ მაინც მშობლიური წიაღისაგან მოშორებით - თბილსში

1 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 29, 31 მაისი.

2 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 30 მაისი.

მოღვაწეობდნენ, რის გამოც, სახელმწიფოებრიობის გამოცხადებისათვის არ მიუციათ საზეიმო ხასიათი და მხოლოდ აუცილებელი პროცედურით შემოიფარგლნენ.

ამიერკავკასიის უკვე თვითლიკვიდირებული სეიმის აზერბაიჯანელმა დეპუტატებმა 1918 წ. 27 მაისს თავი აზერბაიჯანის დროებით ეროვნულ საბჭოდ გამოაცხადეს და თავმჯდომარედ მუსავატის პარტიის ლიდერი მამედ რასულზადე აირჩიეს.[1] საბჭომ მზადყოფნა გამოთქვა, ეტვირთა მესვეურობა აზერბაიჯანისა, რომელიც გეოგრაფიული და ეთნოლინგვისტური ტერმინიდან პოლიტიკური შინაარსის ცნებად იქცეოდა და მომავალი სახელმწიფოს სახელწოდებად უნდა დამკვიდრებულიყო.

იმ დროინდელი პერიოდული პრესის ცნობით, „მაჰმადიანთა ეროვნულმა საბჭომ საცირკულიარო დეპეშა დაუგზავნა ყველა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომელშიც აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიიდან საქართველოს გამოყოფის გამო ის ადერბეიჯანს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად აცხადებს. რესპუბლიკაში შედის სამხრეთი და აღმოსავლეთი კავკასია“.[2]

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა მთელს აღმოსავლურ მუსლიმურ სამყაროში პირველი რესპუბლიკა იყო, თუმცა მის დამოუკიდებლობას იმ მომენტისათვის უფრო დეკლარაციული ხასიათი ჰქონდა[3] და სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისა და აღმშენებლობის ძნელი გზა ჯერ კიდევ დასაძლევი იყო.

თითქმის ასეთივე სასტარტო მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც, მაგრამ უფრო რთულად იყო საქმე სომხეთის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის დაშლას არ მოუხსნია ოსმალეთის ჯარების ხელახალი შემოჭრის საფრ-

---

1 Гасанлы Дж., Русская революция и Азербайджан: Трудный путь к независимости (1917-1920), М. 2011, ст. 161.

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 30 მაისი.

3 Балаев А., Мамед Эмин Расулзаде (1884-1955). М., 2009, ст. 108. მაშინდელი ზოგიერთი სამხედრო თუ პოლიტიკური მოღვაწე აზერბაიჯანის რესპუბლიკას „ხელოვნურ სახელმწიფოდაც“ მიიჩნევდა. იხ. Деникин А., Очерки русской смуты. Вооруженные силы Юга России. Распад Российской империи. Октябрь 1918 - январь 1919. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест,2002, ст. 297-298.

თხე, განსაკუთრებით სომხეთისათვის. საქართველოს მთავრობისაგან განსხვავებით, რომელსაც, ბათუმის მოლაპარაკების პროცესში, გერმანიამ დამოუკიდებლობის დაცვის გარანტია მისცა, სომეხ პოლიტიკოსებს მსგავსი დაპირება არ მიუღიათ. გერმანიის ხელისუფალთა ზოგადი განცხადება კავკასიის ქრისტიანი მოსახლეობისდმი თანაგრძნობის შესახებ[1] სომხეთისათვის საიმედო ფარად ვერ გამოდგებოდა. ოსმალეთის საჯარისო ნაწილებს უკვე ოკუპირებული ჰქონდათ ქ. ალექსანდროპოლი და ერევანს უახლოვდებოდნენ. მართალია, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაწყებული იყო სომხეთის მხარდამჭერი მოძრაობა, რომელსაც პრეზიდენტი ვუდრო ვილსონიც თანაუგრძნობდა[2] და სომხეთის დახმარების ამერიკული კომიტეტი თანხებსაც აგროვებდა სამხრეთ კავკასიელი სომხებისათვის, მაგრამ პირველი რიგის ამოცანა საცხოვრებელი სივრცის შენარჩუნება და ეროვნული თვითგამორკვევა იყო.

ამ კუთხით საინტერესოა სომხურ გაზეთ „მშაკში“ დაბეჭდილი პუბლიკაცია, რომელიც სრულად წარმოაჩენდა ვითარების სირთულესა და არაორდინალურ ხასიათს. პუბლიკაციის ავტორის აზრით, ეროვნული საქმეების გასაძღოლად და სომეხი ერის ფიზიკური არსებობის დასაცავად, აუცილებელი იყო „უზენაესი ეროვნული ორგანო ანუ დროებითი ეროვნული მთავრობა ტერიტორიისაგან დამოუკიდებლად“. ამგვარი საჭიროების მიუხედავად, გაზეთი „სომეხთა ეროვნულ საბჭოს“, რომელმაც სომხეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, უფლებამოსილ ორგანოდ არ მიიჩნევდა, ეჭვქვეშ აყენებდა „საბჭოს“ ლეგიტიმაციას და მას „ალალბედზედ არჩეულ რაღაც ეროვნულ საბჭოს“ უწოდებდა. უარყოფითი შეხედულება იყო გამოთქმული „საბჭოს“ დაშნაკური შემადგენლობის მიმართაც, რადგან ამ პარტიის „30 წლის ბატონობამ მხოლოდ უბედურება დაატეხა თავზე სომხის ერს და დღევანდელი უბედურობა სომხებისა მათი პოლიტიკის ბრალიაო“.[3] „მშაკისაგან“ განსხვავებით, გაზეთი „ჰორიზონი“ აქტიურად უჭერდა მხარს სომხეთის დამოუკიდებლობას და მოუწოდებდა სომეხთა ეროვ-

1 Свобода с дулом виска. http://www.hist.ru/zakavkaz.html

2 Hovannisian R., The Republic of Armenia, vol. I, Los Angeles, 1971, p. 261; ასევე, Свобода с дулом виска. http://www.hist.ru/zakavkaz.html

3 გაზ. „მშაკი“ (Մշակ), 1918, # 100; ასევე, გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 6 ივნისი.

ნულ საბჭოს, მტკიცედ შედგომოდა „სახელმწიფო მექანიზმის ორგანიზაციის“ ძნელ, მაგრამ აუცილებელ საქმეს.[1]

თბილისური სომხური პრესის თანახმად, იმ დროისათვის სომეხთა პოლიტიკურ წრეებში სამი განსხვავებული თვალსაზრისი არსებობდა: 1. სომეხთა ეროვნული საბჭო გარდაქმნილიყო დროებით მთავრობად ან მასვე შეედგინა ახალი მთავრობა, რომელიც გამოაცხადებდა ოსმალთა ოკუპაციისაგან გადარჩენილი სომხური მაზრების დამოუკიდებლობას; 2. დარჩენილიყო ეს მაზრები ძველებურად რუსეთის შემადგენლობაში და 3. მეზობელ მაჰმადიანებთან შეთანხმება და აზერბაიჯანთან შეერთება. აზრთა ამ ნაირგვარობის საფუძვლად მიჩნეული იყო შეხედულება, რომ: „სანამ საყოველთაო ომი არ გათავებულა, სანამ საყოველთაო ზავი არ შეკრულა, სომხებს არ შეუძლიათ გადასწყვიტონ თავიანთი მომავალი ბედი“.[2]

ეს საკითხი უყურადღებოდ არ არის დარჩენილი არც სპეციალურ ლიტერატურაში[3], ხაზგასმულია ისიც, რომ ოსმალური საფრთხის პირობებში სომხები არა იმდენად სომხეთის სახელმწიფოებრიობაზე ფიქრობდნენ, რამდენადაც რუსეთის აღდგენასა და მისგან მფარველობაზე.[4]

თავიანთი წარმოშობის შესახებ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებმა მოსახლეობასა და საერთაშორისო საზოგადოებას საგანგებო პოლიტიკური განცხადებებით - დამოუკიდებლობის აქტებით აუწყეს.

საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დეკლარაციები თითქმის იდენტურია, განსხავებაა ის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში შეტანილია მუხლი, რომლის თანახმად, „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა“. აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აქტში ასეთი ჩანაწერი არ

1 გაზ. „ჰორიზონი“ (Հորիզոն), 1918 წ., # 108; ასევე, გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 8 ივნისი.

2 გაზ. „მშაკი“ (Մշակ), 1918, # 100, 101; ასევე, გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 4 ივნისი.

3 Киракосян Дж., Младотурки перед судом истории, Ереван, 1986, ст. 232.

4 Иголкин А., Независимость Закавказья: Уроки 1917-1921 г.г. http://www.karabah.h18.ru/history/karabah/39.html

არის.[1]

სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელიც მიღებულ იქნა 1918 წლის 30 მაისს, კონკრეტულ მუხლებს არ შეიცავს. იგი იფარგლება მხოლოდ იმ ფაქტის კონსტანტაციით, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის პირობებში, როდესაც საქართველო და აზერბაიჯანი დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ, სომხეთის ეროვნულმა საბჭომ თავი სომხური პროვინციების ერთადერთ და უმაღლეს ხელისუფლებად გამოაცხადა.[2]

აღსანიშნავია ისიც, რომ ახლად წარმოშობილი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აქტებში დეტალურად მოხაზული არ ყოფილა სახელმწიფო საზღვრები. დოკუმენტების შემდგენლები დაკმაყოფილდნენ იმ ტერიტორიების ზოგადი ჩამოთვლით, რომელზედაც მათი მთავრობების იურისდიქცია უნდა განხორციელებულიყო.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, როგორც პრეამბულა, შევიდა 1921 წ. თებერვალში დამტკიცებულ საქართველოს პირველ კონსტიტუციაში (აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებში კონსტიტუციების მიღება ვერ მოესწრო).

თუ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ადგილობრივი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალების კონსენსუსს დაემყარა, მეზობელი ქვეყნების შემთხვევაში საქმე სხვაგვარად იყო. მაგალითად, აზერბაიჯანელ პოლიტიკოსთა ნაწილი, მათ შორის ფატალი ხან ხოისკი ამ საკითხში მერყეობდა და სხვებსაც ურჩევდა, ვიდრე რეგიონში სიტუაცია ბოლომდე გაირკვეოდა, თავი შეეკავებინათ დამოუკიდებლობის გამოცხადებისაგან და დაკმაყოფილებულიყვნენ აზერბაიჯანის სრულუფლებიანი მთავრობის შექმნით, რომელიც საზავო მოლაპარაკებათა გამართვის პრეროგატივით იქნებოდა აღჭურვილი.[3] იყვნენ აზერბაიჯანის ოსმალეთთან შეერთების მომხრენიცა

1 http://www.azerbaijan.az/portal/History/HistDocs/Documents/ru/04.pdf

2 http://www.historyofarmenia.am/am/Encyclopedia_of_armenian_history_HH_kazmavorumy_ev_ankaxutyan_hrchakumy ასევე, Захаров В., 28 мая 1918 г. Провозглашение Армянской республики, http://k4500.com/history/716-28-maya-1918g-provozglashenie-armyanskoj.html

3 Балаев А. Мамед Эмин Расулзаде (1884–1955). М., 2009, ст. 116; ასევე, Балаев А., Азербайджанское национальное движение в 1917-1918 гг., Баку, 1998, ст. 110;

და სხვ.[1] მამედ რასულზადეს სიტყვით: „მარჯვნიდან ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ აზერბაიჯანიზმის ლოზუნგის წამოყენებით, ჩვენ ვანაწევრებთ მუსულმანობას, აზერბაიჯანიზმის დროშის აღმართვით, ჩვენ ვარღვევთ ისლამის საფუძვლებს. მარცხნიდან კი ბრალს გვდებდნენ იმაში, რომ აზერბაიჯანის ავტონომიის მოთხოვნით, ჩვენ ხელს ვუწყობთ ერთიანი დემოკრატიული ფრონტის დაშლას“.[2] მიუხედავად ამისა, 1918 წლის 28 მაისს, ეროვნული საბჭოს სხდომაზე 24 ხმით (ორმა თავი შეიკავა) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე. მთავრობის შექმნა ფატალ ხან ხოისკის დაევალა (აღმასრულებელი ხელისუფლების ჩამოყალიბება ხან ხოისკის კიდევ ორჯერ მოუწია. ჯერ 1918 წლის 17 ივნისს („ივნისის კრიზისის“ დროს), როდესაც განჯაში მყოფი ოსმალეთის არმიის მეთაურის ნური ფაშას მოთხოვნით, აზერბაიჯანის ეროვნულმა საბჭომ დროებით ფუნქციონირება შეწყვიტა და შემდეგ 1918 წლის 28 დეკემბერს აზერბაიჯანის პარლამენტის შექმნასთან დაკავშირებით). 1919 წლის 14 აპრილიდან აზერბაიჯანის მთავრობას სათავეში ედგა პრემიერ-მინისტრი ნასიბ ბეგ უსუბეკოვი, რომელიც ქვეყნის პარლამენტმა მთავრობის მეთაურად კიდევ ერთხელ 1919 წლის 22 დეკემბერს დაამტკიცა. აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე მამედ რასულზადე იყო, ხოლო 1919 წლის ნოემბერში ჩამოყალიბებული პარლამენტის თავმჯდომარედ ალიმანდარ ბეგ თოფჩიბაშევი აირჩიეს.[3]

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა იყო სომეხ პოლიტიკოსთა შორი-

---

Гасанлы Дж., Русская революция и Азербайджан: Трудный путь к независимости (1917-1920), М. 2011, ст. 161-162.

1 Багирова И., Азербайджанское представительство в Закавказском Сейме и Федерации (февраль-май 1918 г.) https://www.geschichte.hu-berlin.de/ru/bereiche-und-lehrstuehle-ru/aserbaidschan-ru/forschung-ru/clio-caucasus-ru-ru/wissenschaftliche-arbeiten/beitraege/baghirova_azierbaidzhanskoie-priedstavitielstvo-v-zakavkazskom-sieimie-i-fiedieratsii-fievral-mai-1918-gh.-.doc

2 Мамедзаде М.Б., Азербайджанское национальное движение, Баку, 1992, ст. 114 (на азерб. яз.).

3 Топчибаши А. М., Парижский архив 1919-1940 в четырех книгах, Книга первая 1919-1921, М., 2016, ст. 5-6; Энциклопедия /Азербайджанская Демократическая Республика (АДР) – (1918-1920). http://www.baku.ru/enc-show.php?id=110064&cmm_id=276

საც. მთავარი პოლიტიკური ძალა - დაშნაკცუთიუნის პარტიის სახით კავკასიაში ყოველგვარი სეპარატისტული ტენდენციების წინააღმდეგ გამოდიოდა და სომხეთის მომავალი „ერთიან და განუყოფელი რუსეთთან მჭიდრო კავშირში წარმოედგინა.[1]

ნოე ჟორდანიას მოგონებების თანახმად, ალექსანდრე ხატისოვს ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლა მიზანშეუწონლად მიუჩნევია, ავეტის აგარონიანი კი მას უფრო გაგებით მოჰკიდებია.[2] ოვანეს კაჩაზნუნის მიხედვით კი, დაშნაკცუთიუნის პარტიას, როგორც ყველაზე გავლენიან ძალას, უნდა გამოეჩინა სითამამე და მიეღო დამოუკიდებლობის გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში დავიღუპებოდით და სომხეთს სამუდამოდ დავკარგავდით.[3]

ალბათ, პოზიციათა ამ შეუთანხმებლობით უნდა აიხსნას, რომ სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხს თავდაპირველად აკლდა სიცხადე და გამჭვირვალობა, რასაც მკაფიოდ გვიჩვენებს ქვემოთ დამოწმებული ფაქტიც: ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტომ 1918 წლის 30 მაისს გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, სომეხთა ეროვნულმა საბჭომ სომხეთის დამოუკიდებლობის გადაწყვეტილება მიიღო. მეორე დღეს სააგენტომ თავისი ინფორმაცია უარყო და მკითხველს ბოდიშიც მოუხადა, რადგან სომეხთა ეროვნული საბჭოსაგან ერთგვარი დეზავუაცია მიუვიდა, რომ „ცნობა არარატის რესპუბლიკის შესახებ სიმართლეს მოკლებულიაო“.[4] ამ „საინფორმაციო ლაფსუსში“ დეპეშათა სააგენტოს ბრალი ნაკლებად მიუძღოდა. მან სომეხთა ეროვნული საბჭოსაგან მიღებულ ცნობა გაავრცელა და სინამდვილესთან მისი შინაარსის შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა. თვით ხსენებულ ცნობათა ბინარული ხასიათი კი სომეხთა ეროვნული საბჭოს ფრთხილი მოქმედებით უნდა ყოფილიყო

1 Асоян Т. М., Территориальные проблемы Республики Армении и британская политика: 1918-1920 гг. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, М., 2005. http://www.dissercat.com/content/territorialnye-problemy-respubliki-armenii-i-britanskaya-politika-1918-1920-gg#ixzz49r1Ex8jY

2 ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 88-89; ასევე, Ставровский А., Закавказье после Октября. М – Л., 1925,

3 Качазнуни О., Дашнакцутюн больше нечего делать, Тифлис, 1923, ст. 28-29.

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 2 ივნისი; ასევე, გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 2 ივნისი.

განპირობებული, რადგან, თუ გაზეთ „მშაკის“ პუბლიცისტის სიტყვებს მოვიშველიებთ, სომხებს იმ ხანად არ ჰყავდათ არც მფარველი, არც დამხმარე და არც ამხანაგი თავიანთ ბრძოლაში.[1]

სომხეთის მომავალზე ასეთი უიმედო შეხედულების მიუხედავად, ნელ-ნელა ოპტიმიზმის საფუძვლებიც იკვეთებოდა. დამოუკიდებლობა ოცნების სფეროდან პრაქტიკულ აუცილებლობად იქცეოდა.[2] ამასთან, 1918 წ. 29 მაისს აზერბაიჯანის ეროვნულმა საბჭომ მიიღო დადგენილება ქ. ერევნის სომხებისათვის დათმობის შესახებ იმ საფუძველზე, რომ „სომხეთის სახელმწიფოს ფორმირებისათვის მათ სჭირდებათ პოლიტიკური ცენტრი, ასეთი კი თურქების მიერ ალექსანდროპოლის დაკავების შემდეგ მხოლოდ ერევანი შეიძლება იყოს“.[3]

საგულისხმო ისიც, რომ გერმანიამ თავის მოკავშირე ოსმალეთს სამხრეთ კავკასიის სიღრმეში ექსპანსიის შეჩერებისაკენ მიუთითა. ოსმალეთი უნდა დაკმაყოფილებულიყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებით და უნდა დაეტოვებინა რეგიონში უკანონოდ დაკავებული ტერიტორიები.[4]

---

1 გაზ. „მშაკი“ (Մշակ), 1918, # 100; ასევე, გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 6 ივნისი.

2 Махмурян Г. Г., Пограничные проблемы Республики Армения и британская политика. Диалог исследователей. Լրաբեր Հասարակական Գիտությունների, № 3. pp. 230-245.

3 Ставровский А., Закавказье после октября, М.-Л. 1925, стр. 49; ასევე, Ализаде З., Азербайджанно-армянские политические отнощения в 1917-1918 годах, Кавказ и глобализация, 2008, т. 2, выпуск 2, ст. 180; ასევე, Балаев А., Азербайджанское национальное движение в 1917-1918 гг., Баку, 1998, ст. 106. ერევნის გადაცემის იდეას აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოში მოწინააღმდეგენიც ყავდა, მაგრამ გადწყვეტილება უმრავლესობამ მიიღო. იხ. Гасанлы Дж., Русская революция и Азербайджан: Трудный путь к независимости (1917-1920), М. 2011, ст. 169-170. ამ ფაქტის გამო ფ. ხან ხოისკი აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს მ. გაჯინსკის წერდა: „სომხებთან ჩვენ დავასრულეთ ყველა დავა, ისინი მიიღებენ ულტიმატუმს და ბოლოს მოუღებენ ომს. ჩვენ დავუთმეთ მათ ერევანი“, Азербайджанская Демократическая Республика. Внешняя политика (Документы и материалы), Баку, 1998, ст. 10.

4 Mühlmann C., Das deutsch-türkischeWaffenbündnis in Weltkriege, Leipzig, 1940, s. 201; ასევე, მამულია გ., კავკასია და ოთხთა კავშირი 1918 წელს: გაერთიანების ელიტარული მცდელობები, ჟურნ. „ისტორიის რეკონსტრუქციები“, 2015, # 1, გვ. 60. ენვერ ფაშა აცხადებდა, რომ ოსმალეთი არ იქნებოდა სომხეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი, თუ სომხები შეწყვეტდნენ ანტანტის სასარგებლო ანტითურქულ ინტრიგებს. იხ. Гасанлы Дж., Русская революция и

რაც შეეხება საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს, ეროვნულ-დემოკრატები იმთავითვე საქართველოს თავისუფლების იდეას იზიარებდნენ, სოციალისტ-ფედერალისტური პარტია ავტონომიისა და იმპერიის ფარგლებში ფედერაციული პრინციპით გაერთიანებას ამჯობინებდა, ხოლო სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობა რუსეთის დემოკრატიული გარდაქმნისათვის იბრძოდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და განსაკუთრებით იმავე წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ამ პოლიტიკურმა ძალებმა კონსენსუსის მიღწევა შეძლეს და კურსი საქართველოს ავტონომია-დამოუკიდებლობისაკენ აიღეს.

აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკათა თბილისში ჩამოყალიბების ცნობა საქართველოს პოლიტიკურ წრეებს დიდი ხალისით არ მიუღიათ. მიიჩნევდნენ, რომ ამით ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი იზღუდებოდა, თუმცა უკმაყოფილება ოფიციალურად არ გამოუხატავთ.[1] ერთი კია, - ისინი შიშობდნენ, რომ მეზობელ ერთა მთავრობებს აქ დიდხანს მოუწევდათ დარჩენა, რადგან ბაქოს იმ დროისათვის ჯერ კიდევ ბოლშევიკები აკონტროლებდნენ, ხოლო ერევანს ოსმალეთის ჯარების შემოჭრის საფრთხე ემუქრებოდა. შიშის განწყობას აძლიერებდა ის გარემოებაც, რომ თბილისში მრავალრიცხოვანი სომხური მოსახლეობა ცხოვრობდა, ამასთან, სომხეთისა და აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს მიმართ უკვე გაცხადებული იყო ტერიტორიული პრეტენზიებიც.

პოლიტიკოსებზე მეტად აქტიურობდა ქართული მედია. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს, გაზეთ „საქართველოს“ მოწინავეში ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს დედაქალაქში რამდენიმე სხვა

Азербайджан: Трудный путь к независимости (1917-1920), М. 2011, ст. 140. „მიიღეთ ყოველი ზომა, რომ სომხებმა არ იომონ და მაშინ გერმანელები არ მისცემენ თურქებს ნებას, ამოჟლიტონ ისინი, ამის გარანტიას აქაც მივიღებთ“, - წერდა ბათუმის საზავო კონფერენციაზე მყოფი აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს 1918 წ. 21 მაისს. იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწ. 2, საქმ. 23, ფურც. 5-8.

1 „ხმები დადის, რომ შესდგა ადერბეიჯანის მთავრობა, რომლის სათავეში სდგას ხან ხოისკი. მთავრობას განზრახული აქვს თავის რეზიდენციად ტფილისი ამოირჩიოს“, - ასეთი ინფორმაცია გაავრცელა გაზეთმა „სახალხო საქმემ“, 1918 წ. 29 მაისს.

ერის სუვერენული ორგანიზაციის, კერძოდ აზერბაიჯანის მთავრობისა და სომეხთა ეროვნული საბჭოს არსებობა ქართველი ერის სუვერენულ უფლებათა თვალსაზრისით მეტად გაურკვეველ მდგომარეობას ქმნის.[1]

„არც აზერბაიჯანის მთავრობა და არც სომეხთა ეროვნული საბჭო, რომელმაც თავი არარატის რესპუბლიკის მთავრობათ გამოაცხადა, თბილისიდან არ გასულან. ეს კი შეუწყნარებელია და ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას უხერხულ მდგომარეობაში აგდებს“, - მიუთითებდა სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ერთობა“ იმ დღეებში და აგრძელებდა: „საქართველოს ტერიტორიაზე მუსულმანთა და სომეხთა მთავრობებს უნდათ თავისი დროშა ააფრიალონ. ამას ჩვენ ვეწინააღმდეგებით“. „ჩვენ ვერ მოვითმენთ, რომ თუნდაც ერთი წუთი იმყოფებოდეს ჩვენს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს მთავრობა. ამისთვის არავითარი გასამართლებელი საბუთი, არავითარი მიზეზი არ შეიძლება არსებობდეს. ...რესპუბლიკის დროებითმა მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა გადასგას საჭირო ნაბიჯი და საქართველოს უზენაესობა დაიცვას“.[2] „სრულიად სამართლიანია გაზეთის მოთხოვნა და ამ საქმეში დაყოვნება შეუძლებელია“, - დასძენდა მეორე პერიოდული გამოცემა.[3]

აქვე აუცილებელია ითქვას, რომ იბეჭდებოდა ლოიალური და მხარდამჭერი ხასიათის პუბლიკაციებიც. მაგალითად, ერთ-ერთ სტატიაში ნათქვამი იყო: „ჩვენ არ ვიქნებით ღირსი თავისუფლების, თუ სხვის ტკივილებს ვერ ვიგრძნობთ. ...ჩვენი ვალია, არა მარტო დემოკრატიული, არამედ უბრალო ადამიანური, ნამდვილი ძმური ხელი გავუწოდოთ მეზობელ ერებს და მივიღოთ ყოველი ზომები შევამსუბუქოთ მათი მდგომარეობა“.[4]

ასეთი იყო პრესის დამოკიდებულება, მაგრამ უცნობი რჩებოდა ხელისუფლების პოზიცია. სწორედ ამიტომ საქართველოს ეროვნული საბჭოს სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციამ 1918 წლის 29 მაისს ოფიციალური შეკითხვით მიმართა მთავრობას და ამ საკითხზე განმარტება მოითხოვა.

---

1 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 2 ივნისი.

2 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 6 ივნისი; 1 ივნისი.

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 2 ივნისი.

4 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 28 მაისი.

სოციალისტ-ფედერალისტთა შეკითხვაში აღნიშნული იყო: „მართალია თუ არა, თბილისში გავრცელებული ხმები, რომ თითქოს ადერბეიჯანმა გადასწყვიტა თავის დამოუკიდებლობა აქ, ტფილისში, გამოაცხადოს და მოქმედებაც აქვე დაიწყოს?“ ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გრიგოლ რცხილაძემ ეროვნული საბჭოს სხდომაზე განაცხადა: „აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას ჩვენ სრული კმაყოფილებით შევხვდებით, მაგრამ ერთ და იმავე ტერიტორიაზე ორი ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი მთავრობის მოქმედება ყოვლად წარმოუდგენელია. ეს შეუძლებელია თეორიულად და პრაქტიკულადაც დიდ უხერხულ შედეგებს იწვევს. ამიტომაც ჩვენ ვეკითხებით მთავრობას: მართალია ეს ხმები თუ არა, და თუ მართალია, რა ღონისძიება აქვს მიღებული ან განზრახული მთავრობას?“[1]

დეპუტატებს საქართველოს მთავრობის სახელით პასუხი გასცა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, თავდაცვის მინისტრმა გრიგოლ გიორგაძემ. პასუხი ამგვარი შინაარსისაა: „ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ადგილობრივმა ეროვნულმა საბჭომ ადერბეიჯანისა, მხოლოდ აქტი ადერბეიჯანის დამოუკიდებლობისა გამოცხადდება განჯაში და არა ტფილისში. მაგრამ, რადგან განჯაში რადიოსადგური არ არის, ამიტომ ითხოვეს უცხო სახელმწიფოებს ეს აქტი ტფილისის რადიოსადგურიდან ეცნობოსო“.

საგაზეთო ცნობით, „შემკითხველი ფრაქცია ასეთი განმარტებით დაკმაყოფილდა.“

გრიგოლ გიორგაძეს შეკითხვის პასუხად აღუნიშნავს, რომ აზერბაიჯანის სატახტო ქალაქი იქნება განჯა და არა თბილისი. მინისტრს ასევე უთქვამს: „თუ ვინმემ მოინდომა ჩვენი სუვერენიტეტის შელახვა, მთავრობა ყოველივე ზომებს მიიღებს რესპუბლიკის დასაცავად.“[2]

რასაც გრიგოლ გიორგაძე ამბობდა, სრული სიმართლე იყო. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ფატალი ხან ხოისკის ხელმოწერით 30 მაისს გავრცელებულ მიმართვაში მსოფლიოს სახელმწიფოთა მეთაურებისადმი მართლაც ასე ეწერა: „Так как Федеративная Закавказская Республика раздроблена была отделением от нее Грузии, Национальный Азербайджанский Совет объявил 28 [-го]

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 31 მაისი.

2 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 31 მაისი.

текущего месяца независимость Азербайджана, состоящего из Восточного и Южного Закавказья, и провозгласил Азербайджанскую Республику. Временное пребывание моего правительства будет в Елизаветполе."[1]

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელისუფლება თბილისში 1918 წლის 16 ივნისამდე საქმიანობდა, ვიდრე ჯერ განჯაში[2], იქიდან კი ბაქოში გადავიდოდა (1918 წ. 17 სექტემბერი).[3]

უფრო დიდხანს მოუხდა საქართველოს დედაქალაქში დარჩენა სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც აქედან მხოლოდ 1918 წლის 19 ივლისს გაემგზავრა და ბინა ერევანში დაიდო.[4]

სომხეთის რესპუბლიკაშიც მოკლე დროის განმავლობაში რამდენიმეჯერ შეიცვალა მთავრობის თავმჯდომარეცა და პარლამენტის ხელმძღვანელობაც. თავდაპირველად, რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ოჰანეს კაჩაზნუნი (1918 წ. 6 ივნისი - 1919 წ. 7 აგვისტო), შემდეგ ალექსანდრე ხატისოვი (1919 წ. 7 აგვისტო - 1920 წ. 5 მაისი), რომელიც ამაზასპ ოგანჯანიანმა შეცვალა (1920 წ. 5 მაისი - 1920 წ. 23 ნოემბერი) და ბოლოს სიმონ ვრაციანი (1920 წ. 24

1 Азербайджанская Демократическая Республика. Внешняя политика (Документы и материалы), Баку, 1998, ст. 11.

2 ელიზავეტოპოლს მისი ძველი სახელწოდება - განჯა აღუდგინეს. აზერბაიჯანელი მკვლევარი ჯ. გასანლი მიიჩნევს, რომ არსებულ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებისათვის სასურველი იყო თავის ტერიტორიაზე არ გაეტარებინა განჯისკენ მიმავალი ოსმალეთის არმიის ნაწილები, მაგრამ ნური ფაშას ჯარმა გაფანტა ქართულ-გერმანული სამხედრო შენაერთი. ამის გამო საქართველოს მთავრობამ აზერბაიჯანის მთავრობასა და ეროვნულ საბჭოს თბილისის დატოვება მოსთხოვა. იხ. Гасанлы Дж., Русская революция и Азербайджан: Трудный путь к независимости (1917-1920), М., 2011, ст. 177-178. ქართულ წყაროებში - პერიოდული პრესა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საარქივო ფონდები - ასეთი ულტიმატუმის დამადასტურებელი დოკუმენტი არ იძებნება. არ დასტურდება ასევე, ქართულ-გერმანული საბრძოლო დანაყოფის მარცხი კავკასიის ისლამურ არმიასთან, რომელიც ოსმალეთის რეგულარული ჯარისა და აზერბაიჯანელი მოხალისეებისაგან შედგებოდა და ნური ფაშა სარდლობდა.

3 Векилов Р.А. История возникновения Азербайджанской Республики, Баку, 1998, ст. 18, 22.

4 სამშობლოში მიმავალი კოლეგები საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენლებს სადგურიდან არ გაუცილებიათ. ს. ვრაციანის თანახმად, საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას სომხეთის მთავრობის წევრები საგულდაგულოდ გაუჩხრეკიათ კიდეც. Мархулия Г., Армяно-грузинские взаимоотношения в 1918-1920 годах , Тб., 2007, ст. 7-8.

ნოემბერი-1920 წ. 2 დეკემბერი). პარლამენტს კი თავმჯდომარეობდნენ: არშაკ ისააკიანი (1918 წ. 1 აგვისტო - 1919 წ. 1 აგვისტო), ავეტის აგარონიანი (1919 წ. 1 აგვისტო - 1920 წ. 4 ნოემბერი) და ოჰანეს კაჩაზნუნი (1920 წ. 4 ნოემბერი - 1920 წ. 2 დეკემბერი).[1]

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას 1918 წლის 26 მაისიდან ნოე რამიშვილი თავმჯდომარეობდა, რომლის ადგილი იმავე წლის 24 ივნისიდან ნოე ჟორდანიამ დაიკავა. საქართველოს პარლამენტს კარლო ჩხეიძე ხელმძღვანელობდა. 1919 წლის თებერვალში ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამარჯვების შედეგად ორივე მათგანმა თანამდებობა შეინარჩუნა: მინისტრთა კაბინეტს კვლავ ნ. ჟორდანია უძღვებოდა, კ. ჩხეიძე კი დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ აირჩიეს.

ახლად წარმოშობილი სამხრეთკავკასიური სახელმწიფოებისათვის თითქმის ერთნაირად დამახასიათებელი იყო ეროვნული სახელმწიფოებრიობის სუსტი ტრადიცია, მოსახლეობის უმრავლესობაში პოლიტიკური კულტურისა და მოქალაქეობრივი შეგნების დაბალი დონე, მაგრამ ყველა მათგანში არსებობდა პოლიტიკური ელიტა გავლენიანი პოლიტიკური პარტიების სახით, რომლებმაც თავიანთი ქვეყნების მომავალზე პასუხისმგებლობა იკისრეს. ნიშანდობლივია, რომ ამ პოლიტიკურმა ელიტებმა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პერსპექტივა მათ დემოკრატიულ განვითარებას დაუკავშირეს. ნათქვამის დასტური იქნება თუ გავიხსენებთ, რომ: სამივე რესპუბლიკის პირველი მთავრობები კოალიციური პრინციპით დაკომპლექტდა; სამივე რესპუბლიკაში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოები საყოველთაო არჩევნების გზით ჩამოყალიბდა; პარლამენტების შემადგენლობა მრავალპარტიული, ხოლო ხელისუფლების შტოები გამიჯნული იყო. საგულისხმოა ისიც, რომ სამივეგან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, რომელიც ფართოდ იყო დეკლარირებული და მეტ-ნაკლებად დაცული (მაგალითად, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები დასაქმებულნი იყვნენ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში და შედიოდნენ პარლამენტებში).

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მესვეურთა წინაშე ერთნაირი გამოწვევები და პრობლემები იდგა. თი-

1 http://www.parliament.am/parliament.php?id=parliament&lang=rus

თოეულ მათგანს უნდა გადაეჭრა ეროვნული (სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია, თავდაცვითი ღონისძიებანი, აგრარული რეფორმა, კულტურული განვითარება), რეგიონალური (მეზობლებთან საზღვრების გარკვევა, საერთო ფრონტის ორგანიზება გარე აგრესიის შემთხვევაში)[1] და საერთაშორისო ამოცანები (დამოუკიდებლობის როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული აღიარება, ძლიერი მოკავშირის ძიება, ერთა ლიგაში შესვლა).

თუ თვალს გავადევნებთ ამ რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესს, აღმოვაჩენთ, რომ სამივეგან თანმიმდევრულად განხორციელდა სკოლის, სასამართლოსა და სახელმწიფო სტრუქტურების გაეროვნულება, მიიღეს კანონები მშობლიური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ, კანონი მოქალაქეობის შესახებ და სხვ. განსხვავებით სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან, სადაც ვერ მოესწრო კონსტიტუციების შემუშავება, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეძლო შეედგინა და დაემტკიცებინა სახელმწიფოს ძირითადი კანონი (1921 წლის 21 თებერვალი), რომელიც გამორჩეული იყო თავის დემოკრატიული ხასიათით.

თავდაპირველად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მიმოქცევაში დაეტოვებინათ მოქმედი ამიერკავკასიის ბონები და მთავრობათა ურთიერთშეთანხმებით, განეგრძოთ მისი ემისია. ამიერკავკასიის ბონების გამოშვება 1919 წლის ზაფხულამდე გაგრძელდა. 1919 წლის ივლისში საქართველოში შემოღებულ იქნა დროებითი გადახდის საშუალება - ქართული ბონი. სომხეთის რესპუბლიკაში შემოიღეს სომხური მანეთი, ხოლო აზერბაიჯანში აზერბაიჯანული მანათი.

ერთმანეთის სუვერენიტეტი სხვებზე ადრე საქართველომ და აზერბაიჯანმა სცნეს. საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენლად აზერბაიჯანში ნიკოლოზ ქარცივაძე გაიგზავნა[2] (ამ პოსტზე იგი ჯერ გერასიმე მახარაძემ, შემდეგ კი გრიგოლ ალშიბაიამ შეცვალეს). აღ-

1 აღსანიშნავია, რომ საგარეო საფრთხე პირველ ხანებში განსაკუთრებული სიმწვავით დაემუქრა აზერბაიჯანის რესპუბლიკას, რაც განპირობებული იყო დიდ სახელმწიფოთა მისწრაფებით, გაეკონტროლებინათ ბაქოს ნავთობი. იხ. Azerbaijan Democratic Republic the First Parliamentary Republicin the East (May, 1918 -April, 1920) http://www.azerbaijan.az/_History/_Middle/_middle_e.html?middle_03

2 Документы и материалы по внешней политике Закаыказья и Грузии, Тифлис, 1919, стр. 96.

სანიშნავია, რომ თავისი პირველი დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანის რესპუბლიკამ საქართველოში დანიშნა მამედ ჯაფაროვის სახით.[1]

1919 წლის 8 მარტს საქართველომ სომხეთის რესპუბლიკა დე იურედ აღიარა. იმავე წლის 24 მარტს სომხეთმაც იურიდიულად ცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საქართველოს სრულუფლებინი წარმომადგენლის როლს სომხეთში სვიმონ მდივანი ასრულებდა, სომხეთის დიპლომატიურ კორპუსს კი საქართველოში სათავეში ა. ჯამალიანი ედგა.[2]

მეზობელი რესპუბლიკების პოლიტიკურ ურთიერთობაში სრულად იყო დაცული დიპლომატიური ეტიკეტი. მთავრობები და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოები თითოეული ერის სახელმწიფოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით მისასალმებელ ადრესებს, მილოცვის დეპეშებს უგზავნიდნენ ერთმანეთს და სხვ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დეკლარაციაში, რომელიც პრემიერმა ნოე რამიშვილმა ეროვნულ საბჭოს 1918 წლის 16 ივნისს წარუდგინა, ხაზგასმული იყო, რომ მთავრობა გააგრძელებს მშვიდობიან, კეთილმეზობლურ ურთიერთობებს კავკასიის რესპუბლიკებთან და ერებთან და რომ, დიპლომატიური გზებით უზრუნველყოფს ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვას. ასეთივე პათოსით იყო გამსჭვალული სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობების მეთაურთა განცხადებებიც, რომლებშიც აქცენტი მუდამ მეზობელთა შორის სოლიდარობის აუცილებლობაზე კეთდებოდა, თუმცა პრაქტიკულად, ურთიერთშორის ხშირი იყო დავა და საომარი კონფლიქტებიც კი ტერიტორიებისა და საზღვრების გამო. სწორედ ეს ურთიერთშეუთანხმებლობა და ვერშემდგარი ერთობა იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც დააჩქარა და განაპირობა კიდეც სამივე სამხრეთ კავკასიური რესპუბლიკის საერთო ტრაგიკული ხვედრი.

---

1 Азербайджанская Демократическая Республика. Внешняя политика. (Документы и материалы), Баку, 1998, ст. 5

2 Asatiani N., Janelidze O., History of Georgia, Tbilisi, 2009, p. 320.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კავკასიური პოლიტიკა 1918-1921 წლებში

1918 წელი სანიშანსვეტო თარიღია კავკასიის ხალხების ისტორიაში. რუსეთის იმპერიის ყოფილ განაპირა, კოლონიურ მხარეში ამ წელს, ჯერ კიდევ მსოფლიო ომის მიმდინარეობის პერიოდში, ოთხი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული აღმოცენდა. მათგან ერთი ჩრდილოეთ კავკასიაში დაარსდა მთიელთა რესპუბლიკის სახელწოდებით, ხოლო სამი სახელმწიფო - საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების სახით სამხრეთ კავკასიაში ჩამოყალიბდა. ამათ შორის ყველაზე დიდხანს საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გასძლო, მიუხედავად იმისა, რომ მისი არსებობისა და დაცემის მთელი ისტორია სულ რაღაც სამმა წელმა დაიტია.

ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს მესვეურები საგარეოპოლიტიკურ სფეროში ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობიან და კეთილმეზობლურ თანამშრომლობას, კავკასიის ეკონომიკურ და სამხედრო-თავდაცვით შეკავშირებას ისახავდნენ.

კავკასიურ სახელმწიფოთა ურთიერთობის ხასიათზე საგარეო ფაქტორების გარდა (მსოფლიო ომი და მისგან გამომდინარე შედეგები), სერიოზულ გავლენას ახდენდა რუსეთის კოლონიური მემკვიდრეობიდან შემორჩენილი ტერიტორიებისა და საზღვრების გაუმიჯნაობა.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის ისტორიულ მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა, იგი მეზობელთა მხრიდან უსაფუძვლო ტერიტორიულ პრეტენზიებს მაინც ვერ ასცდა.

საზღვრების გამიჯვნას აზერბაიჯანის ხელისუფლება რელიგიური პრინციპით უდგებოდა და საქართველოს ზაქათალის ოლქს, ასევე მუსლიმებით დასახლებულ ბორჩალოსა და ახალციხის მაზრების ნაწილს ეცილებოდა. სომხეთის მმართველი წრეები ტერიტორიების გაყოფას ეთნიკური და რეალური მოსახლეობის პრინციპით მოითხოვდნენ. ისინი ჩვენს ქვეყანას ლორე-ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გამო ედავებოდნენ და პრეტენზია თბილის-

ზე, გორზე, ბათუმსა და ბათუმის ოლქზეც ჰქონდათ.[1] რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელებს, მათ თვალი აფხაზეთსა და შიდა ქართლის ოსებით დასახლებული მიწა-წყლის ნაწილზე ეჭირათ.

თავის მხრივ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სახელმწიფო საზღვრების დადგენას ისტორიული, ეკონომიკური, სტრატეგიული და სხვ. პარამეტრებით მიუდგა, მაგრამ მის განხორციელებაში დიდ წინააღმდეგობას წააწყდა.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე აზერბაიჯანმა ზაქათალის ტერიტორია სამხედრო ძალით დაიკავა და მთელ ოლქზე საკუთარი იურისდიქცია გაავრცელა.[2] საქართველოს მთავრობის პროტესტს რეალური შედეგი არ მოჰყოლია, საინგილო ფაქტობრივად აზერბაიჯანის ხელში რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ რესპუბლიკის ხელისუფლება საჯაროდ აცხადებდა: „ჩვენსა და საქართველოს შორის ურთიერთობა სავსებით მეგობრულია. არც ერთი მხრიდან არ არსებობს არავითარი უკმაყოფილება. სადავო საკითხები წყდება მშვიდობიანი გზით, ურთიერთნდობის საფუძველზე.“[3]

სომხეთის პოლიტიკურმა ხელისუფლებამაც თავისი მისწრაფების განხორციელება ლორეს მაზრაში 1918 წლის ოქტომბერში ძალის პოზიციიდან მოსინჯა. ქართული მხარის დიდ წინააღმდეგობის გამო დაშნაკებმა იმხანად უკან დაიხიეს, თუმცა აგრესიულ გეგმებზე ხელი არ აუღიათ და იმავე წლის ბოლოს საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედება წამოიწყეს.

1918 წლის 9 დეკემბერს სომხეთის რეგულარული შენაერთები ბორჩალოში შეიჭრნენ, რამდენიმე დღეში მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებს დაეუფლნენ და იერიში ახალქალაქის მაზრის სოფლებზეც მიიტანეს.

ინტერნაციონალიზმის ერთგულ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას ვერ წარმოედგინა, რომ „მოძმე“ სომხეთი საქართველოსთან ომს გააჩაღებდა, მაგრამ როცა სომხეთის მთავრობამ მას ტერიტორიის დაცლა თბილისის ჩათვლით ულტიმატუ-

1 Армянский вопрос. Энциклопедия, Ереван, 1991, ст. 275-280.

2 ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 131.

3 Азербайджанская республика. Документы и материалы 1918-1920 гг., Баку, 1998, ст. 96.

მის ფორმით ოფიციალურად მოსთხოვა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა.

საქართველომ 18 დეკემბერს მობილიზაცია გამოაცხადა და სახალხო გვარდიისა და ჯარის ნაწილები ფრონტის ხაზისკენ დაძრა. საბრძოლო ოპერაციებს ხელმძღვანელობდნენ გენერლები გიორგი მაზნიაშვილი, სტეფანე ახმეტელაშვილი, ბალო მაყაშვილი და სხვ. მალე ფრონტზე ქართველთა უპირატესობა გამოიკვეთა. შულავერთან გადამწყვეტ ბრძოლაში მოწინააღმდეგემ მიატოვა პოზიციები და უკან დაიხია.[1]

კავკასიაში მყოფმა მოკავშირეთა არმიის სარდლობამ მედიატორობა იკისრა. მასი შუამავლობით, 1918 წლის 31 დეკემბერს საომარი მოქმედებები შეწყვეტილ იქნა. ომი დამთავრდა, მაგრამ იარაღმა ვერ გადაჭრა მეზობელ სახელმწიფოთა წინააღმდეგობანი. მოგვიანებით სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. ქაჩაზნუნი აღნიშნავდა: „ომმა დაგვაფიქრა ბევრ რამეზე. ... ვიბრძოდით იმ მეზობელთან, რომელთანაც ყველაზე მჭიდრო კონტაქტი უნდა გვქონოდა. ჩვენ ხომ საქართველოს მეშვეობით ვუკავშირდებოდით გარე სამყაროს. ჩვენ ამას ვგრძნობდით და გულწრფელად გვსურდა ქართველებთან მეგობრულად ცხოვრება, მაგრამ ვერ შევძელით. ამაში გარკვეული როლი საქართველოს მთავრობის პოზიციასთან ერთად, ითამაშა ჩვენმა უძლურებამ, ჩვენმა პოლიტიკურმა განუვითარებლობამ და სახელმწიფოებრივი მართვის უუნარობამ.“[2]

აღსანიშნავია, რომ სომხეთს რთული და დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა აზერბაიჯანის რესპუბლიკასთანაც. მიუხედავად ამგვარი დაპირისპირებისა, გეოსტრატეგიული ინტერესები, სამეურნეო და ეკონომიკური საჭიროებანი კავკასიურ სახელმწიფოებს ურთიერთდაახლოებისა და პარტნიორობისაკენ უბიძგებდა. ბაქოს ნავთობი საქართველოსთვის შეუცვლელი იყო, აზერბაიჯანისთვის კი საქართველო დასავლურ სამყაროსთან დამაკავშირებელ უმოკლეს გზას წარმოადგენდა. საქართველოს სარკინიგზო, საზღვაო და სხვა კომუნიკაციები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე სომხეთისა

1 ჩაჩხიანი ა., დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბ., 2007, გვ. 397–398.

2 Качазнун О., Дашнакцутюн больше нечего делать, Тифлис, 1923 г. ст. 24.

და მთიელთა რესპუბლიკებისათვის.

ამ გარემოებებს ყველა ქვეყანაში მეტნაკლები ანგარიში ეწეოდა, რაც თავდაპირველად მათ შორის დიპლომატიური კავშირების დამყარებით გამოიხატა. ერთმანეთის სუვერენიტეტი სხვებზე ადრე საქართველომ და აზერბაიჯანმა ცნეს. საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენლად აზერბაიჯანში ნ. ქარცივაძე დაინიშნა (ამ პოსტზე იგი ჯერ გ. მახარაძემ, შემდეგ კი გ. ალშიბაიამ შეცვალა), ხოლო აზერბაიჯანის დიპლომატიური მისია თბილისში მ. ჯაფაროვს ჰქონდა მინდობილი.

1919 წლის 8 მარტს საქართველომ სომხეთის რესპუბლიკა დე იურედ აღიარა. იმავე წლის 24 მარტს სომხეთმაც იურიდიულად ცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ჩვენი ქვეყნის სრულუფლებინი წარმომადგენლის როლს სომხეთში ს. მდივანი ასრულებდა, სომხეთის დიპლომატიურ კორპუსს კი საქართველოში სათავეში ა. ჯამალიანი ედგა. მეზობელი რესპუბლიკების პოლიტიკურ ურთიერთობაში სრულად იყო დაცული დიპლომატიური ეტიკეტი. მთავრობები და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოები თითოეული ერის სახელმწიფოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით მისასალმებელ ადრესებს, მილოცვის დეპეშებს უგზავნიდნენ ერთმანეთს და სხვა.[1]

1918 წლის დეკემბერში დაიდო ხელშეკრულება, რომელიც აზერბაჯანსა და საქართველოს შორის თავისუფალ - უბაჟო ტრანზიტს აწესებდა, 1920 წელს გაფორმებული შეთანხმება კი მათ შორის საქონლის ურთიერთგაცვლის პროცედურათა გამარტივებას ითვალისწინებდა.

1919 წლის 3 ნოემბერს საქართველოსა და სომხეთს შორის თბილისში ორი ხელშეკრულება გაფორმდა. პირველი დოკუმენტი მხარეებს ყველა სადაო საკითხის ურთიერთშეთანხმებით ან არბიტრაჟის მეშვეობით გადაწყვეტას ავალდებულებდა, ხოლო მეორე მეზობელ რესპუბლიკებს შორის სამი წლის ვადით თავისუფალ ტრანზიტს ითვალისწინებდა. ორივე ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა, როგორც საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, ისე სომხეთის ხორვუდში (პარლამენტში).

1 საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 14 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 30-31.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სომხეთ-აზერბაიჯანსა და მთიელთა რესპუბლიკასთან მჭიდრო თანამშრომლობის, კავკასიის ეკონომიკური და სამხედრო-თავდაცვითი შეკავშირების კურსს ახორციელებდა. „კავკასიური ერთობის“ აუცილებლობას აზერბაიჯანის სახელისუფლო წრეებიც კარგად აცნობიერებდნენ. ამის შედეგი იყო ის, რომ აზერბაიჯანისა და საქართველოს ურთიერთობა თავდაცვის სფეროში 1919 წლის ივნისში ამ სახელმწიფოთა სამხედრო ხელშეკრულებით დაგვირგვინდა.[1]

ხელშეკრულების მოქმედების ვადად 3 წელი განისაზღვრა. ხელმომწერი მხარეები საგარეო საფრთხისა და აგრესიის შემთხვევაში თავიანთი შეიარაღებული ძალებით ერთად უნდა გამოსულიყვნენ ორივე რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ან ტერიტორიული ხელშეუხებლობის დასაცავად.

ხელშეკრულების სპეციალური პუნქტი თავდაცვით კავშირთან შესაერთებლად ადგილს სომხეთისთვისაც ტოვებდა, მაგრამ არარატის რესპუბლიკა ამ ალიანსს არ შეერთებია.

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, 1919 და 1920 წ.წ. აპრილში ორჯერ მოწვეულ იქნა კავკასიურ რესპუბლიკათა კონფერენცია. ტერიტორიულ პრობლემათა გარდა, განიხილებოდა ეკონომიკური, საგარეო პოლიტიკაში შეთანხმებული მოქმედების საკითხები და სხვ. აღსანიშნავია, რომ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარგზავნილი კავკასიურ სახელმწიფოთა ოფიციალური დელეგაციები პოულობდნენ საერთო ენას, ახერხებდნენ კონსტრუქციულ თანამშრომლობას, აქვეყნებდნენ ერთობლივ მიმართვებს, განცხადებებსა და სხვა დოკუმენტებს.[2]

1919 წლის 9-17 იანვარს თბილისში გაიმართა სომხეთ-საქართველოს კონფერენცია, რომლის მუშაობაში მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. მიღწეული შეთანხმებით, ბორჩალოს მაზრის სადავო ტერიტორია ლორეს ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა და დადგინდა მისი საზღვრები. საკითხის საბოლოო გადა-

1 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. #96, ფურც. 2.

2 ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ. 246-247.

წყვეტამდე, აქ მორიგეობით ქართული და სომხური ჯარი უნდა მდგარიყო. საქართველოსა და სომხეთის მეორე კონფერენციაზე (1919 წლის 28 თებერვალი - 3 მარტი), ასევე მოკავშირეთა მონაწილეობით, მხარეთა შორის მოწესრიგდა საგარეო ვაჭრობის, მოქალაქეთა მიმოსვლის, საკომუნიკაციო კავშირების აღდგენისა და სხვ. საკითხები. საქართველოს მთავრობის შუამდგომლობით, 1919 წლის 23 ნოემბერს თბილისში სომხეთ-აზერბაიჯანის მოლაპარაკებაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება სადავო საკითხების არბიტრაჟით გადაწყვეტის შესახებ, თუმცა ამ ქვეყნებს შორის მალე ახალმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი, რომელიც სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა.[1] რაც შეეხება საზღვრების პრობლემას, იგი კვლავ ღიად დარჩა, იმ იმედით, რომ მას პარიზის სამშვიდობო კონფერენცია გადაწყვეტდა.

სომხეთი არ კმაყოფილდებოდა მისთვის აღთქმული გარანტიით, დათმობოდა გასასვლელი შავ ზღვაზე. იგი ხან სომხეთ-საქართველოს საზღვრის მდინარე ჭოროხზე გავლებასა და ბათუმის ნავსადგურის ნაწილს, ხანაც ბათუმთან დამაკავშირებელი მომავალი სარკინიგზო ზოლის ექსტერიტორიულობასა და სრულ საკუთრებაში აღიარებას მოითხოვდა. ქართული მხარე ამის წინააღმდეგ გამოვიდა და შეთანხმებაც ვერ მოხერხდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მთიელთა რესპუბლიკას, რომელიც რუსეთს საქართველოს შორის ერთგვარი ბუფერის როლს ასრულებდა. საქართველო ეხმარებოდა ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებს როგორც დენიკინის, ისე ბოლშევიკური აგრესიის მოგერიებაში. 1919 წლის აგვისტოში, მთიელთა მთავრობის ოფიციალური თხოვნის საფუძველზე, თბილისიდან ჩეჩნეთ-დაღესტანში საექსპედიციო შენაერთიც გაიგზავნა გენერალ ლეო კერესელიძის მეთაურობით,[2] მაგრამ მთიელთა სახელმწიფომ დამოუკიდებლობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა. დამხობილი რესპუბლიკის მთავრობამ თავშესაფარი თბილისში ჰპოვა.

1 История Азербайджана, Баку, 1995 г. ст. 372.

2 ბახტაძე მ., მამულია გ., მასალები საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2005, გვ. 47-50; ასევე, ჟურნ. „თანამემამულე“, ლონდონი, 2007, # 3 (24), გვ. 14-16.

1918-1919 წლებში რამდენჯერმე დაისვა საკითხი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის გაერთიანების შესახებ. მაღალი ქედით გაყოფილი კავკასიის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილების ერთ პოლიტიკურ ერთეულად შეკავშირება ახლად წარმოშობილი ქართული სახელმწიფოს ძალებს აშკარად აღემატებოდა. სამოქალაქო ომითა და ქაოსით მოცულ ჩრდილოეთ კავკასიაზე რომ არაფერი ითქვას, რომლის დათმობას არც საბჭოთა და არც მისი მოწინააღმდეგე თეთრგვარდიული რუსეთი აპირებდა, საეჭვო იყო თვით სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ერთობის სიმტკიცეც. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო ორიენტაციები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებოდა. პირველი კურსს გერმანიაზე იღებდა, მეორე ანგლოფილურად იყო განწყობილი, ხოლო მესამის ფავორიტს ოსმალეთი წარმოადგენდა. ნაკლებად თავსებადი იყო ასევე ამ რეგიონის ძირითადი პოლიტიკური ელიტების - ქართული სოციალ-დემოკრატიის კოსმოპოლიტური, სომხური დაშნაკცუტიუნის ნაციონალისტური და აზერბაიჯანული მუსავატის მუსულმანური იდეოლოგიები. გაერთიანება, თუნდაც ეს ყველა ადგილობრივ ერთა და ეთნოსთა სურვილი ყოფილიყო, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი თუ მისი გარანტი დიდ სახელმწიფოთა კავშირი ან ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია გახდებოდა, როგორიც იყო 1920 წელს ჩამოყალიბებული ერთა ლიგა. სხვა შემთხვევაში ამ პროექტს განხორციელება არ ეწერა.

კავკასიურ რესპუბლიკათა გეოსტრატეგიული ინტერესების შეუთავსებლობის, არასტაბილური ვითარების, რეგიონში გავლენისათვის დიდ სახელმწიფოთა ურთიერთჭიდილისა და სხვ. გამო, 1918-1921 წლებში „კავკასიური ერთობა“ ვერ შედგა, თუმცა მისი იდეა არ ჩამკვდარა. მას შემდეგ, რაც ეს რეგიონი საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო და გაასაბჭოვა, მხარის დამხობილი რესპუბლიკების პოლიტიკურმა ლიდერებმა გაერთიანების აზრი საზღვარგარეთ გააცოცხლეს. მომზადდა სამხრეთ კავკასიის კონფედერაციული მოწყობის პროექტი და სხვ, მაგრამ მას განხორციელება აღარ ეწერა.

„ნატეხი ერები“ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

საქართველო უპირველესად ქართველების სამშობლოა. მაგრამ დედამიწის ზურგზე არ არსებულა წმინდა მონოეთნიკური სახელმწიფო და, ბუნებრივია, ვერც საქართველო იქნებოდა ასეთი, მითუმეტეს შორეულ წარსულში. ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე მდებარე საქართველოს ისტორიული განვითარება ისე წარიმართა, რომ მის მიწა-წყალზე ქართველების გვერდით სხვა არაერთი ეთნოსის წარმომადგენლებმაც ჰპოვეს საცხოვრისი.

ეს მულტიეთნიკურობა არასოდეს ყოფილა პრობლემა ქვეყნისთვის, ვიდრე მას საკუთარი ხელისუფლება მართავდა და განაგებდა. ცნობილია, რომ უცხოტომელ მოსახლეობას ზოგჯერ თვით ქართველი მეფე-მთავრები იწვევდნენ საქართველოს ამა თუ იმ რეგიონში დასასახლებლად და ხელსაც უწყობდნენ მიჩენილ ადგილზე დამკვიდრებაში. ამასთან, არ არსებობს ფაქტი, რომ ახლად მოსულნი ვინმეს ეთნიკურ ნიადაგზე შეევიწროებინოს. ხოლო რაც შეეხება ტოლერანტობას, იგი ერთიან საქრთველოში სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი და მას მტკიცედ იცავდნენ.

არაქართველ ეთნოსთა ბევრ წარმომადგენელს ხანგრძლივად მაღალი თანამდებობა ეკავა საქართველოს სამეფო კარზე, რაც იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ ეთნიკური წარმომავლობა პიროვნებისათვის სახელმწიფოებრივ თუ სამხედრო იერარქიაში დასაწინაურებლად ხელისშემშლელი ფაქტორი არ ყოფილა. ეს ადამიანები თავს ქართული სახელმწიფოს ნაწილად მიიჩნევდნენ და სრული შეგნებით მისი ეკონიმიკური, პოლიტიკური, სამხედრო თუ კულტურული აღმავლობის სამსახურში იდგნენ (ამირსპასალრები ზაქარია და ივანე მხარგრძელები, მსახურთუხუცესი აფრიდონი და სხვა).

ვითარებას დროდადრო ცვლიდა საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა თვითნებური მიგრაცია თუ დამპყრობლის მიერ მომთაბარე ტომების ძალადობრივი ჩამოსახლება ქვეყნის თვითმყოფადობის მოშლისა და ეროვნული გადაგვარების მიზნით (მაგალითად, ალან-ოსთა შემოსვლა ქართლში XIV საუკუნის პირველ მეოთხედში, შაჰ-აბას II-ის მიერ კახეთში თურქმანების ჩასახლება XVII საუ-

კუნის 50-იანი წლების ბოლოს და სხვ.)

მას შემდეგ, რაც XIX საუკუნეში ჩვენში რუსეთი დამკვიდრდა და ქართულ სახელმწიფოებრიობას ბოლო მოუღო, საქართველოს ეთნო-დემოგრაფიული რეალობა მკვეთრად შეიცვალა. ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციის გაძლიერების მიზნით ცარიზმმა კურსი ქვეყნის ინტენსიურ კოლონიზაციაზე აიღო, რომლის არსს იმპერიის შიდა გუბერნიებიდან რუსი კოლონისტების ჩამოსახლება, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მათი კომპაქტურად დამკვიდრება და აქ რუსულენოვანი ანკლავების შექმნა შეადგენდა.

„რუსეთის პოლიტიკა აშკარად იყო მიმართული იქითკენ, რომ საქართველოს ტერიტორია, ყველაზე კომპაქტურად და ეროვნულად ერთგვაროვანი ერთეული ამიერკავკასიის სამფლობელოებში, ეთნოგრაფიულად აეჭრელებინათ და ამით გამოეწვიათ დასუსტება ქართველობისა, როგორც ყველაზე კულტურული და სახელმწიფოებრივი ერისა კავკასიაში“, შენიშნავდა პავლე ინგოროყვა.[1]

კავკასიის რუსული ადმინისტრაცია მიგრაციულ საკითხებს საქართველოში თვითნებურად წყვეტდა და ახორციელებდა. ჯერ კიდევ პ. ციციანოვის მთავარმართებლობის დროს, 1803 წელს ერევნის სახანოდან საქართველოში ჩამოიყვანეს 11 ათასი სომეხი, რომლებიც თბილისსა და ქვემო ქართლში დააფუძნეს. მომდევნო პერიოდში საქართველოში რამდენიმე ათასი ბერძენი, გერმანელი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი ჩამოასახლეს (მათ რიცხვში - პოლონელები, ესტონელები, უკრაინელები, ლატვიელები, ქურთები, ლეკები და სხვ.).

1820-იანი წლების დამდეგიდან მეფის მთავრობამ საქართველოში კოლონიზაციის ახალ ფორმას მიმართა და აქ მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაპირისპირებული სექტებისა და კონფესიური ჯგუფების მიგრირება დაიწყო. ასე გაჩნდნენ ჩვენში სკოპცები, მოლაკნები, დუხობორები და სხვ. უცხოტომელთა ჩამოსახლებას ადგილობრივ მკვიდრთა შევიწროება, ზოგჯერ თავისი პირველ საცხოვრისიდან აყრა და სხვაგან გადანაცვლება მოსდევდა ხოლმე.

ა. ერმოლოვის დროსვე (1816-1827 წ.წ.) საქართველოში პირველი რუსული სამხედრო დასახლებები აღმოცენდა. სამხედრო სავალდებულო

1 ინგოროყვა პ., საქართველოს ტერიტორიული საზღვრების შესახებ, თბ., 1990, გვ. 34.

სამსახურის მოხდის შემდეგ თადარიგში გასულ ჯარისკაცებს საქართველოში ტოვებდნენ, მიწის ნაკვეთს გამოუყოფდნენ, სახლებს უშენებდნენ და ახალ კოლონიებს ქმნიდნენ. უკვე 1860 წლისათვის მარტო ქუთაისის გუბერნიაში 10 ამგვარი რუსული დასახლება მოითვლებოდა, რომლებშიც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის, ორენბურგის, დონის, ურალის ჯარების კაზაკობა, კავკასიის ომის მონაწილე ჯარისკაცები და მათი ოჯახები ცხოვრობდნენ. დაახლოებით იმავე ხანებისათვის რუსულ სოფელთა რიცხვი საქართველოში ორ ათეულს აღემატებოდა.

1828-1829 წლების ომში რუსეთმა ოსმალეთს საქართველოს ძირძველი ისტორიული კუთხე-სამცხე-ჯავახეთი დაათმობინა, მაგრამ ახლად შემოერთებულ ტერიტორიაზე გადასვლის უფლება არც ლიხთიმერელ ქართველებს მისცა და აქაური მაჰმადიანი მესხებიც აიძულა, სამკვიდრო მიეტოვებინათ, თავიანთ სამშობლოს გასცლოდნენ და ოსმალეთის სიღრმეში გადაენაცვლებინათ. გრაფმა პასკევიჩმა მათ ნაცვლად მესხეთში თურქეთიდან გადმოყვანილი 30 ათასი სომეხი მცხოვრები ჩაასახლა. თუ აქამდე მხარის მოსახლეობაში ქართველთა რაოდენობა 95%-ს აღემატებოდა, რუს მოხელეთა წყალობით, 1832 წელს უკვე უმრავლესობად სომხები იქცნენო, წერდა აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. [1]

1897-1902 წლებში საქართველოში დაახლოებით 55 ათასი სომეხი შემოვიდა. სომხურმა მოსახლეობამ საგრძნობლად იმატა თბილისში და 127 ათასს მიაღწია, რომელთა შორის 66 800 ახალმოსული იყო. ქართველ დემოგრაფთა გამოანგარიშებით, ხელოვნური მიგრაციის გზით სომხური მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელმა XIX საუკუნის განმავლობაში ჩვენში 79% შეადგინა, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში ქართული მოსახლეობა მხოლოდ 9%-ით გაიზარდა.[2]

1801 წელთან შედარებით XX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს მცხოვრებთა საერთო რიცხვი თითქმის გასამმაგდა და 2 მილიონს გაუტოლდა. გამრავლების ეს მაღალი ტემპი მხოლოდ ბუნებრივი მატებით არ ყოფილა გამოწვეული და დიდი იყო მექანიკური ზრდაც, რასაც იმპერიის კოლონიური დემოგრაფიული პოლიტიკა განაპირობებ-

1 ჯავახიშვილი ი., დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XX სს.), თბ., 1998, გვ. 9.

2 ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა XVIII სს.-ში, თბ., 1984, გვ. 68-77.

და. სულ რაღაც ას წელიწადში საქართველოში 100 ათასზე მეტი მარტო რუსი დამკვიდრდა (მთელი მოსახლეობის 5,3%). ოთხჯერ გაიზარდა სომეხი (10,3%) და სამჯერ მაჰმადიანი (თათარ-თურქი) მოსახლეობის რაოდენობა. ხელოვნურმა მიგრაციულმა პროცესებმა ქართველთა საზიანოდ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვია. ქართველების ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში მნიშვნელოვნად შემცირდა. კლებამ 10% შეადგინა და 79-დან 69%-მდე დავიდა.[1]

1917 წლის საერთო აღწერის მონაცემთა თანახმად, თბილისში ცხოვრობდა 62 377 ქართველი. სომეხთა რიცხვი 83 177-ს შეადგენდა, რუსებისა - 69 492-ს, თათარი მოსახლეობა კი 7 613 კაცს მოითვლიდა. ყოველ 100 ქართველ მცხოვრებზე მოდიოდა: სომეხი - 113; რუსი - 111; თათარი – 12; დანარჩენი ეროვნების - 39.[2]

ამგვარად ჩამოყალიბდა მოსახლეობის ის დემოგარაფიული სურათი, რომელიც კოლონიური უღლისაგან თავდაღწეულმა საქართველომ 1918 წელს რუსეთის იმპერიისაგან თავსატეხ მემკვიდრეობად მიიღო.

საქართველოში მცხოვრები ზოგიერთი არაქართული ეთნოსის წარმომადგენლებმა ქართული სახელმწიფოს იურისდიქციაში დარჩენა არ მოისურვეს და მისგან დისტანცირებისათვის გზების ძიება დაიწყეს. სეცესიის მოსურნე ძალები თავიანთ იმედებს ბოლშევიკურ რუსეთს უკავშირებდნენ, რომლის მესვეურები, თავის მხრივ, ყოველნაირად ახალისებდნენ და ხელს უწყობდნენ სეპარატისტულ მოძრაობას. გარკვეულწილად ამ გარემოებითაც იყო განპირობებული, რომ ახლად შექმნილ ქართულ სახელმწიფოში ეროვნული უმცირესობების, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „ნატეხი ერების“, უფლებათა განსაზღვრისა და დამკვიდრების პრობლემა ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად იქცა. ერთაშორისი ურთიერთობის სწორ და გონივრულ მოგვარებაზე დიდად იყო დამოკიდებული ქვეყნის შინაგანი სიმტკიცე და სტაბილურობა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილ ამერიკელ მკვლევარს რონალდ გრიგორ სუნის ნაშრომში - „ქართველი ერის ფორმირება“, გამოთქმული აქვს განსხვავებული შეხედულება. მისი სიტყვით, საქართველოს

1 ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 71-72.

2 ჟურნ. „ჩვენი ქალაქი“, 1920, # 4-5, გვ. 44; 46.

დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაარსებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა სოციალ-დემოკრატების პოლიტიკურ და იდეოლოგიურ საქმიანობაზე. „როგორც კი მენშევიკებმა ეროვნული პოზიცია დაიკავეს და დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის გზას დაადგნენ, მაშინვე გაქრა მათი სოციალიზმის ინტერნაციონალური ასპექტები.“[1]

ძნელია დავეთანხმოთ ამ თვალსაზრისს, რადგან ქართველ სოციალ-დემოკრატებს თავიანთი „ინტერნაციონალური ასპექტები“ არ უარყვიათ არც მაშინ, როცა კურსი ეროვნული სახელმწიფოებრიობისაკენ აიღეს და არც იმ სამი წლის განმავლობაში, როცა ქვეყნის პოლიტიკური საჭე ებარათ. ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეროვნულ უმცირესობათა მიმართ ტოლერანტული კურსი აირჩია. ნოე ჟორდანიას სიტყვით, საქართველოში არ იყო „ელინი და ბარბაროსი, ყველას ელინებად ვრაცხდით.“[2]

შემწყნარებლური იყო ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულებაც საქართველოში ბინადარი არაქართველებისადმი. „ნატეხ ერებს“ ქართველებთან ჰარმონიული თანაცხოვრების, თავისუფალი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესაძლებლობა მიეცათ.

„დამოუკიდებლობის აქტში“ ხაზგასმული იყო, რომ საქართველო თანასწორად უზრუნველყოფს რესპუბლიკის ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განვითარების თავისუფალ ასპარეზს შეუქმნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს. ეთნიკური ვინაობა არავისთვის ქცეულა დაბრკოლებად, მიეღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობა და სხვა უფლებათა შორის შეეძინა პოლიტიკური უფლებაც.

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობის (ქვეშევრდომობის) დებულებით“, რომელიც ჯერ კიდევ 1918 წლის ივლისში ეროვნულმა საბჭომ შეიმუშავა, მოქალაქედ ცხადდებოდა რესპუბლიკის ყველა მკვიდრი, ვინც მიწერილი იყო საქართველოში შემავალ ამა თუ

1 Ronald Grigor Suni, The Making of the Georgian Nation. London, 1989, p. 207; ასევე, ისტორია და ხელოვნებათმცოდნეობა. საზოგადოებრივი მეცნიერებანი საზღვარგარეთ, თბ., 1989, გვ. 26.

2 ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 104.

იმ ადმინისტრაციულ ერთეულზე. მკვიდრი კი მას ეწოდებოდა, „ვინც ითვლებოდა ამ მაზრებისა და გუბერნიების მცხოვრებლად რესპუბლიკის გამოცხადების დროს.“ საქართველოს მოქალაქეებად მიიჩნეოდნენ ისინიც, ვინც სხვაგან იმყოფებოდა, მაგრამ „ჩვენი რესპუბლიკის გუბერნიებზე იყვნენ მიწერილი.“[1]

დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 27 მაისს დამტკიცებული კანონი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ კიდევ უფრო ამარტივებდა ქვეყნის მოქალაქის სტატუსის მიღებას. ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებდა, რომ საქართველოს მოქალაქედ მიღებული იქნებოდა რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი თუ 1. გააჩნდა რაიმე უძრავი ქონება საქართველოს რესპუბლიკაში ან თავს „საქირაო შრომით“ ირჩენდა; 2. არანაკლებ სამი წლისა ცხოვრობდა განუწყვეტლივ საქართველოს ტერიტორიაზე და 3. კანონის ამოქმედებიდან სამი თვის განმავლობაში განაცხადებდა, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა.[2] აქვე დავძენ, რომ საქართველოს პირველ რესპუბლიკაში აკრძალული იყო ორმაგი მოქალაქეობა.

მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში (ცენტრალური კომიტეტი, ყრილობა), სახელისუფლო სტრუქტურებში ეროვნულ უმცირესობათა საკითხი ინტენსიურად განიხილებოდა. მსჯელობდნენ კანტონალური სისტემის შექმნის, საჯარო უფლებრივი კავშირების დაშვების, ეროვნული თემების ჩამოყალიბების შესახებ და სხვ.[3] განიხილებოდა ყველა შესაძლო ვარიანტი, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებიც დაეცვათ და არც სახელმწიფოს ინტერესები შელახულიყო.

ხანგრძლივი განსჯისა და დებატების შემდეგ „დემოკრატიულად დაყენებული ეროვნული საკითხის“ გადაწყვეტის გზად არაქართველი მოსახლეობისათვის ეროვნულ-კულტურული ავტონომიის მინიჭება იქნა მიჩნეული. ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ეს ფორმა გულისხმობდა, რომ „ყოველ ერს დაუბრკოლებლივ შეეძლოს თავის მო-

1 მაცაბერიძე მ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. შემუშავება და მიღება, თბ., 2008, თბ., გვ. 73.

2 კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, 1919, # 8.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1825, ანაწ. 1, საქ.#126, ფურც. 34.

სწავლეთა სწავლა-განათლება მოაწყოს სამშობლო ენაზე, მეცნიერება აიყვანოს რაც შეიძლება მაღლა და ეროვნილი კულტურა რაც შეიძლება მეტად განავითაროს.“[1]

უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის ეროვნულ-კულტურული ავტონომიის უფლების მინიჭება ზოგადად ხალხის კულტურული დონის ამაღლების მიზანსაც ისახავდა. ეროვნულ საკითხში დემოკრატიის „მეორე მიზნის“ მისაღწევად - „ყოველ ეროვნებას უნდა შეეძლოს სახელმწიფოსთან ლაპარაკი თავის დედა-ენაზე“ - გათვალისწინებული იყო კომპაქტურად დასახელებულ ეროვნულ უმცირესობათა თვითმმართველი თემების დაფუძნება ეროვნული ადმინისტრაციით სათავეში, ასევე ეროვნული სასამართლოს, ეროვნული სკოლის მოწყობა და სხვ.[2]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფალთა აზრით, „ეროვნული შუღლის განელებაში, ერთა თანამშრომლობის დამყარებაში და მათ შერიგებაში ვერავითარი განსაკუთრებული კანონმდებლობა ვერ გააკეთებს იმდენს, რასაც გააკეთებს სწორ და ნათელ პრინციპზე მოწყობილი თვითმმართველობა.“[3] ამიტომაც იყო, რომ ადგილობრივი დემოკრატიის, - თვითმმართველობის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. 1918 წლის აგვისტოში ჩატარდა სამაზრო საერობო კრებების ხმოსანთა არჩევნები, რომლებმაც თავის მხრივ აირჩიეს გამგეობები და ინტენსიურ პრაქტიკულ საქმიანობას შეუდგნენ.

დამფუძნებელი კრების არჩევის შემდეგ, 1919 წლის 21 მარტს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარდგენილ მთავრობის დეკლარაციში ხაზგასმული იყო, რომ ხელისუფლებას განზრახული აქვს ახლო მომავალში შეუდგეს წვრილი საერობო ერთეულების მოწყობასაც, რომლებიც გადაიქცევიან დემოკრატიული რესპუბლიკის საფუძვლად.[4] მართლაც, ასეთი ერთეულების შექმნა მალევე დაიწყო და 1920 წლის

1 ნათაძე ლ., ეროვნული საკითხი და თვითმმართველობა, ჟურნ. „ერობა და ქალაქი“„ 1920, #6, გვ. 5.

2 ვადაჭკორია შ., ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001, გვ. 221.

3 ნათაძე ლ., ეროვნული საკითხი და თვითმმართველობა, ჟურნ. „ერობა და ქალაქი“„ 1920, #6, გვ. 3.

4 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1921, ანაწ. 1. საქ. 2, ფურც. 6-7.

ზაფხულის მონაცემებით, ქვეყანაში უკვე 356 სათემო ერობა აღირიცხა.[1]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პირველ რესპუბლიკაში თვითმმართველობის ორგანოები იმავდროულად სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს - ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურებს წარმოადგენდნენ. „ჩვენი რესპუბლიკის სიმტკიცეს თემი შეადგენს. ... სათემო ერობა მთავრობის პატარა ნაწილია. მისი შემწეობით მთავრობა არათუ დაკავშირებულია ხალხთან, ყოველ სოფელთან, ის დაახლოებულია ყოველ კუთხესთან, მუდამ ხალხთან არის“, - წერდა ივანე გომართელი.[2]

თვითმმართველობის კომპეტენციას მიეკუთვნებოდა ადგილობრივი ადმინისტრაციის, სასამართლოსა და მილიციის ფორმირება, ადგილობრივი მასშტაბის ყველა სამეურნეო, ჯანმრთელობის დაცვის, ფოსტის, გზის, კულტურლ-საგანმანათლებლო საქმეთა წარმოება და სხვ.

საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, თვითმმართველობის ჟურნალ „ერობა და ქალაქის“ ერთ-ერთი რედაქტორი, სოციალ-დემოკრატი ლევან ნათაძე წინადადებას აყენებდა, რომ შექმნილიყო იმგვარი თვითმმართველობითი ერთეულები, რომლებიც რაც შეიძლება ერთგვაროვანი იქნებოდნენ ეროვნული შემადგენლობის მხრივ. ამგვარ ტერიტორიული ერთეულად მას „ეროვნული თემი“ მიაჩნდა: „თუ განუხორციელებელია იდეალი: „ერთი ერი - ერთი სახელმწიფო“, თუ იდეალს დაშორებულია ლოზუნგი: „ერთი ერი - ერთი ფედერაცია“, თუ მიზანს სავსებით ვერ აღწევს შპრინგერ-ბაუერის „ერთი ერი - ერთი ოლქი“, ყველა ამ გეგმაზე ადვილი მისაღწევია გეგმა - „ეროვნული თემი.“ იშვიათად თუ მოხდება, რომ თემების ამ სახით გამოჭრამ რამენაირად დააბრკოლოს სახელმწიფოს ცხოვრება“, - წერდა იგი.[3]

ეროვნულ უმცირესობათა „უზრუნველყოფის“ ხსენებული ქართული მოდელი ლ. ნათაძემ კარლ კაუცკის, რუდოლფ შპრინგერისა და ოტო ბაუერის თეორიულ ნაშრომებზე დაყრდნობით შეიმუშავა. მას მიაჩნდა, რომ „ეროვნული თემი“ წარმატებით გაუძღვებოდა ადგილობრივ საქმეებს, თემის თანამდებობის პირები ანუ ადმინისტრაცია „თემის მცხოვრებთ მათთვის გასაგებ ენაზე დაელაპარაკებოდა“ და თემის ფარგ-

1 ჟურნ. „ერობა“, 1920, #6, გვ. 55.

2 ჟურნ. „ერობა“, 1920, #1, გვ. 4-6.

3 ნათაძე ლ., ეროვნული საკითხი და თვითმმართველობა, ჟურნ. „ერობა და ქალაქი“„ 1920, #6, გვ. 12.

ლებში მთელი ცხოვრება ისე მოეწყობოდა, რომ ეროვნულ-კულტურული საქმეებიც დაუბრკოლებლად გადაიჭრებოდა.[1]

ლ. ნათაძეს მოხაზული ჰქონდა იმ ეროვნული თემების გეოგრაფიაც, რომლებიც შეიძლებოდა შექმნილიყო საქართველოს ტერიტორიაზე. მისი აზრით: სომხებით დასახლებული თემები უნდა „გამოეჭრათ“ ახალქალაქის, ბორჩალოს, თბილისისა და ახალციხის მაზრებში, აგრეთვე სოხუმისა და ბათუმის ოლქებში, რადგან „ამ ადგილებში სომხური ენა წარმოადგენდა დედა-ენას.“

„რუსული თემების“ შექმნა საჭირო იქნებოდა სოხუმის ოლქში, თბილისის, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში.

„თათრული თემები“ (თათრულ ან სპარსულ ენაზე მოლაპარაკე საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები მუსულმანებისათვის) უნდა „განმოეკვეთათ“ ბორჩალოს, თბილისის, ახალქალაქის, ახალციხისა და სიღნაღის მაზრებში.

„ოსების მოსახლეობის რაიონი გორის და დუშეთის მაზრების ჩრდილოეთი ნაწილია და „ოსური“ თემებიც სწორედ აქ უნდა მოეწყოს. შეიძლება რამდენიმე „ოსური“ თემის შექმნა რაჭის მაზრაშიაც აღმოჩნდეს საჭირო.“

„გერმანული თემების“ არსებობა გათვალისწინებული იყო თბილისისა და ბორჩალოს მაზრებში, ხოლო „ბერძენთა თემების“ ადგილად შერჩეული იყო ბორჩალოს მაზრა (წალკა) და სოხუმის ოლქი.[2]

ლ. ნათაძე მიიჩნევდა, რომ გორის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის მაზრების ბინადარი „სომხებისთვის“ ცალკე ეროვნული თემი არ იყო საჭირო, რადგან მათ „ნამდვილ სომხებთან მხოლოდ ის მსგავსება აქვთ, რომ პირჯვრის წერის დროს ჯერ მარცხენა მხარზე იდებენ თითებს, მერე მარჯვენაზე. ენით, ზნე-ჩვეულებით, ტრადიციებით, გვარებით, სახელებით - ვერაფრით მათ ვერ გამოარჩევთ, თუნდაც მიკროსკოპის საშუალებით შინჯოთ, იმ ქართველებისაგან, რომელთა შორისაც საუკუნეებით ცხოვრობენ.“

ცალკე გამოყოფას იმსახურებს ქართველ ებრაელთა საკითხი და

1 ბენდიანიშვილი ა., ეროვნული საკითხი საქართველოში. 180-1921, თბ., 1980, გვ. 228.

2 ნათაძე ლ., ეროვნული საკითხი და თვითმმართველობა, ჟურნ. „ერობა და ქალაქი“„ 1920, #6, გვ. 16.

უფლებრივი სტატუსი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ცნობილია, რომ ქართველთა და ებრაელთა თანაცხოვრებამ საქართველოში გაუძლო ისტორიის ქარტეხილებს და საუკუნეთა განმავლობაში ამ ერებს შორის ისეთი ურთიერთობა ჩამოყალიბდა, რომ ისრაელებს ჩვენში არასოდეს უგრძვნიათ თავი უცხოდ.

მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენა-განახლება გამოაცხადა, ქართველი ებრაელებიც რატომღაც იმ ეთნოსად მიიჩნიეს, რომლის ეროვნული უფლებები დამატებით უზრუნველყოფას მოითხოვდა და ეროვნულ საბჭოში მათაც ადგილები ეროვნული კვოტით გამოუყვეს. 1918 წლის 13 სექტემბრის კანონი „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში“ ნებას რთავდა, რომ „ნატეხ ერებს“ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში აერჩიათ 26 წარმომადგენელი. მათ შორის: სომხებს - 10, თათრებს - 4, აფხაზებს - 3, რუსებს - 2, ოსებს - 2, ქართველ ისრაელებს - 2, ებრაელებს - 1, ბერძნებს - 1 და გერმანელებს - 1.[1]

ქართველ ისრაელთა ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი, პუბლიცისტი მიხაკო ხახანაშვილი შეცდომად მიიჩნევდა, რომ საქართველოს თავისუფალ სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში ქართველი ებრაელები სომხებთან თათრებთან და გერმანელებთან ერთად „ერთს ტაფაზე იყვნენ დაყენებული.“ მ. ხახანაშვილის სიტყვით: „სომხებს უნდა ჰყავდეთ თავისი ცალკე წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში იმისთვის, რომ მათი დედა-ენა არ არის ქართული; თათრებს, - რადგან მათი ზნე-ჩვეულება არ არის ქართული; რუსებს, - რადგან მათი სამშობლო არ არის საქართველო; გერმანელებს, - რადგან მათი ისტორიული წარსული არაფრით არის დაკავშირებული საქართველოს შორეულ თავგადასავალთან; აშქენაზებს (რუს ებრაელებს, - ო. ჯ.) შეუძლიათ იყოლიონ თავისი წარმომადგენელი, - როგორც უცხო პოლიტიკური მიზნის მატარებელთ“, ხოლო ქართველი ისრაელები ამას არ საჭიროებენ. „ჩვენ ყველა არჩევნებში გამოვედით ქართველებთან ერთად და არა განცალკევებულად. ...ამიტომ დღეს რომ ჩვენს ეროვნულ საბჭოში დეპუტატები

1 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბ., 1990, გვ. 62.

სხედან ჩვენ მიერ არჩეული, ჩვენი დეპუტატებიც არიან ისინი.“[1]

ხელისუფლების რიგი წარმომადგენლის შეხედულებითაც, ქართველი ებრაელები უნდა განესხვავებინათ საქართველოში უმნიშვნელო რაოდენობით მცხოვრები აშქინაზებისაგან და დემოკრატიულ რესპუბლიკას არ უნდა შეეწყო ხელი ებრაელთა ეროვნულ კავშირისათვის, თუ „ის მოინდომებს თავისი მოქმედება გაავრცელოს ქუთათურ, ონელ, სურამელ ან ცხინვალელ ისრაელებზე, რომელთა დედა-ენა ქართულია, რომლებიც საუკუნოებრივ ცხოვრებით დაკავშირებულნი არიან ქართველ ერთან და რომლებსაც სარწმუნოების მეტი არაფერი აკავშირებთ რუსეთიდან თბილისში ჩამოსახლებულ ებრაელებთან.“[2]

მოგვიანებით, 1919 წელს არჩეულ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქართველ ებრაელებს სადეპუტატო მანდატები სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით ჰქონდათ დათმობილი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით დეპუტატები გახდნენ ასევე აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი, ბერძენი, გერმანელი, აფხაზი და ოსი ეროვნების მოქალაქეებიც.[3]

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრებ თითოეულ ეთნიკურ უმცირესობას ეროვნულ საქმეთა გასაძღოლად შექმნილი ჰქონდა საკუთარი ეროვნული საბჭო, ასევე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოღვაწეობდნენ ეთნიკური ნიშნით აღმოცენებული პოლიტიკური ორგანიზაციები თუ გაერთიანებები (მაგ. სომხური დაშნაკცუთიუნი, მუსულმანთა ჯგუფი, ელინთა დემოკრატიული ჯგუფი და სხვ. საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში მონაწილეობდნენ, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტები).

ეროვნული საკითხის იმგვარ გადაწყვეტას, როგორ გეგმასაც ლ. ნათაძე აყენებდა, ანუ თემების შექმნას ეროვნული ნიშნით, აძნელებდა ამა თუ იმ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების საეჭვო ქცევა, მათი არალოიალური დამოკიდებულება ქართული სახელმწიფოსადმი.

---

1 ჯანელიძე ო., ქართველი ებრაელები, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989 წ. 7 ოქტომბერი.

2 ნათაძე ლ., ეროვნული საკითხი და თვითმმართველობა, ჟურნ. „ერობა და ქალაქი“„ 1920, #6, გვ. 16.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 2, საქმ. # 17; ასევე, საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1919, თბ., 2016, გვ. 41.

მაგალითად, ვითარებაში, როდესაც საქართველოში მცხოვრები სომხების უმრავლესობამ დემოკრატიული რესპუბლიკისადმი კეთილგანწყობა შეინარჩუნა, ბორჩალოს მაზრაში კომპაქტურად განლაგებული სომხური სოფლების მოსახლეობა 1918 წლის დეკემბერში გაჩაღებულ სომხეთ-საქართველოს სამხედრო დაპირისპირებისას მხარში სომხეთის ჯარის ნაწილებს ამოუდგა.

ცნობილია ასევე, რომ შიდა ქართლის ტერიტორიაზე არსებული ოსური თემები ბოლშევიკთა წაქეზებით რამდენჯერმე აუმხედრდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, წამოაყენეს საქართველოსაგან გამოყოფისა და რუსეთთან შეერთების უსამართლო მოთხოვნები.

ამის მიუხედავად, 1919 წლის ზაფხულში საქართველოს მთავრობამ მაინც საჭიროდ მიიჩნია, საქართველოში კომპაქტურად ბინადარ ოსთა „კულტურული განვითარებისა და ადგილობრივი ცხოვრების მოსაწესრიგებლად“ განეხილა მათთვის ფართო ადგილობრივი მმართველობის დაკანონების საკითხი. წარმოდგენილი დეკრეტის პროექტი - „ოსი მცხოვრებლებით დასახლებულ სოფლის საზოგადოებების ცალკე მაზრად გამოყოფის თაობაზე“ - ითვალისწინებდა შორაპნის, რაჭისა და გორის მაზრათა ოსური სოფლების შეერთებას და ახალი ადმინისტრაციული ერთეულის - „ჯავის მაზრის“ შექმნას ადმინისტრაციული ცენტრით სოფელ ჯავაში.[1]

ოსთა ეროვნულმა საბჭომ, რომელიც პოლიტიკური ავტონომიის მიღებას ესწრაფვოდა, მთავრობას წარუდგინა მოთხოვნა „სამხრეთ ოსეთის ოლქის“ ჩამოყალიბების შესახებ. ადმინისტრაციულ ცენტრად დასახელებული იყო ქ. ცხინვალი, ხოლო ოლქის ფარგლებში დუშეთის მაზრის ნაწილიც უნდა ჩაერთოთ.[2]

სპეციალურმა კომისიამ „მცოდნე პირების“ - (მათ შორის ივანე ჯავახიშვილის, ანდრია ბენაშვილისა და სხვ.) მონაწილეობით ამ საკითხებზე ვრცლად და საფუძვლიანად იმსჯელა. გაითვალისწინა რა სპეციალისტთა დასკვნა, რომ ამგვარი ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულის გამოჭრა საქართველოს საზღვრებში, სტრატეგიული მოსაზრებით,

1 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1796, ანაწ.1, საქ. #72, ფურც. 1.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1796, ანაწ.1, საქ. #71, ფურც. 8-10.

სახიფათო იქნება ჩვენი ერის კეთილდღეობისათვის, კომისიამ ურჩია მთავრობას: „ნაუცბათევად არ გადაწყდეს ის, რასაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც დღევანდელ აგრეთვე მომავალ ჩვენ მდგომარეობისათვის.“[1]

ამ ამბებიდან ახლო ხანებში ოსებმა ისევ ავანტიურა მოაწყვეს საქართველოს წინააღმდეგ, ხოლო 1920 წლის ივნისში ახალი შეიარაღებული ამბოხებაც წამოიწყეს. ყოველივე ამან საფუძველი გამოაცალა ხელისუფლების ძალისხმევას, გამოეძებნა ოსთათვის მისაღები კომპრომისი სახელმწიფოს ინტერესების შეუბღალავად. ჯავის მაზრის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადაუწყვეტი დარჩა.[2] მეტიც, იმ დროინდელი პრესის ცნობით, „მთა ოსეთში ჯერ-ჯერობით ვერ მოეწყო თემები, ვინაიდან ოსებმა დღემდის არ მოისურვეს ერობის შემოღება.“[3]

სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პროექტზე მუშაობისას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებმა უპირატესობა მიანიჭეს გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და ეკონომიკურ ფაქტორებს და თემების გამოყოფის პროცესში მათ მკვიდრთა ეროვნული შემადგენლობას ანგარიში აღარ გაუწიეს. თუმცა კანონპროექტში ადგილობრივი თვითმმართველობის - თემის შესახებ გათვალისწინებული იყო, რომ „იმ თემებში, სადაც მცხოვრებთა უმეტესობა და ხმოსანთა რიცხვის ორი მესამედი ეკუთვნის ნაციონალურ უმცირესობას, იქ საბჭოს სხდომა და ოქმები სწარმოებს ნაციონალურ უმცირესობათა ენაზე. მთავრობის და სხვა საერთო დაწესებულებასთან მიმართვის დროს უნდა იყოს ხმარებული სახელმწიფოებრივი ენა.“[4]

ეროვნულ უმცირესობათა უფლებები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღიარებულიც იყო და დაცულიც. 1918-1921 წლებში საქართველოში არც ერთ ერსა თუ ეროვნებას ეთნიკურ ნიადაგზე შევიწ-

---

1 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1796, ანაწ.1, საქ. #72, ფურც. 20-22.

2 ჯანელიძე ო., ოსთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჟურნ. „ეთნოპოლიტიკა“, 2007, # 1, გვ. 7; ასევე, 22. Осетинский вопрос в Демократической Республике Грузии (1918-1921), წიგნში - Некаторые вопросы истории осетин шида картли, Тб., 2010.

3 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 2, გვ. 45.

4 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 4, გვ. 9.

როება არ განუცდია. სამართლებრივ აქტებში დეკლარირებული დაპირებები თანმიმდევრულად ხორციელდებოდა პრაქტიკაში.

რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი და სხვა არაქართველი ეროვნების მრავალი ადამიანი დასაქმებული იყო ცენტრალურ სახელმწიფო აპარატსა თუ თვითმმართველობის ადგილობრივ სტრუქტურებში. ეთნიკურ უმცირესობათა არაერთ წარმომადგენელს მინდობილი ჰქონდა მაღალი საპასუხისმგებლო თანამდებობა როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო უწყების ხაზით და სხვ. რუსულ, სომხურ და გერმანულ ენებზე გამოდიოდა პერიოდული პრესის ორგანოები. შეუზღუდავი იყო რელიგიური კონფესიების, კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა. საქართველოში ფუნქციონირებდა 80 სომხური, 60 რუსული, 31 თათრული სკოლა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. თბილისში დაფუძნდა გერმანული რეალური გიმნაზია, საფუძველი ეყრებოდა პირველდაწყებით განათლებას აფხაზურ, ოსურ ენებზე და სხვ. მაგალითად, დაწყებითი ოსური სკოლები სახელმწიფოს ხარჯზე გახსნილი იყო რაჭის, შორაპნის, გორისა და დუშეთის მაზრებში. 1918 წლის ბოლოს ცხინვალში დაარსდა ოსური გიმნაზია, რომელსაც განათლების სამინისტრო აფინანსებდა.[1]

თუმცა ცხოვრება იშვითად ეწყობა თეორიებისა და კანონების სრული შესაბამისობით, იყო გარკვეული სიძნელეები და აღინიშნებოდა დარღვევებიც. საქართველოს სომხური მოსახლეობის ნაწილი მოითხოვდა ქართულის დარად სახელმწიფო-ადმინისტრაციული ენის უფლება სომხურსა და რუსულ ენებსაც ჰქონოდა, რაც ხელისუფლებამ არ დააკმაყოფილა. სომხური პრესა ამის გამო საქართველოს მთავრობას ეროვნულ შევიწროებასა და ადამიანის უფლებათა დარღვევაში ადანაშაულებდა.[2]

თბილისში მოქმედი სომეხთა ეროვნული საბჭო საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის თვითმმართველობის დამკვიდრებას ესწრაფვოდა, აკრიტიკებდა მთავრობის მიერ განხორციელებულ ნაციონალიზაციის პოლიტიკას, მოითხოვდა სომხური ენის გათანაბრებას სა-

1 Дзидзоев В., Дзугаев К., Южная Осетия в ретроспективе грузино-осетинских отношений, Цхинвал, 2007, ст. 80.

2 Memorandum Учредительному Собранию о Национальном Самоуправлении армян в Грузии, გვ. 74.

ხელმწიფო ენასთან და მის დაშვებას თვითმმართველობის ორგანოებსა და სასამართლოში მაინც. ეს მოთხოვნები ასახული იყო 1920 წელს შედგენილ სომეხთა ეროვნული საბჭოს მემორანდუმში, რომელსაც ხელს აწერდნენ ამ საბჭოს თავმჯდომარე ბ. თოფჩიანი და მდივანი მ. დარბინიანი.[1]

ცნობილია, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ინერგებოდა სეკულარიზმის პრინციპი, რათა ეკლესია გამოყოფილი ყოფილიყო სახელმწიფოსაგან, ხოლო სკოლა - ეკლესიისაგან. ამ საფუძველზე ხელისუფლებამ ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლებში საღვთო სჯულის სწავლება სპეციალური კანონით აკრძალა. შეზღუდვა რეალურად მხოლოდ ქართულ სკოლებზე გავრცელდა. რაც შეეხება არაქართულ სასწავლებლებს, მათთვის ეს კანონი თავს არ მოუხვევიათ. ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში მათი სარწმუნოება თავისუფლად ისწავლებოდა.

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები გარკვეულ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სკოლის ნაციონალიზაციის გამო, რაც „ნატეხი ერების“ სასწავლო დაწესებულებებთან მიმართებით იმაში გამოიხატა, რომ ყველა სკოლაში ქართული ენა, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია სავალდებულო საგნებად იქნა შემოღებული. ხელისუფლებას არ შეუცვლია ეს სახელმწიფოებრივად სწორი პოზიცია, მაგრამ წავიდა გარკვეულ კომპრომისზე და ნება დართო, ვინც ქართული ენა არ იცოდა, მათთვის ეს დისციპლინები რუსულ ენაზე ესწავლებინათ.[2]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სიძნელენი ხელისუფლებასა და ეთნიკურ უმცირესობათა შორის ზოგიერთ სხვა გაუგებრობასა თუ სირთულესაც წარმოშობდა. მაგალითად, რევაზ გაბაშვილის ცნობით, საქართველოს მთავრობას თბილისის სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენლებისათვის, განსაკუთრებით სომხეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ბინები ჩამოურთმევია.[3]

„რესპუბლიკის მტრის დახმარებისათვის ქონების კონფისკაციის კანონი“ ეროვნულმა საბჭომ მართლაც დაამტკიცა 1918 წლის 24 დეკემ-

1 ჭუმბურიძე დ., განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000, გვ. 32.

2 ჭუმბურიძე დ., განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000, გვ. 70; 76.

3 გაბაშვილი რ., რაც მახსოვს, წიგნში - დაბრუნება. 3, თბ., 1992, გვ. 238.

ბერს. ოლონდ კანონი განსაზღვრავდა, რომ მთავრობის დადგენილებით უძრავ-მოძრავი ქონება ჩამოერთმეოდა ქვეყნის ყოველ მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნებისა, თუ ის მონაწილეობას მიიღებდა უცხო სახელმწიფოს საომარ მოქმედებაში საქართველოს წინააღმდეგ და ან გარეშე მტერს დაეხმარებოდა იარაღის, ფულისა თუ ცნობების მიწოდებით.[1]

უძრავი ქონების იძულებით ჩამორთმევა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის რეგულირდებოდა ასევე დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 11 ივლისს მიღებულ სპეციალური კანონით. ჩამორთმეულ ქონების საფასურს მის მეპატრონეს ან სახელმწიფო ანდა ადგილობრივი თვითმმართველობა უხდიდა. მაგრამ კანონის არსებობა არ გამორიცხავდა ცალკეულ დარღვევებს, რომელთა თაობაზე თვით ნოე ჟორდანიაც აღნიშნავს თავის მოგონებებში, მაგრამ რ. გაბაშვილი აჭარბებს. ბინების ნაწილობრივი რეკვიზიცია თბილისში მართლაც გატარდა სახელმწიფოებრივი საჭიროების მიზნით, მაგრამ იგი ეთნიკური ნიშნით არ განხორციელებულა.

თუ იოსებ სტალინს დავუჯერებთ, „მენშევიკები პირდაპირ ასახლებდნენ თბილისიდან სომხებსა და თათრებს.“[2] მაგრამ ეს ბოლშევიკთათვის ჩვეული დაუსაბუთებელი პოლიტიკური განცხადებაა, რომლის მიზანს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დისკრედიტაცია წარმოადგენდა და იგი კონკრეტულ მონაცემებს არ ეფუძნება. საპირისპიროს თქმა კი ნამდვილად შეიძლება. მაგალითად, საქართველოს მთავრობამ 1918 წელს საქართველოს შემოხიზნულ სომეხ ლტოლვილთა დასახმარებლად გამოყო 40 მილიონი მანეთი, მაშინ როდესაც ქართველი დევნილების საჭიროებისათვის ძლივს მოხერხდა 3 მილიონი მანეთის მოძიება.[3] თუ თბილისიდან გასახლებაში სომხეთ-საქართველოს ომის პერიოდსა და მომდევნო დღეებში დედაქალაქში ანტისახელმწიფოებრივად განწყობილი სომეხი მოსახლეობის ნაწილის (აზერბაიჯანელი ეროვნების საქართველოს მოქალაქეებს ეს პროცესი არ შეხებია) დროებით დასავლეთ საქართველოში ეტაპირება იგულისხმება, - სახელმწიფოებრივი

1 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბ., 1990, გვ. 177.

2 სტალინი ი., თხზ., ტ. 5, გვ. 280.

3 კვაჭანტირაძე ე., სომეხთა მიგრაცია საქართველოში 1918 წელს, „კლიო“, 2001, # 11, გვ. 92.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ეს ღონისძიება მართლაც განხორციელდა.[1] რაც შეეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ ლოიალურად განწყობილ სომეხი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, მისთვის ხელი არავის უხლია. მაგალითად, ავლაბრის რაიონის სახალხო გვარდიელ სომხებს, რომლებმაც უარი განაცხადეს ფრონტზე წასვლისაგან, მხოლოდ იარაღი აჰყარეს.[2] საგულისხმოა, რომ იყო საპირისპირო შემთხვევაც. კერძოდ: სართიჭალის რაიონის ახალსოფლის სომეხმა მოსახლეობამ ოფიციალურად მოითხოვა (წერილს ხელს აწერდა სოფლის 50 მცხოვრები) სომხეთის წინააღმდეგ ომში გაწვევა.[3]

აქვე შეიძლებოდა გაგვეანალიზებინა იმდროინდელი პერიოდული პრესის ერთი ცნობაც, რომლის თანახმად, თბილისის ქალაქის გამგეობის „სავალდებულო დადგენილების ძალით ქალაქიდან უნდა გადასახლებულ იქნან ყველა რუსის ოფიცრები.“[4]

საქართველოს ხელისუფლებამ მართლაც დაშალა თბილისში მოქმედი ამიერკავკასიის ეროვნული საბჭოს მოხალისეთა (ოფიცერთა) კორპუსი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უკანონოდ და ეთნიკური ნიშნით არც ეს აქცია განხორციელებულა. რუსთა ეროვნული საბჭო იმთავითვე თავისი ანტიქართული საქმიანობით გამოირჩეოდა და მთელი მისი მუშაობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. ნებისმიერი სახელმწიფოს ფარგლებში ეროვნული ნიშნით სამხედრო ფორმირების შექმნა უკანონოა და მას არც ერთი ხელისუფლება არ დაუშვებს. ნოე ჟორდანიას მთავრობის გადაწყვეტილებაც სავსებით სამართლიანი იყო. ამასთან, ქვეყანაში შექმნილმა რეალობამ საქართველოს ხელისუფლებას უბიძგა, ჯერ კიდევ 1919 წლის ნოემბერში გამოეცა დეკრეტი, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრს ნებას რთავდა ერთი წლის ვადით საქართველოს ფარგლებიდან გაეძევებინა ნებისმიერი პირი, „რომელიც თავის მოქმედებით ზიანს მიაყენებს საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს, ან ცდილობს მის მთლიანობის

1 მაგალითად, 1919 წ. 5 იანვარს, თბილისში, ჩხრეკისას 2 ათასი სომეხი დაიჭირეს. იხ. გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 7 იანვარი.

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 21 დეკემბერი.

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 4 იანვარი.

4 ჟურნ. „ერობა და ქალაქი“, 1920, # 3, გვ. 35.

დარღვევას, ან სიტყვით თუ წერილობით ეწევა აგიტაციას რესპუბლიკის წინააღმდეგ."[1] ამასთან, დიდად საგულისხმოა, რომ საქართველოს მთავრობამ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 6 თვის განმავლობაში 35.5 მილიონი მანეთი დახარჯა კავკასიის ფრონტისა და საფრონტო დაწესებულებათა ლიკვიდაციისათვის (მარტო რუსეთის არმიის სამხედრო მოსამსახურეთა – ოფიცრების ოჯახებისათვის 1 მილნ 32 ათასი მანეთი იქნა გამოყოფილი).[2]

არც ის უნდა იყოს უმნიშვნელო ფაქტი, რომ თავის ქვეყანაში სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლს გამოქცეულმა არაერთმა თვალსაჩინო რუსმა მოღვაწემ თავშესაფარი საქართველოში ჰპოვა. სამაგალითოდ გამოდგება მოსკოვის სამხატვრო თეატრის თითქმის მთელი დასის ჩამოსვლა თბილისში, სადაც ამ შემოქმედებით კოლექტივს მოღვაწეობისათვის საჭირო ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საიმედო ნავთსაყუდელი აღმოჩნდა ასევე ზოგიერთი რუსული თეატრალური ჯგუფისა თუ ცალკეული მსახიობისათვის. 1920 წელს საქართველოში იმყოფებოდნენ ცნობილი შემოქმედები იოსებ მანდელშტამი, ილია ერენბურგი[3] და სხვ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება მოვალე იყო დაეცვა ახლად შექმნილი სახელმწიფოს სუვერენიტეტი, უზრუნველეყო ქვეყნის შიდაპოლიტიკური სიმშვიდე და სტაბილურობა, რის გამოც ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობაში შემჩნეულ პირებს, განურჩევლად მათი ეროვნებისა, ხან აპატიმრებდა და ციხეში სვამდა, ხანაც საქართველოს ფარგლებიდან ასახლებდა. ამ გარემოებამ და მიგრაციულმა პროცესებმა საქართველოს დედაქალაქის დემოგრაფიული პორტრეტი რამდენადმე შეცვალა. 1920 წლის ზაფხულის მონაცემებით, თბილისში 100 ქართველ მოსახლეზე მოდიოდა: სომეხი - 125; რუსი - 49; თათარი - 13; დანარჩენი - 18.[4]

ეროვნულ უმცირესობათა უფლებების აღიარების, დაცვისა და პა-

1 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბ., 1990, გვ. 318-319.

2 გურული ვ., საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და რუსეთის მეხუთე კოლონა (1917-1921), თბ., 1998, გვ. 18.

3 https://sputnik-georgia.ru/culture/20160220/230278103.html

4 ჟურნ. „ჩვენი ქალაქი", 1920, # 4-5, გვ. 46.

ტივისცემის პარალელურად სახელმწიფო მათგან გარკვეულ მოვალეობათა შესრულებასაც მოითხოვდა. მაგალითად, სამხედრო ბეგარის მოხდა - შეიარაღებულ ძალებში (მუდმივ ჯარში ან ლაშქარში) სამსახური ეკისრებოდა 20-დან 40 წლამდე ასაკის რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს, მათ შორის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებსაც. ქართული სახელმწიფოსადმი ლოიალურად განწყობილი რესპუბლიკის არაქართველი ეროვნების მოქალაქენი ამ ბეგარას პატიოსნად იხდიდნენ და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში თავიანთი წვლილიც შეჰქონდათ. ცნობილია, რომ მაგალითად, სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, ბორჩალოელმა მუსლიმებმა ოპერატიულად შეადგინეს შეიარაღებული რაზმი და ფრონტზე გაგზავნა ითხოვეს. რაზმის მეთაურის სიტყვით: „საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრები მაჰმადიანები თავის წმინდა მოვალეობად სთვლიან იარაღით ხელში სამშობლო საქართველო უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან.“[1] მსგავსი პოზიცია გამოხატა საქართველოს პარლამენტში მუსლიმთა წარმომადგენელმა ახვერდოვმა, რომელმაც დაარწმუნა ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი დაწესებულება, რომ მუსულმანები ხალისით მიდიან მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, ვინც ლამობს „ფეხქვეშ გათელოს საქართველოს თავისუფლება და თავისუფლება ამიერკავკასიისა.“[2] საქართველოში მცხოვრები ბერძნების სახელით იგივე გაიმეორა პარლამენტის დეპუტატმა დაილიდიმ.[3]

იმავე დღეებში ქართველმა ებრაელებმა შემოწირულობა შეაგროვეს, საქართველოს ხელისუფლებისადმი სრული მხარდაჭერა გამოხატეს და განაცხადეს: „ამ ისტორიულ მომენტში ...ჩვენ ვერ დავრჩებით გულგრილნი მაცქერალნი და ვალად ვრაცხთ ჩვენი მორალური და მატერიალური რესურსები მსხვერპლად მოუტანოთ ჩვენ სამშობლოს.“[4]

1921 წლის 17 თებერვალს ბორჩალოელი მუსულმანების დელეგაცია

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 1 იანვარი.

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., 19 დეკემბერი.

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 20 დეკემბერი.

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., 30 დეკემბერი. პარლამენტის დეპუტატის, ქართველი ებრაელის მოსე დავარაშვილის სიტყვით: „ჩვენი ძალ-ღონე, ფიზიკური და მორალური, მატერიალური რესურსები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის უნდა დაიწვას.“ იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., 19 დეკემბერი.

წარუდგა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას და განუცხადა, რომ მთელი მუსულმანობა მზად არის სისხლით დაიცვას საქართველოს მიწა-წყალი ვერაგ მტრისაგან და ითხოვა: ყველანი, ვისაც კი ხელში თოფის დაჭერა შეუძლია, ფრონტზე გაგვიწვიეთო.[1] ეს რომ ლიტონი სიტყვები არ იყო, მოწმობს კონკრეტული ფაქტი: მეორე დღეს, პოლკოვნიკ ედიგაროვის მეთაურობით, შეიკრიბა ბორჩალოელ და თბილისელ მუსლიმთა 200-კაციანი რაზმი,[2] რომელმაც დედაქალაქის მისადგომებთან მონაწილეობა მიიღო წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ფრონტზე გაგზავნის სურვილი გამოთქვა ასევე, სახელდახელოდ შეკრებილმა ელინთა რაზმმაც. მეჯვრისხევში ოსთა მრავალრიცხოვანმა კრებამ დაადგინა, „მთელი თავისი ძალ-ღონით და ქონებით მსხვერპლად შეეწიროს საყვარელ რესპუბლიკას“ და მთავრობას აცნობა, რომ აგროვებენ მოხალისეებს და შემოწირულობებს ფრონტზე გასაგზავნად. კრების რეზოლუციაში ხაზგასმულია: „ჩვენ ოსები ქართველებთან განუყრელნი, ხელი-ხელ ჩაკიდულნი სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვიბრძოლებთ მუხანათ მტრის წინააღმდეგ.“[3] საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის იდეას, კონკრეტულად ბრძოლას ბათუმისათვის 1921 წლის მარტში, ქართველ მეომრებთან ერთად საქართველოს მკვიდრი სხვა ერთა წარმომადგენლებიც შეეწირნენ[4] და სხვ.

ხელისუფლების მიზანმიმართული პოლიტიკის მიუხედავად ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის - ეთნიკურ ჯგუფებს შორის განსხვავებული სტატუსის დაძლევისა და სახელმწიფოსადმი მათი ლოიალური დამოკიდებულების მიღწევის პროცესი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა და იგი არც დასრულებულა.

---

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., 18 თებერვალი.

2 გაზ. „საქართველო“, 1921 წ., 19 თებერვალი.

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1921 წ., 24 თებერვალი.

4 სიორიძე მ., საძმო საფლავი ბათუმში, წიგნში - ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2010, გვ. 176.

საქართველო-გერმანიის ურთიერთობის ხასიათისათვის 1918 წელს

„ქართველებო, ამდენ ხანს თქვენ მხოლოდ ერთი გერმანელი გყავდათ მეგობარი ჩემი სახით, ახლა კი მთელი გერმანია თქვენი მეგობარია. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“ - ასე მიმართავდა ცნობილი გერმანელი ლიტერატორი არტურ ლაისტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას 1918 წლის 26 ივნისს გერმანიის სამხედრო-დიპლომატიური მისიისა და ცენტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლების პატივსაცემად გამართულ საზეიმო ბანკეტზე.[1]

ლაისტს, ცხადია, მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილ იქნა კაიზერული გერმანიის დიდი თანადგომით.

გერმანიისა და საქართველოს ურთიერთობას ორმხრივი ინტერესი განაპირობებდა. ქართველი ერის მოწინავე, განათლებული წარმომადგენლები კარგად იცნობდნენ თვითმყოფად გერმანულ კულტურას, ამ ქვეყნის მდიდარ და შინაარსიან ლიტერატურას, სხვა მიღწევებს და დიდად აფასებდნენ გერმანელი ხალხის საუკეთესო თვისებებს. I მსოფლიო ომის დასაწყისიდან, როდესაც მთელი რუსეთი ანტიგერმანულმა ისტერიამ მოიცვა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, ჩვენში მოქმედ იდეურ დაჯგუფებებსა თუ ინტელიგენტურ საზოგადოებებში გერმანოფილური მისწრაფება შეიმჩნეოდა, ამ სახელმწიფოზე იყო ორიენტირებული საქართველოს თითქმის მთელი პოლიტიკური ელიტა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამგვარი განწყობილება რუსეთის კოლონიური რეჟიმის სიძულვილმა, მისგან განთავისუფლებისაკენ ლტოლვამ და ამ საქმეში გერმანიის სავარაუდო დახმარების იმედმა წარმოშვა, რაც ოდნავაც არ ეწინააღმდეგება სინამდვილეს, მაგრამ საკითხის ნათელსაყოფად საკმარისი არ არის. ამას უნდა დაემატოს ქართულ-გერმანულ ურთიერთობათა საგულისხმო ტრადიციაც, რომლის სათავე შორეულ წარსულშია საძიებელი.

XX საუკუნის დამდეგის ქართველ ახალგაზრდობაში გერმანიის კულ-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 28 ივნისი.

ტურის პრესტიჟი მეტად ძლიერი იყო და არაფრით ჩამოუვარდებოდა ნიკო ნიკოლაძისა და სერგი მესხის თაობაში არსებულ საფრანგეთის ავტორიტეტს. „გერმანია აი, სად უნდა იზრდებოდეს ჩვენი ქართველი მომავალი მოღვაწე. აქ არის სულის სიღრმე, აქ არის აზრი, აქ არის ფილოსოფია, მეცნიერება და უმაღლესი პოეზია. ...აქ არის შეერთებული შილერის ჰუმანიზმი და ნიცშეს სისასტიკე. ჩვენმა ქართველმაც ეს ორი ცხოვრების პრინციპი ღრმად უნდა შეიგნოს და შეითვისოს“ - წერდა 1912 წელს სანდრო შანშიაშვილი.[1]

დაახლოებით ამავე პერიოდში, კენისბერგში მყოფი კონსტანტინე გამსახურდია გერმანელთა ხასიათში შემჩნეულ პატივსაცემ თვისებებს - „მოვალეობის მტკიცედ ასრულება, ეროვნული თავმოყვარეობა, საკუთარი ძალ-ღონის იმედი“ - ქართველ ერს მისაბაძად უსახავდა.[2] ქართველთათვის არც გერმანული ჰეროიზმი და მესიანისტური პათოსი ყოფილა უცხო, რის შესახებაც ხშირად მიუთითებდნენ ჩვენი პუბლიცისტები.

გერმანიისადმი ქართველთა სიმპათია I მსოფლიო ომის დასაწყისიდანვე ამ სახელმწიფოს მაღალ სამხედრო და პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებაში გადაიზარდა. ევროპაში აღმოცენებული საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის წევრები დაუკავშირდნენ გერმანიის ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენლებს და თავიანთი პოლიტიკური მისწრაფება გააცნეს.

გერმანიის მოწინააღმდეგე სამხედრო ბანაკის დასუსტების მიზნით, რუსეთისაგან მისი განაპირა მხარეების ჩამოშორება, პოლონეთში, უკრაინასა და კავკასიაში ბუფერული სახელმწიფოების შექმნა ვილჰელმ მეორის გეგმებშიც შედიოდა. ამან ქართულ კომიტეტს საქმე გაუადვილა. მალე გერმანიის მთავრობასა და ქართულ ეროვნულ კომიტეტს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევაში დახმარებას აღუთქვამდა.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს მისწრაფება

---

1 გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ს. შანშიაშვილის ფონდი, საქ. #5558-ხ.

2 ავალიანი ლ., კონსტანტინე გამსახურდია კენისბერგში, „ქართული მწერლობა“, 1990, #1, გვ. 146.

- მოკავშირე ეპოვა ევროპაში, გასცდა დიდ სახელმწიფოთა მხრიდან მორალური თანაგრძნობის ჩარჩოებს და საქმიანი ურთიერთობებით გაგრძელდა. გერმანიამ დააფინანსა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის მთელი საქმიანობა, უზრუნველყო ოსმალეთის ტერიტორიაზე ქართული ლეგიონის ჩამოყალიბება, წყალქვეშა ნავებით საქართველოში იარაღის შემოტანა და სხვ. სამი-ოთხი წლის განმავლობაში ამგვარმა თანამშრომლობამ ნიადაგი შეუმზადა გერმანიის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის ცნობას. მართლაც, როგორც კი გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მისი დაცვა გერმანიამ იკისრა.

გერმანიის მხარდაჭერით საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენა თავის დროზე ვ. ლენინმა შეაფასა, როგორც „საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ.“ აქედან მოყოლებული, ეს აზრი უცვლელად დომინირებდა მთელ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. გერმანელთა ჯარებს უწოდებდნენ ოკუპანტებს, იმპერიალისტებს, კოლონიზატორებსა და სხვ. განსაკუთრებით ბევრი დაიწერა ამ თემაზე მეორე მსოფლიო ომის წლებში. მაშინდელ წიგნებში, სააგიტაციო ბროშურებსა თუ სხვადასხვა პუბლიკაციებში საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად ჩვენს ქვეყანაში მოწვეული გერმანული შენაერთები გაიგივებულნი იყვნენ ნაცისტ დამპყრობლებთან, რომლებიც აქ ეკზეკუციის, დამსჯელი რაზმების როლს ასრულებდნენ და თითქოს საქართველოს მთავრობა მათი სრული მონა-მორჩილი იყო.

ბოლო დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებში (მ. დღვილავა, დ. პაიჭაძე, ლ. ბაქრაძე, გ. ასტამაძე და სხვ.) ასეთ შეფასებებს აღარ ვხვდებით, მაგრამ ქართულ-გერმანული ურთიერთობის ხასიათი 1918 წლისათვის მაინც საჭიროებს დამატებით კვლევას.

ჰქონდათ თუ არა საბჭოთა ეპოქის მკვლევრებს რაიმე კონკრეტული საფუძველი საქართველო-გერმანიის ურთიერთობის ხასიათის წარმოსაჩენად გარდა ლენინის ხსენებული პოლიტიკური შეფასებისა?

ძირითადი არგუმენტი, რასაც ისინი ემყარებოდნენ, იყო ზურაბ ავალიშვილის ჩანაწერი მისივე წიგნიდან „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“. მაინც რა წერია ამ ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ?

ზურაბ ავალიშვილი წევრი იყო იმ ქართული სამთავრობო დელეგაციისა, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე გერმანიაში გაიგზავნა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღიარებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის ამ ქვეყნის ოფიციალური მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ქართველი დიპლომატი გვაცნობს თავისი საუბრების შინაარსს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან, რომელთაგან ზოგი ჩვენს ქვეყანაში მონარქიის აღდგენას, ზოგიც პროტექტორატის დაწესებას იმედოვნებდა და სხვ. მაგალითად, დოქტორი სიმონსი ფიქრობდა: „გეოგრაფიული დაშორება რომ ხელს არ უშლიდეს, საქართველოსთვის ყველაზე უფრო მართებული იქნებოდა შესულიყო გერმანიის ფედერაციაში“. იგივე სიმონსი ზ. ავალიშვილის შეკითხვაზე, „როგორ წარმოგიდგენიათ მომავალი გერმანიის წარმომადგენლის მდგომარეობა საქართველოში“ - პასუხობდა: „ფორმალურად იგი ჩვეულებრივი დიპლომატიური წარმომადგენელი იქნება; არსებითად, შეიძლება, უახლოვდებოდეს ინგლისის რეზიდენტს ინდოეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან.“[1] ეს არის და ეს. კონკრეტულ განსახილველ საკითხთან მიმართებით დასახელებულ წიგნში სხვა მეტი არაფერია ნათქვამი, თუ არ ჩავთვლით, რომ გერმანელ მაღალჩინოსან სამხედროთა აზრით (ფონ ლოსოვი და სხვ.), საქართველოსთან კავშირი უნდა იყოს მჭიდრო და საქართველო უნდა დარჩეს სრულიად დამოუკიდებელი.[2]

განვიხილოთ მოკლედ ყველა გამოთქმული თვალსაზრისი.

საქართველოში მონარქიის აღდგენისა და იმპერატორ ვილჰელმ II-ის ერთ-ერთი ვაჟიშვილის გამეფების იდეა გერმანიის სახელისუფლებო წრეებს I მსოფლიო ომის დასაწყისში, ქართული ეროვნული კომიტეტის სახელით, გიორგი მაჩაბელმა შესთავაზა. მაგრამ ცნობილია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ეს საკითხი არც თბილისში და არც ბერლინში სერიოზულად აღარ დასმულა.[3]

ახლა დავუშვათ, რომ ჩვენში მართლაც გამოეგზავნათ რეზიდენტი

---

1 ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ. 112-113.

2 ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ. 109.

3 ჯანელიძე ო., დახვრეტილი თავისუფლება, თბ., 2000, გვ. 26-33.

ან საქართველო აღმოჩენილიყო გერმანიის ქვეშევრდომობაში, ვთქვათ, პროტექტორატის (Schutzstaate) საფუძველზე. სადავო არავისთვის იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ ეს გაცილებით აჯობებდა რუსეთის „ხალხთა საპყრობილეში“ ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს მოკლებულ არსებობას. საქართველო ამ პირობებშიც კი არ იქცეოდა გერმანიის კოლონიურ სამფლობელოდ და მას თუნდაც საშინაო მართვა-გამგებლობის მხრივ, თავისუფალი, ავტონომიური მმართველობა შეუნარჩუნდებოდა. ამასთან, ისიც საგულისხმოა, რომ კაიზერული გერმანია გაცილებით მაღალი კულტურისა და შესაძლებლობების ევროპული წესრიგის ქვეყანა იყო, ვიდრე მეფის რუსეთი და იგი ნაკლებად მიმართავდა დაპყრობილ ხალხთა ასიმილაციას, მაშინ როდესაც შემოერთებულ განაპირა მხარეთა მკვიდრი ერების რუსიფიკაცია ცარიზმისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნა იყო.

მაგრამ, როგორადაც არ უნდა წარმოვიდგინოთ ხსენებული პერიოდის საქართველოს მდგომარეობა გერმანიის მფარველობაში, - ამ ქვეყნის რომელიმე პრინცით თუ რეზიდენტით თბილისში, ეს მაინც საკითხის სუბიექტური გააზრება იქნება და არა სინამდვილის ფაქტობრივი ასახვა. როგორც ითქვა, ასე კაიზერის საგარეო პოლიტიკური უწყების ჩვეულებრივი, რიგითი მოხელენი მსჯელობდნენ. დელეგაციების მეთაურთა დონეზე საქართველო-გერმანიის ურთიერთდამოკიდებულების იურიდიულ ნორმებზე საუბარი არც კი გამართულა, რადგან, მიღწეული შეთანხმებით, გერმანია ცნობდა და აღიარებდა საქართველოს სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. მომზადდა კიდეც გერმანიისა და საქართველოს შორის „სამეგობრო, ეკონომიკური და სამართლებრივი ხელშეკრულება“,[1] თუმცა იგი ხელმოწერილი არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ თვით რაიხსტაგშიც კი, რომლის დეპუტატთა მთელი შემადგენლობიდან, ერთ-ერთი გერმანელი ექსპერტის სიტყვით, ოცდაათიოდე კაცმა თუ იცოდა, სად მდებარეობს საქართველო, დიდი ინტერესი გამოიჩინეს და თანაგრძნობით შეხვდნენ გერმანიასა და საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.[2]

---

1 პაიჭაძე დ., გერმანია-საქართველოს არშემდგარი დოკუმენტი, „ცისკარი“, 2000, #6, გვ. 132.

2 ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ.116; 122.

აქ შეიძლებოდა განგვეხილა 1918 წლის 28 მაისს ფოთში გაფორმებული გერმანია-საქართველოს ხელშეკრულების ცალკეული მუხლები, გაგვეანალიზებინა ისინი და სხვ., მაგრამ ეს ხელშეკრულებაც ორ ქვეყანას შორის ომის მდგომარეობიდან გამომდინარე სამხედრო, ფინანსურ და სავაჭრო პრობლემებს აწესრიგებდა და არ ითვალისწინებდა ურთიერთობის სამართლებრივ პრინციპებს.

1918 წლის ივნისში, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით, საქართველოში შემოვიდა ორი ბავარიული ათასეული 1800 მებრძოლის შემადგენლობით.[1] შენაერთებს თან ახლდა გერმანიის სამხედრო-დიპლომატიური მისია გენერალ ფრიდრიხ ზიგმუნდ კრეს ფონ კრესენშტაინის მეთაურობით, რომელმაც ბინა თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე მუხრანბატონის ყოფილ სასახლეში დაიდო.

„ჩვენ მოვედით თქვენს ქვეყანაში როგორც მეგობრები და დავიცავთ თქვენს ტერიტორიას, შევქმნით ისეთ პირობებს, რომელიც ძლიერ ჰყოფს ქართველ ერს“ - აცხადებდა ფონ კრესი და დასძენდა: „კავკასიის უძველეს მიწაზე ჩვენ მოგვიყვანა არამარტო სამხედრო მიზნებმა, არამედ უდიდესმა სურვილმა, დავეხმაროთ ქართველ ხალხს, აღიდგინოს თავისი ძველი სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა. ჩვენ აქ ვიმყოფებით არა როგორც გამარჯვებულები, არამედ როგორც მეგობრები და ეს არის საფუძველი ჩვენი შემდგომი თანამშრომლობისა.“[2]

თბილისში ჩამოსვლისთანავე გერმანელი ოფიცრები ესტუმრნენ ქართულ სიძველეთსაცავებს, მათ შორის საისტორიო-საეთნოგრაფიო და წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმებს. ყურადღებით გაეცნენ ორნამენტულ კულტურას, ქართულ აღჭურვილობასა თუ ხელნაწერებს და აღფრთოვანებულნი დარჩნენ ნანახით. განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს მოსე თოიძის, ვალერიან გაბაშვილის ტილოებისადმი და სხვ.[3] გერმანალეთა ამ ქცევიდან მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ქვეყანაში შემოვიდა ცივილზებული ერის წარმომადგენლობა, რომელიც დადებითად

1 მოგვიანებით გერმანული კონტიგენტი, რომელიც თითქმის მთლიანად ბავარიული ჯარებისგან შედგებოდა, დაახლოებით 19 ათას მებრძოლამდე გაიზარდა. იხ. ასტამაძე გ., ქართულ-გერმანული ურთიერთობები 1918-1921 წლებში http://german-georgian.archive.ge/ka/blog/5

2 Пипия Г., Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг., М., 1978, ст. 106.

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 30 ივნისი.

იყო განწყობილი დიდი და თვითმყოფადი წარსულის მქონე ქართველი ხალხისადმი, აფასებდა მის ეროვნულ საუნჯეს და მზად იყო ხელი შეეწყო ქართველთა სულიერი კულტურის თუ განათლების შემდგომი ამაღლებისათვის.

საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითიც გამოდგება:

1. საქართველოში მოქმედი გერმანელთა ეროვნული საბჭოსა და ქართველი ინტელიგენციის, განსაკუთრებით გერმანიაში განათლებამიღებული ჩვენი თანამემამულეების ძალისხმევით, 1918 წლის ივლისში თბილისში ჩამოყალიბდა გერმანულ-ქართული კულტურული საზოგადოება. იგი ორი ერის დამეგობრებას, მათ კულტურათა ურთიერთდაახლოებასა და დიალოგს ისახავდა მიზნად. საზოგადოების შექმნას მხარი დაუჭირა როგორც დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ, ისე საქართველოში გერმანიის ოფიციალურმა წარმომადეგნლობამ;[1]

2. გერმანიის მთავრობამ 1918 წლის აგვისტოში ქართველი მოსწავლეებისათვის 10 სტიპენდია დააარსა. თითო მათგანი 15 ათას მარკას შეადგენდა,[2] ბავარიის ეტტალის მონასტერმა კი რამდენიმე ქართველი ბავშვი საკუთარი ხარჯით გიმნაზიაში მიაბარა;[3]

3. ბერლინურმა გამომცემლობამ „დერ ნოიე ორიენტ“ დააფუძნა ქართული სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი „ევროპის მოამბე“, რომლის რედაქტორებად გერმანელ ქართველოლოგ რიჰარდ მეკელაინთან ერთად კონსტანტინე გამსახურდია და გიორგი კერესელიძე მიიწვია.[4]

გერმანელმა სამხედროებმა მალე დაიმსახურეს ქართველთა კეთილგანწყობა. როდესაც ბორჩალოს მაზრაში თურქი ასკერები შემოიჭრნენ, ქართული ნაწილების მხარდამხარ მათ წინააღმდეგ გერმანელი ჯარისკაცებიც აღიმართნენ და მტერი საქართველოს საზღვრებიდან უკუაგდეს. ამ შერკინებას 4 გერმანელის სიცოცხლეც შეეწირა. საქართველოს თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლები თბილისში, ავჭალის ქუჩის მახლობლად, გერმანელთა სასაფლაოზე მიაბარეს მიწას.

---

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., 26 ივლისი.

2 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 27 აგვისტო.

3 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 30 მაისი.

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 1 ნოემბერი.

გერმანელები ფაქტობრივად არ ჩარეულან დემოკრატიული რეს-პუბლიკის მთავრობის არც შექმნასა და არც მის შემდგომ საქმიანობაში. მათ საქართველო არ დაუპყრიათ, პირიქით - გადაარჩინეს იგი ოსმალთა მხრივ დარბევა-განადგურებისაგან და ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცეს, აღედგინა 117 წლის წინ გაუქმებული ეროვნული სახელმწიფოებრიობა.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე რუსულ ისტორიოგრაფიაში საქართველო-გერმანიის ურთიერთობის შესახებ კვლავ დომინირებს საბჭოურ-კომუნისტური შეფასება, მეორდება თვალსაზრისი, რომ საქართველოში გაბატონებული იყო „გერმანული მხედრიონი და მისი ერთგული მოკავშირე გერმანელი კოლონისტები; რომ საქართველო გადაიქცა გერმანიის კოლონიად, სადაც პარპაშებდნენ გერმანელი სამხედრო მეთაურები, ადგილობრივი გერმანელი მრეწველები და მიწათმფლობელები.“ [1]

ცხადია, ეს ყველაფერი გაზვიადებულია. საქართველოში მყოფი გერმანიის სამხედრო კონტიგენტის ზოგიერთი ჯარისკაცის მოქმედებაში მართლაც გამოვლინდა ცალკეული ექსცესი, რაც ობიექტურ გარემოებათა გამო ვერ იქნა აცილებული თავიდან.[2] ეს ამბავი უყურადღებოდ არ დარჩენია ქართულ პერიოდულ პრესას, მათ შორის ყველაზე კრიტიკული ოფიციოზი - გაზეთი „ერთობა“ იყო.

გაზეთის მიხედვით, „გერმანიისაგან მოელოდა ხალხი უკრაინის პურს, შავ ზღვაზე მიმოსვლის გახსნას, ეკონომიკურ შეღავათს, რომელიც დღევანდელ კარჩაკეტილობიდან გამოგვიყვანდა. ...ამის ნაცვლად გერმანია აქ თვით ყიდულობს პურს, ე. ი. იმ სურსათს ხარჯავს, ამცირებს, რომელიც თავისთავად ადგილობრივ მცხოვრებთა გამოსაკვებადაც არ კმარა.“ „ერთობა“ ამხელდა გერმანელ ჯარისკაცთა ქცევაში გამოვლენილ ნეგატიურ ფაქტებსაც, განსაკუთრებით იმ ნაწილების მხრიდან, რომლებიც გერმანელი კოლონისტებით დასახლებულ სოფლებში იყვნენ დაბანაკებული. წერდა: „ის კი არ არის გასაკვირი, რომ

1 Агасиев И. К. Прогерманская политика Грузии в 1918 году: социально-экономические и политические последствия. Вестник Северо-Осетинского государственного университета имени Коста Левановича Хетагурова, 2010, № 2, ст. 37-42. http://elibrary.ru/query_results.asp.

2 დღვილავა დ., საქართველო-გერმანიის ურთიერთობა 1918-1921 წ.წ., საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1997 (ხელნაწერის უფლებით), გვ. 95-99.

გერმანელები იცავენ კოლონისტებს, ხალხის უკმაყოფილებას ბადებს ის გარემოება, რომ ხშირად ეს ჯარი ერევა ნემეც კოლონისტთა და მეზობელ სოფლების ურთიერთობაში, თავისი ძალით ასამართლებს ამათ, არბევს ქართველ, სომხურ ან თათრულ სოფლებს კოლონისტების სასარგებლოთ, თვით ასამართლებს და ახდევინებს მათ ჯარიმას.“ ხსენებული პუბლიკაციის ავტორს არ ღალატობდა ობიექტურობის გრძნობა და დასძენდა: „ის ელემენტები, რომლებიც ასეთ საქციელს იდენენ, ... ჩვენი ღრმა რწმენით, გამონაკლისს შეადგენენ“ და რომ, „გერმანიის მისიამ პირნათლად შეასრულა თავის დაპირებანი: არათუ ოსმალეთი ჩამოგვაშორა, ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობაშიც ხელი შეგვიწყო.“ „გერმანიის შემოსვლით მოტანილ დადებით შედეგებს ოდნავათაც ვერ შეასუსტებს ზემოთ ჩამოთვლილი უარყოფითი მოქმედებანი ზოგიერი ელემენტებისა.“[1]

აქვე უნდა ითქვას, რომ გაჭიანურებული ომის მიერ გერმანიის ჯარების დისციპლინასა და მორალზე დაჩნეული უარყოფით კვალის შესახებ თავის მოგონებებში საუბრობს საქართველოში გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური მისიის ხელმძღვანელი გენერალი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი.

მემუარისტის სიტყვით, საქართველოში შემოსულ ზოგიერთ სამხედრო შენაერთში, კერძოდ ბავარიის მსუბუქ კავალერიაში, პრუსიის მოიერიშეთა ბატალიონში, დისციპლინა მოიკოჭლებდა და რომ ეს უკანასკნელი ნაწილი „თავისი გადაჭარბებული უხეშობით და თავზეხელაღებული საქციელით“ გამოირჩეოდა. ფონ კრესის ინსტრუქციებისა და ბრძანებების მიუხედავად, „ოფიცრებმა სასიკვდილო განაჩენები გამოიტანეს და აღასრულეს, კონტრიბუციები დააწესეს და საცხოვრებლები გადაწვეს, ცალკეული სოფლებიდან საქონელი გამორეკეს და სხვა ამგვარი.“[2] პერიოდული პრესის ცნობით, იყო ასეთი ფაქტიც: ერთ საღამოს ორმა გერმანელმა ჯარისკაცმა, თბილისში, შეურაცხყოფა მიაყენა რამდენიმე ადგილობრივ ქალბატონს. ჯარისკაცები სასწრაფოდ დააპატიმრეს.[3]

---

1 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 25 სექტემბერი.

2 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 114; 121.

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., 3 ოქტომბერი.

ამ ამბების მომსწრე და თვითმხილველი ადამიანები, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წიაღიდან, საღად აფასებდნენ სინამდვილეს. მეტი სიცხადისათვის, დავიმოწმებ სხვადასხვა გამოცემას, რომლებიც იმდროინდელი ქართული პოლიტიკური სპექტრის თვლსაზრისს ასახავს.

„გერმანელების აქ ყოფნის დროს ქართველი ხალხის საქმიანობას... ღრმა რწმენის მადლი ეტყობოდა... სხვები რომ პატივს გვცემდნენ, - ჩვენც ვიმსჭვალებოდით საკუთარის პატივისცემით. გერმანია თავის საქციელით აქ ყველას აჩვენებდა, რომ სახელმწიფოში იმყოფებოდა. ჩვენი ხალხიც იზრდებოდა ამ საჭირო გრძნობასა და შეგრძნებაში“ - წერდა ნაციონალისტთა გაზეთი „სალი კლდე.“[1]

ფედერალისტური „სახალხო საქმე“ მიუთითებდა: „გერმანიის დახმარებას არასოდეს გადაუბიჯებია მეგობრული ურთიერთობის საზღვრებიდან. გერმანელების საქართველოში ყოფნა... სხვა უდიდეს მნიშვნელობასაც შეიცავდა: საერთო რღვევისა და გახრწნის დროს დისციპლინიანი და უაღრესად თავაზიანი ხალხის მეზობლობას უცილობელი კულტურილი მნიშვნელობა ჰქონდა აღმშენებლობით პროცესში მყოფ სახელმწიფოსათვის.“[2]

იგივე აზრისა იყო სოციალ-დემოკრატიული „ბორბაც“. ერთ-ერთ მოწინავეში გაზეთი აღნიშნავდა: „გერმანიის ჯარები ჩვენს ქვეყანაში მოვიდნენ საქართველოს დემოკრატიის ძახილზე. მოვიდნენ ისინი ორი ვალდებულებით: დაეცვათ მტრის შემოსევისაგან საქართველოს რესპუბლიკა და არ გარეულიყვნენ მის შინაურ საქმეში. ...ქართველი ხალხი დაამოწმებს, რომ გერმანიამ აასრულა პატარა საქართველოს მიმართ დაკისრებული ვალდებულებანი და მისი ისტორიის განწირვის ჟამს იხსნა იგი დაღუპვისა და ოსმალეთის მონობისაგან.“[3]

„ქართველობა ვერ დაივიწყებს ჩვენში მყოფ გერმანელ სარდლობასა და საზოგადოდ ჯარის მოღვაწეობას. გერმანელებმა ისეთ ამაგი დასდეს ქართველ ერს, რომელიც არ წარიხორცება მის გულიდან არასოდეს და შთამომავლობას გადაეცემა, ვითარცა სამაგალითო ნიმუში პატიოსნებისა და გულწრფელობისა“ - ხაზს უსვამდა ეროვნულ-დემოკ-

1 გაზ. „სალი კლდე“, 1919 წ., 19 მაისი.

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 26 ოქტომბერი.

3 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 29 ოქტომბერი.

რატიული გაზეთი „საქართველო.“[1]

„პირდაპირი პოლიტიკა, აშკარად მიცემული სიტყვა და ენერგიული დაცვა თავისი სიტყვის, გახდა საფუძველი იმისა, რომ მთელი თავისი აქ ყოფნის დროს გერმანიის სახელმწიფოებრივი ძალა არ გამხდარა სამარედ, არამედ შეიქმნა აკვნად ჩვენი დამოუკიდებლობისა“ - შენიშნავდა თვალსაჩინო სოციალ-დემოკრატი რაჟდენ არსენიძე.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის სპირიდონ კედიას სიტყვით: „საქართველოს ისტორიაში უძვირფასეს მომენტად დარჩება ის, რომ ამ დიდ საქმეში (დამოუკიდებლობის მოპოვებაში, - ო. ჯ.) გვშველოდა გერმანიის ძალა. მისი დახმარებით და მეგობრული ხელის გამოწვდით შიგნით და გარეთ დავდექით მტკიცეთ და ჩვენი ძალა და სხეული თანდათან მაგრდება.“[2]

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ცნობილი პუბლიცისტი არჩილ ჯაჯანაშვილი წერდა: „საქართველოს სოციალ-დემოკრატია თავის მემორანდუმში, რომლითაც ინტერნაციონალის ბიუროს მიმართა, აღნიშნავს, რომ გერმანიამ კეთილსინდისიერად შეასრულა მიღებული ვალდებულება და თავისი ძლიერება საქართველოს საწინააღმდეგოდ არ გამოიყენაო. ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეს არის აზრი არა მარტო სოციალ-დემოკრატიისა, არამედ მთელი ქართველი ხალხისა.“ ა. ჯაჯანაშვილისავე მოწმობით, საქართველოს მთავრობას არც ერთი გერმანელი ჯარისკაცი არ გამოუყენებია სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად. „საქართველოში არც ერთი გერმანული ტყვია არ გასროლილა წესიერების დასამყარებლად.“[3]

ახლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მოვუსმინოთ: „გერმანიის ძველი რეჟიმის ჯარები აქ მოგვეპყრნენ სათუთად და ოდნავად არ შელახეს ჩვენი ერის სუვერენობა“ - აცხადებდა ნოე ჟორდანია საქართველოს პარლამენტის სხდომაზე,[4] მას შემდეგ, რაც ვილჰელმ II-ის მმართველობა დაემხო და გერმანელე-

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 7 ნოემბერი.

2 საქართველოს პარლამენტი, 1918 წ. 26 ოქტომბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 16.

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 1 დეკემბერი.

4 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, ანაწ. 1, საქ. #72, ფურც. 2.

ბი იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ჩვენი ქვეყანა. იგივე აზრი ნ. ჟორდანიას გამეორებული აქვს თავის მოგონებებშიც. მისი სიტყვით: „საქართველოს სუვერენობის ცნობისა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის მაგალითი მოგვცა გერმანიის ჯარების სარდლობამ. „ჩვენ სოციალისტები და დემოკრატები, ისინი მონარქისტები, აზნაურები, განსხვავება პოლიტიკური და იდეოლოგიური იყო დიდი. მიუხედავად ამისა, ჩვენი ურთიერთშორის დამოკიდებულება იყო ლოიალური, მეგობრული, გულწრფელი.“[1]

1920 წელს თბილისში გამოცემულ ნაშრომში - „პატარა წიგნი თანამედროვე საქართველოზე“, ვკითხულობთ: „გერმანია არ ჩარეულა ჩვენს შინაურ საქმეებში და თვისი დაპირებაც ბოლომდის კეთილშობილურად შეასრულა. გერმანიამ იხსნა ჩვენი ხალხი ფიზიკური განადგურებისაგან და ეს უტყუარი ამბავი გადაეცემა ჩვენ შვილიშვილებს.“[2]

ნიშანდობლივია, რომ ეს გულწრფელი სიტყვები საქართველოში დიდი ბრიტანეთის სამხედრო ნაწილების ყოფნის ჟამს გამოითქმებოდა, როდესაც ამ ჯარების სარდლობას მართლაც ჰქონდა გავლენა დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებაზე და გერმანიისადმი მადლიერების საჯაროდ გამოხატვა საშიშიც კი იყო. ამიტომაც მათ მეტი დამაჯერებლობა აქვთ და უფრო სარწმუნოა. ასეთივე დამაჯერებელია 1918 წლის შემოდგომაზე ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროსადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც ხაზგასმულია: „ღირსების საკითხად და ჩვენს ვალად მიგვაჩნია, ინტერნაციონალის წინაშე დავადასტუროთ: საქართველოში გერმანიას არც ღალატითა და არც ძალადობით თავისი ღირსება არ შეურცხვენია, ჩვენი ნდობა თუ საკუთარი ძლევამოსილება ბოროტად არ გამოუყენებია.“[3]

შეიძლება დავიმოწმოთ უცხოელი ავტორებიც. მაგალითად, ამერიკელი ისტორიკოსის ფ. ქაზემზადეს მიხედვით, „მთლიანობაში, გერმანული ოკუპაცია საქართველოსთვის კეთილისმყოფელი გამოდგა.“[4]

---

1 ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 91.

2 პატარა წიგნი თანამედროვე საქართველოზე, თბ., 1920, გვ. 59.

3 Газ, „Борьба“, 1918 г, 3 ноября.

4 ქაზემზადე ფ., ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921, თბ., 2016, გვ. 203.

ბრიტანელი მკვლევარი ჯ. ბრინკლეიც ადასტურებს, რომ ინგლისელების მოსვლამდე საქართველო წარმატებით ატარებდა თავის დამოუკიდებლობას.[1]

აქვე საჭიროდ მიმაჩნია, მოვიხმო კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტიც: მსოფლიო ომში კაიზერისა და ცენტრალურ სახელმწიფოთა მარცხმა გერმანია იძულებული გახადა თავისი შენაერთები საქართველოდან გაეყვანა. მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, 1918 წლის დეკემბრიდან ჩვენში დიდი ბრიტანეთის არმიის პოლკები განლაგდნენ. ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ ხელი შეეშალათ გერმანელებისათვის, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. ქართველობამ ყველაფერი გააკეთა, რომ თავისი მოამაგე გერმანიის მხედრობას უვნებლად დაეტოვებინა რესპუბლიკის ფარგლები. საქართველოს მთავრობის წევრებმა რკინიგზის სადგურზე, დიდძალი ხალხის თანდასწრებით, ღირსეულად გააცილეს თბილისიდან მიმავალი გერმანელი ეშელონები, რომლებსაც სამხედრო სამინისტრომ ქუთაისში გამოსათხოვარი ბანკეტიც გაუმართა. აღსანიშნავია, რომ, განსაკუთრებული მადლიერების ნიშნად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვაში შეტანილი წვლილისათვის გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები თამარ მეფის ორდენებით იქნენ დაჯილდოებულნი.[2] ოკუპანტსა და დამპყრობლებს ასე არ აცილებენ.

ცნობილი ქართველი ემიგრანტი პოლიტიკოსის, ჟურნალისტისა და მკვლევრის ვიქტორ ნოზაძის სიტყვით: „საქართველოდან მეგობარი გერმანიის ჯარის წასვლა დიდი უბედურება იყო ქართველი ერისათვის, რომელსაც გულითადი მფარველი აკლდებოდა.“[3]

დიდი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ გერმანია საქართველოში არც მთლად უანგაროდ მოქმედებდა და მას აქ საფუძვლიანი სტრატეგიული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდა.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ეს ინტერესები არ ლახავდა საქართველოს სუვერენიტეტს და ნაკლებ ეწინააღმდეგებოდა მის ეროვნულ მისწრაფებებს; გერმანია ქართულ სახელმწიფოს თავის არა სატელიტად, არამედ პარტნიორად მიიჩნევდა, რომელთანაც თანამშრომლობა

1 ათანელაშვილი ა., სისხლიანი გაკვეთილები, თბ., 1999, გვ. 31.

2 ჯავახიშვილი ნ., ქართული ფალერისტიკა, თბ., 1995, გვ. 35.

3 ჟურნ. „ქართველი ერი“, 1944, მაისი, # 8/9, გვ. 4-5.

ორივე ქვეყნისათვის მისაღებ და ხელსაყრელ პრინციპს ეფუძნებოდა. ეს კარგად ჩანს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის წიგნიდან, რომელიც ემიგრაციაში - საფრანგეთში დაიწერა და ავტორს გერმანიისადმი ტენდენციურ დამოკიდებულებას არავინ ავალდებულებდა. კ. კანდელაკის სიტყვით: „თუ გერმანელებმა ჩვენში შემოსვლით და აქ ყოფნით იმ დროს რითიმე ისარგებლეს, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ყველაფრის ანგარიში რიგიანად გაასწორეს."[1]

აქვე ერთი საგულისხმო ფაქტიც: გერმანელების საქართველოში ყოფნის პერიოდში მოქმედებდა შეთანხმება, რომლის მიხედვით, დაწესებული იყო ადგილობრივი ფულის ერთეულის - ბონისა და გერმანული მარკის გაცვლითი კურსი თანაფარდობით: 1 მარკა უდრის 1 მანეთსა და 25 კაპიკს. ქართული პრესის თანახმად, ამ კურსით მარკის შეძენა შეეძლო, როგორც მთავრობას, ისე კერძო პირებს და ბონის ინფლაციას არ უმოქმედია გაცვლით კურსზე.[2]

ძნელია გადაჭრით თქმა, როგორ განვითარდებოდა და რა კონკრეტულ სახეს მიიღებდა გერმანია-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულება იგი რომ ხანგრძლივად გაგრძელებულიყო.[3] იმ 6-7 თვის განმავლობაში კი, რასაც ამ ურთიერთობის ისტორია მოითვლის, ეს იყო ორ სახელმწიფოს შორის კეთილგანწყობის, ურთიერთსარგებლიანობაზე დამყარებული საქმიანი თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობის შთამბეჭდავი მაგალითი.

---

1 კანდელაკი კ., საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წგნ. მეორე, პარიზი, 1960, გვ. 184-185.

2 გაზ. „სახალხო საქმე", 1919 წ., 5 ივლისი.

3 მოგვიანებით, 1922 წ. ნოემბერში, მას შემდეგ, რაც რაპალოს ხელშეკრულების განსავრცობად გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის დამატებითი ხელშეკრულება გაფორმდა, ბერლინმა ხელი აიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობაზე. ამ ფაქტის გამო ს. კედია შენიშნავდა: „პირველად მოგვშორდა ის, ვინც პირველად ჩვენთან მოვიდა და გვცნო. ეს იყო გერმანია. ...ცხადია, გერმანიას ეს უკარნახა მისმა ეროვნულმა ინტერესმა. ერთი დეტალი: ჩვენთან მოვიდა მონარქიული გერმანია და ჩვენზე ხელი აიღო დემოკრატიულ-რესპუბლიკანურმა გერმანიამ. მაგრამ ამ საკითხში ამ ორი გერმანიის სხვა და სხვაობას არსებითი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს." იხ. გაზ. „საქართველოს გუშაგი", 1933, პარიზი, #3, თებერვალი.

გენერალ ფონ-კრესის მემუარები და 1918-1921 წლების ქართული სინამდვილე

1943 წლის 12 ოქტომბერს არტილერიის გადამდგარმა გენერალმა ბარონმა ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინმა გერმანიის სახმელეთო ჯარების არქივს გადასცა მოზრდილი ხელნაწერი, რომელიც ასახავდა 1918 წელს სამხრეთ კავკასიაში გამოგზავნილი გერმანიის მისიის საქმიანობას.

ეს დოკუმენტი ამ ამბიდან 6 ათეული წლის შემდეგ ორმა ქართველმა მკვლევარმა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მიუნხენის სამხედრო არქივში მოიძია. ორივე მათგანმა მასალა ყურადღებით შეისწავლა და წყაროს მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებლად მიიჩნია მისი გამოქვეყნება. მათგან დავით პაიჭაძემ კრესის მოგონებები გერმანულად გამოსცა,[1] ხოლო ნოდარ მუშკუდიანმა მოგონებათა თარგმანი შემოგვთავაზა.[2] ორივე გამოცემას წინ უძღვის ისტორიული ნარკვევი, ასევე დართული აქვს შენიშვნები და კომენტარები.[3]

რა ვიცით მოგონებათა ავტორის შესახებ და როგორ აღმოჩნდა იგი საქართველოში?

კრესი წარმომავლობით ნიურნბერგელი წარჩინებული და საკმაოდ ძველი საგვარეულოს შთამომავალი იყო. XIX საუკუნის 10-იან წლებიდან მისი წინაპრები ბარონის ტიტულს ატარებდნენ და დიპლომატიურ თუ მუნიციპალურ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ.

ფრიდრიხ კრესი სამხედრო გზას გაჰყვა და I მსოფლიო ომში პოლკოვნიკის ჩინით ჯერ თურქეთის IV არმიის შტაბის უფროსი იყო, შემდეგ კი სათავეში ედგა მერვე თურქულ არმიას, რომელიც პალესტი-

1 Fridrich Kress Freiherr von Kressenstein, Meine mission im Kaukasus, Herausgegeben und mit einer Einleitung verschen von David Paitschadse, Tbilissi, 2001.

2 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002.

3 საგულისხმო ცნობების შემცველი იქნებოდა გენერლის დღიურიც, მაგრამ მისი 1918 წლის ამსახველი ნაწილი დღემდე მიკვლეული არ არის. იხ. ასტამაძე გ., კრესენშტაინები და კავკასია. უცნობი ფაქტები http://german-georgian.archive.ge/ka/blog/18

ნის ფრონტზე ინგლისელთა წინააღმდეგ მოქმედებდა.[1]

1918 წლის 27 აპრილს კონსტანტინოპოლში გაფორმდა გერმანია-ოსმალეთის საიდუმლო შეთანხმება, რომელიც ორ სახელმწიფოს შორის გავლენის სფეროების განაწილებას ითვალისწინებდა. შეთანხმება მოკლევადიანი იყო, მაგრამ თურქები არ ასრულებდნენ მის მოთხოვნებს და მათთვის ბრესტის ზავით მიკუთვნებული მიწა-წყლის გარდა სხვა ქართული და სომხური ტერიტორიების დაუფლებას ესწრაფვოდნენ.

ასეთ პირობებში ბერლინში გადაწყვიტეს (1918 წლის 13 მაისს) გამოეგზავნათ კავკასიაში სამხედრო ნაწილები და სამხედრო-დიპლომატიური მისია. მთავარი ამოცანა ამ აქციისა თურქების პრეტენზიების შეკავება და რეგიონში გერმანიის გაძლიერებისათვის ნიადაგის შემზადება იყო. გერმანია ფრთხილობდა რუსეთთან დამოკიდებულებაშიც, რათა ამ უკანასკნელს არ დაერღვია ბრესტის ზავის პირობები, მით უფრო, რომ რუსეთს არ ეთმობოდა ბაქო და მისი ნავთობი.

ბათუმის ცნობილმა მოლაპარაკებამ, რომელშიც ოსმალეთისა და ამიერკავკასიის წარმომადგენლობების გარდა გერმანიის დელეგაციაც მონაწილეობდა, ვითარება საქართველოს სასარგებლოდ შეცვალა. გერმანიამ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის გარანტობა იკისრა. ჯარების გამოგზავნა დაჩქარდა. 1918 წლის 8 ივნისს პირველი ეშელონი უკვე საქართველოში იყო.

ზურაბ ავალიშვილის სიტყვით, რომელიც იმხანად ბერლინში იმყოფებოდა, „კრესი გერმანიაში იშვიათ, თვალსაჩინო პიროვნებად ითვლებოდა.“[2] როცა საქართველოში გამოსაგზავნად არჩევანი 40 წლის კრესზე შეჩერდა, მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა კავკასიაში ყოფნის ვადით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კრესმა სამსახური რაიხსვერში განაგრძო და გენერლის სამხრეები უვადოდ დაიმსახურა. 1929 წელს იგი რაიხსვერის მესამე საარმიო ჯგუფის სარდლის თანამდებობას გამოემშვიდობა და თადარიგში გავიდა. გარდაიცვალა 78 წლისა, 1948 წელს.[3]

1 http://www.firstworldwar.com/bio/kressenstein.htm

2 ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ. 109.

3 http://www.eslam.de/begriffe/k/kressenstein.htm

გერმანიის სამხედრო შენაერთებთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა სამხედრო-დიპლომატიური მისია, რომელსაც სათავეში გენერალი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი ედგა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან პირველ შეხვედრაზე კრესმა განაცხადა: „ჩვენ მოვედით თქვენს ქვეყანაში როგორც მებრძოლები და დავიცავთ თქვენს ტერიტორიას, შევქმნით ისეთ პირობებს, რომელიც ძლიერჰყოფს ქართველ ერს. ... კავკასიის უძველეს მიწაზე ჩვენ მოგვიყვანა არა მარტო სამხედრო მიზნებმა, არამედ უდიდესმა სურვილმა, დავეხმაროთ ქართველ ხალხს, აღიდგინოს თავისი ძველი სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა. ჩვენ აქ ვიმყოფებით არა როგორც გამარჯვებულები, არამედ როგორც მეგობრები და ეს არის საფუძველი ჩვენი შემდგომი თანამშრომლობისა.“[1]

კრესმა და მისმა მისიამ საქართველოში 8 თვე დაჰყვეს. როგორც დიპლომატი და უმაღლესი სამხედრო წარმომადგენელი, კრესი სისტემატურად აწარმოებდა დღიურს. მასში ყოველდღიურად შეჰქონდა მნიშვნელოვანი შეხვედრების ამსახველი ცნობები, პირადი შთაბეჭდილებები ნანახისა და განცდილის შესახებ, დაკვირვებები, საქმიანი შენიშვნები და სხვ.

როგორც ცნობილია, მსოფლიო ომში ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკმა მარცხი განიცადა. ამას გერმანიაში ზედ დაერთო რევოლუციაც, რომელმაც კაიზერ ვილჰელმ II-ის ხელისუფლება დაამხო. ასეთ პირობებში გერმანია იძულებული გახდა საქართველოში მყოფი თავისი ჯარები უკანვე გაეწვია.

სამხრეთ კავკასია 1918 წლის ნოემბრის ბოლოდან მოკავშირე სახელმწიფოთა კონტროლქვეშ გადავიდა და რეგიონში ახლა ბრიტანეთის სამხედრო შენაერთები გამოიგზავნა. თბილისიდან მიმავალმა ფონ კრესმა თავისი დღიურები ჩექმის ძირში დამალა, ეშინოდა, რომ ინგლისელებს არ ჩაეგდოთ ხელში, როგორც მამხილებელი ნივთმტკიცება. ბრიტანეთის გენშტაბის ოფიცერს კრესისთვის მართლაც პირადი ჩხრეკა ჩაუტარებია, მაგრამ დღიურები ვერ უპოვია. ასე გადარჩა ეს ძვირფასი მასალა, რომლის საფუძველზე ფონ კრესმა კავკასიაში გერმანიის წარმომადგენლობის მოღვაწეობის ამსახველი, მანქანაზე ნაბეჭდი 95 გვერდიანი ანგარიში შეადგინა, უწოდა მას „ჩემი მისია

1 Пипия Г., Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг. М., 1978, ст. 106.

კავკასიაში“ და 1943 წელს, როგორც აღვნიშნეთ, არქივს ჩააბარა.

ეს დოკუმენტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიისათვის მეტად საგულისხმო პირველწყაროა. ჩვენ არა ვართ განებივრებულნი ამ პერიოდის ამსახველი უცხოელ ავტორთა მემუარული თუ სხვა საარქივო მასალებით. ამდენად, კრესის მოგონებები ძალზე მნიშვნელოვანი და ღირებულია. იგი ავსებს და ამდიდრებს ჩვენს ცოდნას საქართველოს I რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბების, სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების ავ-კარგის, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარეობის, პოლიტიკური პარტიებისა და მათი ლიდერების საქმიანობის, ასევე იმ საშინაო და საგარეო სიძნელეების შესახებ, რომელთა დაძლევა ახლად წარმოშობილი სახელმწიფოს უმთავრეს ამოცანებს წარმოადგენდა.

ჩამოთვლილ საკითხებზე ფონ კრესის შეხედულებები რამდენიმე გარემოების გამოა ფასეული.

1. კრესი მის მიერ აღწერილი ყველა მოვლენისა თუ ამბის ან უშუალო თვითმხილველი და მონაწილეა, ანდა თანამედროვე, რომელსაც თუ პირდაპირი არა, ირიბი შეხება მაინც ჰქონია მათთან.

2. კრესი ჩვენთვის საინტერესო თითქმის ყველა საკითხს მიუკერძოებელი კაცის პოზიციიდან უყურებს, ამიტომაც მისი შეფასებები, რომლებიც დაფუძნებულია პირად შთაბეჭდილებებზე, ფაქტობრივად თავისუფალია ტენდენციურობისაგან. ამის თქმის საფუძველს ისიც იძლევა, რომ ეს მოგონებები გამიზნული არ ყოფილა გამოსაქვეყნებლად და იგი მხოლოდ 1918 წელს წარმოებული დღიურის გავრცობილი ვარიანტია. დღიურებს კი, როგორც წესი, ავტორი თავის გულწრფელ განცდებს, ცინცხალ შთაბეჭდილებებს ანდობს და არა იმგვარ მოსაზრებებს, რომელთა ჩამოყალიბებაზე შემდგომში, შესაძლოა, გავლენა იქონიოს მრავალმა გარემოებამ, მათ შორის სხვათა შეხედულების გაცნობამ, ამა თუ იმ პიროვნებასთან უფრო დაახლოებამ ან დაშორებამ და სხვ.

3. მოგონებები საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ იგი სხვა კულტურის მატარებელ, უცხოელ ადამიანს ეკუთვნის. კრესი ქართველთა ცხოვრება-საქმიანობის ბევრ ისეთ ყოველდღიურ ნიუანსზეც ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც ჩვენსავე მემატიანეს შეიძლება აღნიშ-

ვნის ღირსად არც კი ჩაეთვალა. არადა, სწორედ ამგვარი დეტალები გვეხმარება, უფრო ღრმად ჩავწვდეთ ეპოქის სულს, გავაცოცხლოთ, შინაარსიანი და სახიერი გავხადოთ ისტორია.

4. კრესის მოგონებები გამოირჩევა აგრეთვე ნდობის მაღალი ხარისხით. მემუარისტის მიერ აღწერილი ფაქტების შეჯერება სხვა წყაროებთან, დიდწილად ამ ფაქტების სისწორეს, მათ უტყუარობასა და სიზუსტეს ცხადყოფს.

საქართველოში ჩამოსულ ფონ კრესს კარგად შეუმჩნევია ჩვენი ქვეყნის საუკუნოვანი კოლონიური ყოფის მძიმე მემკვიდრეობა. იგი რამდენიმე ფრაზით, მოკლედ, მაგრამ ზუსტად აღნიშნავს კოლონიური მხარისადმი მეტროპოლიის დამოკიდებულების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებს. მემუარისტის სიტყვით: „მოსახლეობა იტანჯებოდა რუსული ადმინისტრაციის კორუფციის უღელქვეშ. ...ყველა ჩინოვნიკი, მასწავლებელი და ა.შ. კავკასიაში წმინდა სისხლის რუსები იყვნენ; კავკასიელებს მხოლოდ საკუთარი სამშობლოს გარეთ იყენებდნენ სახელმწიფო სამსახურში. ...ვაჭრობას და მრეწველობას, ასევე კავკასიის მდიდარი ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლუატაციას რუსები არა მარტო ახალისებდნენ, არამედ ნაციონალური ეკონომიკის ინტერესებიდან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად ძირს უთხრიდნენ კიდეც“ და სხვ.[1]

მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია გავეცნოთ ფონ კრესის ზოგიერთ შეხედულებას მის თანადროულ ქართულ სინამდვილეზე და ვნახოთ როგორ ასახავს გერმანელი ავტორი აქაურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ რეალობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში.

დავიწყოთ მთავრობით. კრესი წერს: „ყველა მინისტრი, ფინანსთა მინისტრი ჟურულის გამოკლებით, ზომიერ სოციალ-დემოკრატებს - მენშევიკებს წარმოადგენდენ. პროფესიით, უმეტესწილად, ლიტერატორები და ჟურნალისტები [იყვნენ]. თავიანთი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ციმბირში ანდა რუსულ საპყრობილეებში ჰქონდათ გატარებული. ისინი შესანიშნავად განათლებული, კარგად აღზრდილი და

1 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 75-76.

საკმაოდ კარგი საურთიერთო ადამიანები და, ეჭვგარეშეა, კეთილი ნებით ფრთაშესხმული ჭეშმარიტი პატრიოტები იყვნენ.“[1]

აქ აუცილებელია რამდენიმე მცირე კომენტარი: ფონ კრესი ცდება, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას წარმოაჩენს როგორც თითქმის ერთპარტიულს. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, 1918 წლის 26 მაისს შექმნილ საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) დომინანტობდნენ, მაგრამ ყველა მინისტრი მათი პოლიტიკური ორგანიზაციიდან არ ყოფილა შერჩეული. მთავრობა კოალიციური პრინციპით ჩამოყალიბდა და მინისტრების პორტფელები სხვა პარტიების წარმომადგენლებსაც ერგოთ. მათ შორის, გიორგი ჟურული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, ივანე ლორთქიფანიძე (გზათა მინისტრი) ესერთა, ხოლო გიორგი ლასხიშვილი (განათლების) და შალვა ალექსი-მესხიშვილი (იუსტიციის მინისტრი) ფედერალისტურ პარტიას წარმოადგენდნენ.

საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისის შემდგომ, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების - მენშევიკებისათვის დამახასიათებელი იყო ნიჰილიზმი და პრორუსული მიდრეკილებანი, შეიძლება უჩვეულოდ მოგვეჩვენოს კრესის ფრაზა ნოე ჟორდანიას თანაპარტიელი მინისტრების „ფრთაშესხმულ“ და „ჭეშმარიტ“ პატრიოტობაზე. მაგრამ აქ სიმართლე მემუარისტის მხარესაა. ქართველი მარქსისტების ნაწილმა მენშევიკების სახით 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებიდან მოკიდებული კოსმოპოლიტურიდან რომ ეროვნულ ნიადაგზე გადმოინაცვლა, ეს თავის დროზე გერონტი ქიქოძემ შენიშნა. მისი სიტყვით: „როგორც იდეური ბელადი, ჟორდანია, რასაკვირველია, წინ უსწრებს თავის პარტიულ ლაშქარს. მაგრამ მისი პირადი ევოლუცია არსებითად მთელი ქართველი სოციალ-დემოკრატიის ევოლუციაა. მსოფლი ომი და რუსეთის რევოლუცია კარგი სკოლა იყო ამ ხალხისათვის. მათ თანდათან ისწავლეს საკუთარი თვალებით ცქერა და საკუთარი ფეხებით სიარული. ჩვენი სამშო-

1 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 78-79.

ბლოს მზემ ნელ-ნელა გაალხო მათი გაყინული დოგმები.“[1]

ფრანგი პოლკოვნიკის, რემონ დიუგეს სიტყვითაც, რომელმაც წიგნი მიუძღვნა საქართველოს პირველ რესპუბლიკას, „ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გარდატეხის მნიშვნელოვანი გზა გაიარეს. მათ პატივსაცემად უნდა ითქვას, რომ ნელ-ნელა არსებითი ევოლუცია განიცადეს. მათი იდეები, გრძნობები, კონცეფციები უფრო და უფრო ეროვნული ხდებოდა“.[2]

დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლისას სოციალ-დემოკრატებს თავიანთი განვლილი გზა არ დაუგმიათ და ერთბაშად არც ადრინდელ შეხედულებებს გამოსთხოვებიან. კრესის სიტყვით, „პარტიის პროგრამისადმი ანგარიშის გაწევა ხშირად აიძულებდა მინისტრებს, ჯანსაღი აზრის საწინააღმდეგოდ ეთქვათ უარი საჭირო და გამართლებულ ღონისძიებებზე“. მაგრამ, დასძენს უცხოელი ავტორი, „მოვლენებმა მათ ძალიან მალე აუხილა თვალი თეორიასა და პრაქტიკას შორის განსხვავებაზე. ...ჩვენთვის საინტერესო იყო გვენახა, თუ როგორ გახდნენ იძულებულნი, რეალობის და დაკისრებული პასუხისმგებლობის სიმძიმის ზეგავლენით, ხელისუფლებით აღჭურვილი მარქსისტი თეორეტიკოსები ერთმანეთის მიყოლებით გაეწირათ თავიანთი ლოზუნგები და იდეალები.“[3]

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების ამგვარი ტრანსფორმაცია – პარტიული დოგმებიდან ცხოვრებით ნაკარნახევი საკითხებისაკენ შემობრუნება - სხვა წყაროებითაც დასტურდება და ეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია კიდეც. მაგალითად, საქართველოში განხორციელებული აგრარული რეფორმა, რომელმაც მიწაზე კერძო საკუთრება დააკანონა, ძირეულად ეწინააღმდეგებოდა ამ საკითხზე სოციალ-დემოკრატთა პროგრამულ დებულებას[4] და სხვ.

დასამალი არ არის: ქართველი სოციალ-დემოკრატები თავიანთ სამშობლოდ კარგა ხანს რუსეთის იმპერიას მიიჩნევდნენ და მისი

---

1 ქიქოძე გ., ეროვნული ენერგია, თბ., 1919, გვ. 140.

2 რემონ დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ., 1994, გვ. 25.

3 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენსტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 79; 83.

4 ბენდიანიშვილი ა., საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბ., 2001, გვ. 246-247.

დემოკრატიული გარდაქმნისათვის იბრძოდნენ, მაგრამ როცა გამოერკვნენ, რომ „სამშობლო ერთია ქვეყანაზე“ და იგი მათთვის საქართველოა, ახლა საქართველოს სამსახურში ჩადგნენ. სახელმწიფოს გაძღოლაში მმართველი ძირითადი ძალის მიერ დაშვებული ცალკეული შეცდომა არ იძლევა საფუძველს, ეჭვი შევიტანოთ ნოე ჟორდანიას მთავრობის კეთილსინდისიერებასა და ქვეყნისადმი ერთგულებაში. ფონ კრესის მოხმობილი დახასიათება გამოთქმულ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს და დამაჯერებელს ხდის.

მოვუსმინოთ ისევ მემუარისტს. კრესი აღნიშნავს, რომ საქრთველოს მთავრობის წევრებს აკლდათ სახელმწიფო საქმეების გაძღოლის უნარ-ჩვევები. „გამოცდილი რუსი მოხელეები დაუყოვნებლივ განდევნეს და ისინი მოუმზადებელი მმართველებით შეცვალეს, რომლებიც მცირე გამონაკლისის გარდა, თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას ვერ ასრულებდნენ. როგორც ყოველი რევოლუციისას ხდება ხოლმე, მათი შერჩევის დროს გადამწყვეტი იყო არა იმდენად ვარგისიანობა და უნარი, არამედ უფრო მეტად მათი პოლიტიკური პოზიცია,“[1] - ხაზს უსვამს მოგონებათა ავტორი.

ფონ კრესის ეს დაკვირვებაც სინამდვილეს შეეფერება. მეფის რუსეთის მოხელეთა უმეტესობა მართლაც ჩამოაცილეს სახელმწიფო სამსახურს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ჩინოვნიკთა მაღალ საპასუხისმგებელო თანამდებობებზე დატოვება, თუნდაც მათი პროფესიონალიზმის გამო, დიდად გამართლებულ ქმედებად ვერ ჩაითვლება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით ყალიბდებოდა სულ სხვა, რუსეთის კოლონიური უღლისაგან თავდაღწეული ქართული სახელმწიფო, რომლის მოხელეთა აპარატი ძველ იმპერიულ კონტიგენტს ველარ დაეყრდნობოდა. ამიტომ საქართველოს ახალ მესვეურთა გამტყუნება ამ საკითხში სწორი არ იქნება. თუმცა ქართველი სოციალ-დემოკრატები კადრების შერჩევაში ნამდვილად სცოდავდნენ, როცა მოხელეთა აბსოლუტურ უმრავლესობას მხოლოდ თავიანთ პარტიასა და თანამოაზრეთა წრეებში არჩევდნენ. მაგრამ ამგვარი რამ მხოლოდ მათთვის როდი იყო ნიშანდობლივი. თუ თვალს

1 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენსტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 78.

გადავავლებთ საქართველოს დამოუკიდებლობის ხელმეორედ აღდგენის შემდგომ, 1991 წლიდან დღემდე განვლილ ისტორიას, აღმოვაჩენთ რომ, სამწუხაროდ, ყველა ხელისუფლება ამჟამინდელის ჩათვლით ასე მოიქცა. სახელმწიფო სტრუქტურების დაკომპლექტებისას გამოცდილებასა და კომპეტენციაზე მაღლა პიროვნებათა პარტიული კუთვნილება და პირადი ერთგულება დააყენა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მსგავს დახასიათებას სხვა უცხოელი დამკვირვებლის ჩანაწერებშიც ვხვდებით. მაგალითად იმ ხანად საქართველოში მყოფი ცნობილი ფრანგი სამხედრო მოღვაწე რემონ დიუგე შენიშნავდა: „ამ მთავრობის საშინაო პოლიტიკამ არავინ დააკმაყოფილა; მიწებისა და რამდენიმე მომგებიანი ინდუსტრიული საწარმოს ნაციონალიზაციამ მეურნეობა განადგურებამდე მიიყვანა. მენშევიკური ხელისუფლება პარტიულ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ეროვნულს. ...მოსკოვთან ურთიერთობაში ქართული მთავრობა მიამიტი იმედით იკვებებოდა. სჯეროდა, რომ ბოლშევიკებს განსაკუთრებული დამოკიდებულება ექნებოდათ მენშევიკებთან, თავიანთ სოციალისტ ძმებთან.“[1]

საქართველოში მყოფი გერმანიის მისია უყურადღებოდ არ ტოვებდა მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან დაპირისპირებულ პოლიტიკურ პარტიებს, იცნობდა მათ ლიდერებს და თვალს ადევნებდა ოპოზიციურ ძალთა საქმიანობას. ვნახოთ, როგორი წარმოდგენისა იყო ფონ კრესი ქართული ოპოზიციური სპექტრის შესახებ.

კრესს, როგორც მონარქისტული ქვეყნის წარმომადგენელ სამხედროს, სოციალისტებთან შედარებით მეტი სიმპათია მემარჯვენე ორიენტაციის ძალებისადმი უნდა ჰქონოდა და ეს ასეც იყო, მაგრამ მემუარისტს მაღალი აზრი არც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიმართ გააჩნდა. აღნიშნავს, რომ: „პარტიის წევრებს ყოველგვარი ორგანიზატორული ნიჭი, ყოველგვარი ენერგია და შემოქმედებითი ხალისი ეკარგებოდათ და ფუჭსიტყვაობაში იხარჯებოდნენ. ...ნაცვლად იმისა, რომ მკაცრი პარტიული ორგანიზაციის, მიზანმიმართული პროპაგანდის, მათი მისწრაფებების მხარდამჭერი პარტიული პრესის დაფუძნებისათვის სახსრების გამოძებნის საშუალებით პრაქტიკუ-

1 რემონ დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ., 1994, გვ. 7.

ლად ემუშავნათ, ეროვნულ-დემოკრატების მოღვაწეობა უნაყოფო მეოცნებეობით, კრიტიკითა და დეკლარაციებით ამოიწურებოდა. მმართველი პარტიის ტერორით შეშინებულები, ისინი მთელ იმედებს [მაინც] უცხო ძალის დახმარებაზე ამყარებდნენ, უხვნელ-უთესველად სურდათ მოსავლის მოწევა."[1]

ფონ კრესის სიტყვით, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ცდილობდნენ ჩემს წაქეზებას სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ და თავიანთი გეგმების სასარგებლოდ გადაბირებას." ეროვნულ-დემოკრატებსა და მოსახლეობის ფართო ფენებს სჯეროდათ, რომ გერმანელები მათ დაეხმარებოდნენ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ბრძოლასა და საკუთარი ჩამორთმეული ქონების დაბრუნებაში. ისინი ამ იმედებს საჯაროდ გამოთქვამდნენ.[2]

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთდამოკიდებულების გასააზრებლად ძალზე საყურადღებოა ფონ კრესის მოგონებებში დაცული ცნობა, რომელიც უცხო ძალის გამოყენებით არსებული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის მცდელობას შეეხება. კრესი გადმოგვცემს: გერმანულ მისიასთან ახლო მდგომმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა სცადეს ჩვენით ესარგებლათ და არც მალავდნენ, რასაც ჩვენგან მოელოდნენ - ჩვენ მათ სოციალ-დემოკრატიული მთავრობის დამხობაში უნდა დავხმარებოდით. „ეროვნულ-დემოკრატების წარმომადგენლები ცდილობდნენ ჩემს წაქეზებას სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ და თავიანთი გეგმების სასარგებლოდ გადაბირებას."[3]

ეროვნულ-დემოკრატებში ღრმა იმედგაცრუება იჩენდა თავს „იმის გამო, რომ მე საქართველოს საშინაო პოლიტიკურ ამბებში უფრო რა-

1 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 109.

2 Bakradse L., Bericht uber die Taetigkeit der Deutschen Delegation im Kaukasus 1918., „Kaukasische Zeitung", 1998, # 3.

3 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 108.

დიკალურად არ ვერეოდი და მხარს არ ვუჭერდი მათ ბრძოლას სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ.“[1]

ქართულ ოპოზიციურ ძალებში რომ მართლაც იყვნენ მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელისუფლებისაგან სამხედრო ჩარევით ჩამოცილების მომხრენი, მკაფიოდ მოწმობს გიორგი მაჩაბლის ერთი გვიანდელი წერილი სპირიდონ კედიასადმი, რომელიც დაცულია ამ უკანასკნელის პირად არქივში. გიორგი მაჩაბელი იხსენებს თბილისში გამართულ ეროვნულ-პატრიოტული ძალების წარმომადგენელთა (ძირითადად 1914 წელს ევროპაში ჩამოყალიბებული საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრების) შეხვედრას გენერალ ფონ კრესთან და აღნიშნავს: „გახსოვს ჩვენი კრება ტფილისში, როდესაც კრესმა დაგვისვა კითხვა, თუ ჩვენი ჯგუფი რას ჰფიქრობს სოციალისტების მთავრობაზედ და თუ ჩვენ გვსურს მათთან თანამშრომლობა? ...ლეოს (ლეო კერესელიძე გერმანელთა მხარდაჭერით ოსმალეთში შექმნილი ქართული სამხედრო შენაერთის ერთ-ერთი მეთაური იყო, - ო. ჯ.) სიტყვები დღემდის მისტვენენ ყურებში, თუ რა შეცდომას ჩავდიოდით, რატომ არ ვსარგებლობთ გერმანელებით, ჩვენი ლეგიონით და სხვა“[2]

ეხება რა ამ საკითხს, ფონ კრესი შენიშნავს, რომ „ხელისუფლების ასეთი გზით შეცვლა არც გერმანიის და არც საქართველოს ინტერესებს არ შეესაბამებოდა, მით უფრო, რომ ახალგაზრდა რესპუბლიკის თანდაყოლილი ნაკლის გამოსწორებას მემარჯვენეები მმართველ სოციალისტებზე უფრო სწრაფად ვერ შეძლებდნენ.“ კრესი ურჩევდა ოპოზიციას, რომ „საქართველოს საშინაო-პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესება ევოლუციის და არა რევოლუციის გზით იყო შესაძლებელი.“[3]

ყოველივე ამასთან ერთად, კრესს შეუმჩნეველი არ რჩება ხელი-

1 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 108.

2 სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2007, გვ. 47.

3 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 109.

სუფლებასთან ყველაზე უფრო დაპირისპირებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთი, სახელმწიფოებრივად სწორი ტაქტიკური მოქმედება. მოგონებების ავტორი აღნიშნავს: "საშინაო პოლიტიკაში ეროვნულ-დემოკრატები ...მწვავე ოპოზიციაში ედგნენ მთავრობას და მაინც ძალიან მოსაწონი იყო, რომ ყველა ეროვნულ და საგარეო პოლიტიკურ საკითხში ყოველგვარი ოპოზიცია დუმილს ირჩევდა."

ქართულ ოპოზიციურ ძალებთან გერმანიის მისიის დამოკიდებულების საილუსტრაციოდ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც 1933 წელს საბჭოთა პრესაშიც გამოქვეყნდა. ეს არის 1918 წლის 8 სექტემბრით დათარიღებული გენერალ ფონ კრესის მოხსენებითი ბარათი გერმანიის რაიხსკანცლერ გრაფ ფონ გერტლინგისადმი. გენერალი თავის მთავრობას სთავაზობდა: ხალხმა რომ დაინახოს - გერმანია მხოლოდ ერთი - თვით მმართველი პარტიის მხარეზე არა დგას და სურს დაეხმაროს მთლიანად ქართულ სახელმწიფოს, სასურველი იქნება ქვეყნის ხელმძღვანელ პირთა მსგავსად გერმანული ორდენებით ოპოზიციის ლიდერებიც დავაჯილდოთ. კრესი ითხოვდა, განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა „მისი აღმატებულებისათვის ცნობილ ეროვნულ-დემოკრატთა ბელადს სპირიდონ კედიას."[1]

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესზე დაკვირვებამ ფონ კრესს ერთი მწარე სიმართლეც ათქმევინა: „რამდენადაც მგზნებარე იყო ქართველების მისწრაფება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ, იმდენად ნაკლებმომწიფებულნი იყვნენ ისინი აქედან გამომდინარე ამოცანების გადასაჭრელად."[2] კრესს არ ევალებოდა და იგი არც დაინტერესებულა, თუ რით იყო ეს გამოწვეული. ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ საქართველოს ხანგრძლივ სახელმწიფოებრივ წყვეტილზე, რუსეთის იმპერიულ მფლობელობაში მყოფი ქართველი ხალხის სახელმწიფოსაგან გაუცხოებაზე, მმართველობითი აპარატისგან მის სრულ ჩამოშორებაზე, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე სოციალ-დემოკრატთა არაქართულ ცნობიერებასა და აზროვნებაზე და სხვ., მაგრამ ეს იქნე-

1 Газ. „Правда", 1933 г. 1 декабря; გაზ. „კომუნისტი", 1933 წ., 9 დეკემბერი.

2 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენსტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 109.

ბა პრობლემის ახსნის მცდელობა, რაც ვერაფრით შეცვლის თვით ფაქტს, რომელმაც, რა თქმა უნდა, თავისი უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს შემდგომ ბედზეც.

დაზუსტებას საჭიროებს გერმანელი ავტორის ერთი ცნობა, რომ თითქოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს სათავეში ედგა ირაკლი წერეთელი.[1] სინამდვილეში, ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე იყო ნოე ჟორდანია, ხოლო 1919 წელს არჩეულ დამფუძნებელ კრებას ხელმძღვანელობდა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე.

სწორ თვალსაზრისს ავითარებს გენერალი კრესი საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო მშენებლობის, კერძოდ, შეიარაღებული ძალების ფორმირებასთან დაკავშირებითაც. წერს, რომ „ქართული არმია 10 ათას კაცს შეადგენდა და 100-ზე მეტი ქვემეხი ჰქონდა შეიარაღებაში. მისი საბრძოლო თვისებები არაჩვეულებრივად მცირე გახლდათ. რევოლუციური ზეგავლენის წყალობით, არმიაში დისციპლინა მთლიანად მოშლილი იყო: ჯარისკაცები უგულისყუროდ ეკიდებოდნენ თავიანთ სამხედრო ჩაცმულობასა და გარეგნულ იერსახეს, არ ესალმებოდნენ თავიანთ ოფიცრებს და ამ უკანასკნელთ აშკარად ეშინოდათ თავიანთი ხალხის.“[2]

კრესი ყურადღებას ამახვილებს ერთ, მისთვის უჩვეულო, მაგრამ ჩვენთვის არც თუ უცნობ გარემოებაზეც. მივაქციოთ ყურადღება მემუარისტის ნათქვამს: „ქართველობის მიერ ჩემთვის საექსპერტიზოდ წარმოდგენილი სამხედრო სამინისტროს ორგანიზაციის გეგმა პატარა არმიისათვის ითვალისწინებდა – ნამდვილად აღმოსავლური ხელგაშლილობით – ძალიან დიდსა და ძვირადღირებულ აპარატს.“ სწორედ ამიტომაც – „მუშაობა არმიის რეორგანიზების ხაზით ნელა მიიწევდა წინ“, თუმცა ბოლოს დაგვიჯერეს და ჩვენი ზეწოლით საქმე მაინც იმდენად წარმატებით განვითარდა, რომ ქართველებმა საკუთარი ძალებით შეძლეს სომხების უკუგდება, როცა მათ გერმანიის ჯარების თბილისიდან წამოსვლის მეორე დღეს მოღალატურად და

1 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენსტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 79.

2 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენსტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 80.

ომის გამოუცხადებლად გადმოლახეს საქართველოს საზღვარი.“[1]

საქართველოს მეფის რუსეთის არმიაში ნამსახური, ომებში გამოწრთობილი მრავალრიცხოვანი გენერალიტეტი და ოფიცრობა ჰყავდა. ამ პროფესიონალ სამხედროთა დიდი ნაწილი უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს სამსახურში და მზადყოფნა გამოთქვა, თავისი წვლილი შეეტანა ქართული შეიარაღებული ძალების მშენებლობაში. სამწუხაროდ, ქართული რეგულარული ჯარის ფორმირება ფინანსური დეფიციტის, საგარეო გართულებებისა და სამხედრო შეტაკებების ვითარებაში (ომი სომხეთთან, თავდაცვა ოსმალთა თუ დენიკინის შემოტევისაგან, საბჭოთა რუსეთის აგრესია), ნაჩქარევად წარმოებდა, ხარვეზებიც ახლდა, თუმცა მაინც მოხერხდა ბრძოლისუნარიანი და მობილური, 34-36 ათას კაციანი არმიის ჩამოყალიბება.[2]

კრესი სწორედ შენიშნავს, რომ ქართველებს სომხებზე მიღწეული გამარჯვების გამოყენებაში ინგლისელებმა შეუშალეს ხელი.[3] მართლაც, 1918 წლის 9 დეკემბრიდან მიმდინარე სომხეთ-საქართველოს ომი, რომელიც ბორჩალოს რაიონში სომხური ჯარების შემოჭრით დაიწყო, მალე ქართველთა უპირატესობაში გადაიზარდა. შულავერთან გადამწყვეტ ბრძოლაში მოწინააღმდეგემ მიატოვა პოზიციები და უკან დაიხია. სწორედ ამ დროს მოკავშირეთა არმიის სარდლობამ მედიატორობა იკისრა. მისი შუამავლობით, 1918 წლის 31 დეკემბერს საომარი მოქმედებები შეწყდა.

სამხედრო ამბებზე კრესის შეხედულებები სრული არ იქნება, თუ არ დავიმოწმეთ მისი მკაფიოდ უარყოფითი აზრი სახალხო გვარდიის შესახებ. მთავრობა ეყრდნობოდა „წითელ გვარდიას, რომელიც

1 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენსტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 91.

2 საქართველოს შეიარაღებული ძალები რეგულარული არმიისა და სახალხო გვარდიის ნაწილებისაგან შედგებოდა. პირველი დაახლოებით 26 ათას, ხოლო მეორე 8-10 ათასს კაცს მოითვლიდა. იხ. Силакадзе Дм., К вопросу о численности вооруженных сил Грузии перед началом войны с Советской Россией в 1921г. Кавказский сборник, т. 8 (40), М., 2014, ст. 239.

3 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენსტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 125.

რევოლუციური ჯარის ყველაზე უარესი სახეობა იყო“, წერს კრესი. გვარდიას „თავის დროზე ქვეყანაში ბოლშევიკური ელემენტების განადგურებაში გარკვეული დამსახურება მიუძღოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ქვეყნის გვემად და ვაებად გადაიქცა“. გვარდია „თავის რიგებში უბოროტეს ელემენტებს აერთიანებდა, ყოვლად უსირცხვილო, პრეტენზიულ მოთხოვნებს აყენებდა ანაზღაურებისა და სურსათ-სანოვაგის თაობაზე, ...ატერორებდა ქვეყანასა და მთავრობას ყველაზე საშინელი ფორმით. ...ყველა რესტორანსა და სასადილოს გვარდიის სასარგებლოდ 20%-იანი გადასახადი ჰქონდა შეწერილი“ და სხვა.[1]

სახალხო გვარდიას უფრო ნეგატიურად ახასიათებს და „პრეტორიანულს“ უწოდებს ზემოთ ნახსენები ფრანგი ავტორი რემონ დიუგე. მისი სიტყვით: „წითელ გვარდიაში რეალურად არავითარი წესრიგი არ ყოფილა. იყო „საკუთარი გუნება-განწყობილების დისციპლინა.“. ...გვარდია იყო სრულიად არაეფექტური ორგანიზმი. ...ქართულ გვარდიას ჰქონდა არა მარტო ყველა ეპოქის ეროვნული გვარდიის ხარვეზები, არამედ ნელ-ნელა შეიძინა სოციალისტური გვარდიის მანკიერებანიც.“[2]

სახალხო გვარდიის, როგორც მებრძოლი სამხედრო შენაერთის ხარვეზებზე და რეგულარულ არმიასთან მისი თანაარსებობის უარყოფით შედეგებზე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის არსებობის პერიოდში საუბარი ქართულ წყაროებშიც მრავლად გვხვდება. ამ მხრივ აღსანიშნავია გენერლების გიორგი კვინიტაძისა და გიორგი მაზნიაშვილის, პოლიტიკურ მოღვაწეთა – რევაზ გაბაშვილის, დათა ვაჩნაძისა და სხვათა მოგონებები.

ცნობილია, რომ ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს მიღებული დამოუკიდებლობის აქტით, საქართველო საერთაშორისო ომიანობაში ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადა. ამასთან დაკავშირებით გენერალი ფონ კრესი მიუთითებს: „ქართველი სოციალ-დემოკრატები გარედან მიმართული ყველა საშიშროებისაგან თავდაცვას იმით

1 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 79-80.

2 რემონ დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ., 1994, გვ. 18-19.

ფიქრობდნენ, რომ ნეიტრალიტეტი გამოეცხადებინათ და ეს მეზობლებისათვის ოფიციალურად ეცნობებინათ.“ მაგრამ მალე „საკუთარ ტყავზე იწვნიეს, რომ კეთილს არ ძალუძს მშვიდობაში იცხოვროს, როცა ეს ბოროტ მეზობლებს არ მოსწონთ.“[1] უნდა დავეთანხმოთ ბევრის მნახველ და გამოცდილ უცხოელ მოღვაწეს.

ისეთ რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში, როგორიც სამხრეთ კავკასიაა, სადაც უძველესი დროიდან იკვეთებოდა და დღესაც ერთმანეთს ეჯახება დიდ სახელმწიფოთა სტრატეგიული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინტერესები, ნეიტრალიტეტი თავდაცვის ეფექტური საშუალებად ვერ ჩაითვლება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის მისი განხორციელებაც ერთობ არარეალური ჩანდა, თუმცა მიმდინარე მსოფლიო ომში ქართული სახელმწიფოს მშენებელთა სამშვიდობო მისწრაფებას ნამდვილად ცხადყოფდა.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ფონ კრესის დაკვირვება აფხაზეთთან საქართველოს ხელისუფლების ურთიერთობაზეც. მემუარისტის სიტყვით: „აფხაზეთის მთელი მოსახლეობა ქართველების მხარეს იდგა, მხოლოდ ზოგიერთმა მსხვილმა მიწათმფლობელმა, რომელთაც თბილისის სოციალისტური მთავრობის მიერ მათი სამფლობელოების კონფისკაციის ეშინოდათ, მიმართეს თურქეთს დახმარებისათვის.“[2]

იმ დროისათვის აფხაზეთის მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაცია ერთგვაროვანი არ ყოფილა. მხარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში რამდენიმე მიმდინარეობა გამოიყოფოდა. ერთი პროოსმალურ ორიენტაციას ამჟღავნებდა, მეორე სიმპათიას მთიელთა კავშირისადმი იჩენდა, მესამე ბოლშევიკურ მოწოდებებს თანაუგრძნობდა. არსებობდა აფხაზეთის დამოუკიდებლობის მომხრე ჯგუფიც. მთელი სამურზაყანო, გუდაუთელ გლეხთა და სოხუმის მუშათა ნაწილი კი საქართველოსთან შეერთებას მოითხოვდა.

გერმანელთა საქართველოში ყოფნის პერიოდში, კერძოდ 1918

1 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 83.

2 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 88.

წლის 6 ივნისიდან თბილისში მიმდინარეობდა მოლაპარაკება აფხაზთა სახალხო საბჭოს დელეგაციასა და საქართველოს მთავრობას შორის, რომელიც 11 ივნისს ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასრულდა. ამ დოკუმენტის ძალით, აფხაზეთი რჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში და მას ენიჭებოდა სრული შინაგანი ავტონომია. საქართველოს მთავრობა კისრულობდა, სამხედრო-ეკონომიკური დახმარება გაეწია აფხაზეთისთვის, რომლის პოლიტიკური მოწყობის საკითხი უახლოეს მომავალში დემოკრატიულ საწყისებზე მოწვეულ მთელი მოსახლეობის ყრილობას უნდა გადაეწყვიტა.

კრესის მოგონებები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველო-გერმანიის ეკონომიკური ურთიერთობის წარმოსაჩენად. ჩვენ აქამდე ვიცოდით ამ ორ ქვეყანას შორის 1918 წლის 28 მაისს ფოთში ხელმოწერილი ხელშეკრულებები, ასევე იმავე წლის ოქტომბერში გერმანიაში მყოფი ქართული დელეგაციის მიერ (აკაკი ჩხენკელი, ნიკო ნიკოლაძე, ზურაბ ავალიშვილი და სხვ.) მიღწეული შეთანხმებები, რომლებიც გერმანიაში განვითარებული მოვლენების გამო ძალაში აღარ შესულა.[1]

კრესის თანახმად, საქართველოში დიპლომატიურ მისიასთან ერთად მოვლინებულმა გერმანული მძიმე მრეწველობის წარმომადგენელმა დოქტორმა კინდმა მოახერხა საქართველოს მთავრობასთან ეკონომიკური ხასიათის მთელი რიგი ხელშეკრულებების ხელმოწერა, რომლებიც ერთნაირად მომგებიანი იყო ორივე ქვეყნისათვის. ამ ხელშეკრულებების მიხედვით, გერმანულ-ქართულ შერეულ კომპანიებს, რომლებშიც გერმანული მრეწველობა 51 %-ით იყო წარმოდგენილი ...ფოთის ნავსადგურისა და ჭიათურისკენ მიმავალი რკინიგზის განშტოების რეკონსტრუქცია უნდა ჩაეტარებინათ, უპირველეს ყოვლისა კი მარგანეცის ყველა შახტის ...მოდერნიზაცია და რაციონალური დამუშავება უნდა უზრუნველეყოთ."[2] სამწუხაროდ, გერმანიის დამარცხებამ ეს წამოწყებანიც განუხორციელებელი გახადა.

---

1 ჯანელიძე ო., ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები), თბ., 1999, გვ. 37.

2 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 121-122.

ფონ კრესს იშვიათად ღალატობს ობიექტურობა, იგი არ ცდილობს შეალამაზოს სინამდვილე და პირდაპირ აღნიშნავს, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში ფეხი მოიკიდა „არც თუ მთლად არასწორმა აზრმა“, რომ „ჩვენ, გერმანელები, მათ ქვეყანას სისხლსა ვწოვთ და მათთვის ამის გამო არაფრის მიცემა არ გვინდა. რადგან ჩვენ მხოლოდ ვყიდულობდით და არაფერს ვყიდდით.“[1] მართლაც, გერმანელების საქართველოში ყოფნის პერიოდში ვერ მოხერხდა, რომ გერმანიიდან აქ თუნდაც ფართო მოხმარების საგნები მაინც გამოეგზავნათ, რომლის დეფიციტი მეტად საგრძნობი იყო, მაგრამ ამასთანავე გასათვალისწინებელია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის თვალსაზრისიც, რომელიც მან ემიგრაციაში გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში შემდეგნაირად გამოთქვა: „თუ გერმანელებმა ჩვენში შემოსვლით და აქ ყოფნით იმ დროს (იგულისხმება 1918 წელი, - ო. ჯ.) რითიმე ისარგებლეს, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ყველაფრის ანგარიში რიგიანად გაასწორეს.“[2] მართლაც, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ გერმანია საქართველოში არც მთლად უანგაროდ მოქმედებდა და მას აქ საფუძვლიანი სტრატეგიული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ეს ინტერესები არ ლახავდა საქართველოს სუვერენიტეტს და ნაკლებ ეწინააღმდეგებოდა მის ეროვნულ მისწრაფებებს.[3]

მემუარისტი არ მალავს, რომ გაჭიანურებულმა ომმა გერმანიის ჯარების დისციპლინასა და მორალს თავისი კვალი დააჩნია, საქართველოში შემოსულ ზოგიერთ სამხედრო შენაერთში, კერძოდ ბავარიის მსუბუქ კავალერიაში, პრუსიის მოიერიშეთა ბატალიონში, დისციპლინა მოიკოჭლებდა და რომ ეს უკანასკნელი ნაწილი „თავისი გადაჭარბებული უხეშობით და თავზეხელაღებული საქციელით“ გამოირჩეოდა. ფონ კრესის ინსტრუქციებისა და ბრძანებების მიუხედავად, „ოფიცრებმა სასიკვდი-

1 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 96-97.

2 კანდელაკი კ., საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წგნ. მეორე, პარიზი, 1960, გვ. 184-185.

3 Janelidze O., Zum Charakter der Beziehungen zwischen Georgien und Deutschland in jahre 1918, Georcica, Aachen, 2005, # 28, p. 69-77.

ლო განაჩენები გამოიტანეს და აღასრულეს, კონტრიბუციები დააწესეს და საცხოვრებლები გადაწვეს, ცალკეული სოფლებიდან საქონელი გამორეკეს და სხვა ამგვარი.“ გერმანელთა ავტორიტეტს საქართველოში, გენერლის სიტყვიით, „ყველაზე მეტ ზიანს მაინც ის ხშირი ამბები აყენებდა, როცა მაგარ კავკასიურ ღვინოებს შეუჩვეველი გერმანელი ოფიცრებისა და ჯარისკაცების სიმთვრალე საყოველთაო უსიამოვნო აყალ-მაყალს იწვევდა.“[1] ამგვარი ექსცესების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის ყველა წრე გერმანელთა მიმართ სიმპათიას გამოხატავდა. ქართველთა კეთილგანწყობა გერმანელებმა საქართველოს თავისუფლების შენარჩუნებისათვის დაღვრილი სისხლით დაიმსახურეს. ცნობილია, როდესაც ბორჩალოს მაზრაში თურქი ასკერები შემოიჭრნენ, ქართული მხედრობის მხარდამხარ მათ წინააღმდეგ გერმანელი ჯარისკაცებიც აღიმართნენ და მომხდურნი საქართველოს საზღვრებიდან უკუაქციეს. ამ ბრძოლას რამდენიმე გერმანელის სიცოცხლეც შეეწირა.[2] ამასთან, ანგარიში ეწეოდა იმ გარემოებასა, რომ გერმანელები არ ჩარეულან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საქმიანობაში. გაზეთ „სალი კლდის“ პუბლიცისტის სიტყვით, „გერმანია თავის საქციელით აქ ყველას უჩვენებდა, რომ სახელმწიფოში იმყოფებოდა. ...სხვები რომ პატივს გვცემდნენ, - ჩვენც ვიმსჭვალებოდით საკუთარის პატივისცემით. ...ჩვენი ხალხიც იზრდებოდა ამ საჭირო გრძნობასა და შეგრძნებაში.“[3]

ყოველივე ამის მიუხედავად, ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია თვალსაზრისი, თითქოს გერმანულ საექსპედიციო კორპუსს საქართველო „ნ. ჟორდანიასა და მისი გუნდის პოლიტიკური სიბეცის“ გამო დაეტოვებინოს,[4] ეს უსაფუძვლო შეხედულებაა. გერმანიამ საქართველოდან თავისი ჯარის ნაწილები მსოფლიო ომში განცდილი მარცხისა და საკუთარ ქვეყანაში მომხდარი რევოლუციის გამო გაი-

1 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 114; 121.

2 Janelidze O., Zum Charakter der Beziehungen zwischen Georgien und Deutschland in jahre 1918, Georcica, Aachen, 2005, # 28, p. 73-74.

3 გაზ. „სალი კლდე“, 1919 წ., 19 მაისი.

4 ურუშაძე ლ., როგორ არ უნდა იწერებოდეს ისტორია, თბ., 2011, გვ. 31; 36; 44.

ყვანა და არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მოთხოვნით.

გენერალი ფონ კრესი ეხება რა ამ საკითხს, აღნიშნავს: „ევროპის და აზიის სამხედრო მოქმედებათა არენაზე მიმდინარე მოვლენები, ბულგარეთის მარცხი, პალესტინის და სირიის დაკარგვა, უიმედო მდგომარეობა ჩვენს დასავლეთ ფრონტზე და ამასთან ერთად - გერმანიაში პარლამენტური სისტემის შემოღება ჩვენს მდგომარეობაზე მოქმედებდა. ...დღითიდღე უარესდებოდა ჩვენი და საქართველოს მთავრობის ურთიერთდამოკიდებულება."[1] მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება არ გამხდარა მიზეზი გერმანელების საქართველოდან გამგზავრებისა. მას შემდეგ, რაც 1918 წლის 9-10 ნოემბერს გერმანიაში რევოლუცია განხორციელდა, კაიზერი ვილჰელმ II ტახტიდან გადადგა და ქვეყანაში რესპუბლიკური მმართველობა გამოცხადდა, 11 ნოემბერს კი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერა კომპიენის ცნობილ დაზავებას, კავკასიაში მყოფმა გერმანიის ჯარების სარდლობამ გენერალური შტაბისაგან მიიღო ჰინდენბურგის ბრძანება, „სწრაფი ევაკუაციის" თაობაზე."[2]

ამ მოვლენების შემდეგ ფონ კრესი ეწვია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და განუცხადა, რომ „გერმანიას მეტად აღარ აინტერესებს თავისი დელეგაციის შემდგომი ყოფნა კავკასიაში." ნოე ჟორდანიამ „დაჟინებით მთხოვა, საქართველოს გულისათვის იმდენ ხანს დავრჩენილიყავი თბილისში, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა", - წერს კრესი.[3] მემუარისტი არც იმას მალავს, რომ ანტანტის წარმომადგენლებმა, რომლებიც თბილისში უკვე 1918 წლის დეკემბრის დასაწყისში გამოჩნდნენ, „საქართველოს მთავრობას თავხედურად მოსთხოვეს ყველა გერმანელის

1 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 121.

2 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 122.

3 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 123-124.

დაუყოვნებლივ გაძევება ქვეყნიდან, მაგრამ ჟორდანიასაგან, ჩვენდა სასიამოვნოდ, მტკიცე უარი მიიღეს“, ხოლო მოსახლეობის ყველა წრემ იმ დღეებში „დაგვიდასტურა ჩვენდამი გულღია სიმპათია.“[1]

ფონ კრესის სიტყვით, მიუხედავად იმისა რომ, გერმანელები საქართველოში თავს კარგად გრძნობდნენ („მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე არ მიცხოვრია ისე კარგად, როგორც თბილისში ხანმოკლე ყოფნისას“), ჯარისკაცებში სამშობლოში დაბრუნების საყოველთაო სურვილმა ყველაფერს გადასძალა და უკვე დეკემბრის დამდეგს პირველი სამხედრო ნაწილები ფოთიდან ოდესის მიმართულებით გავგზავნეთო.[2]

ჩვენი ქვეყნის ფარგლებიდან გერმანელთა სწრაფი ევაკუაცია იმითაც იყო განპირობებული, რომ აქეთ მოკავშირეთა არმიის შენაერთები მოემართებოდნენ, მათ კი შეეძლოთ ხიფათი შეექმნათ მოწინააღმდეგე ქვეყნის სამხედრო დაჯგუფებისათვის.

საგულისხმოა ისიც, რომ გერმანიამ თავისი ჯარების საქართველოდან გაყვანის წინ მძიმე შეიარაღება, მოწყობილობები და ცხენები ქართველებს გადასცა[3] (მსგავსი რამ მოგვიანებით არც ინგლისელებს გაუკეთებიათ და არც რუსებს XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე). ცხადია, გერმანელები ასე არ მოიქცეოდნენ თუ მათ აქედან წასვლას ქართველები აიძულებდნენ.

საქართველოს, როგორც ახლად შექმნილი პატარა და სუსტი სახელმწიფოს არჩევანი არ ყოფილა რომ, როცა მისი სამხედრო მინისტრი გერმანელებს აცილებდა, იმავდროულად სხვა მინისტრები ინგლისელებს მიღების სადილს უმართავდნენ.[4]

---

1 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 124.

2 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 105; 123.

3 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 123.

4 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო

გერმანიის სამხედრო ყოფნას საქართველოში ფონ კრესი მთლიანობაში დადებითად აფასებს. მისი სიტყვით: „გერმანიისათვის დიდ და პოზიტიურ წარმატებად ...უნდა ჩაგვეთვალა, რომ კავკასიის ხალხებთან და განსაკუთრებით ქართველებთან, ჩვენდამი – გერმანელებისადმი მეგობრობის, სიმპათიისა და ნდობის ძალიან მნიშვნელოვანი კაპიტალი შევიძინეთ, რაც ჩვენთვის სწორად გამოყენებისა და სწორი პოლიტიკისას ამ ომშიც (იგულისხმება II მსოფლიო ომი, - ო.ჯ.) დიდად სასარგებლო შეიძლებოდა ყოფილიყო."[1]

მკვლევარ გ. ასტამაძის სიტყვით, „კრესმა იმდენად კარგი სახელი დატოვა საქართველოში, რომ მოგვიანებით, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისას, ქართველებს დიდი სურვილი ჰქონდათ საქართველოში გერმანიის ელჩად სწორედ კრესი დანიშნულიყო".[2]

მართალია, გერმანიასა და საქართველოს შორის ინტენსიური სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობა 1918 წლის ბოლოდან ვეღარ განვითარდა, მაგრამ ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობა არ შეწყვეტილა. 1920 წლის სექტემბერში გერმანიამ საქართველოს სუვერენიტეტი დე იურედ აღიარა.

აჯამებს რა თავისი მისიის შედეგებს რეგიონში, გენერალი ფონ კრესი დაასკვნის: „გერმანიის იმპერიის დამარცხებამ ხელი შეუშალა იმ მატერიალურ მიღწევათა გამოყენებასა და განზოგადებას, რაც ჩვენი მოღვაწეობის ნაყოფი იყო კავკასიაში და პირველ ყოვლისა, მომავლისათვის ბევრს გვპირდებოდა."[3]

ფონ კრესის მოგონებების წიგნი საქართველოს გარდა საგულისხმო ინფორმაციას შეიცავს აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების მდგომარეობის შესახებაც 1918 წლის მეორე ნახევარში.

ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 126.

1 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 136.

2 ასტამაძე გ., ქართულ-გერმანული ურთიერთობები 1918-1921 წლებში http://german-georgian.archive.ge/ka/blog/5

3 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 136.

ევროპული ღირებულებები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტთაგან უმთავრესი ქართული სახელმწიფოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხია. ეს სტრუქტურები დასავლური ღირებულებების ერთგულებაზე დაფუძნებული გაერთიანებებია და მათთან დამაკავშირებელი გზა სწორედ ამ ფასეულობების გაზიარებასა და დამკვიდრებაზე გადის. დასახული მიზნის მიღწევაში გარკვეული წვლილი საისტორიო მეცნიერებასაც შეუძლია შეიტანოს. ამ მხრივ საგულისხმო იქნება ობიექტურად აღიწეროს საქართველოს პირველი რესპუბლიკის სინამდვილე, უფრო სრულად წარმოჩინდეს და გაანალიზდეს მაშინდელი ქართული გამოცდილება.

ევროპის ცივილიზებულ ერთა ოჯახში შესვლა და დამკვიდრება დიდმნიშვნელოვანი ამოცანა იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის 1918-1921 წლებშიც. დღეს ამ დიდ თანამეგობრობაში გაერთიანების ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ სახელმწიფო აკმაყოფილებდეს დემოკრატიული განვითარების მოთხოვნებს. საუკუნის წინათ ამგვარი მოთხოვნები მკაფიოდ ფორმულირებული არ ყოფილა, მაგრამ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღიარებული და დაცული იყო მრავალი ის ღირებულება, რომელიც დასავლური დემოკრატიის საფუძვლად მიიჩნევა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკა საპარლამენტო წარმომადგენლობით დემოკრატიად უნდა განვიხილოთ, რადგან „ერის ხელმწიფებას“ პარლამენტი ახორციელებდა. სახელმწიფოს მეთაური იყო მთავრობის თავმჯდომარე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო ერთი წლის ვადით ირჩევდა და მას რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის სტატუსსაც ანიჭებდა. ჩამოყალიბების დღეს, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კოალიციური პრინციპით შედგა, მაგრამ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ (1919 წლის თებერვალი), ეს პრინციპი უკუგდებულ იქნა. არჩევნები სოციალ-დემოკრატებმა დიდი უპირატესობით მოიგეს და

130 მანდატიდან 109-ს დაეუფლნენ. გამარჯვებულმა ძალამ აღარ ჩათვალა საჭიროდ მინისტრთა პორტფელების ოპოზიციის წარმომადგენლებისათვის დათმობა და აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად თავისი პარტიის წევრებით დააკომპლექტა.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები დემოკრატიულ საფუძველზე ჩატარდა. დეპუტატები პროპორციული სისტემით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით აირჩიეს. საარჩევნო ხმით ოცი წლის ასაკს მიღწეული ორივე სქესის მოსახლეობა თანაბრად სარგებლობდა. ეს იმ ფონზე, როდესაც არჩევნების საყოველთაობა და მათ შორის ქალებისათვის როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება ბევრ დაწინაურებულ სახელმწიფოში ჯერ კიდევ არ ყოფილა დამკვიდრებული. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში 5 ქალი იყო არჩეული. საგულისხმოა ისიც, რომ საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას გაითვალისწინეს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა და არჩევნების პროცედურასთან დაკავშირებული ზოგიერთი მასალა, მათ შორის, დეპუტატობის კანდიდატთა პარტიული სიები და საარჩევნო ბიულეტენები ეროვნულ უმცირესობათა - სომხურ, რუსულ, აზერბაიჯანულ ენებზეც თარგმნეს და დაარიგეს.

საქართველოს ეროვნულ საბჭოში, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში პოლიტიკური პარტიების, კულტურულ, საგანმანათლებლო, კომერციულ და სხვა დაწესებულებათა წარგზავნილებისაგან დაკომპლექტდა, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს 26 ადგილი ჰქონდათ დათმობილი (სომხებს - 10, თათრებს - 4, აფხაზებს - 3, რუსებს - 2, ოსებს - 2, ქართველ ისრაელებს - 2, ებრაელებს - 1, ბერძნებს - 1 და გერმანელებს - 1.[1]

1919 წელს არჩეულ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით დეპუტატები გახდნენ ებრაელი, აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი, ბერძენი, გერმანელი, აისორი, აფხაზი და ოსი ეროვნების მოქალაქეებიც.[2]

---

1 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბ., 1990, გვ. 62.

2 ჯანელიძე ო., საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები და საქართველოს პოლიტიკური სპექტრი, ჟურნ. „ანალები“, 2009, #4, გვ. 85-86.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრებ ყველა ეთნიკურ უმცირესობას ეროვნულ საქმეთა გასაძღოლად შექმნილი ჰქონდა საკუთარი ეროვნული საბჭო. ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოღვაწეობდნენ ეთნიკური ნიშნით აღმოცენებული პოლიტიკური ორგანიზაციები თუ გაერთიანებებიც კი (მაგალითად, საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში სომხური დაშნაკცუთიუნი, მუსულმანთა ჯგუფი, ელინთა დემოკრატიული ჯგუფი და სხვ. მონაწილეობდნენ, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტები).

რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი და სხვა არაქართველი ეროვნების მოქალაქენი მრავლად იყვნენ დასაქმებულნი ცენტრალურ სახელმწიფო აპარატსა თუ თვითმმართველობის ადგილობრივ სტრუქტურებში. ეთნიკურ უმცირესობათა არაერთ წარმომადგენელს მინდობილი ჰქონდა მაღალი საპასუხისმგებლო თანამდებობა როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო უწყების ხაზით და სხვა, რაც მმართველობაში მათ ჩართულობასა და მონაწილეობაზე მეტყველებს.

საქართველოს პოლიტიკური ელიტა დემოკრატიულ პრინციპებს ერთგულებდა. ძირითადი პოლიტიკური სპექტრის (სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (მენშევიკები), სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) დემოკრატიულმა მისწრაფებებმა შესაძლებელი გახადა ქვეყანაში პოლიტიკური პლურალიზმის - მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება. მმართველი ძალის გარდა სახელმწიფოს პოლიტიკურ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ოპოზიციაც. პოლიტიკური ოპოზიცია უმთავრესად პარლამენტში (ჯერ ეროვნულ საბჭოში, 1919 წლის მარტიდან - დამფუძნებელ კრებაში) იყო წარმოდგენილი და ლოიალურ ხასიათს ატარებდა. ხელისუფლებასა და ოპოზიციას იდეური ნაირგვარობის მიუხედავად, საერთო სტრატეგიული მიზანი გააჩნდათ, თუმცა განასხვავებდათ მისი მიღწევის გზები, საშუალებები და მეთოდები. გამონაკლისი იყვნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები. ისინი არ ცნობდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, უპირისპირდებოდნენ არა ხელისუფლებას, არამედ სუვერენულ

ქართულ სახელმწიფოს და მის დამხობას ეშურებოდნენ. კრემლის ამ მეხუთე კოლონას ოპოზიციად არ განიხილავდნენ, მაგრამ 1920 წლის მაისში, საბჭოთა რუსეთთან გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულების ძალით, დაშვებულ იქნა ბოლშევიკების ლეგალური საქმიანობა.

ხელისუფლების შტოები ურთიერთგამიჯნული იყვნენ. საკანონმდებლო ხელისუფლება აღმასრულებელი ხელისუფლების - მთავრობის საქმიანობაზე საერთო კონტროლს ახორციელებდა. მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის. კონსტიტუციის თანახმად: „ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და აასრულოს იგი.“[1]

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ დროის მოკლე მონაკვეთში, მით უფრო თვითმპყრობელობის რეჟიმიდან ახლად თავდაღწეულ ქართულ სახელმწიფოში, რომელსაც დემოკრატიული განვითარების არც ტრადიცია ჰქონია და არც გამოცდილება, ცხოვრება ვერ მოეწყობოდა კანონების სრული შესაბამისობით. იყო ობიექტური სიძნელეები და აღინიშნებოდა სუბიექტური ხასიათის დარღვევებიც. ოპოზიცია სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას ამხელდა დამფუძნებელი კრების იგნორირებაში და მოითხოვდა მისგან, დაეცვა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების „უფლებრივი წონასწორობით განპირობებული სახელმწიფოებრივი სიმტკიცე“. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპირიდონ კედია მიუთითებდა: „მთავრობას არა აქვს დამფუძნებელი კრების რიდი, იგი ბატონობს ანგარიშმიუცემლად“, და რომ: „მმართველი პარტია ისე უყურებს საკითხს, თითქოს მას უფლება არ ჰქონდეს თავის წიაღიდან გამოსულ მთავრობას ანგარიში მკაცრად მოსთხოვოს, საფუძვლიანად გააკრიტიკოს და პასუხი აგებიოს.“[2]

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში კარგად აცნობიერებდნენ მიუკერძოებელი სასამართლოს (თანამედროვე ტერმო-

1 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, ბათუმი, 1921, მუხლი 73.

2 საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 17 ოქტომბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 4-5.

ნოლოგიით - „სამართლიანი სასამართლოს“) როლს სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრებაში. ნიკო ნიკოლაძის სიტყვით: იქ, სადაც სასამართლო და მისი განაჩენი ხალხის ნდობით სარგებლობს, მართლმსაჯულება მშვიდი ცხოვრების საფუძვლად იქცევა.[1] ცნობილი იურისტი და პოლიტიკური მოღვაწე გიორგი გვაზავა შენიშნავდა: „თუ ქვეყანაში სამართალი არ არის, - მაშინ სახელმწიფოც არ არის.“[2]

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში იმთავითვე მიექცა ყურადღება მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის პრობლემას. დაწესდა მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა არჩევითობა. უმაღლეს სასამართლო ინსტანციას - სენატს დამფუძნებელი კრება ირჩევდა და ამტკიცებდა. სენატის ფუნქციებში შედიოდა: „თვალყური ადევნოს კანონის დაცვასა და განაგოს სასამართლოს ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ.“[3] კონსტიტუციით არც საკანონმდებლო, არც აღმასრულებელ და არც ადმინისტრაციულ სტრუქტურებს უფლება არ ჰქონდათ გაეუქმებინათ, შეეცვალათ ან შეეჩერებინათ სასამართლოს განაჩენი.

ცენტრალური ხელისუფლების პარალელურად, ფუნქციონირებდა ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც მმართველობის უფლებითაც იყო აღჭურვილი. დემოკრატიული არჩევნების გზით შეიქმნა საერობო თვითმმართველობის ორგანოები – მრავალპარტიული საერობო კრებები და მათი გამგეობები. ჩამოყალიბდა ქალაქთა სათათბიროები, რომელთა საქმიანობას გამგეობები და ქალაქების თავები უძღვებოდნენ. ერობებისა და სათათბიროების გადაწყვეტილებათა გაუქმება მხოლოდ სასამართლოს შეეძლო.

ცივილიზებული საზოგადოების საფუძველთა საფუძვლად სიტყვის თავისუფლება მიიჩნევა, რომელიც დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის შეფასებით კრიტერიუმად განიხილება. თავისუფალი პრესა იმავდროულად ინფორმაციითა და ალტერნატიული

1 ნიკოლაძე ნ., თხზულებანი, ტ. VIII, ქუთაისი, 2003, გვ. 444-445.

2 ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 354.

3 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, ბათუმი, 1921, მუხლი 76.

შეხედულებებით საზოგადოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ინსტრუმენტიცაა.[1]

რა ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოს პირველ რესპუბლიკაში?

1918-1921 წლების საქართველოში ბეჭდვითი სიტყვა მრავლაფეროვნებით გამოირჩეოდა. გამოდიოდა: პარტიული, სასულიერო, სამხედრო, სახელოვნებო, ლიტერატურული, სამედიცინო, სპორტული, იუმორისტული, პედაგოგიური, უწყებრივი ჟურნალ-გაზეთები და სხვა. პერიოდული პრესა ქართულის გარდა რუსულ, სომხურ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც იბეჭდებოდა. საკუთარი პერიოდული გამოცემები გააჩნდათ ქალაქებს ბათუმს („ბათომის ცხოვრება“), ქუთაისს („ჩვენი ქვეყანა“), რეგიონებს („რაჭის ხმა,“ „რაჭა-ლეჩხუმის ხმა,“ „სვანეთის ხმა,“ „განახლებული მესხეთი“), დარგობრივ პროფკავშირებს („თავისუფალი გზა,“ „რკინიგზელი“), ცალკეულ კოოპერატულ კავშირებს („კავშირი“). არსებობდა ასევე თვითმმართველობის ორგანოთა გამოცემები - ე. წ. საერობო პრესა („Кавказский город“, „ერობა და ქალაქი“, „ჩვენი ქალაქი“, „ერობა“) და სხვ.

ხელისუფლების ოფიციალური ორგანო იყო გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოსცემდა გაზეთებს „ერთობა“ და „Борьба“. საზოგადოების ნაწილში მოწონებით სარგებლობდა ოპოზიციური პრესა. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი მკითხველი ჰყავდათ სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთს „სახალხო საქმე“ და ეროვნულ-დემოკრატიულ გაზეთს „საქართველო“. ისინი დაუბრკოლებლად ავრცელებდნენ როგორც ინფორმაციას, ისე განსხვავებულ იდეურ აზრს. ყოფილა შემთხვევა, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გარკვეული ვადით აუკრძალავს ესა თუ ის პერიოდული გამოცემა (მაგალითად, სომხური გაზეთები „აშხატავორი“ და „ნორ ორიზონი“, ასევე რუსული „კავკაზსკოე სლოვო“, რომლებიც 1918 წლის დეკემბერში, სომხეთ-საქართველოს ომის დღეებში, თბილისში მცხოვრებ სომხებს ქართველების

1 თანამედროვე დემოკრატია: ძირითადი ცნებები და თეორიები, თბ., 2000, #6. http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/samoqalaqo%20sazogadoebis%20funqciebi.htm

წინააღმდეგ მოქმედებისაკენ მოუწოდებდნენ, დროებით დახურეს. მცირე ხნით შეჩერებულ იქნა აგრეთვე გაზეთების „ბათომის ფურცელი“, „საქართველო“ და „სალი კლდის“ გამოცემა და სხვ.), მაგრამ მთლიანობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის სამი წლის განმავლობაში მედიის თავისუფლება შენარჩუნებული იყო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სეკულარულ სახელმწიფოდ ყალიბდებოდა. დეკლარაციულად, ეკლესია გამოყოფილი იყო სახელმწიფოსაგან, ხოლო სკოლა ეკლესიისაგან. ხელისუფლება არ ერეოდა კულტის საკითხებში და იცავდა რელიგიათა თანასწორობის პრინციპს. კონსტიტუცია განსაზღვრავდა, რომ: „არც ერთ სარწმუნოებას არ აქვს უპირატესობა; ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია.[1] შეუზღუდავი იყო რელიგიური კონფესიების, კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა. საქართველოში 80 სომხური, 60 რუსული, 31 თათრული სკოლა ფუნქციონირებდა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა და სხვ.

ისეთი ევროპული ღირებულებანი, როგორიცაა თავისუფლების იდეალი, ტოლერანტობა, ინდივიდუალიზმი, საქართველოს მოსახლეობას ისტორიულად ჰქონდა გათავისებული. დემოკრატიულ სახელმწიფოში მათ მეტი გასაქანი მიეცა. ზოგიერთი დასავლური ღირებულება ქართულ სინამდვილეში ახლად შემოდიოდა, ობიექტურ წინააღმდეგობებსაც აწყდებოდა, მაგრამ გზას მაინც მიიკვლევდა. ქვეყანაში იქმნებოდა პირობები სამოქალაქო სექტორის ფორმირებისათვის, წარმოიშვა მრავალი, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი დაწესებულება, გაერთიანება, კავშირი, ამხანაგობა თუ ორგანიზაცია, რომლებიც წარმატებით საქმიანობდნენ. ნაბიჯ-ნაბჯ, მტკივნეულად, მაგრამ მაინც მკვიდრდებოდა კანონის უზენაესობა და სხვ.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არსებობა მძიმე პე-

1 ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 394-395.

რიოდში მოუწია. პირველმა მსოფლიო ომმა და რუსეთის იმპერიასთან კავშირების გაწყვეტამ მოშალა მეურნეობის მრავალი დარგი. ახლად შექმნილი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის პირობებში ცხოვრობდა. ღარიბი ეკონომიკა ვერ იძლეოდა ლიბერალური ბაზრის წარმატებით ჩამოყალიბების საფუძველს. ქვეყნის მესვეურები სოციალიზმის „თანდათანობით მოახლოების“ ამოცანებს ისახავდნენ, მაგრამ რადგან რჩებოდნენ „ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებში,“[1] არ უარყოფდნენ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. დაშვებული იყო თავისუფალი მეწარმეობა, წარმოების საშუალებებზე საკუთრების მრავალფეროვნება და სხვა, თუმცა ზოგიერთი ნედლეულის (მარგანეცი, თამბაქო, აბრეშუმი, მატყლი...) ექსპორტზე დაწესებული ჰქონდათ სახელმწიფო მონოპოლია.[2]

საშინაო და საგარეო სიძნელეების მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შედგა როგორც სახელმწიფო. ეს სახელმწიფო იყო „ახალგაზრდა დემოკრატია, ...რომელმაც თავის პოლიტიკურ წყობაში გვიჩვენა დემოკრატიის წრფელი ერთგულება და საღი აზროვნების შესაძლებლობა.“[3]

მაცაბერიძე მ., დემოკრატიის ქართული მოდელის ძიება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მაგალითზე, ჟურნ. „ბიზნესი და მენეჯმენტი“, 2008, #1 (17), http://aaf.ge/index.php?menu=2&jurn=17&rubr=0&mas=632

1 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, ბათუმი, 1921, მუხლი 143; 144.

2 ათანელიშვილი თ., ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემო-კრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.), ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ., 2006 (ხელნაწერი), გვ. 33; 38; 41.

3 მაცაბერიძე მ., დემოკრატიის ქართული მოდელის ძიება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მაგალითზე, ჟურნ. „ბიზნესი და მენეჯმენტი“, 2008, #1 (17), http://aaf.ge/index.php?menu=2&jurn=17&rubr=0&mas=632

ნიკო ნიკოლაძე და პოლიტიკური დისკურსი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

როცა ნიკო ნიკოლაძე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ევროპის სახელმწიფოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეზე ქართულ პრესაში სტატიებს წერდა, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრების ავკარგს სიღრმისეულად აანალიზებდა, ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ გაივლიდა ხანი და მას თვითონვე მოუხდებოდა ჩაბმა ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის, საქართველოს დემოკრატიული განვითარების ფართო და დინამიურ პოლიტიკურ დისკურსში.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ნიკო ნიკოლაძე მრავალი საზოგადოებრივი, ეროვნული თუ უფრო მასშტაბური საქმის თაოსანი, მესვეური, თვითმხილველი ან მონაწილე ყოფილა. ამის შესახებ უკვე საკმაოდაა დაწერილი და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ბოლო დროს მიკვლეული პირველწყაროების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ ნიკო ნიკოლაძის გარეშე არც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას ჩაუვლია და რომ, ამ ცნობილ ქართველ სამოციანელს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტიც კი შეუდგენია.[1]

ცნობილია ისიც, რომ ნიკო ნიკოლაძე თავისი ქვეყნის „წარმატების ღმერთს“ მაშინაც კი ემსახურებოდა, როცა ის „ყოვლად უსუსრი, ყველასაგან მიტოვებული იყო და თავის მსახურისთვის მხოლოდ დარდისა და ტანჯვის მინიჭება შეეძლო[2] და, რა გასაკვირია, რომ ასეთი კაცი თავისუფალი და დამოუკიდებელი სამშობლოს სამსახურში მთელი არსებით ჩამდგარიყო. ნიკო ნიკოლაძე 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო მოღვაწე გახდა. თავის მხრივ, ჩვენი ქვეყნის სუვერენული ცხოვრების ამ სამმა წელმა უკანასკნელი თერგდალეულის ბიოგრაფიაც მნიშვნე-

1 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება პარიზის საზავო კონფერენციის სახელზე, პარიზი, 1919 წლის ივლისი.

2 ჯანელიძე ო., საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია „განათლება და ინოვაცია“, გორი, 2012, გვ. 338-341.

ლოვნად გაამდიდრა და მას წარუშლელი კვალი დააჩნია.

წინამდებარე ტექსტში ცნება დისკურსი გააზრებულია, როგორც პოლიტიკური კომუნიკაციის ფორმა, ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხებზე კრიტიკული მსჯელობის, ერთიანი მიზნის მისაღწევად თანხმობისა და კონსოლიდაციის გზების ძიების, ეროვნული იდეის გამოკვეთის პროცესი, რომელიც საფუძვლად ედებოდა თანადროული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. პოლიტიკური დისკურსის სუბიექტებად განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტები, ძირითადი პოლიტიკური პარტიები, რომელთაც საქართველოს დამფუძნებელ კრებაში თავიანთი საპარლამენტო ფრაქციები გააჩნდათ. ამასთან, პოლიტიკურ კომუნიკაციად ქვეყანაში პოლიტიკური ინფორმაციის მოძრაობაა წარმოჩენილი, რადგანაც ცივილიზებული ურთიერთობა ხელისუფლებასა და საზოგადოებას, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და ამათუიმ საკითხზე მათი კონსენსუსი მხოლოდ ინფორმაციის გაცვლითაა შესაძლებელი.[1]

პოლიტიკური დისკურსი გარკვეული სახით ყველა ტიპის რეჟიმშია შესაძლებელი, მაგრამ, როგორც წესი, იგი დემოკრატიული სახელმწიფოს მახასიათებელი ნიშანია. იმის მიხედვით, თუ რამდენად ავტონომიური და შეუზღუდავია კომუნიკაციური სტრუქტურები, აქვს თუ არა თავისუფალი ფუნქციონირების საშუალება საინფორმაციო საშუალებებს და სხვა, თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებაში მსჯელობენ ლიბერალურ-დემოკრატიულია პოლიტიკური სისტემა თუ იგი ავტორიტარულ ან ტოტალიტარულ ხასიათს ატარებს.

პოლიტიკური კომუნიკაციის სამი ძირითადი საშუალებიდან, რომელსაც თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობა გამოყოფს, ახლად წარმოქმნილ ქართულ სახელმწიფოში, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ორი სრულად გამოიყენებოდა. კერძოდ: ინფორმაციის გავრცელება პერიოდული პრესის მეშვეობით და კომუნიკაცია პოლიტიკური ორგანიზაციების ძალისხმევით.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაშვებული, უზრუნველყოფილი და აღიარებული იყო იდეური, სოციალური და პოლიტი-

1 ნიკოლაძე ნ., ჩემ პოლიტიკაზე, წიგნში - ნიკო ნიკოლაძე 150. საიუბილეო კრებული, თბ., 1996, გვ. 151-152.

კური მიმდინარეობების სიმრავლე. ქვეყნის დემოკრატიულ ბუნებას მასში დამკვიდრებული პლურალიზმი, მრავალპარტიულობა, საყოველთაო არჩევნები, მოქალაქეთა მიერ გადაწყვეტილების მიღებაში გარკვეული მონაწილეობა და თავისუფალი პრესა განსაზღვრავდა.

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში გამოიცემოდა პარტიული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, რელიგიური, ლიტერატურული, სამხედრო, სახელოვნებო და სხვა სახის ჟურნალ-გაზეთები ქართულ, რუსულ, სომხურ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ბეჭდური სიტყვა სახელმწიფოს მხრივ ყოველგვარი ჩარევისაგან თავისუფალი იყო. როგორც პოლიტიკური სპექტრის, ისე საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლები ჟურნალ-გაზეთბის მეშვეობით გამოხატავდნენ საკუთარ შეხედულებებსა და მოსაზრებებს მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. აფასებდნენ, იცავდნენ ან აკრიტიკებდნენ ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის არჩეულ კურსს, ცდილობდნენ გაევრცელებინათ თავიანთი თვალსაზრისი ფართო საზოგადოებაში, ესწრაფვოდნენ დაერაზმათ სულ უფრო მეტი ადამიანი დასახული მიზნების მისაღწევად და სხვ. პერიოდული პრესა პოლიტიკური პარტიისათვის პერიფერიებთან დამაკავშირებელ უმთავრეს რგოლს წარმოადგენდა. იმავდროულად, იგი ძირითადი ტრიბუნა იყო პარტიის სიტყვის ხალხში გასავრცელებლად და ამომრჩევლის მისამხრობად.

როგორც აღინიშნა, მედია (პერიოდული პრესა) არ ექვემდებარებოდა ხელისუფლების კონტროლს, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი იყო ოთხი პოლიტიკური ძალა (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული და საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიები), რომელიც ქვეყანაში მცხოვრებ თითქმის ყველა ეთნიკური უმცირესობის დეპუტატებს აერთიანებდა, რაც სახელმწიფოსა და საზოგადოების დემოკრატიულობის, მისი ჰუმანურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია.

აღსანიშნავია, რომ 1919-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიათა თანაფარდობა (130 მანდატიდან 109 სოციალ-დემოკ-

რატებს ეკუთვნოდათ) თითქმის სრულად შეესაბამებოდა ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა ბალანსს. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია (მენშევიკები) თავის რიგებში 80 ათასამდე წევრს მოითვლიდა, ეს მაჩვენებელი კი რამდენჯერმე აღემატებოდა საქართველოში იმხანად არსებულ ყველა დანარჩენი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრთა საერთო რიცხვს. ამ პარტიას ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის, ირაკლი წერეთლის, აკაკი ჩხენკელისა თუ სხვათა სახით არც აღიარებული ლიდერები კლებია, მაგრამ რამდენად გამოდგებოდნენ ისინი ქართული ეროვნული სახელმწიფოს მეთაურებად, რომლის საჭესთან სხვადასხვა გარემოების ძალით აღმოჩნდნენ?

მე-20 საუკუნის 10-იანი წლებისათვის საქართველოს თვალსაჩინო პოლიტიკური ელიტა და ევროპული ცოდნა-განათლებით აღჭურვილი ინტელიგენცია გააჩნდა. საერთო იდეის ირგვლივ მათი შეკავშირება, ძალთა გაერთიანება და უნისონში მოქმედება ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის წარმატების საგულისხმო საფუძველს ქმნიდა, თუმცა საზოგადოების პარტიული დანაწევრება, მსოფლმხედველობრივი თუ სოციალურ-კლასობრივი ნიშნით ურთიერთდაპირისპირება ამ შესაძლებლობას საგრძნობლად ასუსტებდა.

ჯერ კიდევ 1908 წელს ნიკო ნიკოლაძე ასეთ კითხვას სვამდა: „ეღირსება კი ოდესმე ჩვენი უბედური ქვეყანა, რომ მის საქმეთა სათავეში, მისი ბედის მეთაურად, მისი საჭიროების გამომხატველად, მისი ენერგიის წარმმართველად თანამედროვე ცოდნით შეიარაღებული წინამძღოლები ჰყავდეს?“[1]

გონიერ მოღვაწეს დიდად არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სათავეში მდგომი სოციალ-დემოკრატები მოსწონდა. ერთი თანამედროვის მოგონების თანახმად, ნიკოლაძე „ხშირად ამბობდა, რომ მენშევიკები ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებენ, ქვეყანას ვერ გაუწევენ მესაჭეობას და ადრე იქნება თუ გვიან, თუ ესენი არ დაუკავშირდებიან კაპიტალისტურ ქვეყნებს - დაიღუპებიან.“[2]

---

1 ნაცვლიშვილი პ., რაზე წუხდა 95 წლის წინათ ნიკო ნიკოლაძე, გაზ. „განათლებული საქართველო“, 2003 წ., 22 სექტემბერი, გვ. 1.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1417, ანაწ. 1, საქმ. 251, ფურც. 26.

ნიკო ნიკოლაძის, როგორც ოპოზიციური ძალის წარმომადგენელი დეპუტატისათვის, ხელისუფლების კრიტიკა თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. რაკი ქვეყნის ბედი, როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრს, მასაც ეკითხებოდა, მართვაზე პასუხისმგებლობასაც მეტ-ნაკლებად იზიარებდა. დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ სხდომაზე იგი ასე მიმართავდა სოციალ-დემოკრატებს: როცა თქვენს საწინააღმდეგოდ გამოვდივარ, ამით ის კი არ მინდა რომ „თქვენი პარტია და ჩვენი მთავრობა შევასუსტო. ...ჩემზე უფრო ერთგული მომხრე თქვენი პარტიის მმართველებისა და მისგან შექმნილი მთავრობისა, მგონია, თქვენს წრეშიაც ვერ მოიძებნოს.“[1]

იმის შესახებ თუ როგორ ესმოდათ ზოგადად ეროვნულ-დემოკრატებს ოპოზიციურობა, წარმოდგენას გვიქმნის გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული პარტიის მთავარი კომიტეტის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია: „ოპოზიციაში რომ ვართ, ეს იმას კი არ მოასწავებს რომ, რასაც მთავრობა წაახდენს, არ გვეწყინება ან, სადაც ჩვენი დახმარება საჭიროა, არ დავეხმარებით. ...მაგრამ, როდესაც ხედავ, რომ გაბატონებული პარტია სამშობლოს უფსკრულისაკენ მიაქანებს, შეუძლებელია, მხარი დაუჭირო. ...ოპოზიციაში იმიტომა ვართ, რომ მთავრობის დამღუპველი პოლიტიკა გამოვამზეუროთ და მაშასადამე მთავრობის მიერ ჩადენილი შეცდომები მისი ხელითვე გავასწორებინოთ.“[2] ზუსტად ასეთივე აზრია გამოთქმული ეროვნულ-დემოკრატთა ერთ-ერთი იდეოლოგის ვასილ წერეთლის პუბლიკაციაშიც, რომელიც იმავე გაზეთში დაიბეჭდა: „ოპოზიციაში მიტომა ვართ, რომ არ შეგვიძლია ვიკისროთ პასუხისმგებლობა იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც სოციალისტური მთავრობა აწარმოებს. ...ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობაა თვალი ავუხილოთ მთავრობასა და მისი შეცდომები ნათლად დავანახოთ.“

პარტიის ოპოზიციური საქმიანობა სხვაგვარად ჰქონდათ გააზრებული ფედერალისტებს. მიიჩნევდნენ, რომ ოპოზიცია არ იყო ვალდებული უმრავლესობისათვის „გეგმები ეძლია“. გეგმა-პროექტების შედგენა და განხორციელება, მათი აზრით, მმართველი ძალის კომპე-

1 ჯანელიძე ო., ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები), თბ., 1998, გვ. 55.

2 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 21 ივნისი.

ტენციას განეკუთვნებოდა. ოპოზიციას ხელში „კრიტიკის მათრახი“ უნდა ჭეროდა და იმ შემთხვევებაში აემოქმედებინა თუ უმრავლესობა საქმეს სათანადოდ ვერ გააკეთებდა.[1]

საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიებს ოპოზიციურობის საკუთარი ნიშა გააჩნდათ. მემარცხენე ოპოზიცია (სოციალისტ-ფედერალისტები, ესერები) ხელისუფლებას სოციალიზმის პრინციპებიდან გადახვევისათვის აკრიტიკებდა, ვერ ეგუებოდა ნოე ჟორდანიას დებულებას, რომ სოციალისტური რევოლუცია საქართველოსათვის შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მიზანი, ისტორიული პერსპექტივა და არა პირდაპირი პრაქტიკული ამოცანა. მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატები მმართველი ძალისაგან სახელმწიფოს სიმტკიცეს, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას, ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაურევლობას, საგარეოპოლიტიკურ ორიენტაციაში დასავლური კურსის განუხრელ დაცვას მოითხოვდნენ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი საქართველოს ეროვნულ საბჭოსა თუ დამფუძნებელ კრებაში ნიკო ნიკოლაძე იყო, უფრო კონსტრუქციულ ოპოზიციას განეკუთვნებოდა. ის არ გაურბოდა მმართველ ძალასთან თანამშრომლობას, კრიტიკის პარალელურად, ქვეყნის სათავეში მდგომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და მთავრობას ცალკეულ საკითხზე ალტერნატიულ დასაბუთებულ შეხედულებას სთავაზობდა და ამ გზით ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა მათ მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამას სასურველი შედეგი მოჰქონდა, - მთავრობა შენიშვნებს ითვალისწინებდა და კომპრომისზე მიდიოდა. ამ მხრივ ყველაზე მკაფიო მაგალითი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული აგრარული რეფორმაა. ხელისუფლებამ გაიზიარა ეროვნულ-დემოკრატთა თვალსაზრისი და გლეხებს მიწის ნაკვეთები კერძო საკუთრებაში მიყიდვით დაუკანონა.[2]

ნიკო ნიკოლაძე დემოკრატიის პრინციპების მიმდევარი და განუხრელი დამცველი იყო. იგი დიდად აფასებდა ხელისუფლების საკანონ-

1 საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1920 წლის 27 თებერვლის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 10.

2 ბენდიანიშვილი ა., საქართველოს ისტორია, თბ., 1999, გვ. 253.

მდებლო და აღმასრულებელი შტოებისაგან სასამართლოს გამიჯვნას, ამასთან, საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვნად მიაჩნდა მიუკერძოებელი სასამართლოს როლიც. წერდა: იქ, სადაც სასამართლო და მისი განაჩენი ხალხის ნდობით სარგებლობს, მართლმსაჯულება მშვიდი ცხოვრების საფუძვლად იქცევა.[1]

ნიკო ნიკოლაძე აფრთხილებდა მმართველი პარტიის დეპუტატებს, თუ სასამართლოს წარმოებაში გაერევით, ამით ქვეყანაში სამართლას მოჰკლავთო: ასეთ შემთხვევაში „საქართველოს სასამართლოს დაარქმევენ სოციალ-დემოკრატიულ სასამართლოს, და არა ქვეყნის, - მთელი ერის სასამართლოსო“ და დასძენდა: „სიმართლე ყველსათვის ერთი უნდა იყვეს. ერთი კაცისათვისაც კი თუ დაირღვა სიმართლე, ის სიმართლედ აღარ დარჩება.“[2]

პოლიტიკური დისკურსის ორგანულ ნაწილად პოლიტიკოსთა საჯარო გამოსვლები მიიჩნევა. ამგვარი გამოსვლის მთავარი ასპარეზი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამფუძნებელი კრება იყო. კრების ტრიბუნას იყენებდა ნიკო ნიკოლაძეც, თუმცა აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულობის მიუხედავად, იგი არც ამომრჩეველთან უშუალო შეხვედრებს გაურბოდა. ალექსანდრე ასათიანის სიტყვით, ნიკო ნიკოლაძის „მოხსენებები პარტიულს ყრილობაზედ, მისი რჩევა-დარიგებანი ახალგაზრდა მეგობრებისადმი, მრავალ ათეულ წელთა მაგალითებით დამძიმებული, და მისი პირადი მაგალითი ...უდიდესი მნიშვნელობის წამახალისებელი ძალა იყო ახალი პარტიისათვის.“[3]

ნიკო ნიკოლაძის ნააზრევისთვის უცხო იყო პროპაგანდისტული სწორხაზოვნება და ვიწრო პარტიული ხედვა, მისი გამოსვლები და სიტყვები მოკლებული იყო ყოველგვარ ლოზუნგურობას, ანგაჟირებასა და დეკლამატურობას. არ ახასიათებდა აზრის იდეოლოგიზება ან გაზვიადება ლოგიკის საზიანოდ, არ პლევარირებდა საკუთარი ცოდნითა და მდიდარი გამოცდილებით, არ ჰქონია პრეტენზია აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე. ნიკო ნიკოლაძე ვერ დაიკვეხნიდა განსაკუთ-

1 ნიკოლაძე ნ., თხზულებანი, ტ. VIII, ქუთაისი, 2003, გვ. 437; 445.

2 ჯანელიძე ო., ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები), თბ., 1998, გვ. 50; 63.

3 ასათიანი ა.,ძველი და ახალი მემკვიდრეობა, წიგნი I, ვალანტინეი, 1928, გვ. 141-142.

რებული ორატორული ღირსებებით, მაგრამ მისი ყოველი გამოსვლა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ტრიბუნიდან საქმის არსში წვდომით, საგნობრიობითა და აზრის სიცხადით ხასიათდებოდა. პოლიტიკურ დებატებში მარჯვე და გონივრული არგუმენტაციით მას ოპონენტების მოსასმენად მობილიზება, მათი კეთილგანწყობისა თუ ნდობის მოპოვება და აუდიტორიის საკუთარი შეხედულების მართებულებაში დარწმუნებაც შეეძლო.

თანამედროვეთა გადმოცემით, ნიკო ნიკოლაძე „არ იყო მჭევრმეტყველი, მისი სტილი ნერვიულობას და აზრთა სიჭარბეს მოწმობდა. ...ის უპირატესობას აძლევდა უბრალო, გაუშალაშინებელ ენას, ნოყიერსა და ცოცხალს, ცხადსა და შემჭიდროებულს, თავისუფალს ყოველივე პრანჭიობისა და კეკლუცობისაგან.“[1]

ივანე ზურაბიშვილის სიტყვით, ნიკო ნიკოლაძე ღრუბელივით სვამდა ყოველ ახალ შთაბეჭდილებას, მერე მას გონების ცეცხლში გაატარებდა და თავის ქვეყნისათვის გამოსაყენებლ აზრად გადაადნობდა.[2]

შემთხვევითი არ არის, რომ ნიკო ნიკოლაძე საქართველოში „ევროპული დემოკრატიული აზროვნების ერთ-ერთ პირველ მედროშედაა“ მიჩნეული.[3]

ნიკო ნიკოლაძემ კარგად იცოდა, რომ სახელმწიფოებრიობამოშლილ ქართველ ხალხს აკლდა აზრთა ურთიერთშეწყნარების, „შეხმატკბილების, შრომის განაწილების და ერთი და იმავე მიზნისაკენ მწყობრად სიარულის“ პრაქტიკა. დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისათვის ეს ნეგატიური გამოცდილება ხელისშემშლელ ფაქტორად ქცეულიყო და აუცილებელი იყო მისი უკუგდება. ახლა გადაუდებელ ამოცანად დგებოდა საზოგადოებაში ადამიანის „რიგიანობა-ღირსების“ ისეთი ნიშნების დამკვიდრება, როგორიცაა „სხვისი რწმენის თმენა“ და „სხვისი პირადობის პატივისცემა.“[4]

---

1 ქიქოძე გ., ნიკო ნიკოლაძე, წიგნში - გერონტი ქიქოძე, წერილები, ესსეები, ნარკვევები, თბ., 1985, გვ. 398.

2 ზურაბიშვილი ი., კარგ ქართველთა ხსოვნას, პარიზი, 1962, გვ. 118; 137.

3 ქიქოძე გ., ნიკო ნიკოლაძე, წიგნში - გერონტი ქიქოძე, წერილები, ესსეები, ნარკვევები, თბ., 1985, გვ. 386.

4 ნიკოლაძე ნ., ჩემ პოლიტიკაზე, წიგნში - ნიკო ნიკოლაძე 150. საიუბილეო კრებული, თბ., 1996, გვ. 147.

ნიკო ნიკოლაძის აზრით, საქართველოში განსაკუთრებით საჭირო იყო ევროპული საპარლამენტო კულტურის შემოღება, ვინაიდან ფეოდალიზმმა „ბრმა მონური დისციპლინის სიყვარულთან ერთად ქართველებს ინდივიდუალისტური ანარქია გვიანდერძა“. „ვიბრძოლოთ ერთმანეთს შუა, ერთის აზრს მეორის შეხედულება შევატაკოთ, ვეცადოთ ხალხი მონაწილე გავხადოთ ამ ბრძოლისა და ჭკუის მოძრაობისა და მერე ...იმ გადაწყვეტილებას დავადგეთ, რაც უმრავლესობამ მიიღო“, - წერდა იგი.[1]

ერთ სტატიაში, რომელიც 1918 წლით თარიღდება, ნიკო ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავს ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა შეკავშირების მნიშვნელობას. მისი სიტყვით: „ერთობის დაცვა პოლიტიკურ მოქმედებაში უაღრესი ბედნიერებაა“ და რომ, „რაგინდ სხვადასხვა ფერი ან წინააღმდეგი იყოს მათი საშიანო მოქმედების პროგრამა“, საგარეო პოლიტიკის წარმოებაში პარტიების ერთობა, ეს „მწიფე ერის“ თვისება, მუდმივი უნდა დარჩეს.[2]

ნიკო ნიკოლაძისათვის, ვინც თავის პუბლიცისტური წერილებით საზოგადოებას ასწავლიდა, რაოდენ აუცილებელი იყო „ერთი და იგივე დროშის ქვეშ დგომა“, გულდასაწყვეტი იყო, როცა ხედავდა, როგორ ეთიშებოდა ეროვნულ-დემოკრატთა ნაწილი საკუთარ პოლიტიკურ ორგანიზაციას და ახალ პარტიებს ქმნიდა. ცნობილია, რომ 1917 წლის ოქტომბერში ეროვნულ-დემოკრატიულ ორგანიზაციას მცირერიცხოვანი ჯგუფი ჩამოშორდა, რომელმაც თავი საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიად გამოაცხადა (თავმჯდომარე თედო სახოკია), ხოლო ერთი წლის შემდეგ გამოყოფილი წევრები დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანდნენ (თავმჯდომარე გრიგოლ ვეშაპელი). აღსანიშნავია, რომ ამგვარი გაყოფა უცხო არ ყოფილა არც სხვა ქართული პარტიებისათვის. მაგალითად, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას (მენშევიკებს) „ალიონისა“ და „ახალი სხივის“ ჯგუფები გამოეყო, სოციალისტ-ფედერალისტებს კი „მემარცხენე მაშვრალნი“ ჩამოშორდნენ.[3]

---

1 ქიქოძე გ., ნიკო ნიკოლაძე, წიგნში - გერონტი ქიქოძე, წერილები, ესსეები, ნარკვევები, თბ., 1985, გვ. 390.

2 ჩიკვილაძე დ., დროსგასწრებული მამულიშვილი, თბ., 2003, გვ. 137.

3 ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

ნიკო ნიკოლაძე სავსებით მართებულად მიიჩნევდა, რომ საზოგადო მოღვაწეებს და მათ შორის პოლიტიკოსებს, ჩვეულებრივ, განსაკუთრებით კი კრიტიკულ სიტუაციაში „მძიმე მოვალეობა და პასუხისმგებლობა აწევთ ერისა და შთამომავლობის წინ: ხალხს უნდა გამოუძებნონ მტკიცე, უტყუარი გზა შველისა და წარმატებისა.“[1] საკუთარი ქვეყნის ხსნისა და განვითარების გონივრული გზა ჯერ კიდევ თერგდალეულებმა დასახეს. სამოციანელთა და მათ შორის ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები საგულისხმო და ანგარიშგასაწევი იყო ახალ რეალობაშიც.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე ორი ათეული წლით ადრე გამოქვეყნებულ ერთ საჟურნალო პუბლიკაციაში ნიკო ნიკოლაძე მიუთითებდა საქართველოს თვალსაჩინო ჩამორჩენაზე ევროპული სინამდვილისაგან და წერდა: ჩვენი ქვეყანა ჯერაც განვითარების პირველ სტადიას - მხედრულ წეს-წყობილებას ვერ ასცილებია, როცა ევროპა მესამე - საზოგადოებრივ სტადიაზე გადასასვლელად ემზადებაო.[2] ნიკო ნიკოლაძე ქვეყნის აღმავლობის შემაფერხებელ მიზეზებზე საუბრისას ყურადღებას ქართული საზოგადოებისათვის ნიშანდობლივ ინდეფერენტიზმზე, უპრინციპობაზე, ეგოიზმსა და უილაჯობაზეც ამახვილებდა და მათი დაძლევისაკენ მოუწოდებდა.

არსებული კრიტიკული ვითარებიდან თავდაღწევის წინაპირობად ქართველი სამოციანელი ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ევროპულად მოწესრიგებას, დაწინაურებული ქვეყნების მეცნიერული იდეების გათავისებას მიიჩნევდა. ნიკო ნიკოლაძე არასდროს გამოდევნებია „მიუწვდომელ ოცნებას“, ის რეალისტურ პოლიტიკის მიმდევარი, ფრთხილი და ანგარიშიანი კაცი იყო, მითუფრო საზოგადო და ეროვნულ საქმეში. წინდაუხედაობა, ფუჭი აჩქარება, მოუმზადებლად რაიმე მოქმედების დაწყება ყოველთვის საზიანოდ წარმოედგინა. უპირატესობას არა რადიკალურ, არამედ ევოლუციურ, „ზომიერების გზას“ ანიჭებდა.

ამ გზის ნაწილად გაიაზრებოდა ერობა, რომლის შემოღება საქა-

ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 363-364; 465.

1 ჩიკვილაძე დ., დროსგასწრებული მამულიშვილი, თბ., 2003, გვ. 140.

2 ნიკოლაძე ნ., საჭირო ძალა, ჟურნ. „მოამბე“, 1894, № 8, გვ. 129.

რთველოში რუსეთის საიმპერიო მთავრობას დაუშვებლად მიაჩნდა. ნიკო ნიკოლაძეს არ ჰქონია გადამეტებული წარმოდგენა ერობის შესაძლებლობებზე, მაგრამ მაინც მისი აქტიური მხარდამჭერი და ერთგული იყო. ირწმუნებოდა: „მთელი ჩვენი მომავალი მდგომარეობს თვითმმართველობის პრინციპის განვითარებასა და სრულყოფაში და როცა მას მოსახლეობის თვალში უსამართლოდ სვრიან, ჩემს პირდაპირ მოვალეობად მიმაჩნია თვითმმართველობის პრინციპის დაცვა“.

ნიკო ნიკოლაძე თბილისის სათათბიროს ხმოსნად ჯერ კიდევ 1878 წელს აირჩიეს. იგი სრულად აცნობიერებდა სათათბიროს მოკრძალებულ როლსა და შეკვეცილ ფუნქციას თანადროულ სინამდვილეში, მაგრამ უარი არ უთქვამს მის წევრობაზე. მეორედ იმავე საკრებულოში ქართველ სამოციანელს უკვე 1919 წელს, თავისუფალ საქართველოში ვხედავთ, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელს. ამ პერიოდს განეკუთვნება მისი ერთი საგულისხმო შეგონება, რომელიც შემდეგნაირადაა გამოთქმული: „ჩვენი ქვეყნის ცხოვრება უზრუნველყოფილი იქნება მარტო მაშინ, როცა საკუთარი სარჩო, წარმოება და იარაღის კეთება გვექნება. ...პოლიტიკური რეჟიმის და წესების შეცვლა არ გააადვილებს საწყალი ხალხის ცხოვრებას, სანამ წარმოების იარაღს ვერ შევიძენთ და საკუთარ სარჩოს და სამოსელს არ გავიჩენთ.“ [1]

ნიკო ნიკოლაძეს მკაფიოდ გამოკვეთილი შეხედულება გააჩნდა საქართველოს პოლიტიკური სპექტრის შესახებ. მისი აზრით, პოლიტიკური პარტია წარმატებას მაშინ მიაღწევს, თუ იგი „თავის მიზანს, სახსარს, პროგრამას, ხელმძღვანელობას“ საკუთარ ხალხში, მის საჭიროებაში იპოვის და ხალხს „საღი პროგრამითა“ და „ნამდვილი პრაქტიკული მიზნის“ დასახვით გაიყოლიებს. აფასებდა რა ამ ნიშნით თანადროულ ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, დაკვირვებული მოღვაწე წერდა: ფედერალისტები თავიანთი წარსულით და „პროგრამის არეულ-დარეულობის გამოც“ ვერ იმსახურებდნენ ხალხის ნდობას („მათ შორის ბევრი იყო თავადი, ფეოდალი, მემამულე, რომლებიც ოცნებობდნენ „წარსულის დაბრუნებაზე“ პრივილეგიების ჩათვლით“).

1 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1417, ანაწ. 1, საქმ. 251. ფურც. 17.

„სოციალ-დემოკრატებს მეტი ვნება, ენერგია და თავგანწირვა გააჩნდათ, თანაც მათი წინამძღოლები უფრო ნიჭიერნი იყვნენ, ფედერალისტები კი უფრო დოქტრინიორები, იდეოლოგები, კაბინეტის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც ხალხის ეშინოდათ. ცინიკურად რომ ვთქვათ, ს. დ. იერიშზე მიდიოდნენ მშიერთა ენერგიით, მიდიოდნენ იმისათვის, რომ მოეპოვებინათ საჭმელ-სასმელი და ცხოვრება, ფედერალისტები კი ისე „მსჯელობდნენ“, როგორც ცხოვრების სიკეთით მოყირჭებულნი.“[1]

დღესაც უაღრესად აქტუალურია ნიკო ნიკოლაძის აზრი პოლიტიკური პარტიის შემადგენლობაში ღირსეულ და ავტორიტეტულ პიროვნებათა გაწევრიანების შესახებ. მისი სიტყვით: „პარტიას, რომელსაც შეუძლია დაფასება, თავისკენ მიზიდვა და წარმოჩენა ქვეყნის საუკეთესო ადამიანებისა, თავისუფლად შეუძლია დაუმარცხებლობის იმედი ჰქონდეს მომავალშიც“. ასეთი ადამიანების დაფასება რომ შეძლო, „თავად უნდა იყო ნიჭიერი, რათა დაინახო მათი ღირსება და არ გეშინოდეს მათი მეტოქეობისა.“[2]

საკუთარი სახელმწიფოებრიობის პირობებში ნიკო ნიკოლაძეს შესაძლებლად მიაჩნდა არსებული პოლიტიკური პარტიების „განახლება-გადახალისება“, მიუთითებდა: „დღევანდელი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს არაფერნაირად არ შეეფერება ჩვენი პარტიული დანაწილება. ...ყველა პარტიას დაუდგა დრო, რომ ჩაფიქრდეს, სხვანაირად შეიმუშაოს პროგრამა და აწარმოოს თავის ძალები იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც ჩვენს გარშემოა. თორემ ის ძველი სახელები, ძველი განყოფილება, ძველი უკმაყოფილება ერთი-მეორის წინააღმდეგ მარტო ნგრევის და არა შენების იარაღია.“[3]

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ისტორიას ამშვენებს მისი კონსტიტუცია, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ მოამზადა და 1921 წლის 21 თებერვალს ერთხმად დაამტკიცა. აღსანიშნავია, რომ ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის შექმნაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს პოლიტიკურმა პა-

1 რატიანი პ., რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. III, თბ., 1985, გვ. 410.

2 ნიკოლაძე ნ., თხზულებანი, ტ. VIII, ქუთაისი, 2003, გვ. 421.

3 ჯანელიძე ო., ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები), თბ., 1998, გვ. 31.

რტიებმა, ნამდვილად იდგა იმ დროის მოწინავე დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციათა დონეზე.

ნიკო ნიკოლაძეს სახელმწიფოს ძირითადი კანონი ცარიზმის პირობებშიც კი რუსეთის იმპერიისათვისაც აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა[1] და, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელ საქართველოში კონსტიტუციის შემუშავებასა და მიღებას გულით მიესალმებოდა. მით უფრო, რომ ამ კონსტიტუციაში პრეამბულად შეტანილი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის შედგენა ნიკო ნიკოლაძის სახელთანაც არის დაკავშირებული.

კონსტიტუციის დამტკიცება და გამოქვეყნება საქართველოს პირველი რესპუბლიკის უკანასკნელი პოლიტიკური აქტი აღმოჩნდა. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად ქართული სახელმწიფო დაემხო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სულ რაღაც სამი წელი იარსება, ამ პერიოდში სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება დაგროვდა. მისი საფუძვლიანი ჩაწვდომა და აქტუალიზაცია სასარგებლო იქნება თანამედროვე ქართულ რეალობაშიც.

1 ნიკოლაძე ნ., ჩემ პოლიტიკაზე, წიგნში - ნიკო ნიკოლაძე 150. საიუბილეო კრებული, თბ., 1996, გვ. 149.

ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორიიდან 1918-1921 წლებში

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას წინ ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა უსწრებდა: 1. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის განახლება (1917 წ. 12 მარტი) და თბილისის უნივერსიტეტის დაარსება (1918 წ. 26 იანვარი). სულიერი თავისუფლების მოპოვებამ და სიბრძნის სოლიდური კერის დაფუძნებამ საქართველოს გზა გაუკვალა ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლებისაკენ.

ცნობილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწე ივანე ჯავახიშვილს ორივე ამ საშვილიშვილო საქმეში გამორჩეული წვლილი აქვს შეტანილი. ოღონდ, თუ ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში იგი ერთ-ერთი თვალსაჩინო მონაწილის როლით შემოიფარგლა, საქართველოს პირველი ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნება მთლიანად მისი ძალისხმევის ნაყოფია.

უნივერსიტეტის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე მოსე ჯანაშვილი წერდა: „ივანე ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო, ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად, მისი პირველი უნივერსიტეტის სავანედ. ...ჯავახიშვილმა აგვინთო სხივოსანი მზიანი კანდელი, რომელიც ამიერიდან შუქურ-ვარსკვლავივით გაგვინათებს გზა-კვალს მარადისობისაკენ“.[1]

ვინც ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობას თუნდაც ზოგადად გაეცნობა, უპირველესად მისი ნაშრომების მოცულობა და სიმრავლე გააკვირვებს. დიდი სწავლულის ნაწერებისა და პუბლიკაციების მრვალრიცხოვნობა უნებურად გაფიქრებინებს, რომ ბატონ ივანეს თავის სიცოცხლეში სხვა არაფერი უკეთებია, რომ იგი მთელი ცხოვრება მხოლოდ საწერ მაგიდას უჯდა და ისტორიული წყაროების კვლევა-ძიებით იყო დაკავებული. ეს ასეც რომ იყოს, ამაში დასაძრახი არაფერია. მაგრამ ივანე ჯავახიშვილი არ გახლდათ მხოლოდ კაბინეტში ჩაკეტილი მეცნიერი. მისი ფიქრი და აზრი მრავალ საქვეყნო საქმეს

1 გვრიტიშვილი დ., ივანე ჯავახიშვილი (1876-1940). http://nateba.websail.net/biographies/86-javakhishvili

დასტრიალებდა. საკეთებელი კი მართლაც აუარება და თავზესაყრელი იყო. დამოუკიდებლობაგამოცხადებული ქართული სახელმწიფო ხომ ის-ის იყო, ფეხს იდგამდა.

ივანე ჯავახიშვილი სრულად იყო ჩართული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროს პარალელურად, ქმედითად იღწვოდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზეც. საკმარისია დავასახელოთ, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს წინადადებით, ბატონმა ივანემ სხვა „მცოდნე კაცებთან“ (დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, ექსპერტებთან) ერთად მონაწილეობა მიიღო ეროვნული დროშისა და სახელმწიფო გერბის შემუშავებაში. შალვა მაღლაკელიძის მოწმობით, გერბზე „თეთრი გიორგის“ გამოსახვის წინადადება ივანე ჯავახიშვილს წამოუყენებია და ეს იდეა ეროვნული საბჭოს წევრებს გაუზიარებიათ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ივანე ჯავახიშვილს სკოლის გაქართულების საქმეში, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში გამართულმა საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად დასახა და სხვა. გაქართულება უნდა შეხებოდა ტოპონიმიკასაც. ივანე ჯავახიშვილს, სარგის კაკაბაძესა და პავლე ინგოროყვასთან ერთად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისაგან მინდობილი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე ბაქო-თბილისის რკინიგზის გასწვრივ არსებული დასახლებული პუნქტებისათვის ქართული სახელწოდებების შერჩევა, ცნობილი მეცნიერი აქტიურად მონაწილეობდა განათლების სისტემის გარდაქმნაში და მრავალი სხვა.

უნდა ითქვას რომ ეროვნული სახელმწიფოს სამსახურში იმთავითვე ჩადგა თბილისის უნივერსიტეტის პროფესურაც, მათ შორის ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სიმონ ავალიანი და სხვ. აქვე არ იქნება უინტერესო, გავიხსენოთ ორი საყურადღებო ფაქტიც. 1. თბილისის უნივერსიტეტის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება უნივერსიტეტის დასახმარებლად 20 ათასი მანეთის გამოყოფის თაობაზე;[1] 2. 1918 წლის 3 სექტემბერს გამოიცა „საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის კანონი“ ქართული

1 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 23 იანვარი.

უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გარდაქმნის შესახებ და დამტკიცდა უნივერსიტეტის „დროებითი ძირითადი დებულება.“ კანონში აღნიშნულია: „ა) გამოცხადდეს ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფოს უნივერსიტეტად და დაერქვას „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.“ ბ) სახელმწიფოს ყოველ-წლიურ ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იქნეს განსაზღვრული თანხა უნივერსიტეტის შესანახად. შენიშვნა. ამა 1918 წელს მიეცეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თანახმად წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიხვისა 334.300 მან.“[1]

საგულისხმოა ისიც, რომ რესპუბლიკის ხელისუფლება შეძლებისდაგვარად დამატებითაც ეხმარებოდა თბილისის უნივერსიტეტს. მაგალითად, 1920 წელს, გერმანიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ გამოყოფილი თანხით, მიხაკო წერეთელმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ბერლინში შეიძინა უახლესი აპარატი - ეპიდიასკოპი და საუკეთესო ფოტომასალა ძველი აღმოსავლეთის კულტურების შესასწავლად.[2]

1918 წლის ივნისში თბილისის უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა სატერმინოლოგიო სექცია, რომელიც შეუდგა მუშაობას ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.[3] გაზეთი „სახალხო საქმე“ წერდა: „ტერმინოლოგიის ხაზით უნივერსიტეტში სასწრაფო მუშაობა სწარმოებს ყველა დარგში, განსაკუთრებით კი ქართული ენის ტერმინების შედგენაში. ამიერიდან კი ვინც სახელმძღვანელოების შედგენაზე იმუშავებს, ანგარიში უნდა გაუწიოს იმ ტერმინებს, რომლებიც უკვე შემუშავებულია უნივერსიტეტის პროფესორების მიერ.“[4]

ივანე ჯავახიშვილი წევრი იყო 1918 წლის ივლისში შექმნილი გერმანულ-ქართული კულტურული საზოგადოებისა,[5] რომელიც მიზნად ისახავდა ორი ერის დამეგობრებას, მათ კულტურათა ურთიერთდაახლოებასა და დიალოგს. საზოგადოება საქართველოს მოსახლეობაში

1 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბ., 1990, გვ. 57-58.

2 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/22

3 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 15 ივნისი.

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 2 იანვარი.

5 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., 26 ივლისი.

ევროპის ფაქტორის უკეთ გააზრებას, ქვეყნის დასავლური ორიენტაციის მხარდაჭერასა და განმტკიცებასაც ემსახურებოდა.

1919 წლის გაზაფხულზე, სახალხო განათლების სამინისტროს ინიციატივით ჩამოყალიბდა კომისია დაწყებითი სკოლისათვის ახალი პროგრამების შესამუშავებლად. ამ კომისიის თავმჯდომარედაც ბატონი ივანე მიიწვიეს.[1]

პროფესორ ივანე ჯავახიშვილს თხოვნით მიმართა ასევე, სამხედრო სამინისტროსთან არსებულმა სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონის შემდგენელმა კომისიამ და სთხოვა მიეღო მონაწილეობა ამ კომისიის მუშაობაში.[2]

1919 წელს, როდესაც კავკასიის მუზეუმი საქართველოს მუზეუმად გადაკეთდა, პროფესორ ივანე ჯავახიშვილს ამ სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეობა დაეკისრა.

1920 წლის თებერვალში ივანე ჯავახიშვილი დაინიშნა განათლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარედ. კომიტეტს დაკისრებული ჰქონდა სახელმძღვანელო და საყმაწვილო წიგნების განხილვა, ქართულენოვანი ტერმინოლოგიის შემუშავება და სხვ.[3] იმავე წლის მაისში კომიტეტმა ჩაატარა „ქართული ენის მცოდნეთა ყრილობა“, რომელმაც საფუძვლიანად იმსჯელა ქართული ენის სალიტერატურო ნორმების დადგენაზე.[4]

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ამოცანა იყო მოსახლეობის საერთო განათლების დონის ამაღლება, რასაც ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისიდან სახალხო უნივერსიტეტები ემსახურებოდნენ. ახალმა რეალობამ აუცილებელი გახადა, რომ სახელმწიფოს ამ მიმართებითაც ქმედითად ეზრუნა. თუ ადრე სახალხო უნივერსიტეტები საიმპერიო ოფიციალური ინსტიტუციებისაგან დამოუკიდებლად აღმოცენდნენ და საკუთარი სახსრებით ფუნქციონირებდნენ, ახლა ისინი განათლების ერთიან, სახელმწიფო სისტემაში ექცეოდნენ, რაც მათი შედარებით გამართული, სტაბილური საქმიანო-

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 24 მაისი.

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 25 იანვარი.

3 ჟურნ. „განათლება“, 1920, #2, გვ. 76.

4 ჭუმბურიძე დ., განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000, გვ. 72-73.

ბის საფუძველი უნდა გამხდარიყო. სახალხო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც სათავეში ასევე პროფესორი ივანე ჯავახიშვილი ედგა.

კომისიამ ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მოამზადა ამ დაწესებულების რეფორმირების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალური განყოფილების დაარსებას, სადაც საერთო განათლებისათვის საჭირო და სხვა სპეციალური საგნები უნდა შეესწავლათ. განზრახული იყო პროვინციებში თბილისის სახალხო უნივერსიტეტის 11 ფილიალის გახსნა. სახალხო უნივერსიტეტებში მასწავლებლად საუკეთესო მეცნიერული ძალების მოზიდვა და სხვა.[1]

ივანე ჯავახიშვილი, როგორც სიძველეთა უბადლო მცოდნე, თანამშრომლობდა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებასთან, ასევე „სამხედრო ტანთცმულობის შესამუშავებელ კომისიასთან.“ ამ უკანასკნელის დანიშნულება იყო „მოიწვიოს პროფესორნი და მხატვარნი, რათა მათი დახმარებით გამოიმუშაოვოს თავისებური, ნაციონალური, ლამაზი და პრაქტიკული სამოსი ქართველ მხედართათვის.“[2]

1919-1921 წლებში ივანე ჯავახიშვილი ლექციებს კითხულობდა თბილისის სამხედრო სკოლაში, იყო ამ სკოლის პროფესორი.[3] ცნობილი მეცნიერის მოღვაწეობას მომავალ ოფიცერთა კადრების სამჭედლოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ იუნკერთა პატრიოტული სულით განმსჭვალვის თვალსაზრისითაც, რისი შედეგიც თვალნათლივ გამოვლინდა 1921 წლის თებერვალში კოჯორ-ტაბახმელასთან გამართულ ბრძოლებში. ბოლშევიკური რუსეთის აგრესიისაგან თავდაცვით ბრძოლაში იუნკრებმა გმირობის, სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავგანწირვის საოცარი მაგალითები უჩვენეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე მწვავედ იდგა მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საერთაშორისო ცნობა-აღიარების საკითხი. ამ გზაზე დიდ იმედად გამოკრთოდა პარიზის

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 15 ივლისი.

2 ტაბატაძე თ., არტისტული კაფე ქიმერიონი და მისი მოხატულობა, ტფილისი, 1919 წელი, თბ., 2011, გვ. 55.

3 გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე, ჩემი მოგონებების დასასრული, ჟურნ. „მხედარი“, 1991, #3, გვ. 71.

სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც მუშაობას 1919 წლის იანვრიდან შეუდგა. საქართველოს მთავრობამ პარიზის კონფერენციაზე გასაგზავნი ოფიციალური დელეგაცია საგულდაგულოდ შეარჩია. მის შემადგენლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ივანე ჯავახიშვილიც ჩართეს.

ბატონ ივანეს უძნელდებოდა უნივერსიტეტის თუნდაც დროებით დატოვება, იგი ერთხანს თავს იკავებდა ევროპაში გამგზავრებისაგან და უმჯობესად მიაჩნდა სამშობლოში დარჩენა. ივანე ჯავახიშვილის უმაღლესი სასწავლებლიდან მოწყვეტას მტკივნეულად განიცდიდა უნივერსიტეტის პროფესურაცა და სტუდენტობაც.[1] მაგრამ სამთავრობო დელეგაციამ მისთვის დაკისრებული უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი დავალების შესრულებაში ცნობილი მეცნიერ-ისტორიკოსის მონაწილეობა შეუცვლელად მიიჩნია. დელეგაციის წევრის, გრიგოლ რცხილაძის სიტყვით, ივანე ჯავახიშვილის ყოფნა აუცილებლად საჭიროა. „ბევრი ისეთი მასალა იქნება საჭირო, რომელიც ჯავახიშვილს მოეპოვება და თუ მოგვიხდება ისტორიულად და ეთნოგრაფიულად დასაბუთებული მემორანდუმების წერა, ვინ მოგვაწვდის მასალებს, თუ ბატონი ჯავახიშვილი არ იქნა დელეგაციაში. ...ჯავახიშვილი უარს ამბობს უნივერსიტეტის საქმეების გამო, მაგრამ თუ დიდხანს არ უნდა იქ დარჩენა, ცოტა ხნით მაინც წამოვიდეს.“[2] ნოე ჟორდანიამ ივანე ჯავახიშვილს წერილობითაც თხოვა, რომ მისი მონაწილეობა დელეგაციაში აუცილებლად საჭირო იყო. ბატონი ივანე დათანხმდა. იგი სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში „მოთათბირის“ სტატუსით შეიყვანეს. მეცნიერს საქართველოს ტერიტორიისა და ეთნოგრაფიული ყოფის აღწერა, ასევე, საქართველოს მიმართ მეზობლების - სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიული პრეტენზიების უსაფუძვლობის დასაბუთება დაევალა. ევროპაში გამგზავრებამდე კი მასვე მთავრობის სხდომაზე უნდა წარედგინა მოხსენება საქართველოს საზღვრების შესახებაც.

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 12 თებერვალი.

2 ივ. ჯავახიშვილის შემცვლელად დელეგაციაში განიხილებოდა პავლე ინგოროყვას კანდიდატურა, მაგრამ კ. ჩხეიძის სიტყვით, „იგი ვერ გასწევდა ჯავახიშვილობას.“ იხ. მენთეშაშვილი ა., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, „მაცნე“ (ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1992, #2, გვ. 164.

დელეგაციას, რომელსაც საქართველოს პარლამენტის (შემდეგში დამფუძნებელი კრების) თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე მეთაურობდა, მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოში წარსადგენად მიჰქონდა მემორანდუმი და ფრანგულ ენაზე შედგენილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუკა. ამ რუკის მომზადება გენერალ ილია ოდიშელიძესა და პავლე ინგოროყვას ჰქონდათ დაკისრებული. მათთან ერთად რუკაზე ივანე ჯავახიშვილიც მუშაობდა.[1] სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ევროპაში მიმავალი ხსენებული დიპლომატიური მისიის ქართველ წევრთა დიდი ნაწილი კონსტანტინოპოლს ვერ გასცდა, რადგან საფრანგეთის მთავრობისაგან პარიზში ჩასასვლელი ვიზა ვერ მიიღო.

პარიზში ჩასულმა კარლო ჩხეიძემ 1919 წლის 28 მარტს წერილობით მიმართა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და ითხოვა, თუ სრული შემადგენლობისათვის ვერა, ქართული დელეგაციის ყველაზე საჭირო პირებისათვის მაინც დაერთოთ პარიზში ჩასვლის ნება. დასახელებულთა შორის იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, გრიგოლ რცხილაძე, იოსებ გობეჩია, გენერალი ოდიშელიძე, ივანე ჯავახიშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე და ცოლ-ქმარი ვოიტინსკები.[2] სამწუხაროდ, ჩხეიძის თხოვნა უპასუხოდ დარჩა, ივ. ჯავახიშვილს არ მიეცა პარიზში ჩასვლის უფლება.[3] ამის მიუხედავად, დელეგაციამ ფართოდ ისარგებლა მეცნიერის მიერ მომზადებული ნაშრომითა და მასალებით.

საქართველოს დელეგაციამ თავის 1919 წლის 23 მაისის სხდომაზე დაადგინა: საჩქაროდ გადაითარგმნოს ფრანგულად ჯავახიშვილის მონოგრაფია საზღვრების შესახებ და ასევე, დაჩქარდეს თარგმნა ყველა

1 სართანია დ., ნიკოლაიშვილი დ., კოხრეიძე ა., უჯმაჯურიძე ა., თოლორდავა რ., ჩხიკვიშვილი გ., ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა, თბ., 2016, გვ. 76.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 112, ფურც. 61.

3 საზღვრების საკითხში ივანე ჯავახიშვილის ცოდნის გამოყენება საქარ-თველოს მთავრობამ კიდევ ერთხელ 1920 წლის გაზაფხულზე გადაწყვიტა, როდესაც გენერალ ილია ოდიშელიძესთან ერთად მისი ევროპაში, კერძოდ პარიზში გაგზავნა დააპირა „საზღვრების გამოსარკვევად დაგეგმილ კონფერენციაზე.“ მეცნიერს ვერც ამჯერად მოუხერხდა წასვლა და პარიზში მხოლოდ ი. ოდიშელიძე გაემგზავრა. იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ჰარვარდის ფონდის მიკროფირები, საქმ. 753; ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 393, ფურც. 33.

სხვა საჭირო მასალისა, რომელიც დელეგაციას აქვს.[1]

„ჩემის აზრით ძალიან დანაკლისია, რომ თქვენ აქ არ ბრძანდებით ჩვენთან. ჩვენ მუშაობისათვის თქვენი აქ ყოფნა მეტად სასარგებლო იქნებოდა“, - წერდა პარიზიდან დელეგაციის ერთ-ერთი წევრი იოსებ გობეჩია 1919 წლის 7 ივნისით დათარიღებულ წერილში ივან ჯავახიშვილს და თან აცნობებდა: „თქვენი ნაწარმოები საზღვრების შესახებ გადითარგმნა ფრანგულად და ამ დღეებში მივცემთ დასაბეჭდათ. მეორე თქვენი ისტორიული მიმოხილვა, რომელიც მეტად საჭირო არის, ვერ ითარგმნა, რადგან მხოლოდ ერთი ნაწილი არის ჩვენ ხელში; გემახსოვრებათ სტამბოლში ვერ მოასწრეს მისი გადაწერა. ამიტომ გთხოვთ პირველი შემთხვევისამებრ გამოგვიგზავნოთ“-ო.[2] როგორც ჩანს, ტექსტი დროულად გაიგზავნა და ითარგმნა კიდეც. დღეს ამ მასალების ფრანგული თარგმანები საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული.[3]

ივანე ჯავახიშვილი ვიზის მოლოდინში კონსტანტინოპოლში უსაქმოდ არ მჯდარა. აქ მან მოამზადა საყურადღებო ნაშრომი სახელწოდებით „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, რომელიც მალე წიგნადაც დაიბეჭდა. თავის დანიშნულებიდან გამომდინარე, 1919 წელს გამოცემული ეს მომცრო ნარკვევი უაღრესად მნიშვნელოვანი პუბლიკაცია იყო. აქვე დაწერა მან არანაკლებ საგულისხმო გამოკვლევა „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“, რომელიც 1919 წელს ასევე ცალკე წიგნად დაიბეჭდა.

ოსმალეთში მყოფი ივანე ჯავახიშვილი არაერთგზის ესტუმრა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერს, გაეცნო მის მოღვაწეობას და შთაბეჭდილებათა წიგნში ამგვარი ჩანაწერი დატოვა: „გული სიხარულით მევსება, როდესაც ამ პატარა საქართველოს კუნძულში,

1 მენთეშაშვილი ა., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, „მაცნე“ (ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1992, #4, გვ. 135.

2 ჟურნ. „საისტორიო მოამბე“, 1967, #21-22, გვ. 366; საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწ. 1. საქმე #24, ფურც. 28-29.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, საქმე 273.

ქართველთა მონასტერში, საქართველოსა და ქართველი ერისადმი უანგარო ღრმა სიყვარულს ვგრძნობ.

ივანე ჯავახიშვილი. 1919. 16 თებერვალი[1]

სამშობლოში დაბრუნებულ ივანე ჯავახიშვილს საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთი სახელმწიფოებრივი დავალება მისცა. 1920 წელს იგი ექვთიმე თაყაიშვილთან, გენერალ ილია ოდიშელიძესა და პავლე ინგოროყვასთან ერთად შეიყვანეს მეზობელ სომხეთთან და აზერბაიჯანთან საზღვრების გამომრკვევი კომისის შემადგენლობაში.[2]

საზღვრების საკითხში ივანე ჯავახიშვილს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია გააჩნდა. წერდა: „ქართველი ერი და მისი მთავრობა ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი საზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს“. ამასთან, მეცნიერის აზრით: „ზოგან, სადაც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის უვნებლად დათმობა შეიძლება, საქართველოს შეუძლიან დაუთმოს მეზობლებს, რომ მეზობლური განწყობილება, რომელიც საქართველოს წარსულშიც კარგი ჰქონდა, ეხლაც თანხმობითა და მშვიდობიანობით დაიწყოს“.[3]

საგულისხმოა, რომ მეცნიერის ამ პოზიციას იზიარებდა საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე. ვრცელ წერილში „საქართველოს კონსტიტუციისთვის“ იგი წერდა: „ამ გონიერ დათმობას საზღვრების საკითხში საქართველოში არავინ უარყოფს. ოღონდ, თავი და თავი ის არის, რომ დათმობის პოლიტიკას ყოველთვის და ყოველგან უნდა საზღვრავდეს რესპუბლიკის ინტერესები და დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის საჭიროება.“[4]

პროფესორი ივანე ჯავახიშვილი არ გაურბოდა პირუთვნელი აზრის გამოთქმას ახლად შექმნილი სახელმწიფოს თვით ყველაზე მწვავე საკითხებზეც კი. ამ მხრივ საყურადღებოა მეცნიერის მონაწილეობა შიდა ქართლში კომპაქტურად მცხოვრები ოსებისათვის თვითმმა-

1 http://biblioteka.litklubi.ge/print.php?id=3926

2 ჯანელიძე ო., ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1996, გვ. 20.

3ჯავახიშვილი ი., საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1919, გვ. 5-6.

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 17 თებერვალი.

რთველობის შემოღებასთან დაკავშირებულ პერიპეტიებში.

ეს საკითხი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ პირველად 1919 წლის 3 ივლისს განიხილა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დეკრეტის პროექტი განსაზღვრავდა იმ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებს შორაპნის, რაჭისა და გორის მაზრებში, რომელთა შეერთებით უნდა დაარსებულიყო ახალი ადმინისტრაციული ერთეული დროებითი სახელწოდებით - „ჯავის მაზრა“. ადმინისტრაციის ცენტრად შერჩეული იყო სოფელი ჯავა.[1]

პრობლემის სრულად შესასწავლად და მისი წინასწარი განხილვის მიზნით, მთავრობამ ჩამოაყალიბა საუწყებათაშორისო კომისია იუსტიციის მინისტრის მოადგილის გრიგოლ გველესიანის თავმჯდომარეობით. როგორც იმ ხანად მიღებული იყო, კომისიამ გადაწყვიტა მოეწვიათ ქართული უნივერსიტეტის პროფესორები ივანე ჯავახიშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი, რათა „ზოგი რჩევა მათთვისაც ეკითხათ“.

საუწყებათაშორისო კომისიის სხდომაზე მიწვეულმა ივანე ჯავახიშვილმა ურჩია მის წევრებს, რომ პირველ რიგში გაერკვიათ მომავალი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის საკითხი და სხვა პრობლემებზე მხოლოდ ამის შემდეგ ემსჯელათ. ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, კომისიამ დამატებითი სპეციალისტებიც მოიწვია, კერძოდ სამხედრო ტოპოგრაფი გრიგოლ ცხაკაია და უნივერსიტეტის პროფესორი, გენერალი ანდრია ბენაშვილი. მათ დაევალათ შორაპნის, რაჭის, დუშეთისა და გორის მაზრების ეთნოგრაფიული რუკის შედგენა, სტატისტიკის სამსახურს კი ეთხოვა ზუსტი ცნობების წარმოდგენა აღნიშნული რეგიონის ეთნოგრაფიული შემადგენლობის შესახებ.

დავიმოწმებ საარქივო მასალას, რომელიც გვაცნობს კომისიის სხდომაზე გამოთქმულ ქართველი სწავლულის თვალსაზრისს. ბატონ ივანეს განუცხადებია: „ამ რაიონში არის 11 გადმოსასვლელი ჩრდილოეთიდან სამხრეთში და რომ იგი, თუ სამხრეთის ოსები მტრულად იქნენ განწყობილი საქართველოს მიმართ, დიდ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის. მუდამ საჭირო იქნება საგრძნობი ძალების ყოფნა ამ გადმოსასვლელების დასაცავად. თუ საქართველოს არ უნდა, რომ ყოველთვის საფრთხის წინ იდგეს, მან ისე, როგორც ძველად მას ეკუთ-

1 ჯანელიძე ო., ოსთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჟურნ. „ეთნოპოლიტიკა“, 2007, #1 , გვ. 9.

ვნოდა, უნდა დაიბრუნოს დვალეთი, სადაც ჩრდილოეთიდან არის მხოლოდ ერთი გადმოსასვლელი არდონის კარი, რომლის ჩაკეტვას დიდი ძალა არ სჭირდება და რომლის დაჭერაც იქნება უდიდესი გარანტი იმისა, რომ ჩვენ სამშობლოს ჩრდილოეთიდან მტრების დაცემის ხიფათი არ აშინებდეს".[1] ცხადია, მეცნიერი ჩრდილოეთიდან მოსალოდნელ საფრთხეზე საუბრისას გულისხმობდა ბოლშევიკური რუსეთის აგრესიას, რაც მოგვიანებით კიდევაც გამართლდა. კრემლმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ დაძრული წითელი არმიის ნაწილები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დარიალისა და მამისონის უღელტეხილებითაც გადმოიყვანა.

ივანე ჯავახიშვილმა მიუღებლად მიიჩნია საქართველოს მთავრობის პროექტი შიდა ქართლის ოსური სოფლების ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფისა და ოსთათვის საერობო თვითმმართველობის შემოღების შესახებ. მეცნიერი-ისტორიკოსის აზრით, „ბუნებრივად შეუკავშირებელი ნაწილების შეკავშირება ერთ ადმინისტრაციულ ეკონომიკურ ცენტრად შეუძლებელიცაა და გაუმართლებელიც."[2]

უარყოფითი იყო ანდრია ბენაშვილის შეხედულებაც, რომელიც ცალკე ოსური ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბებას საქართველოს სახელმწიფოებრივ-სტრატეგიულ ინტერესებთან შეუსაბამოდ მიიჩნევდა. მეცნიერთა აზრის გათვალისწინებით, კომისიამ ხელისუფლებას წარუდგინა მოხსენება, რომელიც შეიცავდა დასკვნას, რომ „ნაუცბათევად არ გადაწყდეს ის, რასაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც დღევანდელ, აგრეთვე მომავალ ჩვენ მდგომარეობისათვის".[3]

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის საჯარო ლექციები, რომლებიც ივანე ჯავახიშვილმა 1918-1921 წლებში არა სტუდენტურ აუდიტორი-

1 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1796, ანაწ. 1, საქმ. #72, ფურც. 22; ასევე, ჯანელიძე ო., დროებითი ადმინისტრაციული ერთეული (ისტორია და თანამედროვეობა), წგ-ნში - ცხინვალის რეგიონი (2004-2007). სეპარატიზმისა და რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად, თბ., 2008, გვ. 28.

2 ჯანელიძე ო., დროებითი ადმინისტრაციული ერთეული (ისტორია და თანამედროვეობა), წგ-ნში - ცხინვალის რეგიონი (2004-2007). სეპარატიზმისა და რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად, თბ., 2008, გვ. 26-27.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1796, ანაწ. 1, საქმ. #72, ფურც. 22.

ებში, არამედ ფართო საზოგადოებისათვის წაიკითხა.

მათ შორის გამოვყოფდი სამ ლექციას: 1. 1918 წლის დეკემბერში საქართველოს დემოკარტიულ რესპუბლიკას სომხეთის მთავრობამ უსაფუძვლო ტერიტორიული პრეტენზიები წამოუყენა და დასახული მიზნის მიღწევა საომარი მოქმედებით დააპირა. სომხეთის ჯარის შენაერთები ბორჩალოს მაზრაში შემოიჭრნენ. ქართველმა ხალხმა საოცარი ერთსულოვნება და შემართება გამოავლინა ამ ომის დღეებში. ვისაც რითი შეეძლო, მზად იყო მხარში ამოდგომოდა განსაცდელში ჩავარდნილ ქვეყანას. ივანე ჯავახიშვილმა საჯარო ლექცია დაგეგმა, რომლის სახელწოდება იყო: „საქართველოს სამხრეთი საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“. ლექცია 22 დეკემბერს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარ კლუბში გაიმართა. პერიოდული პრესის ცნობით, ლექციაზე დასასწრები ბილეთის ფასი სამი მანეთი, მოწაფეთათვის კი 1 მანეთი ყოფილა. შემოსავალი განკუთვნილი იყო საომრად მიმავალი სოციალისტ-ფედერალისტთა მებრძოლი რაზმის სასარგებლოდ.[1]

ლექციამ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მეცნიერმა შეკრებილთ განუმარტა, რას ეცილებოდა სომხეთის რესპუბლიკა საქართველოს, რა საფუძველი ჰქონდა მეზობელი ქვეყნის პრეტენზიებს ჩვენი ქვეყნის მიმართ და სხვა.

ლექციის დასაწყისში, ლექტორი შეეცადა გაეფანტა საზოგადოებაში არსებული ილუზია, რომ თითქოს სომეხ-ქართველთა შორის არასოდეს დაღვრილა სისხლი, რომ მათ ერთმანეთში არასოდეს ჰქონიათ ომი. ივ. ჯავახიშვილმა განმარტა, რომ ისტორიაში ცნობილია ამ ორი ქვეყნის სულ ცოტა სამი ბრძოლა „სწორედ იმ ადგილებისათვის, რისთვისაც დღეს არის ომი. ყოველთვის საქართველოს და სომხეთის აღორძინება, მოღონიერება რომ დაწყებულა - მაშინვე დაწყებულა დავა ამ ადგილებისათვის.“[2]

აღინიშნა, რომ გარეშე მტერთაგან შევიწროებული სომხები ყოველთვის მოიწევდნენ ჩრდილოეთისაკენ. „როდესაც სომხეთი მარცხდებოდა, მისი მცხოვრებნი შემოდიოდნენ ჩვენს ქვეყანაში და უმთავრესად, რასაკვირველია, სახლდებოდნენ მოსაზღვრე ადგილებში. მაგრამ

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 23 დეკემბერი.

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 25 დეკემბერი.

ისინი შემოდიოდნენ სახელმწიფოში, რომელსაც ემორჩილებოდნენ და რომლის სტუმართმოყვარეობით სარგებლობდნენ. დაახლოებით მეათე საუკუნის დამლევიდან ეს კუთხეები საბოლოოდ საქართველოს მიეკუთვნა. მხოლოდ ერთი მომენტი იყო, როცა სომხეთს ეჭირა იგი და მას შემდეგ არც ერთხელ არ მოშორებია საქართველოს. იგი იყო მოწინავე პოზიცია, რომელსაც მტერი ეკვეთებოდა და ამიტომ ჩვენი წინაპარნი ძალიან დიდ მნიშვნელობას აწერდნენ მას.“

ივ. ჯავახიშვილმა საზღვრების გამიჯვნის საქმეში სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნია ეთნოგრაფიული პრინციპი, რომელსაც სომეხი პოლიტიკოსები იშველიებდნენ და განაცხადა: „სომხების პრინციპი რომ მივიღოთ, ეს იმას ჰნიშნავს, რომ ბელგიელებმა, რომელნიც ამ ომის გამო საფრანგეთში გადასახლდნენ, გამოაცხადონ - საფრანგეთი ჩვენიაო.“ სომხები ამ მიწა-წყლის მკვიდრნი არ ყოფილან, ისინი ჩამოსახლდნენ ჩვენ ტერიტორიაზე, იმ ადგილებში, რომელიც ქართველმა მაჰმადიანებმა დასტოვეს, ან სადაც ხალხი მტრისაგან განადგურდა. ისინი შემოვიდნენ საქართველოში და არა რომელიმე კერძო ადგილზე.“

ისტორიკოსმა შეახსენა მსმენელებს, რომ „ბორჩალოს ეხლანდელი მაზრა იწოდებოდა „მოწინავე დროშად“, რადგან შემოსეულ მტერს პირველად იგი უნდა დახვედროდა. ხოლო ჯავახეთი იწოდებოდა „წინამბრძოლთა დროშად.“ ლორის ციხე ითვლებოდა საქართველოს სამხედრო მინისტრის, ამირსპასალარის ბინად.“

მეცნიერის სიტყვით, „სომხები ამტკიცებენ, რომ ჯავახეთი და ბორჩალო უდავო მათი კუთვნილებაა. ეს არ არის მართალი. ...პირიქით. მაშინაც კი, როცა სომხეთი არსებობდა, - ეს ტერიტორია არასოდეს ყოფილა უდავო. ხოლო როდესაც XI საუკუნეში სომხეთი მოისპო, ეს ადგილები სადაო არასოდეს ყოფილა - იგი საქართველოს ეკუთვნოდა და თუ მტერი იპყრობდა, იპყრობდა როგორც ჩვენს ტერიტორიას. გეოგრაფიულადაც ეს მხარეები საქართველოს ეკვრის. ყველა გზები ჩვენსკენ მოდის, მდინარეებიც აქით მოისწრაფიან და მტკვარს ერთვიან. ვაჭრობაც ყოველთვის აქეთკენ ვითარდებოდა, საქართველოსთან და მაშინაც კი, როდესაც იგი მტრისაგან დაპყრობილი იყო - აღებ-მიცემობას ყოველთვის საქართველოსთან აწარმოებდა.“

მეცნიერ-ისტორიკოსი დასძენდა, რომ „ჯავახეთი და ბორჩალო კარია საქართველოსი და მისი დაკარგვა სახელმწიფოს კარების გაღებას

უდრის“, ამიტომ ქართველი ხალხი ვალდებულია მტკიცედ დაიცვას თავისი მიწა-წყალი. „იმედია ქართველი ერი ხიშტების ჯაგრად შემოერტყმება სამშობლოს მიწა-წყალს, როგორც ის მთები, რომელნიც სხვადასხვა მხრიდან ჰსაზღვრავენ ჩვენს ქვეყანას.[1]

2. 1919 წლის აპრილში ოსმალეთიდან დაბრუნებული ივანე ჯავახიშვილი კითხულობს კიდევ ერთ საჯარო ლექციას, რომელიც მიმდინარე პოლიტიკურ მომენტს შეეხება. ლექციას სუდენტებისა და პროფესურის გარდა გარეშე ხალხიც მრავლად დაესწრო. „უადგილობის გამო ბევრიც უკან გაბრუნებულა“. ლექცია შეიცავს საქართველოს ირგვლივ არსებული სიტუაციის მიმოხილვას, ასევე 1919 წლის გაზაფხულისათვის შექმნილ საერთაშორისო ურთიერთობის ანალიზს და გამოხატავს მეცნიერის მყარ რწმენას, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ახლო მომავალში საგარეო საფრთხე არ ემუქრება.

ცნობილი მეცნიერის საჯარო ლექციას მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი არ ჰქონია, ის საქართველოს იმ დროინდელი რეალობის ერთგვარი ექსპერტული ანალიზიც იყო. ალბათ, ამით უნდა აიხსნას, რომ ლექციის ვრცელ ანგარიშს გაზეთმა „საქართველომ“ ადგილი თავის სამ ნომერში დაუთმო.[2] გაზეთის შეფასებით, „მოხსენება მეტად საინტერესო იყო და პატივცემულ მომხსენებელს სტუდენტობამ მხურვალე მადლობა გადაუხადა“.

ლექციაში გამოიკვეთა რამდენიმე აქტუალური პრობლემა, რომელთა შესახებაც თავისი დამოკიდებულება ივ. ჯავახიშვილმა მკაფიოდ და ნათლად გამოხატა. მისი სიტყვით, „ჩვენი სამშობლოსათვის საზრუნავია, რომ მან განიმტკიცოს თავისი დამოუკიდებლობა, დაემყაროს მხოლოდ თავის ძალებს და დარჩეს კვალად ნეიტრალური.“

ნეიტრალიტეტის საკითხი საქართველოსათვის არ არის მხოლოდ სადღეისო გამოწვევა, იგი მწვავედ იდგა პირველი რესპუბლიკის მესვეურთა წინაშეც.

როცა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა, პირველი მსოფლიო ომი ჯერ კიდევ დასრულებული არ ყოფილა. ახლად შექმნილი რესპუბლიკის ხელისუფლება მოვალე იყო განესაზღვრა ქვეყნის დამოკიდებულება

1 გაზ. „კლდე“, 1918 წ., 25 დეკემბერი.

2 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 4, 7, 8 მაისი.

ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენისადმი. ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ პირველსავე დოკუმენტში - „დამოუკიდებლობის აქტში“ აღნიშნა, რომ საქართველო საერთაშორისო ომიანობაში მუდმივ ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდა. ისეთ რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში, როგორიც სამხრეთ კავკასია იყო, ნეიტარლიტეტი ნაკლებად რეალური ჩანდა, მაგრამ მკაფიოდ ცხადყოფდა ქართული სახელმწიფოს სამშვიდობო მისწრაფებას.

პროფესორი ივანე ჯავახიშვილიც ამართლებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადების იდეას, მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეები ნეიტრალობას საეჭვოდ მიიჩნევდნენ. მისი სიტყვით: „საქართველომ დამოუკიდებლობის დღიდან გამოაცხადა ნეიტრალობა: საქართველომ სწორე გეზი აიღო. ომის ბედი ცვალებადია და ამ მსოფლიო ომში საქართველო არც ერთ მხარეზედ არ გადაიხარა.“ საქართველომ უნდა განიმტკიცოს სუვერენობა, დარჩეს კვლავ ნეიტრალური „ამ მსოფლიო ომში და სახელმწიფოთ ფეხის ხმას არ აჰყვეს“.[1]

მკვლევარი მ. მაცაბერიძე, რომელმაც მეცნიერის ხსენებული ლექცია წინასიტყვაობითა და კომენტარებით ცალკე ბროშურად გამოსცა, სავსებით სწორად შენიშნავს: საქართველოს სინამდვილეში ნეიტრალობა „ეს იყო ლავირება დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს შორის, რომლებიც მოცემულ მომენტში კავკასიის რეგიონში მოქმედებდნენ და ამის მეშვეობით ეროვნული ინტერესების დაცვა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება.“[2]

ივანე ჯავახიშვილს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა პირველი მსოფლიო ომის წლებში ევროპაში ჩამოყალიბებული საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის არა ერთ წევრთან, მაგრამ დაბეჯითებით ძნელია თქმა, იცნობდა თუ არა მეცნიერი კომიტეტის მესვეურთა მოსაზრებას საქართველოს ნეიტრალიტეტის საკითხზე. არადა, როგორც ახლა ირკვევა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხსენებულ კომიტეტს ზუსტად ისთივე თვალსაზრისი აქვს გამოხატული ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებისათვის 1915 წელს

1 გაზ „საქართველო“, 1919 წ., 8 მაისი.

2 ჯავახიშვილი ი. მოხსენება თანამედროვე მომენტზე (1919 წლის 27-28 აპრილი. საგაზეთო ანგარიში), თბ., 2009, გვ. 18.

წარდგენილ მემორანდუმში, როგორიც გამოთქვა ივანე ჯავახიშვილმა თავის ზემოაღნიშნულ საჯარო ლექციაში.

კომიტეტის მემორანდუმში ხაზგასმულია: „თუკი საქართველო, როგორც მას ამის სურვილი აქვს, შეიძენს ნეიტრალური ქვეყნის სტატუსს, ამით ის სრულებითაც არ გახდება შემაწუხებელ საგნად მეზობელი ქვეყნებისათვის. პირიქით, ის შეიქნება უფრო დიდ მშვიდობის ფაქტორად, როგორც საკუთარი საერთაშორისო-სამართლებლივი მდგომარეობით, ისე ტერიტორიის დაურღვევლობის მეშვეობით. ...მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი მით უფრო მიღწევადია, რომ ის სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან, რადგან ის ერთმანეთს დააცილებს ორ დიდ სახელმწიფოს იმ ადგილებში, სადაც მათი კონტაქტი უეჭველად წარმოშობს საერთაშორისო კონფლიქტებს და, ამავე დროს, შეუნარჩუნებს პირდაპირ კონტაქტს სხვა სფეროებში. საქართველო წარმოადგენს მშვიდობის ფაქტორს და გარანტიას, როგორც მისი გეოგრაფიული მდგომარეობით, ისე საკუთარი მოსახლეობის რიცხვით, ვინაიდან, არის რა მოშორებული ხმელთაშუა ზღვის აუზს, არ შეუძლია ჰქონდეს ექსპანსიონისტური გეგმები, ...ან საკუთარი ენერგიის კონცენტრაცია მოახდინოს ოცნებებზე და ტენდენციებზე, რომლებიც აღემატება მის როლს. პირიქით, საქართველოს, როგორც ამას ისეთი თანაბარი მნიშვნელობის ქვეყნების მაგალითი ადასტურებს, როგორც დანია და ნორვეგია არის, ძალუძს მხოლოდ მშვიდობის ფაქტორი იყოს, რადგან მისი მიზანი ვერ იქნება სხვა რამ, გარდა იმისა, რომ უზრუნველყოს სხვა სახელმწიფოთა კოლექტივში საკუთარი ეროვნული ინდივიდუალურობა.“[1]

თავის ლექციაში ივანე ჯავახიშვილი შეეხო ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც, რომლის ირგვლივ იმ ხანად აზრთა მძაფრი სხვადასხვაობა იყო, განსაკუთრებით ხელისუფლების მომხრე და ოპოზიციურ ძალებს შორის. კერძოდ, უნდა აღედგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის მაისამდე თუ არა.

ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა: „რუსეთს ყველაზე გვიან საქართველო ჩამოშორდა. ჩვენ მმართველ პარტიას გულწრფელად

1 საქართველოს სეპარატისტთა ეროვნული კომიტეტის მემორანდუმი, წარდგენილი ოტომანთა იმპერიის მთავრობისადმი 1915 წლის 15 ივნისს, გ. მამულიას პუბლიკაცია, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2016, #4 (7), გვ. 186-192.

სურდა, საქართველო ნაწილი ყოფილიყო დიდი რუსეთისა და ამისათვის საქართველო თანდათანობით სცილდებოდა რუსეთს. ჯერ ამიერკავკასიის რესპუბლიკა, შემდეგ უკვე საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს თანდათანობა არ იყო განზრახ მოგონილი, როგორც სწამებენ ჩვენ მმართველ პარტიას სომხები და რუსები. მაგრამ ეს თანდათანობა ძლიერ კეთილი იყო საქართველოსათვის. საქართველო რომ უეცრად ჩამოსცლოდა რუსეთს, მას გაანადგურებდა ან რუსის ან სომხის მობოლშევიკე ჯარი. ერთი სიტყვით, პირველი ნაბიჯი საქართველოს გასანთავისუფლებლად გადაიდგა თავის დროზედ. და ეს განთავისუფლება საქართველოს ძვირად არ დასჯდომია."[1]

ამ აზრს ივანე ჯავახიშვილი გამოხატავდა როგორც სწავლული ისტორიკოსი და როგორც ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანების - უპარტიოთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ცნობილია, რომ ქართული ოპოზიციური სპექტრის ნაწილი სოციალ-დემოკრატებს მუდმივად აკრიტიკებდა იმისათვის, რომ მათ დააგვიანეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ივანე ჯავახიშვილი პარტიულზე წინ საქართველოს მოქალაქე და ჭეშმარიტი მეცნიერი იყო. ამიტომ მის შეფასებაში უპირველესად საკითხისადმი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიდგომა და მიუდგომელი ანალიტიკოსის შეხედულება იკითხება და არა ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ოპოზიციონერის თვალსაზრისი.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქართველოს „მშვენიერი საზღვრების გამო", თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა-შენარჩუნებისათვის დიდი ჯარის შენახვა არ დასჭირდება. „საჭირო დროს საქართველო შემოჰკრებს თავის შეგნებულ შვილთ, რომელნიც სამშობლოს დაიცავენ. საჭიროა მხოლოდ, რომ ყოველ ქართველს ჰქონდეს სამხედრო ცოდნა."

ლექციის მთავარი დასკვნა, რომელიც არსებული სიტუაციისა და წარსულის ღრმა ანალიზის საფუძველზე იყო გამოტანილი, მეცნიერმა ასე გამოთქვა: ამჟამად „საქართველოსათვის იმისთანა პირობებია, რომ მის დამოუკიდებლობას არავითარი საფრთხე არ მოელის." „საქართველსათვის საჭირო არ არის ვისიმე პროტექტორატი. ...სხვისი მფარველობა ...ჩვენ მოგვადუნებს. საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ

1 გაზ. „საქართველო", 1919 წ., 7 მაისი.

თავისი იმედი უნდა ჰქონდეს.“ ოღონდ, როგორც სწავლული ისტორიკოსი დასძენდა: საჭიროა თავი ვანებოთ „პოლიტიკის გულუბრყვილობას“[1] და, ასევე, „საქართველოს პოლიტიკური აზროვნება შეეჩვიოს იმ აზრს, რომ საქართველო მუდამ ემყარებოდეს თავის თავს.“[2] მართლაც რომ ყოველ დროსა და ეპოქაში ანგარიშგასაწევი და გასათვალისწინებელი თვალსაზრისია.

3. პერიოდულ პრესაში საგულისხმო რეზონანსი მოჰყვა ივანე ჯავახიშვილის 1919 წლის 3 აგვისტოს სახელმწიფო თეატრში წაკითხულ კიდევ ერთ საჯარო ლექციას საქართველოს საზღვრების შესახებ. ლექცია არსებითად მეცნიერის ზემოთ განხილულ ნაშრომს დაეფუძნა და მასზე მსჯელობას აქ აღარ შევუდგები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ამ ლექციის გამო დაიბეჭდა, როგორც დადებითი, ისე კრიტიკული გამოხმაურებები.

კრიტიკული იყო სომხური საზოგადოებრივი აზრის გამომხატველ გაზეთში „Кавказское слово“-ში М.-ის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი. ავტორი იწუნებდა საზღვრების გავლების საკითხში ივ. ჯავახიშვილის ისტორიულ და სტრატეგიულ კონცეფციას, არ მოსწონდა ლექციის არც ემოციური და არც აკადემიური სტილი, მაგრამ თავისი შეხედულების გასამყარებლად არგუმენტებს ვერ იშველიებდა. კრიტიკოსის არაობიექტურობას აშკარად წარმოაჩენდა მისი უსაფუძვლო მტკიცება, თითქოს „ერეკლეს საქართველო შეუერთდა რუსეთს ასეთი შემადგენლობით: ქართლი, კახეთი და სომხეთი, თავისი სატახტო ქალაქით ტფილისით.“[3]

М.-ის აზრით, ივ. ჯავახიშვილი ძირითადად ქართველოლოგიის სპეციალისტია, იგი არ ითვალისწინებს აკადემიკოს ნ. მარის შეხედულებას მეცნიერების უნივერსალობისა და კოსმოპოლიტურობის, ასევე, არმენლოგიისა და ქართველოლოგიის ამოცანათა ერთიანობის შესახებ, რის გამოც მისი ცოდნა და დასკვნები ცალმხრივია და შეზღუდული. იმ დროს, როდესაც დასავლეთ ევროპის მეცნიერებათა წარმომადგენლები ხალხთა შერიგებისა და ძმობის საქმეს ემსახურებიან, იგი

1 ამ ცნებაში მეცნიერი გარეშე ძალების ილუზორულ მოიმედობას გულისხმობდა.

2 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 8 მაისი.

3 Газ. „Кавказское слово“, 1919 г. 12 августа.

ხსნის ღუზას ქართველებისათვის მათ განკერძოებულობაში ხედავს.[1]

ივანე ჯავახიშვილს ამ პუბლიკაციისათვის არ უპასუხნია, ასეთი დონის ოპონენტს მეცნიერმა თავი არ გაუყადრა. სამაგიეროდ, გაისარჯა ვახტანგ კოტეტიშვილი, რომელმაც გაზეთ „სახალხო საქმეში“ დაბეჭდა სტატია სათაურით „საზღვრების გამო.“ ვ. კოტეტიშვილმა „კავკაზსკოე სლოვოს“ ჟურნალისტი საქართველოს ისტორიის გაყალბებაში ამხილა და ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს საზღვრების მიმოხილვისას მან „დიდი უცოდინარობა“ გამოამჟღავნა. ამასთან, M.-მა ივანე ჯავახიშვილს უსაფუძვლოდ დასწმა „გრძნობათა ამყოლობა და სიმსუბუქე.“ ქართველი პუბლიცისტის სიტყვით, კრიტიკოსი ასე იმიტომ მოიქცა, რომ მისთვის ჯავახიშვილის თეზისები არასასიამოვნოა და ამავე მიზეზით მიუღებელიც. ვ. კოტეტიშვილი ურჩევდა M.-ს, „გონიერად და პატივისცემით მოეპყარით იმ ერს, რომლის მეზობლობაც ისტორიამ გარგუნათ. თქვენს ინტერესთა გარეშე ჩვენი ინტერესიც დაინახეთ. ...მეტი გონიერება, თორემ საერთო საქმეს ხომ წაახდენთ, მაგრამ, ამაზე უწინ წაახდენთ თქვენ საკუთარ საქმეს.“[2]

ივანე ჯავახიშვილის ლექციის მიმართ თავის გამოხმაურებაში მონონება და დადებითი დამოკიდებულება გამოხატა სამსონ ფირცხალავამ. მან გაიზიარა ქართველი მეცნიერის აზრი სახელმწიფოს სტაბილურობის საქმეში მეზობლებთან საზღვრების მკაფიოდ გამიჯვნის მნიშვნელობის შესახებ და, ივ. ჯავახიშვილის მსგავსად, ამ საკითხის გადაწყვეტაში ხაზი გაუსვა გონივრული კომპრომისის აუცილებლობას.[3]

ივანე ჯავახიშვილი უყურადღებოდ არ ტოვებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე წამოჭრილ მწვავე პრობლემებს და მათ შესახებ პირუთვნელად გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას. საილუსტრაციოდ ასეთი მაგალითიც გამოდგება. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე საქართველოს დიდ გამოწვევად ექცა ზაქათალის ოლქზე იურისდიქციის გავრცელება, რაშიც მეზობელი აზერბაიჯანის რესპუბლიკა ეცილებოდა. საკითხი უფრო აქტუალური გახდა 1920 წლის გაზაფხულისათვის, როდესაც მოსკო-

1 Газ. „Кавказское слово“, 1919 г. 12 августа.

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 15 აგვისტო.

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 7 აგვისტო.

ვში მიმდინარეობდა სამშვიდობო მოლაპარაკება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის. ცნობილია, რომ 7 მაისს მოსკოვში ხელმოწერილ ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილად ცნობდა ზაქათალის ოლქსაც. მაგრამ, იმავე ხელშეკრულების 12 მაისის დამატებით შეთანხმებაში, რომელიც უკვე გასაბჭოებული აზერბაიჯანის ხელისუფლების მოთხოვნით გაფორმდა, ჩაიწერა, რომ ზაქათალის ოლქის კუთვნილების საკითხი არბიტრაჟის გზით უნდა გადაეწყვიტა ქართულ-აზერბაიჯანულ შერეულ კომისიას საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. სწორედ 12 მაისითაა დათარიღებული პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მცირე განმარტება „განაცხადი ზაქათალის ოლქის უფლებებზე“, რომელიც მეცნიერმა, სავარაუდოდ, საქართველოს მთავრობას მიაწოდა.[1] ი. ჯავახიშვილი კომპეტენტურ და არგუმენტირებულ აზრს გამოთქვამდა თუ რატომ გააჩნდა ჩვენს ქვეყანას უცილობელი უფლება თავის ამ ერთ-ერთ ძირძველ კუთხეზე. ეს არგუმენტები ასე გამოიყურება: 1. „ეს კუთხე უძველეს დროითგან ქართველ ერის მკვიდრ მიწა წყალს შეადგენდა და ჰერეთის სახელით ცნობილ ქართულ კულტურისა და ხელოვნების ასპარეზად ითვლებოდა“; 2. „მე-XVII-ე ს-ის პირველ მეოთხედამდე ის მუდამ ქართველთა უდავო სამფლობელოსა და საკუთრებას შეადგენდა.“ იქვე მითითებულია სათანადო წყაროებიც, კერძოდ: „1743 წ. მოსკოვში დახატული მაშინდელ საქართველოს რუსული რუკა და რუსეთის ელჩის ბურნაშევის მიერ 1784 წ. შედგენილ საქართველოს რუკა.“ სწავლული ისტორიკოსის დასკვნით, 1783 წელს „საქართველოს რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროსაც ზაქათალის ოლქი საქართველოს უცილობელ კუთვნილებად ითვლებოდა.“

თავისუფალ საქართველოში, როგორც დემოკრატიულ რესპუბლიკაში, აქტუალური იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების გარკვევა. ამ საკითხმა ხელისუფლებისა და სასულიერო წოდების გარდა, პოლიტიკური სპექტრის, ფართო საზოგადოების ინტერესი, გამოხმაურება და ჩართულობა გამოიწვია.

ცხადია, ივანე ჯავახიშვილი, როგორც მეცნიერი ისტორიკოსი და აქტიური მოქალაქე, ვერ დარჩებოდა და არც დარჩენილა გულგრილი

1 სართანია დ., გვიმრაძე თ., ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობაში საკვლევი ჯერ კიდევ ბევრია, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 2017 წ., 4 მაისი, #5, გვ. 14.

იმ პერიპეტიების მიმართ ხსენებული პრობლემის ირგვლივ რომ წარმოიშვა.

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ „რწმენა და ამა თუ იმ სარწმუნოების აღსარება ან უარყოფა და ურწმუნოება... ყოველი ადამიანის პირადი შეგნებისა და გრძნობის საქმეა“, რომ ეკლესია და სახელმწიფო, საქართველოს ისტორიული ტრადიციის მიუხედავად, ახალ რეალობაში შეიძლებოდა ერთმანეთს გამიჯვნოდნენ და დამკვიდრებულიყო სეკულარიზმის პრინციპი: სახელმწიფო აღარ ჩაერეოდა ეკლესიის ცხოვრებაში, ხოლო ეკლესია - სახელმწიფო პოლიტიკაში. ამასთან, წუხდა, რომ „ჩვენში ბევრნი სარწმუნოებას ალმაცერად უყურებენ“ და აუცილებლობად ესახებოდა „სარწმუნოებათა ისტორიულ-მეცნიერული შესწავლა.“ წერდა: „რაკი ჰუმანურ მეცნიერებათა მიზანი ადამიანის სულიერი შემოქმედების ყოველმხრივ გამოხატულობის შესწავლაა, ამიტომ თეორიული მეცნიერებაც მოვალეა სარწმუნოებათა მეცნიერულ-ისტორიული შესწავლა თავს იდვას“-ო.

უნივერსიტეტის დაფუძნებისთანავე მეცნიერი იმ აზრისა იყო, რომ თუ ცალკე ფაკულტეტი ვერ გაიხსნებოდა, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე მაინც საღვთისმეტყველო მეცნიერებათა ლექციებიც უნდა შემოეღოთ. აცხადებდა: უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ამ საგნებს მკვლევარი არ ჰყავს სრულ უმაღლეს სასწავლებლად ვერ ჩაითვლება.[1]

1918 წელს ივანე ჯავახიშვილმა, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანმა, შეადგინა კათედრის სამოქმედო გეგმა. ეს არ იყო განსახილველ ან განსახორციელებელ საკითხთა მხოლოდ მშრალი ჩამონათვალი. გეგმა განსაზღვრავდა ფაკულტეტის მიზნებსა და ამოცანებს როგორც უნივერსიტეტის განვითარების, ისე ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. ღვთისმეტყველების ფაკულტეტის დაარსებასთან დაკავშირებით, აღნიშნული იყო: „ქართულ მომავალ უნივერსიტეტშიაც უნდა იყოს ან ცალკე ღვთისმეტყველების ფაკულტეტი ან სიბრძნისმეტყველების ან კიდევ ფილოსოფიურ ფაკულტეტთან სალექციო გეგმა და წასაკითხი საგნების სია უნდა იყოს წინასწარ

1 სართანია დ., ესკიზები ივანე ჯავახიშვილის პორტრეტისათვის, თბ., 2017, გვ. 120-121; ასევე, საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 7 , ფურც. 56-57.

შედგენილი და დამტკიცებული. თუნდაც რომ ცალკე ღვთისმეტყველების ფაკულტეტი შეიქმნას, მას პრაქტიკული ხასიათი კი არ უნდა ჰქონდეს, იქ მღვდელმსახურებისათვის კი არ უნდა ამზადებდნენ, არამედ მხოლოდ მეცნიერული თვალსაზრისით უნდა ხელმძღვანელობდეს... და მისი ერთადერთი მიზანი საქრისტიანო დოღმატიკის, მწერლობისა, მთარგმნელობისა, საეკლესიო სამართლისა და ზნე-ჩვეულებათა მეცნიერულ-ისტორიული შესწავლა უნდა იყოს."[1]

ივანე ჯავახიშვილს შედგენილი ჰქონდა ლექციების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა წაკითხულიყო თბილისის უნივერსიტეტში: საეკლესიო ისტორია, ღვთისმეტყველებისა და საეკლესიო მწერლობის ისტორია, ქართული ძველი სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორია, საეკლესიო სამართალი. ლექტორებად შერჩეულნი იყვნენ ღვთისმეტყველების მაგისტრი, პროფესორი კორნელი კეკელიძესა და პროფესორი იოსებ ყიფშიძე.[2]

საგულისხმოა, რომ 1920 წლის თებერვალში უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა „სარწმუნოებრივ მეცნიერებათა განყოფილება" და დასახელებულ საგნებს დაემატა „რელიგიის ფილოსოფიის კურსი." თითქოს სრულდებოდა უნივერსიტეტის დაფუძნების დღეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის მიერ გაცხადებული სურვილი, რომ „ქართულ ნორჩ უნივერსიტეტში მალე გაიხსნას ყველა განზრახული ფაკულტეტი და მიჰმატებოდეს მას საღვთისმეტყველო ფაკულტეტიც, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში არის მოწყობილი."[3] მაგრამ 1921 წლის თებერვალ-მარტში განხორციელებულმა ბოლშევიკურმა ოკუპაციამ და საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებამ ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა.

1918-1921 წლების ქართული სინამდვილე ერთი დიდი პოლიტიკუ-

1 ლილუაშვილი ე., ქართული კულტურა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1921 წლებში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2006 (ხელნაწერის უფლებით), გვ. 88; ასევე, საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 7 , ფურც. 54-55.

2 გაზ. „სახალხო საქმე", 1920 წლის 3 ივნისი; ასევე, საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 10, ფურც. 63-65.

3 გაზ. „სახალხო საქმე, 1918 წ., 28 იანვარი.

რი პროცესი იყო, რომელიც მრავალპარტიულობით, პლურალისტური აზრით, თავისუფალი სიტყვით და სხვა არაერთი დემოკრატიული მახასიათებლით გამოირჩეოდა. მთელი ამ პროცესის ტონის მიმცემი და მამოძრავებელი ძალა ძირითადად 4 პოლიტიკური პარტია იყო, კერძოდ: სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიები. ივანე ჯავახიშვილი არც ერთი ამ პარტიის წევრი არ ყოფილა. იგი, როგორც ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებელი, მსოფლმხედველობრივად ეროვნული და დემოკრატიული იდეოლოგიის მიმდევარი იყო[1], თუმცა პარტიული ორგანიზაციის წევრი არასოდეს გამხდარა და სიცოცხლის ბოლომდე უპარტიო ერისკაცად დარჩა.

პარტიის გარეშე ყოფნა ივანე ჯავახიშვილისათვის არ ნიშნავდა პოლიტიკური მოვლენების მიღმა ყოფნას და არსებულ რეალობასთან უსიტყვო შეგუებას, მით უფრო, რომ სახელმწიფოს სათავეში მყოფი სოციალ-დემოკრატების შეხედულებებსა და საქმიანობაში მას ბევრი რამ არ მოსწონდა. ამით უნდა იყოს განპირობებული ის გარემოება, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენიდან სულ რაღაც თვენახევრის შემდგომ იგი ახალი პოლიტიკური გაერთიანების შექმნაში მონაწილეობს. 1918 წლის ივლისში ივანე ჯავახიშვილი რამდენიმე თანამოაზრე ქართველ მოღვაწესთან ერთად აყალიბებს ორგანიზაციას, რომელიც ჩვენს ისტორიაში „უპარტიოთა კავშირის“ სახელითაა ცნობილი. საინტერესოა, აღინიშნოს, რომ ახალი ალტერნატიული ძალის დაარსების ფაქტი არც ერთი პარტიის პერიოდულმა პრესამ არ გააშუქა. მხოლოდ ოფიციოზმა, გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ დაბეჭდა მოკლე ინფორმაცია. მასში ვკითხულობთ:

„დაარსდა პარტიათა გარეშე მოფი ქართველების დამოუკიდებელი პოლიტიკური კავშირი. კავშირი მიზნად ისახავს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას და მისი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას. კავშირს არა აქვს პარტიული პროგრამა. იმას აქვს შემუშავებული

1 რამდენადმე გადაჭარბებულია ისტორიოგრაფიაში გამოთქმული თვალსაზრისი, რომ „ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ-პოლიტიკური აზროვნების საფუძველზე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული იდეოლოგია“. იხ. ციციშვილი გ., უცნობი ივანე ჯავახიშვილი, გაზ. „სამშობლო ფორტე“, 1996 წ., #17, ივლისი, გვ. 12.

მხოლოდ პოლიტიკური პლატფორმა. მისი უმთავრესი მუხლებია: საქართველოში დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოებრივი არსებობის დაცვა და განმტკიცება. საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური განვითარება დემოკრატიულ ნიადაგზე, შემოქმედებითი თეორიული და პრაქტიკული მუშაობა. დასახელებული მიზნების განსახორციელებლად კავშირი აწყობს კრებებს, რეფერატებს სხვადასხვა საჭირბოროტო სახელმწიფოებრივ საკითხებზე;

კავშირის საქმეებს განაგებს საბჭო 12 კაცისაგან შემდგარი, სახელდობრ: პროფ. ივანე ჯავახიშვილი, კონსტანტინე აფხაზი, დუტუ მეგრელი, ივანე აფხაზი, კონსტანტინე ამირეჯიბი, ესტატე მაჩაბელი, გიორგი ჯაფარიძე, ირაკლი გუნცაძე (თავმჯდომარე), გრიგოლ გაბაშვილი, კონსტანტინე მაყაშვილი, დავით კარიჭაშვილი".[1]

უპარტიოთა კავშირი არ ყოფილა წმინდა პოლიტიკური პარტია თავისი მკაფიოდ ჩამოყალიბებული წესდებითა და პროგრამული დოგმებით. ის უფრო „შემოქმედებითი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობისათვის" მოწოდებული გაერთიანება იყო. თუმცა მას უარი არ უთქვამს საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში მონაწილეობაზე, რომელიც 1919 წლის თებერვალში გაიმართა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში უპარტიოთა კავშირის საარჩევნო სიას მე-11 ნომერი ჰქონდა მიკუთვნებული. სიაში სულ 10 კაცი იყო დასახელებული (1. ზურაბ ავალიშვილი, 2. ივანე ჯავახიშვილი, 3. კონსტანტინე აფხაზი, 4. კონსტანტინე მაყაშვილი და სხვ.) აღსანიშნავია, რომ ამ 10 კაციდან 7 თავდაპირველად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატთა სიაში იყო შეყვანილი. მათ შორის ივანე ჯავახიშვილი დასახელებული იყო მე-18 ნომრად.[2]

უპარტიოთა კავშირის სიას ხმა მხოლოდ რვაასამდე ამომრჩეველმა მისცა. მათ შორის დედაქალაქში 478 ხმა აღირიცხა,[3] მაშინ, როდესაც მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1800-ზე მეტი

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1918 წ., 1 აგვისტო.

2 ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 330.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 2, საქმ. 67; პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, თ., 2017, გვ. 89.

სტუდენტი სწავლობდა[1]. ამ შედეგით, ცხადია, უპარტიოთა კავშირი სადეპუტატო მანდატს ვერ მოიპოვებდა და იგი დამფუძნებელი კრების მიღმა დარჩა. არადა, როგორ დაამშვენებდა და გამოადგებოდა „ერის ცნობიერების გვირგვინად“ მიჩნეულ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს სწავლული პროფესორის ცოდნა და გამოცდილება. აქ ხომ საფუძველი ეყრებოდა ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობას, მის დემოკრატიულ განვითარებას. ამიტომ ყოველ გონივრულ აზრს, წინადადებას, შენიშვნასა თუ შესწორებას ფასი ედო. პოლიტიკური დებატების გარდა, დამფუძნებელ კრებაში ფართო დისკუსიის, განსხვავებულ მოსაზრება-შეხედულებათა ურთიერჭიდილში იბადებოდა ყოველი კანონი, დეკრეტი თუ აქტი, მუშავდებოდა პირველი ქართული კონსტიტუცია.

როგორ უნდა აიხსნას ფაქტი, რომ ქართული უნივერსიტეტის მესაძირკვლეს, მეცნიერ-ისტორიკოსს, პროფესორ ივანე ჯავახიშვილს არჩევნებში მხარი არ დაუჭირა ამ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა დიდმა ნაწილმა?

ქართველი ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური დიფერენციაცია ჯერ კიდევ მათი მოწაფეობის ბოლო წლებში იწყებოდა. ამდენად, უნივერსიტეტის თუნდაც პირველკურსელი სტუდენტობის უმეტესობა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა წევრად ან მიმდევრად უნდა ვიგულვოთ. პარტიული დისციპლინა მათ თავიანთი საკანდიდატო სიებისათვის ხმის მიცემას დაავალდებულებდა, ყოველ ამომრჩეველს კი მხოლოდ ერთი ხმა ჰქონდა.

მაშინდელი პერიოდული პრესის თანახმად, სტუდენტობა ფართოდ იყო ჩართული პოლიტიკურ პროცესში. ერთ-ერთი გაზეთის ინფორმაციით, გამოცხადდა თუ არა დამფუძნებელი კრების არჩევნები, „ყველა მიმართულების სტუდენტობა მოეფინა სოფელ-ქალაქებს და ჩაებნენ არჩევნების ორომ-ტრიალში.“ იმავე წყაროს ცნობით, 1919 წლის მარტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სერთო კრებამ აირჩია 25 წევრისაგან შემდგარი ახალი გამგეობა. არჩეულთა-

1 მარტო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, რომლის დეკანიც ივ. ჯავახიშვილი იყო, სტუდენტთა რაოდენობა იმ წელს 500-ს აღწევდა. იხ. სონღულაშვილი ა., თბილისის უნივერსიტეტის როლი საქართველოს ინტელიგენციის ფორმირებაში (1918-1921 წწ.), საისტორიო ალმანახი „კლიო“, 2000, #7, გვ. 84.

გან 13 ფედერალისტი, 5 სოციალ-დემოკრატი და 7 ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი იყო.[1] ჩანს, პოლიტიკურად აქტიურ სტუდენტობას შორის უპირატესობა სოციალისტურ მიმდინარეობას უნდა ჰქონოდა, რომელიც ივანე ჯავახიშვილს, როგორც მემარჯვენე ორიენტაციის უპარტიოთა კავშირის წევრს, მხარს არ დაუჭერდა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ივანე ჯავახიშვილი სამშობლოში არ იმყოფებოდა. მას, როგორც პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარგზავნილ საქართველოს ოფიციალური დელეგაციის წევრს, 1919 წლის იანვრის მეორე ნახევრიდან აპრილის დამდეგამდე საზღვარგარეთ, კერძოდ კონსტანტინოპოლში ვხედავთ (იხ. ზემოთ). ამდენად, მეცნიერი მონაწილეობას ვერ მიიღებდა წინასაარჩევნო კამპანიაში, საზოგადოების სხვადასხვა წრეების წარმომადგენლებთან უშუალო შეხვედრა-საუბრებში, რაც საარჩევნო პროცესის ორგანული ნაწილი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია არა მარტო ელექტორატის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, არამედ მხარდამჭერთა მოსაზიდადაც. დამფუძნებელი კრების არჩევნების თანადროულ პერიოდულ პრესაში არ შემონახულა ცნობები, საერთოდ ჩაატარა თუ არა უპარტიოთა კავშირმა წინასაარჩევნო კამპანია. უამისოდ კი ახლად ჩამოყალიბებული მცირერიცხოვანი პოლიტიკური გაერთიანება, თუნდაც ისეთი პიროვნებებისაგან შემდგარი, როგორიც უპარტიოთა კავშირის წევრები იყვნენ, წარმატებას ვერ მიაღწევდა.

როგორც უკვე ითქვა, უპარტიოთა კავშირი მსოფლმხედველობრივად ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ენათესავებოდა. პრინციპული ხასიათის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე ამ ორგანიზაციების შეხედულებანი, ბევრწილად, ერთმანეთს ემთხვეოდა, რაც მათი გაერთიანებისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა. 1920 წლიდან დაიწყო არასოციალისტური ეროვნულ-პოლიტიკური ძალების ურთიერთდაახლოებისა და ერთმანეთთან შერწყმის პროცესი. ედპ-ს მთავარი კომიტეტი და უპარტიოთა კავშირის საბჭო ურთიერთთანამშრომლობდნენ და პერიოდულად ერთობლივ სხდომებსაც მართავდნენ. აღსანიშნავია, რომ უპარტიოთა კავშირი საქართველოს დამფუძნებელი კრების მეორე დამატებით არჩევნებში (1920 წლის მაისი) ედპ-სა და ეროვნულ

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 14 მარტი

პარტიასთან ბლოკში გამოვიდა.

1921 წლის 23-27 იანვარს თბილისში გაიმართა არასოციალისტურ პარტიათა გამაერთაინებელი კონფერენცია. კონფერენციის გადაწყვეტილებით, ეროვნულ-დემოკრატიული, მიწის მესაკუთრეთა ეროვნული, რადიკალ-დემოკრატიული პარტიები და უპარტიოთა პოლიტიკური კავშირი ერთ ორგანიზაციად გაერთიანდნენ, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული პარტია ეწოდა. არ შემორჩა დოკუმენტური მასალა, მონაწილეობდა თუ არა პროფესორი ივანე ჯავახიშვილი ხსენებული კონფერენციის მუშაობაში, მაგრამ ფაქტია, რომ იგი გაერთიანებული პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში არ აურჩევიათ.[1]

მიუხედვად იმისა, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი ვერ გახდა, ივანე ჯავახიშვილს უარი არ უთქვამს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსთან თანამშრომლობაზე.

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ 1919 წლის ივნისში ივანე ჯავახიშვილი ზურაბ ავალიშვილთან ერთად სახელმწიფოს ძირითადი კანონის მოსამზადებლად კომისიაში სამუშაოდ მიიწვია. ქართველი სწავლულების კონსულტაცია, მათი ღრმა ცოდნა და გამოცდილება კომისიას დიდად გამოადგა.

1920 წლის 5 ივნისს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძემ პროფესორ ივანე ჯავახიშვილს მადლობის წერილი გაუგზავნა, რომელშიც ვკითხულობთ: „დიდად პატივცემულო ბატონო ივანე, დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სახელით და პირადად ჩემგანაც მოგიძღვნით უგულითადეს მადლობას იმ მნიშვნელოვანი მონაწილეობისათვის, რომელიც მიიღეთ თქვენ სხვა მცოდნე პირებთან ერთად, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებაში. კომისია განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ეს დიადი საკანონმდებლო აქტი ჩვენი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა - სრული და შედარებით უნაკლო იქნება“.[2]

1920 წლის იანვარში ევროპის წამყვან სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე აღიარებასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით მილოცვას უგზავნის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს. ადრეს-

1 გაზ. „მიწა“, 1921 წ., 31 იანვარი.

2 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქ. #2216.

ში ხაზგასმულია: „თსუ პროფესორთა საბჭო თავის პირველ სხდომაზე დამოუკიდებელი საქართველოს იურიდიულად აღიარების შემდეგ აღფრთოვანებით ულოცავს დამფუძნებელ კრებასა და მთელს ერს ბრწყინვალე გამარჯვებას.

ამიერიდან ქართულ სამეცნიერო შემოქმედებას მტკიცე და შეურყეველი საფუძველი ეყრება და პირველი უმაღლესი ეროვნული საწავლებლის პროფესორთა საბჭო თავის სასიამოვნო მოვალეობად სთვლის, მთელი ძალღონე შესწიროს ქართული მეცნიერების განმტკიცების, ერის გონებრივი დაწინაურებისა და კულტურული აღორძინების საქმეს. ვაშა ქართველ ერს და მის წარმომადგენელს“.[1]

იმავე დღეს ივანე ჯავახიშვილმა მილოცვა მთავრობის თავმჯდომარის სახელზეც გაგზავნა. ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილ მილოცვაში ვკითხულობთ. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო თავის პირველ სხდომაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ცნობის შემდეგ მხურვალედ ულოცავს რესპუბლიკის მთავრობას ძვირფასისა და სანუკვარი საქმის ბრწყინვალედ დაგვირგვინებას და მზად არის გაორკეცებული ენერგიითა და დაუღალავი შრომით დარაჯად უდგეს საქართველოს გონებრივი ცხოვრების წინმსვლელობის საქმეს, გაუმარჯოს რესპუბლიკის მთავრობას, ქართველ ერს და მის კულტურულ მომავალს“.[2]

1921 წლის თებერვალში, როდესაც საქართველოს სხვადასხვა მხრიდან რუსეთის წითელი არმიის ნაწილები შემოესივნენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა რესპუბლიკის ხელისუფლებას მტკიცე სოლიდარობა გამოუცხადეს. მათ მზადყოფნა გამოთქვეს, ჩამდგარიყვნენ სამშობლოს დამცველთა რიგებში. უნივერსიტეტს რექტორის პროფესორ ივანე ჯავახიშვილისა და საბჭოს მდივნის აკაკი შანიძის ხელმოწერით 16 თებერვალს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს გაეგზავნა მიმართვა, რომელშიც აღნიშნულია: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება

1 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქ. 860, ფურც. 1.

2 ჯანელიძე ო., ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1996, გვ. 26-27.

და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფს ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვენ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის“.[1]

მრავალმა სტუდენტმა წიგნები გვერდზე გადადო და იარაღით ხელში ფრონტისაკენ დაიძრა. ისინი ივანე ჯავახიშვილმა შემდეგი სიტყვებით გააცილა: „მართალია, გვაკლია იარაღი, გვაკლია საომარი აღჭურვილობა, გვაკლია ბევრი სხვა რამეც, მაგრამ ჩვენ ბრძენ ხალხს უთქვამს: „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო“. ჩვენი ეროვნული კულტურის თეთრი ტაძარი გზას დაულოცავს ყველას, ვინც ბრძოლის ველისაკენ მიეშურება“.[2]

მიუხედავად ქართველი ჯარისკაცების, გვარდიელების, იუნკერების, სტუდენტთა თუ სხვათა შემართებისა, 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დაცვა ვერ მოხერხდა, დემოკრატიული რესპუბლიკა დაეცა, ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა და ბოლშევიკური რეჟიმი გაბატონდა. როგორც მთელი ქართველი ხალხის, ისე ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებაში ახალი, რთული და მრავალი განსაცდელით აღსავსე ეტაპი დაიწყო.

1 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწ. 1, საქმ. 110, ფურც. 13.

2 მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს, თბ., 1994 (შემდგენელი გ. შეყილაძე), რ. მეტრეველის წინასიტყვაობა.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ისტორიიდან (სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია)

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ნებისმიერი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მახასიათებელია. მისი განსაზღვრისას, როგორც წესი, ანგარიში ეწევა პოლიტიკურ, გეოგრაფიულ, ეთნო-დემოგრაფიულ, სამეურნეო-ეკონომიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ და სხვა ფაქტორებს. საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული აღნაგობა არაერთგზის შეიცვალა. ისტორიულ ხევებსა და საერისთაოებს მომდევნო პერიოდებში სამთავროები, სათავადოები, სადროშოები, სამოურაოები, გუბერნიები, მაზრები, ოლქები, რაიონები, მუნიციპალიტეტები და სხვ. ჩაენაცვლა.

საქართველოს მიწა-წყალი, გარდა იმისა, რომ მთისა და ბარის ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ ზონებად იყოფოდა, ადმინისტრაციული თვალსაზრისით უფრო წვრილ ტერიტორიულ ერთეულებადაც იყო დიფერენცირებული. ერთიანი ცენტრალიზებული მმართველობის პირობებში ამ ერთეულებს პოლიტიკური სუვერენიტეტი და სხვა სახელმწიფოებრივი ნიშან-თვისება არ გააჩნდათ, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლებისაგან გარკვეული უფლებები ჰქონდათ დელეგირებული.

სახელმწიფოებრიობამოშლილ საქართველოში რუსეთის საიმპერიო რეჟიმმა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის რუსული მოდელი დაამკვიდრა, რომელმაც ინერციის ძალით, ერთხანს რომანოვთა ტახტის დამხობის შემდგომაც იარსება. მისი განახლება ახალი სინამდვილის შესაბამისად აუცილებელი გახდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. წინამდებარე სტატია ამ დიდი პრობლემის ერთ ასპექტს, სახელდობრ დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში სამუსლიმანო საქართველოს პოლიტიკური მოწყობის საკითხს აშუქებს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იმ დროს წარმოიშვა, როდესაც მსოფლიო ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა. ახალი სახელმწიფოს ფორმირებაზე, მის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა სწრაფცვალებადი საერთაშორისო ვითარება. თუ ჩვენი ქვეყნის გეოსტრატეგიულ მდებარეობასა და რეგიონი-

სადმი დიდ სახელმწიფოთა შეუნელებელ ინტერესსაც გავითვალისწინებთ, ადვილი წარმოსადგენია, რა რთულ პირობებში მიმდინარეობდა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა.

ახლად შექმნილ ქართულ სახელმწიფოს მეფის რუსეთისაგან მძიმე მემკვიდრეობა ერგო. მათ წარმატებით დაძლევას გონივრული გეგმა, დრო და მშვიდობიანი განვითარება ჭირდებოდა. მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ხელისუფლებაში მოსვლამდე არ გააჩნდა სახელმწიფოებრივი მშენებლობის მკაფიო კონცეფცია, მოკლებული იყო ქვეყნის მართვის პრაქტიკულ გამოცდილებას, თუ არ ჩავთვლით მის ლიდერთა რამდენიმეთვიან მოღვაწეობას ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის ხელმძღვანელობაში. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ნეიტრალიტეტის გამოცხადების მიუხედავად, 1918-1921 წლებში მშვიდობიანი ცხოვრების საშუალებაც ნაკლებად მიეცა, თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად არაერთ სამხედრო შეტაკებაში მოუწია მონაწილეობა. ამასთან, მთავრობასა და დამფუძნებელ კრებას მკაცრ ცაიტნოტში უხდებოდათ მუშაობა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ამოცანა იდგა გადასაჭრელად. 1. საკუთარი მიწა-წყლის შემომტკიცება და დაცვა; 2. საერთაშორისო ცნობა-აღიარების მიღწევა; 3. მოქნილი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება-ამოქმედება; 3. ეფექტური საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური კურსის გამოკვეთა და მისი განხორციელება. ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხიც, მეტადრე ქვეყნის განაპირა მხარეების, ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების მოგვარება და სხვ.

სახელმწიფოს მესვეურთა ერთ-ერთ მთავარი საზრუნავი იყო სამუსლიმანო საქართველოს ბედის გადაწყვეტა, ამ კუთხისა და მისი მოსახლეობის ქართულ წიაღში უმტკივნეულო ინტეგრაცია.

სამუსლიმანო ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის იმ კუთხე-პროვინციებს ეწოდებოდა, რომლებიც სხვადასხვა დროს ოსმალეთის იმპერიამ მიიტაცა და მის მკვიდრთ ქრისტიანული სარწმუნოება ისლამის რჯულით შეუცვალა. სხვა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სივრცეში მოქცევამ, ძალდატანებითმა გამაჰმადიანებამ,

შემდგომმა შიდა მიგრაციულმა თუ ასიმილაციურმა პროცესებმა ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის საქართველოსაგან რამდენადმე გაუცხოება გამოიწვია. XIX საუკუნეში, რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად, სამუსლიმანო საქართველოს მიწა-წყალი რუსეთის სახელმწიფოში მოექცა, არსებითად კი დედა-სამშობლოს, საქართველოს შეუერთდა.

საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ 1918 წლის ბრესტის ზავით ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები გერმანიის მოკავშირე ოსმალეთს დაუთმო პირობით, რომ ადგილობრივ მოსახლეობას მისცემოდა შესაძლებლობა, „ახალი წყობილება მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან შეთანხმებით დაემყარებინა."

იმხანად ჩამოყალიბებულმა ამიერკავკასიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ეს გადაწყვეტილება უკანონოდ ცნო, მაგრამ ხსენებული ოლქების დაცვა ვერ შეძლო და ოსმალეთი არა მარტო ამ ტერიტორიებს დაეუფლა, არამედ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიც ხელში ჩაიგდო. 1918 წლის ივნისში ოსმალეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა აიძულა, ეს „მონაპოვარი" თურქთათვის ახალი საზავო ხელშეკრულებით დაეკანონებინა. საზღვრები ორ ქვეყანას შორის იმიჯნებოდა 1829 წლის ანდრიანოპოლის ზავის წინა პერიოდის რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრების შესაბამისად. სულთნის ხელში ბრესტის ზავით მიკუთვნებული ოლქების გარდა, გადადიოდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიც (აბასთუმნისა და აწყურის გამოკლებით). ეროვნულ სხეულს უნდა მოწყვეტოდა მთელი სამუსლიმანო საქართველო, მტკვრის ზემოწელისა და ჭოროხის აუზის მთელი ისტორიული მიწა-წყალი. საქართველო კარგავდა 350 ათას მცხოვრებს და 9500 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიას.[1] ოსმალურ ოკუპაციას ამ კუთხიდან მოსაზღვრე ქართულ რაიონებში 60 ათასი ლტოლვილის გახიზვნა მოჰყვა (მარტო ბათუმიდან 20 ათასი კაცი გაიხიზნა).[2]

ოსმალეთის ხელისუფლებამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რეფერენდუმი მოაწყო და მისთვის სასურველი, გაყალბებული შედეგე-

1 ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 135.

2 სიორიძე მ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ბათუმი, 2002, გვ. 253.

ბი მოსახლეობის ნების თავისუფალ გამოხატულებად გაასაღა. სინამდვილეში პლებისციტი დარღვევებით - ღია წესით, შანტაჟის, ძალადობისა და ანტიქართული აგიტაციის პირობებში ჩატარდა. რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიუღია ადგილობრივ მკვიდრთა დიდ ნაწილს, რადგან იგი საკუთარი სახლ-კარიდან ლტოლვილი იყო. ყოველივეს მიუხედავად, 1918 წლის 15 აგვისტოს სულთანმა მეჰმედ VI-მ გამოსცა რესკრიპტი, რომლის საფუძველზეც სამი სანჯაყი (არტაანის, ყარსის, ბათუმის ოლქები) ოსმალეთის სახელმწიფოსთან შეერთებულად გამოაცხადა.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გააპროტესტა ბათუმის დისკრიმინაციული ზავი, მოითხოვა მისი გადასინჯვა ცენტრალურ სახელმწიფოთა მონაწილეობით. თბილისმა საპროტესტო ნოტები გაავრცელა აგრეთვე ოსმალთა მხრიდან უსამართლოდ ჩატარებული რეფერენდუმისა და სხვა უკანონო მოქმედების გამო.[1]

გერმანიამ გაიზიარა ბათუმის ზავის გადასინჯვის იდეა და ოსმალეთი ახალი საგანგებო კონფერენციის მოწყობაზე დაიყოლია. კონფერენცია კონსტანტინოპოლში უნდა გამართულიყო. სულთნის კარზე იგეგმებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხელახალი რეფერენდუმის ორგანიზებაც, მაგრამ მსოფლიო ომში სამთა კავშირის დამარცხების გამო აღარც კონფერენცია ჩატარებულა და აღარც რეფერენდუმი. მუდროსის ზავის თანახმად, ოსმალეთიც იძულებული გახდა ოკუპირებული ტერიტორია სასწრაფოდ დაეცალა. სამუსლიმანო საქართველო გამარჯვებული ანტანტის სახელმწიფოთა, ფაქტობრივად, დიდი ბრიტანეტის კონტროლს დაექვემდებარა. ბათუმი და ბათუმის ოლქი ინგლისელთა გამგებლობაში გადავიდა.

ისტორიულ მესხეთს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სომხეთი და აზერბაიჯანიც ეცილებოდნენ. გავლენის შენარჩუნებას აქ ოსმალეთიც ცდილობდა. პრეტენზიები გაუჩნდათ ადგილობრივ ბეგებსაც, რომელთა სეპარატისტული მოძრაობა 1917 წელს, ცარიზმის დამხობისთანავე დაიწყო. ბეგებს ზურგს ხან ოსმალეთი უმაგრებდა, ხან დენიკინი და ხანაც კავკასიაში მდგარი ბრიტანული არმიის სარდლობა.

არასტაბილურ ვითარებაში ცვალებადი იყო მოსახლეობის მი-

1 Документы и материалы по внещней политике Закавказья и Грузии, Тб., 1919, ст. 370-377.

დრეკილებაც. ზოგი ოსმალურ ორიენტაციას იზიარებდა, ნაწილი საქართველოს შემადგენლობაში დარჩენას ემხრობოდა, სომხებს თვალი არარატის რესპუბლიკისაკენ ეჭირათ და სხვ. წინააღმდეგობანი ეთნიკურ, რელიგიურ თუ პოლიტიკურ ნიადაგზე დროდადრო შეიარაღებულ დაპირისპირებასა და სისხლიან ანგარიშსწორებაშიც გადაიზრდებოდა.

ჯერ კიდევ 1918 წლის ნოემბერში, ვიდრე ოსმალები მთლიანად გავიდოდნენ ახალციხიდან და ქალაქი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას გადაეცემოდა, აქაურმა ბეგებმა ომარ ფაიკის მინისტრ-პრეზიდენტობით ე.წ. ახალციხის მთავრობა შექმნეს და ახალციხე-ახალქალაქის რეგიონის ცალკე კანტონად გამოყოფა დააპირეს. დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ძალებმა ეს ავანტურა დროზე აღკვეთეს. მხარის გენერალ-გუბერნატორად დანიშნულმა გენერალმა ბალო მაყაშვილმა ომარ ფაიკი დააპატიმრა და ქალაქში წესრიგის დამყარებას შეუდგა. საქართველოს ხელისუფლება მდგომარეობის ზედმეტ გამვწვავებას მოერიდა, თვითმარქვია პრეზიდენტი ციხიდან გაანთავისუფლა, მაგრამ ბეგების შემორიგება ვერ მოახერხა. ეს უკანასკნელნი თავიანთი ფეოდალური პრივილეგიების შენარჩუნებას მოითხოვდნენ, რაც ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოში შემოღებულ დემოკრატიულ სოციალისტურ კურსს.

1918 წლის 25 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ოფიციალურად მიმართა სამუსლიმანო საქართველოს მცხოვრებთ და აღუთქვა, რომ ამ კუთხეს მიენიჭებოდა ავტონომია. ამით პარლამენტმა დაადასტურა ამავე საკითხზე საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ ერთი წლის წინ მიღებული დადგენილება.

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომმა ჯერ კიდევ 1917 წლის 17 დეკემბერს განიხილა საკითხი „სამაჰმადიანო საქართველოში მოქმედებისა და მისი პოლიტიკური სახის გამორკვევის შესახებ.“ მემედ აბაშიძემ, რომელიც საბჭოში ამ კუთხეს წარმოადგენდა, წამოაყენა წინადადება, რომ „სამაჰმადიანო საქართველო უნდა მოეწყოს კანტონური წესით.“ ამის საწინააღმდეგოდ გამოვიდა თვალსაჩინო ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა. მან განაცხადა: „კანტონალური სისტემა სათავეშივე დაღუპავს საქართველოს მთლიანობის იდეას. ...აჭარა განსხვავდება მარტო სჯულით. ყველა სხვა საგანში, უნდა ითქვას, რომ ქართველები ვართ. საჭიროა ერთი იდეა - საქართველოს

გაერთიანების. ახლანდელ მომენტში ჩვენ ბაირაღზე უნდა იყოს დაწერილი - მთლიანი საქართველო.“[1]

საბჭოს აღმასკომის წევრებმა ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ გაიზიარეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის გრიგოლ ვეშაპელის თვალსაზრისი, რომელიც სამუსლიმანო საქართველოსთვის თვითმმართველობის მინიჭებას ითვალისწინებდა და მიიღეს შესაბამისი დადგენილება. დაადგინეს ასევე, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოეცათ მოწოდება ქართულ და თურქულ ენებზე. ტექსტის შედგენა ივანე გომართელს, პავლე საყვარელიძეს, მემედ აბაშიძესა და გრიგოლ ვეშაპელს დაევალათ. მოწოდება მალე დაისტამბა 20 ათას ეგზემპლარად და გავრცელდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში.[2]

როცა სამუსლიმანო საქართველოსათვის თავიდან თვითმმართველობის, შემდეგ კი ავტონომიის მინიჭების საკითხს განიხილავდნენ, ქართველი პოლიტიკოსები ანგარიშს უწევდნენ მკაცრ რეალობას. იმ დროს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ოსმალეთის კონტროლს ექვემდებარებოდა. ხსენებულ რეგიონზე ახლად წარმოქმნილი ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის გავრცელებას წინ მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა. ერთ-ერთი ხელისშემშლელი გარემოება ისიც იყო, რომ ამ მიწა-წყლის მკვიდრ, ეთნიკურად ქართველ, მაგრამ გამაჰმადიანებულ მცხოვრებთ სულთანი ოსმალეთის ფარგლებში პოლიტიკურ ავტონომიას ჰპირდებოდა. ადგილობრივი არისტოკრატიის ქართული ორიენტაციის წარმომადგენლებმა, რომლებიც ისტორიულ სამშობლოსთან კავშირის აღდგენასაც ესწრაფოდნენ და საკუთარი პრივილეგიებიც არ ეთმობოდათ, ოსმალური გეგმის საპირისპიროდ, საქართველოს შემადგენლობაში განსაკუთრებული სტატუსით შესვლის იდეა წამოაყენეს.[3]

საქართველოს ბუნებრივ ნაწილს, მის ღვიძლ ისტორიულ კუთხეს - სამუსლიმანო საქართველოს არანაირი ცალკე სახელმწიფოებრივი

---

1 ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 313.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, ანაწ. 1, საქმ. 5, ფურც.

3 აბაშიძე მ., თხზულებანი, გ. შარაძის გამოცემა, ბათუმი, 1998, გვ. 163.

წარმონაქმნი საქართველოს ფარგლებში არ ეკუთვნოდა და არც უნდა მიეღო. საკითხი ამ ასპექტში რომ არ უნდა განხილულიყო, იმთავითვე გამოიკვეთა და გაცხადდა. მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები, იღებდნენ რა მხედველობაში საქართველოსაგან ხანგრძლივად მოწყვეტილი ძირძველი რეგიონის მოსახლეობის რელიგიურ გაუცხოებას, ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებებს, მისაღებად მიიჩნევდნენ ბათუმის ოლქისათვის ავტონომიური მმართველობის აღიარებას. სამუსლიმანო საქართველოს შიდა საქმეებში ავტონომიურ მართვა-გამგებლობას ამ მხარის საქართველოს წიაღში საბოლოო დაბრუნება და წარმატებული ინტეგრაცია უნდა გაეადვილებინა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს ოფიციალური დელეგაციის მოქმედების გეგმა. დელეგაციის სამოქმედო პრინციპთა შორის სგანგებოდაა გამოყოფილი „სამუსლიმანო საქართველოს“ საკითხი. მთავრობის დირექტივის მეხუთე პუნქტის თანახმად, „სამშვიდობო კონგრესზე დელეგაცია უნდა ეცადოს სამაჰმადიანო საქართველოს საკითხის დაყენებას და მის ჩვენდა სასურველად გადაჭრას.“[1]

საქართველოს ეროვნულ საბჭოში კარგად აცნობიერებდნენ, რომ აუცილებელი იყო სამუსლიმანო საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცებაც. პერიოდული პრესის ცნობით, ეროვნულ საბჭოს განზრახული ჰქონდა, მოეწყო: თამბაქოს ქარხანა ქვემო აჭარაში, კარაქის გადასადუღი ფაბრიკა ზემო აჭარასა და შავშეთში, შალეულობის ქარხანა ზემო აჭარასა და შავშეთის რაიონში, ხილის სახმობი ქარხანა აჭარის წყალზე, ზეთისხილისა და ქიშმიშის დასამზადებელი ქარხანა ართვინის ოლქში, ცენტრალური სავაჭრო და საწყობი ბათუმში მთელი ოლქის ნაწარმთა გასასაღებლად და სხვა.[2] ამ პროექტებიდან ზოგიერთის ამოქმედება კიდევაც დაიწყო, მაგრამ მთლიანი გეგმა რიგი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორის გამო ვერ გა-

1 საქართველოს მთავრობის 1918 წლის 21 ნოემბრის სხდომის ოქმი პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის გაგზავნის შესახებ, წიგნში - სურგულაძე ა., სურგულაძე პ. საქართველოს ისტორია თბ., 1991, გვ. 387.

2 გაზ. „ჩვენი რესპუბლიკა“, 1917 წ., 19 დეკემბერი.

ნხორციელდა.

მხარის ეკონომიკურ აღმავლობაზე ზრუნვასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სწორ განმარტებით და პროპაგანდისტულ მუშაობას მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში. აქცენტი ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველობის საერთო წარმომავლობაზე, ძმობაზე, ერთიან სამშობლოზე კეთდებოდა. მაგალითად, სპირიდონ კედია პრესის მეშვეობით მიმართავდა სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრთ: „ჩვენ სხვადასხვა ღმერთებს ვცემთ თაყვანს, მაგრამ გვაქვს ერთი საერთო სალოცავი - სამშობლო. ...ფიზიკურად საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი არსებობა არ შეიძლება, თუ მთელი სამუსლიმანო საქართველო მასთან არ იქნა. ...კულტურულად საქართველო ვერ განაგრძობს თავის სახიერებას და ვერ გაამართლებს თავის დანიშნულებას, თუ რომ მასში ერთად არ ამეტყველდა ქრისტიანული და მუსლიმანური დუეტი ქრისტიანიზმისა და მუსლიმანიზმის მსოფლმზერის“ და სხვა.[1]

ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სამსონ ფირცხალავა აღნიშნავდა, რომ მაჰმადიან ქართველებში ახლა ისე ძლიერია ეროვნული სული, რომ დრო არის სამუსლიმანო საქართველო დაუბრუნდეს დედასამშობლოს. „გაერთიანება მოუტანს ჩვენს მუსულმან ძმებს სრულს თავისუფლებას და ბედნიერებას, დაიცავს როგორც წმიდათა წმიდას, მათ სარწმუნოებას, პიროვნებას, თვითმოქმედებას და სამუდამოდ უზრუნველყოფს მთელი საქართველოს დამოუკიდებლობასა და განვითარებას.“[2]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ სრულად ვერ გაითვალისწინა სამუსლიმანო საქართველოს სპეციფიკა. მართალია, მხარეში ავტონომიური მმართველობის დაწესებამდე ძალაში დარჩა შარიათზე დამყარებული სასამართლო სისტემა და სხვა, მაგრამ აგრარულ-სოციალური ხასიათის რიგმა გარდაქმნამ თუ ადმინისტრაციულ მართვა-გამგებლობაში დაშვებულმა ხარვეზებმა მოსახლეობის ნაწილის, განსაკუთრებით მისი ზედაფენის უკმაყოფილება გააძლიერა. ამ მდგომარეობით ისარგებლეს ბეგ-აღალარებმა, ხოჯებმა და სხვ.,

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 22 ოქტომბერი.

2 ჭუმბურიძე დ., აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, ბათუმი, 1999, გვ. 46.

რომლებმაც საქართველოს წინააღმდეგ ფართო აგიტაცია გააჩაღეს.

ცნობილი ქართველი ემიგრანტი სწავლულის ვიქტორ ნოზაძის სიტყვით, „რევოლუციამ თავისთავად დააფრთხო მესხეთის მაღალი წოდება. სოციალისტურმა ქადაგებამ ააღელვა მორწმუნე მაჰმადიანობა, განსაკუთრებით სასულიერო წოდება. აგრარულმა რეფორმამ გადაატრიალა მიწისმფლობელთა მდგომარეობა და მამულის დაკარგვის აუცილებელმა შიშმა ერთბაშად შექმნა თბილისის საწინააღმდეგო განწყობილება. ...ეს იყო ქართული სოციალისტური, კლასობრივი პოლიტიკის ნაყოფი - საქართველოს ყველა კუთხისათვის ერთი ზომით აგრარული რეფორმის გამოცხადება.“[1]

მუსლიმთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, ოსმალო ემისრების კარნახით, სულთანს პეტიცია გაუგზავნა და ავტონომიურ საფუძველზე მესხეთის ოსმალეთის შემადგენლობაში შესვლა ითხოვა.

1919 წლის იანვარში გამოცხადდა ე.წ. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის, იგივე ყარსის რესპუბლიკის შექმნა, რომლის დროებით მთავრობას სათავეში ჩაუდგა კადრის ყოფილი ოფიცერი იბრაიმ ბეი ჯანგიროვი.[2] ჩამოყალიბდა 70-მდე წევრისაგან შემდგარი მეჯლისი და სხვა.[3] ახალი „სახელმწიფოს“ ერთ-ერთი გავლენიანი მესვეურთაგანი იყო სერვერ ბეგ ათაბაგი. სამცხის ათაბაგთა ამ უკანასკნელი შთამომავლის განზრახვით, „ყარსის რესპუბლიკას“ უნდა გაეერთიანებინა საქართველოსა და სომხეთის ის ტერიტორიები (ძირითადად ყარსის, არტაანისა და ბათუმის სანჯაყები), რომლებიც იმხანად ბრიტანეთის „მფარველობის“ ზონაში შედიოდნენ. ყარსის იურისდიქცია უნდა გავრცელებულიყო აგრეთვე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებზეც.

1919 წლის იანვრის დამლევს სერვერ ბეგმა სამცხეში თავი მოუყარა 12 ათასამდე კაცს, მათ შორის ოსმალებს, რუს თეთრგვარდიელებს, ბრიტანელ ოფიცრებს და აჯანყება წამოიწყო. მეამბოხეებმა 11 თებერვალს ახალციხე აიღეს, ქართული ადმინისტრაცია მოშალეს და ხელისუფლებას დაეუფლნენ. თავგასულმა ბეგმა თბილისს ნოტა გაუგზავნა

1 ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 48.

2 http://www.worldstatesmen.org/Turkey.html#South-Western

3 სიორიძე მ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ბათუმი, 2002, გვ. 281.

და „ყარსის რესპუბლიკასა“ და საქართველოს შორის ტერიტორიული გამიჯვნა 1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის საზღვრებში შესთავაზა.[1]

სეპარატისტებს როგორც ოსმალეთის, ისე ინგლისის არმიის სარდლობა მხარდაჭერასა და დახმარებას პირდებოდა. „ყარსის რესპუბლიკის“ ხელისუფალთ იმედი ჰქონდათ, რომ პარიზის კონფერენციაზე საერთაშორისო ცნობა-აღიარებას მიაღწევდნენ, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. ამასთან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარმა გენერალ გიორგი კვინიტაძის მეთაურობით შეძლო ახლციხის განთავისუფლება და ბრიტანელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ფოცხოვ-არტაანიც ბრძოლით დაიკავა. ინგლისელმა გენერლებმა წაგებული თამაშის გაგრძელება აღარ ისურვეს. 1919 წლის აპრილში მათ დაითხოვეს ყარსის მეჯლისი, ხოლო მთავრობის წევრები დააპატიმრეს და კუნძულ მალტაზე გადაასახლეს.[2]

ახალციხის გლეხთა ყრილობამ მისალმება გაუგზავნა საქართველოს ხელისუფლებას და ამასთან, დანარჩენ სამუსლიმანო საქართველოს მცხოვრებთ მოუწოდა: „ახლა, როდესაც საქართველოს გაუერთიანდა მუსულმანური საქართველოს ერთი ნაწილი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების სახით, სდგება საკითხი დანარჩენი მუსულმანური საქართველოს: აჭარის, ქობულეთის, არდაგანის და შავშეთის განთავისუფლების შესახებ. ...მხოლოდ ერთად მუშაობით, მუსულმანური და ქრისტიანული საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ ერთ ოჯახში გაერთიანებული ძალებით მთელი საქართველოს მცხოვრებნი მოიპოვებენ ბედნიერებას.“[3]

საქართველოსაგან მისი ისტორიული კუთხის, აჭარის ჩამოცილებას ესწრაფვოდა დენიკინის მხარდაჭერით მოქმედი ბათუმის ოლქის რუსთა ეროვნული საბჭო პ. მასლოვის თავმჯდომარეობით. მოხალისეთა არმიის გავლენა ბათუმში იმდენად დიდი იყო, რომ ოლქის გამგებლად დანიშნული მასლოვი ანგარიშს დენიკინს აბარებდა. ანტიქართული სულისკვეთებით გამორჩეულ მასლოვს ერთხანს ბრიტანელებიც მფარველობდნენ, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის მზარდი უკმაყო-

1 ლომსაძე შ., მესხეთი და მესხები, თბ., 2000, გვ. 62.

2 Allen W.E.D., Muratoff P., "Caucasian Battlefields“, Cambridge, 1953, p. 57.

3 ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 53.

ფილების გამო 1919 წლის მაისში იგი მმართველობას ჩამოშორეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საწინააღმდეგო მორიგი ავანტურისტული ქმედება განხორციელდა 1920 წელს, როდესაც მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭო განიხილავდა ბათუმიდან საოკუპაციო ძალების გაყვანის საკითხს. ადგილობრივ სეპარატისტულ წრეებში, რომლებიც დაჯგუფებულნი იყვნენ ისლამისტურ ორგანიზაცია „სედაი მილეთში“ და სარგებლობდნენ აზერბაიჯანელი ემისრებისა თუ ბათუმის ოლქის რუსული ეროვნული საბჭოს თანადგომით, მომწიფდა აზრი „დამოუკიდებელი აჭარისტანის“ გამოცხადების შესახებ. აირჩიეს „უმაღლესი მმართველობა“ და „შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.“ მიზნად ჰქონდათ აჭარის მოსახლეობის საქართველოს წინააღმდეგ ამხედრება, ბათუმში ანტანტის კონტროლისაგან თავისუფალი, „იურიდიულად ნეიტრალური, ფაქტობრივად კი რუსული ნავსადგურის“ შექმნა და სხვა.[1]

„დამოუკიდებელი აჭარისტანის“ მესვეურები დაუკავშირდნენ თურქეთის ახალ (ანგორის) მთავრობასა და საბჭოთა რუსეთს, ცდილობდნენ მიეღოთ მათგან ფული და სამხედრო დახმარება.

1920 წლის 24 თებერვალს მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო განიხილავდა ბათუმის ერთა ლიგის მანდატის ქვეშ საერთაშორისო თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადების საკითხს. ქართველი საზოგადოება უკმაყოფილოდ შეხვდა ამ ცნობას. მრავალ ქალაქსა და დაბაში გაიმართა საპროტესტო მიტინგი. საქართველოს ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ ქმედით ზომებს ბათუმის დასაბრუნებლად.

მიუხედავად იმისა, რომ სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრთ საქართველოს დემოკრატრიული რსპუბლიკის პოლიტიკური წეს-რიგი ბოლომდე შეთვისებული არ ჰქონიათ, ამ კუთხის ნაწილში (ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები) 1919 წლის შემოდგომაზე ჩატარებულმა დამფუძნებელი კრების დამატებითმა არჩევნებმა ცხადყო, რომ მოსახლეობა არ აჰყვა გარეშე ძალების პროპაგანდას და მხარი ქართულ პარტიებს დაუჭირა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასშტაბით ქართული ორიენტაციის ძალების დარაზმვას სათავეში ედგა ჯერ კიდევ 1918 წლის მაისში ჩამოყალიბებული „სამუსლიმანო საქართველოს განმათავი-

1 სურგულაძე ა., სიორიძე მ., პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი, 1996, გვ. 75-76.

სუფლებელი კომიტეტი“ (ჰაიდარ აბაშიძე, ზია აბაშიძე, ყადირ შერვაშიძე და სხვ.) მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით. კომიტეტი და მისი გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ ბათუმის ოლქში ოსმალეთისა თუ ბრიტანეთის საოკუპაციო მმართველობის მძიმე პირობებში აქტიურად იღწვოდა მაჰმადიან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისათვის. საგულისხმო როლი შეასრულეს მათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კომიტეტის თაოსნობით 1919 წლის 31 აგვისტოს მოწვეულ ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენლების ყრილობას, რომელმაც დაადგინა ამ მხარის საქართველოსთან შეერთება ავტონომიურ საფუძველზე და აირჩია 36 კაცისაგან შექმნილი წარმომადგენლობითი ორგანო „მეჯლისი.“

„1919 წლის 31 აგვისტო ისტორიული დღეა, როგორც სამუსლიმანო საქართველოს, ისე მთელი საქართველოსთვის. ამ დღეს ითქვა ის, რაც შეადგენს ყოველი მუსლიმანი ქართველის სათაყვანებელ საქმეს, მის წმინდათაწმინდას. ...ამიერიდან სამარადისოდ, ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს, საქართველოს რესპუბლიკას, ფართო ავტონომიის ნიადაგზე“,- წერდა მემედ აბაშიძე ამ ყრილობის გადაწყვეტილების გამო.[1]

უფრო კონკრეტულია ხსენებული ყრილობის 1 სექტემბრის დადგენილება. იგი იმეორებს სამუსლიმანო საქართველოს დედა-სამშობლოსთან ავტონომიურ საფუძველზე შეერთების თვალსაზრისს და განსაზღვრავს ავტონომიის უფლებამოსილების ფარგლებს. კერძოდ, აღნიშნულია, რომ სამუსლიმანო საქართველოს უნდა ჰყავდეს საკუთარი მთავრობა და საკანონმდებლო პარლამენტი (მეჯლისი). მთავრობა „სრულიად დამოუკიდებელი“ უნდა იყოს ისეთ სფეროებში, როგორიცაა სარწმუნოება, სასამართლო, ადმინისტრაცია, განათლება, ვაჭრობა, მეურნეობა, ეკონომიკა და სხვა შინაური საქმეები. სამუსლიმანო საქართველოს მთავრობა საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად უნდა აწარმოებდეს სამხედრო, საფინანსო, საგარეო პოლიტიკის, კავშირგაბმულობის, რკინიგზის და საბაჟო საქმეებს. „მეჯლისს უფლება ეძლევა, აღძრას შუამდგომლობა სამუსლიმანო საქართველოს ფართე ავტონომიის დასამტკიცებლად, როგორც საქართველოს რესპუბლი-

1 აბაშიძე მ., ფიქრები საქართველოზე, ბათუმი, 1998, გვ. 50.

კის, აგრეთვე პარიზის კონფერენციის წინაშე.“[1]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1919 წლის 11 სექტემბერს მოისმინა ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა ყრილობის რეზოლუციები და დაადასტურა სამუსლიმანო საქართველოსთვის ავტონომიის მინიჭების ფაქტი. რაც შეეხება ავტონომიის კომპეტენციის საკითხს, იგი „დაწვრილებითი განხილვისათვის“ საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას გადაეცა.

სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის სტატუსის, ტერიტორიის, უფლება-კომპეტენციისა და სხვ. საკითხების განსაზღვრაზე საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საკონსტიტუციო კომისია ხანგრძლივად მუშაობდა. პარალელურად, დამფუძნებელი კრების თვითმმართველობისა და ადგილობრივი მმართველობის კომისიამ 1920 წელს გამოსცა პავლე ინგოროყვას მიერ მომზადებული საქართველოს ტერიტორიის ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად დანაწილების პროექტი.[2] ამ მასალების ანალიზის საფუძველზე ირკვევა შემდეგი: სამუსლიმანო საქართველოდ მიიჩნეოდა მაჰმადიანი ქართველებით დასახლებული მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია, სახელდობრ: „ყოფილი სამცხე-საათაბაგო - ახალციხე-ახალქალაქის მაზრა (მესხეთი და ჯავახეთი), არტაანის ოლქი (კოლა-არტაანი), ოლთისის ოლქი (ძველი ტაო), თორთუმი, ისპირი, ჭანეთი, ბათუმის ოლქი (ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ლივანა)“. მაგრამ ავტონომია, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად, გამოცხადდა ამ ტერიტორიის მხოლოდ ნაწილზე, კერძოდ ბათუმის მხარეში, იგივე ბათუმის ოლქში, რომელიც აჭარითა და კლარჯეთით შემოიფარგლა.[3]

რით შეიძლება აიხსნას ეს გარემოება? საქმე ის არის, რომ სამხრეთ დასავლეთ საქართველოს პროვინციებზე საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია ერთდროულად არ გავრცელებულა. მაგალითად,

---

1 ვადაჭკორია შ., საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წგნ. II, თბ., 2006, გვ. 266.

2 პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად), თბ., 1920.

3 ვადაჭკორია შ., საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წგნ. II, თბ., 2006, გვ. 260-262.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში სხვებზე ადრე (1919 წლის გაზაფხული) როგორც იურიდიულად, ისე ფაქტობრივად, მესხეთ-ჯავახეთი დამკვიდრდა. ახალციხე-ახალქალაქის პარალელურად, საქართველოს საზღვრებში შემოვიდა არტაანის ოლქის ჩრდილოეთი სექტორი, რომელიც მართვა-გამგეობის მხრივ დროებით გაერთიანებულ იქნა ახალციხის ოლქთან.[1] სამუსლიმანო საქართველოს დანარჩენი ნაწილი კვლავ ბრიტანეთის არმიის სარდლობას ექვემდებარებოდა. საქართველოს დამფუძნებელი კრების ზემოთ ნახსენებ პროექტში ამ მიწა-წყალს „შემოუერთებელი ტერიტორიები“ ან „ტერიტორია ანტანტის ოკუპაციის ქვეშ (ბათომის მხარე)“ ეწოდება.[2] ოლთისის მხარის შემოერთების შემთხვევაში, რომელიც ომის დროს დიდად დაზარალდა და მოსახლეობისაგან თითქმის დაიცალა, გათვალისწინებული იყო მისი შერწყმა არტაანის ოლქთან და ერთი ადმინისტრაციულ ერთეულის შექმნა ცენტრით ქალაქ არტაანში. ამ ერთეულის სახელწოდება უნდა ყოფილიყო „არტაანის ოლქი.“[3]

რაც შეეხება აჭარისა და კლარჯეთის მომცველ, ბათუმის მხარეს, იგივე ბათუმის ოლქს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პროექტის თანახმად, პერსპექტივაში იგი ბათუმისა და ართვინის მაზრებად გაიყოფოდა ანდა კვლავ ერთ სამაზრო ერთეულად დარჩებოდა.[4]

საქართველოს ხელისუფლება ბათუმისა და მისი ოლქის ბრიტანელთა მიერ ოკუპაციის პერიოდშიც მოკავშირეთა არმიის სარდლობას ოფიციალური ნოტების მეშვეობით დროდადრო შეახსენებდა, რომ „ბათომის მხარე განუყრელი ნაწილია საქართველოისა. საქართველოს მთავრობას ვერ წარმოუდგენია საქართველო უბათომოდ და ბათომი უსაქართველოდ.’’[5] რეგიონიდან ჯერ კიდევ ბრიტანეთის სამხედრო

1 პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად), თბ., 1920, გვ. 11.

2 პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად), თბ., 1920, გვ. 10; 74; 92.

3 პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად), თბ., 1920, გვ. 43.

4 პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად), თბ., 1920, გვ. 42.

5 საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წ., 27-ე სხდომის სტენოგრაფიული

ნაწილების გაყვანამდე, კერძოდ 1920 წლის თებერვალში ბათუმში შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებელის ინსტიტუტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა დამფუძნებელი კრების დეპუტატი მურმან ხოჭოლავა.

ადგილობრივ მცხოვრებთა ეკონომიკური დახმარების პარალელურად, ბათუმის ოლქის მოსახლეობაში ეროვნულ სულისკვეთებას აღვივებდა „სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება'' (გამგეობის თავმჯდომარე მემედ აბაშიძე, წევრები: გრიგოლ ელიავა, ჯემალ ქიქავა, ხასან ლორთქიფანიძე, ზია აბაშიძე, გიორგი ჩიგოგიძე და სხვა). საზოგადოების თანადგომით რეგიონის სოფლებში ხელახლა გაიხსნა ოსმალთა ოკუპაციის პირობებში დახურული არაერთი ქართული დაწყებითი სკოლა. აღსანიშნავია აგრეთვე თბილისში დაფუძნებული „მაჰმადიან ქართველთა დამხმარე საზოგადოების'' საქმიანობა, რომლის თაოსნობით ბათუმში შესაძლებელი გახდა ქალთა სასწავლებელის დაარსება, ბიბლიოთეკის გახსნა, უპატრონო ბავშვთა თავშესაფრის მოწყობა თუ ხელმოკლე ოჯახებიდან გამოსულ მოსწავლეთათვის სტიპენდიების დანიშვნა.[1]

ყველაფრი ეს მიანიშნებს, რომ სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია დროებითი მოვლენა უნდა ყოფილიყო. თავისუფალი განვითარების შემთხვევაში, მაჰმადიანი ქართველების დანარჩენ საქართველოსთან ბუნებრივ ადაპტაციას დიდი დრო არ დასჭირდებოდა და მხარის ავტონომიური მმართველობის არსებობას საფუძველი გამოეცლებოდა. ასე ესმოდა ეს საკითხი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ელიტას, როგორც მმართველ, ისე ოპოზიციურ პარტიებს, პროგრესულ ქართველ საზოგადოებას.

1920 წლის ივლისში ბრიტანეთის ჯარებმა ბათუმი დატოვეს. ბათუმსა და მის ოლქზე აღდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქცია, მაგრამ აქ კვლავ რჩებოდა ანტიქართული მოძრაობის არაერთი კერა (რუსთა ეროვნული საბჭო, ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაცია, მეზობელ სახელმწიფოთა აგენტურული ქსელი და სხვ.) და არსებობდა სეპარატიზმის რეალური საფრთხე. ამიტომაც, საქართველოს ხელისუფლებას ამ კუთხის ავტონომია მაშინვე არ გა-

ანგარიში, გვ. 21.

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა'', 1920 წ., 18 აპრილი.

მოუცხადებია. თუმცა მთავრობა რომ თავისი დაპირების ერთგული იყო და სიტყვას არ ტეხდა, მოწმობს სწორედ იმხანად გამოქვეყნებული საქართვრლოს კონსტიტუციის პროექტი. პროექტის 120-ე მუხლით სამუსლიმანო საქართველოს მმართველობა ავტონომიურ პრინციპს უნდა დაფუძნებოდა.

რეგიონში ვითარების სტაბილიზაციამდე შემოიღეს სამხედრო წესებთან შეფარდებული საგანგებო მართვა-გამგეობა და ოლქის კომისრად ცნობილი სოციალ-დემოკრატი, დამფუძნებელი კრების წევრი ბენია ჩხიკვიშვილი დაინიშნა.

ბ. ჩხიკვიშვილმა თავისი მოქმედებით რამდენადმე შელახა ადგილობრივ მკვიდრთა უფლებები, შეაჩერა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ გამოცემა, მოინდომა „მეჯლისის“ გაუქმება და სხვ., რამაც ქართული საზოგადოებრივი აზრის მკვეთრი რეაქცია გამოიწვია. მთავრობა იძულებული გახდა კომისარი უკანვე გამოეწვია. მის ნაცვლად ბათუმში წარგზავნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე.

1921 წლის იანვარში „მეჯლისმა“ შეიმუშავა „სამუსლიმანო საქართველოს“ კონსტიტუციის პროექტი, რომელიც განსახილველად და დასამტკიცებლად საქართველოს დამფუძნებელ კრებას გადაეცა. დოკუმენტი არსებითად ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა ყრილობის 1919 წლის 1 სექტემბრის დადგენილებას ეფუძნებოდა და სამუსლიმანო საქართველოსათვის პოლიტიკური ავტონომიის დამკვიდრებას ითვალისწინებდა. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს ნაბიჯი ნაჩქარევი იყო, რადგან მეჯლისის გადაწყვეტილება საქართველოს კონსტიტუციის პირობებს უნდა დაფუძნებოდა და არა პირიქით.[1]

საქართველოს ტერიტორიაზე ამგვარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის დაშვება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს არ თანხვდებოდა. ნოე ჟორდანიას სიტყვით, „ერთ სახელმწიფოში არ უნდა იქმნებოდეს მრავალი სახელმწიფო.“[2] სახელმწიფოს მოწყობის უნიტარიზმის პრინციპს საქართველოს დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილი მთელი

1 მანველიძე ი., აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან (წარსული და თანამედროვეობა), წიგნში - საქართველოს სახელმწიფო - უნიტარული თუ ფედერაციული, ბათუმი, 2005, გვ. 83.

2 გაზ. „ერთობა,“ 1920 წ., 4 დეკემბერი.

პოლიტიკური სპექტრი იზიარებდა, მაგრამ დეპუტატთა შორის არ იყო ერთიანობა რესპუბლიკის ფარგლებში ავტონომიების, მათ შორის სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის აუცილებლობასთან დაკავშირებით. მაგალითად, ფედერალისტი სამსონ დადიანი მიიჩნევდა, რომ სამუსლიმანო საქართველოსათვის ავტონომიის დაპირება „პოლიტიკური კონიუნქტურა“ იყო. თუ არ დგებოდა საქართველოს სხვა კუთხეთა პოლიტიკური გამიჯვნის საკითხი, „შეუძლებელია არსებობდეს საკითხი სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიისა,“ აცხადებდა იგი. თუმცა იქვე დასძენდა: რადგანაც სამუსლიმანო საქართველოს უკვე აღვუთქვით ავტონომია და იგი კონსტიტუციის პროექტშიც აღნიშნულია, „ამ ფაქტის წინაშე ვალდებული ვართ ქედი მოვიხაროთ.“[1] ასეთივე აზრისა იყო ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავაც. მისი თქმით, „ავტონომიის ტერმინს მოვათრევთ რევოლუციის შემდეგ, მას განაპირა კუთხეების მცხოვრებნი უკვე შეეჩვივნენ,“ მათთვის ეს ერთგვარი გარანტიაა და უდიდესი მნიშვნელობა აქვს.[2]

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრთა შორის უფრო მეტი თანხმობა იყო სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის შინაარსზე. „ჩვენს ტაქტიკაზე და სახელმწიფოებრივი შემოქმედების უნარზე ჰკიდია, რა კონკრეტულ ფორმაში ჩამოისხმება ეს ავტონომია“ - აღნიშნავდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელი სამსონ დადიანი.[3] სხვა საპარლამენტო ფრაქციებიც მიიჩნევდნენ, რომ სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია თავისი არსით თვითმმართველობის ფარგლებში უნდა ჩატეულიყო.

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პ. საყვარელიძე მიუთითებდა, რომ სამუსლიმანო საქართველო არ იქნებოდა სახელმწიფოებრივი ავტონომია და განმარტავდა, რომ „სახელმწიფო საზღვრებში არ არის ცალკე სახელმწიფო ტერიტორია აფხაზეთისა, ტერიტორია აჭარისა, არამედ არის ტერიტორია საქართველოს რესპუბლიკისა და ამ ტერიტორიის ფარგლებში ამ ნაწილთ

1 გაზ. „სახალხო საქმე,“ 1920 წ., 6 ნოემბერი.

2 მაცაბერიძე მ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, თბ., 1996, გვ. 97.

3 გაზ. „სახალხო საქმე,“ 1920 წ., 6 ნოემბერი.

მიეცემათ განსაკუთრებული მართვა-გამგეობა.“[1]

აკაკი ჩხენკელი, რომელიც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა, კიდევ უფრო აკონკრეტებდა და ხაზს უსვამდა, რომ ავტონომიის შინაარსი „შეიძლება არ გასცილდეს ჩვენი ერობის უფლებებს.“[2]

ქართული პოლიტიკური სპექტრის შეხედულება აისახა 1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცებულ საქართველოს კონსტიტუციაში. სახელმწიფოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს - აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალას ოლქი), ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.“ კონსტიტუციას არ განუსაზღვრავს ავტონომიის კომპეტენცია. ავტონომიურ მმართველობათა დებულება ცალკე კანონით უნდა შემუშავებულიყო, მაგრამ მისი მიღება ვეღარ მოესწრო.

საბჭოთა და შემდგომი პერიოდის ისტორიოგრაფიაში სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია მცდარად იყო გაიგივებული აჭარის ავტონომიასთან. ამ პრობლემას ერთ-ერთმა პირველმა ყურადღება მკვლევარმა შ. ვადაჭკორიამ მიაქცია. მან დაასაბუთა, რომ სამუსლიმანო საქართველო, რომელსაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ავტონომია კონსტიტუციურად დაუკანონდა, მხოლოდ აჭარით არ შემოიფარგლებოდა და მასთან ერთად კლარჯეთსაც (ართვინის ოლქი) მოიცავდა.[3] მიმაჩნია, რომ ეს სავსებით სწორი და არგუმენტირებული თვალსაზრისი გაზიარებულ უნდა იქნას საისტორიო მეცნიერებაში.

---

1 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 859, ფურც. 27.

2 მაცაბერიძე მ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, თბ., 1996, გვ. 97.

3 ვადაჭკორია შ., საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წგნ. II, თბ., 2006, გვ. 14; 260262; 811817; 842-843.

ოსთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემებზე საქართველოში ბოლო დროს ბევრი იწერება. მომეტებულ ინტერესს იწვევს, თუ როგორ იყო გადაჭრილი ეს საკითხი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში (1918-1921). სამწუხაროდ, ზოგიერთები ამ თემას თანამედროვე პოლიტიკას უკავშირებენ და წარსულს დღევანდელი საჭიროებიდან გამომდინარე აშუქებენ. ამის მკაფიო ნიმუშად ცხინვალის პარლამენტის დეპუტატთა მოქმედება გამოდგება.

2006 წლის ოქტომბერში ე. წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა მიიღო დეკლარაცია 1918-1920 წლებში ოსი ხალხის გენოციდის შესახებ. ამ დოკუმენტის შედგენისას, როგორც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები განმარტავენ, გაუთვალისწინებიათ ჯერ კიდევ 1990 წლის შემოდგომაზე სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს სახალხო დეპუტატთა სესიის გადაწყვეტილება „რეპრესირებულ ხალხთა რეაბილიტაციისა და 1920 წელს სამხრეთ ოსების გენოციდის თაობაზე.“ პარლამენტს პოლიტიკური შეფასება მიუცია აგრეთვე 1918-1920 წლების მოვლენებისათვის. ჩვენ ხელთა გვაქვს ინტერნეტში მოძიებული მთელი ეს მასალა[1] და შევეცდებით, ობიექტურად გავაანალიზოთ იგი.

ხსენებულ ტექსტებზე თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ: აქ თავიდან ბოლომდე გაყალბებულია ჩვენი ახლო წარსულის, კერძოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია.

განსახილველ დოკუმენტში („პოლიტიკური შეფასება“) აღნიშნულია, რომ კავკასიაში რუსეთის ადმინისტრაციის დამყარების მომენტისათვის (XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნა), როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთ ოსეთი ფაქტობრივად თავისუფალი იყო. აქ არაფერს ვამბობთ ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე ოსურ ხეობებზე, დღეს რომ ჩრდილოეთ ოსეთს შეადგენს და რომლებზეც რუსეთთან შეერთების ხანისათვის ყაბარდო ბატონობდა. რაც შეეხება „სამხრეთ ოსეთს“,

1 http://www.Regnum.ru/nevs/ 732900. html

ამგვარი ეთნოპოლიტიკური ან ეთნოისტორიული ერთეული იმ დროისათვის არ არსებულა და ამდენად, მის თავისუფლებაზე ლაპარაკი აბსურდია. შიდა ქართლის ოსური თემები ქართლ-კახეთის სამეფოს განუყოფელი ნაწილი იყო და იგი რუსეთის იმპერიას 1801 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად დაექვემდებარა.

ოსი პარლამენტარები აცხადებენ, რომ რუსეთის იმპერიის დაშლის შემდგომ „მენშევიკური საქართველო კურსს იღებს სამხრეთ ოსების ეთნიკური თვითიდენტიფიკაციისა და პოლიტიკური თვითგამორკვევის ყოველგვარი ცდების შეიარაღებული ჩახშობისაკენ“ და რომ საქართველომ თავისი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე პრეტენზია განაცხადა სამხრეთ ოსეთზე.

ვნახოთ, როგორ იყო საქმე სინამდვილეში.

1917 თებერვლის რევოლუციამ რომანოვთა სამეფო ტახტი რომ შეიწირა, რუსეთის იმპერიის რღვევასაც დაუდო სათავე. თვითმპყრობელობის დამხობამ იმპერიის ჩაგრულ ერებს გზა გაუხსნა თავისუფლებისაკენ. ამოძრავდნენ ფინეთი, პოლონეთი, უკრაინა, ბალტიის ხალხები და სხვ. გამოცოცხლება დაეტყო სამხრეთ კავკასიის ერებსაც, თუმცა ეს მხარე 1918 წლის აპრილამდე იურიდიულადაც და ფაქტობრივადაც რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში რჩებოდა. მას ჯერ დროებითი მთავრობის რწმუნებული ორგანო ოზაკომი განაგებდა, შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატი და ბოლოს ამიერკავკასიის სეიმი მესვეურობდა. 1918 წლის 9 (22) აპრილს ამიერკავკასია ოფიციალურად გაემიჯნა რუსეთს, 1918 წლის 26 მაისს კი შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ასე რომ, ამ უკანასკნელ თარიღამდე საუბარი „მენშევიკურ საქართველოზე“ ისტორიული სინამდვილის ან უცოდინრობაა ან კიდევ შეგნებული დამახინჯება.

შეუსაბამოა ტერმინი „მენშევიკური საქართველოც.“ მართალია, ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) სათავეში ედგნენ ახლად შექმნილ ქართულ სახელმწიფოს, მაგრამ ქვეყანას, რომელიც აღიარებულ იქნა საერთაშორისო მასშტაბით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ეწოდებოდა და იგი ამ სახელწოდებით უნდა მოიხსენიებოდეს.

1918 წლის მაისში საქართველოს სუვერენული სახელმწიფოებრიობა აღდგა XIX საუკუნიდან რუსეთის მფლობელობაში მოქცეულ

ერთიან ქართულ მიწა-წყალზე, მათ შორის ოსებით დასახლებულ შიდა ქართლზეც. მთელი ეს ტერიტორია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქციაში ბუნებრივად მოექცა. საქართველომ ე. წ. სამხრეთ ოსეთზე პრეტენზია კი არ განაცხადა, არამედ საკუთარი უფლებამოსილება მასზე კანონიერად განავრცო, როგორც ისტორიულად თავის კუთვნილ ერთ-ერთ პროვინციაზე.

1917 წლის ბოლოდან 1918 წლის მაისამდე საქართველოს ცალკეულ კუთხეებში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მათზე ძირითადი პასუხისმგებლობა ამიერკავკასიის პოლიტიკურ მმართველობას ეკისრება და არა საქართველოს ხელისუფლებას, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველოს ამ პერიოდში საკუთარი არც სახელმწიფოებრიობა გააჩნდა და არც ხელისუფლება, რადგან იგი ნაწილი იყო სხვა სახელმწიფოების.

საქართველოში 1917 წლის ნოემბრამდე, ვიდრე ეროვნული ყრილობა საქართველოს ეროვნულ საბჭოს აირჩევდა, ქვეყნის ინტერესების დამცველი და გამომხატველი რაიმე ერთიანი ორგანოც არ არსებულა. საქართველოს ოსურმა მოსახლეობამ თავისი ეროვნული საბჭო ქართველებზე ადრე - 1917 წლის ივნისში ჩამოაყალიბა და, იმდროინდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, თვითგამორკვევას შეუდგა.

ეს პროცესი დაემთხვა 1917 წლის გაზაფხულიდან სამხრეთ კავკასიაში ერობის შემოღების საკითხზე ოზაკომში დაწყებულ მსჯელობას. ოსთა თავდაპირველი მოთხოვნა ასე იყო ფორმულირებული: სამხრეთ ოსეთის გამოყოფა ცალკე საერობო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად. შემდეგში ამას სკოლის, ადმინისტრაციის, სასამართლოსა და ჯარის ნაციონალიზაციის თემა დაემატა. ცოტა მოგვიანებით კი გამოიკვეთა ერობის ფორმაც - მთიანი ოსეთის რაიონის სამაზრო ერობა ცენტრით ცხინვალში.[1]

ამის პარალელურად, საქართველოს ოსური მოსახლეობა, ქვეყნის დანარჩენ მცხოვრებთა მსგავსად, ჩართული იყო მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მონაწილეობა მიიღო რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში და ხმა ქართველ სოციალ-დემოკ-

1 ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 16-17.

რატებს (მენშევიკებს) მისცა.[1]

1917 წლის 16-18 დეკემბერს ცხინვალში საქართველოში მცხოვრებ ოსთა ყრილობა გაიმართა. ყრილობას საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით აკაკი ჩხენკელმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა. დელეგატები აღფრთოვანებით, ფეხზე ადგომითა და ტაშით შეხვდნენ თბილისიდან მისულ მისალმებას. საპასუხო გზავნილში აღნიშნულია: „სამხრეთ ოსეთის ეროვნული ყრილობა უსაზღვრო მადლიერებას უძღვნის საქართველოს ეროვნულ საბჭოს ძმური სალმისთვის. ...ყრილობა დარწმუნებულია, რომ სოლიდარობა კავკასიის ხალხთა შორის განმტკიცდება მხოლოდ მთელი კავკასიის რევოლუციონურ დემოკრატიის მეშვეობით.“[2] საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი კეთილგანწყობით გამოირჩეოდა ჯავაში, სოფელ წუნარსა თუ ცხინვალში ჩატარებული ოსთა სხვა ყრილობებიც, რომლებიც პერიოდულად იმართებოდა. ყრილობებს საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ ხოლმე. არ ყოფილა დაძაბული ურთიერთობა არც საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს შორის, მიუხედავად იმისა, ერთპარტიული იქნებოდა ეს უკანასკნელი თუ მრავალპარტიული. მეტიც, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლები რესპუბლიკის მთავრობას საქართველოსთან ოსეთის ფედერაციულ საფუძველზე შეერთების წინადადებით მიმართავდნენ და ამ საქმეში თანადგომას თბილისში გერმანიის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელ გრაფ შულენბურგს თხოვდნენ.[3]

ოსების პოლიტიკური თვითგამორკვევა ავტონომიის მოთხოვნას არ გასცდენია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ახლო ხანებშიც. ამას თვალნათლივ ცხადყოფს 1918 წლის აგვისტოში გამართული სამხრეთ ოსეთის ყრილობის რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „სამხრეთ ოსეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ფართე ტერიტორიული თვითმმართველობის საფუძველზე - ერთიან ტერიტორიაზე მოსახლეთათვის

1 გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 13 დეკემბერი.

2 გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 24 დეკემბერი.

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 15 ივნისი.

და კულტურულ-პერსონალური ავტონომიის საფუძველზე იმ ოსებისათვის, რომელნიც მოსახლეობენ ქართველებში. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამხრეთ ოსეთის მდგომარეობის კონკრეტული პირობების გამორკვევას და გამომუშავებას ყრილობა ანდობს სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს, იმ პირობით, რომ ეს პირობები წარედგინება დასამტკიცებლად ოსეთის VI ყრილობას."[1]

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ოსეთისათვის ქართულ სახელმწიფოში პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით შემოიფარგლა 1919 წლის მაისში შემდგარი ოსი ხალხის VI ყრილობაც და ყრილობაზე არჩეული ოსთა ეროვნული საბჭოც, რომელიც თითქმის მთლიანად ბოლშევიკებისაგან იყო დაკომპლექტებული.[2]

როგორი იყო ქართული პოლიტიკური სპექტრის დამოკიდებულება ამ მწვავე პრობლემისადმი?

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს, - არც მმართველ და არც ოპოზიციურ პარტიებს, საქართველოში მცხოვრები ოსებისადმი ეთნიკური ნიშნით რაიმე აგრესია არ გამოუვლენიათ.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეროვნულ უმცირესობებს თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების უფლება-შესაძლებლობა მიეცათ. ჯერ კიდევ 1918 წლის 26 წმაისს მიღებული „დამოუკიდებლობის აქტი" საქვეყნოდ აცხადებდა, რომ საქართველო თანასწორად უზრუნველყოფს რესპუბლიკის ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და სხვ. რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს". ყოველივე ეს აისახა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაშიც, რომელშიც ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს ცალკე (მეთოთხმეტე) თავი ჰქონდა მიძღვნილი.

თუ როგორ ხორციელდებოდა ცხოვრებაში დანაპირები, მოწმობს სახელმწიფოს ხარჯით ჯავაში გახსნილი უმაღლესდაწყებითი ოსური

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1918 წ., 1 სექტემბერი.

2 Новиков И., Крестьянские восстания в Юго-Осетии в 1917-1920 г. г., Сталинир, 1956, ст. 67.

სკოლა, ასევე საქართველოს მთავრობის თანხმობა ოსთა ეროვნული საბჭოს წინადადებაზე - ასეთივე სასწავლებელი დაეარსებინათ ცხინვალში და სხვ.[1]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ერთგულებას დეკლარირებული პრინციპებისადმი მკაფიოდ წარმოაჩენს საქართველოს ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილება ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ მიჩნეულ ამ დაწესებულებაში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად. საქართველოში მცხოვრებ ოსებს საქართველოს ეროვნულ საბჭოში 2 დელეგატის წარგზავნის უფლება მიეცათ.

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, რომელიც პროპორციული სისტემით იქნა არჩეული, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით სამი სადეპუტატო მანდატი ოსი ეროვნების მოქალაქეებს - გ. გაგლოევს, კ. პანიევსა და ა. ფარნიევს დაეთმო.

საქართველოს მთავრობა ოსთა ეროვნულ საბჭოს რესპუბლიკის ფარგლებში სრულიად კანონიერ ორგანიზაციად მიიჩნევდა და მასთან თანამშრომლობას არ გაურბოდა. საქართველოს ეროვნული უმცირესობების, როგორც მაშინ უწოდებდნენ, "ნატეხი ერების", უფლებათა განსაზღვრისა და დამკვიდრების პრობლემა სოციალ-დემოკრატიული პარტიის და შესაბამისად - ხელისუფლების მუდმივი ყურადღების საგანი იყო. პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში (ცენტრალური კომიტეტი, ყრილობა), სახელისუფლო სტრუქტურებში ეს საკითხი ინტენსიურად განიხილებოდა. მსჯელობდნენ კანტონალური სისტემის შექმნის, საჯარო უფლებრივი კავშირების დაშვების, კომპაქტურად მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა თემებად გაერთიანების შესახებ და სხვ.[2] ერთი სიტყვით, განიხილებოდა ყველა შესაძლებელი ვარიანტი, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებიც დაეცვათ და არც სახელმწიფოს ინტერესები შელახულიყო. ხანგრძლივი დებატების შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ არაქართველი მოსახლეობისათვის მიენიჭებინათ ეროვნულ-კულტურული ავტონო-

1 ჭუმბურიძე დ., განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000, გვ. 74, 78.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1825, ანაწ. 1, საქ.#126, ფურც. 34.

მია, რაც ითვალისწინებდა კომპაქტურად დასახელებულ ეროვნულ უმცირესობათა თვითმმართველი თემების დაფუძნებას ეროვნული ადმინისტრაციით სათავეში, ასევე ეროვნული სასამართლოს, ეროვნული სკოლის მოწყობას და სხვ.[1]

ახლად შექმნილ სახელმწიფოში ქართველებთან თანაცხოვრების ასეთ პირობებს უქმნიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ოს ხალხს 1918-1920 წლებში, რაც იმ ხანად პრობლემის მოგვარების ყველაზე გამართლებული და უალტერნატივო გზა იყო.

არ არსებობს პრეცენდენტი, რომ რომელიმე ქვეყანას თავის ტერიტორიაზე მოსახლე არადომინანტი (არასატიტულო) ერის ნაწილისათვის, ვისაც სამშობლო სხვაგან აქვს, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წარმონაქმნის ჩამოყალიბების ნება დაერთოს. ამას ვერც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაუშვებდა და არც დაუშვია. კოლიზიაც აქ წარმოიშვა.

საჭიროა გამოვყოთ რამდენიმე გარემოება, რომლებიც განსაკუთრებით ძაბავდა და ამწვავებდა სიტუაციას:

1. ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში მიგრირებული ოსების აბსოლუტური უმრავლესობა შიდა ქართლის სოფლებში ხიზნის სტატუსით ცხოვრობდა. ქართველი ფეოდალები დაინტერესებული იყვნენ თავიანთ სამფლობელოში მიწის მუშაკთა მოზიდვით. ისინი ახალ მოსახლეებს ყოველმხრივ ეხმარებოდნენ დაბინავებასა და საცხოვრისის მოწყობაში. ოსები თავადთა მიწებს იჯარით ამუშავებდნენ და გასამრჯელოს იხდიდნენ. წერილობითი ხელშეკრულებები თითქმის არ ფორმდებოდა. თავადი და ხიზანი ვერბალური შეთანხმებით იფარგლებოდნენ. დიდი ხნის განმავლობაში ორივე მხარე მოვალეობას პირნათლად ასრულებდა და გართულებებიც უმნიშვნელო იყო. მოგვიანებით, როცა მიწის სიმცირის გამო საიჯარო ფასი საგრძნობლად გაიზარდა, უთანხმოებანიც გახშირდა.

რუსეთის მეფის მთავრობამ საქმის მოწესრიგება კავკასიის ადმინისტრაციას დაავალა. სხვადასხვა წლებში განიხილებოდა ხიზანთა მოწყობის სხვადასხვა ვარიანტი, მაგრამ თვითმპყრობელობა ისე დაემხო, საკითხი გადაუჭრელი დარჩა. მხარის ახალი ხელისუფლების

1 ვადაჭკორია შ., ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001, გვ. 221.

ცდებიც ამ მიმართულებით ნაკლებ ეფექტური გამოდგა. გაჭიანურებულ საქმეს დასასრული არ უჩანდა, რეალური მდგომარეობა კი ამგვარი იყო: ქართველ თავადებთან შეხიზნული ოსები ბატონყმობის გაუქმების შემდგომ დროებითვალდებულ ადგილობრივ გლეხებზე უკეთეს პირობებში აღმოჩნდნენ. ხიზნებს ტყითა და საძოვრებით უფასოდ სარგებლობის ნება ეძლეოდათ, მაშინ როდესაც მკვიდრი გლეხობა ამაში ფულს იხდიდა. ამასთან, ხიზნები ფლობდნენ იმ მიწებს, რომლებიც საკუთრებაში ვერ დაემტკიცებინათ, მაგრამ წლების განმავლობაში თვითონ ამუშავებდნენ. ხიზნები ტყის გაჩეხვის ხარჯზე სახნავ ნაკვეთებსაც აფართოებდნენ და იტაცებდნენ, შთამომავლებს დაპატრონებულ მიწებზე ასახლებდნენ და სხვ. ამ ნიადაგზე ხიზან ოსებს ქართველ მიწისმფლობელებთან და გლეხობასთანაც დროდადრო დაპირისპირება ჰქონდათ.

2. მდგომარეობა მეტად გამწვავდა 1917 წლის ბოლოდან. ფრონტიდან თავიანთ სოფლებში დაბრუნებული ჯარისკაცები (იგივე ფარაჯიანი გლეხები) შეიარაღებულ რაზმებს ქმნიდნენ, თავს ესხმოდნენ მემამულეთა ოჯახებს, ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს. სისასტიკით გამოირჩეოდა გორის მაზრაში მოქმედი ოსური რაზმი, რომელიც ცალკეულ სოფლებში დათარეშობდა და მბრძანებლობდა. ასეთი განუკითხაობა და ანარქია გამეფებული იყო ზოგიერთ სხვა მაზრაშიც. ხელისუფლება მოვალე იყო ვითარების გამოსწორებისათვის ეზრუნა.

3. შიდა ქართლში მცხოვრებ ოსებს საზოგადოდ ქართველი ხალხის სიძულვილი კი არ ამოძრავებდა, არამედ სახელმწიფოს შიში. მათთვის ქართული სახელმწიფო სიახლე იყო. ამასთან, იგი ოსთა ჩვეული ცხოვრების წესს შეზღუდვითა და გარკვეულ ჩარჩოში მოქცევით ემუქრებოდა.

იარაღასხმული ოსები განსაკუთრებით მტრობდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელიც სახელმწიფოს სახელით ანარქიის ნაცვლად წესრიგს ამყარებდა, უკანონო საბრძოლო რაზმებს იარაღის ჩაბარებისა და დაშლისაკენ მოუწოდებდა. ოსები განიარაღებას არ თანხმდებოდნენ, სახელისუფლო სტრუქტურებს ეურჩებოდნენ და წინააღმდეგობას უწევდნენ. მათ საქართველოს მთავრობისაგან შეთავაზებულ თუნდაც დემოკრატიულ წესსა და რიგს ლენინურ-ბოლ-

შევიკური „грабь награбленное“ ერჩივნათ, რომლისთვისაც გემო ჯერ კიდევ 1905-1907 წლების რევოლუციის დროს გაესინჯათ და ფიქრობდნენ, რომ ახლაც საამისო დრო დამდგარიყო.

4. ძალზე მნიშვნელოვანი იყო გარეშე ძალის - კერძოდ რუსეთის ფაქტორი.

ცნობილია, რომ საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება მტრულად შეხვდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას. კრემლი ამას არასგზით დაუშვებდა, მაგრამ სამოქალაქო ომის ხანძარში გახვეულ რუსეთს იმ მომენტისათვის ძალა არ შესწევდა, შეეჩერებინა ქართველი ხალხის საუკუნოვანი მისწრაფება ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისაკენ. გაჭიანურებულმა შიდა პოლიტიკურმა კრიზისმა და საერთაშორისო ვითარებამ რუსეთი იძულებული გახადა, ოფიციალურად ეღიარებინა ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი და 1920 წლის 7 მაისს მასთან სამშვიდობო ხელშეკრულებაც დაედო. თბილისში რსფსრ-ს საელჩო გაიხსნა. მოსკოვში მუშაობის განახლების საშუალება მიეცა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას და სხვ. თუმცა, ამის პარალელურად, არ შეწყვეტილა ლეგალური თუ არალეგალური მუშაობა რუსეთისაგან ჩამოშორებული საქართველოს კვლავ იმპერიის ფარგლებში მოსაქცევად, რის წინაპირობადაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა და ქვეყანაში ბოლშევიკების გაბატონება იყო მიჩნეული.

კრემლში შემუშავებული ამ გეგმის განსახორციელებლად მოსკოვი დიდძალ თანხას გამოყოფდა, იარაღითა და სხვა საშუალებებით ეხმარებოდა ადგილობრივ კომუნისტებს, საქართველოს ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ სეპარატისტულ ძალებს, რომლებიც ლენინისა და რუსეთის ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციებით იმართებოდნენ. ამის დამამტკიცებელი უამრავი დოკუმენტია გამოვლენილი და აქ ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებ. დავსძენ მხოლოდ, რომ ოსთა მთელ მოძრაობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აქეზებდა და წარმართავდა მეზობელი სახელმწიფო - რუსეთი და მისი კომუნისტური ხელისუფლება.

1918-1920 წლებში შიდაქართლელმა ოსმა მეამბოხეებმა სამჯერ

მოაწყვეს აჯანყება ამ კუთხეში საბჭოთა წყობილების დამყარებისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკურ რუსეთთან შეერთების მოთხოვნით. სამივე ეს აჯანყება საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის კრიტიკულ მოვლენებს დაემთხვა.

ბოლშევიკური ლოზუნგებით ოსთა პირველი გამოსვლა, რაც ცხინვალის დარბევასა და ძარცვაში გამოიხატა 1918 წლის მარტში, შეგულიანებული იყო იმ ხანად ჩრდილოეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებითა და თერგის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნმით. ეს ის დროა, როდესაც ოსმალეთი ბრესტის ზავით მისთვის უსამართლოდ მიკუთვნებულ ქართულ და სომხურ ტერიტორიებს აღარ დასჯერდა და სამხრეთ კავკასიის სიღრმეში შემოიჭრა. დამპყრობლის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეყანას ოსებმა ზურგში მოღალატურად გაუხსნეს ცეცხლი.

1919 წლის შემოდგომაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებს მოხალისეთა თეთრგვარდიული არმია მოუახლოვდა. შეიქმნა დენიკინის თავდასხმის რეალური საფრთხე. ოსებმა ისარგებლეს ამ გართულებებით და კვლავ ამბოხება წამოიწყეს.

1920 წლის მაისში რუსეთის წითელი ჯარის ნაწილებმა გასაბჭოებული აზერბაიჯანის მხრიდან ჩვენი ქვეყნის საზღვრები გადმოკვეთეს. საქართველოს თავისუფლებას ახალი განსაცდელი დაემუქრა. შიდა ქართლის ოსებმა თავდაცვით ომში ჩაბმულ ქართულ სახელმწიფოს კიდევ ერთხელ ჩასცეს მახვილი ზურგში.

ხსენებულ აჯანყებებთან, სამწუხაროდ, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქართველი ბოლშევიკები ა. გეგეჭკორი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. ორჯონიკიძე და სხვა, რომლებიც მტრად ექცნენ საკუთარ სამშობლოს. თავის დროზე ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ოსთა გამოსვლები „მასების სტიქიური მოძრაობა იყო“ და კომუნისტური პარტია მხოლოდ შემდეგ ერეოდა ამ მოძრაობაში.[1] სინამდვილეში, საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ამ პერმანენტულ ბრძოლას, მოსკოვის დავალებით, რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი ხელმძღვანელობდა. ეს ბოლშევიკური ორგანიზაცია გამოსცემდა ბრძანებებს ყოველი აჯანყების დაწყებისა თუ შეჩერების, შეიარაღებული რაზმების გადაადგილების, ადგილობრივი რევკომების შექმნის, მათ-

1 გაზ. „კომუნისტი“, 1920 წ., 6, 10 ივნისი.

თვის თანხების გამოყოფის და სხვ. შესახებ, რის თაობაზეც დოკუმენტურადაა მოთხრობილი ოსი ისტორიკოსის ი. ცხოვრებოვისა და მისი ქართველი კოლეგიის მ. ცოტნიაშვილის ერთობლივ ნაშრომში „ვ. ი. ლენინი და რევოლუციური მოძრაობა ოსეთში“, რომელიც 1970 წელს გამოქვეყნდა.

კრემლი დეკლარაციულად ამ მოვლენებს ყოველთვის ემიჯნებოდა, მაგრამ არსებობს დიდძალი მასალა, რომელიც საპირისპიროს ცხადყოფს. აქ დავიმოწმებ გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ ერთ იმდროინდელ ოპერატიულ ინფორმაციას. მასში აღნიშნულია: „ცხინვალის მიმართულებით 8 ივნისს მტერმა ისარგებლა რა თავისი მრავალრიცხოვნობით, შემოუარა ორივე ჩვენ ფლანგს, რის შემდეგაც ჩვენი ნაწილები იძულებულნი იყვნენ, დაეტოვებინათ ცხინვალი.“[1]

კიდევ უფრო ბევრისმთქმელია საქართველოში საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლის ს. კიროვის ინტერვიუ გაზეთ „ერთობის“ კორესპონდენტთან. ცნობილი რუსი ბოლშევიკის სიტყვები 1920 წლის ივნისით რომ არ იყოს დათარიღებული, კაცს დღეს ნათქვამი ეგონებოდა. შიდა ქართლში მიმდინარე ოსთა აჯანყებაზე საუბრისას კიროვმა განაცხადა, რომ რუსეთი მზად არის, დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს „კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაში.“[2]

სქემა მარტივია: რუსეთი თავის მეხუთე კოლონაზე დაყრდნობით სხვა ქვეყანაში ქმნის გართულებას, იწვევს დესტაბილიზაციას და მერე თვითონვე ესწრაფვის, შეასრულოს „მიუდგომელი“ შუამავლის როლი.

ოსი პარლამენტარები არა მხოლოდ ისტორიაში მოიკოჭლებენ, არამედ ელემენტარულ მათემატიკაშიც. მათი გამოანგარიშებით, ე. წ. სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა რაოდენობა 1920 წლისათვის 60 ათასი ყოფილა (დაღუპულთა რიცხვმა - 4 812 (სხვა მონაცემით - 5 279) მთელი მოსახლეობის 6-8 % შეადგინაო). მეორე გამოთვლით, რომელიც ასევე „პოლიტიკური შეფასების“ ტექსტშია მოცემული, სულ სხვა მაჩვენებელს - 66 ათასს ვღებულობთ (ჩრდილოეთ ოსეთში გაქცეული 50 ათასზე მეტი ლტოლვილი ოსი მოსახლეობის 75 %-ს უდრი-

1 გაზ. „კომუნისტი“, 1920 წ., 10 ივნისი.

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 24 ივნისი.

დაო); დოკუმენტის სხვა აბზაცში კი 100 ათასი ოსი გლეხის ეროვნულ თვითგამორკვევაზეა საუბარი.

რამდენიც არ უნდა ყოფილიყო განსახილველი პერიოდის შიდა ქართლის ოსური მოსახლეობა, ფაქტია, რომ ამბოხებულთა და მათ იდეოლოგთა სულისკვეთებას დიდი ნაწილი არ იზიარებდა. საილუსტრაციოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელზე 1920 წლის ივლისში გაგზავნილი ოსთა ეს განცხადებაც გამოდგება: „ჩვენ, გორის მაზრის, ხაშურის რაიონისა და ოქენის საზოგადოების მცხოვრებნი, ვაცხადებთ, რომ არავითარი დამოკიდებულება არა გვაქვს და არა გვქონია მთის ოსეთის აჯანყებასთან. პირიქით, გადაჭრით ვკიცხავდით მათ და ამ აჯანყებას დამღუპველად ვთვლიდით ოსი ხალხისათვის. ჩვენ ოსები იმდენად გავითქვიფეთ ქართველი ხალხის მასასთან, რომ ჩვენსა და ქართველებს შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მათი გამოსვლის დროს ჩვენ გამოგვიგზავნეს აგიტატორები, რომლებიც ასაჯანყებლად მოგვიწოდებდნენ. მაგრამ მაშინ ჩვენი რაიონის ოსები არ გაყვნენ ბნელ ელემენტებს. თუმცა ბანდებმა თავისი მოქმედება ჩვენ რაიონში გადმოიტანეს, მაგრამ მშვიდობიანმა ოსმა მოსახლეობამ არა თუ მიიღო მონაწილეობა, არამედ თვითონ დაზარალდა მათგან და ახლა სასურსათო კრიზისს განიცდის.“[1]

ცხინვალის პარლამენტის წევრები შეგნებულად აზვიადებენ 1920 წელს შიდა ქართლიდან დევნილ ოსთა რიცხვს, როცა მიუთითებენ, რომ იგი 50 ათასს აჭარბებდა. თვითმხილველთა მოწმობით, ვინც ამ ხალხის ჩრდილოეთ ოსეთში დაბინავებაზე ზრუნავდა, ლტოლვილთა რაოდენობა 20 ათასამდე აღწევდა (ზოგიერთი ცნობით, 20 ათასზე მეტს შეადგენდა).[2]

ორივე ეს მონაცემი აღნიშნულია აგრეთვე 1920 წელს ლენინისათვს გაგზავნილ რკპ(ბ) სამხრეთ ოსეთის საოკრუგო კომიტეტის თავმჯდომარის ვ. სანაკოევის დეპეშებში.[3] გამოდის, რომ ან ოსი ბო-

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 7 ივლისი.

2 Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения, вып. II, Сталинир, 1935, ст.122, 127.

3 Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения, вып. II, Сталинир, 1935, ст. 127.

ლშევიკები ატყუებდნენ თავის დროზე პროლეტარიატის ბელადს, ანდა ახლანდელი დეპუტატები ნაცარს აყრიან თვალში თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებას (მათი მიმართვა დაეგზავნა გაეროს, ეუთოსა და ა. შ.).

„პოლიტიკური შეფასების“ ავტორები არასწორად წარმოაჩენენ ე. წ. გენოციდის მსხვერპლთა ოდენობასაც. თითქოს ქართველებს დაუხოცავთ 669 ოსი ეროვნების ადამიანი, ხოლო ემიგრაციაში გაქცევისას დაღუპულა 4 143 დევნილი.

1920 წელს აჯანყებულ ოს ბოლშევიკთა მოგონებებში, რომლებიც 1935 წელსაა გამოქვეყნებული, სულ სხვა რამეა ნათქვამი. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „მენშევიკთა შემოჭრის შემდეგ, მათი სიმხეცით შეშინებული ოსური სოფლები დაცარიელდა. აქა-იქ თუ შემორჩა დაჩაჩანაკებული დედაბრები, ბერიკაცები და გზააბნეული პირუტყვი. ოსი მოსახლეობა უკლებლივ აიყარა მშობლიური ადგილებიდან და მიაშურა ჩრდილოეთ ოსეთს. ...გარბოდა დიდი თუ პატარა - მოხუცები, ქალები, ბავშვები.“[1]

ამავე მოგონებებში ისიცაა ნათქვამი, რომ მეამბოხეთა დანაკარგი უმნიშვნელო იყო. აჯანყებულებმა ბრძოლით დაიხიეს უკან, იფარავდნენ ლტოლვილებს და ისე გადაიარეს უღელტეხილები.

თუ მეამბოხეთა დანაკარგი უმნიშვნელო იყო, მშვიდობიანი მოსახლეობა სახალხო გვარდიის გამოჩენისთანავე პირწმინდად გაიკრიფა და ჩრდილოეთ ოსეთში გადაინაცვლა, „მენშევიკთა აგრესიის“ მსხვერპლი გაცილებით ნაკლები იქნებოდა, ვიდრე ეს ზემოთ იყო მითითებული.

როცა ხალხს ასეთი „სიზუსტით“ ითვლიან, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, როგორ დაითვლიან ოსი დეპუტატები ჯოგსა და მის ღირებულებას. ზარალში ცალ-ცალკეა „გამოანგარიშებული“ გატაცებული, დაკარგული და გაყიდული მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონელი და „დადგენილია“ მათი საერთო ფასი. თავი რომ დავანებოთ საფასურის შეუსაბამობას (გატაცებული ძროხის თუ ხარის ფასი საშუალოდ 50 მანეთია, დაკარგულის - 57, ხოლო გაყიდულის 27), მეტის-მეტადაა გაზრდილი თვით ნაზარალევი ჯოგის საერთო

1 Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения, вып. II, Сталинир, 1935, ст. 59; 108; 122; 127.

მაჩვენებელი: მარტო მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა აქ 30368-ს უდრის, მაშინ როდესაც, იმავე აჯანყების მონაწილე ოს ბოლშევიკთა მონათხრობით, ჯოგის დიდი ნაწილი ოსმა მოსახლეობამ ჩრდილოეთ ოსეთში გადაიყვანა, ხოლო „დაცარიელებულ სოფლებში კი აქა-იქ შემორჩა გზააბნეული პირუტყვი.“[1]

ამბოხებული ოსი ბოლშევიკები კიდევ ერთ საიდუმლოს გვიმხელენ, რაზედაც თანამედროვე ცხინვალელი პარლამენტარები კრინტს არ ძრავენ. ირკვევა, რომ შიდა ქართლიდან ისტორიულ სამშობლოში დევნილი ოსი ხალხის რბევა-აწიოკებაში მათივე ჩრდილოელი თანამოძმენიც აქტიურად მონაწილეობდნენ. მოვუსმინოთ აჯანყებულ ოსთა საბრძოლო რაზმების მეთაურს მათე სანაკოევს. იგი გვამცნობს: „Из Северной Осетии получали тревожные сведения: там контрреволюционно-бандитские элементы грабили стариков и женщин, убивали, похищали девиц, воровали скот у отступавших повстанцев. ...Я думал, что перевалив на север, беженцы будут в безопасности, но кулацко-бандитские шайки открыто нападали на революционную бедноту.“[2]

ეს ცნობა სრულ უფლებას იძლევა, ითქვას: ცხინვალელ პარლამენტართა მიერ ოსი ხალხის გენოციდად სახელდებული მოვლენის შედეგები მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არ უნდა დაბრალდეს. შიდაქართლელი ოსების სისხლში ხელი აქვთ გასვრილი ჩრდილოეთ კავკასიელ ოსებსაც.

ოსი დეპუტატები აცხადებენ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ 1918-1920 წლებში სამხრეთელ ოსებს თითქოს თავს მოახვია გამანადგურებელი ომი. ფაქტები სხვას მეტყველებენ: „1918 წლის აჯანყება ჩახშობილი არ ყოფილა. იგი ლიკვიდირებულ იქნა მოლაპარაკების გზით“, - ვკითხულობთ 1920 წელს შედგენილ „მშრომელი სამხრეთ ოსეთის მემორანდუმში.“[3]

---

1 Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения, вып. II, Сталинир, 1935, ст.108.

2 Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения, вып. II, Сталинир, 1935, ст.109; 113.

3 მენთეშაშვილი ა., ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წ.წ. , კრებულში – ოსთა საკითხი, გორი, 1996, გვ. 300.

აჯანყების მონაწილეთა მოწმობით, ვიდრე სამხედრო ძალას გამოიყენებდა, საქართველოს მთავრობა ამბოხებულ ოსებს საქმის მშვიდობიან გათავებას სთავაზობდა 1920 წლის ივნისშიც, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო.[1]

არსებობს სხვა დოკუმენტიც, რომელიც ნათელყოფს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები პრევენციულ ზომებს მიმართავდნენ, ანტისახელმწიფოებრივ ელემენტებს ლოიალობისა და კანონიერების დაცვისაკენ მოუწოდებდნენ. აფრთხილებდნენ, რომ სახელმწიფოებრივი წესრიგის დარღვევის, განსაკუთრებით შეიარაღებული გამოსვლისათვის ისინი მკაცრად დაისჯებოდენ. მოვიშველიებ 1918 წლის ივნისით დათარიღებულ ერთ ოფიციალურ ცნობას, რომელიც გვაუწყებს: „მთავრობამ სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ა. თიბილოვს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: საქართველოს რესპუბლიკას ცნობები მოუვიდა, რომ ბოლშევიკები ოსთა შორის აგიტაციას ეწევიან და მოუწოდებენ ცხინვალზე გამოილაშქრონ. მთავრობა წინადადებას გაძლევთ თქვენ, გააფრთხილოთ მცხოვრებნი, რომ ასეთი გამოსვლა დამღუპველი იქნება მათთვის, რადგანაც ყოველი შეიარაღებული გამოსვლა აჯანყებად ჩაითვლება და მთავრობა მას უსასტიკესი ზომებით ჩააქრობს. გაცნობებთ რა ამას, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა პასუხისმგებლობას იშორებს თავიდან შედეგებისას, თუ ამგვარი გამოსვლა მართლა მოხდება. წინადადებას გაძლევთ, ეს აცნობოთ მცხოვრებლებს.“[2]

პოლიტიკური შეფასების ავტორები გვმოძღვრავენ, რომ 1918-1920 წლების მოვლენები ვცნოთ „სამხრეთ ოსეთის ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლად“. საკითხავია, რატომ უნდა ვაღიაროთ ოსთა შეიარაღებული გამოსვლები ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლად, როდესაც თვით ამ მოძრაობის წამომწყებთა და მეთაურთა მტკიცებით: „ეს იყო სამოქალაქო ომის დასაწყისი, ამიერკავკასიასა და სამხრეთ ოსეთში კლასობრივი პარტიული ბრძოლის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის დასაწყისი.“ მათივე სიტყვით, „ამ მოვლენაში არ ყოფილა „ქართველი“ და „ოსი.“ აქ იყვნენ მხოლოდ რე-

1 Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения, вып. II, Сталинир, 1935, ст. 73.

2 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 13 ივნისი.

ვოლუციონერი ამბოხებული ბოლშევიკები და მუშათა რევოლუციის კონტრრევოლუციური მოღალატე მენშევიკები. ...ვერავინ მიუთითებს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის მშრომელ ხალხებს შორის ეროვნული შეჯახების ვერც ერთ შემთხვევას. ... სამხრეთ ოსეთში მათ საერთოდ არ ჰქონია ადგილი."[1]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას ამბოხებულ ოსთა მიმართ არ გამოუჩენია განსაკუთრებული სიმკაცრე 1918-1919 წლებში მათ მიერ მოწყობილი გამოსვლების გამო. თუ მოიხელთებდნენ, სჯიდნენ მსოლოდ მოთავეებს. სხვებისადმი მთავრობა გულმოწყალებას იჩენდა, ახსნა-განმარტების, შეგონებისა და სხვ. მშვიდობიან მეთოდებს ამჯობინებდა. საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერით გათამამებული ბოლშევიკურად განწყობილი ოსები, რომლებსაც მხარში ედგნენ ქართველი კომუნისტებიც, თავისას არ იშლიდნენ, ესწრაფოდნენ საქართველოსაგან მოეწყვიტათ მისი ერთ-ერთი ისტორიული კუთხე და იგი რუსეთის ნაწილად ეცნოთ. მეტიც, ისინი რევოლუციურ ომს უცხადებდნენ საქართველოს, იბრძოდნენ მისი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და აბრკოლებდნენ ქვეყნის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას.

1920 წლის ზაფხულში დაწყებული შიდა ქართლის ოსთა აჯანყების მესვეურები გორის აღებას, სურამის უღელტეხილის ჩაკეტვას, საქართველოსა და მთელ სამხრეთ კავკასიაში „კომუნიზმის წითელი დროშის" აღმართვის გეგმებსაც კი სთხზავდნენ. რა საერთო აქვს სამხრეთ კავკასიაში კომუნიზმის დამყარების მიზანს ოსი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასთან, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ოსთა ბოლშევიკური გამოსვლები რომ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს დამოუკიდებლობას, არღვევდა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ძირს უთხრიდა სახელმწიფოს პოლიტიკურ სიმტკიცეს, ეს უცილობელი ფაქტია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მოვალე იყო დაეცვა ქართველი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლით მონაპოვარი თავისუფლება და სუვერენიტეტი. საქართველოს მთავრობამ 1920 წელს აჯანყებული ოსი ბოლშევიკები დასაჯა მათი ანტისახელმწიფოებრივი, დანა-

1 მშრომელი სამხრეთ ოსეთის მემორანდუმი, კრებულში - ოსთა საკითხი, გორი, 1996, გვ. 301.

შაულებრივი ქმედებისათვის და არა ეთნიკური ნიშნით. უფრო ადრე სახელმწიფომ აღკვეთა ასეთივე ხასიათის გამოსვლები დუშეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში და სხვ. უნდა ითქვას, რომ სახელმწიფომ ამ შემთხვევაში სისასტიკეც გამოიჩინა, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ეს იყო საპასუხო რეაქცია საქართველოსადმი მტრულ მოქმედებაზე და მას არაფერი აქვს საერთო ოსი ხალხის გენოციდთან. აჯანყებისაგან განზე მდგომი, სახელმწიფოსადმი ლოიალურად განწყობილი არც ერთი ოსი ეროვნების მცხოვრებისათვის მთავრობას ხელი არ უხლია. ისინი კვლავ რჩებოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიან მოქალაქეებად.

ყოველივე ზემოთქმულიდან სავსებით ნათელია: ჭეშმარიტი ისტორია ოს სეპარატისტებს მოკავშირედ ვერ გამოადგება, უფრო - პირიქით. ამიტომაც მიმართავენ ცხინვალელი პარლამენტარები წარსულის ფალსიფიკაციას. ისინი აყალბებენ და თავიანთ თარგზე ჭრიან გარდასულ წელთა მატიანეს, სურთ შეალამაზონ ისტორია და იგი პოლიტიკის სამსახურში ჩააყენონ. მათ ავიწყდებათ, რომ ეს მცდარი გზაა. ამ გზას სისხლისღვრამდე მივყავართ. ეს უკვე იყო და აღარ უნდა განმეორდეს.

ურთიერთწყენა წარსულის გამო სიმართლემ უნდა განკურნოს. ისტორია არც დღევანდელ და არც მომავალ თაობებს მშვიდობიანი თანაცხოვრების გზაზე წინაღობად არ უნდა აღემართოს. 1918-1920 წლებში ქართველი და ოსი ხალხების ისტორიული ურთიერთობის მწარე გამოცდილება უმჯობესია გაკვეთილად გამოვიყენოთ და არა ახალი დაპირისპირების წინაპირობად.

თვითმმართველობის ბეჭდვითი სიტყვა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

საქართველოს პირველი რესპუბლიკა დღეს საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით შენდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 117 წლოვანი კოლონიური უღლისაგან თავდახსნილ ქართველ ხალხს დემოკრატიული ცხოვრების დიდი გამოცდილება არ გააჩნდა, მოსახლეობა იოლად ითავისებდა დემოკრატიისა და ლიბერალიზმის ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორიცაა: მრავალპარტიულობა, საყოველთაო სახალხო არჩევნები, პრესის თავისუფლება, თვიმმარველობა და სხვ.

1918-1921 წლების საქართველოში ბეჭდვითი სიტყვის ფართო სპექტრი არსებობდა, მათ შორის: პარტიული, სასულიერო, სამხედრო, სახელოვნებო, ლიტერატურული, სამედიცინო, სპორტული, იუმორისტული, პედაგოგიური, უწყებრივი პრესა და სხვა. ჟურნალები და გაზეთები ქართულის გარდა რუსულ, სომხურ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც გამოდიოდა. აღსანიშნავია, რომ საკუთარი პერიოდული გამოცემები გააჩნდათ ქალაქებს ბათუმს („ბათომის ცხოვრება“), ქუთაისს („ჩვენი ქვეყანა“), რეგიონებს („რაჭის ხმა“, „რაჭა-ლეჩხუმის ხმა“, „სვანეთის ხმა“, „განახლებული მესხეთი“), დარგობრივ პროფკავშირებს („თავისუფალი გზა“, „რკინიგზელი“) ცალკეულ კოოპერატულ კავშირებს („კავშირი“), თვითმმართველობის ორგანოებსა და სხვ. წინამდებარე პუბლიკაციაში სწორედ ამ უკანასკნელს შევეხები.

საქალაქო თვითმმართველობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, მაგრამ რუსეთის კოლონიური მპყრობელობის აღსასრულამდე ისინი იმპერიის კავკასიური ადმინისტრაციის კონტროლს ექვემდებარებოდნენ და კომპეტენციაც მკაცრად შემოსაზღვრული ჰქონდათ. ამითაც აიხსნება, რომ მათ თავიანთი ბეჭდვითი გამოცემები არ დაუარსებიათ.

ცარიზმის დამხობას როგორც მეტროპოლიაში, ისე განაპირა მხარეებშიც მრავალი სიახლე მოჰყვა. ადგილობრივმა დაწესებულებებმა მეტი უფლებები მოიპოვეს და საქმიანობა გააცხოველეს. ამიერკავკასიის ქალაქებმა თავიანთი საკოორდინაციო ცენტრი - ქალაქთა კა-

ვშირი დააფუძნეს (თავმჯდომარე ნიკო ელიავა, 1919 წლიდან საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი) და აირჩიეს მისი სამხარეო კომიტეტიც. 1918 წლიდან ქალაქთა კავშირის სამხარეო კომიტეტმა დაიწყო ორკვირეული ჟურნალის გამოცემა, რომელსაც „Кавказский город“ ერქვა. ჟურნალში სტატიები ორ – რუსულ და ქართულ ენებზე იბეჭდებოდა და უმთავრესად მუნიციპალურ საკითხებს, საქალაქო ცხოვრების ავ-კარგს აშუქებდა.

რაც შეეხება ერობას, იგი ფორმირებას მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ იწყებს და შესაბამისად, საერობო პრესაც ამ დროიდან გამოიცემა.

საქართველოში ერობათა აღმოცენების პარალელურად შეიქმნა მათი ცენტრალური ბიურო - იგივე ერობათა კავშირი (თავმჯდომარე პარმენ ჭიჭინაძე, საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილე). ამ ორი სტრუქტურის - ქალაქთა კავშირისა და ერობათა კავშირის ერთობლივი ძალისხმევით „Кавказский город“ გადაკეთდა ჟურნალად „ერობა და ქალაქი“ (რედაქტორები ა. ბრიტნევისა და ლეო ნათაძე – დამფუძნებელი კრების წევრი). ახალი სახელწოდებით ჟურნალის პირველი და მეორე გაერთიანებული ნომრები 1919 წლის 15 დეკემბერს გამოქვეყნდა.

განახლებული გამოცემის ძირითადი თანამშრომლები იყვნენ: პროფესორი სიმონ ავალიანი, ცნობილი პუბლიცისტი არჩილ ჯაჯანაშვილი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან ბიქტორ თევზაია და ივანე გომართელი, ვ. ხახანაშვილი, პ. გამყრელიძე და სხვ.

ჟურნალი მიზნად ისახავდა პრაქტიკული დახმარება გაეწია თვითმმართველობის ადგილობრივი ერთეულებისათვის. სარედაქციო წერილის თანახმად, სპეციალური „ბეჭდვითი ორგანო უნდა იყოს ის ლაბორატორია, სადაც სხვადასხვა თვითმმართველობრივ დაწესებულებათა დაკვირვება, გამოცდილება, აზრი უნდა შეუღლდეს და ამ შეუღლებამ უნდა მოგვცეს ახალი ნაყოფი, უნდა გვაჩვენოს ახალი ხაზი, ახალი გზა.“

ერთ ყდაში მოთავსებული ჟურნალი ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცემოდა. სტატიები ეძღვნებოდა თვითმმართველობის ბუნებისა და ხასიათის განმარტებებს, თვითმმართველობისა და სახელმწიფოს

ურთიერთობის საკითხებს, ერობათა სხვადასხვა საფეხურს შორის დამოკიდებულების პრობლემატიკას და სხვ. ჟურნალის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა თვითმმართველობის ცალკეული რგოლის პრაქტიკული საქმიანობის ამსახველი მასალები, ცნობები და ინფორმაციები საქართველოს ამ თუ იმ კუთხიდან, სამაზრო ერობათა მუშაობის მოკლე ანგარიშები და ა. შ.

გამოცემას გააჩნდა სპეციალური რუბრიკა „ჟურნალის ფოსტა." მისი მეშვეობით რედაქცია ცდილობდა პასუხი გაეცა იმ კონკრეტული შეკითხვებისათვის, რომლებიც საქალაქო ცხოვრების სხვადასხვა მხარეს შეეხებოდა, მაგრამ ადგილობრივ ვერ პოულობდნენ სათანადო ახსნასა და განმარტებას.

1920 წლის იანვარში ერობათა კავშირმა გადაწყვიტა ცალკე გამოეცა დამოუკიდებელი საერობო ჟურნალი „ერობის" სახელწოდებით და ამის შესახებ ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტს აცნობა. გაითვალისწინა რა ბეჭდვითი გამოცემის მნიშვნელობა საქალაქო თვითმმართველობის განვითარებისათავის, ქალაქთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომ არ შეჩერდეს ჟურნალის დაფინანსება, გაგრძელდეს გამოცემა და ეწოდოს მას „ჩვენი ქალაქი."

ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ახალმა ჟურნალმა, რომლის რედაქტორებად ისევ ა. ბრიტნევისა და ლეო ნათაძე დარჩნენ, გამოსვლა 1920 წლის ივლისში დაიწყო. რამდენადმე შეიცვალა გამოცემის პროფილი, „ჩვენი ქალაქი" თვეში ერთხელ კვლავ ქართულ და რუსულ ენებზ გამოდიოდა და ძირითადად მუნიციპალური საკითხების გაშუქებით იფარგლებოდა. 1920 წელს ჟურნალის 6, ხოლო მომდევნო წელს - ერთი ნომრის გამოცემა მოესწრო.

1920 წლის აპრილში გამოვიდა ერობათა კავშირის ახალი ორკვირეული ორგანო - ჟურნალი „ერობა." მისი რედაქტორობა მინდობილი ჰქონდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მეტად ცნობილ მოღვაწეებს, სახელდობრ, გრიგოლ ლორთქიფანიძესა და პავლე საყვარელიძეს. პირველი იმავდროულად მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და სამხედრო მინისტრიც იყო, ხოლო მეორე სათავეში ედგა საქართველოს საკონსტიტუციო კომისიას. საერობო ჟურნალის მესვეურებად ასეთი ავტორიტეტული პიროვნებების შერჩევა სრულიადაც არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა. ერობას ახლად შექმნი-

ლი სახელმწიფოს ცხოვრებაში უაღრესად საპასუხისმგებლო როლი ჰქონდა დაკისრებული. ამასთან, იგი საქართველოში ფაქტობრივად ახალი ხილი იყო. არ არსებობდა გამოცდილი საერობო კადრები, ჭირდა ადგილობრივი ადმინისტრაციის სრულფასოვანი მოხელეებით დაკომპლექტება და სხვა. ამიტომ თვითმმართველობის ბეჭდურ ორგანოს, რომელიც საერობო მუშაკთათვის შეუცვლელ გამოცემას წარმოადგენდა, კვალიფიციური გაძღოლა ესაჭიროებოდა.

ჟურნალ „ერობის“ პირველი ნომრის მეთაურ წერილში დამფუძნებელი კრების დეპუტატი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი ივანე გომართელი შენიშნავდა: „ჟურნალი უნდა იქნეს, და იმედი გვაქვს, იქნება კიდეც, თვით ერობათა ორგანიული ნაწილი, მისი სისხლი და ხორცი, ...მშრომელი ორგანო - მუშა იარაღი. „ერობის“ ფურცლებზე მოიყრის თავს საერობო განცდა-გამოცდილების და ნაფიქრ-ნააზრევის ჯამი. ის იქნება საერობო აზრისა და საქმის არა მარტო სარკე, არა მხოლოდ ანარეკლი, არამედ მამოძრავებელი იარაღი, გზის მანათობელი საშუალება.“[1]

„ერობის“ გამოცემას გამართლებულ ნაბიჯად მიიჩნევდა ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ჟურნალის რედაქციაც. მისი აზრით, მართალია „ერობაც“ იმავე საქმეს ემსახურებოდა, რასაც „ერობა და ქალაქი“, მაგრამ ამ გამოცემებს სხვადასხვა მიზნები გააჩნდათ. ახალი გამოცემის „დანიშნულებაა მეტი პოპულიარობა, რაც შეიძლება გასაგები ენით წერა, რომ მუნიციპალური აზრები რაც შეიძლება ფართო მასისათვის გახდეს მისაწვდომიო“, - შენიშნავდა ჟურნალი.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში თვითმმართველობა თავისი სპეციფიკით გამოირჩეოდა. „ჩვენი თვითმმართველობა არის არა მარტო ადგილობრივი მეურნეობისა და კულტურის ორგანო, არამედ ადგილობრივი მმართველობაც, სახელმწიფოებრივი დაწესებულება. ჩვენში ...მოხდა სინთეზი კომუნალურ მეურნეობისა და მმართველობის. ერობა ადგილობრივად უკვე გამთავრობდა,“ - ვკითხულობთ ჟურნალ ერობის ფურცლებზე.[2]

ქართული სახელმწიფოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ „ერობა უნდა იყოს სახელმწიფო ძალაუფლების

1 ჟურნ. „ერობა და ქალაქი“, 1919, # 1-2, გვ. 2.

2 ჟურნ. „ერობა და ქალაქი“, 1920, # 5, გვ. 49.

ადგილობრივი ორგანო“, სხვაგვარად - მმართველობის ადგილობრივი სტრუქტურა, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლობა კონკრეტულ რეგიონში. მას, როგორც თვითმმართველობის ადგილობრივ რგოლსაც, პარალელურად ევალებოდა იმ კანონებისა და განკარგულებების განხორციელება, რომელთაც გამოსცემდნენ საქართველოს პარლამენტი (დამფუძნებელი კრება) და ცენტრალური მთავრობა.

ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მესვეურებსა და პოლიტიკურ ელიტას მოსახლეობის „უფლებრივი შეგნების (იგივე სამოქალაქო ცნობიერების, - ო. ჯ.) მწვრთნელად, უფლებრივი შეგნების პრაქტიკულ აღმზრდელად“ წარმოედგინათ. „ერობა ჩვენში ერთსა და იმავე დროს ფაქტობრივად არის როგორც წმინდა ხალხოსნური დაწესებულება, ისე სახელმწიფოებრივი ორგანიც.“ იგი მოწოდებულია განამტკიცოს მოსახლეობისა და ხელისუფლების კავშირი და სახელმწიფო შენობის დემოკრატიული საძირკველიც.

საერობო პრესის მესვეურები განუმარტავდნენ მოსახლეობას, რომ დემოკრატია და თვითმმართველობა განუყრელი ცნებებია, „ისინი წარმოადგენენ ერთიერთმანეთის დამატებას, ერთიერთმანეთის ორგანიულ შეზავებასა და შედუღაბებას“, რომ ეს „არსებითად ერთი დიდი სახელმწიფური, სოციალური და კულტურული შემოქმედებაა, ერთი გაორმაგებული საზოგადოებრივი მოვლენაა, ერთი პროცესია, რომ კარგ დემოკრატიას კარგი თვითმმართველობა ახლავს და ამშვენებს.“[1]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ადგილობრივი დემოკრატია ორი ტიპის თვითმმართველობას - სამაზრო ერობასა და წვრილ ერთეულს - თემს აერთიანებდა. 1920 წლის ზაფხულის მონაცემებით, ქვეყანაში 20 სამაზრო და 356 სათემო ერობა იყო შექმნილი.[2]

სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისას ცდილობდნენ თემები გამოეყოთ გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით. თემი ჩვეულებრივ რამდენიმე სოფელს აერთიანებდა. მაგალითად, შორაპნის მაზრის

1 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 1, გვ. 1.

2 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 1, გვ. 2.

თემებში საშუალოდ 8-10 სოფელი შედიოდა, ხოლო მცხოვრებთა რაოდენობა 1300-1500 კომლს შეადგენდა.[1]

თემს უნდა ჰყოლოდა საბჭო, თემის თავი და მისი თანაშემწე. ყოველ ას ამომრჩეველზე აირჩეოდა ერთი ხმოსანი. საბჭო ორი წლის ვადით უნდა აერჩიათ. კანონპროექტი თემის შესახებ ამ უკანასკნელს უფლებას აძლევდა, კანონის ფარგლებში დაეწესებინა საერობო გადასახადი, აეკრიფა და გაეხარჯა იგი დანიშნულებისამებრ, აგრეთვე განესაზღვრა და სისრულეში მოეყვანა ნატურალური ბეგარა და სხვ. თემს მრავალი საჭირბოროტო საკითხის მოგვარებაზე უხდებოდა ზრუნვა, მაშინ როდესაც მისი ხელმძღვანელობა მოკლებული იყო სათანადო ცოდნასა და გამოცდილებას. აღსანიშნავია ისიც, რომ დაგვიანდა საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, გაუმიჯნავი რჩებოდა თვითმმართველობის უფლებრივი და საბიუჯეტო ნორმები.

თემი ყველაზე ახლოს იდგა ხალხთან, მოსახლეობა პირველ რიგში მას მიმართავდა, როგორც ხელისუფლების ორგანოს. ამიტომაც საერობო პრესაში გამორჩეული ყურადღება ჰქონდა დათმობილი თემსა და მის პრობლემებს.

„ჩვენი რესპუბლიკა შესდგება მრავალი პატარა რესპუბლიკისაგან. ესენი არიან თემები. ყოველი თემი პატარა სახელმწიფოა. მას ჰყავს საკუთარი პარლამენტი - ეს გახლავთ თემის ხმოსნების ყრილობა ანუ საბჭო. მას ჰყავს საკუთარი მთავრობა, თემის ნდობით აღჭურვილი - ეს არის სათემო ერობის გამგეობა. მას აქვს საკუთარი ხაზინა ანუ ბიუჯეტი, საკუთარი გზები, ფოსტა, მილიცია, სასამართლო, ექიმები, სკოლები და სხვ. ...სათემო ერობის ხელშია თემის ყოველგვარი საქმე - გზა, ფოსტა, განათლება, ჯანმრთელობა, წესიერება და ა.შ. ...სათემო ერობა მთავრობის პატარა ნაწილია. მისი შემწეობით მთავრობა არათუ დაკავშირებულია ხალხთან, ყოველ სოფელთან, ის დაახლოებულია ყოველ კუთხესთან, მუდამ ხალხთან არის. ...ჩვენი რესპუბლიკის სიმტკიცეს თემი შეადგენს. ...ჩვენი მთავრობის სიმტკიცე თემის ერთობაა“, წერდა ჟურნალ „ერობის“ ფურცლებზე ივანე გომართელი.[2]

1 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 5, გვ. 10.

2 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 6, გვ. 55.

ადგილობრივი თვითმმართველობები ერთობ დემოკრატიულ პრინციპზე იყვნენ აგებული. მართალია, ერობათა ადმინისტრაციაზე საერთო ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა მთავრობის სათანადო უწყებას – შინაგან საქმეთა სამინისტროს, მაგრამ თვითმმართველობებს დამოუკიდებელი მოქმედების ფართო კომპეტენციაც გააჩნდათ. ისინი ირჩევდნენ საქალაქო და სამაზრო მილიციის უფროსებს, მომრიგებელ მოსამართლეებს, განაგებდნენ სკოლებს, უძღვებოდნენ ადგილობრივ სამეურნეო ცხოვრებას და სხვ.

თვითმმართველობის ასეთი საპასუხისმგებლო დანიშნულების მიუხედავად, საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ ტერმინი „თვითმმართველობა“ შეუფერებლად ცნო და მის ნაცვლად „ადგილობრივი მმართველობის“ შემოღება ამჯობინა.[1]

საინტერესოა, რომ საქართველოს ქალაქთა წარმომადგენლების მესამე ყრილობამ არ გაიზიარა სახელმწიფოს ძირითადი კანონის შემოქმედთა ეს შეხედულება და კონსტიტუციის პროექტის მუხლობრივი განხილვისას დაადგინა: „111 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით: ადგილობრივი თვითმმართველობა არის იმავე დროს ადგილობრივი მმართველობის ორგანო და განაგებს ყოველ ადგილობრივ მმართველობის, მეურნეობის და საზოგადოებრივ-კულტურულ საქმეებს. 112, 113, 114 და სხვა მუხლებში სიტყვა „მმართველობა“ შეიცვალოს „თვითმმართველობით.“[2]

საერობო ბეჭდური სიტყვა მონაწილეობას იღებდა თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობის წინასწარ განხილვასა და ექსპერტიზაში. ჟურნალმა „ერობამ“ ოპერატიულად გამოაქვეყნა „კანონპროექტი თემის შესახებ“ და კონსტიტუციის პროექტის მეათე თავი - „ადგილობრივი მმართველობა“, [3] დაბეჭდა ასევე ზოგირთი გამოხმაურება და შენიშვნა ამ დოკუმენტებზე. ჟურნალის სიტყვით, „ჩვენი რესპუბლიკა და მისი თვითმმართველობა მთელ მსოფლიოში ერთადერთია, თავისებურია. აქ დემოკრატია უაღრესია - ჩვენი სახელმწიფო თვითმმართველობათა ჯამია, ჩვენი რესპუბლიკა ერთი ხალხური თვითმმართველობაა“ და სხვ.

---

1 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 2, გვ. 39.

2 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 1, გვ. 4-6.

3 მაცაბერიძე მ., უზენაესი ბატონი ქვეყნისა, თბ., 2008, გვ. 38.

თვითმმართველობის პრესის ორგანოების ზოგადი დასკვნით, საქართველოს მოსახლეობამ ერობა მიიღო, საზოგადოებაში მისი იდეა განმტკიცებულია. ერობამ უკვე მკვიდრად გაიდგა ფეხი ხალხის ცხოვრებაში. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ამ საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი თვითმმართველობის ბეჭდვითმა სიტყვამაც შეიტანა.

საერობო ჟურნალ-გაზეთები მკითხველს აძლევდნენ სასარგებლო რჩევებს მეურნეობის უკეთ მოწყობის, ტექნიკური აღჭურვის, აგრონომიულ შესაძლებლობათა გამოყენებისა და სხვ. პრაქტიკული საჭიროების სფეროში. მაგალითად, ხშირად იბეჭდებოდა პრაქტიკოს ვეტერინართა პუბლიკაციები, რომლებიც საქონლის დაავადებებსა და მათთან ბრძოლის საკითხებს აშუქებდა (ბეითალი ექიმი გ. მამამთავრიშვილის, ექიმი-ვეტერინარი ლაშხურის სტატიები), სწავლულ აგრონომთა (ი. ქურდიანი, მ. ქარჩივაძე) პოპულარული წერილები ხეხილის ბაღის გაშენების, მოვლა-პატრონობისა და სხვ. საკითხებზე.

ჟურნალი „ერობა“ ეხებოდა და დეტალურად არკვევდა თვითმმართველობის ბიუჯეტის არსს, ადგილობრივი შემოსავლებისა და გასავლის რაობას, გადასახადების მნიშვნელობას, საერობო სამუშაოთა დაგეგმვის მეთოდიკას და სხვა აქტუალურ საკითხებს. აქვეყნებდა მოკლე ისტორიულ მიმოხილვებს სხვადასხვა ქვეყანაში თვითმმართველობის ერთეულთა ფუნქციონირების თაობაზე და აშუქებდა მათ გამოცდილებას.

ერობებს მათთვის დაკისრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ფუნქციების გარდა, იმთავითვე ორი აქტუალური საკითხის მოგვარებაშიც მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნებოდა: 1. ანარქიულ გამოსვლებთან ბრძოლა და 2. აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარება. თვითმმართველობის პრესის ორგანოები ამ საკითხებსაც გარკვეულ ადგილს უთმობდნენ და თავიანთ ფურცლებზე ეხმიანებოდნენ. მაგალითად, ჟურნალ „ერობაში“ ვკითხულობთ, „დუშეთის მაზრა გასულ წელს (1919 წ. - ო. ჯ.) ანარქიის გამო საგრძნობლად დაზარალდა. ამ ბოლო დროს კავკავიდან ლტოლვილებისა და მოხალისეთა ჯარის ნაწილების გამოსვლამ მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა.“[1]

1 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 5, გვ. 57.

საერობო ჟურნალ-გაზეთები სანდო პირველწყაროა თანადროული სინამდვილის შესასწავლადაც. ისინი დამატებით მასალებს შეიცავენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განვითარებული მოვლენების შესახებ და ავსებენ ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნებულ ინფორმაციებს არაერთი საყურადღებო საკითხის ირგვლივ. დავიმოწმებთ ზოგიერთ საინტერესო ცნობას: „ერობის“ 1920 წლის აპრილის ნომრის თანახმად, „მთა ოსეთში ჯერ-ჯერობით ვერ მოეწყო თემები, ვინაიდან ოსებმა დღემდის არ მოისურვეს ერობის შემოღება.“[1] იმავე ჟურნალის ივლისის ნომრის ცნობით კი, „მდგომარეობა მთა ოსეთში ფრიად სამძიმო გახდა. ადგილობრივი მოსახლეობა დაიფანტა, სახლ-კარი ბევრგან გადამწვარია. მამული და შემოსული ყანები უპატრონოდა ჰყრია. მტაცებლობაა გავრცელებული. საჭიროა ადმინისტრაცია ხელახლა მოეწყოს. ზოგიერთი ზომა ერობის მიერ უკვე მიღებულია.“[2]

ცნობილია, რომ 1920 წლის 20 თებერვალს ძლიერმა მიწისძვრამ დიდად დააზარალა ქალაქი გორი და მიმდებარე სოფლები. თვითმმართველობის გამოცემებმა ფართოდ გააშუქეს ქართლში დატრიალებული ეს კატასტროფა, ამასთან, წარმოაჩინეს განსაცდელში ჩავარდნილი მოსახლეობის დასახმარებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაწეული საქმიანობა. დეტალურად აღრიცხეს ცალკეული ერობის, თემისა თუ კერძო პირის შეწირულობა გორის აღდგენისათვის შექმნილ სპეციალურ ფონდში და სხვა.[3]

„ერობა“ კრიტიკული აზრის გამოთქმასაც არ ერიდებოდა. მაგალითად, 1920 წლის ოქტომბრის ნომერში აღნიშნულია: „ხშირია ისეთი მაგალითი, როდესაც სათემო თვითმმართველობაში უმთავრესი ხელმძღვანელის როლი უკავია არა ადგილობრივ მცხოვრებს, ან და თვით სამაზრო ერობის გამგეობაში, ადგილი უკავია ამ მაზრის მდგომარეობისა და პირობების სავსებით არმცოდნე ადამიანს.“[4] ეს კი ერობას ხალხის თვალში ნდობას დაუკარგავსო - შენიშნავდა ჟურნალი. საგულისხმოა, ასევე, რომ რედაქცია ამ მოვლენის გამოსწორების ღონისძიებასაც სახავდა და ურჩევდა ერობის ადმინისტრაციას, დანიშნოს

1 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 4.

2 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 2, გვ. 45.

3 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 2, გვ. 45.

4 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 2, გვ. 50.

რამდენიმე სტიპენდია უნივერსიტეტში საუკეთესო სტუდენტებისათვის, „იმ პირობით კი, რომ შემდეგ რამოდენიმე წლის განმავლობაში ეს სტუდენტები ემსახურებოდნენ ამავე ერობას.“[1] აქვე დავძენ რომ, თბილისის სამაზრო ერობამ გაითვალისწინა ხსენებული წინადადება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მართლაც დააწესა 5 სტიპენდია.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს თავისი წვლილი შეჰქონდათ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ყოველი მოსალოდნელი საფრთხისა თუ განსაცდელის ჟამს ერობები მზად იყვნენ დაერაზმათ მოსახლეობა, შთაენერგათ მათთვის მხნეობა და მამულიშვილური შემართება. ცხადია, ამ დიდ ეროვნულსა და სახელმწიფოებრივ საქმეში ადგილობრივ პრესას თავისი სიტყვა ეთქმოდა. შეიძლება ითქვას, რომ საერობო ჟურნალ-გაზეთები ამ მხრივაც მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. ნათქვამის არგუმენტად მოვუხმოთ დოკუმენტურ მასალას.

1920 წლის გაზაფხულზე რუსეთის წითელი არმიის შენაერთები აზერბაიჯანს მიადგნენ, ბაქოს თითქმის უბრძოლველად დაეუფლნენ და ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება გამოაცხადეს. მალე გასაბჭოებული აზერბაიჯანის მხრიდან რუსეთის სამხედრო ნაწილები საქართველოს საზღვრებშიც შემოიჭრნენ. კავკასიელ ბოლშევიკთა ლიდერი სერგო ორჯონიკიძე, რომელიც ამ ჯარებს წინ მოუძღოდა, დარწმუნებული იყო, რომ რამდენიმე დღეში თბილისსაც აიღებდა.

საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფო ზომებს მიმართა: გამოაცხადა მობილიზაცია, შექმნა თავდაცვის საბჭო, დანიშნა სარდალი და აღმოსავლეთ საქართველოში სამხედრო წესები შემოიღო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაურმა ნოე ჟორდანიამ მთავრობისა და თავდაცვის საბჭოს სახელით 1920 წლის 28 აპრილს გამოაქვეყნა მოწოდება, რომელიც მიემართებოდა საქართველოს ქალაქებს, ერობებს, თემებს, გვარდიის შტაბებს და აფხაზეთის კომისარიატს. მოწოდება ჟურნალმა „ერობამ“ თავის პირველ გვერდზე დაბეჭდა. მასში აღნიშნული იყო: „ჩრდილოეთის საფრთხე საქართვე-

1 გაზ. „გურიის ერობის მოამბე“, 1920 წ., 1 მაისი.

ლოს ჭიშკარს მოადგა. ...ჩვენს ქვეყანას მოელის ისეთივე განადგურება და სისხლისაგან დაცლა, როგორც განადგურებულია და დაუსრულებელ ომებით სისხლისაგან იცლება რუსეთი. ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია. ჩვენს მდგომარეობას ვიხსნით მხოლოდ ჩვენ, ჩვენი ერთსულოვნება და მომხდურთა წინაშე მედგრად დარაზმვა.

მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას ქვეყანა ამ უბედურებისაგან, ააცდინოს მშრომელ ხალხს ეს მწარე ფიალა, იხსნას ის დარბევისაგან და მოგიწოდებს თქვენ და თქვენთან ერთად მთელ დემოკრატიას ფეხზე დააყენოთ მთელი თქვენი ძალა, შემოკრბეთ მთავრობის და დამფუძნებელი კრების გარშემო, დაუყოვნებლივ შეასრულოთ მთავრობის ბრძანებები, დაიცვათ შიგნით სასტიკი წესრიგი, შთაბეროთ ერთგულთ მხნეობა და ენერგია, სამაგიერო მიუზღათ ორგულთ და მოღალატეთ და მით გადაარჩინოთ სამშობლო აოხრებისაგან."

თავის მხრივ, ერობათა კავშირის კომიტეტმა მიმართვა დაუგზავნა სამაზრო ერობის გამგეობებს და დაავალა, რომ „თემებმა საჩქაროდ უნდა მოაგვარონ მობილიზაციით გაწვეულების ოჯახის მეურნეობა და ხელი შეუწყონ მათ ყანა-მინდვრებისა და ბაღ-ვენახების დამუშავებას", რომ ეს უნდა ითაოს თვით ხალხმა, რათა ამ სახით რესპუბლიკის ყველა მოქალაქემ მიიღოს მხურვალე მონაწილეობა თავდაცვის საქმეში.[1]

„ერობის" მომდევნო ნომერმა ქვეყანაში შექმნილ მძიმე სიტუაციას მოწინავე მიუძღვნა. მასში გაანალიზებული იყო ბოლშევიკთა მისწრაფება, საბჭოთა რუსეთის აგრესიის მიზანი და ამოცანები. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სარედაქციო წერილი მოსახლეობას სიმტკიცისაკენ მოუწოდებდა:

„სასოწარკვეთილებას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ყველა ერთი გრძნობით უნდა განიმსჭვალოს - „სამშობლოს დაცვა უნდა" - და ამ აზრით უნდა ხელმძღვანელობდეს თავის მუშაობაში. ...ერთსულოვნება - აი, რა უნდა ჰსუფევდეს დღეს, როდესაც ჩრდილოეთის საფრთხე მოადგა ჩვენს საზღვრებს. ...ყოველი ჩვენგანი ერთი აზრით უნდა იყოს გამსჭვალული, რომ ამოძრავებულ ძალას ზურგი გაუმაგრონ ყოველისგზით, ყოველის საშუალებით. ზურგი ჯარის არანაკლებ სა-

1 ჟურნ. „ერობა", 1920, # 2, გვ. 36-37.

ყურადღებოა და ის, ვინც ამ დღეებში სახლში რჩება, უნდა სცდილობდეს ზურგი გაუმაგროს ლაშქრად წასულებს.

...ერობებმა უნდა შესძრან მთელი ხალხი, ფეხზე დააყენონ მამულისშვილნი და სათავეში ჩაუდგნენ ზურგის ყოველდღიურ ერთსულოვან მუშაობას. ...და თუ როდისმე იყო საჭირო გაორკეცებული, მხნე და მუყაითი მუშაობა - ეს დღეს არის, რადგანაც სამშობლოს დაცვა ამას მოითხოვს.“[1]

ამგვარ მოწოდებებსა და ერობების მიზანმიმართულ საქმიანობას ადგილებზე მართლაც მოჰქონდა შედეგი. მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, მრავალ სასოფლო თემში შედგა დამხმარე კომიტეტი, რომელთა მიზანს შეადგენდა დახმარება გაეწიათ ფრონტზე გაწვეული ჯარისკაცებისა თუ გვარდიელთა ოჯახებისათვის. საერობო პრესას ადგილობრივი დემოკრატიის ეს ძალისხმევაც უყურადღებოდ არ დაუტოვებია. მაგალითად, ჟურნალი „ერობა“ აშუქებდა რა წინანდლის თემისა და მისი გამგეობის მიერ გაწეულ მუშაობას, წერდა: როგორც ხალხმა, აგრეთვე კომიტეტებმა გულმხურვალე თანაგრძნობა გამოიჩინეს, დამხმარე კომიტეტებმა ხელმოკლე ოჯახებს შეუძინეს სურსათი, შეაგროვეს შემოწირულობა. ზოგს „მოსაწამლი ვენახები დაუწამლეს ბეგარის სახით და ბევრი გასათოხნი ვენახიც დაუთოხნეს; დახმარებაში მონაწილეობა მიიღო ყველა მოქალაქემ: ვინ ფულად, ვინ სურსათით და ვინ მუშაობით.“[2]

ადგილობრივი თვითმმართველობა და მათი პრესა მყისიერად ეხმაურებოდნენ ქვეყანაში მომხდარ ყველა საგულისხმო მოვლენას, გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებსა და შეხედულებებს ამა თუ იმ საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფაქტის გამო, მაგრამ, როგორც წესი, ასახავდნენ მმართველი პოლიტიკური ძალისა და ხელისუფლების თვალსაზრისს. ამ მხრივ ნიშანდობლივია საერობო პრესის დამოკიდებულება ბათუმიდან ბრიტანეთის სამხედრო შენაერთების გაყვანის საკითხისადმი.

როგორც ცნობილია, 1920 წლის ივლისში ბრიტანეთის ჯარებმა ბათუმი დატოვეს. ბათუმსა და მის ოლქზე აღდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქცია. ეს გარემოება ხელი-

1 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 2, გვ. 2-3.

2 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 6, გვ. 35.

სუფლებამ ერთმნიშვნელოვნად დადებით ფაქტად აღიქვა და სრულად ვერ გააცნობიერა, რომ ინგლისელთა საქართველოდან წასვლა იმ დროისათვის ჩვენი ქვეყნისათვის ევროპის ზურგის შექცევასაც ნიშნავდა.[1] მომხდარს თვითმმართველობის პრესაც გამოეხმაურა. ჟურნალ „ერობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ერობათა კავშირის კომიტეტის მიმართვა რესპუბლიკის ერობებისა და სოფლის ყველა მცხოვრებისადმი, რომელშიც არსებითად ხელისუფლების პოზიცია იყო გამოხატული. მიმართვაში აღნიშნულია: „ბათუმი და მისი ოლქი, რომელიც ორი წლის განმავლობაში მთელი ქართველი ხალხის გლოვის საგანი იყო, უკვე თავისუფალია. დაკარგული მარგალიტი დაუბრუნდა ჩვენს რესპუბლიკას. ...საქართველოს გამთლიანების კითხვა თითქმის დასრულდა. ...ტარიელ-ფრიდონ-ავთანდილმა - საქართველოს მუშა-გლეხმა-მხედარმა - ქაჯეთის ციხე უკვე აიღეს და განთავისუფლებული ნესტან-დარეჯანი საქართველოს მოგვარეს. ...საქართველოს შებოჭილი და დამახინჯებული სხეული გაიხსნა და გამთლიანდა. ფართო შარა გზა ევროპისაკენ, განათლებულ ქვეყნებისაკენ, უკვე ხსნილია ქართველი ხალხისთვის.“[2]

თავის სხვა ნომრის მოწინავეში „ერობის“ რედაქცია აღნიშნავდა, რომ ბათუმისა და ბათუმის მხარის შემოერთებით საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრებაში „უდიდესი და უშესანიშნავესი ამბავი“ მოხდა. მართალმა საქმემ გაიმარჯვა. „ორი დროებით განშორებული ძმა - საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველო ერთიერთმანეთს ძმურად შეეყარა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობაც აღსდგა“, მაგრამ საქმე შემოერთების სადღესასწაულო აქტით არ გათავებულა. ჟურნალი სახავდა ადგილობრივი დემოკრატიის პრიორიტეტებს, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოყოფდა ბათუმის ოლქში მმართველობისა და თვითმმართველობის მოწყობას. მიიჩნევდა, რომ სამუსლიმანო საქართველოს აღდგენაში, მის ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ დაწინაურებაში მთავარი სიტყვა „კარგ მმართველობას“ ეთქმოდა, რომელიც „იგივე თვითმმართველობა,

1 ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ.,2009, გვ. 170.

2 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 4, გვ. 24-25.

იგივე ადგილობრივი ავტონომია იქნება.“[1]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყანაში ევროპის სოციალისტთა დელეგაციის ვიზიტს, რომელიც 1920 წლის შემოდგომაზე განხორციელდა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები განსაკუთრებული ინტერესით მოელოდნენ ამ ღირსახსოვარ მოვლენას. საერობო პრესაც სტუმრების დასახვედრად საგანგებოდ მოემზადა. ჟურნალი „ერობა“ მკითხველს წარუდგენდა დელეგაციის წევრებს, ვანდერველდეს, რენოდელსა და სხვებს, რომელთაც „საერთაშორისო სოციალიზმის საუკეთესო მატარებელნთ“, „ევროპის მშრომელი კლასის ღირსეულ წარმომადგენლებს“ უწოდებდა, განმარტავდა საქართველოში მათი ჩამოსვლის არსს, მიზანსა და დანიშნულებას, ხაზს უსვამდა, რომ ერობებმა თბილად უნდა მიიღონ სტუმრები, გააცნონ თავიანთი როგორც მიღწევები, ისე ნაკლოვანებები, „მაგრად ჩამოართვან ხელი და უთხრან: სული სულს იცნობს, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.“[2]

აღსანიშნავია, რომ პერიოდული პრესის ორგანოები დააფუძნეს ზოგიერთმა ქალაქმა და ცალკეულმა სამაზრო ერობამაც. მაგალითად, 1920 წელს გამოსვლა იწყო თბილისის ქალაქის საბჭოს ყოველთვიურმა ჟურნალმა „თბილისის ქალაქის საბჭოს მოამბე“, ფოთის ქალაქის თვითმმართველობამ გამოსცა ყოველკვირეული გაზეთი „ფოთის მოამბე“, ოზურგეთის ერობის გამგეობამ დააარსა ყოველკვირეული გაზეთი „გურიის ერობის მოამბე“, ხოლო გურიის სამაზრო ერობამ 1921 წლის იანვარში გამოსცა სამდღიური გაზეთი „გურიის ხმა.“ 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის გამო დასახელებული ჟურნალ-გაზეთების გამოცემა შეწყდა.

მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობის ბეჭდური გამოცემების საქმიანობა დიდხანს ვერ გაგრძელდა, ერთის თქმა დაბეჯითებით შეიძლება: თავიანთი პუბლიკაციებით ეს გამოცემები ხელს უწყობდნენ საქართველოს მოსახლეობაში ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებას და გარკვეული წვლილი შეჰქონდათ სახელმწიფოს დემოკრატიულ აღმშენებლობაში.

---

1 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 5, გვ. 1-2.

2 ჟურნ. „ერობა“, 1920, # 7, გვ. 3-4.

დამფუძნებელი კრება და საქართველოს პოლიტიკური სპექტრი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებლი კრების ჩამოყალიბებას წინ საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის მუშაობა უსწრებდა. ეროვნული საბჭოს სახელთან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ხოლო პარლამენტთან - ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს კანონშემოქმედების საწყისი ეტაპია დაკავშირებული. ერთმაც და მეორემაც ქვეყნის შემდგომი ბედის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ არც საბჭო და არც პარლამენტი არ ყოფილა შექმნილი სახალხო არჩევნების გზით.

1917 წლის ნოემბერში დაარსებული საქართველოს ეროვნული საბჭო პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმების საფუძველზე ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ იგი დამატებითი წევრებით, მათ შორის სამაჰმადიანო საქართველოს, ზაქათალის, ასევე ეროვნულ უმცირესობათა წარგზავნილებით შეივსო და საქართველოს პარლამენტად გარდაიქმნა. მართალია, ხსენებული ორგანო აერთიანებდა ქვეყნის ყველა გავლენიან პოლიტიკურ ძალას, - ე.ი. ასახავდა საქართველოს ძირითად პოლიტიკურ სპექტრს, იყო პოლიეთნიკური შემადგენლობის და, ამასთან, მმართველობის სადავეებშიც მოცილე არავინ ჰყოლია, უნდა ითქვას, რომ დემოკრატიული თვალსაზრისით მას ლეგიტიმაცია აკლდა.

ცნობილია, რომ სუვერენული საქართველოს მესვეურნი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობას მხოლოდ დემოკრატიულ ნიადაგზე გაიაზრებდნენ. დემოკრატიულ პრინციპებს, მათ შორის სახელმწიფოს მოწყობა-განვითარების სფეროში ეთანხმებოდა და მხარს უჭერდა იმჟამინდელი ქართული პოლიტიკური ელიტის აბსოლუტური უმრავლესობა. რაკი სახელმწიფოს დემოკრატიულობის განმსაზღვრელი ერთი უმთავრესი პირობა ხელისუფლების არჩევითობაა, დღის წესრიგში იმთავითვე დადგა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფორმირება საყოველთაო არჩევნების საფუძველზე. ანუ, საერთო-სახალხო ნებით

უნდა შექმნილიყო ისეთი წარმომადგენლობითი საკრებულო, რომელსაც შეეძლებოდა სრულად გამოეხატა ქვეყნის არა მხოლოდ სატიტულო ერის - ქართველობის, არამედ საქართველოს მთელი მოსახლეობის პოლიტიკური მისწრაფება და სასიცოცხლო ინტერესები. ამგვარ ინსტიტუტად მიჩნეულ იქნა დამფუძნებელი კრება.

დამფუძნებელი კრების იდეა რომანოვთა იმპერიაში აქტუალური იყო 1905-1907 წლების სახალხო რევოლუციის წლებში. უფრო მეტად პოპულარული გახდა და პრაქტიკულადაც მომწიფდა იგი თვითმპყრობელობის დამხობის პერიოდში. 1917 წლის შემოდგომაზე ჩატარდა არჩევნებიც, მაგრამ ძალაუფლებას დაუფლებულმა ბოლშევიკებმა რუსეთში არ დაუშვეს დამფუძნებელი კრების მუშაობა და იგი შეკრებისთანავე გარეკეს.

რაც შეეხება საკუთრივ ჩვენს ქვეყანას, აქ ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში გამართულ პირველ ეროვნულ ყრილობაზე ოფიციალურად გამჟღავნდა, რომ განზრახული იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევა. რეზოლუციაში პოლიტიკური მომენტის შესახებ ყრილობამ მიუთითა: „საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის ზრუნვა ევალება საქართველოს ეროვნულ საბჭოს.“[1] კრების ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა ასევე 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის მეშვიდე მუხლში აღინიშნა: „დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო.“ ამრიგად, ეროვნული საბჭოცა და საქართველოს პარლამენტიც მიჩნეული იყო დროებით სტრუქტურებად, რომელთაც უახლოეს მომავალში ადგილი უნდა დაეთმოთ სრულუფლებიანი დამფუძნებელი კრებისათვის.

დამფუძნებელ კრებას ახლად აღდგენილი ქართული სახელმწიფოს იერ-სახის განსაზღვრა, სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების სამართლებრივ საფუძველზე დამკვიდრება, ქვეყნის უმთავრესი კანონის - კონსტიტუციის შემუშავება და დამტკიცება ევალებოდა. კრება განახლებული საქართველოს პოლიტიკური მესაძირკვლე უნდა გამხდარიყო. დამფუძნებელი კრების მეშვეობით მოსახლეობას შესაძლებლობა ეძლეოდა გამოეთქვა აზრი, გამართლებული იყო თუ არა პოლიტიკური პარტიების გადაწვეტილება, დაემტკიცებინა ან საე-

1 გაზ. „საქართველო,“ 1917 წ., 24 ნოემბერი.

რთოდ უარეყო საქართველოს დამოუკიდებლობა. „ჩვენ მივდივართ ხალხთან და გვინდა მან სთქვას, სწორი იყო ჩვენი ნაბიჯი თუ შემცდარი, ...მან დააფუძნოს ის, რაც ჩვენ გამოვაცხადეთ, ესე იგი მისცეს საფუძველი და სიმტკიცე, დასცეს დასტური იმ აქტს დამოუკიდებლობისა, რომელიც 26 მაისს ...იქნა გამოქვეყნებული," წერდა გაზეთი „ერთობა."[1]

ასეთ რეალობაში სამზადისი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისთანავე დაიწყო.

დამფუძნებელი კრების დებულების შემუშავებას თითქმის ნახევარი წელი დასჭირდა. ყოველ მუხლს გულდასმით და საფუძვლიანად განიხილავდნენ. ცხარე პაექრობა იყო კრების წევრთა რაოდენობის განსაზღვრის, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების, ამომრჩეველთა ასაკის დადგენის, ჯარისკაცების, პოლიციისა თუ ადმინისტრაციის მოხელეთათვის ხმის უფლების მიცემა-არმიცემის შესახებ და სხვ. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი არჩევნები პროპორციული სისტემით გაიმართებოდა. დამფუძნებელ კრებაში აირჩევდნენ 130 დეპუტატს, ხოლო საარჩევნო ხმის უფლებით ისარგებლებდნენ რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქენი, რომელთაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდათ 20 წელი.

1918 წლის 2 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დამფუძნებელი კრების დებულება და დაამტკიცა კრების ხარჯთაღრიცხვა. მთავრობას დაევალა დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩასატარებლად გამოეყო 4 მილიონი მანეთი.[2] დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის 14-16 თებერვლისათვის დაინიშნა.

შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია სოციალ-დემოკრატ ალექსანდრე ლომთათიძის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე) იყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი თედო ღლონტი, ხაზინადარი - ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა. კომისიაში სულ 21 კაცი შედიოდა. იმ დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჯერ კიდევ კოალიციური იყო, მაგრამ ხელისუფლებაში მაინც ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური

1 გაზ. „ერთობა," 1919 წ., 22 იანვარი.

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა," 1919 წ., 15 იანვარი.

ძალა -საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტია დომინირებდა. შესაბამისად, მათ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დანარჩენებზე მეტი - 7 წევრი ჰყავდათ წარგზავნილი. სხვა საპარლამენტო პარტიები - სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები - ორ-ორი კაცით, ხოლო არჩევნებში მონაწილე უფრო მცირერიცხოვანი პოლიტიკური სუბიექტები კომისიაში თითო-თითო წევრით იყვნენ წარმოდგენილი.

ჩამოყალიბდა საგუბერნიო, სამაზრო, სასოფლო (საუბნო) კომისიები. განისაზღვრა ელექტორატის რიცხვი - 876 910 ამომრჩეველი, რომელიც მიახლოებითი გამოთვლით, საქართველოს მთელი მოსახლეობის 45 %-ს შეადგენდა (ხსენებულ რაოდენობაში გათვალისწინებული არ ყოფილა ზოგიერთი იმ კუთხის მონაცემი, რომლებშიც კენჭისყრა ამ თუ იმ გარემოების გამო ვერ იმართებოდა). დაზუსტდა ამომრჩეველთა სიები. მოეწყო საარჩევნო უბნები: თბილისში – 50, ქუთაისში 12 და ა.შ. #1 საარჩევნო უბანი განთავსებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში.

საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში არჩევნების წინა პერიოდში ოთხი ძირითადი პარტია გამოირჩეოდა: სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატთა, სოციალისტ-ფედერალისტთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა. მათგან უფრო მრავალრიცხოვანი და ორგანიზებული სოციალ-დემოკრატია იყო. ამ პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციებით მოფენილი იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხე. ქართული სოციალ-დემოკრატია თავის რიგებში 80 ათასამდე წევრს მოითვლიდა და ჰყავდა თვალსაჩინო ლიდერები ნოე ჟორდანიას, კარლო ჩხეიძის, სილიბისტრო ჯიბლაძის, ნოე რამიშვილის, აკაკი ჩხენკელის, ევგენი გეგეჭკორის და სხვათა სახით.

ფედერალისტთა პარტია უმთავრესად ინტელიგენტურ ფენებს აერთიანებდა. ეროვნულ-დემოკრატების სოციალური ბაზა კი შედარებით ფართო იყო. იგი ინტელიგენციის თვალსაჩინო მოღვაწეთა გარდა ქართველი საქმიანი წრეების, თავადაზნაურობის, ვაჭართა თუ გლეხობის წარმომადგენლებსაც მოიცავდა. ეს პარტიები ხალხმრავალი არ ყოფილან, მაგრამ გააჩნდათ დიდი ინტელექტუალური პოტენციალი, დასაყრდენი ჰქონდათ სამხედროთა შორის, სტუდენტ-ახალგაზრდობაში და სხვ. ეროვნულ-დემოკრატთა ხელმძღვანელ ბირთვს შეადგენდნენ: ნიკო

ნიკოლაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, სპირიდონ კედია, გერონტი ქიქოძე, გიორგი გვაზავა; სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას მეთაურობდნენ სამსონ ფირცხალავა, გიორგი ლასხიშვილი, იოსებ ბარათაშვილი. რაც შეეხება ქართველ ესერებს, ისინი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე რუსეთის სოციალიტ-რევოლუციონრთა პარტიაში შედიოდნენ და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციად მხოლოდ 1918 წლის 26 მაისის შემდეგ ჩამოყალიბდნენ. ესერთა პარტიას სათავეში ედგნენ ლეო შენგელაია, იოსებ გობეჩია და გრიგოლ ნათაძე.

დამფუძნებელი კრების მანდატების მოპოვების მიზნით უშუალოდ არჩევნების წინ შეიქმნა რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დაუშვა 15 პარტია, კავშირი და ჯგუფი. არც ერთი მათგანი სხვასთან საარჩევნო ბლოკად არ გაერთიანებულა. თითოეულმა კანდიდატთა საკუთარი სია წარადგინა და ძალა დამოუკიდებლად მოსინჯა. საარჩევნო პოლიტიკური სუბიექტები რეგისტრაციაში შემდეგი თანმიმდევრობით გატარდენ: #1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია; #2. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; #3. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია; #4. დაშნაკცუთიუნი, #5. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია; #6. მუსულმანთა ეროვნული საბჭო; #7. საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია; #8. საქართველოს ეროვნული პარტია; #9. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია; #10. შოთა რუსთაველის ჯგუფი; #11. დამოუკიდებელი (უპარტიო) კავშირი; #12. ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ მუსულმანთა ჯგუფი; #13. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (რსდმპ); #14. ესთეტიური ლიგა პატრიოტებისა და #15. საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი.[1] კანდიდატთა სიაში ყველაზე მეტი - 130 წევრი ჰყავდა დასახელებული სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ყველაზე ცოტა, მხოლოდ ერთი კაცით იყო წარმოდგენილი შოთა რუსთაველის ჯგუფი პარტია. დეპუტატობის მსურველთა საერთო რაოდენობა 550-ს აღემატებოდა.

საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სპექტრის შემადგენლობა მეტად საყურა-

1 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 1, საქმ. 118, ფურც. 68-90.

დღებოა ეთნიკური თვალსაზრისით. აქ ქართული პოლიტიკური პარტიების გარდა წარმოდგენილი არიან საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების - აზერბაიჯანელ მაჰმადიანთა ორი (მუსულმანთა ეროვნული საბჭო, ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ მუსულმანთა ჯგუფი), სომეხთა (დაშნაკცუთიუნი), ბერძენთა (საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი) და ნაწილობრივ რუსთა (რსდმპ) ინტერესების გამომხატველი ორგანიზაციებიც. ეს მკაფიო დასტურია იმისა, რომ ახლად შექმნილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეროვნულ საკითხს ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპებით უდგებოდნენ, სატიტულო ერის გვერდით ფართო უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი „ნატეხი ერებიც“ (ასე მოიხსენიებდნენ ეთნიკურ უმცირესობებს 1918-1921 წლების საქართველოში).

მართალია, საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება დიდწილად ხელოვნურად იყო შექმნილი XIX საუკუნეში რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების მიერ, მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები ანგარიშს უწევდნენ ფაქტობრივ რეალობას და ეროვნულ უმცირესობებს ქართულ სახელმწიფოში სამოქალაქო ინტეგრაციის სრულ შესაძლებლობებს უქმნიდნენ. ამ მხრივ ნიშანდობლივია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. მისი 7 მუხლიდან 3 (მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე) ეროვნულ უმცირესობებს შეეხებოდა: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა;“ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს;“ „დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით.“

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ იმთავითვე ტოლერანტული კურსი აირჩია. ეროვნულ უმცირესობებს ქვეყანაში ქართველებთან ჰარმონიული თანაცხოვრების, თავისუფალი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესაძლებლობა მიეცათ.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღიარებულიც იყო და დაცულიც. ნოე ჟორდანიას სიტყვით, საქართველოში არ იყო „ელინი და ბარბაროსი, ყველას ელინებად ვრაცხდით.“[1] ასეთივე იყო ძირითადი პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულებაც საქართველოში ბინადარი არაქართველებისადმი, რაც კიდევ ერთხელ მკაფიოდ და ნათლად წარმოჩნდა დამფუძნებელი კრების არჩევნებისას. „სოციალ-დემოკრატები წინააღმდეგნი არიან ერთი ერის მიერ მეორე ერის დაჩაგვრისა და შევიწროების. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში ყველა ერი უნდა თანასწორი იყოს და თითოეულ მათგანს სრული საშუალება მიეცეს ეროვნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა,“ - აღნიშნავდა სქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია თავის წინასაარჩევნო პლატფორმაში.[2]

„იმ არაქართველი ერის შვილებს, რომელნიც გაფანტულნი არიან ჩვენში, შეადგენენ უმცირესობას და არა აქვთ მთლიანი მოსახლეობა, ჩვენ მივცემთ კულტურულ ავტონომიას კულტურული საქმეების გასაძღოლად, მათ ხელში გადავა ნაწილი სახელმწიფოს შემოსავლისა, მათი ენა შემოღებულ იქნება ადგილობრივ დაწესებულებაში,“ - აცხადებდნენ სოციალისტ - ფედერალისტები და დასძენდნენ: „კიდევ მეტის უფლებით უნდა იქნეს აღჭურვილნი აფხაზეთისა და სამაჰმადიანო საქართველოს თვითმმართველობის ორგანოები, რომელნიც სრულიად ავტონომიურად უნდა განაგებდნენ თავიანთ შინაურ საქმეებს. უნდა იცოდნენ ჩვენმა ძმებმა მუსულმანმა ქართველობამ და ჩვენმა მონათესავე აფხაზებმა, რომ მათ თავისუფლებას და კეთილდღეობას ისე არავინ დაიცავს, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.“[3]

„სოციალიზმის სამეფოში ყველა ერი უნდა შევიდეს ეროვნული ინდივიდუალობის მრავალფეროვნებითა და თავისებურებით. ...ესერთა პარტიისთვის არ არსებობს „ელინი და იუდეველი.“ სომეხი, თათარი თუ ბერძენი მუშისა და გლეხის ინტერესები მისთვის ისეთივე ძვირფასია, როგორც ქართველი გლეხისა და პროლეტარიატის ინტე-

1 ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 104.

2 გაზ. „ერთობა,“ 1919 წ., 22 იანვარი.

3 გაზ. „სახალხო საქმე,“ 1919 წ., 26 იანვარი.

რესები," - ვკითხულობთ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მიმართვაში ამომრჩევლებისადმი.[1]

დამფუძნებელი კრების არჩევნები იმდენად დემოკრატიული იყო, რომ მასში მონაწილეობის უფლება არ შეუზღუდავთ ბოლშევიკებისთვისაც, რომლებიც არ ცნობდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და გამალებით მის დამხობას ესწრაფოდნენ. ბოლშევიკებს ოპოზიცია არ ეთქმოდათ, ისინი ქვეყნის დანარჩენი პოლიტიკური ძალებისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის აშკარა, დაუფარავი მტრობითა და მისი ხელისუფლების სიძულვილით გამოირჩეოდნენ.

საქართველოს ბოლშევიკებს დამფუძნებელი კრების არჩევის მომენტისათვის თავიანთი დამოუკიდებელი პარტია არ გააჩნდათ, მაგრამ ქონდათ რამდენიმე საოლქო და საქალაქო ორგანიზაცია, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ რუსეთის კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებისა). ორგანიზაციულ მხარეს ბოლშევიკებისათვის არ შეუშლია ხელი, მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. მათ ამაზე უარი პრინციპული მოსაზრებით განაცხადეს, გადაჭრით დაუპირისპირდნენ დამფუძნებელ კრებას და კრემლის მითითებათა შესაბამისად, ბოიკოტის ტაქტიკას მიმართეს.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა, რომელშიც წამყვან როლს ქართველი ბოლშევიკები ასრულებდნენ, 1919 წლის თებერვალში არჩევნების ჩასაშლელად ფართო მასების მიზიდვის მიზნით შემდეგი მოწოდება გაავრცელა: „მენშევიკები და ყველა რჯულის ნაციონალისტები აპირებენ კვლავ მოატყუონ ხალხი, იწვევენ რა დამფუძნებელ კრებას საყოველთაო არჩევნების გზით. ...ჩვენი პარტია, მუშების, ღარიბი გლეხობის, ჯარისკაცებისა და ყველა პატიოსან მშრომელთა პარტია გამოდის წინააღმდეგ ასეთი კრებისა და იმგვარი არჩევნებისა, რომლის შემწეობით მენშევიკებს, ყველა კაციჭამია ნაციონალისტებსა და გაქსუებულთა პარტიას განზრახული აქვთ კვლავ მოატყუონ ხალხი. ისინი აპირებენ სამუდამოდ მოსწყვიტონ ჩვენი ქვეყანა რევოლუციურ რუსეთის მუშებს, გლეხებსა და წითელარმიელებს, სურთ გადააქციონ იგი გაზულუქებულ ქართველთა მამულად. ამიტომაც ჩვენი პარტია არ იღებს

1 გაზ. „შრომა," 1919 წ., 12 თებერვალი.

არავითარ მონაწილეობას ამგვარ არჩევნებში. უცხადებს ბოიკოტს ნაციონალურ დამფუძნებელ კრებას და მოუწოდებს ყველას არ მიიღონ მონაწილეობა მენშევიკებისა და სხვა ნაციონალისტების მატყუარა საქმეებში. ...გაუმარჯოს ბოიკოტს!"[1]

ბოლშევიკების ბოიკოტის ტაქტიკამ შედეგი ვერ გამოიღო. სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები აქტიურად შეუდგნენ საარჩევნო სამზადისს. იანვრის მეორე ნახევარში თავთავიანთ პარტიულ პერიოდიკაში სოციალ-დემოკრატებმა, ეროვნულ-დემოკრატიულმა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიებმა გამოაქვეყნეს წინასაარჩევნო პლატფორმები.

ამ დოკუმენტებში აისახა მათი საპროგრამო დებულებები, სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრიორიტეტები, დაპირებები მოსახლეობისადმი და სხვ. თითოეული პარტია ცდილობდა ხაზი გაესვა საკუთარი დამსახურებისათვის, შთამბეჭდავად წარმოეჩინა მიღწეული შედეგები, გულუხვი ყოფილიყო დაპირებებში და მიემხრო ამომრჩეველი. მაგალითად, სოციალ-დემოკრატები აცხადებდნენ: ჩვენი მოღვაწეობის შედეგია, რომ „პატარა საქართველო დღეს ოაზისივით დგას, როგორც სანიმუშო გამონაკლისი რუსეთის უდაბნოში. მხოლოდ ერთადერთი საქართველოს დემოკრატია სარგებლობს ბრძოლით მოპოვებული უპირატესობით." პლატფორმა განმარტავდა, რომ სოციალ-დემოკრატიამ მუშათა პარტიისათვის უჩვეული - სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმე რევოლუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად და ხალხის ინტერესების დასაცავად აიღო. პარტია მრავალ სიკეთეს აღუთქვამდა ელექტორატს და შეახსენებდა, რომ სოციალ-დემოკრატების გზა „სრული დემოკრატიზმიდან სოციალიზმისაკენ" მიემართებოდა.[2]

სოციალიზმს „შრომის სამეფოდ, მშრომელთა ბატონობად" წარმოაჩენდა სოციალისტ-ფედერალისთა პარტია, რომელიც ამომრჩეველს არწმუნებდა, რომ საქართველოში მოაწყობდა „ნამდვილ დემოკრატიულ ხალხურ რესპუბლიკას" და შექმნიდა პირობებს ბურჟუაზიული სახელმწიფოდან სოციალისტურ, შრომის სამეფოდ გარდასაქ-

1 Борьба за победу советской власти в Грузии. Документы и материалы, Тб., 1958, ст. 379-380.

2 გაზ. „ერთობა," 1919 წ., 22 იანვარი.

მნელად. ფედერალისტები ამასთან, მძლავრი საქალაქო და საერობო თვითმმართველობის საფუძველზე საქართველოს „თვითმმართველი ერთეულების კავშირად, ფედერაციად“ სახეცვლილების დაპირებითაც გამოდიოდნენ.[1]

„თავისუფალ მიწაზე თავისუფალი მიწის მუშა,“ „სოციალისტური ძალაუფლებიდან - სოციალიზმისაკენ,“ ასეთი იყო ქართველ ესერთა მთავარი გზავნილი ხალხის, უმთავრესად გლეხობისადმი, რომელთა წიაღშიც ეგულებოდა ამ პარტიას მხარდამჭერთა უმრავლესობა.[2]

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თუ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა გაშალეს სააგიტაციო მუშაობა, ეწყობოდა საჯარო ლექციები, შეკრებები, გაზეთების მეშვეობით პარტიები მოსახლეობას განუმარტავდნენ დამფუძნებელი კრების რაობას, მის მნიშვნელობასა თუ საჭიროებას. მაგალითად, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა შალვა ალექსი-მესხიშვილმა გორში წაიკითხა საჯარო მოხსენება თემაზე „საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა და დამფუძნებელი კრება“, პარლამენტის წევრები რაფიელ ივანიცკი (ინგილო) და იოსებ მაჭავარიანი მოხსენებებით გამოვიდნენ თელავის საზოგადოების წინაშე[3] და სხვ.

„დამფუძნებელი კრება - ეს რევოლუციის გვირგვინია; მის შენაძენთა განმტკიცებაა, მის წყალობათა და მადლთა ქვეყნიურ რეალობად ქცევაა, ხალხის ბატონობის დღესასწაულია;“ „დამფუძნებელი კრება რესპუბლიკის დედაბოძია, მისი დანგრევა თვით ამ რესპუბლიკის ძირის გამოთხრაა,“ „დამფუძნებელი კრება დიდი, საისტორიო, საკაცობრიო მოვლენაა, - იგი ხალხის გამარჯვების მომასწავებელია,“ - წერდა გაზეთი „ერთობა“[4] და მკითხველს არჩევნების აუცილებლობაში არწმუნებდა.

„ჩვენ თაობას ბედნიერი წილი ჰხვდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობით. ჩვენ მონაწილენი ვართ ისტორიის იშვიათი მოვლენისა! დიდ მოვალეობას და პასუხისგებას აკისრებს ბედი ქართველ ხალხს! ...დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოებრი-

1 გაზ. „სახალხო საქმე,“ 1919 წ., 26 იანვარი.

2 გაზ. „შრომა,“ 1919 წ., 12 თებერვალი.

3 გაზ. „საქართველო,“ 1919 წ., 26 იანვარი.

4 გაზ. „ერთობა,“ 1919 წ., 1919 წ., 15 იანვარი; 12 თებერვალი.

ობას მტკიცე საფუძველი ეყრება და მასზე კედლების აღმართვა ქართველი ერის არქიტექტონიკურ ნიჭზეა დამოკიდებული;“ „მოქალაქენო! არჩევნების დღეს უნდა გადაწყდეს საქართველოს ბედი! თქვენ თვითონ უნდა გამოჭედოთ იგი! საქართველოს ერთი დიდი მტერთაგანი იქნება არჩევნებისადმი გულცივობა! ...არჩევნების დღეებში არც ერთი არ დარჩეთ შინ! ყველამ მიაშურეთ საარჩევნო ყუთებს! არც ერთმა არ დაჰკარგოთ ხმა!“ - მოუწოდებდა ქართული პრესა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდიკა მნიშვნელოვნი წყაროა, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს როგორც პოლიტიკური პარტიების რეიტინგს, ისე ხალხის დამოკიდებულებას არჩევნებისადმი და სხვ. ამ პერიოდის ჟურნალ-გაზეთების ანალიზი ცხადყოფს, რომ არჩევნებში ფავორიტ ძალად სოციალ-დემოკრატიული პარტია მიიჩნეოდა. თავის მხრივ, სოციალ-დემოკრატებს მთავარ პოლიტიკურ კონკურენტად ეროვნულ დემოკრატიული პარტია ესახებოდათ და ამიტომაც წინასაარჩევნო ბრძოლა ძირითადად მათთან დაპირისპირების ნიშნით წარიმართა. თუმცა გაზეთი „ერთობა“ არც დანარჩენ პარტიებსა და მათ კანდიდატებს ტოვებდა უყურადღებოდ, შეახსენებდა მკითხველს: „ვინ არ იცნობს ვეშაპელის კაციჭამიობას (გრიგოლ ვეშაპელი იყო საქართველოს ეროვნული პარტიის ლიდერი, - ო. ჯ.), გვაზავა-კედიას ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ სულისკვეთებას. ვინ არ იცნობს ჩვენს მეოცნებე სოციალისტ-ფედერალისტების და ესერების უნიადაგობა-უიმედობას. ...მათი არსებობის ორი მთავარი ღერძი იყო ნაციონალიზმი და სოციალიზაცია. პირველი ნაციონალისტებმა მიისაკუთრეს, მეორე ხალხმა და ცხოვრებამ უარჰყო, მოჰკლა და ახლა ეს ჯგუფები დაფარფატებენ ცის სივრცეში, როგორც დედა პლანეტაზე მოწყვეტილი მეტეორი და არავინ უწყის, სად დაეცემიან;“ ან კიდევ: „ვინ ატარებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელს? ვინ დგას ნამდვილად ამ პარტიის დროშის ქვეშ? ეს არის ხალხი, რომელმაც რსდმპ-დან შეითვისა მხოლოდ მისი ნაკლი. ...ჯგუფის წევრები დღიდან ჩვენი დამოუკიდებლობისა დასჩხავიან საქართველოს, თქვენ ვერ იარსებებთ, თქვენ პირველი მოფრენილი ქორი წაგიღებთ, თქვენ თათრები შეგჭამენ და სხვ. ... მათ იციან ძველი სოციალისტური ლექსიკონი, რომლითაც უხვად ისარგებლე-

ბენ, მაგრამ მათ სიტყვებს უკან იფარება მტრული საქმე და ბოროტი ზრახვები. მტრული საქმე საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ და ბოროტი ზრახვები ერთა სოლიდარობის წინააღმდეგ.“[1]

წინასაარჩევნო დაპირისპირების სიმწვავეს კარგად ასახავს პარტიათა სააგიტაციო მასალის შინაარსი. სოციალ-დემოკრატებმა პოლიტიკური მოწინააღმდეგის კომპრომეტაციის მიზნით გამოსცეს პლაკატი, რომელზეც შარჟით გამოხატული იყო ქართველი თავადი და მოუწოდებდნენ გაეშავებინათ „გლეხობის ექსპლოატატორი, მემამულეთა ინტერესების დამცველი“ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატები. საპასუხოდ, ეროვნულ-დემოკრატებმა გაავრცელეს პლაკატი წარწერით: „მაწანწალა ვიყავი, კომისარი გავხდი“ (კომისრებად, როგორც წესი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ). პლაკატების „ომი“ „ეს იყო პატარა მასშტაბი ამერიკული სისტემის გადმონერგვისა ჩვენშიო“, - შენიშნავდა ერთი იმდროინდელი პუბლიცისტი.

პოლიტიკური პარტიების მძაფრი პაექრობის ნიმუშად გამოდგება მათი წინასაარჩევნო ლოზუნგები, რომლებიც ასევე უხვად შემორჩა პრესის ფურცლებს. სოციალ-დემოკრატები მოუწოდებდნენ: „მოქალაქენო! ქართველი ნაციონალ-დემოკრატები რეაქციას ემსახურებიან და მემამულეთა ინტერესებს იცავენ. ხმა მიეცით მემამულეთა პარტიის წინააღმდეგ!“ ეროვნულ-დემოკრატთა ლოზუნგი პასუხობდა: „მოქალაქენო! სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ ხალხის პროლეტარიზაციას (გაღატაკებას); ეროვნულ-დემოკრატები იცავენ ხალხში დოვლათის და სიმდიდრის დაგროვებას!“ ან კიდევ, სოციალ-დემოკრატები გაიძახოდნენ: „ნაციონალისტები მუდამ ომის გაჩაღებას ელტვიან. მათ ხალხის სისხლი არ ენანებათ. სოციალ-დემოკრატია მშვიდობიანობის მოტრფიალეა. სოციალ-დემოკრატიამ შესძლო სომხეთთან ომის დრზე დაბოლოება!“ ეროვნულ-დემოკრატები პასუხს სცემდნენ: „ეროვნულ-დემოკრატია სასტიკად ებრძვის სომეხი პლუტოკრატიის ბატონობას საქართველოში და ქალაქის თვითმმართველობაში. მიეცით ხმა მეორე ნომრის სიას“ და სხვ.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წინასაარჩევნო ლოზუნგიც ერთობ კატეგორიულად მოუწოდებდა: „მოქალაქენი! საქართველოს

1 გაზ. „ერთობა,“ 1919 წ., 26 იანვარი.

დამოუკიდებლობას და ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესებს ღირსეულად დაიცავენ მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტთა კანდიდატები. ხმა მიეცით #5-ს. არც ერთი ხმა სხვა პარტიებს!"[1]

სხვებს არც საქართველოს ესერები ჩამორჩებოდნენ. აი, მათი მოწოდების ნიმუშებიც: „სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია არის ერთადერთი პარტია ჩვენში, რომელიც მშრომელ ხალხს ყოველთვის სიმართლეს ეუბნებოდა. მიეცით ხმა სიას # 3!; „ყველამ, ვინც თავის შრომითა სცხოვრობს, ხმა უნდა მისცეს #3-ს!"[2]

ინტერესმოკლებული არ იქნება ასევე გავეცნოთ ორიოდე საარჩევნო ექსპრომტსაც, რომლებიც მაშინდელმა გაზეთებმა შემოინახეს: 1. სოციალ-დემოკრატიული პარტია: „აი, აქვე ამ ადგილას, გამათავოს ზეცით მეხმა, თუ ეროვნულ-დემოკრატებს მივაშავო კვირას მე ხმა!"[3] 2. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია: „მართალია, მეგობარო, შენც მოგბეზრდა, შენც დაღალდი, მაგრამ მაინც ერთხელ კიდევ დაიჭირე ეს ქაღალდი, ინახულე შენს უბანში საარჩევნო დიდი ყუთი და ჩაუშვი ჩვენი სია: მხოლოდ ხუთი, მხოლოდ ხუთი!"[4]

აქვე დავიმოწმებ ესერთა პარტიის ერთ-ერთ მიმართვასაც თავისი ელექტორატისადმი: „თქვენ ხელში, ამხანაგო გლეხებო, დიდი ბასრი იარაღია. ეს იარაღია კენჭები. თუ გაუთეთრეთ კენჭი თქვენს პარტიას, გლეხობის პარტიას, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სიას #3, თქვენს ბედს ...ძაღლი არ დაჰყეფს, რადგან სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია მუდამ თქვენზე იზრუნებს და თქვენს კეთილდღეობას განამტკიცებს. აბა, გლეხებო, 14 თებერვალს სწყდება თქვენი ბედი და არ დაიღუპოთ, თქვენი ხელით არ გამოიჭრათ კისერი - ხმა არ მისცეთ სხვა პარტიას, ის თქვენს ინტერესებს არ დაიცავს!"[5]

საქართველოს დამფუძნებელი კრების კენჭისყრა წარმატებით ჩატარდა, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო არჩევნების ორგანიზება მთელს საქართველოში ვერ მოხერხდა. მაგალითად, არჩევნები არ შემდგარა აფხაზეთში (სოხუმის ოლქში, როგორც იმხანად იწოდებოდა

1 გაზ. „სახალხო საქმე," 1919 წ., 10 თებერვალი.

2 გაზ. „შრომა," 1919 წ., 24 იანვარი.

3 გაზ. „სახალხო საქმე," 1919 წ., 2 თებერვალი.

4 გაზ. „სახალხო საქმე," 1919 წ., 15 თებერვალი.

5 გაზ. „შრომა," 1919 წ., 8 თებერვალი.

ეს მხარე, მიმდინარეობდა მმართველობისა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნები); ბორჩალოს მაზრაში, ახალციხესა და ახალქალაქში ხმის მიცემას ხელი შეუშალა სომხეთთან საომარი მოქმედების შედეგებმა, ხოლო ზემო სვანეთში, თიანეთისა და დუშეთის მაზრების ნაწილში კენჭისყრა დიდთოვლობის გამო არ გამართულა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დამატებითი არჩევნები ამ რეგიონებში (აფხაზეთის გარდა) მოგვიანებით, 1919 წლის აგვისტოს ბოლოს მოეწყო. სამი მანდატი მოიპოვა სომეხთა სარევოლუციო პარტია დაშნაკცუთიუნმა, ხოლო ერთი საქართველოს ეროვნული პარტიის წარმომადგენელმა გრიგოლ ვეშაპელმა.

მეორე დამატებითი არჩევნები 1920 წლის მაისში გაიმართა.[1] მისი ჩატარება - ძირითადად სოხუმის ოლქსა და რესპუბლიკის სხვადსხვა კუთხეში დარჩენილ რამდენიმე უბანში, საჭირო გახდა იმის გამო, რომ წინა არჩევნებისას აქ ვერ მოხერხდა ხმის მიცემა, ან გარკვეული დარღვევების გამო, შედეგები გაუქმდა.

დამფუძნებელი კრების არჩევნები აფხაზეთის ავტონომიურ რეგიონში თავისთავად საგულისხმო საკითხია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დღევანდელ პოლიტიკურ ფონს, თემა კიდევ უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი ხდება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის კვლევას, როგორც წესი, ტაბუ ედო, ამიტომ ხსენებული პრობლემაც დიდი ხნის განმავლობაში ბურუსით მოცული და გამოურკვეველი იყო. პოსტსაბჭოთა პერიოდის აფხაზური ისტორიოგრაფია ესწრაფვის 1918-1921 წლების აფხაზეთი საქართველოსაგან ჩამოშორებულ, დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად წარმოაჩინოს და, ფაქტების იგნორირებით, სასურველი რეალობად გაასაღოს.

თანამედროვე აფხაზი ავტორის ს. ლაკობას სიტყვით, საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებს ხალხმა აფხაზეთში ბოიკოტი გამოუცხადა.[2] ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ითქვას, რომ სა-

1 ამ არჩევნების შედეგად დამფუძნებელი კრების დეპუტატები გახდნენ შალვა ქარუმიძე საქართველოს ეროვნული პარტიიდან და ივანე ლორთქიფანიძე - სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან.

2 Бгажба О. Г., Лакоба С. З., История Абхазии, Сухуми, 2006, ст. 335.

ქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს აფხაზეთში ხალხმა კი არ აქცია ზურგი, არამედ არჩევნების ჩაშლისაკენ ადგილობრივმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ - სოხუმის საოლქო კომიტეტმა მოუწოდა. პროკლამაციაში, რომელიც იმ ხანად სოხუმელმა ბოლშევიკებმა გაავრცელეს, აღნიშნული იყო: „არც ერთი ხმა არ უნდა მისცეთ თქვენ აფხაზეთის მშრომელებო დამფუძნებელი კრების არჩევნებში. ...ძირს დამფუძნებელი კრება! სრული ბოიკოტი არჩევნებს! გაუმარჯოს რუსეთის კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისა!"[1]

1919 წლის დამდეგისათვის ბოლშევიკთა გავლენა აფხაზეთში სრულიად უმნიშვნელო იყო. მათ მცდელობას, რეგიონში ბოიკოტის გზით ჩაეშალათ არჩევნები, შედეგი ისევე არ მოჰყვებოდა, როგორც არ მოჰყოლია დანარჩენ საქართველოში. ადგილობრივი მცხოვრებლების, მათ შორის არაქართველთა მნიშვნელოვან ნაწილში (განსაკუთრებით სომხურ მოსახლეობაში) საქართველოს დამფუძნებელი კრებისადმი დადებითი განწყობა და მის არჩევნებში მონაწილეობისათვის აქტიური სამზადისიც შეინიშნებოდა.[2]

აფხაზეთში მოქმედებდა საქართველოში არსებული ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტიის რეგიონული ორგანიზაცია, რომლებმაც თავიანთი ზემდგომი პარტიული ორგანოების მითითებათა შესაბამისად, აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში დაიწყეს მოსამზადებელი სამუშაოები, მაგრამ არჩევნები რამდენჯერმე გადაიდო.

ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი (დ. ჩიტაია, ჯ. გამახარია, ზ. პაპასქირი) მიიჩნევს, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები აფხაზეთშიც გაიმართა.[3] საამისო საბუთად მათ ის მოჰყავთ, რომ დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით აფხაზეთის რამდენიმე წარმომადგენელიც იყო არჩეული. ეს ნაკლებ დამაჯერებელი არგუმენტია, რადგან ქვეყნის უმაღლესი სა-

1 Борьба за победу советской власти в Грузии. Документы и материалы, Тб., 1958, ст. 669.

2 ჩიტაია დ., აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო, თბ., 2006, გვ. 274.

3 ჩიტაია დ., აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო, თბ., 2006, გვ. 272; 274; 277; ასევე, ნარკვევები საქართველოს ისტორიდან. აფხაზეთი, თბ., 2008, გვ. 299; ასევე, პაპასქირი ზ., ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, II, თბ., 2007, გვ. 35.

კანონმდებლო ორგანოს არჩევნები (მათ შორის დამატებითიც) მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარდა და არა მაჟორიტარული წესით. სინამდვილეში, აფხაზეთში დამფუძნებელი კრების არჩევნები არ შემდგარა. საქმე შემდეგში იყო:

1919 წლის თებერვალში ამ კუთხეში უნდა ჩატარებულიყო ერობებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნები. დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელს აფხაზეთში ისიდორე რამიშვილს რეკომენდაცია მისცა, მოეწყოთ საოლქო საარჩევნო კომისია დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვისაც და ხმების მისაცემად გამოეყენებინათ ადგილობრივი სახალხო საბჭოს საარჩევნო სიები.[1] მოგვიანებით საქართველოს ხელისუფლებამ მთავარი აქცენტი რეგიონში ადგილობრივი მმართველობითი სტრუქტურის - აფხაზეთის სახალხო საბჭოს ფორმირებაზე შეაჩერა და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები მომავლისათვის გადაიტანა. მთავრობის ოფიციოზი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1919 წლის 30 იანვარს იუწყებოდა: „სოხუმის ოლქში მომავალ 14-16 თებერვალს არჩევნები დამფუძნებელი კრებისა არ მოხდება, რადგანაც ამ ჟამად სწარმოებს ერობისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნები. ამ ოლქისათვის მარტის დამლევს ან აპრილის პირველ რიცხვებში დანიშნული იქნება დამატებითი არჩევნები.“[2] გაზაფხულისთვის სავარაუდო არჩევნების თარიღმა ზაფხულისათვის გადაიწია.

დამფუძნებელი კრების არჩევნები სოხუმის ოლქში დანიშნულია 10, 11, 12 აგვისტოს, წერდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ა. ლომთათიძე აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს არზაყან ემხვარსა და გაგრის ქალაქის თავს.[3] ივლისში შეიქმნა „მცირე საარჩევნო კომისიაც“ რეგიონში დამატებითი არჩევნების ორგანიზებისათვის. კომისიის წევრებად პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა დანიშნეს: ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ - ა. თორაძე, ფედერა-

1 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 1, საქმ. 76, ფურც. 1.

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა,“ 1919 წ., 30 იანვარი.

3საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 1, საქმ. 76, ფურც. 4-5.

ლისტებმა - ს. ხუნდაძე, ესერებმა - ნ. ნუცუბიძე და სხვ.[1]

მალე ალექსანდრე ლომთათიძემ სოხუმიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „არჩევნების დაწყებას თვლიან ნაადრევად. არჩევნების საკითხს განიხილავენ აფხაზეთის საბჭოში. დაწვრილებით ჰკითხეთ ი. რამიშვილს.“[2] დამფუძნებელი კრების არჩევნები ამ კუთხეში, როგორც ჩანს, კიდევ ერთხელ გადაიდო.

სამანდატო კომისიის მოხსენებაში, რომელიც დამფუძნებლმა კრებამ 1919 წლის 29 სექტემბერს მოისმინა, მკაფიოდაა აღნიშნული, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ვერ მოახერხა დამატებითი არჩევნების დანიშვნა ყველგან, სადაც იგი პირველი არჩევნების დროს არ ჩატარებულა. „ზოგ ადგილში ეს პირდაპირ შეუძლებელი იყო. ასეთი იყო მაგალითად აფხაზეთი.“[3] ის ფაქტი, რომ აფხაზეთში საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები არ შედგა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა სპირიდონ კედიამ ასე განმარტა: „აფხაზეთის საბჭო თავის თავს სუვერენულ ორგანოდ სთვლის. იგი აბრკოლებს და წინ ეღობება ჩვენს გავლენას და სახელმწიფოებრივ მოქმედებას აფხაზეთში. ...ჩვენმა წარმომადგენელმა ბ-ნმა ისიდორე რამიშვილმა, არ ვიცი რატომ, საჭიროდ დაინახა შეჰკითხოდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს აფხაზეთში დამატებითი არჩევნების მოწყობის შესახებ. ამ შეკითხვამ საბჭოს საბაბი და საბუთი მისცა თავისათვის დაეტოვებია გარდამწყვეტი უფლება არჩევნების გამართვის ნებართვისა; მან პრინციპული დამოკიდებულება დაიჭირა ამ წინადადებისადმი და მხოლოდ იმ პირობით და მაშინ თანხმდება აფხაზეთში დამატებითი არჩევნების გამართვაზე, თუ ჩვენ მივიღებთ იმ კონსტიტუციას, რომელსაც აფხაზთა საბჭო იმუშავებს, თუ არა და - არა! ასეთია ...სახალხო საბჭოს პირობა.“[4]

ს. კედიას განცხადება რომ სინამდვილეს შეესაბამებოდა, ცხად-

1 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 1, საქმ. 76, ფურც. 7-9.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 1, საქმ. 76, ფურც. 10.

3 საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 29 სექტემბრის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 2.

4 საქართველოს დამფუძნებლი კრება, 1919 წლის 2 აგვისტოს სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 22.

ყოფს 1919 წლის 25 ნოემბერს გამართული აფხაზეთის სახალხო საბჭოს სხდომა, რომელიც მართლაც განიხილავდა საქართველოს დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების საკითხს, მაგრამ საბჭოს ზოგიერთი წევრის წინააღმდეგობის გამო, სხდომა ჩაიშალა.[1]

სამწუხაროდ, არჩევნების ჩატარება სოხუმის ოლქის (აფხაზეთის) მთელ ტერიტორიაზე მეორე დამატებითი არჩევნების დროსაც ვერ მოხერხდა.[2]

ქართული პერიოდული პრესის მოწმობით, რევოლუციის პირველი დღეების შემდეგ არც ერთ არჩევნებს ასეთი ინტერესი არ გამოუწვევია, როგორიც დამფუძნებელი კრების არჩევნებმა გამოიწვია.[3]

მართლაც, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მონაწილეობა მიიღო დამფუძნებელი კრების არჩევნებში და გამოხატა თავისი პოლიტიკური ნება (საარჩევნო ურნებთან მივიდა ელექტორატის დაახლოებით 58 პროცენტი. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ლეგიტიმურად ჩაითვალა 505 477 ხმა; პირველ დამატებით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 30 ათასამდე ამომრჩეველმა).

როგორც სავარაუდო იყო, არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს. მათ ხმების 84 %-მდე დააგროვეს და 109 მანდატი მიიღეს. დანარჩენი 21 ადგილი სამმა პოლიტიკურმა პარტიამ გაინაწილა. ეროვნულ-დემოკრტებმა და ფედერალისტებმა დამფუძნებელ კრებაში 8-8 დეპუტატი გაიყვანეს, 5 ადგილი სოციალისტ-რევოლუციონერებს ერგოთ.

დამატებით არჩევნებს დამფუძნებელი კრების პარტიულ შემადგენლობაში სერიოზული კორექტივები არ შეუტანია. ქვეყნის პოლიტიკურ საჭეს სოციალ-დემოკრატები დაეუფლნენ.

დამფუძნებელი კრების არჩევნებს ოფიციალური საერთაშორისო მეთვალყურეები და დამკვირვებლები არ დასწრებიან. ოპოზიციურმა პარტიებმა, მართალია, ხმის მიცემისას სხვადასხვა დარღვევა გამოამჟღავნეს, აღნიშნეს ხარვეზები, რამაც გარკვეული ჩრდილი მიაყე-

1 ჩიტაია დ., აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო, თბ., 2006, გვ. 316-317.

2 პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, თბ., 2017, გვ. 95.

3 გაზ. „ერთობა," 1919 წ., 18 თებერვალი.

ნა არჩევნებს, მაგრამ მათივე სამართლიანი შეფასებით, ყველაფერი რომ იდეალურად წარმართულიყო, საბოლოო შედეგი დიდად მაინც არ შეიცვლებოდა.

ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. როგორ შეიძლება აიხსნას ამ პარტიის ესოდენ მნიშვნელოვანი წარმატება? გაზეთი „გრუზია“ შენიშნავდა: „დამფუძნებელი კრების არჩევნებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ხმების დიდი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიას არგუნა. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მცხოვრებთა დიდი ნაწილი სოციალიზმის პრინციპებს აღიარებდეს. ეს არის პირდაპირი და ბუნებრივი შედეგი იმ აუტანელი მდგომარეობისა, რომელშიც ჩვენ ას წელზე მეტი ვიმყოფებით. უსამართლობას, უფულობას და გაჭირვებას მიჩვეული მშრომელი ხალხი მისდევს იმ პარტიებს, რომელნიც ადვილად აძლევენ დაპირებებს.“[1]

სოციალური დემაგოგიის გარდა, რასაც ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების რუსულენოვანი გაზეთი მიუთითებდა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიღწევა დამფუძნებელი კრების არჩევნებში სხვა ფაქტორებმაც უზრუნველყო. ამ პოლიტიკურმა ძალამ გაიმარჯვა არა იმიტომ, რომ მისი პროგრამა და საარჩევნო პლატფორმა სხვაზე უკეთესი იყო (დამფუძნებელი კრების არჩევნებისას პროგრამათა ჭიდილი არ გამართულა), ანდა მარქსისტული იდეოლოგია სჯობდა ეროვნულ მიზანდასახულობებს. საქმე ის იყო, რომ სოციალ-დემოკრატებს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის ხანგრძლივი გამოცდილება გააჩნდათ (მონაწილეობდნენ და გაიმარჯვეს რუსეთის ოთხივე სახელმწიფო სათათბიროსა და რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში), როგორც ძირითადი სახელისუფლებო პარტია, იგი ფლობდა სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებზე მეტ ფინანსებს, ჰქონდა აგიტაცია-პროპაგანდის გაცილებით ფართო საშუალება, მის სასარგებლოდ მოქმედებდა არჩევნების პროპორციული სისტემა და სხვ. ამასთან, პარტიის საკანდიდატო სია გამოირჩეოდა ეთნიკური და სოციალური შემადგენლობის მრავალფეროვნებით, რაც ამომრჩევლის ფართო სპექტრის მიმხრობის მარჯვე საშუალება იყო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მასობრიობამ, სახალხოობამ

1 გაზ. „ერთობა,“ 1919 წ., 22 თებერვალი.

და საარჩევნო სტრატეგიის სწორად გათვლამ განაპირობა კიდეც მისი წარმატება.[1]

ეროვნული საკრებულოს დეპუტატები გახდნენ ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო მოღვაწეები: ნიკო ნიკოლაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, შალვა ალექსი-მესხიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ნათაძე და სხვ. დამფუძნებლი კრების დეპუტატთა შორის ქართველთა გარდა იყვნენ აფხაზები, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა - ოსების, სომხების, აზერბაიჯანლების, რუსების, ებრაელების, ბერძენთა და გერმანელთა წარმომადგენლები (ყველანი სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან).

საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატის მანდატებს ფლობდნენ:

სომხები

1. აუშტროვი რუბენ - სოციალ-დემოკრატი
2. ვარდოიანცი მიკიჩ - სოციალ-დემოკრატი
3. ავეტისიანი ტიგრან - დაშნაკციუთუნი
4. დავითხანიანი დავით - დაშნაკციუთუნი
5. ზორიანი ზორი - დაშნაკციუთუნი.

რუსები

1. ზახაროვი დიმიტრი
2. კოვალიოვი მიხეილ
3. ლოსკუტოვი ანდრია.

ოსები

1. გაგლოევი გიორგი
2. პანიევი კონსტანტინე
3. ფარნიევი ალექსანდრე.

ებრაელები

1. გერშტეინი ერიკ
2. დავარაშვილი მოსე
3.ელიგულაშვილი იოსებ.

აზერბაიჯანელი

1. მამედოვი ჰუსეინ

ბერძენი

1 საქართველოს დამფუძნებლი კრება 1919, თბ., 2016, გვ. 22.

1.პაშალიდი ივანე
გერმანელი
1. ბიული პავლე.[1]

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრთაგან ხუთი იყო ქალი: ელისაბედ ბოლქვაძე, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძისა, მინადორა ტოროშელიძე და ქრისტინე შარაშიძე (ყველა სოციალ-დემოკრატი).[2]

დამფუძნებელი კრება მოწოდებული იყო გამოეხატა ერის უზენაესი ნება, ინტერესები და მისწრაფებანი. „საქართველოს ცნობიერების გვირგვინი," ასე უწოდებდა დამფუძნებელ კრებას შალვა ნუცუბიძე, თავად ერთი გამორჩეული წევრი ამ წარმომადგენლობითი ორგანოსი.

საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა, 1919 წლის 12 მარტს, თბილისში, ყოფილი კავკასიის მეფისნაცვლის სასახლეში (დღევანდელი მოსწავლეთა სასახლე) გაიხსნა. კრების გახსნა ფირზე აღბეჭდა რეჟისორმა გერმანე გოგიტიძემ. იმდროინდელმა პრესამაც შემოგვინახა ამ ისტორიული მოვლენის ამსახველი დოკუმენტური მასალა. ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტის სიტყვით: „სასახლესთან ტევა აღარაა. ქუჩის ორივე მხარე სავსეა ხალხით. ნემსი ვერ ჩავარდებაო რომ იტყვიან, სწორედ ისეა. ტრამვაის მოძრაობა შეჩერებულია. ...სასახლის თეთრი დარბაზის შუაში სხედან სოციალ-დემოკრატები, მარცხნივ სოციალისტ-ფედერალისტები და ესერები, მარჯვნივ ეროვნულ-დემოკრატები. სავსეა პრესის წარმომადგენელთა ლოჟა. აქვე არიან უცხო სახელმწიფოთა - ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, შვეიცარიის, ესპანეთის, ნიდერლანდების, საბერძნეთის, პოლონეთის, სპარსეთის, ჩეხოსლოვაკიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, უკრაინის და სხვ. წარმომადგენლები. 12 საათსა და 5 წუთზე სხდომას ხსნის უხუცესი დეპუტატი სილიბისტრო ჯიბლაძე,

1 საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016; ასევე, http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=184

2 მეხუთე ქალბატონი ამავე პარტიიდან - ანნა (ოლღა) სოლოღაშვილი (საკანდიდატო სიაში 110-ე ნომერი) - დეპუტატი გახდა ნ. კაციაშვილის გარდაცვალების შემდგომ, როგორც ადგილმონაცვლე. იხ. პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, თბ., 2017, გვ. 88.

მდივნობს ყველაზე ახალგაზრდა გოგიტა ფაღავა.“[1]

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, თავმჯდომარის უფროს ამხანაგად (პირველ მოადგილედ) - ალექსანდრე ლომთათიძე (ორივე სოციალ-დემოკრატი). თავმჯდომარის ამხანაგებად (მოადგილეებად) აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი) და სიმონ მდივანი (სოციალისტ-ფედერალისტი); მდივნობა დაეკისრათ გრიგოლ (გიგო) ნათაძესა (სოციალისტ-რევოლუციონერი) და ქრისტინე შარაშიძეს (სოციალ-დემოკრატი).

სხდომის დასასრულს წაიკითხეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც პირველებმა ხელი მოაწერეს მთავრობის წევრებმა, შემდეგ სხდომის დამსწრე დამფუძნებელი კრების 99 დეპუტატმა.

დამფუძნებელი კრების პირველი დღე თავისი მნიშვნელობით გამორჩეული თარიღია საქართველოს სახელმწიფოებრივ ისტორიაში. ჩამოყალიბდა და მუშაობას შეუდგა ეროვნული სახალხო-წარმომადგენლობითი საკრებულო, როგორც ქვეყნის სრულიად ლეგიტიმური უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. დასაბამი მიეცა ფართო კანონშემოქმედებით პროცესს, რომელიც 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციის მიღებით დაგვირგვინდა. საქართველოს დამფუძნებელი კრების მოღვაწეობის შესახებ სრულ წარმოდგენას იძლევა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, რომელიც 1990 წელს ცალკე წიგნად გამოიცა.[2]

დამფუძნებელი კრების არჩევნებში, როგორც ითქვა, დამაჯერებლად გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა და სადეპუტატო მანდატების აბსოლუტურ უმრავლესობას დაეუფლნენ. კოალიციური პრინციპით შექმნილი მთავრობა შეიცვალა და იგი მთლიანად არჩევნებში გამარჯვებულმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დააკომპლექტა. მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე კვლავ ნოე ჟორდანია დაამტკიცეს. კაბინეტის წევრები გახდნენ: ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, ნოე ხომერიკი, კონსტანტინე კანდელაკი.

---

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 14 მარტი.

2 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბ., 1990.

სოციალ-დემოკრატიული პარტია საქართველოს ერთპიროვნულ მმართველ პოლიტიკურ ძალად იქცა. დანარჩენმა სახელისუფლო პარტიებმა ამჯერად ოპოზიციაში გადაინაცვლეს. ისინი არ გაურბოდნენ საპარლამენტო საქმიანობაში მონაწილეობას, მაგრამ კრიტიკულად უდგებოდნენ მთავრობისა თუ მისი პარტიის ყოველ საკანონმდებლო ინიციატივას, გამოთქვამდნენ შენიშვნებს, სთავაზობდნენ ალტერნატიულ წინადადებებსა და სხვ.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ თავისი ორწლიანი მოღვაწეობით წარუშლელი კვლი დატოვა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ცხოვრებაში. მდიდარი და ნაყოფიერი საქმიანობით მან შექმნა საყურადღებო გამოცდილება, რომელიც დღემდე ინარჩუნებს არა მხოლოდ შემეცნებით ღირებულებას, არამედ პრაქტიკულ დანიშნულებასაც.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამეზობლო პოლიტიკა და დამფუძნებელი კრება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა პირველი მსოფლიო ომის ბოლო წელს წარმოიშვა. როგორც ფრონტისპირა ქვეყანამ, მანაც განიცადა საზოგადოდ ომისთვის დამახასიათებელი სახელმწიფო საზღვრების რღვევა და მისგან გამოწვეული გართულებები.

ახლად შექმნილი რესპუბლიკის მიმართება გარე სამყაროსთან, მათ შორის მეზობელ ქვეყნებთან, მკაფიოდ აისახა ეროვნული საბჭოს მიერ ჯერ კიდევ 1918 წლის 26 მაისს მიღებულ დამოუკიდებლობის აქტში. ქართული სახელმწიფოს ამ ფუძემდებლურ დოკუმენტში ხაზგასმულია: „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.“[1]

1919 წლის თებერვალში საქართველოში საყოველთაო-სახალხო არჩევნების გზით ჩამოყალიბდა და იმავე წლის 12 მარტს მუშაობას შეუდგა მრავალპარტიული დამფუძნებელი კრება, რომელიც დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობამდე ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო.

დამფუძნებელი კრების პრეროგატივას კონსტიტუციის შემუშავება-დამტკიცებასთან ერთად საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვექტორების განსაზღვრაც შეადგენდა. კრების უფლებებში შედიოდა: ომის გამოცხადება, უცხო სახელმწიფოებთან დადებული საზავო, სავაჭრო და სხვა ხელშეკრულებათა დამტკიცება, მთავრობის საერთო კონტროლი, მათ შორის, „რესპუბლიკის საგარეო ინტერესების დაცვისა“ და „გარეშე განსაცდელისაგან უზრუნველყოფის“ მიმართულებით. ამ საქმეთა გასაძღოლად დამფუძნებელ კრებაში შექმნილი იყო საგარეო საქმეთა მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიპლომატიური მისიების საქმიანობას საერთაშო-

1 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბ., 1990, გვ. 4.

რისო ასპარეზე. კომისია ყვლა საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენელს აერთიანებდა. 1919 წელს მასში 8, ხოლო მომდევნო წელს 9 წევრი შედიოდა. საგარეო საქმეთა კომისიას სათავეში ედგა ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი სიმონ მდივანი.

მიუხედავად იმისა, რომ გეოსტარტეგიულად რთულ სამხრეთ კავკასიის რეგიონში, სადაც ერთმანეთს დიდ სახელმწიფოთა ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა ინტერესი უპირისპირდებოდა და ნეიტრალიტეტის შენარჩუნება არც ისე იოლი ჩანდა, დამფუძნებელმა კრებამ მოიწონა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არჩევანი და დაადასტურა მისი სამშვიდობო კურსი.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური მისწრაფება ლაკონურად გამოიხატა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პირველი სხდომის გახსნისას კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგის ალექსანდრე ლომთათიძის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში: „ჩვენ გვინდა აზია დავტოვოთ, ევროპის საერთო ხალხთა ოჯახში შევიდეთ და ...გავხდეთ სრულუფლებიანი წევრი ევროპის ხალხების, ევროპულ დემოკრატიათა და მათ სახელმწიფოთა საერთო ოჯახისა.“[1]

ამ მიზნის მიღწევა გარკვეულად იმაზეც იყო დამოკიდებული, რამდენად სტაბილური იქნებოდა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ახლად აღბეჭდილი პატარა რესპუბლიკის საშინაო ვითარება და საგარეო უსაფრთხოება. პირველი რიგის ამოცანას გარემომცველ ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოკიდებულება რეგიონის სახელმწიფოებისადმი იმთავითვე კეთილმეზობლური იყო. საქართველომ და აზერბაიჯანმა დე ფაქტო ცნეს ერთმანეთის სუვერენიტეტი. საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენლად აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნიკოლოზ ქარცივაძე დაინიშნა. სრულუფლებიანი ელჩის პოსტზე იგი ჯერ გერასიმე მახარაძემ, შემდეგ კი გრიგოლ ალშიბაიამ შეცვალეს. აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოში მინდობილი ჰქონდა მამედ-იუსუფ ჯაფაროვს.

---

1 საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 12 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 7.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის მეთაური ფატალი ხან-ხოისკი თავის ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სიტყვით გამოსვლისას ხაზს უსვამდა, რომ „ჩვენსა და საქართველოს შორის ურთიერთობა სავსებით მეგობრულია. არც ერთი მხრიდან არ არსებობს არავითარი უკმაყოფილება. სადავო საკითხები წყდება მშვიდობიანი გზით, ურთიერთნდობის საფუძველზე.“[1]

საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობაზე დიდ გავლენას ახდენდა რუსეთის იმპერიის მძიმე კოლონიური მემკვიდრეობა, სახელდობრ, ურთიერთგაუმიჯნავი და მოუწესრიგებელი საზღვრები. საზღვრების საკითხს აზერბაიჯანის მუსავატური ხელისუფლება რელიგიური პრინციპით უდგებოდა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ზაქათალის ოლქს ეცილებოდა. ოფიციალური ბაქო ამის გარდა, ბორჩალოსა და ახალციხის მაზრების იმ ნაწილსაც მოითხოვდა, რომლის მცხოვრებთა უმეტესობას მუსლიმი მოსახლეობა შეადგენდა და პრეტენზიას ბათუმის ოლქზეც აცხადებდა.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე აზერბაიჯანმა ზაქათალის ტერიტორიაზე ჯარის ნაწილები შეიყვანა და მთელ ოლქზე საკუთარი იურისდიქცია გაავრცელა. საქართველოს მთავრობის პროტესტს რეალური შედეგი არ მოჰყოლია, საინგილო ფაქტობრივად აზერბაიჯანის ხელში რჩებოდა.

ტერიტორიულ დავას ორი მეზობელი ქვეყნისათვის ხელი არ შეუშლია ურთიერთშორის გაებათ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები და დაეწყოთ პარტნიორული ურთიერთობა. აზერბაიჯანული ნავთობი თითქმის შეუცვლელი იყო საქართველოსათვის, რომელიც თავის მხრივ უმოკლეს არტერიას წარმოადგენდა ამ წიაღისეულის კასპიისპირეთიდან დასავლეთის ქვეყნებში ექსპორტისათვის.

1918 წლის დეკემბერში ბაქოში დაიდო ხელშეკრულება, რომელიც აზერბაჯანსა და საქართველოს შორის თავისუფალ - უბაჟო ტრანზიტს აწესებდა. 1920 წლის თებერვალში, ასევე ბაქოში ხელმოწერილი შეთანხმება კი საქონლის ურთიერთგაცვლის პროცედურათა გამარტივებას ითვალისწინებდა.

მეტად მნიშვნელოვანი იყო აზერბაიჯანისა და საქართველოს თა-

1 Азербайджанская Республика. Документы и материалы. 1918-1920 гг., Баку, 1998, ст. 96.

ნამშრომლობა თავდაცვის სფეროში, რაც 1919 წლის 16 ივნისს მათი სამხედრო ხელშეკრულებით დაგვირგვინდა. თბილისში გაფორმებული თავდაცვითი ხელშეკრულება სამი წლის ვადით დაიდო. ხელმომწერი მხარეები ვალდებულებას კისრულობდნენ, საგარეო საფრთხისა და აგრესიის შემთხვევაში თავიანთი შეიარაღებული ძალებით ერთად გამოსულიყვნენ ორივე რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ან ტერიტორიული ხელშეუხებლობის დასაცავად.[1]

საქართველოსა და აზერბაიჯანის სამხედრო ხელშეკრულებას მისი დადების მომენტში პოლიტიკური მნიშვნელობის გარდა აუცილებელი პრაქტიკული დანიშნულებაც გააჩნდა, იგი რუსეთის თეთრგვარდიული მოხალისეთა არმიისაგან მომდინარე საფრთხის შემაკავებელ სერიოზულ ბარიერად იქცა.

ხელშეკრულებამ სრული მხარდაჭერა ჰპოვა ორივე ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში.[2] საქართველოს დამფუძნებელ კრებაში დოკუმენტი ერთხმად იქნა რატიფიცირებული 1919 წლის 22 ივნისს, აზერბაიჯანის პარლამენტში კი იმავე წლის 27 ივნისს მისი დამტკიცების წინააღმდეგ მხოლოდ ბოლშევიკები გამოვიდნენ.[3]

თავდაცვითი ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე აზერბაიჯანის მთავრობამ არმიის საჭიროებისათვის თბილისში შეიძინა 12 მსუბუქი და 12 სამთო ზარბაზანი, 24 „მაქსიმის“ ტიპის ტყვიამფრქვევი, დიდი რაოდენობის ტყვია-წამალი და სამხედრო აღჭურვილობა, საქართველოს სამხედრო სასწავლებელში ცოდნის შესაძენად გამოიგზავნა აზერბაიჯანელ ახალგაზრდების ჯგუფი და სხვა.[4]

აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებსა და საკანონმდებლო ორგანოებს შორის სრულად იყო დაცული დიპლომატიური ეტი-

---

1 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქ. #96, ფურც. 2.

2 ბოგვერაძე გ., საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია 1918-1920 წლებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2003, გვ. 51-56 (ხელნაწერი); ასევე, Богверадзе Г., К вопросу ратификации грузино-азербайджанского договора 1919 года, „კავკასიის მაცნე“, #3, თბ., 2001.

3 Азербайджанская Демократическая Республика (1918-1920) http://karabakh-doc.azerall.info/ru/azerpeople/ap045-3.php

4 Азербайджанская Демократическая Республика (1918-1920) http://karabakh-doc.azerall.info/ru/azerpeople/ap045-3.php

კეტი. ისინი მისასალმებელ ადრესებსა თუ დეპეშებს ცვლიდნენ ერთმანეთში თითოეული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენასა და ღირსახსოვარ თარიღთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარგზავნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის ოფიციალური დელეგაციები უმტკივნეულოდ პოულობდნენ საერთო ენას, ახერხებდნენ კონსტრუქციულ თანამშრომლობას, აქვეყნებდნენ ერთობლივ მიმართვებს, განცხადებებსა და სხვა დოკუმენტებს. აღსანიშნავია, რომ ვიდრე აზერბაიჯანის სამთავრობო მისია პარიზში ჩავიდოდა (1919 წ. მაისის დამდეგი), მის მოვალეობას კონფერენციაზე ქართული დელეგაციის წევრები ასრულებდნენ.[1]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მზად იყო მიეცა აზერბაიჯანისათვის ბათუმის ნავსადგურით თავისუფალი ტრანზიტის უფლება, მაგრამ მეზობელი სახელმწიფოს პოლიტიკური წრეები მეტს ესწრაფვოდნენ, - თითქმის მთელ სამუსლიმანო საქართველოს უმიზნებდნენ და თავიანთი პრეტენზიების დაკმაყოფილებას მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს ლონდონისა თუ სან-რემოს კონფერენციებზე ცდილობდნენ. ამასთან, ბათუმის ოლქში ჩამოყალიბებული აზერბაიჯანული ორგანიზაციები (საქველმოქმედო საზოგადოება და სხვ.) მოქმედებდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ, ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობაში ეწეოდნენ პანისლამისტურ აგიტაციას, ხელს უწყობდნენ სეპარატიზმის გაღვივებას.[2] ამ საქმეში ჩართული იყვნენ აზერბაიჯანის ბათუმის საკონსულოს თანამშრომლებიც.

ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ აღეკვეთათ აზერბაიჯანული აგენტურის საქმიანობა საქართველოს ტე-

---

1 Гасанлы Дж., Русская революция и Азербайджан: Трудный путь к независимости (1917–1920), М., 2011, ст. 330-331.

2 აღსანიშნავია ისიც, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ცნო და ფინანსურადაც ხელს უწყობდა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის სახელმწიფოს (ე. წ. ყარსის რესპუბლიკას), რომელიც საქართველოსა და სომხეთის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდა. იხ. ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 47-58; Гасанлы Дж., Русская революция и Азербайджан: Трудный путь к независимости (1917–1920), М., 2011, ст. 331-332.

რიტორიაზე.[1] სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით საქართველოს ხელისუფლება გარკვეულ ღონისძიებებს მიმართავდა, მაგრამ სიტუაციის გამწვავებას აშკარად ერიდებოდა.

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მდგომარეობა მაინც დაიძაბა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1920 წლის აპრილის ბოლოს ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების შექმნა გამოცხადდა და ქვეყანაში მთელ ძალაუფლებას ბოლშევიკები დაეპატრონენ. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე რუსეთის წითელი არმიის ინტერვენციისათვის რესპუბლიკის ხელისუფლებას დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია.[2] ბაქოს გარნიზონი უბრძოლველად გადავიდა აზერბაიჯანის ბოლშევიკური რევკომის განკარგულებაში, ამასთან, სამხედრო მინისტრმა ს. მეხმანდაროვმა ოფიცრებს ბრძანება მისცა, დამორჩილებოდნენ ახალ ხელისუფლებას.[3]

ბოლშევიკური პარტიისათვის მმართველობის გადაცემას მხარი დაუჭირა აზერბაიჯანის პარლამენტის წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (კენჭისყრისას წინააღმდეგი იყო ერთი დეპუტატი, სამმა თავი შეიკავა). ასეთ ვითარებაში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ აზერბაიჯანთან თავდაცვითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ვეღარ დაიცვა. ეს გარემოება ზოგიერთმა მკვლევარმა საქართველოს მთავრობის მიმართ კრიტიკისა და პრეტენზიის საფუძვლად გამოიყენა, რომ მან არ აღმოუჩინა დახმარება მოკავშირე ქვეყანას.[4]

---

1 საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 10 მაისის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 7-22.

2 За семью печатями. Сборник документов. Баку, 1992, ст. 4-6.

3 История Азербайджана с древнейших времен до начала XX века, Баку, 1995, ст. 377.

4 Азербайджанская Демократическая Республика (1918-1920) http://karabakh-doc.azerall.info/ru/azerpeople/ap045-3.php ასევე, ბახტაძე მ., საქართველო-აზერბაჯანის 1919 წლის თავდაცვითი ხელშეკრულება, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 2011, გვ. 230-237; Бахтадзе М., О военном договоре 1919 года между Грузией и Азербайджаном, ჟურნ. „Право и политика“, Тб., 2010, № 7 (12), გვ. 38-39; Волхонский М., Муханов В., По следам Азербайджанской Демократической Республики, М., 2007. http://fictionbook.ru/author/vadim_muhanov/po_sledam_azerbayidjanskoyi_demokratiche/read_online.html?page=1

მეტი სიცხადისათვის დავსძენ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აზერბაიჯანში მიმდინარე მოვლენის შესახებ სპეციალურად იმსჯელა, მთავრობამ განიხილა ბაქოს მიმართულებით სამხედრო ძალების დაძვრის საკითხი. გენერალ ალ. ზაქარიაძის სიტყვით, მობილიზებულ იქნა არმიის გარკვეული ნაწილი - 3 ქვეითი ბატალიონი, 1 საარტილერიო დივიზიონი და სათანადო ტექნიკური ნაწილები გენერალ-მაიორ გ. სუმბათაშვილის მეთაურობით,[1] მაგრამ აზერბაიჯანის გასაბჭოება იმდენად სწრაფად დასრულდა, რომ ქართული შენაერთები იქ აღარ გაუგზავნიათ.[2] თბილისმა პოლიტიკური თავშესაფარი მისცა ბოლშევიკთაგან დევნილ აზერბაიჯანის დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაგრამ ვერ შეძლო დაეცვა საკუთარი მოქალაქეები გასაბჭოებულ ბაქოში. აზერბაიჯანის რევკომის განკარგულებით თითქმის სრული შემადგენლობით დააპატიმრეს საქართველოს დიპლომატიური მისია,[3] დახვრიტეს აზერბაიჯანის არმიაში მომსახურე რამდენიმე ქართველი ოფიცერი, მათ შორის გენერალი ბ. მაყაშვილი, პოლკოვნიკი ნ. თუმანიშვილი და სხვა.[4]

1920 წლის მაისის დამდეგს საბჭოთა აზერბაიჯანის საზღვრებიდან საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის წითელი არმიის ნაწილებმა გამოილაშქრეს. დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მოახერხა თავდაცვა და აგრესორი მოიგერია. იმის მიუხედავად, რომ ამ შეტაკებით ერთმანეთს რუსეთი და საქართველო დაუპირისპირდნენ, მათი დაზავების შემდეგ სამშვიდობო ხელშეკრულება აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორისაც დაიდო. ზავი 1920 წლის 12 ივნისს აღსტაფაში გაფორმდა.

დამფუძნებელმა კრებამ ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგობის მიუხედავად, 1920 წლის 25 ივნისს კენჭისყრით დაამტკიცა და რატიფიკაციის გზით ძალმოსილება მისცა აღსტაფის საზავო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი

1 ჟურნ. „მხედარი“, 1994, # 1-4, გვ. 50.

2 ბოგვერაძე გ., საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია 1918-1920 წლებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2003, გვ. 127 (ხელნაწერი).

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 9 ივნისი.

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 7 ივლისი.

ცარიზმის დროინდელ თბილისისა და განჯის გუბერნიების გამყოფ საადმინისტრაციო ხაზზე გაევლო,[1] თუმცა მხარეები კვლავ ვერ შეთანხმდნენ ზაქათალის ოლქზე. საკითხის გადაწყვეტა საარბიტრაჟო კომისიას მიენდო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ყველა მეზობელ სახელმწიფსთან ნორმალურ ურთიერთობას ესწრაფვოდა, მაგარამ სომხეთთან და აზერბაიჯანთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის, სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური და სამხედრო-თავდაცვითი შეკავშირების კურსს ახორციელებდა.

ამის მიუხედავად, სომხურ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ საქართველო და აზერბაიჯანი სომხეთის რესპუბლიკას პარტნიორ ქვეყნად არ განიხილავდნენ და რომ საქართველო-აზერბაიჯანის კავშირი მიმართული იყო სომხეთის წინააღმდეგ,[2] რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ზემოთ ნახსენები 1919 წლის 16 ივნისის სამხედრო ხელშეკრულების სპეციალური პუნქტი საქართველოსა და აზერბაიჯანის თავდაცვით კავშირთან შესაერთებლად ადგილს ტოვებდა სამხრეთ კავკასიის მესამე რესპუბლიკისათვისაც, მაგრამ სომხეთი ამ ალიანსს არ შეერთებია. ამასთან, არ შეწყვეტილა სომხეთის უსამართლო ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ. ცნობილია, რომ სომხეთი საქართველოს ლორე-ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებს ეცილებოდა და ამ ტერიტორიების ხელში ჩაგდება იარაღის ძალითაც მოსინჯა. მასვე პრეტენზია ჰქონდა თბილისზე, გორზე, ბათუმსა და ბათუმის ოლქზე, რაზეც ქვეყნის პოლიტიკური სპექტრი (განსაკუთრებით ოპოზიცია) მტკივნეულად რეაგირებდა, თუმცა დამფუძნებელი კრების ფუნქციონირების პერიოდში საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში არ დარღვეულა დიპლომატიური ეტიკეტი და შენარჩუებული იყო მშვიდობიანი თანაცხოვრება.

1919 წლის 9-17 იანვარს თბილისში გაიმართა სომხეთ-საქართველოს კონფერენცია, რომლის მუშაობაში მოკავშირე სახელმწიფოთა წარმო-

1 მირიანაშვილი ნ., საქართველოს ტერიტორიული ცვლილებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან 1918-1938 წლებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2001, გვ. 27 (ხელნაწერი).

2 Иголкин А., Независимое Закавказье: уроки 1917-1921 г.г. http://www.karabah88.ru/history/karabah/39.html

მადგენლებიც მონაწილეობდნენ. მიღწეული შეთანხმებით, ბორჩალოს მაზრის სადავო ტერიტორია ლორეს ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა და დადგინდა მისი საზღვრები.[1] ახალქალაქის მაზრა დაექვემდებარა საქართველოს მთავრობას და მის მიერ დანიშნულ ადმინისტრაციას.

საქართველოსა და სომხეთის მეორე კონფერენციაზე (1919 წლის 28 თებერვალი - 3 მარტი), ასევე მოკავშირეთა მონაწილეობით, მხარეთა შორის მოწესრიგდა დიპლომატიური ურთიერთობის, საგარეო ვაჭრობის, მოქალაქეთა მიმოსვლის, საკომუნიკაციო კავშირების აღდგენისა და სხვ. საკითხი. რაც შეეხება საზღვრო პრობლემას, იგი კვლავ ღიად დარჩა, იმ იმედით, რომ მას პარიზის სამშვიდობო კონფერენცია გადაწყვეტდა.

1919 წლის 8 მარტს საქართველომ დე იურედ აღიარა სომხეთის რესპუბლიკა, 24 მარტს კი სომხეთმაც იურიდიულად ცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. საქართველოს სრულუფლებინი წარმომადგენლის როლს სომხეთში სიმონ მდივანი ასრულებდა. სომხეთის დიპლომატიურ მისიას საქართველოში სათავეში ედგა არშაკ ჯამალიანი.

1919 წლის 3 ნოემბერს საქართველოსა და სომხეთს შორის თბილისში ორი ხელშეკრულება დაიდო. პირველი დოკუმენტი მხარეებს ყველა სადაო საკითხის ურთიერთშეთანხმებით ან არბიტრაჟის მეშვეობით გადაწყვეტას ავალდებულებდა, ხოლო მეორე მეზობელ რესპუბლიკებს შორის სამი წლის ვადით თავისუფალ ტრანზიტს ითვალისწინებდა. საქართველოს დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა და იურიდიულმა კომისიებმა ხელშეკრულებები სათანადო განხილვის შემდეგ დასამტკიცებლად უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარუდგინეს. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ხსენებული დოკუმენტების რატიფიკაციას 1919 წლის 14 ნოემბერს სპეციალური სხდომა მიუძღვნა.

მემარჯვენე ოპოზიციამ (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) დაიწუნა ხელშეკრულება არბიტრაჟის შესახებ და მიუთითა, რომ ერისათვის ისეთი სასიცოცხლო საკითხი, როგორიცა ტერიტორიის შენარჩუ-

1 მირიანაშვილი ნ., საქართველოს ტერიტორიული ცვლილებანი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან 1918-1938 წლებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2001, გვ. 71 (ხელნაწერი).

ნებაა, არბიტრაჟს არ უნდა გადეცეს.[1] სპირიდონ კედიამ საქართველოსათვის საზიანოდ მიიჩნია თავისუფალი ტრანზიტის ხელშეკრულებაც, რომელშიც შეზღუდული არ იყო საქართველოს ტერიტორიის გავლით სამხედრო მასალის გადაზიდვა სომხეთის შესაიარაღებლად და დამფუძნებელ კრებას მისი რატიფიკაციისაგან თავშეკავება ურჩია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი დეპუტატებს განუმარტავდა: „ხელშეკრულებები იქნება გარანტია, რომ არ განმეორდება ის უბედურება, რომელსაც ჩვენსა და სომხეთს შორის ჰქონდა ადგილი“, ხოლო მმართველი უმრავლესობის წევრის კონსტანტინე ჯაფარიძის განცხადებით, „თუ არაფერი დათმე, ისე შეთანხმება და გარიგება შეუძლებელია. ...ეს ხელშეკრულებები არის მაქსიმუმი იმისა, რისი გაკეთებაც შესძლო ჩვენმა მთავრობამ.“ მანვე საქართველოს მხრიდან დათმობა სომხეთთან კეთილმეზობლობის სურვილითა და მთელი კავკასიის დემოკრატიის გაერთიანების ინტერესებით ახსნა.[2]

საქართველოს ეროვნული და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების საპარლამენტო ფრაქციებს კენჭისყრაში, რომელიც ცალ-ცალკე გაიმართა, მონაწილეობა არ მიუღიათ, თუმცა კრებამ ხმების უმრავლესობით ხელშეკრულებები უცვლელად დაამტკიცა. ორივე ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა სომხეთის ხორვუდშიც (პარლამენტში).

სომხეთს რთული და დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თაოსნობით, 1919 წლის 23 ნოემბერს თბილისში მიღწეულ იქნა აზერბაიჯან-სომხეთის შეთანხმება სადავო საკითხების არბიტრაჟით გადაწყვეტის თაობაზე. სამხრეთ კავკასიურ სახელმწიფოთა კეთილმეზობლური ურთიერთობა უდავოდ გამართლებული იყო და ყველა მათგანის საარსებო ინტერესებს შეესაბამებოდა.

„ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კავშირი ისეთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება, რომელიც არსებითად შესცვლის ძალთა განყოფი-

1 საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 14 ნოემბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 14-15.

2- საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 14 ნოემბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 19-20.

ლებას და ახალ ჰორიზონტებს გადაუშლით მათ“, - წერდა პუბლიცისტი არჩილ ჯაჯანაშვილი და დასძენდა: „დღევანდელი ორთა კავშირი თუ სამთა კავშირად გადაიქცა, თუ სომხეთმა, საქართველომ და აზერბაიჯანმა ერთი ენით დალაპარაკება მოახერხეს, მაშინ სამივე ერის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი იქნება და ვერც ჩრდილოეთიდან და ვერც სამხრეთიდან ვერავინ ვერაფერს დაგვაკლებს.“[1]

სამწუხაროდ, გადაუჭრელი ტერიტორიული პრობლემები შეუძლებელს ხდიდა რეგიონის ქვეყნების უფრო მტკიცე კავშირსა და ერთიანობას. საზღვრების გარკვევას ვერაფერით შეეწია სომხეთ-აზერბაიჯანის კონფერენცია, რომელიც 1919 წლის დეკემბერში ბაქოში გაიმართა. ამ მხრივ უშედეგო გამოდგა საქართველოს ხელისუფლების ინიციატივით, 1919 და 1920 წლებში თბილისში მოწვეული კავკასიურ რესპუბლიკათა კონფერენციებიც, რომლებზეც ეკონომიკური, საგარეო პოლიტიკაში შეთანხმებული მოქმედებისა და სხვა საკითხების პარალელურად ტერიტორიულ პრობლემებიც განიხილებოდა.

საგულისხმოა, რომ 1920 წლის აპრილში თბილისის კონფერენციაზე აზერბაიჯანის მხარემ ამიერკავკასიის კონფედერაციის შექმნის წინადადებაც კი წამოაყენა. მომზადდა „ურთიერთშორისი დამოკიდებულების მუდმივი საერთაშორისო ორგანოს“ - „ამიერკავკასიის საბჭოს“ დებულების პროექტი, რომლის დანიშნულებად კონფერენციის მონაწილეებს რეგიონის უსაფრთხოება, სუვერენიტეტის განმტკიცება და სადავო საკითხების გადჭრისათვის ხელშეწყობა წარმოედგინათ. შემოთავაზებულ წინადადებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით მხარი დაუჭირა საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ კონფედერაციის იდეას პრინციპში ვიწონებთ, ამიტომ მისი განხორციელების მომხრენი ვართო“,[2] თუმცა საქმე რეალურად ადგილიდან არ დაძრულა.

საქართველოში მყოფი მოკავშირეთა არმიის ერთ-ერთი მეთაური პოლკოვნიკი სკოტი მოგვიანებით წერდა: სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებმა „უკუაგდეს თეორიულად და პრაქტიკულადაც თავისუფლად დარჩენის ერთადერთი საშუალება და იმედი: შეექმნათ სამი სახელმწიფოს კონფედერაცია. შემდგომ ამ კონფედერაციას უთუოდ

1- გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 1 აგვისტო.

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 16 აპრილი.

შეუერთდებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელი ხალხები. ამრიგად, მტკიცე ბლოკი ჩამოყალიბდებოდა. საჭიროების შემთხვევაში იგი შეძლებდა გამკლავებოდა როგორც ჩრდილოელ, ისე სამხრეთელ მეზობლებს."[1] (აღსანიშნავია, რომ 1922 წელს, დამხობილი და უცხოეთში გახიზნული აზერბაიჯანის, საქართველოსა და მთის რესპუბლიკის წარმომადგელებმა პარიზში შეხვედრისას კიდევ ერთხელ აღიარეს კავკასიური კონფედერაციის შექმნის აუცილებლობა. უფრო გვიან, 1934 წელს ბრიუსელში ხელი მოეწერა კავკასიის კონფედერაციის აქტს, ემიგრაციაში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებდა ასევე კავკასიის კონფედერაციის კომიტეტიც და სხვ.).

უნდა აღინიშნოს, რომ გონივრული კომპრომისების გზით, 1918-1920 წლებში სამხრეთ კავკასიაში შესაძლებელი იყო მოეგვარებინათ საზღვრებისა და ტერიტორიული გამიჯვნის პრობლემებიც, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლად შექმნილ სახელმწიფოთა მესვეურები საამისოდ მზად არ აღმოჩდნენ. ამ მხრივ სხვებზე მეტად სომხეთის ხელისუფლება ცოდავდა და დათმობაზე არ მიდიოდა. ერევანში მოკავშირე სახელმწიფოების გადაჭარბებული იმედი ჰქონდათ. დიდ მხარდაჭერას მოელოდნენ სომხები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვილსონისაგანაც (იმ დროს აქტიურად განიხილებოდა სომხეთზე აშშ მანდატის დაწესების საკითხი), რის გამოც მეზობლებს ანგარიშს აღარ უწევდნენ, პარიზის, ლონდონისა თუ სან-რემოს საერთაშორისო კონფერენციებზე თამამი და გადაჭარბებული მოთხოვნებით გამოდიოდნენ.

საქართველოსთან მიმართებაში სომხეთი არ კმაყოფილდებოდა მისთვის აღთქმული გარანტიით, დათმობოდა გასასვლელი შავ ზღვაზე. იგი ხან სომხეთ-საქართველოს საზღვრის მდინარე ჭოროხზე გავლების წინადადებას აყენებდა და ბათუმის ნავსადგურის ნაწილს მოითხოვდა, ხანაც სომხეთის ბათუმთან დამაკავშირებელი მომავალი სარკინიგზო ზოლის ექსტერიტორიულობასა და მის სრულ საკუთრებაში აღიარებას იჟინებდა.[2]

ქართულ მხარე მიიჩნევდა, რომ საკმარისი გაიღო, მეტის დათმო-

1 დიუგე რ., მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ., 1994, გვ. 6.

2 ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ. 332; 340.

ბა დაუშვებელი იყო, რადგან ასეთ შემთხვევაში ზიანი საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს მიადგებოდა. შეთანხმება ვერ მოხერხდა. ამაო გამოდგა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიების საერთაშორისო დონეზე გადაწყვეტის იმედიც. სომხეთი მეზობელი ქვეყნებისაგან განმარტოებული დარჩა.

საქართველოში იმ დროს მყოფი უცხოელი დამკვირვებელი, ცნობილი ფრანგი სამხედრო მოღვაწე რემონ დიუგე აღნიშნავდა: „ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის დამოკიდებულება უფრო მეგობრული და მჭიდრო რომ ყოფილიყო, ისინი უდაოდ მოახერხებდნენ თავი დაეღწიათ მოსკოვის უღლისაგან.“[1] საუბედუროდ, ეს ასე არ მოხდა. ბოლშევიკური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა ამ რესპუბლიკებს ცალ-ცალკე მოუწიათ და შედეგიც სავალალო მიიღეს. აზერბაიჯანის შემდეგ სომხეთის ჯერი დადგა. როცა 1920 წლის ნოემბერში მუსტაფა-ქემალის თურქული არმია ყარსსა და ალექსანდროპოლში შეიჭრა, სომხეთს ფაქტობრივად არავინ გამოესარჩლა. განწირული მეზობლის დასაცავად საქართველოს ხელი არ გამოუღია. იმ დროისათვის აზერბაიჯანი გასაბჭოებული იყო და კრემლის რჩევით ბაქო თურქეთ-სომხეთის კონფლიქტში არ ჩარეულა, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, აზერბაიჯანს მხარი დაეჭირა სომხეთისათვის თუნდაც რომ დამოუკიდებელი ყოფილიყო. სომხეთს „შემწედ“ მხოლოდ ბოლშევიკური რუსეთი მოევლინა. მოსკოვმა თურქთა აგრესია კი შეაჩერა, მაგრამ სომხეთის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ბოლო მოუღო და ეს ქვეყანა კრემლის მარიონეტ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გადააქცია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობა უფრო ეპიზოდური იყო ჩრდილოკავკასიაში აღმოცენებულ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ წარმონაქმნებთან, რადგან რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის პირობებში ამ რეგიონში ვითარება მეტისმეტად სწრაფად იცვლებოდა. მცირე ხნით თავისუფლებამოპოვებული ესა თუ ის პოლიტიკური ერთეული ხან თეთრგვარდიელთა, ხანაც ბოლშევიკთა აგრესიის მსხვერპლი ხდებოდა. ერთ-ერთი ასეთი იყო მთის რესპუბლიკა, რომელიც თავის მხრივაც სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან მჭიდრო დაახლოების გზებს დაეძებდა და აქტიურად საუბრობდა კა-

1 დიუგე რ., მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ., 1994, გვ. 53.

ვკასიურ კონფედერაციაზე, როგორც უსაფრთხოების კოლექტიურ გარანტზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, დამფუძნებელი კრების დეპუტატთა დიდ ნაწილს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული მთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მნიშვნელობა საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებისათვის და შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობდნენ დახმარების ხელი გაეწვდინათ მისი მესვეურებისათვის. 1919 წლის ზაფხულში საქართველოს მთავრობამ ჩრდილოეთ კავკასიის მთის რესპუბლიკის ოფიციალური წარმომადგენლის თხოვნით, ჩეჩნეთ-დაღესტანში გაგზავნა საექსპედიციო რაზმი ლეო კერესელიძის მეთაურობით. ძირითადად ოფიცრებით დაკომპლექტებული ქართველთა ეს რაზმი ცხრა თვის განმავლობაში ადგილობრივ ძალებთან ერთად ებრძოდა დენიკინის მოხალისეთა არმიას.[1]

აღსანიშნავია ისიც, რომ დამხობილი მთის რესპუბლიკის მთავრობამ თავშესაფარი საქართველოში ჰპოვა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის სახელმწიფოებრივ აუცილებლობას წარმოადგენდა პარტნიორული ურთიერთობების დამყარება ყოფილ ყუბანის ოლქში დაარსებულ ყუბანის კაზაკთა რესპუბლიკასთან. თბილისს ეკატერინოდართან სავაჭრო და ეკონომიკური ინტერესები აკავშირებდა. 1920 წელს ყუბანისა და საქართველოს რესპუბლიკებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებაც გაფორმდა. საქართველომ ეკატერინოდარიდან რამდენჯერმა შემოიტანა პური და სხვ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აქტიურად მუშაობდა ყუბანის კაზაკთა მთავრობასთან ოფიციალური წარმომადგენლობის გასახსნელად, დამფუძნებელმა კრებამ ამ მიზნით სათანადო თანხის გამოყოფის საკითხიც განიხილა, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების გამო განზრახვის შესრულება ვეღარ მოესწრო.

1 ლეო კერესელიძის curriculum vitae, გ. მამულიას პუბლიკაცია, ქართველ ემიგრანტთა ჟურნალი „თანამემაულე“, ლონდონი, 2007, # 3 (24), გვ. 16.

საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ისტორიიდან 1918-1921 წლებში

ჯერ კიდევ 1889 წელს ილია ჭავჭავაძე შენიშნავდა: „ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა ამერიკის შტატებისა იმდენად სჯობნის ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველისფრით წარმატებულნი არიან ევროპაზე და თანდათან იმორჩილებენ ევროპას. თუ საქმე ამგვარად წავიდა, იმედია, რომ შტატები ეკონომიკურად სულ ერთიანად დაიმორჩილებენ ევროპას“, და რომ „მსოფლიო მეთაურობასაც დაიმკვიდრებს ამერიკა.“[1]

დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის ეს წინასწარგანჭვრეტა მისი გამოთქმიდან სულ რაღაც ორი ათეული წლის შემდეგ რეალობა ხდებოდა. პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისას ამერიკის შეერთებული შტატები უკვე „ზესახელმწიფოდ“ მოგვევლინა. იგი აქტიურად ერევა მსოფლიო პოლიტიკაში და პრეზიდენტ ვილსონის „14 პუნქტის“ სახით, გამარჯვებულ თუ დამარცხებულ სახელმწიფოებს „ახალი წესრიგის“ საკუთარ მოდელს კარნახობს. ცხადია, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე ამერიკის შეერთებული შტატების სახით ახალი მნიშვნელოვანი ფაქტორი იკვეთებოდა.

საქართველოში, სამხრეთ კავკასიასა და მთელ ახლო აღმოსავლეთში ამ პერიოდისათვის (1918 წლის ოქტომბრის მუდროსის ზავის შემდეგ) მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოს ეგიდით დიდი ბრიტანეთი დომინირებდა. რეგიონში ბრიტანელი მეომრებით დაკომპლექტებული სამხედრო ძალის შემოსვლამ, ინგლისი ამ ვრცელი სივრცის მეთვალყურედ, ფაქტობრივად კი პატრონად, აქცია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებს შიში გაუჩნდათ, რომ ბრიტანელები ქვეყნის სუვერენიტეტს ხელყოფდნენ, ამიტომ ნოე ჟორდანიამ განაცხადა, რომ ქართული სახელმწიფო მზად არის თავისი კურსი გამარჯვებულ სახელმწიფოთა პოლიტიკას შეუსაბამოს და განახორციელოს მათ მიერ დეკლარირებული პრინციპები. ამასთან, საქართველოს მთავრობამ 1919 წლის დამდეგს პარიზში ოფიციალური დელეგაცია მიავლინა და საზავო კონფერენციის მონა-

1 ჭავჭავაძე ი., ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი, გაზ. „ივერია“, 1889 წ., 26 თებერვალი.

წილეებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების თხოვნით მიმართა.

რაც შეეხება თვით მოკავშირე სახელმწიფოებს, მათ რეგიონის მოწყობის თავ-თავიანთი გეგმები გააჩნდათ (ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგოც), რომლებსაც ჯერ-ჯერობით საჯაროდ არ ახმოვანებდდიდიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურები საქართველოს საკითხს საერთაშორისო პოლიტიკის ჭრილში განიხილავდნენ, განსაკუთრებულ ანგარიშს უწევდნენ რუსეთის რეალურ ინტერესებს და იქ სამოქალაქო ომის დამთავრებამდე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას არ ჩქარობდნენ.

საქართველოსადმი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დამოკიდებულების საილუსტრაციოდ საყურადღებო წყაროა 1919 წლის იანვარში შედგენილი „წინასწარი ანგარიშისა და წინადადებების პროექტი, მომზადებული საინფორმაციო განყოფილების მიერ ინსტრუქციათა შესაბამისად, პრეზიდენტისა და სრულუფლებიანი წარმომადგენლებისათვის“, რომლითაც ამერიკის დელეგაციას პარიზის საზავო კონფერენციაზე უნდა ემოქმედა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ამ დირექტიული ხასიათის დოკუმენტით, სომხეთს მუდმივი დამოუკიდებლობა უნდა მინიჭებოდა, აზერბაიჯანსა და საქართველოს კი - დროებითი სუვერენიტეტი. საქართველო და აზერბაიჯანი მომავალში ფედერაციის ფორმით შეუერთდებოდნენ სომხეთის რესპუბლიკას. ამგვარად უნდა შექმნილიყო ვრცელი ამერიკული სამანდატო ზონა საზღვრებით კასპიის, შავ და ხმელთაშუა ზღვებს შორის.[1] ალბათ ამ დირექტივიდან გამომდინარეობდა ის უარიც, რომელიც ქართველმა დიპლომატებმა შვეიცარიაში აშშ-ს საელჩოსაგან მიიღეს თხოვნაზე, რომ ამერიკას ხელი შეეწყო საქართველოს დელეგაციისათვის, გამგზავრებულიყო პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე.[2]

მოკავშირე სახელმწიფოთა ზუსტი გეგმები და მისწრაფებები საქართველოს ხელისუფლებისათვის უცნობი იყო. ეს კარგად ჩანს იმ

1 ღამბაშიძე გ., საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის ისტორიიდან (1917-1921), თბ., 1961, გვ. 19-20.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, საქ. 7, ფურც. 1.

დროინდელი ქართული პერიოდული პრესის მასალებიდან და სხვა პირველწყაროებიდანაც. მაგალითად, გაზეთი „სახალხო საქმე“ 1919 წლის ნოემბერში მიუთითებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის თვალსაზრისით გამარჯვებული სახელმწიფოები გარკვევით არაფერს ამბობენ. განსაკუთრებით საყურადღებოა ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის პოზიცია. უკვე წელიწადია, „რაც ჩვენში ეს სამი ძალა ტრიალებს სხვადასხვა მისიებისა თუ გენერლების სახით, მაგრამ მაინც აქამდე არ ვიცით რა დანამდვილებით: რა აზრს ადგანან ეს სახელმწიფონი საქართველოს შესახებ.“ გაზეთის რედაქციის აზრით, საქართველომ აუცილებლად უნდა დააინტერესოს დიდი სახელმწიფოები ჩვენი ქვეყნით, რადგან დღევანდელ მდგომარეობაში დიდ ხანს დარჩენა ძნელია.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები გადადგა. ახლად შექმნილი სახელმწიფოს მთავრობის ძალისხმევა უპირველესად მიმართული იყო საქართველოს საერთაშორისო აღიარების მიღწევისაკენ, მაგრამ არსებობდა ალტერნატიული პროექტიც: იმ შემთხვევისათვის, თუ პარიზის კონფერენცია უარს იტყოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის ცნობაზე, ევროპაში გაგზავნილ ოფიციალური დელეგაციის ხელმძღვანელს კარლო ჩხეიძეს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანისაგან მიცემული ჰქონდა ინსტრუქცია, მიეღოთ ინგლისის ან საფრანგეთის მფარველობა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პირობით.[2]

ქართულმა დელეგაციამ ამ საკითხზე 1919 წლის 23 მარტს პარიზში კერძო თათბირი გამართა. საქართველოსათვის „ძლიერი“ მფარველის გამონახვა დელეგაციის წევრებმა აუცილებლად მიიჩნიეს, უხერხულობას მხოლოდ ის იწვევდა, თუ როგორ მიეწოდებინათ თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხისათვის მანდატის იდეა.[3]

---

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 14 ნოემბერი.

2 ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 143.

3 ღამბაშიძე გ., საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის ისტორიიდან (1917-1921), თბ., 1961, გვ. 39.

დამარცხებული გერმანიისა და მისი მოკავშირე ოსმალეთის იმპერიის სამფლობელოებზე მანდატის დაწესებას ერთა ლიგის წესდების 22-ე პუნქტი ითვალისწინებდა. მართალია, წესდება ჯერ დამტკიცებული არ იყო, მაგრამ მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები ამ კუთხით პრაქტიკული მოქმედების დაწყებას არ ერიდებოდნენ.

1919 წლის 22 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების კონსული თბილისში ფელიქს უილოუბი სმითი და სამხრეთ კავკასიაში ამერიკის პოლიტიკური დაზვერვის ხელმძღვანელი ბენჟამინ ბ. მური საქართველოს მთავრობის წევრებს ევგენი გეგეჭკორსა და ნოე რამიშვილს ეწვივნენ.

ე. გეგეჭკორმა სტუმრებს განუცხადა, რომ საქართველო უკვე შემდგარი სახელმწიფოა. „ხალხი დამფუძნებელ კრებამდე მივიყვანეთ, ჩამოყალიბდა მთავრობა, გვყავს ადმინისტრაცია.“ ოღონდ გვაწუხებს ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა და სასურსათო საკითხის პერსპექტივა. მზადა ვართ მოკავშირეებთან სამუშაოდ. „მზადა ვართ შევასრულოთ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, მაგრამ ჩვენც უნდა ვიცოდეთ რა უფლებები გვაქვს.“[1]

სმითმა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები დააიმედა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს „გულწრფელად სურს საქართველოს დამოუკიდებლობა“, თუმცა დასძინა: საქართველო პატარა სახელმწიფოა, ამიტომ იგი ვერ შეძლებს არსებობას გარედან დახმარების გარეშე. „მიგვითითეთ ფორმა, რომლითაც გამოიხატება დახმარება ჩვენის მხრიდან.“

ნოე რამიშვილმა განმარატა, რომ ახლად შექმნილ სახელმწიფოს ესაჭიროებოდა დახმარება არმიის ორგანიზაციის საქმეში და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში. მინისტრის სიტყვით, მნიშვნელოვანი იყო ასევე, „ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისუფალი გასვლის შესაძლებლობა.“

კონსულმა საუბარი მანდატის თემაზე განაგრძო. ქართველ მინისტრებს აუწყა, რომ ერთა ლიგა აწესებს რომელიმე დიდი სახელმწიფოს მანდატს კვლავაღმოცენებულ სახელმწიფოზე და რომ მანდატი არ არის პროტექტორატი. სმითმა მიანიშნა, რომ ამიერკავკასიისათ-

1 მენთეშაშვილი ა., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და შეერთებული შტატები, ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1990, # 11, გვ. 48.

ვის, მისი ეკონომიკური ინტერესების ერთიანობის გამო, უმჯობესია დაწესდეს ერთი საერთო მანდატი.

ე. გეგეჭკორმა შიში გამოხატა, რომ მანდატი ქვეყნის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მოსპობდა, რის გამოც გარკვეული პირობა წამოაყენა: „თუ ჩვენი ხალხის ბედ-ილბალში აქტიური მონაწილეობის გარანტია გვექნება, დავთანხმდებით მანდატის არსებობას.“ ნ. რამიშვილის აზრიც ასეთივე იყო. მანაც განაცხადა, რომ არაფერი ექნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მანდატის საწინააღმდეგო, თუ საქართველო შეინარჩუნებდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.[1]

მართალია, ამერიკის შეერთებული შტატების მისია ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის ჯედსონის მეთაურობით საქართველოში პირველად 1918 წლის დეკემბერში ჩამოვიდა, მასზე ადრე თბილისსა და ბათუმში, კონსტანტინოპოლში აშშ უმაღლესი კომისარი, ადმირალი მარკ ლამბერ ბრისტოლიც იმყოფებოდა,[2] მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის საქმიან კონტაქტს სათავე სწორედ ზემოხსენებული შეხვედრიდან დაედო.

შეხვედრის შედეგი იყო თბილისში „ომისაგან დაზარალებულთა დახმარების ამერიკის კომიტეტის“ კომისიის ჩამოსვლა. ამოქმედდა სპეციალური პროგრამა, რომლის თანახმად, საქართველოს პურით მომარაგება საქონელგაცვლით პრინციპს უნდა დაფუძნებოდა. თბილისში დაარსდა ამერიკის კომიტეტი, რომელიც საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა და ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ პურს ურიგებდა,[3] განხორციელდა შემოწირულობა 5000 წყვილი ამერიკული ჩექმის სახით და სხვ. ამავე კომიტეტმა 1919 წელს თბილისში მოაწყო საქსოვი ფაბრიკა, სადაც ძირითადად სომეხი ლტოლვილები დასაქმდნენ.[4]

„ამიერკავკასიის ხალხები არასოდეს დაივიწყებენ ამერიკულ კომი-

1 მენთეშაშვილი ა., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და შეერთებული შტატები, ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1990, # 11, გვ. 49.

2 გასვიანი თ., ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულება საქართველოსადმი XX საუკუნის დასაწყისსა და 1990-92 წლებში, კავკასიის მაცნე, 2002, # 5, გვ. 48.

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 25 ოქტომბერი.

4 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 635.

ტეტს, რომელმაც დაგვანახა არა მარტო ჰუმანური ქველმოქმედება შეერთებული შტატების, არამედ ისიც, თუ როგორი განსაცვიფრებელი სისწრაფით, ბეჯითად და უხმაუროდ აკეთებენ დიდად საპასუხისმგებლო სამუშაოს თქვენი მოქალაქენი“, - ხაზს უსვამდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ამერიკული გაზეი„ჩიკაგო ტრიბუნის“ კორესპონდენტთან ინტერვიუში 1921 წლის ნოემბერში.[1]

საქართველოს დედაქალაქში 1917 წლიდან არსებობდა ამერიკის საკონსულო, რომლის მუშაობა, განსაკუთრებით ეკონომიკური კუთხით, მას შემდეგ გააქტიურდა, რაც საკონსულო სახელმწიფო დეპარტამენტის ნაცვლად სომხეთში მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს განსაკუთრებულ კომისრად დანიშნული ამერიკელი პოლკოვნიკის ჰასკელის დაქვემდებარებაში გადავიდა,[2] ხოლო კონსულად დიპლომატი დულითლი დაინიშნა (1919 წლის ზაფხული). საკონსულო გამოდიოდა შუამავლად დაინტერესებულ ამერიკულ კომპანიებსა და ადგილობრივ საქმიან წრეებს შორის, ხელს უწყობდა საქართველოში ამერიკული ნაწარმის შემოტანას, აქედან კი ნედლეულის გატანას და სხვ. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით, „ამერიკის გენერალური საკონსულო თბილისში აცხადებს, რომ ნიუ-იორკის ექსპორტის და იმპორტის საზოგადოება ...კისრულობს ყოველგვარი ნედლი მასალის გავრცელებას ამერიკის ბაზრებზე. იგივე საკონსულო აცხადებს, რომ ნიუ-იორკის ფირმა „ტრეტინგ და კომპ.“ კისრულობს სხვადასხვა ფეხსამოსის, წინდების, რკინეულობის, ტყავეულობის, ქაღალდის და სათამაშოების მიწოდებას ფილადელფიიდან., ნიუ-იორკის ფირმა „ფორეინ პროდაქტი და ამხ.“-ს შეუძლია ტანისამოსის, სურსათის და სასოფლო-სამეურნეო იარაღის გაცვლა კაკლის ხეზე, ბეწვეულზე და სელზე.“[3]

გაზეთი „სახალხო საქმე“ კი მკითხველს ამგვარ ინფორმაციას აწვდიდა: „მიტ ჯორდვერ“-ის ფირმა იუწყება, რომ მას შეუძლია ყველას მიაწოდოს ავტომობილები და სხვადასხვა საავტომობილო მასალები განუსაზღვრელ რაოდენობით. მსურველთ ცნობებისათვის უნდა მი-

1 გაზ. „თავისუფალი საქართველო“, პარიზი, 1921 წ., 30 ნოემბერი.

2 http://www.hayinfo.ru/ru/analytics/policy/26298.html

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 29 ოქტომბერი.

მართონ ამერიკის საკონსულოს.“[1]

იყო ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირების დამყარების მცდელობაც, ამერიკის ბიზნესწრეების წარმომადგენლებმა საქართველოს ხელისუფლებას რამდენიმე ეკონომიკური პროექტი წარუდგინეს, კერძოდ, კონცესიური შეთანხმებები წიაღისეულის მოპოვებაზე იმერეთში, შეთანხმებები ხე-ტყის სახერხი ქარხნის მშენებლობაზე ლაგოდეხში და სხვ. საყურადღებო იყო ამერიკის შეერთებული შტატების სატრანსპორტო სამსახურის შეთავაზება, რომელიც საქართველოსათვის 3500-4000 ტონა წყალწყვის ხის გემების შეძენას ითვალისწინებდა. ერთი გემის ფასი 30 მილიონ მანეთს შეადგენდა. პროექტით, გემების ღირებულების ნახევარი უნდა გადახდილიყო მათი მიღებისთანავე, დანარჩენი კი 18 თვის განმავლობაში. საქართველოს მთავრობამ პროექტი დაიწუნა მისი სიძვირისა და გემების მასალის გამო.[2] ამერიკელმა მეწარმეებმა ინტერესი გამოხატეს ასევე საქართველოს მარგანეცისა და ცელულოზისადმი. საქართველოს მთავრობა ცდილობდა მიეღო კრედიტი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან[3] და კიდევაც მიაღწია წინასწარ თანხმობას დაახლოებით 25 ათასი აშშ დოლარის ოდენობის სესხის გამოყოფის თაობაზე, რომელიც ჰუმანიტარული საქონლის შესაძენად იყო განკუთვნილი.[4]

1919 წლის 17 აპრილს აშშ პრეზიდენტმა ვ. ვილსონმა პარიზში მიიღო სომხეთის რესპუბლიკის დელეგაცია და განუცხადა, რომ მის ქვეყანას განზრახული ჰქონდა მანდატის აღება სომხეთზე.[5]

ცნობილია, რომ ანტანტის სახელმწიფოებმა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე შეიმუშავეს როგორც გერმანიის კოლონიების, ისე ოსმალეთის იმპერიის დანაწილების გეგმა. საიდუმლო ხელშეკრულებების თანახმად, რუსეთს უნდა მიეღო სომხური ვილაიეთები აღმოსავლეთ ანატოლიაში, ასევე კონსტანტინოპოლი და სრუ-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 25 ოქტომბერი.

2 დაუშვილი ა., ფოთის საზღვაო პორტი 1917-1921 წლებში, ჟურნ. „ანალები“, 2011, #7, გვ. 221.

3 შარაძე გ., ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება, თბ., 1998., გვ. 683.

4 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1891, საქ. 304, ფურც. 1-19.

5 Труды института истории Азербайджана, т. XIII, Баку, 1958 г. ст. 344.

ტეები,[1] მაგრამ რუსეთი ომს მის დამთავრებამდე და თანაც სეპარატულად გამოეთიშა (ბრესტ-ლიტოვსკის ზავი). გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა „მოკავშირეთა ინტერესების ღალატისათვის“ რუსეთი დასაჯეს და მისი „წილი“ ამერიკას შესთავაზეს. 1919 წლის 14 მაისს აშშ-მ მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოსაგან ოფიციალურად მიიღო მანდატი სომხეთსა და შავი ზღვის სრუტეებზე.[2]

1919 წლის მაისის ბოლოს ვილსონი შეხვდა პარიზის კონფერენციაზე მყოფ აზერბაიჯანის დელეგაციას, რომლის წევრებსაც აღუთქვა, რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წმინდა საქმეში აზერბაიჯანელი ხალხი ამერიკის შეერთებული შტატების სახით საიმედო დამცველს ჰპოვებდა.[3] ამასთან, პრეზიდენტმა აზერბაიჯანელებს მიანიშნა: უმჯობესი იქნება თუ განიმსჭვალებით კავკასიაში ფედერაციის შექმნის იდეით და მას მფარველობას გაუწევდა რომელიმე სახელმწიფო ერთა ლიგის დავალებით.[4]

აქვე აუცილებელია აღნიშნო, რომ ამერიკის კონტროლქვეშ მთელი კავკასიის მოქცევის გეგმა ინგლისის ინტერესებს ნაკლებად პაუხობდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პარიზში მყოფი აზერბაიჯანის დელეგაცია ესწრაფვოდა მანდატი აზერბაიჯანზე ლონდონისათვის ეთხოვა. საქართველოს დელეგაცია მანდატის საკითხზე თავს იკავებდა, მაგრამ ინგლისთან დაახლოებას კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.[5]

ამ დროისათვის ინგლისის მთავრობას, მართალია, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა კსავკასიიდან ჯარების გაყვანა, მაგრამ ბათუმის დატოვებას ჯერ-ჯერობით არ აპირებდა. 1919 წლის მარტის შუა

---

1 ჩოხელი ა., ამერიკა და დამოუკიდებელი საქართველო 1919 წელს, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“„ 1990 წ., 25 მაისი.

2 ღამბაშიძე გ., საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის ისტორიიდან (1917-1921), თბ., 1961, გვ. 31.

3 История Азербайджана, Баку, 1995 г., ст. 367.

4 Труды института истории Азербайджана, т. XIII, Баку, 1958 г. ст. 349; ასევე, Волхонский М., Муханов В., По следам Азербайджанской Демократической Республики, Баку, 2011 г. http://lib.rus.ec/b/294818/read

5 Топчибашев А., Письма из Парижа. Донесения председателя делегации Азербайджанской Республики на Парижской мирной конференции (март-декабрь 1919 г.) Баку, 1998, ст. 34.

რიცხვებში, პარიზში დაიწყო ინგლის-იტალიის კონსულტაციები საქართველოზე მანდატის იტალიისათვის გადაცემის თაობაზე. იმავე წლის 26 აპრილს მოკავშირე სახელმწიფოთა „ოთხთა საბჭომ“ დაამტკიცა იტალიის მანდატი საქართველოზე.[1] იტალიის პრემიერი ვიტორიო ორლანდო აქტიურად დაინტერესდა საქართველოთი, გადაწყვეტილიც ჰქონდა თბილისში საექსპედიციო კორპუსის გაგზავნა, მაგრამ იტალიელთა გააქტიურებას რეგიონში აშშ-ს უარყოფითი დამოკიდებულება მოჰყვა.[2] ორლანდოს შემცვლელმა ნიტტის მთავრობამ 1919 წლის ივნისში ამ წამოწყებაზე უარი განაცხადა.

„ოთხთა საბჭომ“ 1919 წლის 21 მაისს დაადგინა: „თუ ამერიკის სენატი დაამტკიცებს აშშ-ს მანდატს კილიკიასა და სომხეთზე, მაშინ შესაძლებელია მანდატის მოქმედების გავრცელება საქართველოზე, აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიაზე.“[3] როგორც ვხედავთ, აქ გარკვეული დათქმაა, მაგრამ რუსი ისტორიკოსი ბ. შტეინი ამ წინადადებას სხვაგვარად განმარტავს. მისი სიტყვით: 21 მაისს ოთხთა საბჭომ ამერიკის მანდატი სომხეთზე, აზერბაიჯანსა და მთელ კავკასიაზე განავრცო.[4]

ლოიდ ჯორჯის აზრით, მანდატის სტატუსი დომინიონის სტატუსზე დაბალი უნდა ყოფილიყო, ერთა ლიგის მმართველობა კი არსებითად იმ მეთოდებს დაეფუძნებოდა, რომლებსაც ბრიტანეთის იმპერია თავის კოლონიებთან მიმართებაში იყენებდა. აშშ პრეზიდენტის ვილსონის მრჩეველს, პოლკოვნიკ ჰაუზს მანდატი პროტექტორატის საფუძველზე დამყარებულ მმართველობის შეზღუდულ ფორმად წარმოედგინა.[5] რაც შეეხება ვუდრო ვილსონს, იგი აცხადებდა, რომ მანდატი უფრო ტვირთი იქნება, ვიდრე პრივილეგია.[6] ამერიკის პრე-

1 ჯოჯუა დ., საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921 წლებში, თბ., 1997, გვ. 66; 69.

2 ჯოჯუა დ., საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921 წლებში, თბ., 1997, გვ. 246.

3 ღამბაშიძე გ., ინგლისისა და აშშ-ს აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ, თბ., 1964, გვ. 149.

4 Штейн Б., Русский вопрос на Парижской мирной конференции М., 1949, ст. 339.

5 Архив полковника Хауза, т. IV, М. 1944, გვ. 151-153.

6 Махмурян Г., Лига Наций. Армянский вопрос и Республика Армения, Ереван, 1999. http://karabah88.ru/history/adr/10.html

ზიდენტს, ალბათ, მხედველობაში ზოგადად ე. წ. „თეთრი ადამიანის ტვირთი“ უნდა ჰქონოდა და არა პირადი პასუხისმგებლობის სიმძიმე.

პრეზიდენტმა ვ. ვილსონმა საჭიროდ მიიჩნია უფრო დეტალურად შეესწავლა ვითარება ამერიკის შეერთებული შტატების მანდატის ზონად შერჩეულ რეგიონში, რისთვისაც ოსმალეთსა და სამხრეთ კავკასიაში სენატორები კინგი და კრეინი, ხოლო შემდეგ, გენერალ ჯეიმს ჰარბორდის მეთაურობით, საგანგებო მისია გამოგზავნა.

1919 წლის 11 აგვისტოს საქართველოს წარმომადგენელობა კონსტანტინოპოლში შეხვდა ახლო აღმოსავლეთში ჩასულ ამერიკელ სენატორებს კინგსა და კრეინს. სენატორთა სიტყვით: „ქართველებმა განაცხადეს ...რომ მათ ესაჭიროებათ ფინანსური და ეკონომიკური დახმარება და იმედოვნებენ, რომ დიდი სახელმწიფოები ნებას დართავენ მათ, დარჩნენ რუსეთისაგან გამოცალკევებულები, რადგან მათი წეს - ჩვეულებანი სხვადასხვაა.“[1]

ჰარბორდის მისია პარიზშივე შეუდგა მუშაობას. მისი ექსპერტები შეხვდნენ ამ ქალაქში მყოფ საქართველოს დელეგაციის წევრს ზურაბ ავალიშვილს და მისგან სხვადასხვა საკითხზე საგულისხმო ინფორმაცია მიიღეს.[2]

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ აშშ აპირებდა მანდატის აღებას სომხეთზე, საქართველოს დელეგაციაში გაჩნდა აზრი ამ შესაძლებლობის გამოყენების შესახებ. ი. წერეთლის აზრით, „საქართველოს დახმარება შეიძლება იყოს ამ მანდატის დამატებითი და პარალელური მოქმედება.“ დელეგაციის წევრები იმასაც აცნობიერებდნენ, რომ ამერიკა სასურველი მოკავშირეა, მაგრამ ამჟამად არ შეუძლია საქართველოს გაუწიოს პრაქტიკული დახმარება, ამიტომ უმჯობესად ჩათვალეს, მიემართათ მისთვის ზოგადი თხოვნით, რომ დაგვეხმაროს თავისი გავლენით. დროულად მოამზადეს მოკლე მემორანდუმი საქართველოს საკითხის შესახებ, რომელიც ზ. ავალიშვილმა კიდევაც წარუდგინა პოლკოვნიკ ჰაუზს.[3]

---

1 ჩოხელი ა., ამერიკა და დამოუკიდებელი საქართველო 1919 წელს, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“„ 1990 წ., 25 მაისი.

2 ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1926, გვ. 287.

3 მენთეშაშვილი ა., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სა-

კავკასიაში გამგზავრების წინ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა პარიზის საზავო კონფერენციაზე სპეციალური განცხადება გაავრცელა და განმარტა, რომ მისიის გაგზავნა აშშ-ის მთავრობის მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ოფიციალურ ცნობას არ ნიშნავდა.[1]

გენერალი ჯ. ჰარბორდი, რომლის მისიას თან ახლდნენ მსხვილი ევროპული გაზეთების კორესპონდენტები,[2] თბილისში 1919 წლის 3 ოქტომბერს ჩამოვიდა. ჰარბორდს საქართველოში საპატიო დახვედრა მოუწყვეს და დიდი ბანკეტიც გაუმართეს. ამერიკის წარმომადგენელი ესაუბრა საქართელოს საგარეო და შინაგან საქმეთა მინისტრებს, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრებსა და სხვ. მაგრამ მან ვერ შეძლო შეხედრა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიასთან ამ უკანასკნელის ავადმყოფობის გამო (გაზეთების ცნობით, შეუძლოდ მყოფი პრემიერი 29 სექტემბრიდან ვერ ესწრებოდა მთავრობის სხდომებს).[3]

საქართველოდან ამერიკაში დაბრუნებულმა ჯ. ჰარბორდმა ვაშინგტონიდან ნოე ჟორდანიას შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: „საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ნოე ჟორდანიას. ჩემი ყოფნის დროს თქვენ დედაქალაქში და მთავრობასთან მე ვწუხდი თქვენი ავადმყოფობის გამო, რომელმაც მომაკლო თქვენთან შეხვედრის სიამოვნება. მე თქვენი წერილი მივიღე ბატონ ღამბაშიძის ხელით და ძლიერ გმადლობთ იმ წერილში გამოთქმული გრძნობებისათვის. ჩემთვის ძლიერ სასიამოვნო იყო ორჯერ ნახვა ქართული საზოგადოებისა, ხოლო ჩემი შეხვედრა თქვენს მინისტრებთან, განსაკუთრებით საინტერესო და სასარგებლო იყო ჩვენი მისიის თვალსაზრისით.

ვიმედოვნებ, რომ თქვენი ჯანმრთელობა საშუალებას მოგცემთ მალე დაუბრუნდეთ თქვენს თანამდებობას. გთხოვთ გადასცეთ თქვენს კოლეგებს, რომ მე ძლიერ მადლობელი ვარ იმ მრავალ დახმარებისათვის, რომელიც თქვენმა ხალხმა აღმომიჩინა და ძლიერ ვაფასებ იმ

მშვიდობო კონფერენცია, „მაცნე“ (ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1992, # 4, გვ. 141-142, 143.

1 Труды института истории Азербайджана, т. XIII, Баку, 1958 г., ст. 350.

2 გაზ. „Азербайджан“, 1919 წ., 30 ოქტომბერი.

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 10 ოქტომბერი.

ინტერესს, რომელიც მათ გამოიჩინეს ჩვენი მუშაობისადმი.

გულწრფელად თქვენი ჰარბორდი, ამერიკის გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი.“[1]

მისიის ერთთვიანი მოგზაურობა რეგიონში მთლად უსაფრთხო როდი აღმოჩნდა. სომხეთის ტერიტორიაზე ამერიკელთა რამდენიმე მანქანა ქურთებმა ტყვიებით დაცხრილეს. დელეგაციისათვის ასევე ცეცხლი გაუხსნიათ აზერბაიჯანშიც.[2] არსებობს ცნობა, რომ საქართველოში ყოფნის დროს ამერიკული მისიის ყველა წევრი გაუძარცვავთ. ამას 2007 წელს თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თანამშრომელი როვენა ქროს-ნაჯაფი წერს.[3] ვფიქრობ, ეს ცნობა სწორი არ უნდა იყოს. მართალია, იმდროინდელ საქართველოში იშვიათი როდი იყო ადამიანთა ძარცვის, გატაცებისა თუ მოკვლის ფაქტები (პრესა სავსეა ამგვარი ხასიათის ინფორმაციით), კავკასიაში მოკავშირეთა უმაღლესი კომისრის პოლკოვნიკ ჰასკელის სადგომის წინ (პეტრე დიდის ქუჩაზე) მისი ქონების დასაცავად მუდმივად ჯარისკაცთა რაზმი იდგა და სხვა,[4] მაგრამ ჰარბორდის მისიას საქართველოს ფარგლებში განსაცდელი არ შეხვედრია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაქტი მისიის ანგარიშში აისახებოდა. ჰარბორდი თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობას პრევენციისათვის მიუმართავს და თბილისიდან ბათუმში მატარებლით მიმავალი მისიის ვაგონის წინ უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სამანევრო ლოკომოტივი ჩაუბამს.[5]

გენერალმა ჰარბორდმა მოგზაურობის დასრულებისთანავე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს რობერტ ლანსინგს ვრცელი მოხსენება წარუდგინა. მასში აღნიშნულია: სამხრეთ

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 15 ოქტომბერი.

2 James G. Harbord, Conditions in the near east: Report of the American Military Mission to Armeni, p. 10.

3 როვენა ქროს ნაჯაფი, ფელიქს უილები სმითი: პირველი ამერიკელი დიპლომატი საქართველოში, ხელნაწერი ნაშრომი. ტექსტის გაცნობისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ თსუ ამერიკისმცოდნეობის პროგრამის ხელმძღვანელს, პროფ. ელენე მეძმარიაშვილს.

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 4 ოქტომბერი.

5 James G. Harbord, Conditions in the near east: Report of the American Military Mission to Armeni, p. 10.

კავკასიის (ჰარბორდი სამხრეთ კავკასიას რუსეთის ამიერკავკასიას უწოდებს) სამივე რესპუბლიკის ხელისუფლება, ამ ცნების დასავლური გაგებით, ახლა სრულიად არაეფექტურია, ისინი ნდობით არ სარგებლობენ და კორუმპირებულნი არიან. სომხეთი ნანგრევებადაა ქცეული და ნაწილობრივ შიმშილობს. აზერბაიჯანს არა ჰყავს განათლებული ადამიანები, რომლებიც შეძლებდნენ კარგ მართვას. საქართველოს მთავრობა ბოლშევიზმის საფრთხის ქვეშ იმყოფება. საქართველოსა და აზერბაიჯანს დენიკინის შემოჭრის შიში აქვთ. მათზე დიდ გავლენას ახდენს ასევე ბოლშევიზმის სიახლოვეც. ამერიკელ გენერალს შეუმჩნეველი არ დარჩენია ისიც, რომ თბილისში სასახლის თავზე ეროვნული დროშის გვერდით რევოლუციის წითელი დროშაც იყო აღმართული.[1]

დროშის საკითხს ჯ. ჰარბორდი მემუარებშიც უბრუნდება და აღნიშნავს: „ბოლშევიზმის სიახლოვის ...ნიშანი იყო წითელი დროშა, რომელიც მთავრობის სახლზე ფრიალებდა. მთავრობაში ჩვენ გვითხრეს, რომ ეს არ არის ბოლშევიზმის წითელი დროშა, არამედ დროშა რევოლუციისა, რომელიც მანამ არ დამთავრდება, ვიდრე სამშვიდობო კონფერენცია არ ცნობს ამ მთავრობას. ...ჩვენ ნამდვილად დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს წითელი დროშა მხოლოდ გარემოებათა გამო ფრიალებდა, როგორც დროებითი დათმობა და მალე იქნებოდა დაშვებული.“[2]

უცხოელი სტუმრის შენიშვნა დროშასთან დაკავშირებით ქართულმა ოპოზიციამ მარჯვედ გამოიყენა ხელისუფლების კრიტიკისათვის. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერმა სამსონ ფირცხალავამ გაზეთ „სახალხო საქმეში“ საგანგებო წერილი მოათავსა სახელწოდებით „ეროვნული დროშა.“ სტატიაში ვკითხულობთ: ეროვნული დროშა ერის სუვერენობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ნიშანია. „ჩვენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ამას ვერ მივაქციეთ სათანადო ყურადღება ...და პირველ ხანებში გაბედულად ვერც კი გამოვაჩენდით ჩვენ ეროვნულ დროშას. მთელი წლის განმავლობაში

1 James G. Harbord, Conditions in the near east: Report of the American Military Mission to Armeni, p. 4; 13.

2 ჩოხელი ა., ამერიკა და დამოუკიდებელი საქართველო 1919 წელს, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“„ 1990 წ., 25 მაისი.

სასახლის თავზე არ იყო აღმართული ერის სუვერენობის დროშა. თავისთავად ამით სახელმწიფო არც აშენდება და არც დაიქცევა, მაგრამ ძლიერ ხშირად პატარა მოვლენა ბევრ რასმე ააშკარავებს და მართალნი არიან ამერიკელები, რომელთაც მიაქციეს ყურადღება სასახლეზე აღმართულ დროშებს და ერთნაირი უხერხულობა დაინახეს.

ადამიანები, რომლებიც სავსე გულით ვერ დაენდობიან თავის ეროვნულ სახელმწიფოებრივ დროშას, ვერ აღმართავენ მას თავის სახელმწიფოებრივ დაწესებულებაზე - მტკიცე სახელმწიფოს ვერ შექმნიან, ვინაიდან არა აქვთ მტკიცე რწმენა ამ სახელმწიფოსი“, - დასძენდა პუბლიცისტი.[1]

მთავრობამ ამერკელთა შენიშვნა ყურად იღო, გაითვალისწინა ასევე ოპოზიციის კრიტიკა და წითელი დროშა შეაცვლევინა, მალე სასახლის თავზე ეროვნული სამფეროვანი დროშა აღიმართა.

ჯ. ჰარბორდმა საქართველოს ხელისუფლებაზე ბოლშევიზმის გავლენის ნიშნად მიიჩნია აგრეთვე ქვეყანაში განხორციელებული აგრარული რეფორმა, რომ „მთავრობამ მოახდინა მიწის ნაციონალიზაცია, ჩამოართვა რა იგი მის ძველ მფლობელს უკომპენსაციოდ და გადასცა გლეხობას.“[2]

ქართულ რეალობაში „ბოლშევიზმის გავლენაზე“ განსხვავებული შეხედულებისა იყო მეორე ამერიკელი სამხედრო, კერძოდ სომხეთში მოკავშირეთა კომისარი პოლკოვნიკი ჰასკელი, რომელიც უფრო ხანგრძლივად იმყოფებოდა თბილისში. სამხრეთ კავკასიაში გენერალ ჰარბორდის სტუმრობის თითქმის თანადროულად, 1919 წლის ნოემბერში ჰასკელი პარიზის საზავო კონფერენციის მონაწილეებს არწმუნებდა: „პოლიტიკური პირობები საქართველოში კარგია. ბოლშევიზმი არ არის. წესრიგი დაცულია.“[3]

გენერალი ჰარბორდი ამერიკის სახელმწიფო ადმინისტრაციას ურჩევდა: ხელისუფლებამ, რომელიც აიღებს მანდატს სომხეთზე, მისი არეალი უნდა განავრცოს ასევე ანატოლიაზე, რუმელიაზე, კო-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 8 ოქტომბერი.

2 ჩოხელი ა., ამერიკა და დამოუკიდებელი საქართველო 1919 წელს, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“„ 1990 წ., 25 მაისი.

3 ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1926, გვ. 286.

ნსტანტინოპოლსა და სამხრეთ კავკასიაზე. და რომ, ერთი საერთო მანდატი ოსმალეთის იმპერიისა და ამიერკავკასიისათვის იქნებოდა ყველაზე ეკონომიკური გადაწყვეტილება.[1]

„ამერიკა თურქეთსა და სამხრეთ კავკასიაში უკვე ხარჯავს მილიონებს მშიერი მოსახლეობის გადასარჩენად", - ხაზგასმულია ჰარბორდის მოხსენებაში. იქვე ნათქვამია, რომ საქველმოქმედო საქმიანობამ, დახმარებამ ლტოლვილებისადმი და სხვ. ამერიკის შეერთებულ შტატებს აქ დიდი სიმპათია მოუპოვა და ადგილობრივი მოსახლეობა ამერიკელებისადმი კეთილგანწყობით გამოირჩევა. ჰარბორდის აზრით, რეგიონზე ამერიკის კონტროლის პირობებში დახმარება უფრო ეფექტური იქნებოდა. მისივე გამოანგარიშებით, თუ ამერიკის მანდატი ოსმალეთსა და სამხრეთ კავკასიაზე მინიმუმ 5 წელი მაინც იმოქმედებდა, ხარჯი ამ ხნის განმავლობაში დაახლოებით 760 მილიონ დოლარს გაუტოლდებოდა. „უმჯობესია გავიღოთ მილიონები მანდატში, ვიდრე მილიარდები მომავალი ომისთვისო" (''Better millions for a mandate than billions for future wars") - დასძენდა გენერალი.[2]

ოსმალეთ-სამხრეთ კავკასიაზე ერთიან მანდატს დაუპირისპირდა სომხეთის დამოუკიდებლობის ამერიკული კომიტეტი. ამ იდეის წინააღმდეგ გამოვიდა ასევე ამერიკის საზოგადოების არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელთა აზრით, მახლობელ აღმოსავლეთზე საერთო მანდატის შემთხვევაში „მთავარი ბენეფიციარები გახდებოდნენ თურქები", ისინი ისარგებლებდნენ ამით, გაძლიერდებოდნენ და მანდატის დამთავრების შემდეგ წინანდელ ძალმომრეობას გააგრძელებდნენ.[3]

საყურადღებო იყო ადგილობრივი პერიოდული პრესის მოსაზრებაც. მაგალითად, 1920 წლის 4 აპრილს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ მანდატის აღება ამერიკის შეერთებულ შტატებს გახვევდა „აღმოსავლურ ავა-

1 James G. Harbord, Conditions in the near east: Report of the American Military Mission to Armeni, p. 16.

2 James G. Harbord, Conditions in the near east: Report of the American Military Mission to Armeni, p. 2.

3 http://arach.do.am/index/sevrskij_dogovor/0-49

ნტიურაში“ მინიმუმ ერთი თაობის მანძილზე.[1]

ამერიკული მისიის საქართველოში მოგზაურობის განმავლობაში ჯ. ჰარბორდს თან ახლდა საქართველოს მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი დავით ღამბაშიძე. ამერიკელი გენერალი მაღალი წარმოდგენისა დარჩა ქართველ მასპინძელზე. ღამბაშიძე „მშვენიერი ინგლისურით მოლაპარაკე, მიმზიდველი და ჭკვიანი, თავაზიანი და ყურადღებიანი, ენერგიული, მაგრამ ზედმიწევნით ტაქტიანი, გულღია ჯენტლმენი და ფრიად კომპეტენტური ყმაწვილი კაცი“ იყოო, - აღნიშნავს ჰარბორდი.[2]

ამდენად, შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავის წარმომადგენლად ამერიკაში სწორედ დავით ღამბაშიძე დანიშნა.[3] ოპოზიციური სპექტრი ამ გადაწყვეტილებას მოწონებით შეხვდა, თუმცა იმაზეც მიუთითა, რომ „ეს საჭირო იყო აქამდისაც მომხდარიყო.“

ხელისუფლებამ გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები ამერიკის შეერთებულ შტატებში საკუთარი წარმომადგენლის მისავლინებლად. საქართველოს დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიამ 1919 წლის 21 ოქტომბერს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პლენარულ სხდომაზე დასამტკიცებლად წარადგინა დეკრეტი საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 3 მილიონი მანეთის გადადების შესახებ. ამ თანხის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ხარჯიც აშშ-ში დელეგაციის გასაგზავნად.[4]

პერიოდული პრესის ცნობით, დავით ღამბაშიძე იმავე წლის 23 ნოემბერს ამერიკის კონტინენტზე გამგზავრებულა.[5] მკვლევარი ბ. კობახიძე შენიშნავს, რომ ღამბაშიძე ამერიკაში არ წასულა, თუმცა რაიმე წყაროს არ მიუთითებს.[6] ქართველი დიპლომატის ამერიკის შეე-

1 http://www.karabah88.ru/press2008/06/0603_mandat.html

2 ჩოხელი ა., ამერიკა და დამოუკიდებელი საქართველო 1919 წელს, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“„ 1990 წ., 25 მაისი.

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 21 ოქტომბერი.

4 საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 21 ოქტომბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 2-6.

5 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 25 ნოემბერი.

6 კობახიძე ბ., საქართველოს პირველი ამერიკელი მეგობარი - კონგრესმენი

რთებულ შტატებში ჩასვლის დამადასტურებელ მასალას ჯერ-ჯერობით ვერც მე მივაკვლიე. თუ დავით ღამბაშიძე მართლაც გაემგზავრა ოკეანის გაღმა, როგორც ჩანს, იქ დიდხანს არ დარჩენილა. ყოველ შემთხვევაში, იგი 1919 წლის ბოლოსა და 1920 წლის გაზაფხულის ჩათვლით ევროპაში (პარიზსა და ლონდონში) იმყოფებოდა.[1]

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ამ ქვეყნის დელეგაციის ხელმძღვანელის ა. თოფჩიბაშევის ცნობით, საქართველოს მთავრობას მიუღია გადაწყვეტილება ამერიკაში გ. მაჩაბლის მივლინების შესახებ.[2] მართლაც, 1919 წლის შემოდგომაზე კარლო ჩხეიძე პარიზში ცდილობდა გიორგი მაჩაბლის, - როგორც საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლისათვის, მოეპოვებინა აშშ-ში გამგზავრების უფლება,[3] თუმცა უშედეგოდ.

ამერიკის შეერთებული შტატებში სამხრეთ კავკასიის ახლად წარმოშობილ რესპუბლიკებს შორის ყველაზე უკეთ სომხეთის საკითხს იცნობდნენ. ამას დიდწილად ამ ქვეყანაში მცხოვრები სომეხთა ძლიერი და მდიდარი დიასპორის არსებობა განაპირობებდა. ამერიკასთან ურთიერთობაში ქართველები და აზერბაიჯანელები თავს „ღარიბ ნათესავად“ გრძნობდნენ. საქართველოსთან შედარებით უპირატესობა აზერბაიჯანსაც ჰქონდა, რადგან ბაქოს ნავთობით დაინტერესებას გამოხატავდა ისეთი მსხვილი ამერიკული ნავთობკომპანია, როგორიცაა „სტანდარტ ოილი.“ ამიტომ საქართველოს მთავრობას უფრო ქმედითად უნდა ემოქმედა ამერიკის პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

ამ მხრივ საგულისხმოა ქართველი დიპლომატის კონსტანტინე გვარჯალაძის ერთ-ერთი წერილი ნოე ჟორდანიასადმი, რომელშიც

უოლტერ მარიონ ჩენდლერი, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, V, თბ., 2012, გვ. 285.

1 ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1926., გვ. 355.

2 Топчибашев А., Письма из Парижа. Донесения председателя делегации Азербайджанской Республики на Парижской мирной конференции (март- декабрь 1919 г.) Баку, 1998, ст. 53.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 111, ფურც. 69.

აღნიშნულია: „ამერიკა მთლად მიტოვებულია. ...მხოლოდ ლონდონის ბიულეტენებს უგზავნით ამერიკაში სენატის წევრებს და ჟურნალ-გაზეთებს. მარა ეს არ კმარა. ...ამერიკის შესახებ კარლოს (კ. ჩხეიძე, - ო. ჯ.) უკვე მოუწერია თქვენთვის. ...ამერიკაში ვინმეს გაგზავნის შესახებ ჩხენკელსაც (აკაკი ჩხენკელი, - ო. ჯ.) მოუწერია თქვენთვის.[1]

1918-1921 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ლობისტური მომსახურების სერვისი ჯერ კიდევ ნაკლებად არსებობდა. დიპლომატებისა და მთავრობის საერთო ძალისხმევის შედეგად, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მყოფმა საქართველოსა და აზერბაიჯანის სამთავრობო დელეგაციებმა ლობისტი აშშ წარმომადგენლობით ორგანოში გამონახეს. ეს იყო კონგრესმენი ნიუ-იურკიდან უოლტერ მარიონ ჩენდლერი. ჩენდლერის გარკვეული თანხის საფასურად აზერბაიჯან-საქართველოს ინტერესების დაცვისა და მათი დამოუკიდებლობის აღიარების მისაღწევად უნდა ემუშავა.[2]

საინტერესოა, რომ ამავე კონგრესმენს მინდობილი ჰქონდა ამერიკაში ბალტიის სამი რესპუბლიკის - ლიტვა-ლატვია-ესტონეთის მხარდაჭერისათვის ზრუნვაც.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივში დაცულია უ. ჩენდლერისა და პარიზის საზავო კონფერენციაზე მყოფი ქართული დელეგაციის წევრთა მიმოწერა. ჩენდლერის წერილებიდან ირკვევა, რომ იგი მონდომებით ასრულებდა ლობისტის ფუნქციას, საქართველო-აზერბაიჯანის მისწრაფებებს აცნობდა ამერიკელ სენატორებსა და კონგრესმენებს, ეწეოდა პროპაგანდას, გაზ. „ნიუ-იორკ თაიმსში“ 1920 წლის 25 დეკემბერს სტატიაც გამოაქვეყნა ბალტიის რესპუბლიკებისა და საქართველო-აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნით, ცდილობდა ამერიკის ვიზა მოეპოვებინა ზურაბ ავალიშვილისა და ზემოთ ხსენებული ა. თოფჩიბაშევისათვის და სხვა, მაგრამ ეს საქმე აღემატებოდა ერთი ადამიანის შესაძლებლობებს. ამასთან, როგორც ერთ-ერთ წერილში ჩენდლერი ამერიკიდან იტყობინებობდა, მას თურმე მუშაობაში ხელს უშლიდნენ

1 ღამბაშიძე გ., საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის ისტორიიდან (1917-1921), თბ., 1961, გვ. 29.

2 Труды института истории Азербайджана, т. XIII, Баку, 1958 г., ст. 365-368.

სომხეთის მხარდამჭერი ძალები.[1] აქვე აუცილებელია ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების სასარგებლოდ საქმიანობდა ასევე საგანგებოდ შერჩეული ფინანსური აგენტი რობინოვი, მაგრამ მას მინდობილი ჰქონდა ამ ქვეყნებისათვის მხოლოდ კრედიტის მოძიების საკითხი.[2]

ამერიკის ადმინისტრაციასთან კავშირის დამყარება უფრო იოლად შეძლო სომხეთის რესპუბლიკამ. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1919 წლის აპრილში შენიშნავდა: „სომხებმა, საზოგადოდ, გამოიჩინეს დიდი უნარი დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში საზოგადოებრივი აზრის სომხეთის სასარგებლოდ შემუშავებისა.“[3] სომხეთის დელეგაცია მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის ოვანეს ქაჩაზნუნის ხელმძღვანელობით ოპერატიულად გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. პერიოდული პრესის ცნობით, მიღებას თეთრ სახლში დაესწრნენ ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი, გარეშე საქმეთა მინისტრი, სენატორი ლოჯი და სხვ. „მოპყრობა კეთილშობილური იყო. დიდი იმედები გვაქვსო“, ატყობინებდა დელეგაცია გაზეთ „შხატავორს.“[4]

ამერიკაში მყოფმა სომხეთის წარმომადგენლებმა ხელშეკრულება დადეს ჩიკაგოს ერთ-ერთ დიდ ფირმასთან, რომელმაც სომხეთში 50 მილიონი დოლარის საქონლის გამოგზავნა ივალდებულა ფასის ნაწილობრივ გადახდით.[5] სომხეთისათვის დახმარების საკითხზე მსჯელობა გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების სენატშიც. ამერიკის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა სომხეთის რესპუბლიკისათვის 25 მილიონი დოლარის სესხის გამოყოფა.[6] მაგრამ სომხეთისათვის

1 Топчибашев А., Письма из Парижа. Донесения председателя делегации Азербайджанской Республики на Парижской мирной конференции (март- декабрь 1919 г.) Баку, 1998, ст. 55-56.

2 Топчибашев А., Письма из Парижа. Донесения председателя делегации Азербайджанской Республики на Парижской мирной конференции (март- декабрь 1919 г.) Баку, 1998, ст. 53.

3 ჯავახიშვილი ი., მოხსენება თანამედროვე მომენტზე (1919 წლის 27-28 აპრილი, საგაზეთო ანგარიში), თბ., 2009, გვ. 13.

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 31 ოქტომბერი.

5 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 8 ოქტომბერი.

6 ღამბაშიძე გ., საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის ისტორიიდან (1917-

უფრო არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალეთისაგან მოსალოდნელი აგრესიისაგან დაცვისა და მანდატის საკითხს, რის შესახებ ამერიკის ხელისუფლებას ოფიციალურადაც მიმართა.[1]

ერთა ლიგის მანდატი სამანდატო სივრცის არა მხოლოდ საერთო კონტროლს, არამედ მის სამხედრო მფარველობასაც ითვალისწინებდა. ამიტომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესში შედიოდა, რომ სომხეთზე ამერიკის მანდატს გავლენა საქართველოს ტერიტორიაზეც ჰქონოდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებას ამერიკის დახმარება უფრო სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი, კერძოდ, ფინანსური თანადგომისა და დიპლომატიური მხარდაჭერის სახით. მაგრამ აშშ-ის ხელისუფლება საქართველოს სწრაფვას თავისუფლებისაკენ იმთავითვე უნდობლად უყურებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საკუთარ ქვეყანაზე მანდატის დაწესება არ უთხოვია. „ჩვენ არა ვართ სამანდატო, საოპეკუნო ხალხი, ჩვენ ვართ ჩვენი თავის მანდატორი, ჩვენი ოპეკუნი, თავისი თავის ბატონი“ - აცხადებდა ნოე ჟორდანია საქართველოს დამფუძნებელ კრებაში გამოსვლისას.[2] იგი მანდატში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელყოფას ხედავდა, თუმცა მოელოდა, რომ სომხეთის ამერიკის მფარველობაში შესვლა საქართველოსაც გარკვეულად წაადგებოდა.

ეს მოლოდინი ამაო გამოდგა, რადგან ვილსონის გეგმა თვით აშშ-ს პოლიტიკურ წრეებშიც სრულად არ გაიზიარეს. მიუხედვად იმისა, რომ ვუდრო ვილსონმა სამშვიდობო ძალისხმევისთვის 1919 წელს ნობელის პრემია დაიმსახურა, სენატმა არ დაამტკიცა არც ვერსალის ხელშეკრულება და არც ერთა ლიგის წესდება. 1920 წლის 1 ივნისს სენატში უარყოფითად გადაწყდა ასევე სომხეთზე ამერიკის მანდატის დაწესების საკითხიც.[3]

1921), თბ., 1961, გვ. 65.

1 http://www.karabah88.ru/press2008/06/0603_mandat.html

2 ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 144.

3 Чохели А., Вопрос о мандате США на турецко-закавказские территории в американском сенате в августе и сентябре 1919 года, კრებულში - ევროპის

თუ რატომ თქვა სენატმა უარი მანდატზე, ამის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგი მიიჩნევს, რომ ამის მიზეზი მოკავშირე სახელმწიფოთა პოლიტიკური მანევრები იყო, ზოგის აზრით, ეს ამერიკაში იმ ხანად გაბატონებულმა იზოლაციონისტურმა განწყობამ განაპირობა, ნაწილი საერთაშორისო ურთიერთობებში მომხდარ ცვლილებებზე, ბოლშევიკების მიერ სამოქალაქო ომში მოპოვებულ გამარჯვებასა და აზერბაიჯანის გასაბჭოებაზე მიუთითებს და სხვ.

1920 წლის იანვარში მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ საქართველოს სუვერენიტეტი დე ფაქტოდ აღიარა. ერთადერთი დიდი სახელმწიფო, რომელიც ამის შემდეგაც თავს იკავებდა, ეცნო საქართველოს სახელმწიფოებრიობა, იყო ამერიკის შეერთებული შტატები. მან 1920 წლის 9 თებერვალს ოფიციალურად განაცხადა უარი აზერბაიჯანისა და საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზე.[1] რაც შეეხება სომხეთს, იგი აშშ-მ დე ფაქტოდ 1920 წლის 23 აპრილს აღიარა.[2]

1920 წლის 10 აგვისტოს გამოქვეყნდა აშშ სახელმწიფო მდივნის ბეინბრიჯ კოლბის პასუხი იტალიის მთავრობის შეკითხვაზე თუ როგორ აფასებს ამერიკის ხელისუფლება რუსეთ-პოლონეთის გამწვავებულ ურთიერთობას. კოლბის ნოტა პოლონეთის გარდა ეხებოდა რუსეთის ყოფილი იმპერიის ფარგლებში წარმოქმნილ სხვა პოლიტიკურ ერთეულებს, მათ შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსაც და აცხადებდა: ამერიკის შეერთებული შტატები არ იწონებს პარიზის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას ე. წ. რესპუბლიკების - საქართველოსა და აზერბაიჯანის ცნობის შესახებ. ამასთან, იზიარებდა რა რუსეთის მთლიანობის იდეას, აშშ-ის ადმინისტრაცია საერთოდ ეჭვქვეშ აყენებდა პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ საქართველოს ლტოლვის კანონიერებასაც და ცნობდა მხოლოდ ფინეთის, პოლონეთისა და სომხეთის თავისუფლებას.[3]

ისტორიის პრობლემები, თბ., 1983, III, გვ. 5.

1 Russian-Amerikan Relations, 1917-1920, p. 354.

2 Азербайджанская Демократическая Республика (1918-1920), Баку, 1998 г., ст. 6.

3 ტაბაღუა ვ., საქართველოს საკითხი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში 1917-1920 წლებში, კრებულში - საქართველოს ურთიერთობა

ბეინბრიჯ კოლბის ნოტა მას შემდეგ გამოქვეყნდა, რაც მეტროპოლიამ - რუსეთმა უპირობოდ ცნო დაშლილი იმპერიისაგან ყოფილი კოლონიის - საქართველოს ჩამოშორება და მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარა (1920 წლის 7 მაისი).

კოლბის ნოტის გამოქვეყნების გამო საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგმა ალექსანდრე ლომთათიძემ 1920 წლის 15 სექტემბერს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ტრიბუნიდან განაცხადა: „ამ რამდენიმე დღის წინათ პრესამ ვაშინგტონიდან მოსული ცნობა გაავრცელა - ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთის ძველს, რევოლუციის წინა საზღვრებში აღდგენას უჭერენ მხარსაო. თუ ეს დიპლომატიური ენის წანაცდენი, ლაპსუსი არაა, ...თუ ასეთია, მართლა, აზრი ჩრდილო-ამერიკისა, უნდა საქვეყნოდ განვაცხადოთ, რომ ეს დაცინვა, უდიდესი შეურაცხყოფაა მთელი საქართველოსი. დეე იცოდეს ყველამ, და უპირველეს ყოვლისა მთელმა საერთაშორისო დემოკრატიამ, მიაქციოს ამას ჯეროვანი ყურადღება, რომ დემოკრატიული საქართველო თავის ღირსების ახდის ნებას, სანამ ცოცხალი იქნება, არავის არ მისცემს.“[1]

კოლბის ნოტის წინააღმდეგ საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე მკაცრად გაილაშქრა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი გვაზავამაც: მისი სიტყვით, „ამერიკის ნოტა არის უარყოფა მთელი ისტორიისა ევოლუციის და უმთავრესად ომის და რევოლუციის იმ მონაპოვართა, რომელზედაც უნდა აშენდეს ახალი ევროპა, ახალი საერთაშორისო განწყობილება, დამყარებული უფლებასა და სინდისზე. ...ამერიკის ნოტით დარღვეულია ...უხეშად შელახული და უარყოფილია საქართველოს ეროვნული უფლება. იმის მაგივრად, რომ დამყარდეს უფლება და მოისპოს უხეში ძალმომრეობა ერთა შორის, ამერიკა მოითხოვს რუსეთის აღდგენას ძველ საზღვრებში. მაშ სად არის პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა, ან პატივისცემა ხელშეკრულებისა? ...ქართველ ერს და განსაკუთრებით დამფუძნებელ კრებას არ შეუძლიან არ აღი-

ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, ტ. I, თბ., 1994, გვ. 299-305.

1 საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1920 წლის 15 სექტემბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 5.

მაღლოს ხმა ამერიკის გამოსვლის წინააღმდეგ.“[1]

კოლბის ნოტა არ დარჩენილა არც ქართული პერიოდული პრესის ყურადღების მიღმა. გაზეთი „სახალხო საქმე“ თავის მოწინავეში წერდა: „ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოს, მიუხედავად მისწრაფებათა და მიზნების სხვადასხვაობისა, ბუნება ერთი აქვთ: ისინი არ დაგიდევენ ერის უფლებას, სამართლიანობას, თუკი ეს უკანასკნელი მათ პოლიტიკურ ანგარიშებსა და კომბინაციებში არ შედის. სიტყვით ისინი იღვწიან მშვიდობიანობისათვის, უფლებრივი მდგომარეობისათვის, სიმართლე-სამართლიანობისათვის და საქმით კი სრულიად საწინააღმდეგოს სჩადიან. ამის საუცხოო ნიმუშია ამერიკა, რომელიც დემოკრატიზმის სამოსელით ევლინებოდა ქვეყნიერებას და საქმით კი მოწადინებულია დაბრკოლებანი აღუმართოს ერებს საუკეთესო მომავლისათვის, ეროვნული სრულყოფისათვის სწრაფვაში.“

გაზეთის რედაქციის აზრით, „ძნელი დასაჯერია, ამერიკის მხრივ ჩვენი ქვეყნის უფლებათა უგულვებელყოფა ავხსნათ იმით, რომ ვაშინგტონის მთავრობას საკმაო ინფორმაცია არ ჰქონდა ჩვენს თაობაზე. პოლკოვნიკი ჰასკელი კარგად იცნობდა ამიერკავკასიის საქმეებს და კერძოდ საქართველოს. ამისათვის მის ხელთ საკმაო დრო, მასალა და დაკვირვებანი იყო. ალბათ არც გენერალ ჰარბორდის მოგზაურობა და მის მიერ შეკრებილი მასალა იქნებოდა დატოვებული ყურადღებლივ შეერთებული შტატების მიერ. შეიძლება ჰასკელსაც, ჰარბორდსაც და ვაშინგტონის მთავრობასაც შეუმჩნეველი დარჩათ მხოლოდ ერთი რამ - ის, რომ საქართველო, განურჩევლად მიმართულებისა და მდგომარეობისა, მზად არის ყოველის ძალით დაიცვას ერის უფლებანი და ამას ჩაიდენს მაშინაც, თუგინდ ისეთი სახელმწიფოების რისხვაც და დატუქსვაც დაიმსახუროს, როგორიც არის ამერიკა. ეს რომ სცოდნოდათ, ალბათ მაშინ ბატონ კოლბის გაუძნელდებოდა კალმის ერთი მოსმით ქართველი ერის საუკუნოებით ნაკურთხი უფლებების განიავება. ყოველ შემთხვევაში ამერიკა თავს შეიკავებდა ასეთ კატეგორიულ ფორმებში თავის მსჯავრის გამოტანის დროს.“[2]

ამერიკის შეერთებული შტატების მკვეთრად უარყოფითმა და-

1 საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1920 წლის 15 სექტემბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 10.

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., 16 ოქტომბერი.

მოკიდებულებამ ქართული სახელმწიფოს არსებობის მიმართ წყენა გამოიწვია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებშიც. იმ ხანად იტალიაში ვიზიტად მყოფი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი რომის გაზეთ „ტრიბუნისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა: „მოვალედ ვრაცხ თავს განვაცხადო ჩემი ღრმა პროტესტი ამერიკის ნოტაში გამოთქმულ საქართველოს დამოუკიდებლობის სამტრო აზრების წინააღმდეგ. ...საქართველოს დამოუკიდებლობა უდავო ფაქტია. თუ ზოგიერთი სახელმწიფო დღეს ამას ანგარიშს არ უწევს, ამა თუ იმ მოსაზრებით, ხვალ გაუწევს, ვინაიდან ასეთია პატარა, მაგრამ სულით ძლიერი ხალხის ნება.“[1]

ამერიკის ადმინისტრაცია საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას არ ცნობს, რადგანაც, თვლის რომ, საქართველო 120 წლის წინ ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს - განუმარტავდა ქართველი მინისტრი უცხოელ მკითხველს და იქვე დასძენდა: „სამართლიანად მიმაჩნია ვიკითხო: შეიწუხა კი თავი კოლბმა, რომ გასცნობოდა რუსეთთან საქართველოს შეერთების პირობებს; თუ ამის გაგებაზე მან თავი შეიწუხა, ეცოდინება, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო ურთიერთ ხასიათის ხელშეკრულება, რომელიც სახელმწიფოს სახელმწიფოსთან შეთანხმებას წარმოადგენდა. ეს ხელშეკრულება რუსეთს ავალდებულებდა საქართველოს წინაშე, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მისი ტერიტორია დაეცვა უცხოეთის საფრთხისაგან. ეს ხელშეკრულება რუსეთმა დიდი ხანია დაარღვია. ...ქართველ ხალხს დარჩა მხოლოდ ერთი საშუალება - ხელახლა შესდგომოდა თავის სახელმწიფოებრივ ცხოვრების შენებას.“ ევგენი გეგეჭკორი დარწმუნებით აცხადებდა: „როცა შეერთებული შტატები გაეცნობიან ამ ფაქტებს, აღიარებენ ჩვენს უფლებას დამოუკიდებლობაზე, როგორც სცნობდა მას რუსეთის მთავრობა და როგორც იცნობს ერთა ლიგა.“[2]

კოლბის ნოტის საპასუხოდ, საქართველოს ოფიციალურმა დელეგაციამ საფრანგეთში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ვალესს მემორანდუმი გადასცა. მასში რუსეთის იმპერიის ტერიტორი-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., 21 სექტემბერი.

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., 21 სექტემბერი.

ული მთალიანობის იდეა „უსაფუძვლო დოქტრინად“, „ძველ მექანიკურ თეორიადაა“ მოხსენიებული[1] და დასაბუთებულია სუვერენული სახელმწიფოებრივი ფორმით ცხოვრების ქართველი ერის კანონიერი უფლება.

ამერიკის შეერთებული შტატების უარყოფითი დამოკიდებულება აბრკოლებდა ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარებას, მაგრამ დაუძლეველ წინააღმდეგობას აღარ წარმოადგენდა. პრეზიდენტი ვილსონი მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოზე ძველებურად ვეღარ ზემოქმედებდა, რადგან მის მთავრობას რწმუნების ვადა ეწურებოდა. სამწუხაროდ, ვადა ეწურებოდა და საკუთარი ისტორიის ბოლო თვეებს ითვლიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც, რომელსაც ერთა ლიგამ უარი უთხრა თავის წევრად მიღებაზე. ეს არსებითად საბჭოთა რუსეთის პირისპირ მარტოდ დატოვებული ქვეყნის განწირვის ტოლფასი აღმოჩნდა. კრემლმაც აღარ დააყოვნა და 1921 წლის თებერვალ-მარტში სამხედრო აგრესიის გზით საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობას ბოლო მოუღო.

ამრიგად, 1918-1921 წლებში ამერკულ-ქართული ურთიერთობები საქართველოსათვის სასურველი მიმართულებით ვერ წარიმართა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ გაითვალისწინა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები, არ დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოს პირველ რესპუბლიკასთან, გაემიჯნა მისი დამოუკიდებლობის აღიარებას, უარი თქვა აეღო მანდატი სამხრეთ კავკასიაზეც და რეგიონში ძირითადად საქველმოქმედო საქმიანობით შემოიფარგლა. მეტი ძალისხმევა მართებდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მესვეურებსაც, რომლებმაც ამერიკის შეერთებული შტატების როლი და ადგილი თანადროულ საერთაშორისო ურთიერთობებში სათანადაოდ ვერ შეაფასეს. ქართველმა პოლიტიკოსებმა ოკეანისგაღმელი ქვეყნის ფაქტორს ნაკლები ანგარიში გაუწიეს, ვერ შეძლეს აშშ ადმინისტრაციასთან მჭიდრო დაახლოება და საქართველოთი მისი შესაბამისი დაინტერესება.

1 კირთაძე ნ., ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო, ქუთაისი, 1999, გვ. 110-111.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობა პოლონეთში

პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა სამყარო მნიშვნელოვნად შეცვალა და გადაახალისა. გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში რუსეთის იმპერიაში ინკორპორირებულ სამხრეთ კავკასიასაც შეხო. 1918 წლის მაისში აქ სამი ახალი სახელმწიფო წარმოიშვა, რომელთაგან ერთ-ერთი მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით აღიბეჭდა.

საქართველოს ისტორიულად ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტრადიცია გააჩნდა, მაგრამ ახალ რეალობაში ხელახლა აღორძინებულ ქართულ სახელმწიფოს საერთაშორისო სივრცეში თვითდამკვიდრებისათვის განსაკუთრებული ძალისხმევა დასჭირდა. სიძნელეს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. მათ შორის: 1. საქართველომ დამოუკიდებლობა გერმანიის მხარდაჭერით მოიპოვა და შეინარჩუნა. ომში დამარცხების შემდგომ გერმანიას საქართველოს დაცვისა და მფარველობის შესაძლებლობა აღარ ჰქონდა. გამარჯვებული მოკავშირენი გერმანოფილურ საქართველოს დიდი ნდობით არ უყურებდნენ; 2. ანტანტის მესვეურები საქართველოსა და კავკასიას ჯერ კიდევ რუსეთის ნაწილად განიხილავდნენ და თეთრგვარდიული მოძრაობის გამარჯვების შემთხვევაში ერჩიათ ეს რეგიონი კვლავ რუსეთის ფარგლებში ეხილათ; 3. დიდ სახელმწიფოთა გეგმებში არსებობდა ალტერნატიული ვარიანტიც, რომელიც კავკასიას არა სამ-ოთხ პოლიტიკურ ერთეულად დაშლილ მხარედ, არამედ ერთიან, განუყოფელ სივრცედ მოიაზრებდა; 4. უმნიშვნელო არც ის გარემოება იყო, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სათავეში ედგა სოციალისტური მისწრაფების ანტიიმპერიალისტური პოლიტიკური ძალა – სოციალ-დემოკრატიის სახით, რომელსაც, როგორც ხელისუფლებას, მსოფლიოში ანალოგი არ ჰქონია.

საქართველოს ახალი სახელმწიფოს დამფუძნებელ დოკუმენტში - დამოუკიდებლობის აქტში მითითებული იყო, რომ „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს.“ ამის

წინაპირობად, იმავე აქტით, საქართველო „საერთაშორისო ომიანობაში მუდმივ ნეიტრალურ სახელმწიფოდ“ გამოცხადდა. გარე სამყაროსთან მშვიდობიანი ურთიერთობის დეკლარირებული ცალმხრივი მზაობა არ კმაროდა იმისათვის, რომ საქართველოს თავი უსაფრთხოდ ეგრძნო ან ერთა საერთაშორისო ოჯახის შემადგენლობაში მიეღოთ. საჭირო იყო ახლად წარმოშობილ რესპუბლიკას ჯერ საკუთარი სიცოცხლისუნარიანობა ეჩვენებინა, ხოლო პარალელურად, მაშინდელი მსოფლიო არეოპაგის - გამარჯვებულ სახელმწიფოთა მეთაურების წინაშე თავის დამოუკიდებელი არსებობის აუცილებლობაც დაესაბუთებინა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური საქმიანობა ამ ამოცანების შესაბამისად წარიმართა. საგარეო საქმეთა სამინისტრო ქვეყნის პირველ, კოალიციურ მთავრობაშივე ჩამოყალიბდა.[1] სამინისტროს სათავეში ცნობილი სოციალ-დემოკრატი, რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრი და 1918 წლის აპრილ-მაისში ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი ჩაუყენეს. ჩხენკელის მინისტრობა 1918 წლის ნოემბრამდე გაგრძელდა. მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ, რასაც საქართველოდან გერმანული სამხედრო შენაერთების ევაკუაცია და ოფიციალური თბილისის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა მოჰყვა, აუცილებელი გახადა პროგერმანული რეპუტაციის მქონე ა. ჩხენკელის უფრო ზომიერი პოლიტიკოსით - ევგენი გეგეჭკორით ჩანაცვლება.[2]

განისაზღვრა საგარეო საქმეთა უწყების შტატი, დამტკიცდა ხარჯთაღრიცხვა და მოკლე დროში ჩამოყალიბდა სამინისტროს აპარატი. 1919 წლის მაისში საქართველოს დამფუძნებელ კრებაში შეიქმნა საგარეო საქმეთა კომისია (თავმჯდომარე სიმონ მდივანი, ფედერალისტი), რომელსაც იმავე წლის 11 ივლისიდან მუდმივმოქმედი

1 ამ მთავრობას 1918 წ. 24 ივნისამდე ნოე რამიშვილი, ხოლო შემდეგ ნოე ჟორდანია ხელმძღვანელობდა.

2 ასევე ცნობილი სოციალ-დემოკრატი, რუსეთის მესამე სახელმწიფო სათათბიროს წევრი, ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე 1917 წ. 15 ნოემბრიდან 1918 წ. 22 აპრილამდე.

კომისიის სტატუსი მიენიჭა.[1]

ქართული პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვან ნაწილს მაშინ მიაჩნდა, რომ „საგარეო პოლიტიკის საგანს წარმოადგენდა ...ახლად აღდგენილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაცვა და გადარჩენა, მისი ნაციონალური ყოფა-ცხოვრებისა და წყობილების, მისი მატერიალური და სულიერი საუნჯის გამდიდრების, აღორძინებისა და აყვავების უზრუნველყოფა.“[2] ამ ზოგადი მიზნიდან პირველი რიგის ამოცანად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის ცნობა იკვეთებოდა. საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მისი დამოუკიდებლობის აღიარებას, საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის მოპოვებას. დამფუძნებელი კრება, საგარეო საქმეთა სამინისტრო, მისი დიპლომატიური წარმომადგენლობები მიზანმიმართულად საქმიანობდნენ დასახული ამოცანის ხორცშესასხმელად.

პირველი სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ცნო, გერმანია იყო (1918 წ. 28 მაისის ფოთის ხელშეკრულება). 1918 წლის 4 ივნისს, ბათუმში, საქართველოსთან „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება“ გააფორმა ოსმალეთმაც. ეს ხელშეკრულება საქართველოსათვის იძულებითი და საზიანო იყო, მაგრამ იმავდროულად, იგი ახლად წარმოშობილი ქართული სახელმწიფოს ფაქტობრივ აღიარებასაც გულისხმობდა. კონსტანტინოპოლში საქართველოს წარმომადგენლად გრიგოლ რცხილაძე გაიგზავნა. 1918 წელს საქართველოს დიპლომატიური მისია გაიხსნა უკრაინაშიც.

ამავე პერიოდში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა სამხრეთ კავკასიაში წარმოქმნილმა მეზობელმა სახელმწიფოებმა - აზერბაიჯანმა და სომხეთმაც აღიარეს. ერთმანეთის სუვერენიტეტი დე იურე ჯერ საქართველომ და აზერბაიჯანმა ცნეს. საქართველოს მთავრობამ ოფიციალურ წარმომადგენლად აზერბაიჯანში ნიკოლოზ ქარცივაძე დანიშნა (სრულუფლებიანი ელჩის პოსტზე იგი ჯერ გერასიმე მახარაძემ, შემდეგ კი გრიგოლ ალშიბაიამ შეცვალეს).

1 საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1919 წლის 11 ივლისის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 304.

2 სარჯველაძე პ., სიმართლით აწონილი სიტყვა, პარიზი, 1975, გვ. 63.

აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლობა თბილისში მინდობილი ჰქონდა მ. ჯაფაროვს.[1] 1919 წლის მარტში საქართველომ იურიდიულად აღიარა სომხეთის, ხოლო სომხეთმა - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საქართველოს სრულუფლებინი წარმომადგენლის როლს სომხეთში სიმონ მდივანი ასრულებდა. სომხეთის დიპლომატიურ მისიას კი საქართველოში სათავეში ა. ჯამალიანი ედგა.

რაც შეეხება უფრო შორეულ გარე სამყაროს, 1919 წლის სექტემბერში საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ცნო არგენტინამ. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოებს უნდა ეთქვათ, რომელთა მეთაურები შეკრებილნი იყვნენ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ პარიზში ოფიციალური დელეგაცია მიავლიანა. დელეგაციის მეთაურმა ნიკოლოზ ჩხეიძემ კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი საქართველოს წარსულისა და თანამედროვე რეალობის მოკლე აღწერით. დოკუმენტში არგუმენტირებული იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აუცილებლობა. ამასთან, საქართველოს ხელისუფლება თხოვდა მოკავშირე სახელმწიფოებს, მხარი დაეჭირათ ქართველი ხალხის არჩევანისთვის, ეცნოთ ქართველი ერი სხვა ერთა შორის და ეღიარებინათ მისი სუვერენიტეტი.

პასუხი იგვიანებდა. მოკავშირეთა თვალთახედვით, საქართველოს საკითხის გადაწყვეტა დაკავშირებული იყო რუსეთის მომავალთან, რუსეთი კი სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო გახვეული, რომელსაც ბოლო არ უჩანდა.

სამშვიდობო კონფერენციისაგან პასუხის მოლოდინში, საქართველოს მთავრობა ცდილობდა ცალკეულ სახელმწიფოთა სახელისუფლებო წრეებთანაც ემუშავა, ოღონდ, გასათვალისწინებელი იყო ერთი სპეციფიკა: საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკისა და დიპლომატიური ეტიკეტიდან გამომდინარე, ვიდრე უცხოეთის სახელმწიფოების მიერ ახლად წარმოშობილი პოლიტიკური ერთეული აღიარებული არ იქნებოდა, მისი წარმომადგენელი ამ ქვეყნებში აგრემანს

1 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919, ст. 96.

ვერ მიიღებდა. ვერ გაიხსნებოდა ვერც ოფიციალური წარმომადგენლობები,[1] მაგრამ არსებობდა სხვა გამოცდილებაც: ცნობილია, რომ სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მიზნით, სახელმწიფოები ერთმანეთს მათი დამოუკიდებლობის აღიარების გარეშეც უკავშირდებიან. ისტორიამ იცის შემთხვევები, როდესაც ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებას განაგრძობს ძველი მთავრობის მიერ აკრედიტებული საკონსულო დაწესებულება, თუ ამას ხსენებული საკონსულოს მფლობელი სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ინტერესები მოითხოვს და სხვ.

პოლონეთმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ (1918 წ. 11 ნოემბერს) აღიდგინა და მანამდე მას რუსეთის იმპერიაში, მათ შორის არც საქართველოს ტერიტორიაზე, საკონსულო არ ჰქონია. პირველი კონტაქტები პოლონეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის უმთავრესად ეკონომიკურ ნიადაგზე აღმოცენდა. ინიციატორი პოლონური მხარე იყო.[2]

1918 წლის აგვისტოში პოლონეთის მეორე რესპუბლიკის (II Rzeczpospolita) ლიდერმა იუზეფ პილსუდსკიმ თავისი წარმომადგენლის ფუნქცია თბილისში, პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან აქ შემოხიზნულ პოლონელს, ვაცლავ ოსტროვსკის დააკისრა, რომელიც იმავე წლის 1 ოქტომბერს სამხრეთ კავკასიაში პოლონეთის მისიის მეთაურად დაინიშნა.[3] ოსტროვსკის უპირველესად იმ პოლონელთა რეპატრიაციაზე უნდა ეზრუნა, რომლებიც ომის შედეგად რეგიონში ჩარჩნენ და სამშობლოში დაბრუნებას ვეღარ ახერხებდნენ. მასვე ევა-

1 სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ფაქტობრივ აღიარებამდე მათი კონტაქტები გარე სამყაროსთან სუსტი იყო, ან, როგორც ა. თოფჩიბაშევი მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრისას აცხადებდა, სხვა ქვეყნებთან საერთოდ არ არსებობდა კომუნიკაცია. იხ. Топчибаши А. М., Парижский архив. Книга первая 1919-1921. Составители: Г.Мамулиа и Р. Абуталыбов, М., 2016, ст. 323.

2 Mądzik M., Z historii politycznych stosunków polsko-gruzińskich w latach 1918-1921, „Pro Georgia“, Warsaw, t. 1, 1991, s. 17.

3 Mądzik M., Próby nawiązania stosunków politycznych między Polską a Gruzją w latach 1918-1921, „Rocznik Lubelski“, t. 29-30, 1987-1988, s. 78. მისიის მისამართი თბილისში იყო პეტრე დიდის ქუჩის # 7 (დღევანდელი პავლე ინგოროყვას ქუჩა).

ლებოდა საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებთან საერთო ენის გამონახვა და სამომავლო სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობისათვის პირობების შემზადება. ოსტროვსკი პარალელურად თბილისში პოლონური ბანკის გახსნისა და სამრეწველო-სავაჭრო კავშირის დაფუძნებისათვისაც იღწვოდა.[1]

ვიდრე საყოველთაოდ ცნობილი გეოპოლიტიკური დოქტრინის - პრომეთეიზმის პრინციპები ამოქმედდებოდა, იუზეფ პილსუდსკიმ ჩამოაყალიბა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შეკავშირების არანაკლებ ამბიციური სტრატეგიული გეგმა. იგი ითვალისწინებდა დიდი ფედერაციის შექმნას პოლონეთის, ფინეთის, უკრაინის, ბალტიის ქვეყნების, ბელორუსიის, ჩეხოსლოვაკის, უნგრეთის, რუმინეთის, სერბეთისა და სამი სამხრეთ კავკასიური რესპუბლიკის, მათ შორის, საქართველოს შემადგენლობით. რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის ჩაფიქრებული ეს, ე. წ. „სამი ზღვის ინიციატივა“ („Three Seas Initiative“), „კომუნიზმის პოტენციალურ ალტერნატივადაც“ რომ მოიხსენიება, ძირითადად რუსეთის აგრესიის აღსაკვეთად და ბოლშევიკური რევოლუციის ძალმომრეობითი ექსპორტის შესაჩერებლად იყო გამიზნული.[2]

სამხრეთ კავკასიაში ვ. ოსტროვსკის წარგზავნის ერთ-ერთი საფუძველი აქაური რესპუბლიკების მესვეურებთან ხსენებული გეგმის განხილვა-შეთანხმების საკითხიც უნდა ყოფილიყო.[3] საარქივო მასალები მოწმობენ, რომ პოლონელი დიპლომატი ამ კუთხითაც სერიოზულ საქმიანობას ეწეოდა. 1919 წ. 28 დეკემბერს იგი ბაქოში ჩავიდა და შეხვდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის როგორც მთავრობის წევრე-

1 1919 წელს ასეთი კავშირი მართლაც შეიქმნა თბილისში.

2 1920 წ. 5 ივლისს, პოლონეთის არმიისათვის მიცემულ ბრძანებაში ი. პილსუდსკი ხაზს უსვამდა: „ვიბრძვით რა ჩვენი თუ სხვისი თავისუფლებისათვის, ჩვენ ვებრძვით არ რუს ხალხს, არამედ წყობას, რომელმაც დააკანონა ტერორი, მოსპო ყოველგვარი თავისუფლება და ქვეყანა მიიყვანა შიმშილსა და განადგურებამდე“ http://historylib.org/historybooks/Boris--Sokolov_100-velikikh-voyn/83

3 2004 წ. გამოცემულ წიგნში „პოლონეთის ისტორია“ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და მათ შორის საქართველო, ნახსენები არ არიან იმ სახელმწიფოების ჩამონათვალში, რომლებსაც პოლონეთის ჰეგემონობით ფედერაციული ბლოკი უნდა შეედგინათ. იხ. Тымовский М., Кеневич Я., Хольцер Е. История Польши. Пер. с польск. - М., 2004, ст. 401.

ბს, ისე პარლამენტის ხელმძღვანელობას.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შედგენილ ერთ-ერთ მიმოხილვაში, რომელიც 1920 წ. 20 იანვარს ბაქოდან საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე აზერბაიჯანის დელეგაციის მეთაურს ა. თოფჩიბაშევს პარიზში გაეგზავნა, აღნიშნულია, რომ ოსტროვსკის ჩასვლას მოჰყვა საუბრები რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა „ბლოკის" შესახებ. დოკუმენტის თანახმად, პოლონეთს, რომელსაც აქვს განვითარებული მრეწველობა და ჰყავს ნახევარმილიონიანი არმია, შეუძლია სათავეში ჩაუდგეს ამ „ბლოკს."[1]

ი. პილსუდსკის ხსენებული იდეის ირგვლივ, როგორც ჩანს, ინფორმაცია ჰქონია ქართულ გაზეთ „ნაციონალისტსაც". 1920 წლის 12 ოქტომბერს „უკანასკნელი ცნობების" ქრონიკაში გაზეთი აღნიშნავდა: „ფინლანდიას, პოლონეთს, რუმინეთსა და უნგრეთს შორის მოლაპარაკება წარმოებს რუსეთის საწინააღმდეგოდ შეკავშირების შესახებ."[2]

უნდა ვიგულისხმოთ, რომ პოლონეთის შეთავაზებას ბაქოსა და თბილისში დადებითად გამოეხმაურნენ. ყოველ შემთხვევაში, ვ. ოსტროვსკი თავის ერთ-ერთ მოხსენებაში მიუთითებდა: „ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთავრობები მოწადინებული არიან დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობები პოლონეთთან. ...საქართველოს უკვე დიდი ხანია, რაც გადაწყვეტილი აქვს თავისი წარმომადგენლები გაგზავნოს ვარშავაში, მაგრამ ამ საქმეს აყოვნებს ტაქტიკური მოსაზრებების გამო. ...ბოლო შეხვედრისას საგარეო საქმეთა მინისტრ გეგეჭკორთან და მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიასთან უკვე ვიგრძენი მათი აშკარა სურვილი ჩვენს ქვეყანასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებისა. ...საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის სახელმწიფოები ...უდიდესი სიმპათიებით ეპყრობიან პოლონეთს."[3]

---

1 Азербайджанская демократическая республика (1918-1920). Внешняя политика (Документы и материалы), Баку, 1998, ст. 441.

2 გაზ. „ნაციონალისტი", 1920 წ., 12 ქტომბერი.

3 Mądzik M., Próby nawiązania stosunków politycznych między Polską a Gruzją w latach 1918 – 1921, „Rocznik Lubelski", t. 29-30, 1987-1988, s. 79; ასევე, გრიშიკაშვილი ა. ქართველები პოლონეთში, თბ., 2008, გვ. 31.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისათვის პოლონეთთან და სხვა მოსაზღვრე სახელმწიფოებთან თავდაცვით კავშირში საქართველოს შესვლის წინადადება არ ყოფილა მიუღებელი. ცოტა მოგვიანებით, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს პოლონეთში ურჩევდნენ კიდეც, რომ ასეთი განცხადება შეიძლებოდა გაკეთებულიყო, მაგრამ თვით კავშირის აქტის საბოლოო გაფორმება უნდა დარჩენილიყო მთავრობის პრეროგატივად.[1]

სავსებით შესაძლებელია, ვ. ოსტროვსკის წამოწყებული საქმის გაგრძელებად მივიჩნიოთ ლეო კერესელიძის ცნობა, რომ იგი 1920 წ. ზაფხულში, საქართველოს მთავრობის თანხმობითა და საფრანგეთის სამხედრო მისიის ხელშეწყობით, გაემგზავრა პოლონეთში, „რათა პოლონეთისათვის მიგვეცა 300-400 ქართველი ოფიცერი.“[2] არა მაქვს ზუსტი ინფორმაცია, მოხერხდა ეს თუ ვერა. ერთი ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, „პოლონეთში მყოფ ქართველობას განუზრახავს ქართველებისაგან ლეგიონების შედგენა ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად.“[3]

1920 წლის 14 ოქტომბრით დათარიღებული, ლეო კერესელიძის წერილის მიხედვით (წერილი გაგზავნილია ვარშავიდან ჟენევაში), ისე ჩანს, რომ ქართველი ოფიცრობა პოლონეთში არ უნდა გაეგზავნათ. ლ. კერესელიძე წერდა: „დავბრუნდი გალიციიდან და ვარშავიდან. თუმცა ძალიან სურთ იქ ქართველი ოფიცრები, მაგრამ იმისთანა პირობებია რომ, ჩემი აზრით, შეუძლებელია ჩემთვის რომელიმე ოფიცერს ურჩიო იქ წასვლა. ზამთარში საშინელი ტიფი და სხვა ეპიდემიები ასობით ხოცავს ოფიცრობას. ამას დაუმატეთ სიცივე, უქონლობა ტანისამოსისა და სხვა. გარდა მაგისა, ჩემის აზრით, ვერ შეძლებენ ისინი კონსპირაცია შეინახონ, ხმა გავარდება, რომ იქ ქართველი ოფიცრობაა და ეს ჩვენ მტრებს საბუთს მისცემს ჩენ ქვეყანას რამე შარი მოსდონ. ყოველივე ამან ძალიან შემაფიქრიანა და ვარჩიე ისევ

1 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 404, ფურც. 6.

2 ლეო კერესელიძის CURRICULUM VITAE, გ. მამულიას პუბლიკაცია, ჟურნ. „თანამემამულე“, ლონდონი, 2007, # 3(24), გვ. 16.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 393, ფურც. 93.

განზე გავმდგარიყავ."[1] თუმცა, წერილის ბოლოს კერესელიძისავე მინაწერი - „პეტლიურასთან ბევრი ქართველი ოფიცრები მსახურობენ", მაფიქრებინებს, რომ ქართველ ოფიცერთა გარკვეულ რაოდენობას მოუხერხებია იმხანად ი. პილსუდსკისთან ალიანსში მყოფ ს. პეტლიურას შენაერთებში მოხალისეებად მონაწილეობა.

პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოსადმი იმთავითვე კეთილგანწყობა არსებობდა. „ბოლო დროს პოლონელები ჩვენს მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ." დაინიშნა სპეციალური მისია ბ-ნ ფილიპოვიჩის მეთაურობით. მისია, რომლის მუდმივი ადგილსამყოფელი იქნება თბილისი, პოლონეთის რესპუბლიკას წარმოადგენს ჩვენთან, აზერბაიჯანსა და სომხეთში. მისია კავკასიაში გამოემგზავრება მიმდინარე წლის იანვრის ბოლოს. მე გავეცანი მისიის ყველა წევრს და მივაწოდე ინფორმაცია საქართველოს შესახებ, - იტყობინებდა უკრაინაში საქართველოს სამხედრო ატაშე, კაპიტანი ა. სვანიძე 1920 წლის 13 იანვარს.[2]

ეს ინფორმაცია სრულად შეესაბამებოდა სინამდვილეს. ვარშავაში მართლაც ჩამოყალიბდა სამხრეთ კავკასიაში გამოსაგზავნი დელეგაცია, რომლის ხელმძღვანელობა ტიტუს ფილიპოვიჩს მიენდო.[3]

იუზეფ პილსუდსკის უახლოესი თანამებრძოლი, ტიტუს ფილიპოვიჩი გამოცდილი დიპლომატი და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილეც იყო.[4] მას, როგორც პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრს, ნაცნობობა აკავშირებდა ქართველ სოციალ-დემოკრატებთან - იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებთან,

---

1 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 398, ფურცლ. 6.

2 Мамулиа Г., От Тифлиса до Киева и Варшавы. Из истории кавказско-украинского сотрудничества в рамках движения «Прометей» (1918-1926). http://nowyprometeusz.pl/от-тифлиса-до-киева-и-варшавы-из-исто/

3 Materski W., Misya Tytusa Filipowicza w Tbilisi (kwiecien 1920 r.), „Pro Georgien", Warsaw, t. 2, 1992, s. 26-29.

4 ტ. ფილიპოვიჩი შემდეგში იყო პოლონეთის დიპლომატიური წარმომადგენელი საბჭოთა რუსეთში (1921 წ.), ელჩი ფინეთში, აშშ-ი; მოგვიანებით ჩამოაყალიბა პოლონეთის რადიკალური პარტია, ასევე, პოლონეთის დემოკრატიული პარტია, იყო პოლონეთის ეროვნული საბჭოს წევრი, 1949-1951 წწ. ასრულებდა პოლონეთის პრეზიდენტის ფუნქციებსაც. გარდაიცვალა 1953 წ. ლონდონში. http://nowyprometeusz.pl/tag/tytus-filipowicz/

რომლებიც ახლა სათავეში ედგნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ვიდრე ტ. ფილიპოვიჩის მისია თბილისში გამოემგზავრებოდა, მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ 1920 წლის 10 იანვარს საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დე ფაქტო ცნობის გადაწყვეტილება მიიღო. ამან პოლონეთის ხელისუფლებას გაუადვილა განესაზღვრა საკუთარი დამოკიდებულება სამხრეთ კავკასიის ამ ორი რესპუბლიკისადმი. პოლონეთის სურვილს - ეთანამშრომლა მათთან, ანტანტის მესვეურთა მხრიდან წინააღმდეგობა არ მოჰყოლია. 1920 წლის 18 იანავარს, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სტანისლავ პატეკი პარიზში შეხვდა საზავო კონფერენციაზე ქართული და აზერბაიჯანული დელეგაციების მეთაურებს ნიკოლოზ ჩხეიძესა და ალი მარდან ბეკ თოფჩიბაშევს. საუბარი მათი ქვეყნების სამომავლო თანამშრომლობის საკითხებს შეეხო.

1920 წლის 24 მარტით დათარიღებულ ნოტაში პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სტანისლავ პატეკი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკოს წერდა: „ბ-ნო მინისტრო! პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ პოლონეთის მთავრობა მზად არის ცნოს საქართველოს მთავრობა, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია „დეფაქტო“ იმ დრომდე, სანამ საზავო კონფერენცია არ იცნობს ხალხთა სურვილთან შეთანხმებულ „სტატუსს“ საქართველოს მიმართ.“

ნოტაში ასევე, აღნიშნული იყო: „პოლონეთის მთავრობას მტკიცეთა სწამს, რომ ამ ორ ქვეყნის საერთო ინტერესები ისე, როგორც ურთიერთსიმპათიები, ახლო მომავალში საქართველოსა და პოლონეთს შუა მეგობრულ კავშირს დაამყარებს. ამ მიზნით პოლონეთის მთავრობა მოხარული იქნება ვარშავაში მიიღოს საქართველოს წარმომადგენელი, რათა ამით დაამტკიცოს თავისი სიმპათია. პოლონეთის მთავრობამ ეხლახან მინისტრ ტიტ. ფილიპოვიჩის თავმჯდომარეობით დანიშნა საგანგებო მისია, რომელიც ახლო ხანში წამოვა ტფილისს, რათა მეგობრული დამოკიდებულება დაამყაროს. გთხოვთ კეთილმეგობრულათ მიიღოთ ზემოაღნიშნული მისია.“[1]

1 Газ. „Борьба“, 1920 г. 25 марта; Materski W., Gruzja i wielkie mocarstwa (1919-1921),

თბილისში ჩამოსული პოლონეთის დიპლომატიური მისიის მეთაური შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი გეგეჭკორს[1] და გადასცა რწმუნების სიგელი.[2] მისია ეწვია ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელ კრებას, სადაც პოლონელ სტუმრებს გულთბილად მიესალმა კრების თავმჯდომარის მოადგილე ექვთიმე თაყაიშვილი.[3] ტ. ფილიპოვიჩი აქტიურად შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. პოლონური პირველწყაროების თანახმად, 1920 წლის აპრილის დამდეგს, პოლონეთ-საქართველოს მოლაპარაკების პროცესში, მხარეებს შეუმუშავებიათ და შეუთანხმებიათ ორი ქვეყნის სამხედრო კავშირის პროექტი. კერძოდ, მიუღიათ ოპერატიული თანამშრომლობის, ასევე, პოლონეთის მხრიდან ქართული არმიისათვის შეიარაღებისა და საბრძოლო აღჭურვილობის მიწოდების გეგმა.[4]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია თვითონაც გაეგზავნა დიპლომატიური მისია პოლონეთის რესპუბლიკაში. ამ დროისათვის ვარშავში, მისამართზე ul. Nowy Sviat 17, უკვე არსებობდა საქართველოს კომიტეტი პოლონეთში, რომელსაც სათავეში მისი დამფუძნებელი, ინჟინერი, ჟურნალისტი და პოეტი სერგო ყურულიშვილი ედგა.[5] კომიტეტი ეხმარებოდა პოლონეთში მყოფ ქართველებს სამშობლოში დაბრუნებაში, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გზით ეწეოდა საქართველოს პოპულარიზაციას და ცდილობდა ხელი შეეწყო ორ ქვეყანას შორის სავაჭრო

Warszawa, 1990, s. 76; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 25 მარტი; გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 25 მარტი.

1 Газ. „Борьба“, 1920 г. 4 апреля.

2 Furier A., Polacy w Gruzji, Warszawa, 2010, s. 369.

3 საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1920 წ. 2 აპრილის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 9.

4 Mądzik M., Próby nawiązania stosunków politycznych między Polską a Gruzją w latach 1918-1921, „Rocznik Lubelski“, t. 29-30, 1987-1988, s. 84; ასევე, კარაბინი რ., პრომეთეიზმი. 1918-1921 წლების პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში კავკასიელი ხალხების მონაწილეობა, ჟურნ. „ახალი პოლონეთი“ (სპეციალური ნომერი ქართულ ენაზე), თბ., 2001, გვ. 94.

5 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 398, ფურც. 3; ასევე, Kuruliszwili S. (młodszy): Z rodzinnych wspomnień o Sergo Kuruliszwili. „Pro Georgia“, Warsaw, t. 1, 1991, s. 45-51.

და პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებისათვის.[1]

შეიძლებოდა დიპლომატიური წარმომადგენლობა ს. ყურულიშვილისათვის მიენდოთ, მაგრამ, როგორც ერთი ოდნავ მოგვიანო ხანის საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, ამის წინააღმდეგი მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ყოფილა. აკაკი ჩხენკელისამი მიწერილ წერილში იგი მიუთითებდა: ყურულიშვილი „მხოლოდ პროპაგანდისტად უნდა გამოვიყენოთ, წერა იცის და ლაპარაკი პოლონურათ.“[2]

არჩევანი სხვაზე შეჩერდა. 1920 წლის ზაფხულისათვის უკვე დამტკიცდა მისიის ხელმძღვანელი და მრჩეველი. „წარმომადგენლობას ვგზავნით პოლონეთში, ქ. ვარშავაში, რომელსაც დაეკისრება აგრეთვე დიპლომატიური ურთიერთობის წარმოება ლატვიასთან, ესტონეთთან, ლიტვასთან და ფინლანდიასთან. სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშნულია გიორგი დიმიტრის ძე სიდამონ-ერისთავი, მრჩევლად – ვლადიმერ ბაქრაძე, - აცნობებდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კონსტანტინე საბახტარაშვილი დიპლომატიურ წარმომადგენელს ბერნში მიხეილ სუმბათაშვილს 1920 წლის 31 ივლისს.[3]

გიორგი სიდამონ-ერისთავი (1865-1953) პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასრულების შემდგომ ხანგრძლივად ცხოვრობდა და, როგორც ადვოკატი, საქმიანობდა პეტერბურგში. მოლიბერალო ქართველი თავადი ცნობილი იყო ასევე თავისი ქველმოქმედებითა და მეცენატობითაც. იმპერიის მასშტაბით გახმაურებული საქმეებიდან იგი იყო ჯავშნოსან „პოტიომკინის“ აჯანყებულ მეზღვაურთა სასამართლო პროცესის მონაწილე.[4]

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გ. სიდამონ-ერისთავი სათავეში ედგა საზოგადოებრივი პოლიციის საქმეთა და მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის დროებით სამმართველოს, პარალელურად, იყო რუსეთის ადვოკატთა

---

1 ვოჟნიაკი ა., ვარშავის ქართული ემიგრაცია, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2014, # 2, გვ. 39.

2 ჭუმბურიძე დ., ზოგიერთი დეტალი საზღვარგარეთ 1924 წლის აჯანყების გამოძახილისა და ქართული ემიგრაციის თვალსაზრისის შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2015, # 1 (16), გვ. 111-112.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 393, ფურც. 85; 90.

4 Деятели России: 1906 г. / Ред.-изд. А.М. Шампаньер. Санкт-Петербург, 1906, ст. 242.

კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე. რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და დაინიშნა სოხუმის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარედ.

ზუსტად არ არის ცნობილი გიორგი სიდამონ-ერისთავის პარტიული კუთვნილება საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ,[1] თუმცა ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება არც მივანიჭოთ. ცნობილია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიები - უცხოეთის ქვეყნებში არსებული საელჩოები თუ წარმომადგენლობები, მმართველი სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობის წევრთა გარდა ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებსაც ებარათ.[2]

საქართველოს მთავრობის დადგენილებით გადაწყდა, რომ პოლონეთში გასაგზავნი დიპლომატიური მისიის საჭიროებისათვის გამოეყოთ ერთი მილიონი მანეთი. დადგენილების შესაბამისად, დამფუძნებელ კრებას წარედგინა სათანადო დეკრეტი და ეთხოვა მისი დამტკიცება.[3]

ვარშავაში მიმავალი წარმომადგენლობის წევრები, საქართველოში სტუმრად მყოფ მეორე ინტერნაციონალის დელეგაციასთან ერთად, 1920 წლის 28 სექტემბერს თბილისიდან მატარებლით ბათუმში გაემგზავრნენ,[4] საიდანაც 29 სექტემბერს გემით ევროპისაკენ დაიძრნენ.[5] მისია ადგილზე მხოლოდ ორი კვირის შემდეგ, 1920 წლის 14 ოქტომ-

1 რუსეთში იგი შედიოდა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიაში. იხ. https://www.wikidata.org/wiki/Q4418706

2 მემარჯვენე ოპოზიციის წრიდან იყვნენ მიხეილ წერეთელი (წარმომადგენელი სკანდინავიის ქვეყნებში), მიხეილ სუმბათაშვილი (წარმომადგენელი შვეიცარიაში), გრიგოლ ალშიბაია (ელჩი აზერბაიჯანში), გიორგი მაჩაბელი (წარმომადგენელი იტალიაში), დიპლომატები ზურაბ ავალიშვილი, დავით ღამბაშიძე და სხვ. მემარცხენე ოპოზიციას განეკუთვნებოდნენ ფედერალისტები სიმონ მდივანი (ელჩი ჯერ სომხეთში, შემდეგ თურქეთში), გრიგოლ რცხილაძე (წარმომადგენელი კონსტანტინოპოლში), არისტო ჭუმბაძე (წარმომადგენელი შვედეთსა და ნორვეგიაში მ. წერეთლის შემდეგ), ანდრია დეკანოზიშვილი (იგზავნებოდა წარმომადგენლად არგენტინაში) და სხვ.

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 1 აგვისტო.

4 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 393, ფურც. 98.

5 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა», 1920 წ., 30 სექტემბერი.

ბერს ჩავიდა.[1]

ვარშავაში გამგზავრების წინადღეს, 1920 წლის 27 სექტემბერს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ მიიღო პოლონეთში საქართველოს წარმომადგენლად დანიშნული გიორგი სიდამონ-ერისთავი და მისიის პირველი მრჩეველი ვლადიმერ ბაქრაძე.[2] შესაძლოა, ეს იმითაც აიხსნას, რომ ამ დროს ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ევროპაში იმყოფებოდა და ახლად დანიშნული დესპანი უშუალოდ მისგან ინსტრუქციას ვერ მიიღებდა. სავარაუდოდ, შეხვედრები იქნებოდა საგარეო უწყების სხვა პასუხისმგებელ პირებთან, მაგრამ, როგორც ჩანს, მთავრობის თავმჯდომარემ აუცილებლად მიიჩნია საქართველოდან ცენტრალურ ევროპის სივრცეში მივლენილ ქართველ დიპლომატებს პირადად შეხვედროდა და მათთვის გარკვეული მითითებები მიეცა.

ქართულ მისიას მიმღებ ქვეყანაში სერგო ყურულიშვილისა და საქართველოს კომიტეტის სახით თავისი მეგზური ხვდებოდა. „ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით დელეგაციის ჩამოსვლას, ვინაიდან საჭირო იყო და არის ბევრი საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა პოლიტიკურ მხრივ, რაიცა კომიტეტს არ შეეძლო, ვინაიდან ამის დავალება არა ჰქონია მთავრობისაგან. გვაქვს იმედი, რომ კომიტეტი შემდეგშიც იქნება გამოსადეგი დელეგაციისათვის და მათთან კონტაქტში ვიმუშავებთ," - წერდა ს. ყურულაშვილი რომში ჩასულ და ვარშავისაკენ მიმავალ დიპლომატიურ წარმომადგენლობას.[3]

სწორედ კომიტეტის შენობაში დაიდო ბინა საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ, რომელიც სულ 4 ადამიანისაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ: გიორგი სიდამონ - ერისთავი - სრულუფლებიანი წარმომადგენელი; ვლადიმერ ბაქრაძე - მრჩეველი; ნიკოლოზ ფერნაძე - ატაშე და სერგო ყურულიშვილი, რომელიც საელჩოს მდივნად

1 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, ფონდი 1864, საქმ. 424, ფურც. 35.

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წ., 29 სექტემბერი; გაზ. „სახალხო საქმე", 1920 წ., 29 სექტემბერი.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 424, ფურც. 33.

დაინიშნა.[1]

წარმომადგენლობის წევრები (ს. ყურულიშვილის გარდა) ვარშავაში, სასტუმრო ''De Saxe"-ში ცხოვრობდნენ. სასტუმროების ეს ცნობილი ქსელი პოლონეთში 1847 წლიდან არსებობდა და მდებარეობდა მისამართზე Ulica Kozia #3, 5, 8 და 12, ასევე, Krakowskie Przedmieście # 37 და 39.

მისიას თავისი მიზანი ასე ჰქონდა გააზრებული: კეთილმეგობრული განწყობილების დამყარება, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების განმტკიცება პოლონეთსა და საქართველოს შორის, ასევე, ძალისხმევა პოლონეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე იურედ აღიარებისათვის.[2]

დიპლომატიურ მისიას მიეცა სპეციალური ინსტრუქცია,[3] რომელშიც პოლონეთის რესპუბლიკასთან ურთიერთობის საკითხების გარდა, განსაკუთრებით იყო გამოკვეთილი, როგორი პოზიცია უნდა ჰქონოდა წარმომადგენლობას საბჭოთა რუსეთის მიმართ. მისიას უნდა ეხელმძღვანელა დებულებით: საქართველოსა და პოლონეთის ინტერესები საერთოა ორივე მათგანის სუვერენობის დაცვის საკითხში, თუ მას რაიმე საფრთხე დაემუქრება, საქართველო იმოქმედებს პოლონეთთან კოორდინაციით.

ინსტრუქცია მისიას საბჭოთა რუსეთთან ფრთხილ დამოკიდებულებას ურჩევდა. ხაზგასმული იყო, რომ წარმომადგენლობის არც ერთი ნაბიჯი, არც ერთი განცხადება პრესითა თუ ნოტით არ უნდა შეიცავდეს მტრულ განწყობას საბჭოთა რუსეთისადმი, რომელსაც საქართველო განიხილავს, როგორც სახელმწიფოს, რომელთანაც იმყოფება ხელშეკრულებით ურთიერთობებში. წარმომადგენლობა არ უნდა ჩარეულიყო პოლონეთ-რუსეთის ურთიერთობის საკითხებში.

მისიას ეძლეოდა კონკრეტული დავალებაც, კერძოდ, მას უნდა ემუშავა საქართველოს დე იურედ აღიარების მისაღწევად. ინსტრუქ-

1 მისიაში მოხელედ მიუწვევიათ ასევე, ვარშავაში მცხოვრები ივანე ყურულიშვილი. იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 424, ფურც. 35.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 424, ფურც. 35.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 404, ფურც. 5- 6.

ცია განმარტავდა: პოლონეთი დაინტერესებულია საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობით და იგი ამ საქმეში უნდა დაგვეხმაროს. მას შეუძლია საგანგებო პუნქტი შეიტანოს რუსეთთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში,[1] რისი დასაბუთებაც ძნელი არ იქნება. პოლონეთს ჯერაც არ უღიარებია საქართველო და საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულებით შეუძლია აღიაროს იგი.[2]

გ. სიდამონ-ერისთავმა აკრედიტაციის მიღებისთანავე დაიწყო მუშაობა ამ დავალების შესასრულებლად. იგი არაერთგზის შეხვდა პოლონეთის საგარეო საქმეთა უწყების მაღალი თანამდებობის მოხელეებს, ესაუბრა პირადად მინისტრ ევსტაჰი საპიეჰასაც,[3] მაგრამ პოლონეთ-რუსეთის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება რიგაში იმაზე ადრე დაიდო (1920 წ. 12 ოქტომბრი), ვიდრე საქართველოს მისია ვარშავაში ჩავიდოდა. რაც შეეხება საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის საზავო ხელშეკრულებას, მასი ხელი იმ დროს მოეწერა (1921 წ. 18 მარტი), როდესაც წითელ არმიას უკვე ოკუპირებული ჰქონდა საქართველო და ხელშეკრულებაში საქართველოს შესახებ პუნქტის შეტანა გამორიცხული იყო.

ცნობილია, რომ 1920 წლის დეკემბერში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთა ლიგაში მიღების საკითზე ხმის მიცემისას, პოლონეთის წარმომადგენელმა იგნაცი იან პადერევსკიმ[4] თავი შეიკავა. ამ საკითხის გამო გ. სიდამონ-ერისთავი შეხვდა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ე. საპიეჰას, რომელმაც ქართველ დიპლომატს ასეთი განმარტება მისცა: ჩვენი წარმომადგენელი მოქმედებდა

---

1 ალბათ, 1918 წ. 27 აგვისტოს, ბერლინში, რუსეთსა და გერმანიას შორის ხელმოწილი ბრესტის ზავის დამატების ანალოგიურად, როდესაც საბჭოთა რუსეთმა თანხმობა განაცხადა, რომ გერმანიამ იცნო საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი. იხ. ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ. 146.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 404, ფურც. 6.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 447, ფურც. 14.

4 ი. პადერევსკი - ცნობილი პოლონელი პიანისტი, კომპოზიტორი და პოლიტიკური მოღვაწე. 1919 წ. იყო პოლონეთის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი, 1920-1921 წწ. - პოლონეთის წარმომადგენელი ერთა ლიგაში.

გარემოების შესაბამისად. იგი ასე მოიქცა ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებთან წინასწარი შეხვედრის შემდეგ და არ შეეძლო ემოქმედა მათი მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რადგან პოლონეთისათვის ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა მოკავშირეთა ნებაზეა დამოკიდებული.[1]

ს. საპიეჰა ჩენი აღიარების მომხრეა, უმჯობესად მიაჩნია, თუ ეს აღიარება კოლექტიურად მოხდება და დამპირდა, რომ პარიზსა და ლონდონში ვიზიტისას შეეცდება ყურადღება გაახვილოს საქართველოს საკითხზე, - აცნობებდა გ. სიდამონ-ერისთავი საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს.[2]

მართლაც, როგორც კი მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ 1921 წლის 27 იანვარს მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულად აღიარების გადაწყვეტილება, მას მეორე დღესვე შეუერთდა პოლონეთის რესპუბლიკაც. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. საპიეჰას ოფიციალური წერილი გ. სიდამონ-ერისთავისადმი საქართველოს იურიდიულად აღიარების თაობაზე დათარიღებულია 1921 წლის 28 იანვრით. წერილში აღნიშნულია: „პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ პოლონეთის სახელმწიფოს მეთაურმა, მინისტრთა საბჭოსთან მოთათბირების შემდეგ, გადაწყვიტა საბოლოოდ ეღიარებინა საქართველოს რესპუბლიკა როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.

მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ამ აქტით საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკებს შორის არსებული გულწრფელი მეგობრობა და ურთიერთგაგება ამიერიდან უფრო მყარი და მტკიცე გახდება.“

იმავე წლის 31 იანვარს გ. სიდამონ-ერისთავმა მინისტრ საპიეჰას მადლობის წერილით უპასუხა, რომელშიც ნათქვამია: „თავს ბედნიერად ვთვლი, რომ შემიძლია ჩემი მთავრობისა და ქართველი ერის სახელით, პოლონეთის მთავრობისა და პირადად თქვენი ბრწყინვალებისადმი გამოვხატო უღრმესი მადლიერება გულწრფელი დამო-

1 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 447, ფურც. 14.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 447, ფურც. 15.

კიდებულებისა და ჩემი სამშობლოს მორალური მხარდაჭერისთვის. ჩვენ ყოველთვის მოველოდით პოლონეთის მხრიდან იმ გრძნობებს, რომლებიც გამოვლინდნენ სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებაში.

ჩემი მხრივ, მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ამ ლეგიტიმური და სამართლიანი აქტის შედეგად პოლონეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის კავშირები ამიერიდან კიდევ უფრო მჭიდრო და გულთბილი გახდება.“[1]

საქართველოში პოლონეთის წარმომადგენლობის მინდობილობით ვ. ოსტროვსკიმ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას შემდეგი მილოცვით მიმართა: „გულითადი სიხარულით შევხვდი მთელი ქვეყნის მიერ თქვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის ამბავს. მიიღეთ ჩემგან პოლონელი ხალხის სახელით გულწრფელი მოლოცვა ამ ღირშესანივი მოვლენის გამო. გისურვებთ თქვენ და თქვენი საუცხოო ხელმძღვანელობით მთელ მოძმე ქართველ ხალხს, რათა საქართველოს სახელოვან ისტორიაში კაცობრიობის საკეთილდღეოდ კვლავ ჩაწერილიყოს საუცხოო ფურცლები.“[2]

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას პოლონეთში დიდხანს არ უმოღვაწია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1920 წლის 23 სექტემბერს დაადგინა დაეხურათ მისიები ბერნში, ლონდონში, რომსა და ვარშავაში.[3] ამის შესახებ ევგენი გეგეჭკორი ჯერ 14 დეკემბერს, შემდეგ კი 1921 წლის 11 იანვარს, ოფიციალურად ატყობინებდა გ. სიდამონ-ერისთავს.[4] ამასთან, ურჩევდა კონსულად თუ მოისურვებდა თვითონვე დარჩენილიყო ან გამოეძებნა შესაფერისი კანდიდატი, თუნდაც პოლონელთა შორის, ვინც ანაზღაურების გარეშე დაინიშნებოდა ამ თანამდებობაზე და შეძლებ-

1 Archiwum Główne Akt Dawnych w Warszawie (AGAD), Ministerstwo Spraw Zagranicznych # 6676, p. 296-297.

2 გაზ. „ერთობა“, 1921 წ., 1 თებერვალი; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., 1 თებერვალი.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 424, ფურც. 27.

4 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 446, ფურც. 7-8, 11.

და, დაეცვა საქართველოს ინტერესები პოლონეთში.

წარმომადგენლობების დახურვის გადაწყვეტილება ორი ძირითადი ფაქტორით იყო განპირობებული. 1. ეკონომიკური მოსაზრებით და 2. საერთაშორისო დონეზე მიღწეული დამოუკიდებლობის ფაქტობრივი აღიარების შემდეგ შეიძლებოდა შეეცვალათ უცხოეთში აგიტაცია-პროპაგანდისტული მუშაობის ხასიათი და შეემცირებინათ წარმომადგენლობის შტატებიც.

მთავრობის გადაწყვეტილება სრულად გაიზიარა უცხოეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელთა თათბირმაც, რომელიც 1920 წლის 27 სექტემბერს, პარიზში, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ქართული დელეგაციის მეთაურის, ნ. ჩხეიძის ხელმძღვანელობით გაიმართა.[1] საქართველოს ბოლშევიკურმა ოკუპაციამ და დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ემიგრაციაში გახიზვნამ ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავე და ქტუალური გახადა.

გ. სიდამონ-ერისთავი სთავაზობდა ე. გეგეჭკორს, დავნიშნოთ ვინმე როგორც „Charge d'Affares" და მას დავაკისროთ კონსულის მოვალეობაო,[2] მაგრამ, როგორც ჩანს, მინისტრი არ დათანხმდა. ამიტომ 1921 წლის 12 თებერვალს მან ვარშავაში საპატიო კონსულობა პოლონეთის მოქალაქეს ედმუნდ ფრიკეს შესთავაზა, რომლისაგანაც თავაზიანი თანხმობა მიიღო.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სათანადო განკარგულებამდე, ე. ფრიკე ინიშნებოდა საპატიო კონსულის მოვალეობის დროებით შემსრულებლად, ანაზღაურების გარეშე. კონსულის დასამტკიცებლად აუცილებელი იყო პოლონური მხარის თანხმობაც. და-

1 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 424, ფურც. 11-25. მთავრობის მიერ შემუშავებული კანონპროექტი დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა გადასცა საგარეო საქმეთა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიებს. შტატების შემცირება მოიწონა საქართველოს სახელმწიფო კონტროლმაც. საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ეს დოკუმენტი და მოამზადა კანონპროექტი დამფუძნებელი კრების პლენარულ სხდომაზე გასატანად. იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 1, საქმ. 55, ფურც. 1-10.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 447, ფურც. 34.

მტკიცების შემთხვევაში ე. ფრიკე იქნებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი წარმომადგენელი და უფლება ენიჭებოდა დაეცვა საქართველოს მოქალაქეთა ინტერესები პოლონეთში.[1]

ჯერ-ჯერობით დაუდგენელია, რა უფლებამოსილება მიანიჭა ე. ფრიკეს საქართველოს ემიგრაციულმა მთავრობამ ან საგარეო საქმეთა სამინისტრომ. არ არის მიკვლეული ეგზეკვატურაც - ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდეს, რომ პოლონეთის მთავრობამ იგი სცნო საქართველოს კონსულად. მაგრამ არსებობს თვით ე. ფრიკეს წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ იგი გ. სიდამონ-ერისთავის შეთავაზებას სიამოვნებით შეხვდა.[2]

ვიდრე ვარშავას დატოვებდა, გ. სიდამონ-ერისთავმა კიდევ ერთი კონსული შეარჩია. მან ამ თანამდებობაზე რიგაში გ. მაჭუტაძე დაინიშნა, თვითონ კი საფრანგეთში გაემგზავრა,[3] სადაც უკვე დაედო ბინა ემიგრაციაში გახიზნულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და პოლიტიკურ ელიტას. ემიგრირებული მთავრობის 1921 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით, გ. სიდამონ-ერისთავს მიეცა ორი თვის დახმარება საერთო ოდენობით - 6 ათასი ფრანკი.[4]

საყურადღებოა პოლონეთში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის გიორგი სიდამონ-ერისთავის დიპლომატიური რანგის გარკვევა. ამის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთ პუბლიკაციაში იგი ელჩად, ზოგიერთში კი დიპლომატიურ წარმომადგენლად მოიხსენიება. ხსენებულ თანამდებობაზე მოღვაწეობისას მას მიმართავდნენ ან, როგორც „საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს პოლონეთში“ და ან კიდევ,

---

1 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 447, ფურც. 24-25.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 447, ფურც. 23. ე. ფრიკე ცხოვრობდა მისამართზე: Warszawa, ul. Stuzewska # 3, log. 3.

3 გ. სიდამონ-ერისთავი დარჩა ემიგრაციაში, ცხოვრობდა საფრანგეთში, გარდაიცვალა გრენობლში 1953 წელს.

4 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 447, ფურც. 38.

„საქართველოს წარმომადგენელს პოლონეთში.“ ამასთან, ბეჭედს, რომელსაც გ. სიდამონ-ერისთავი პოლონეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით იყენებდა, აწერია: „საქართველოს დემ. რესპ. დიპლომატიური საელჩო პოლონეთში“,[1] ხოლო ოფიციალურ სახელმწიფოგერბიან ბლანკს კი „საქართველოს საელჩო პოლონეთში.“[2] არც თუ იშვიათად ქართულენოვან ოფიციალურ წერილებს გ. სიდამონ-ერისთავი ხელს აწერდა როგორც „ელჩი“, ხოლო ფრანგულენოვანს – ''Ministre Plenipotentaire et Envoye Estraordinaire de la Respubique Georgie en Polgone.“[3]

ფლობდა თუ არა გიორგი სიდამონ-ერისთავი ისეთ უმაღლეს დიპლომატიური რანგს, როგორიცაა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი?

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ არსებობდა კანონი „დიპლომატიური სამსახურის შესახებ,“ რაც იოლად მოჰფენდა ნათელს ჩვენთვის საინტერესო საკითხს. ახლად შექმნილ რესპუბლიკას არც გამოცდილი დიპლომატები ჰყოლია და არც მათი საგანგებო მომზადების რაიმე კერა გააჩნდა. დიპლომატიური სამსახურისათვის შერჩეულ პირს საგარეო საქმეთა სამინისტრო რანგს თანამდებობის შესაბამისად ანიჭებდა ან უცვლიდა. მაგალითად, ცნობილია, რომ გიორგი მაჩაბელი, 1921 წლის დასაწყისში, დიპლომატიური მისიით იტალიაში მიავლინეს, როგორც „წარმომადგენლობის პირველი მდივანი“, მაგრამ მალე მისი სტატუსი „ლეგაციის მრჩევლის“ სტატუსით შეიცვალა.[4]

გიორგი სიდამონ-ერისთავი პოლონეთის რესპუბლიკაში მოქმედი დიპლომატიური კორპუსის ჩამონათვალში იხსენიება, როგორც "Representat de la Georgie en Polgone. Ministre Plenipotentaire“,[5]

---

1 Archiwum Główne Akt Dawnych w Warszawie (AGAD), Ministerstwo Spraw Zagranicznych # 6676., s. 297.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 424, ფურც. 35.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 447, ფურც. 4, 16, 20.

4 ჯანელიძე ო., გიორგი მაჩაბელი დიპლომატიურ ასპარეზზე, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2013, # 1, გვ. 99-100.

5 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი

რაც „პოლონეთში საქართველოს წარმომადგენელს, საგანგებო და სრულუფლებიან დესპანს“ ნიშნავს. მას რომ ელჩის სტატუსი ჰქონდა, დაწერდნენ: Ambassadeur .... ან Envoye Estraordinaire et Ministre Plenipotentaire, როგორადაც იმავე დოკუმენტში იწოდებიან აშშ-ს, ბელგიის, რუმინეთის, საფრანგეთის, ნორვეგიის, ფინეთისა და სხვ. სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურები.

აკაკი ჩხენკელი 1922 წელს შედგენილ „მემუარში სრულუფლებიანი ელჩისა დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-1922 წწ.“ დამოუკიდებლობის პერიოდში პოლონეთში არსებულ ქართულ დიპლომატიურ მისიას „წარმომადგენლობას“ უწოდებს. მისი სიტყვით, „პოლონეთში საქართველოს დიპლომატიური მისია იყო 1920 წელს. მართალია, მან (პოლონეთმა, - ო. ჯ.) სცნო საქართველო იურიდიულად, მაგრამ იქ შემდეგ საელჩო არ გახსნილა.“[1] ცხადია, ა. ჩხენკელმა ყველაზე უკეთ უწყოდა, რა რანგი ჰქონდა სინამდვილეში ამ დაწესებულებას. სავარაუდოდ, იგი საელჩოდ იყო ჩაფიქრებული, რისთვისაც ბეჭედი და ბლანკიც შესაბამისი დაამზადეს, მაგრამ დროის სიმცირის გამო, საელჩოს ჩამოყალიბება ვეღარ მოესწრო და მისია დარჩა წარმომადგენლობის დონეზე.[2]

1922 წლიდან პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს ემიგრაციული მთავრობის წარმომადგენლის ფუნქციას იოსებ სალაყაია[3] ასრულებდა. მისი ოფისი განთავსებული იყო მისამართზე: Warszawa, ul. Emilji Plater 8 m. M. 8.[4]

დასასრულ, რამდენიმე უზუსტობის შესახებ, რომლებიც გვხვდება წინამდებარე თემისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებსა და ოფიციალურ

1864, ანაწ. 2, საქმ. 404, ფურც. 2–5

1 ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 2, თბ., 1995, გვ. 34.

2 გ. სიდამონ-ერისთავი რომ სრულუფლებიანი ელჩის სტატუს არ ფლობდა, ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს საქართველოში პოლონეთის დიპლომატიური მისიის მეთაურის ტ. ფილიპოვიჩის რანგიც - დიპლომატიური წარმომადგენელი.

3 იოებ სალაყაია - საქართველოს ეროვნული საბჭოს, პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი, სენაკის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარე დამოუკიდებლობის წლებში. 1921 წლიდან ცხოვრობდა ემიგრაციაში. გარდაიცვალა 1940 წელს.

4 საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 446, ფურც. 25.

ინფორმაციებში.

1. აღნიშნულია რომ, თითქოს 1919 წლიდან ვარშავაში ფუნქციონირებდა კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლობა თავად ვალერიან სიდამონ-ერისთავის ხელმძღვანელობით, რომელსაც 1920 წლის გაზაფხულზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ, მიენიჭა პოლონეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის რანგი.[1]

კავკასიის რესპუბლიკებს არც ერთ ქვეყანაში, მათ შორის, არც პოლონეთში, საერთო წარმომადგენელი არ ჰყოლიათ. მით უფრო ვერ ეყოლებოდათ 1919 წელს, როდესაც ეს რესპუბლიკები დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან ფაქტობრივადაც არ ყოფილან აღიარებული. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისია პოლონეთში დამტკიცდა 1920 წლის ზაფხულში და მის მეთაური იყო არა ვალერიან სიდამონ-ერისთავი, არამედ გიორგი სიდამონ-ერისთავი.

2. თითქოს ვარშავაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი 1919 წლიდან იყო გიორგი სიდამონ-ერისთავი. პოლონურ-ბოლშევიკური ომის პერიოდში, საქართველოს საელჩო და დიპლომატიური პერსონალი პოზნანში იქნა ევაკუირებული.[2]

როგორც ზემოთ აღინიშნა, პოლონეთში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა (და არა საელჩო) გ. სიდამონ-ერისთავის მეთაურობით არსებობდა არა 1919 წლიდან, არამედ 1920 წლის შემოდგომიდან. ბოლშევიკებთან პოლონეთის ომის გამო საქართველოს წარმომადგენლობას პოზნანში ევაკუაცია არ დასჭირვებია, რადგან იგი ვარშავაში ფუნქციონირებას შეუდგა 1920 წლის 14 ოქტომბრიდან, - მას შემდეგ, რაც 1920 წლის 12 ოქტომბერს, პოლონეთ-საბჭოთა რუსეთს შორის, რიგაში გაფორმდა ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და ვარშავაში წითელი არმიის შეჭრის საფრთხე აღარ

1 ვოჟნიაკი ა. ქართული ემიგრაციის საზოგადოებები და ორგანიზაციები პოლონეთში, ჟურნ. „ახალი პოლონეთი“ (სპეცალური ნომერი ქართულ ენაზე), თბ., 2001, გვ. 87; ასევე, Mądzik M., Próby nawiązania stosunków politycznych między Polską a Gruzją w latach 1918-1921, „Rocznik Lubelski“, t. 29-30, 1987-1988, s. 83.

2 http://poland.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1463&info_id=41155 ასევე, http://www.tbilisi.msz.gov.pl/pl/aktualnosci/25__rocznica_odnowienia_stosunkow_dyplomatycznych_polski_i_gruzji_

არსებობდა. საგულისხმოა რომ, ბოლშევიკური საფრთხის დღეებში ვარშავა არ დაუტოვებია არც აქ მოქმედ საქართველოს კომიტეტს.

3. მიჩნეულია, რომ პოლონეთის რესპუბლიკამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა 1919 წლის 29 იანვარს აღიარა, ანტანტის უმაღლესი საბჭოს მიერ მისი დე-იურედ აღიარებამდე 2 წლით ადრე.[1] ეს ცნობაც არ შეესაბამება სინამდვილეს. როგორც ზემოთ დოკუმენტურადაა დასაბუთებული, პოლონეთის მიერ საქართველოს დე ფაქტო ცნობის თარიღია 1920 წ. 24 მარტი, ხოლო იურიდიულად აღიარებისა - 1921 წ. 28 იანვარი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატული რესპუბლიკის წარმომადგენლობას პოლონეთში ფუნქციონირება მცირე ხანს მოუწია და არც პოლონეთის წარმომადგენლობას უმოღვაწია საქართველოში ხანგრძლივად,[2] დიპლომატიური მისიების თანაბარ დონეზე გაცვლამ და მათმა საქმიანობამ საფუძველი ჩაუყარა ორ სახელმწიფოს შორის საინტერესო თანამშრომლობასა და პარტნიორულ ურთიერთობას. ხანგრძლივი იძულებითი წყვეტილის შემდეგ, 1992 წელს ეს ურთიერთობა კვლავ განახლდა და დღესაც წარმატებით მიმდინარეობს.

1 http://poland.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1463&info_id=41155

2 საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ პოლონეთს საშუალება აღარ მისცა თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობა საელჩოდ გარდაექმნა და გამოეგზავნა თბილისში ელჩად რომან ნოლი, ხოლო სამხედრო ატაშედ მაიორი ვაცლავ ჯედრჟევიცა (Wacława Jędrzejewicz).

1920-1921 წლების გეოპოლიტიკური რეალობა და საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაცია

პირველმა მსოფლიო ომმა მრავალი ქვეყნისა თუ ხალხის მომავალი ძირფესვიანად შეცვალა. ამ ომმა გადაიყოლა რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის, გერმანიისა და ოსმალეთის იმპერიები და სათავე დაუდო რამდენიმე ახალი სახელმწიფოს წარმოშობას. 1917 წლის შემოდგომიდან მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე რომანოვთა ვრცელი იმპერიის ნაცვლად რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გამოჩნდა, ხოლო ოსმალეთის ადგილი 1920 წლის გაზაფხულიდან თურქეთმა დაიკავა. 1918 წლის 26 მაისიდან ამ რუკაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც იყო აღბეჭდილი. ომმა და მისმა შედეგებმა ადრინდელი გეოპოლიტიკური რეალობა სამხრეთ კავკასიაშიც თავდაყირა დააყენა. ეს რეგიონი დროებით რუსეთის ორბიტიდან გამოვიდა და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკების სახით ჩაერთო.

მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელმწიფოს სათავეში მოქცეულმა ბოლშევიკებმა სამოქალაქო ომში მდგომარეობა თავიანთ სასარგებლოდ გარდატეხეს, კრემლმა გააძლიერა ძალისხმევა ყოფილი იმპერიის განაპირა მხარეების და მათ შორის, კავკასიის ხელახლა დასაუფლებლად. 1920 წლის აპრილში წითელმა არმიამ აზერბაიჯანში საბჭოთა წყობილება დაამყარა. იმავე წლის ნოემბრის ბოლოს აზერბაიჯანის ბედი სომხეთმაც გაიზიარა. ახლო აღმოსავლეთისაკენ „მიმავალ“ მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას გზად საქართველოზე უნდა „გაევლო“. ამ გზის დაუფლება კი რუსეთს მხოლოდ საქართველოს გასაბჭოებით შეეძლო.

1921 წელს ვლადიმერ ლენინს ერთგან მოჰყავს საინტერესო გაანგარიშება და აღნიშნავს, რომ თუ ახლა საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო გამარჯვება 20-30 %-ს შეადგენს, პოლონეთში რევოლუციის გამარჯვებით იგი 40-50 %-მდე, მეტიც 51 %-მდე გაიზრდება, რადგან პოლონეთი მდებარეობს გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის და

უნგრეთის გვერდით.[1] თუ ანალოგიურ გათვლას საქართველოზეც გადმოვიტანთ, მისი წვლილი საერთაშორისო რევოლუციის გამარჯვებაში სულ მცირე 10-15 %-ით მაინც უნდა ვიანგარიშოთ, რადგან საქართველო მდებარეობს თურქეთისა და ირანის გვერდით, ხოლო აღმოსავლეთი მსოფლიო კომუნისტური რევოლუციის „სასიცოცხლო ძარღვია“. ამაზე არაორაზროვნად მიუთითებდა რსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ კალინინი, როდესაც თანამედროვე მომენტის დახასიათებისას აღნიშნავდა: „თბილისმა უნდა ითამაშოს მოსკოვის როლი აღმოსავლეთში, ის უნდა გადაიქცეს მეორე მოსკოვად.“[2] მაშასადამე, ბოლშევიკთა პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველო მოქცეული იყო საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ორბიტაში. საბჭოთა რუსეთს საქართველოში ეკონომიკური ინტერესიც საკმაოდ გააჩნდა და არც მალავდა, რომ „ბაქო უბათუმოდ არაფერია.“

ამ ფონზე სრულიად არადამაჯერებლად გამოიყურება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რსფსრ-ს ელჩად დანიშნული, ცნობილი ბოლშევიკის სერგეი კიროვის პასუხი თბილისური სოციალ-დემოკრატიული გაზეთ „ბორბას“ კორესპონდენტისათვის: მისი სიტყვით: „რაც შეეხება საკითხს - ხომ არ ვაპირებთ ჩვენ გავხადოთ საქართველო „აღმოსავლეთის კარებად“ იმ მხრივ, რომ გადავაქციოთ იგი ჩვენი აღმოსავლეთის პოლიტიკის ცენტრად, ამაზე უნდა განვაცხადო, რომ ასეთი განზრახვა ჩვენ არა გვაქვს. ...ჩვენ არ გვჭირდება ნიღბის აფარება. ჩვენ რომ სხვა ამოცანები გვქონოდა დასახული, მაშინ არ დავდებდით შეთანხმებას საქართველოსთან.“[3]

გრძნობდნენ თუ არა რუსეთიდან მომდინარე საფრთხეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები და თუ გრძნობდნენ, რა მოიმოქმედეს მის შესაჩერებლად ან აღსაკვეთად? პირველწყაროები მოწმობენ, რომ საქართველოს პოლიტიკური სპექტრი, განსაკუთრებით ოპოზიციური ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები მმართველ სოციალ-დემოკრატიულ ძალას და მთავრობას სისტემატურად მიუთითებდნენ ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან

1 Ленин В., Полн. собр. соч. т. 44, ст. 181.

2 ჯანელიძე ო., 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, თბ., 1990, გვ. 26-27.

3 მორგოშია ა., კიროვი საქართველოში, თბ., 1960, გვ. 77-78.

მოსალოდნელ აგრესიულ ქმედებებზე, მოუწოდებდნენ გაეძლიერებინათ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, მიეღოთ უფრო ქმედითი ზომები ევროპის სახელმწიფოებთან დაახლოებისათვის და სხვ.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებაც ითვალისწინებდა არსებულ გამოწვევებს და ჩრდილოური საფრთხის ასაცილებლად საშუალებებს დაეძებდა. ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთთან მოსკოვში გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულებაც, რამაც ქართულ პოლიტიკურ ელიტაში ოპტიმიზმი და იმედის სულისკვეთება გააძლიერა. ამ ხელშეკრულებით გულდამშვიდებულ თბილისში დასავლური სამყაროს მიერ საქართველოს დე იურედ ცნობა-აღიარების გადაჭარბებული მოლოდინიც შეიმჩნეოდა. ჯერ კიდევ არ გაქარწყლებულიყო ერთა ლიგაში მიღების იმედიც, თუმცა ეს უკანასკნელი სულ უფრო ეფემერული და ილუზორული ხდებოდა.

ისე როგორც საბჭოთა რუსეთი, მოკავშირე სახელმწიფოებიც საქართველოს პრობლემას საერთაშორისო პოლიტიკის ჭრილში განიხილავდნენ. ისინი ანგარიშს უწევდნენ რეგიონში მოსკოვის რეალურ ინტერესებსა და ძალთა ბალანსს, აფიქრებდათ კავკასიის არასტაბილური ვითარებაც და სხვ.

1920 წლის 16 დეკემბერს ჟენევაში გამართულ ერთა ლიგის სხდომაზე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უარი ეთქვა ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში წევრად მიღებაზე (კენჭისყრის მონაწილე 24 სახელმწიფოდან საქართველოს სასარგებლოდ ხმა მხოლოდ 10-მა ქვეყანამ მისცა). მალე საქართველოს სუვერენიტეტი საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, იტალიამ, იაპონიამ, ბელგიამ და სხვ. იურიდიულად აღიარეს, მაგრამ ქვეყნის შემდგომ ბედში გადამწყვეტი ერთა ლიგის პოზიცია აღმოჩნდა.

ერთა ლიგის ხსენებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანწილად სამხრეთ კავკასიის საკითხისადმი ინგლისის მიერ გამოვლენილმა გულგრილობამ განაპირობა. ეს გარემოება განპირობებული იყო საბჭოთა რუსეთთან ინგლისის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის აღდგენის მისწრაფებით, რომლის დეტალები მოსკოვის დელეგაციასთან 1920 წლის მაისიდან მიმდინარე მოლაპარაკებებზე განიხი-

ლებოდა.[1]

თავის მხრივ, ამ მოლაპარაკებებზე დიდ იმედებს ამყარებდა საბჭოთა რუსეთიც, რომელიც ინგლისთან კავშირისაგან უფრო მეტს მოელოდა, ვიდრე მოსკოვისათვის მეტად აქტუალური საერთაშორისო ვაჭრობის განახლება იყო. ორი ქვეყნის შეთანხმებას პოლიტიკური დატვირთვაც უნდა ჰქონოდა, მათ შორის სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაშიც. შემთხვევითი არ იყო, რომ კრემლი საქართველოს წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედების დაწყებას ინგლისთან ურთიერთობის საბოლოო გარკვევას უკავშირებდა. ამ მხრივ საყურადღებოა ვ. ლენინის ერთი იმ დროინდელი დეპეშა ი. სტალინისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „ძალზე ფრთხილად უნდა ავწონ-დავწონოთ, ღირს თუ არა ვიომოთ საქართველოსთან, მერე მისი რჩენა და ინგლისთან კავშირის გაწყვეტის, მეტიც, ახალი ომის რისკი.“[2]

ინგლისთან მდგომარეობის გართულების თავიდან ასაცილებლად კრემლში უმჯობესად მიაჩნდათ, რომ ჯერ კიდევ ბათუმში მყოფი მოკავშირეთა სამხედრო ნაწილები აქედან საქართველოს ხელისუფლებას გაედევნა. „ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია, რომ ინგლისელები ბათუმიდან თვითონ ბურჟუაზიულმა საქართველომ გარეკოს, ვიდრე ჩვენი ჯარები შევიყვანოთ ბათუმში და ჩავებათ ინგლისთან ომში“, - აცნობებდა რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლევ კარახანი სერგო ორჯონიკიძეს.[3]

მოკავშირეთა სახელით ბრიტანეთის არმიის შენაერთების თუნდაც ბათუმში დგომა, საქართველოში ევროპის ყოფნად აღიქმებოდა, მათი გასვლა კი ევროპისაგან საქართველოს მიტოვებას ნიშნავდა. სამხედრო კონტიგენტის ბათუმიდან გაყვანის შემდგომ საქართველო არსებითად დიდი ბრიტანეთის ინტერესის მიღმა დარჩა.

1921 წლის 27 იანვარს იოსებ სტალინი სერგო ორჯონიკიძისათვის გაგზავნილ წერილში ხაზგასმით მიუთითებდა: „თუ უნდა დავიწყოთ (საქართველოს ოკუპაცია, - ო. ჯ.), უნდა დავიწყოთ მაშინ, როცა ხე-

1 История внешней политики СССР 1917-1980 гг. В двух томах, т.1, М., 1980, ст. 125.

2 http://leninism.su/index.php?option=com_content&view=article&id=3660:dokumenty-1920-g-noyabr-dekabr&catid=99:v-i-lenin-neizvestnye-dokumenty-1891-1922&Itemid=53

3 ირემაძე ა., განთიადის სათავეებთან, თბ., 1984, გვ. 237-238.

ლმოწერილი გვექნება ინგლისთან ხელშეკრულება.“[1]

საქართველოს საკითხში მოსკოვის აუჩქარებლობას დასავლეთის საზოგადოებრივი აზრისათვის ანგარიშის გაწევით ხსნიდა ლევ ტროცკიც. მისი სიტყვით: „თავს იმიტომ ვიკავებდით, რომ კარგად ვიცოდით: ბატონი მენშევიკები, თუ მათ ფეხზე დავაჭერდით, იყვირებდნენ დემოკრატიული ცივილიზაციის ყველა ენაზე. ... ქართველი მენშევიკი პოლიტიკოსები მთლიანად ინტელიგენტები იყვნენ, ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტების ყოფილი სტუდენტები და არ გვინდოდა მიგვეცა მათთვის მარჯვე საბაბი საერთაშორისო და „დემოკრატიული“ ისტერიკისათვის.“[2]

საბჭოთა რუსეთმა დიპლომატიური ძალისხმევით მიაღწია ინგლისის გამოთიშვას კავკასიის საკითხებში ჩარევისაგან, რაც საქართველოსათვის საერთაშორისო იზოლაციას უტოლდებოდა. აღსანიშნავია, რომ ორი სახელმწიფოს გარიგების შესახებ საქართველოში კარგა ხანს ინფორმაცია არ ჰქონიათ. გერონტი ქიქოძის გადმოცემით, „საქართველოს დიპლომატებს ...არ გაუგიათ, რომ დიდი ბრიტანეთის კოალიციური სამინისტროს მეთაური ლოიდ ჯორჯი ლენინის მთავრობას შეუთანხმდა, რომ მისი მთავრობა არ ჩაერეოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ურთიერთობაში.“[3]

მას შემდეგ, რაც დიდმა ბრიტანეთმა სამხრეთ კავკასიის მიმართ პოლიტიკური ინტერესი დაკარგა, ლოიდ ჯორჯმა რეგიონზე მანდატი იტალიის მთავრობას შესთავაზა. ეს იდეა მისაღები აღმოჩნდა იტალიის არა მარტო პოლიტიკური, არამედ სამხედრო და ბიზნეს წრეებისათვის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამაც განაცხადა, რომ მისი საგარეო პოლიტიკური კურსი „უცვლელი რჩება ანტანტის წარმომადგენლობის მორიგ ცვლილებაში“ და იგი კვლავაც დასავლეთისაკენაა მიმართული; რომ საქართველო მიესალმება იტალიის გამოჩენას რეგიონში და აპირებს მასთან თანამშრომლობას ურთიერთსარგებლიანობის პრინციპთა საფუძველზე. იტალიის პრემიერ-მინისტრის ვიქტორიო ორლანდოს კაბინეტში და-

1 გაზ. „კომუნისტი“, 1989 წ., 10 ივნისი.

2 Троцкий Л., Между империализмом и революцией. Основные вопросы революции на частном примере Грузии, Тб., 1922, ст. 66-67.

3 ქიქოძე გ., თანამედროვის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 19.

იგეგმა საქართველოში სამხედრო ექსპედიციის გამოგზავნა, მაგრამ სამთავრობო ცვლილებამ ეს წამოწყება ჩაშალა.[1]

ზურაბ ავალიშვილის შეფასებით, იმ დროს „იტალია იყო მეტად მოდუნებული და შელახული, რომ „გაებედნა“ საქართველოს მანდატის აღება.“[2] მიუხედავად ამისა, იტალიას არ გაუწყვეტია კონტაქტი საქართველოსთან. საქართველოს დე იურედ აღიარების შემდეგ რომმა თბილისში არსებული თავისი პოლიტიკური სააგენტო სრულუფლებიან დიპლომატიურ წარმომადგენლობად - საელჩოდ გარდაქმნა. ეს ფრიად საგულისხმო ნაბიჯი საქართველოს საერთაშორისო მხარდაჭერის გამოხატულება იყო, თბილისში დაფუძნდა „იტალია-კავკასიის გამნაღდებელი ბანკი“, განიხილებოდა საქართველოსათვის კრედიტის გამოყოფის, ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს კონცესიისა და სხვა საკითხებიც. აღსანიშნავია, რომ იტალიის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთა ლიგაში მიღებასაც, მაგრამ იტალიას არ გააჩნდა შესაძლებლობა, ეკისრა საქართველოს სამხედრო დახმარება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მოახლოებული აგრესიის ვითარებაში.

ამავე პერიოდში სამხრეთ კავკასიაში ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებიც თვალნათლივ გამოიკვეთა. პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი მზად იყო, აეღო მანდატი სომხეთზე, რისთვისაც რეგიონში რამდენიმე მისიაც მოავლინა. ამერიკელ ექსპერტებს შეექმნათ აზრი, რომ უმჯობესი იქნებოდა სამხრეთ კავკასიაზე ერთი საერთო მანდატის დაწესება. ამასთან, ცნობილია ისიც, რომ აშშ-ის ხელისუფლება უნდობლად უყურებდა საქართველოს სწრაფვას თავისუფლებისაკენ და არ სცნო მისი დამოუკიდებლობა.[3]

თავის მხრივ, ნოე ჟორდანია მანდატში სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ხელყოფას ხედავდა, თუმცა მოელოდა, რომ სომხეთის ამერიკის მფარველობაში შესვლით საქართველოც ისარგებლებდა.

---

1 ჯოჯუა დ., საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1918-1921 წლებში, თბ., 1997, გვ. 55; 110.

2 ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ. 282.

3 ჯანელიძე ო., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და აშშ 1918-1921 წლებში, ჟურნალი „ანალები“, 2011, № 8, გვ. 33-37.

ეს მოლოდინი ფუჭი გამოდგა, რადგან ვილსონის გეგმა თვით აშშ-ს სენატმა არ გაიზიარა და საბოლოოდ უარყო.

ქართველ პოლიტიკოსებს მაინც სჯეროდათ, რომ რუსეთის შემოტევის შემთხვევაში საქართველო დასავლეთიდან გარკვეულ თანადგომას ჰპოვებდა. იმედი უფრო საფრანგეთისა ჰქონდათ, რადგან საქართველოს პორტებში მუდმივად იდგნენ ფრანგული ხომალდები, მათ შორის ჯავშნოსანი კრეისერები, სამხედრო ნაღმოსნები და სხვ. ოპტიმიზმს 1920 წლის შემოდგომაზე საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის პარიზში წარმატებული ვიზიტი და საქართველოში საფრანგეთის კომისრის აბელ შევალიეს დაპირებაც ასაზრდოებდა, რომ საფრანგეთი დაეხმარება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას თუ ეს უკანასკნელი გარეშე მტრის თავდასხმის ობიექტი გახდებოდა.[1]

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენელმა საქართველოში კორბეილიმ თბილისისათვის იარაღის მოწოდება ივალდებულა, ხოლო აღმოსავლეთში საფრანგეთის საზღვაო დივიზიონის მეთაურმა კონტრადმირალმა დიუმენილმა საქართველოს მხარდაჭერის სულისკვეთება გამოხატა. 1921 წლის 13 იანვარს, ბათუმის ნავსადგურში ფრანგული ჯავშნოსნის, კრეისერ „ვალდეკ რუსოს“ შემოსვლისას დიუმენილმა განაცხადა: „თუ საქართველომ საფრანგეთს დახმარება სთხოვა, ადმირალი დაუყოვნებლივ მიეშველება საქართველოს.“[2]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მდგომარეობას მაინც არ ეთქმოდა სტაბილური. სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთის შემოღწევის პარალელურად, საქართველოსათვის არასასურველი მიმართულებით იცვლებოდა გეოპოლიტიკური რეალობა მეზობელ ოსმალეთშიც. 1920 წლის 10 აგვისტოს სევრის ცნობილმა ხელშეკრულებამ ოსმალეთის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას საფუძვლები შეურყია. სულთანმა მეჰმედ მეექვსემ, მართალია, ტახტი შეინარჩუნა, მაგრამ ძალაუფლებას უკვე ანგორაში (ანკარა) ჩამოყალიბებული

1 ჩაჩანიძე თ., ფრანგული ესკადრის ოპერაციები საქართველოს სანაპიროსთან, ჟურნალი „არსენალი,“ 2006, № 6, გვ. 40.

2 მამაცაშვილი გ., საგარეო პოლიტიკის საკითხები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921), თბ., 2013, გვ. 250.

დიდი ეროვნული კრების მთავრობა დაეუფლა, რომელსაც სათავეში გენერალი მუსტაფა ქემალი (შემდეგში ათა თურქი) ჩაუდგა. ქემალმა საბჭოთა რუსეთთან დაახლოების გზა აირჩია, რასაც მოსკოვის შემხვედრი ნაბიჯი მოჰყვა.

ძველმა მოწინააღმდეგეებმა - რუსეთმა და თურქეთმა, რომლებიც მათ გარშემო შეკრული რკალის გარღვევას და დაშლილი იმპერიების აღდგენასაც ესწრაფვოდნენ, საერთო ენა და ინტერესები ერთმანეთში გამონახეს. თურქეთი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის იბრძოდა, ამისათვის საჭირო ფულსა და იარაღს კი რუსეთის გარდა ვერავისგან მიიღებდა. თავის მხრივ, მსოფლიო რევოლუციის იდეით გატაცებული ბოლშევიკთა ბელადები, რომლებიც თურქეთს აღმოსავლეთის მიმართულებით სოციალიზმის გაფართოების მნიშვნელოვან ბაზად განიხილავდნენ, მზად იყვნენ მისთვის დახმარების ხელი გაეწოდათ.[1] ასეთ სინამდვილეში რუსეთისათვის დღის წესრიგში დგებოდა თურქეთთან უშუალო სახმელეთო კავშირის უზრუნველყოფა, რის წინაპირობასაც სამხრეთ კავკასიის საბჭოურ ორბიტაში სრულად მოქცევა წარმოადგენდა.

მოლაპარაკების პროცესი საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის ისე დაიწყო, რომ სათანადო ოფიციალური განცხადება არ გამოქვეყნებულა. ურთიერთკავშირის ფაქტის დროზე ადრე გამჟღავნებას მხარეები საგანგებოდ ერიდებოდნენ. ინფორმაცია მოსკოვის ანკარასთან დაახლოების შესახებ ხელს შეუშლიდა როგორც ერთის, ისე მეორის ურთიერთობის მოწესრიგებას დასავლეთთან. არადა, მოსკოვში მიმდინარე შეხვედრების პარალელურად, თურქეთიცა და რუსეთიც ერთმანეთის ზურგსუკან მოლაპარაკებას ანტანტის სახელმწიფოებთანაც აწარმოებდნენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, საბჭოთა წარმომადგენელი ლევ კრასინი ლონდონში ინგლისის მთავრობასთან სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულების გაფორმებას ცდილობდა, ხოლო ანკარის წარგზავნილი ბექირ სამი ბეი (საგარეო საქმეთა მინისტრი) პარიზში საფრანგეთის ხელისუფლებისაგან სევრის ზავის პირობების გადასინჯვისთვის იღწვოდა.

---

1 ჯანელიძე ო., ბათუმის საკითხი რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებებსა და 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებაში, წიგნში - ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2011, გვ. 71.

რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკების ირგვლივ საქართველოში კონკრეტული ინფორმაცია არ ჰქონიათ. მოსკოვში საქართველოს საელჩომ ვერ შეძლო მოეპოვებინა ზუსტი ცნობები თავისი ქვეყნის საწინააღმდეგო ამ ქმედების შესახებ. ხსენებულ საკითხზე თბილისამდე მხოლოდ ევროპული ჟურნალ-გაზეთების გამოხმაურებები აღწევდა, თუმცა ინტენსიურად ვრცელდებოდა მოარული ხმებიც „ბოლშევიზმისა“ და „ქემალისტების“ დაახლოების თაობაზე.

ფხიზლობდა ქართული პერიოდული პრესაც, განსაკუთრებით კი ოპოზიციური გამოცემები. ეროვნულ-დემოკრატიულმა „საქართველომ“ და ფედერალისტურმა „სახალხო გაზეთმა“ რამდენჯერმე გამოაქვეყნეს წერილები მოსკოვისა და ანგორის შეხმატკბილების შესახებ და მოუწოდეს მთავრობას, მეტი ყურადღება მიექცია ამ ახალი გეოპოლიტიკური გამოწვევისათვის.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრ იმ დროინდელ ქართველ პუბლიცისტს ეჭვი ეპარებოდა საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის დაახლოების შესაძლებლობაში. მაგალითად, რაფიელ ინგილო მიიჩნევდა, რომ „პოლიტიკასა და ინტრიგებში გამობრძმედილ ბოლშევიკებს ანგარიში ვერ მოუვიდათ: მათ ჯერაც ვერ გაუგიათ აღმოსავლური დიპლომატების „სალტო-მორტალობა.“[1]

აუცილებელია ითქვას, რომ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ერთდრულად მომდინარე საფრთხის შესახებ საქართველოში არსებობდა უფრო საღი და რეალისტური შეხედულებაც. საილუსტრაციოდ ზურაბ ავალიშვილის დასახელებაც იკმარებდა, რომლის სიტყვით, „საქართველო განცალკევებული დარჩა მიყრუებულ ჯვარედინზე, ევროპასა და აზიას შუა, უშუალო მეზობლად საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთისა. ეს ორი ფილაკვანი კი ემზადებოდა საფუძვლიანიდ ამოეგდოთ კავკასის შუა კედელი.“[2]

რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკების პირველი რაუნდი, სხვა სიტყვებით, მოსკოვის პირველი კონფერენცია, 1920 წლის 24 ივლისს დაიწყო და 24 აგვისტომდე გაგრძელდა. თურქეთისათვის სამხედრო და ფინანსური დახმარების საკითხი იოლად გადაწყდა, ხოლო შეთანხმება

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 16 ნოემბერი.

2 ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ. 356.

საზღვრების შესახებ ხანგრძლივი განხილვისა და დავის საგნად იქცა. ოფიციალურ წყაროებში მითითებულია, რომ „პრობლემის კომპრომისული გადაწყვეტის მცდელობას წარმატება არ მოჰყოლია.“[1] მიუხედავად ამისა, რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების პროექტი დელეგაციების ხელმძღვანელების მიერ პარაფირებულ იქნა.[2]

რუსეთ-თურქეთის დაახლოებამ შეაშფოთა ანტანტის სახელმწიფოები. მუსტაფა ქემალი უთანხმდება ლენინს და ხელს უხსნის ბოლშევიკებს კავკასიაში სამოქმედოდ თურქეთისათვის იარაღის თავისუფლად მიწოდების მიზნით, - ატყობინებდა დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი კავკასიაში ოლივერ უორდროპი ლორდ კერზონს ამასთან დაკავშირებით.[3]

მოკავშირე ქვეყნებმა მოინდომეს ქემალის გადაბირება და მისი ანტისაბჭოთა კომბინაციაში ჩართვა სევრის ხელშეკრულების გადასინჯვის, ასევე თურქეთისათვის სამხრეთ კავკასიაში გარკვეული კომპენსაციების შეთავაზებით.[4]

მოსკოვ-ანკარის მოლაპარაკებათა ჩაშლა და ქემალთან დაახლოება მისი ინგლისის საწინააღმდეგოდ გამოყენების მიზნით პირველ რიგში საფრანგეთის ინტერესებში შედიოდა.[5] ოფიციალურმა პარიზმა ლონდონისაგან ფარულად დაიწყო კიდეც მოლაპარაკება თურქეთთან, მაგრამ ინგლისის წინააღმდეგობის გამო დასახულ მიზანს ვერ მიაღწია.[6]

თურქეთის ანტანტასთან „შერიგება“ ქართველ პოლიტიკოსებს თავიანთი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდათ. საქართველოს ელჩი თურქეთში სიმონ მდივანი ევროპაში მყოფ აკაკი ჩხენკელს ატყობინებდა: „სრული დარწმუნებული ვარ, თუ საფრანგე-

1 Документы внешней политики СССР, т.2, М., 1958, ст. 727.

2 Шамсутудинов А., Советско-турецкая дружба в годы освободителной борьбы Турции в 1919-1922 г.г., М., 1960, ст. 3.

3 Тарасов С., Как Владимир Ленин и Мустафа Кемаль советизировали Закавказье http://pda.regnum.ru/news/1160915.html

4 История внешней политики СССР 1917-1980 гг. В двух томах, т.1, М., 1980, ст. 143-145.

5 Саакян Р., Франко-турецкие отношения и киликия в 1918-1923 гг. http://www.genocide.ru/lib/sahakyan/intro.htm

6 Атаев Т., „Армянский вопрос“ теряет актуальность http://www.echo.az/article.php?aid=26344

თი შეუთანხმდება ოსმალეთს და მას მეგობრად იგულებს, ოსმალეთი დაუყოვნებლივ დაიწყებს მოქმედებას კავკასიიდან რუსების გასადევნად“. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოსათვის თურქეთ-საფრანგეთის შეკავშირების სარგებლიანობაში ქართველ ელჩს თავად მუსტაფა ქემალიც არწმუნებდა[1].

საფრანგეთის შეთავაზება ანკარისათვის სასურველ, თუმცა არასაკმარის დათმობას წარმოადგენდა. თურქებისათვის, რომლებიც საბერძნეთის შეტევას იგერიებდნენ, სასიცოცხლოდ აუცილებელი ჯერ რუსეთის დანაპირები დახმარების მიღება იყო. ამიტომ ქემალი მოსკოვთან მოლაპარაკების გაგრძელების ინიციატივით გამოვიდა. ლენინის მთავრობა მიესალმა მოლაპარაკების განახლებას. ამ ფაქტის გამო გიორგი ჩიჩერინი შენიშნავდა: ჩვენ რომ თურქებისათვის ხელი გვეკრა, მათ ანტანტა ჩაიხუტებდაო.[2]

მოსკოვი ანკარასთან მდგომარეობის გამწვავებას სხვა მხრივაც ვერ დაუშვებდა. საჭირო იყო თურქეთის თუ მიმხრობა არა, ნეიტრალიზება მაინც, რომ რუსეთს სამხრეთ კავკასიაში თავისი მიზნებისათვის უფრო იოლად მიეღწია. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთმა მუსტაფა ქემალთან პარტნიორული ურთიერთობა ჩამოაყალიბა, კრემლში სერიოზულად შიშობდნენ, რომ თურქები მათ დაასწრებდნენ და რეგიონის ხარჯზე ხელს კარგად მოითბობდნენ. ეს მით უფრო მოსალოდნელი იყო, რომ ანკარას თვალი ეჭირა ბათუმზე და იქიდან ინგლისელთა გასვლის შემდეგ გამორიცხული არ იყო რაიმე მოემოქმედა.

XI წითელი არმიის სარდალი გენერალი ა. ჰეკერი 1920 წლის 18 დეკემბრით დათარიღებულ საიდუმლო მოხსენებაში კავკასიის რევოლუციური-სამხედრო საბჭოს წევრის ს. ორჯონიკიძისადმი ხაზგასმით მიუთითებდა: „თურქეთთან მოსკოვის ურთიერთობის წინასწარი მოგვარების გარეშე საშიში იქნება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყება“. აუცილებელია შეთანხმება თურქეთის სარდლობასთან და რომ: „საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციები შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ კიაზიმ ყარაბექირის

1 თოიძე ლ., ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის მარტი, თბ., 2009, გვ. 25-26.

2 http://karabah88.ru/history/adr/52_ustupka_karsa_i_ardagana_est_maksimum_vozmozhnogo.html

(ქემალისტური თურქეთის) ჯარები დაიცავენ გარკვეულ მეგობრულ ნეიტრალიტეტს.“[1]

შექმნილი რეალობა მეტ წინდახედულებას მოითხოვდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისაგანაც. 1920 წლის ნოემბერში სომხეთში შეჭრილი თურქეთისაგან მოსალოდნელ ოკუპაციას მან ჯარების მობილიზაციით უპასუხა. ქემალმა აშკარა აგრესიისაგან თავი შეიკავა და საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ამჯობინა. თურქეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოში პოლკოვნიკ კიაზიმ ბეის დაეკისრა, საქართველოს ელჩად ანკარაში კი სიმონ მდივანი დაინიშნა.

რწმუნების სიგელის ჩაბარებისას მუსტაფა ქემალმა სიმონ მდივანს განუცხადა: თურქეთსა და საქართველოს საერთო მიზნები აქვთ და ჩვენი სურვილია, რომ საქართველო იყოს ძლიერი და დამოუკიდებელი.[2] ასეთივე აზრს იმ ხანად თურქული პრესაც დაბეჯითებით ავითარებდა.

მასპინძლები რომ გულწრფელნი არ იყვნენ, მაშინვე შეუმჩნევია ოფიციალურ მიღებაზე მყოფ საქართველოს წარმომადგენლობის წევრს დიმიტრი შალიკაშვილს, რომელიც თავის დღიურში აღნიშნავს: „იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ახლა ვჭირდებით თურქებს და ამიტომ ასე კარგად გვეპყრობიან და გვეფერებიან. მაგრამ ხვალ თუ მდგომარეობა შეიცვალა, ისინი იმავე მოფერებით მიგვაჭყლეტენ კედელზე.“[3]

მართლაც, თურქეთი ერთის მხრივ ნოე ჟორდანიას არწმუნებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი განმტკიცება ანგორის ინტერესებშიც შედიოდა, მეორეს მხრივ კი მის წინააღმდეგ მოსკოვთან გარიგებას აწარმოებდა.

რუსეთ-თურქეთის მოსკოვის მეორე კონფერენცია მუშაობას 1921 წლის 26 თებერვალს შეუდგა. კონფერენციის გახსნას წინ უძღოდა

---

1 საქართველო დაპყრობის 60 წელისთავი, პარიზი, 1981, გვ. 389.

2 შალიკაშვილი დ., საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1991, № 1, გვ. 56.

3 შალიკაშვილი დ., საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1991, № 1, გვ. 57.

საბჭოთა რუსეთის თავდასხმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. ეს იყო რუსეთის მიერ საქართველოსათვის თავსმოხვეული უთანასწორო ომი, რომელიც მოსკოვმა დიპლომატიურთან ერთად სამხედრო თვალსაზრისითაც საგულდაგულოდ მოამზადა და ჯარები საქართველოს სხვადასხვა მხრიდან შემოუსია. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ პირველი შემოტევა მოიგერია, იბრძოლა, მაგრამ აგრესიას ბოლომდე ვერ გაუძლო.

რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებათა ახალი რაუნდის დაწყებამდე ერთი დღით ადრე წითელი არმიის ნაწილებმა თბილისი აიღეს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება გამოაცხადეს.

მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებათა დასრულებისათვის საქართველოს ბოლშევიკურ ოკუპაციას ხელი არ შეუშლია. გარიგება შედგა: რუსეთ-საქართველოს ომში თურქეთს ნეიტრალიტეტი უნდა დაეცვა, რის საფასურადაც მას ქართული მიწა-წყლის ნაწილი ეთმობოდა.

ანკარის ხელისუფლებამ განსაცდელში ჩავარდნილი მეზობლის უბედურებაზე ხელის მოთბობა სცადა. მან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ბოლშევიკური თავდასხმის მოგერიებაში დახმარება აღუთქვა, სანაცვლოდ კი არდაგანისა და ართვინის ოლქების მისთვის გადაცემა მოითხოვა. მუსტაფა ქემალი თვითონვე წერს: „ჩვენი კატეგორიული ულტიმატუმის შედეგად ...ქართველებისაგან მივიღეთ თანხმობა დაგვეკავებინა არდაგანი, ართვინი და ბათუმი.“[1]

საქართველოს მთავრობამ თურქეთის რეალური განზრახვა ვერ ამოიცნო და მისი შეთავაზება მიიღო. ნოე ჟორდანია დაეთანხმა ულტიმატუმის ფორმით წამოყენებულ თურქთა წინადადებას, მაგრამ ისე რომ, წერილობით შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერია.[2] საქართველოს ხელისუფლების სიტყვიერი თანხმობით, თურქმა ასკერებმა ახალციხე-ახალქალაქის მაზრებიც დაიკავეს, ბათუმშიც შემოვიდნენ და მისი მისაკუთრება მოინდომეს. ქალაქის განთავისუფლება საბჭოთა რუსეთთან ომში მარცხგანცდილ და თითქმის დაშლილ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის ნაწილებს ბრძოლით მოუწიათ.

1 Кемаль М., Путь новой Турции, т. III, М., 1934, ст. 119.

2 თოიძე ლ., ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის მარტი, თბ., 2009, გვ. 18-20.

არდაგანისა და ართვინის ოლქების თურქეთის მფლობელობაში გადასვლა, ხოლო ბათუმისა და მისი მიმდებარე სივრცის საქართველოს საკუთრებაში დარჩენა (მისთვის ავტონომიის მინიჭებით) დაფიქსირებულია მოსკოვის ხელშეკრულებაში, რომელიც ოფიციალურად 1921 წლის 16 მარტით არის დათარიღებული, სინამდვილეში კი მას ხელი ორი დღით გვიან მოეწერა. მიზეზს ნათელს ჰფენს რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში დაცული გ. ჩიჩერინის 1921 წლის 17 მარტის წერილი ვ. ლენინისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „ყველაფერი მზად არის ხელმოსაწერად, ხელშეკრულებას ხელს მოვაწერთ ხვალ საღამოს. ...დავათარიღებთ 16-ით, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით კრასინის მიერ ინგლისთან ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ.“[1]

ხსენებული ხელშეკრულება სხვა მნიშვნელოვანი შეუსაბამობითაც ხასიათდება. მოსკოვმა და ანკარამ საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების ბედი ამ ქვეყნების დაუკითხავად გადაწყვიტეს, რისი უფლებაც მათ არ გააჩნდათ. საერთაშორისო სამართლის ძალით, ხელშეკრულებები უნდა ეხებოდეს მხოლოდ ხელმომწერ მხარეებს და არ უნდა წარმოშობდნენ რაიმე ვალდებულებებსა და უფლებებს მესამე პირისთვის, მისი თანხმობის გარეშე, როდესაც მესამე პირი არ არის ამ ხელშეკრულების მონაწილე.[2]

განსხვავებით 2008 წლის აგვისტოსაგან, როდესაც დასავლეთმა შეაჩერა რუსეთის სამხედრო აგრესია, 1920-1921 წლების საერთაშორისო ურთიერთობათა კონიუქტურა, მოსკოვისაგან საქართველოსათვის თავსმოხვეული ომისადმი დასავლეთის გულგრილი მეთვალყურეობა და საქართველოს „გეოპოლიტიკური მარტოობა“ დამღუპველი აღმოჩნდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოსათვის: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაეცა. საბჭოთა რუსეთმა მისი ოკუპაცია, შემდეგ კი ანექსია განახორციელა.

1 http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1132-1162.htm#1136

2 Папян Apa Russo-Turkish Treaty From an International Legal Perspective http://asbarez.com/94215/russo-turkish-treaty-from-an-international-legal-perspective/

1921 წლის თებერვალი საქართველოში

თავისი არსებობის მესამე – 1921 წელი საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ იმედითა და მომავლის რწმენით დაიწყო. მართალია, ამ წლის დამდეგისათვის საგარეო საფრთხეები ძველებური დარჩა და ერთბაშად არც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაჯანსაღებულა, მაგრამ ოპტიმისტური განწყობის საფუძველი ხალხსა და ხელისუფლებას ნამდვილად ჰქონდათ.

პოლიტიკური თვალსაზრისით ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო სტაბილური განვითარების ფაზაში შედიოდა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – დამფუძნებელი კრება უკვე ქვეყნის ძირითადი კანონის – კონსტიტუციის პროექტს განიხილავდა. ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სამართლებრივ დოკუმენტზე დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები დიდ იმედს ამყარებდნენ.

ქვეყანაში წინასაარჩევნო სამზადისი იგრძნობოდა. მართალია, 27 თებერვლისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის, კერძოდ საქალაქო საბჭოების ხმოსანთა არჩევნები იყო დანიშნული, მაგრამ კონსტიტუციის მიღების შემდგომ, იმავე წლის გაზაფხულისათვის საპარლამენტო არჩევნებიც იგეგმებოდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პოლიტიკურ ძალთა შორის სერიოზული გადაჯგუფება შეინიშნებოდა. მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ოპოზიციამ – ეროვნულ-დემოკრატებმა, რადიკალებმა, უპარტიოთა კავშირმა და მიწის მესაკუთრეთა ეროვნულმა პარტიამ გაერთიანება შეძლეს და ახალი ორგანიზაცია – საქართველოს დემოკრატიული პარტია ჩამოაყალიბეს.

რამდენიმე თვეში გაირკვეოდა, ვის მიანიჭებდა უპირატესობას ელექტორატი ხელისუფლებისათვის ბრძოლაში: შეინარჩუნებდნენ სოციალ-დემოკრატები აბსოლუტურ უმრავლესობას მომავალ პარლამენტში თუ დაკარგავდნენ ერთპარტიული მთავრობის შექმნის უფლებას და, როგორც 1918 წლის 26 მაისს, ამჯერადაც პორტფელებს ოპოზიციის წარმომადგენლებსაც გაუნაწილებდნენ.

საყურადღებო ამბები ხდებოდა ეკონომიკური განვითარების სფეროშიც. წინა წელს ევროპაში მივლინებულმა დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკურმა მისიამ, რომელსაც ფინანსთა და ვაჭ-

რობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი ხელმძღვანელობდა, გარკვეულ შედეგებს მიაღწია. ლონდონში ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკთან – „ლიმიტედ 48“ – დაიდო ხელშეკრულება მილიონ ნახევარი გირვანქა სტერლინგის სესხის თაობაზე. საქართველოს მთავრობამ მოიწონა ხელშეკრულება და იგი დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას გადასცა.[1] მიღებული სესხით რესპუბლიკის საფინანსო სისტემის განმტკიცება იყო გათვალისწინებული.

საქართველოს მრეწველობაში უცხოური ინვესტიციის მოზიდვის კუთხით სიახლე იყო ისიც, რომ პარიზში ფრანგ მეაბრეშუმეთა სინდიკატთან – „ფერან-გენტრანი“ გაფორმდა ხელშეკრულება აბრეშუმის კონცესიის შესახებ; მარსელში სავაჭრო სახლთან „შაბრიერ მორელი“ დაიდო კონტრაქტი და სხვ.

უფრო შთამბეჭდავი იყო მიღწევები საგარეო პოლიტიკაში. საქართველოს ოფიციალურმა დელეგაციამ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მონდომებით იღვაწა ქვეყნის საერთაშორისო აღიარებისათვის. აღსანიშნავია საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის წარმატებული ვიზიტები ინგლისში, საფრანგეთსა და იტალიაში. აუცილებელად უნდა ითქვას იმ ძალისხმევაზეც, რომელიც ევროპის მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა და მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერებმა საქართველოში სტუმრობის შემდგომ თავიანთ ქვეყნებში დაბრუნებისას გასწიეს საქართველოს მხარდასაჭერად.

ცნობილია, რომ მარქსიზმის აღიარებულმა გერმანელმა თეორეტიკოსმა კარლ კაუცკიმ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა და იგი ცალკე წიგნადაც გამოსცა.[2]

ბელგიელმა სოციალისტმა დე ბრიუკერმა ბრიუსელში წაიკითხა ლექცია „საქართველო პირველი სოციალისტური რესპუბლიკა“; საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ცნობილმა მოღვაწემ პიერ რენოდელმა გაზეთ „თავისუფალი საფრანგეთის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ვრცელი სტატია საქართველოს შესახებ.[3] ინგლისურ, ჰოლანდიურ

1 გაზ. „საქართველო“, 1921 წ., 27 იანვარი.

2 Georgien, Eine sozialdemokratische Bauernrepublik. Eindrücke und Beobachtungen von Karl Kautsky, Wien 1921.

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1921 წ., 11 თებერვალი.

და ბელგიურ გამოცემებში საქართველოს სინამდვილის ამსახველი პუბლიკაციები დაბეჭდეს რამზეი მაკდონალდსმა, ემილ ვანდერველდემ, ჰიუსმანმა და სხვ. ამასთან, ევროპელმა სოციალისტებმა თავიანთ მთავრობებსა და პარლამენტებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულად აღიარებისაკენ მოუწოდეს.

1921 წლის იანვრის ბოლოს ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე იურედ ცნობის გადაწყვეტილება მიიღეს.

საქართველოში აკრედიტებულმა უცხოეთის მთელმა დიპლომატიურმა კორპუსმა, როგორც ასეთ ვითარებაში ხდება ხოლმე, მილოცვის წერილები გაუგზავნა ქვეყნის ხელისუფლებას. ამ მრავალრიცხოვან მილოცვათაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საქართველოში რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლის არონ შეინმანის წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორისადმი. მასში აღნიშნულია:

„გავიგე რა გაზეთებიდან შეთანხმების სახელმწიფოთა მთავრობების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობა, ვესწრაფი, ბატონო მინისტრო, გიძღვნათ თქვენ და თქვენს მთავრობას ჩემი მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით ფრიად გულწრფელი მილოცვა ამ ამბის გამო.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, მით უფრო დიდი სიხარულით ეგებება ამ ცნობას, რადგანაც ეს ნიშნავს აღიარებას რუსეთის დიდი პროლეტარული რევოლუციის მეოთხე წელზე მისი ერთ-ერთი საერთაშორისო ლოზუნგის გამარჯვებისა და უარყოფას ანტანტის სახელმწიფოთა მიერ მთლიანი და განუყოფელი შავი რუსეთის აღდგენის იდეისა.“[1]

ამ წერილის შინაარსობრივ მხარეს მისი გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში კრიტიკულად გამოეხმაურა ქართული პერიოდული პრესა და მასზე ქვემოთ ვისაუბრებ. ჯერ კი რუსი დიპლომატის თვალთმაქცურ მოქმედებას დავაკვირდეთ. რა თქმა უნდა, საბჭოთა ელჩი ტყუოდა, როცა წერდა, ანტანტის სახელმწიფოთა მიერ საქართველოს იურიდიულად ცნობის შესახებ „გაზეთებიდან გავიგეო“. მას ამის თა-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1921 წ., 3 თებერვალი.

ობაზე კრემლიდან დიპლომატიური არხებით მიღებული ჰქონდა სათანადო ცნობა და შესაბამისი მოქმედების ინსტრუქციაც.

მეორე: შეინმანი ცდილობდა შეცდომაში შეეყვანა და მოეტყუებინა საქართველოს ხელისუფლება, როდესაც აცხადებდა, საბჭოთა რუსეთი დიდი სიხარულით ეგებება საქართველოს დე იურედ ცნობასო.

იმ ხანად თუკი რამ არ გაახარებდა ლენინსა და მის მთავრობას, ეს სწორედ მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ საქართველოს საერთაშორისო აღიარების ფაქტი იყო, რადგან მას შეეძლო გაერთულებინა ანდა სულაც ჩაეშალა კრემლში რამდენიმე დღის წინ საგულდაგულოდ მიღებული გეგმა. 1921 წლის 26 იანვარს თვით ლენინის მიერ დაწერილი და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დამტკიცებული გეგმა რუსეთის სამხედრო რევოლუციურ საბჭოსა და კონკრეტულად კავკასიის ფრონტის სარდლობას საქართველოსთან ომისათვის მზადებას ავალებდა.[1]

წარმოუდგენელია, რომ ამ ყველაფრის შესახებ რუსეთის ელჩს საქართველოში არ სცოდნოდა. შეინმანი კი თბილისში მყოფ სხვა უცხოელ დიპლომატებთან ერთად საქართველოს იურიდიულად ცნობის აღსანიშნავ საზეიმო ბანკეტზეც მიბრძანდა და იმ თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს სადღეგრძელო შესვა, რომლის დასაპყრობად მისი ქვეყნის ხელისუფლებას უკვე გაემზადებინა წითელი არმიის ნაწილები.

აღსანიშნავია ისიც, რომ შეინმანის წინამორბედი ელჩი საქართველოში, ბოლშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი და რკპ(ბ) კავბიუროს წევრი სერგეი კიროვი ზუსტად იმ დღეებში საქვეყნოდ აცხადებდა: „Если до сих пор наши представители заверяли Ноя Жордания, что его мальенкая земля, пропитанная кахетинским вином, нас ни с какой стороны не интересует, то теперь настало время указать ему, что Кавказ будеть могилой не для Советроссии, как грозит он, а для него и его сподвижников-царских генералов и жандармских полковников. Тучи сгустились. Но с того момента как разрядится гроза над Грузией засияет красная звезда.“[2]

„ზნეობრივად ბოლშევიკებისაგან საქართველოს დე იურედ ცნობა

1 ლენინი ვ., თხზ. ტ. 42, გვ. 288-289.

2 Газ. „Борьба“, 1921 г. 3 февраля.

არ წარმოადგენს რაიმე მნიშვნელობას, რომელზედაც შეიძლებოდეს სერიოზული ლაპარაკი“, შენიშნავდა გაზეთ „საქართველოს“ პუბლიცისტი და დასძენდა: უფრო საყურადღებოა შეინმანის მოლოცვის ბოლო ფრაზა, რომელიც კარგად ახასიათებს მოსკოვის მთავრობის ორმაგ პოლიტიკას. „საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქვეყნოდ აცხადებს, რომ ძველი საზღვრების აღდგენა რეაქციონერული და შავი რუსეთის იდეა არისო. ჩვენ კი ვიცით, რომ მოსკოვის მთავრობა და მისი „მოღვაწენი“ „აღდგენის“ საქმეს ემსახურებოდნენ. აზერბაიჯანი და სომხეთი საუკეთესო ფაქტებია; მალული მუშაობა ჩვენში კიდევ უკეთესი საბუთია.

აქედან ცხადია, კომუნისტური რუსეთი და შავი რეაქციონური რუსეთი ერთიმეორისაგან არაფრით განირჩევიან. ეს უნდა ახსოვდეს საქართველოს დემოკრატიას.“[1]

„კომუნისტური რუსეთის ე.წ. საგარეო პლიტიკაზე ზედგამოჭრილია ჩვენი ხალხის თქმულება: „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უდევს დიდი მზღვარი“, ვკითხულობთ იმავე გაზეთის სხვა ნომერში.

„სიტყვა ბოლშევიკებისა მუდამ მომაჯადოებელი და იმედის აღმძვრელი იყო. სიტყვებით ეს ხალხი ბედნიერებას გვპირდებოდა, ... ხოლო საქმით სინამდვილეში საბჭოთა რუსეთის ყველა ჯურის წარმომადგენლები და აგენტები მოქმედებდნენ საქართველოს თავისუფლების მოსასპობად. ...ბოლშევიკურმა რუსეთმა მოსყიდული აგენტებითა და ტერორისტებით აავსო ჩვენი ქვეყანა და ეს სუბიექტები სხვადასხვა ტოგაში გამოხვეულები და ამოფარებულნი დიპლომატიური მისიის ექსტერიტორიალურ კედლებს თან შეიარაღებულ აჯანყებებს აწყობდენ. ...საქართველოსა და მის კანონიერ მთავრობის წინააღმდეგ.

...შეინმანი საჯაროდ აღიარებს, რომ საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა არის რუსეთის კომუნისტების საგარეო პოლიტიკის გამარჯვება და რომ ჩვენ სრულის დამშვიდებით შეგვიძლიან ვიმედოვნოთ, რუსეთის დახმარებაზე სუვერენიტეტის ფაქტიურად განმტკიცებასა და შენახვაში.

დიდი გულუბრყვი უნდა იყოს შეინმანი, თუ მართლა ჰფიქრობს, რომ ამ დეკლარაციული განცხადებით ქართველი ხალხი დაკმაყო-

1 გაზ. „საქართველო”, 1921 წ., 4 თებერვალი.

ფილდება! ან რა საჭიროა აღთქმანი და დაპირებანი?! ჩვენ გვინდა სინამდვილეში ფაქტებით დადასტურდეს რუსეთის კეთილი განწყობილება საქართველოს მიმართ! ...და თუ შეინმანისა და რუსეთის სხვა წარმომადგენლების ენერგია მცირედით მაინც აქეთკენ იქნება გადახრილი, მაშინ დავრწმუნდებით დეკლარაციების ღირსებაში."[1]

ეხმაურებოდა რა რუსეთის ელჩის მოლოცვას, ფედერალისტთა გაზეთი „სახალხო საქმე" შენიშნავდა: „საბჭოთა მთავრობას ერთი ფრიად გამათახსირებელი თვისება დაჰყვა თან: კაცმა არ იცის, როდის აიღებს იგი იარაღს იმის წინააღმდეგ, ვისაც ხელშეკრულებით ეკვრება. ეტყობა პირობას იმიტომ სდებენ, რომ არ აასრულონ და წინდაწინვე არიან დარწმუნებულნი ამაში."[2]

ოპოზიციურმა ძალებმა პირველებმა ატეხეს განგაში რუსეთის მოსალოდნელი აგრესიის თაობაზე. „ბოლშევიკები ახალ ბორკილს უმზადებენ საქართველოს, რომელმაც აღარ მოისურვა თავის კისრით ველიკორუსული უღლის ზიდვა. ...ისინი ბორჩალოს მაზრაში შეთქმულებას აწყობენ საქართველოს დასამხობად", – წერდნენ მათი გაზეთები.

აღსანიშნავია, რომ ქართულმა პერიოდულმა პრესამ იმთავითვე მიაქცია ყურადღება საბჭოთა რუსეთისა და ანგორის ქემალისტური მთავრობის საეჭვო დაახლოებას, რომელიც საქართველოსათვის დამატებითი გამოწვევა იყო. გაზეთებმა „საქართველომ" და „სახალხო საქმემ" დაბეჭდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოპოვებული დოკუმენტური მასალა, სახელდობრ ლორის ბოლშევიკური ორგანიზაციის სამაზრო კონფერენციის ოქმი, რომლის დადგენილებაში ხაზგასმულია: „მიეცეს წინადადება მესამე სარაიონო კომიტეტს, იქონიოს კავშირი ქემალისტებთან და ყველაფერი აცნობოს უეზდკომს".

ბოლშევიკურ-თურქულ ალიანსს მოწმობდა იმდროინდელი თურქული პრესის პუბლიკაციებიც, რომელთა მიმოხილვას თავიანთ ფურცლებს უთმობდნენ ქართული გამოცემებიც. მაგალითად, გაზეთი „ბოსფორი" წერდა: „ყველა ინფორმაცია, რომელიც ბოლშევიკების საქართველოსადმი მუქარას შეეხება, ბოროტი ფანტაზიის გამოგონილია და რომ თბილისსა და მოსკოვს შორის დამოკიდებულება ნო-

1 გაზ. „საქართველო", 1921 წ., 11 თებერვალი.

2 გაზ. „სახალხო საქმე", 1921 წ., 3 თებერვალი.

რმალურია.“[1]

ეს „ნორმალური დამოკიდებულება“ 1921 წლის 11-12 თებერვალს ღამით იმით აღინიშნა, რომ ლორეს ოლქში სომხეთის მხრიდან რუსეთის წითელი არმიის ნაწილები შემოიჭრნენ (განხორციელებულ სამხედრო ოპერაციას ბოლშევიკებმა „საქართველოს მშრომელთა აჯანყება“ უწოდეს და იგი საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც ამგვარი სახელდებით შევიდა), 14 თებერვალს კი კრემლში განკარგულება გაიცა თბილისის აღების შესახებ.

ყოველივეს მიუხედავად, რუსეთის ელჩი კვლავ არწმუნებდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ არფერი იცის, და „ეს სომხეთის მთავრობის საქმეაო“. სამწუხაროდ, ნოე ჟორდანიას რამდენიმე დღის განმავლობაში ეჭვი არ შეჰქონდა რუსი დიპლომატის გულწრფელობაში და 15 თებერვალს დამფუძნებელი კრებაში სიტყვით გამოსვლისას აღნიშნავდა: „ჩვენ გვაქვს ოფიციალური განცხადება რუსეთის წარმომადგენლისა, რომ მოსკოვი ამ საქმეში (ლორეში დაწყებულ „აჯანყებაში“, – ო. ჯ.) არ ერევა, რომ ის გადაჭრით დგას 7 მაისის ნიადაგზე.“[2]

ამასობაში საქართველოს გარშემო რკალი იკვრებოდა. რუსეთის სამხედრო შენაერთები მას უკვე აზერბაიჯანის, სოჭისა და დარიალის მხრიდანაც უტევდნენ. მალე არტაან-ართვინში თურქეთის ჯარები გამოჩნდნენ. 24 თებერვალს მიღებულ იქნა თბილისის დატოვებისა და მცხეთისკენ უკანდახევის გადაწყვეტილება. საქართველოს მთავრობა დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქი XI წითელმა არმიამ დაიკავა. ბაქოში მყოფმა სერგო ორჯონიკიძემ კრემლს უდეპეშა, რომ თბილისზე საბჭოთა ხელისუფლების დროშა აფრიალდა.

1 გაზ. „ერთობა“, 1921 წ., 22 იანვარი.

2 გაზ. „საქართველო”, 1921 წ., 17 თებერვალი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და თურქეთის ურთერთობების ისტორიიდან (1920-1921 წწ.)

დედამიწის ზურგზე ძნელად თუ მოიძებნება ორი მეზობელი ხალხი და სახელმწიფო, რომლებსაც წარსულში ერთმანეთთან შეუთავსებლობა, კონფლიქტი და შეტაკება არ ჰქონოდეთ. ამაში გასაკვირი არც არაფერია, რადგან ძლიერის მიერ სუსტის შევიწროება ძველად ცხოვრებისა და ურთიერთობის ჩვეული წესი იყო. ძლიერი იქცეოდა როგორც სურდა, ხოლო სუსტი - როგორც შეეძლო. დიდი ხნის განმავლობაში, ლამის პირველი მსოფლიო ომის ბოლომდე, არ არსებობდა ამგვარი დაპირისპირების, ერთი ქვეყნის მიერ მეორეზე ძალადობის არა თუ აღმკვეთი, რაიმე შემზღუდავი მექანიზმიც კი. ამიტომ, როდესაც ისტორიის ამათუ იმ მოვლენაზე ვსაუბრობთ, მას თანამედროვე სტანდარტებით კი არ უნდა ვუდგებოდეთ, არამედ თავად განსახილველი მოვლენის ეპოქის ღირებულებათა გათვალისწინებით. და კიდევ ერთი: წარსული და მისი ისტორია არ უნდა გამოიყენებოდეს პოლიტიკის ინსტრუმენტად. ყოველგვარმა კონიუნქტურამ ადგილი უნდა დაუთმოს ობიექტურ, დოკუმენტებზე დაფუძნებულ მეცნიერულ კვლევასა და მიუკერძოებელ შეფასებას. ისტორია, როგორიც არ უნდა იყოს იგი, და მით უმეტეს მისი ინტერპრეტაცია, აღარ უნდა რჩებოდეს წინააღმდეგობის კვანძად, სახელმწიფოთა შორის დღევანდელი თუ მომავალი ურთიერთობების ხელისშემშლელ ფაქტორად.

ეს შესავალი იმისათვის დამჭირდა, რომ წინამდებარე საკითხი სწორედ ორი მეზობელი სახელმწიფოს - საქართველოს პირველი რესპუბლიკისა და თურქეთის ურთიერთობის მგრძნობიარე თემათა რიგს განეკუთვნება და იგი განსხვავებულადაა წარმოდგენილი ქართულ და თურქულ ისტორიოგრაფიაში.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველმა საკითხმა დიდი ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება, ოღონდ, თურქ ისტორიკოსებს პრობლემა უმთავრესად შესწავლილი აქვთ თურქული პირველწყაროების, ხოლო ქართველ სპეციალისტებს - ქართულ დოკუმენტური და პერიოდული პრესის მასალების გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 20-25 წელია საქართველო-თურქეთს შორის მეტად შინაარსიანი ორმხრივი ურთიერთობა წარმოებს, რომელიც მეცნიე-

რების სფეროსაც მოიცავს, დანანებით უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე დღემდე ვერ მოხერხდა ერთობლივი კვლევა. არადა, სწორედ ამგვარი გზით შეიძლებოდა თუ ერთიანი აზრის ჩამოყალიბება არა, პოზიციების დაახლოება მაინც.

ოსმალეთი გერმანიის შემდეგ ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე ფაქტო აღიარა. ეს მოხდა 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში, სადაც ორი ქვეყნის უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ე. წ. „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულებას." დასამალი არ არის, რომ ეს არ ყოფილა თანასწორთა შეთანხმება. საზღვრები ორ ქვეყანას შორის გაიმიჯნა 1829 წლის ანდრიანოპოლის ზავის წინა პერიოდის რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრების შესაბამისად. ოსმალეთის ხელში ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების გარდა უნდა გადასულიყო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიც (აბასთუმნისა და აწყურის გამოკლებით). ძირითად ხელშეკრულებასთან ერთად გაფორმდა დამატებითი ხელშეკრულება, რომელიც ასევე, უთანაბრო პირობებში აყენებდა ქართულ მხარეს (საქართველოს ევალებოდა ჯარის დემობილიზაცია, რკინიგზების დათმობა ოსმალეთის სამხედრო ნაწილების გადასაადგილებლად და სხვ.).[1] ქართველი ემიგრანტი მოღვაწე ვიქტორ ნოზაძე შენიშნავს, რომ: „იარაღმოღერებული ოსმალეთი გაშიშვლებული ხმლით თავს დაადგა ახალშობილ რესპუბლიკას".[2] თუ ამ ფრაზაში ემოცია ჭარბობს, უფრო აკადემიურია ამერიკელი მკვლევრის, ფირუზ ქაზემზადეს შეფასება. მისი სიტყვით: „ძვირად დაუჯდა საქართველოს მშვიდობა და დამოუკიდებლობა."[3]

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გააპროტესტა ბათუმის ზავი და მოითხოვა მისი გადასინჯვა ცენტრალურ სახელმწიფოთა მონაწილეობით. გერმანიას თავდაპირველდ არ სურდა თურქებისათვის ბათუმის დათმობა. ბერლინში ფიქრობდნენ, რომ მათთვის შეიძლებოდა არა ქალაქის, არამედ მხოლოდ ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილის

1 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии,Тифлис, 1919, ст. 343-349.

2 ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 32-33.

3 ქაზემზადე ფ., ბრძოლა ამიერკავკასიისათვის. 1917-1921, თბ., 2016, გვ. 162.

გადაცემა.[1] გერმანიის თაოსნობით, კონფერენცია კონსტანტინოპოლში უნდა გამართულიყო, მაგრამ მსოფლიო ომში ოთხთა კავშირის დამარცხების გამო იგი აღარ ჩატარებულა.

არ განხორციელებულა ბათუმის ხელშეკრულების არც რატიფიკაცია, რის გამოც ზავი ძალაშიც არასოდეს შესულა, მაგრამ ოსმალურ ოკუპაციას „სამაჰმადიანო საქართველოდან" მოსაზღვრე ქართულ რაიონებში 60 ათასი ლტოლვილის გახიზვნა მოჰყვა (მარტო ბათუმიდან დევნილთა რიცხვი 20 ათასი კაცი მოითვლიდა). ხელშეკრულების ერთადერთი დადებითი მნიშვნელობა საქართველოსათვის ის იყო, რომ ოსმალეთი, როგორც აღინიშნა, ფორმალურად ცნობდა ახლად წარმოშობილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.[2] ოფიციალურმა სტამბოლმა თავის წარმომადგენლად თბილისში აბდულ ქერიმ ფაშა დანიშნა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა ოსმალეთში გრიგოლ რცხილაძეს მიენდო,[3] კონსულად კი იოსებ გოგოლაშვილი დაინიშნა.[4]

1918 წლის 30 ოქტომბერს ინგლისსა და ოსმალეთს შორის დადებულმა მუდროსის დროებითმა ზავმა ვითარება საქართველოსათვისაც მნიშვნელოვნად შეცვალა. ოსმალეთს სამცხე-ჯავახეთის დეოკუპაცია უნდა განეხორციელებინა.[5] ბათუმსა და მის ოლქზე მოკავშირე სახელმწიფოთა კონტროლი მყარდებოდა.

მალე საქართველოს ტერიტორია დატოვა გერმანიის სამხედრო კონტიგენტმაც, რომელიც აქ 1918 წლის ივნისის დამდეგს შემოვიდა, როგორც დამოუკიდებლობაგამოცხადებული ქვეყნის სუვერენიტეტის გარანტი. მათი ადგილი 1918 წლის დეკემბერ-იანვრიდან მოკავშირეთა ჯარის ნაწილებმა დაიკავეს, რომელთაც ბრიტანელი სარდლობა მეთაურობდა.

---

1 Zurrer W., Deutschland und die Entwicklung Nordkaukasiens in Jahre 1918, Jahrbucher fur Geschichte Osteuropas, Wiesbaden, 1978, Bd. 26, S. 43, 56.

2 ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდელობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ. 126.

3 საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1919, თბ., 2016, გვ. 350.

4 გაზ. „საქართველო", 1920 წ., 24 იანვარი.

5 Рейфилд Д., Грузия. Перекресток империй. История длиной в три тысячи лет, М., 2017, с. 274.

ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობას 1918 წლიდან ძნელად შეიძლება ვუწოდოთ მშვიდობიანი და მით უფრო კეთილმეზობლური. ამ ურთიერთობის ხასიათზე, ცხადია, გავლენას ახდენდა საგარეო ფაქტორები, ჯერ გერმანიის, შემდეგ რუსეთისა და ანტანტის სახელმწიფოთა ინტერესები და მათი ჭიდილი რეგიონში. თავად ოსმალეთიც, ომში განცდილი მარცხის მიუხედავად, იოლად ვერ ელეოდა იმპერიულ ამბიციებს და თავისი გავლენის დამყარება ისევ ეწადა არა თუ სამხრეთ, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაზეც კი.[1] მართალია, ოსმალეთის პარლამენტმა ცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა (1920 წლის თებერვალი),[2] მაგრამ სამხრეთიდან მოსალოდნელი აგრესიის საფრთხე ამით არ მოხსნილა.

1920 წელი პერსპექტივის თვალსაზრისით უფრო ოპტიმისტური საქართველოსათვის იყო, ვიდრე ოსმალთათვის. ამ წლის 10 იანვარს მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დე ფაქტო აღიარების გადაწყვეტილება მიიღო. რამდენიმე თვის შემდეგ, კერძოდ 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის, რომლის ძალით მოსკოვი ოფიციალურად ცნობდა და აღიარებდა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. 1920 წლის ზაფხულისათვის საქართველოში უცხოეთის არც ერთი ქვეყნის სამხედრო ძალა აღარ იმყოფებოდა.

რაც შეეხება ოსმალეთს, მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ დროისათვის ოკუპირებული ჰქონდათ ანტანტის სამხედრო ძალებს, ხოლო 1920 წლის 10 აგვისტოს სევრის ცნობილი ხელშეკრულებით ოსმალეთის სახელმწიფოებრიობას თითქმის გამანადგურებელი საფრთხე დაემუქრა. მართალია, სულთანმა მეჰმედ VI-მ ტახტი შეინარჩუნა, მაგრამ ხელისუფლებას არსებითად ანგორაში (ანკარა) აღმოცენებული დიდი ეროვნული კრების მთავრობა დაეუფლა გენერალ მუსტაფა ქემალის თავმჯდომარეობით. ქემალმა ძველი ოსმალეთის

1 Zurrer W., Deutschland und die Entwicklung Nordkaukasiens in Jahre 1918, Jahrbucher fur Geschichte Osteuropas, Wiesbaden, 1978, s. 34, 47-50.

2 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 19 თებერვალი.

ნანგრევებზე ახალი თურქეთის შენება დაიწყო.[1]

1920 წლის აპრილიდან ანკარის (ანგორის) მთავრობამ პარტნიორული ურთიერთობა ჩამოაყალიბა საბჭოთა რუსეთთან. თურქეთის ახალი სახელმწიფოს მეთაური გენერალი მუსტაფა ქემალი დიდად იყო დავალებული მოსკოვისაგან, რადგან ანტანტის წინააღმდეგ ბრძოლაში აქედან მნიშვნელოვან შეიარაღებასა და ფინანსებს იღებდა.[2]

თურქეთის ხელისუფლება აცხადებდა, რომ სუვერენული საქართველოს არსებობა მის ინტერესებს შეესაბამებოდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით მასთან უშუალო კავშირის დამყარებას არ ჩქარობდა. თურქი დიპლომატები საქართველოსთან ტერიტორიული გამიჯვნისა და საზღვრების პრობლემებზე მოსკოვთან მსჯელობდნენ და არა თბილისთან. ამ მხრივ შეთანხმებასაც მიაღწიეს: ბათუმის ოლქი საქართველოს უნდა დარჩენოდა, ართვინ-არტაანი კი თურქეთს კუთვნილებად ცხადდებოდა.

მიუხედავად ამისა, როგორც კი 1920 წლის 7 ივლისს მოკავშირეთა არმიამ ბათუმი დატოვა (ქალაქი და ბათუმის ოლქი საქართველოს იურისდიქციაში გადავიდა), ხოლო აჭარაში ქართული ჯარის ნაწილები განლაგდნენ, ანკარის მთავრობამ პროტესტი გამოთქვა. ანკარის ნოტა საქართველოს მთავრობას იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოებაში დებდა ბრალს და მოუწოდებდა, თავი შეეკავებინა ამგვარი მოქმედებისაგან.[3]

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ანკარას შორის პირველი ოფიციალური კონტაქტები 1920 წლის ნოემბრის შუა რიცხვებით თარიღდება, რაც რეგიონში შექმნილი ახალი რეალობით იყო განპირობებული. კერძოდ: 1920 წლის სექტემბერში თურქეთის ჯარებმა იერიში მიიტანეს სომხეთზე და არარატის რესპუბლიკა საგრძნობლად შეავიწროვეს. მათვე საქართველოს კუთვნილი ოლთისის ოლქიც დაიკავეს. შეიქმნა ამ ჯარების ქვეყნის ფარგლებში უფრო ღრმად შემოჭრის საშიშროება. საქართველოს დემოკრატიული რეს-

1 ქაზემზადე ფ., ბრძოლა ამიერკავკასიისათვის. 1917-1921, თბ., 2016, გვ. 356.

2 Документы внешней политики СССР, т. 3, М., 1959, ст. 18.

3 სვანიძე მ., საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან, ქართული დიპლომატია, წელიწდეული,. 11, თბ., 2004, გვ. 627-632.

პუბლიკის ხელისუფლებამ სასწრაფო მობილიზაცია გამოაცხადა და თავდაცვისათვის მზადებას შეუდგა.

მდგომარეობის განმუხტვას შეეცადა თურქეთის მთავრობა, რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების წინადადებით, თბილისში ოფიციალური დელეგაცია გამოგზავნა.

1920 წლის 13 ნოემბერს ქიაზიმ ბეი თბილისში ჩამოვიდა. მისი სიტყვით: „ანგორის მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი ინტერესია, ნახოს საქართველო დამოუკიდებელი და ძლიერი. დამოკიდებულება საქართველოსა და ანგორას მთავრობებს შორის უმთავრესად ამ ძირითადი ინტერესებით განისაზღვრება. ...ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ, საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანთა მშვიდობიანი ცხოვრებით. ეს გონიერი პოლიტიკა დაახლოებს საქართველოსა და ოსმალეთის მთავრობებს და უფრო განამტკიცებს მათ მეგობრულ კავშირს.“[1]

ქართულმა მხარემ მეზობელი სახელმწიფოს შეთავაზება მიიღო. საქართველოს ოკუპაციის საფრთხე მოიხსნა და ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. ქიაზიმ ბეი საქართველოში თურქეთის დიპლომატიურ წარმომადგენლად დაინიშნა. 14 ნოემბერს ის უკვე ატყობინებდა ანკარას, რომ საქართველოს მთავრობას გადასცა რწმუნების სიგელი.[2]

ამ ფაქტის გამო გაზეთი „საქართველო“ შენიშნავდა: „საქართველოს მთავრობასთან თავისი ოფიციალი წარმომადგენლის დანიშვნა მეტად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ორივე მთავრობას საშუალება ეძლევა მუდმივი ნორმალური ურთიერთობებით ამოსწურონ ზოგიერთი სადავო საკითხები. ...თავის დღეში საქართველო არ იქნება იმ მხარეთ, რომელიც პირველად აგრესიულ პოლიტიკას დაადგება. ...ორი მეზობელი ქვეყანა, განთავისუფლებული წარსული საბედისწერო შეცდომისაგან, ერთი მეორეს დაუახლოვდება და შეჰქმნიან იმ სიმტკიცეს, რომელიც ორივეს ააშორებს იმ ჩრდილოეთის საფრთხეს, რომელიც იქნება დღეს სთვლემდეს, ან იცდიდეს, მაგრამ, რომელიც ხვალ საშიშარ რეალ საფრთხეთ მოგვევლინება და ორივეს არსებობას საბედისწეროდ დაემუქრება.“[3]

---

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., 13, 19 დეკემბერი.

2 წურწუმია ზ., აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში, თბ., 2012, გვ. 215.

3 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 30 ნოემბერი.

მალე თბილისს ესტუმრა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბექირ-სამი ბეი, რომელმაც მოლაპარაკებები გამართა აკაკი ჩხენკელსა და ნოე რამიშვილთან.[1] გადაწყდა, რომ თურქეთში თავის მისიას მიავლენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც. საქართველოს ელჩად ანგორაში სვიმონ მდივანი შეირჩა.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა თურქეთში 1920 დეკემბრის ბოლოს გაემგზავრა. ანკარის მთავრობის მეთაურმა ქართველი ელჩისაგან რწმუნების სიგელი მხოლოდ მომდევნო წლის 8 თებერვალს ჩაიბარა. ელჩის აკრედიტაცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულ აღიარებას ნიშნავდა.[2] საპატიო მიღებისას მუსტაფა ქემალმა სიმონ მდივანს განუცხადა: „ჩვენ გვაერთებს საქართველოსთან არამც თუ მარტო სიმპათია, არამედ მიზანთა ერთობაც. ჩვენ გვყავს ძლიერი მტერი დასავლეთით და გვჭირდება ძლიერი აღმოსავლეთი ...ჩვენ გვჭირდება საქართველო ძლიერი და დამოუკიდებელი.“[3]

იგივე აზრს დაბეჟითებით ანვითერებდა თურქული პრესაც. მაგალითად ოფიციოზი „ხაკიმიეთი მილიე“ წერდა: „ქართველებმა უნდა ეძებონ თავისი ბედნიერებისა და მშვიდობის მთავარი საწინდარი თავის მეზობლებთან კარგ ურთიერთობაში. ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ თურქეთში ნახავენ ყველაზე უფრო კეთილგანწყობილს და გულწრფელ მეგობარსო.“

განცხადებები დამაიმედებელი იყო, მაგრამ როგორი იქნებოდა პრაქტიკული მოქმედება, ამას დრო წარმოაჩენდა. თურქეთის სახელმწიფოს მეთაურთან ოფიციალურ მიღებაზე მყოფ საქართველოს წარმომადგენლობის წევრს დიმიტრი შალიკაშვილს იმავე დღეს თავის დღიურში ჩაუწერია: „იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ახლა ვჭირდებით თურქებს და ამიტომ ასე კარგად გვეპყრობიან და გვეფერებიან. მაგრამ ხვალ თუ მდგომარეობა შეიცვალა, ისინი იმავე

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 22 დეკემბერი.

2 სვანიძე მ., დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საქართველოსა და ქემალის თურქეთის მთავრობებს შორის, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 7, თბ., 2000, გვ. 148, 152.

3 შალიკაშვილი დ., საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1991, # 1, გვ. 56.

მოფერებით მიგვაჭყლეტენ კედელზე.“[1]

თურქეთი აგრძელებდა საბჭოთა რუსეთთან დაახლოების კურსს, რომელსაც პრიორიტეტულ ამოცანად მიიჩნევდა. რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელმა ალიანსმა ანტანტის სახელმწიფოთა შეშფოთება გამოიწვია. საფრანგეთმა დააპირა ქემალის გადაბირება მისთვის სევრის ხელშეკრულების გადასინჯვის წინადადებითა და სამხრეთ კავკასიაში გარკვეული კომპენსაციების შეთავაზებით. ანკარისათვის სასურველი ამ დათმობების მიუხედავად, მუსტაფა ქემალი მოერიდა მოსკოვთან დაპირისპირებას, თუმცა ლონდონსა და პარიზთან თანამშრომლობაზე უარი არ უთქვამს.

ანკარის ახალი დიპლომატიური დელეგაცია რუსეთთან მოლაპარაკების განსაახლებლად მოსკოვს 1921 წლის 18 თებერვალს ეწვია.[2] კონფერენცია მუშაობას 1921 წლის 26 თებერვალს შეუდგა.

რუსეთ-თურქეთის მოსკოვის მეორე კონფერენციის დაწყებას წინ უძღოდა საბჭოთა რუსეთის თავდასხმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, რისთვისაც კრემლი კარგა ხნის განმავლობაში ემზადებოდა. დეტალურად შემუშავდა არა მხოლოდ საქართველოში შემოჭრის სამხედრო-სტრატეგიული გეგმა, არამედ წარმოებდა დიპლომატიური სამზადისისც საქართველოს იზოლაციაში მოსაქცევად (ინგლისთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენით მოსკოვმა მისგან სამხრეთ კავკასიაში თავისუფალი მოქმედების უფლება მოიპოვა, ხოლო რეგიონის გარკვეული ტერიტორიის ქემალისათვის დათმობის სანაცვლოდ თურქეთი ნეიტრალიტეტზე დაითანხმა).

1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის ნაწილებმა თბილისი აიღეს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება გამოაცხადეს. გაჩაღებულ უთანასწორო ომში, რომელიც ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, ანკარის ხელისუფლებამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ბოლშევიკური აგრესიის მოგერიებაში დახმარება აღუთქვა, სანაცვლოდ კი არდაგანისა და ართვინის ოლქების მისთვის გადაცემა მოითხოვა.

ნოე ჟორდანიას სიტყვით, „ეს იყო პირდაპირ ჩვენი გაკეთება, ვი-

1 შალიკაშვილი დ., საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1991, # 1, გვ. 57.

2 Кузнецова С. И., Установление советско-турецких отношении, М., 1961, с. 42-44.

ნაიდან ვიცოდით რა დიდ მნიშვნელობას აძლევს მოსკოვი ოსმალოს ნეიტრალობას."[1] თურქეთი ერთის მხრივ ნოე ჟორდანიას არწმუნებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი გაძლიერება ანგორის ინტერესებშიც შედიოდა, მეორეს მხრივ კი მის წინააღმდეგ მოსკოვთან გარიგებას აწარმოებდა.

შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაში ნოე ჟორდანია დაეთანხმა ულტიმატუმის ფორმით წამოყენებულ თურქთა ამ წინადადებას,[2] მაგრამ ისე რომ, ქართულ მხარეს წერილობით შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერია.[3]

საქართველოს მთავრობამ ართვინ-არდაგანიდან სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაცია გამოიყვანა და ეს სივრცე თურქეთს დაუთმო. თურქეთის არმიის ნაწილები ხსენებულ მიდამოებში განლაგდნენ.[4]

ანგორის მთავრობის შესაბამისმა სამსახურმა მაშინვე გაავრცელა ინფორმაცია, რომ თითქოს არდაგანის მცხოვრებნი თურქთა ჯარებს ქალაქიდან მოშორებით მიეგებნენ. მუსტაფა ქემალის სიტყვით კი, „ამ ოლქების დაკავებას თან ახლდა მოსახლეობის მისალმება, რომელიც მოუთმენლად ელოდა შეერთებას თურქეთთან."

ანგორის ოფიციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში კიაზიმ ბეიმ ნოე ჟორდანიას აცნობა, რომ ამით თურქეთ-საქართველოს შორის სადავო საკითხები ამოიწურა და თურქეთი მზადაა „მეგობარ" ქვეყანას საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ოპერაციებშიც დაეხმაროს.

1921 წლის 1-ელ მარტს საქართველოს ელჩს თურქეთში სიმონ მდივანს თავის რეზიდენციაში ესტუმრა ქემალ ფაშა და იგი საქართველოსათვის იარაღის მიწოდების საკითხში დააიმედა.

დახმარება იმდენად აუცილებელი და საჩქარო იყო, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კონსტანტინე საბახტა-

---

1 ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 123.

2 Кемаль М., Путь новой Турции, т. III, М., 1934, ст. 119; David Marshall Lang (excerpt from the book"A Modern History of Georgia"/NY/1962) http://www.conflicts.rem33.com/images/Georgia/Lang_9a.htm

3 თოიძე ლ., ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2009, გვ. 18-20.

4 Mantoux St., L'invasion de la Géorgie par les bolcheviks (15 février-17 mars 1921): une soviétisation atypique. http://www.conflicts.rem33.com/images/Georgia/Mantoux%201.htm

რაშვილი სიმონ მდივნისათვის გაგზავნილ შეტყობინებაში შეთანხმებაზე ხელის მოწერასაც არ გამორიცხავდა, ოღონდ იმ პირობით, რომ „ახლავე აღმოგვიჩინონ სამხედრო დახმარება ომში აქტიურად ჩვენს სასარგებლო ჩარევით.“

1921 წლის 4 მარტს სიმონ მდივანს მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ავალებდა: „უნდა მიიღოთ ზომები ანგორის ჩასარევად. მარტო საკუთარი ძალებით საქართველო ვერ შეძლებს მოსკოვის გამკლავებას. დაარწმუნეთ ანგორა, რომ დაცდის პოლიტიკა შეუძლებელია.“ [1]

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია თავდაპირველად შიშობდა, თურქებს ბათუმი და ახალციხეც არ დაეკავებინათ, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ საქართველო ჩრდილოელი მოძალადისაგან თავს ვეღარ დაიცავდა, თურქეთში საქართველოს ელჩს სიმონ მდივანს უფლება მისცა ქემალ-ფაშასთან შეთანხმების უფრო კომპრომისული ვარიანტიც განეხილა. საარქივო დოკუმენტის თანახმად, „საქართველოს მთავრობა აძლევს ანკარის მთავრობას შემდეგ წინადადებას: დაუყოვნებლივ მოახდინონ სამხედრო ოკუპაცია ბათუმის ოლქისა და ახალქალაქის მაზრებისა შემდეგი პირობით. ამ ოლქების მთელი სამოქალაქო მმართველობა და სუვერენული უფლება ექნება საქართველოს მთავრობას. ქართული ჯარი დაეხმარება ოსმალეთის ჯარს ამ ოკუპაციის მოხდენაში. ეს მდგომარეობა გაგრძელდება მანამ საბოლოოდ გამოირკვევა საქართველოს და საზოგადოდ პოლიტიკური მდგომარეობა ამიერკავკასიაში.“[2]

რამდენიმე დღის შემდეგ სვიმონ მდივანმა ნოე ჟორდანიას აცნობა, რომ თურქებმა წინადადება მიიღეს, მაგრამ „პირობის დაწერა უხერხულად მიაჩნიათ“, სიტყვიერად კი სამმა მინისტრმა მთავრობის სახელით და პირადად აღმითქვა რომ, როგორც კი საქართველოს მდგომარეობა განმტკიცდება, ამ ოლქებიდან დაუყოვნებლივ ჯარს გაიყვანენ.[3]

---

1 სვანიძე მ., დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918-1921 წლებში, „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, 10, თბ., 2003, გვ. 174-175; 178.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდის მიკროფირები, საქმ. # 386; ასევე, გელავა ნ., საქართველო-თურქეთის ურთიერთობა 1921 წლის თებერვალ-მარტში, საისტორიო მოამბე, 1998-1999, # 71-72, გვ. 27.

3 თოიძე ლ., ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2009, გვ. 27.

სინამდვილეში, ანკარის ხელისუფლების მისწრაფება სხვა იყო.[1] ჯერ კიდევ 1921 წლის 21 თებერვალს თურქეთის საგარეო საქმეთა უწყების მეთაურმა აჰმედ მუჰთარმა დიდი ეროვნული კრების დეპუტატთა წინაშე გამოსვლისას განაცხადა: „მინდა გაცნობოთ, რომ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ჩვენ ჯარებს მიეცათ ბათუმის დაკავების ბრძანება. ქალაქის დაკავების შემდეგ იქ ჩატარდება პლებისციტი და თუ მოსახლეობა მოისურვებს, ბათუმი იქნება ჩვენი.“[2]

საგულისხმოა ასევე, რომ სიტყვა პლებისციტი გვხვდება ანგორის მთავრობის რამდენიმე მინისტრის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩის სიმონ მდივნისათვის 1921 წლის თებერვლის ბოლოს გადაცემულ თურქეთ-საქართველოს შეთანხმების პროექტშიც. თურქები წინადადებას აყენებდნენ და მოითხოვდნენ: მას შემდეგ, რაც მათი ჯარები ბათუმის ოლქსა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებს დაიკავებდნენ, ამ რეგიონში ჩაეტარებინათ პლებისციტი.

ცხადია, თურქეთის ხელისუფლება საკუთარი გათვლებით მოქმედებდა და საქართველოს ინტერესებზე ნაკლებად ზრუნავდა, მით უფრო, როცა სამხრეთ კავკასიის მიწა-წყლის გაყოფაზე პარალელურად კრემლს უთანხმდებოდა.

ქართულ-თურქული მოლაპარაკების საფუძველზე, 1921 წლის 11 მარტს თურქეთის სამხედრო შენაერთები ბათუმის ოლქში შემოვიდნენ. მაგრამ არა საქართველოს დასახმარებლად. მეტიც, თურქებმა არათუ ბოლშევიკების წინააღმდეგ გაილაშქრეს ქართველების მხარდამხარ, არამედ პირიქით: საქართველოში მყოფი მათი XV საარმიო კორპუსის მეთაური და აღმოსავლეთის ჯარების სარდალი გენერალი

1 ამას მკაფიოდ ცხადყოფს თურქეთის გენერალური შტაბის სამხედრო ისტორიისა და სტრატეგიული კვლევების სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები, იხ. Askeri Tarih Belgeleri Dergisi, Genelkurmay Askeri Tarih ve Stratejik Etüt Başkanlığı Yayınları, Ankara, Ocak: 1999, Yıl:48, Sayı:107. დამოწმებულია პროფ. რ. ყავრელიშვილის პუბლიკაციიდან: „რამდენიმე თურქული დოკუმენტი საქართველოს ისტორიის შესახებ (1921)“ http://www.mtvarisklubi.com/2012/09/1921.html#.WlD1L4ugflU

2 Барсегов Ю., Геноцид армян: ответственность Турци и обязательства мирового сообщества, Документы и коментарий, том 2, часть 1, ст. 435. http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1105-1131.htm

კიაზიმ ყარაბექირ ფაშა XI წითელი არმიის სარდალს, გენერალ ანატოლი ჰეკერს საქართველოს დამარცხებაში თანადგომას აღუთქვამდა.[1]

თურქული დანაყოფები მოიწევდნენ ახალციხე, ახალქალაქის მაზრებისა და ბორჯომისაკენაც, მაგრამ მათზე ადრე აქ XI წითელი არმიის მე-18 ცხენოსანი დივიზია შევიდა დიმიტრი ჟლობას მეთაურობით და ეს ტერიტორია მთლიანად დაიკავა.[2] თვითმხილველის ცნობით, ახალციხეში 300-მდე თურქი ასკერიც იმყოფებოდა, მაგრამ რუსებსა და მათ შორის არავითარი დაპირისპირება არ ყოფილა. ახალციხეში საბჭოთა და თურქეთის არმიის ჯარისკაცების მეგობრულ და გულთბილ ურთიერთობაზე საუბრობს თურქი გენერალი კიაზიმ ყარაბექირიც თავის წიგნში „ომი დამოუკიდებლობისათვის“.[3]

სამცხე-ჯავახეთში დროებით ორი ადმინისტრაცია გაჩნდა: 14 მარტს რუსულმა ხელისუფლებამ გამოაქვეყნა განცხადება: „ახალციხე, ახალქალაქი და ბათუმი საბჭოთა საქართველოს ეკუთვნის.“ ხოლო 16 მარტს გაჩნდა თურქების განცხადება, რომლის თანახმადაც, „ანგორაში შემდგარი დიდი ეროვნული კრების გადაწყვეტილებით, ახალციხე, ახალქალაქი და ბათუმი მშობლიურ მიწას უერთდება.“

თურქეთის სამხედრო ნაწილებმა, საქართველოსთან შეთანხმების დარღვევით, ბათუმის ოკუპაცია განახორციელეს. კიაზიმ ბეი ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა, ხოლო დიდი ეროვნული კრების დადგენილებით სამუსლიმანო საქართველო თურქეთის ნაწილად გამოცხადდა.[4] ეს იმ დროს, როდესაც ბათუმში ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

---

1 Мартиненко Г., Легендарний поход 18-ой дивизий через Годердзский перевал, Тб., 1971, ст. 61-63.

2 მესხია ე., 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი ბოლშევიკურ რუსეთთან და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 2003, # 4, გვ. 26.

3 Kazim Karabekir, Istiklal Harbumiz, 4. Cilt. Istambul, 2000, p. 1943. ვსარგებლობ რ. ყავრელიშვილის თარგმანით. იხ. ყავრელიშვილი რ., ბათუმის საკითხი თურქულ ისტორიოგრაფიაში (1921 წ. მარტი), წიგნში - ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2011, გვ. 33-34.

4 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1872, ანაწ. 1, საქმ. 10, ფურც. 6.

მთავრობა და დამფუძნებელი კრება.

ბათუმში ოპერატიულად ჩამოვიდა ანგორის სამთავრობო დელეგაციაც. მან მოლაპარაკება გამართა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისთან, რათა ამ უკანასკნელს გამოეტანა დადგენილება ბათუმის ოლქის ავტონომიური სტატუსით თურქეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. თურქები არწმუნებდნენ მეჯლისის წევრებს, რომ ასეთ შემთხვევაში თავიდან აიცილებდნენ ბოლშევიკების შემოჭრას ბათუმის ოლქში, ანგორის მთავრობას კი ადგილობრივ მოსახლეობას ფართო ავტონომიას მიანიჭებდა.

მემედ აბაშიძის სიტყვით, „მეჯლისი არ წამოეგო პროვოკაციის ანკესს, არ მიიღო მათი წინადადება“, მოლაპარაკება კი იმით დამთავრდა, რომ „ზრდილობიანად თავი დავუკარით და სამუდამოდ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს.“[1]

ბათუმსა და მის ოლქში თურქთა ხელახალი გაბატონების საფრთხე იმდენად რეალური გახდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ უმჯობესად მიიჩნია ბოლშევიკებს დაზავებოდა და მათთან ერთად ბათუმი გადაერჩინა. ამ მიზანს ემსახურებოდა 1921 წლის 17-18 მარტს ქუთაისში გამართული მოლაპარაკება საქართველოს რევკომთან და მიღწეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ომის დამთავრების გარდა შეთანხმება ითვალისწინებდა ხელშეწყობას საბჭოთა ჯარებისათვის, რათა ისინი დაუყოვნებლივ შესულიყვნენ ბათუმში და აღეკვეთათ თურქთა აგრესია.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამარცხებული ხელისუფლება 17-18 მარტის ღამეს ბათუმიდან ემიგრაციაში გაიხიზნა. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ბათუმის საკითხზე დიდი ბჭობა და დავა მიმდინარეობდა მოსკოვშიც, სადაც თურქეთ-საბჭოთა მოლაპარაკება გრძელდებოდა და უკვე 10 მარტისათვის ყველა ძირითადი საკითხი მხარეთა შორის შეთანხმებული იყო. კონფერენციის დასკვნითი სხდომა 16 მარტს გაიმართა. ხელი მოეწერა საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის „ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულებას.“[2] ამ დოკუმენტის ძალით, ბათუმი საქართველოს რჩებოდა, ხოლო ართვი-

1 აბაშიძე მ., თხზულებანი, გამოსცა გ. შარაძემ, ბათუმი, 1998, გვ. 388-389.

2 Сборник действуюших договоров, соглашений и конвенций, заключенных СССР, вып. III, М., 1922.

ნისა და არდაგანის ოლქები თურქთა მფლობელობაში გადადიოდა.

ხელშეკრულების მიუხედავად, თურქები ბათუმის დაცლას აჭიანურებდნენ. ქალაქის განთავისუფლებას რამდენიმედღიანი ბრძოლა დასჭირდა. ქართულმა სამხედრო შენაერთებმა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით მოძალადენი საბჭოთა ჯარის მონაწილეობის გარეშე განდევნა და ბათუმი საქართველოს შეუნარჩუნა.

„დაე, წავიდნენ ცოცხლები“

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლების განმავლობაში მუდმივად იდგა საგარეო საფრთხის წინაშე. მას არაერთხელ მოუწია თავდაცვითი ომი ოსმალეთის, სომხეთის, დენიკინისა და საბჭოთა რუსეთის არმიების წინააღმდეგ. მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ქვეყანა არც ერთი ამ ომისთვის წინასწარ არ მომზადებულა. ქართული სახელმწიფო არც ერთი მეზობლის მიმართ საომარ მოქმედებებს არ გეგმავდა და მთავრობაც თავდაცვის ღონისძიებებსაც უშუალოდ მხოლოდ სხვა ქვეყნის მხრიდან ინტერვენციის აშკარა მოახლოებისას მიმართავდა. პოლიტიკური ოპოზიცია და ქართველი სამხედროები ამის გამო ხშირად საყვედურობდნენ მთავრობას. ისინი ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ მეტი ყურადღება მიექცია ახლად შექმნილი სახელმწიფოს თავდაცვის განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს სპირიდონ კედიას დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან არაერთხელ გაუმახვილებია ქვეყნის მესვეურთა ყურადღება სახელმწიფოს თავდაცვისა და ეროვნული კონსოლიდაციის აუცილებლობაზე. იგი ამ საქმეში მუდმივად გამოკვეთდა ხელისუფლების უპირველეს როლსა და პასუხისმგებლობას. სპირიდონ კედიას სიტყვით, სახელმწიფოს მეთაური და მესაჭე მთავრობაა, რომელმაც არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი არც გლეხთა მთავრობაა და არც მუშათა, არამედ იგი არის საქართველოს მთავრობა. მთავრობამ ყველა წოდება და ჯგუფი, საქართველოს ყოველი ცოცხალი ძალა უნდა შეარიგოს სამშობლოს სიყვარულში და მუდმივად მზად იყოს მის დასაცავად.[1]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ყველაზე არსებითი საფრთხე რუსეთიდან იყო მოსალოდნელი. მართლაც, ჩრდილოელი მეზობლის თავდასხმა საქართველოზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მზადდებოდა. საბჭოთა რუსეთის იმპერიული ბუნების ამოცნობა მაინცდამაინც ძნელი არ ყოფილა. ვ. ლენინი და სხვა ბოლშევიკი ლიდერები თეორიულად აღიარებდნენ ერთა თვითგამორკვე-

1 საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 1 ივნისის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 16-18.

ვის უფლებას სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე, მაგრამ პრაქტიკულად ამის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ. ისინი რუსეთის მთლიანობის შესანარჩუნებლად მეფის ხელისუფლებაზე მეტ მონდომებასა და პრინციპულობას იჩნედნენ. ბოლშევიკებს განსაკუთრებით არ ეთმობოდათ კავკასია. ამით აიხსნება, რომ რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში სტეფანე შაუმიანი კავკასიის საქმეთა დროებით და საგანგებო კომისრად დანიშნა „კავკასიაში საბჭოების სამხარეო ხელისუფლების შექმნამდე."

ინგლისელთა მიერ შაუმიანის დახვრეტის შემდეგ, 1918 წლის შემოდგომიდან მისი ადგილი სერგო ორჯონიკიძემ დაიკავა. შაუმიანისა და ორჯონიკიძის მტრული საქმიანობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ კარგად იყო ცნობილი საქართველოს მთავრობისათვის, მაგრამ ეს უკანასკნელი მეტისმეტ შემწყნარებლობას იჩენდა მათ მიმართ. მოგვიანებით თვით ს. ორჯონიკიძე იხსენებდა: „როდესაც 1919 წელს ...მოვხვდი თბილისში, ნოე ჟორდანიამ ამხანაგის პირით შემომითვალა: სერგო ნუ ივლი თბილისის ქუჩებში, ჩვენ შენ არ დაგიჭერთ, მაგრამ ინგლისელებმა იციან შენი აქ ყოფნა და ისინი დაგიჭერენო."

არანაკლებ საგულისხმოა იმავე ორჯონიკიძის სხვა ჩანაწერებიც, სადაც ხაზგასმულია, რომ ძველმა ურთიერთობამ ჯერ კიდევ არალეგალობის პერიოდიდან და ერთად მუშაობამ თავისი გაიტანა და 1919 წელს საქართველოში ჩემი ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში „მე თითქმის არავითარი შეტაკება არ მქონია ადგილობრივ ამხანაგებთანო."[1]

მმართველი პარტიის ლოიალურ დამოკიდებულებას ბოლშევიკი მოღვაწეების მიმართ კრიტიკით ხვდებოდა ოპოზიციური სპექტრი. გაზეთ „საქართველოს" თანახმად: „ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი მთავრობა და მენშევიკები ბრძოლას არ აწარმოებდნენ ბოლშევიკებთან. პირიქით, ეს ბრძოლა მწვავე ხასიათისაც იყო. მაგრამ ბრძოლაც არის და ბრძოლაც. ამათ შორის ბრძოლას უფრო პარტიული ელფერი ედო, ვიდრე ეროვნული ან სახელმწიფოებრივი და მთავარი შეცდომაც ამაში იყო."[2]

---

1 ორჯონიკიძე გ., სტატიები და სიტყვები, ტ. I, თბ., 1957, გვ. 89-90.

2 გაზ. „საქართველო," 1920 წ., 25 მარტი.

ეროვნულ-დემოკრატიული პრესა შენიშნავდა: „ჰანიბალის პარტიზანულ ბრძოლას რომაელები გაცილებით მეტის გამჭრიახობით ეკიდებოდნენ, ვიდრე ჩვენი მთავრობა ბოლშევიკებს. ...მთავრობა თითქმის კეკემალულას ეთამაშება მათ. ...მათი მხრიდან ძარცვა-გლეჯა, განადგურება. გაიმართება მოლაპარაკება, მიტინგი, ორთავე მხრიდან წარმოდგებიან „შეგნებული ამხანაგები“ და რევოლუციის სახელით წითელ დროშაზე მარქსის სახეს შეჰფიცავენ თანამშრომლობას, ერთად ბრძოლას, ასე რიგდებიან.“[1]

ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი სწავლული და დამფუძნებელი კრების დეპუტატი შალვა ნუცუბიძე სოციალ-დემოკრატებს მიმართავდა: „იცოდეთ, რომ როდესაც თქვენს მოქმედებას ისტორია გაასამართლებს, შესაძლებელია ყველაფერი გეპატიოთ; ისტორია გაპატიებთ თქვენს შეცდომებს, ბორძიკს, თქვენს უცოდინარობას და უვიცობას, მაგრამ ისტორია არ გაპატიებთ იმას, რომ თქვენ თანდათან უფრო სასაცილონი ხდებით.“[2]

ოპოზიციური ძალები მთავრობას გამუდმებით უკიჟინებდნენ, რომ მას „თუ ერთი მხრივ, მოსკოვის ცენტრისადმი ფრაქციული სიძულვილი აქვს, მეორეს მხრივ პრინციპული სიყვარული აკავშირებს.“

არვისთვის საიდუმლოა არ არის, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომაც ერთხანს კვლავ პრორუსული განწყობა შემჩნეოდა. აი, რას აცხადებდა ამ პარტიის უხუცესი წევრი სილიბისტრო ჯიბლაძე 1919 წლის 12 მარტს, დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გამოსვლისას: „ჩვენი სურვილი იყო რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ბრძოლა და ჭირსა და ლხინში მასთან ყოფნა, მასთან სიცოცხლე“, მაგრამო, დასძენდა იქვე, „მწარე სინამდვილემ გვიმტყუნა და გაგვიცრუა ეს იმედები. ანარქიის ტალღამ მოგვწყვიტა მას და ობლად გაგვრიყა.“[3]

ნოე ჟორდანიას, მართლაც, კარგა ხანს სჯეროდა, რომ ლენინის

1 გაზ. „საქართველო,“ 1918 წ., 5 ივნისი.

2 საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 7 ოქტომბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 18.

3 საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 12 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 4.

დამოკიდებულება საქართველოსადმი იყო „პოლიტიკური და მეზობლური," რის გამოც ბოლშევიკთა აშკარა ანტიქართულ, ძირგამომთხრელ საქმიანობას სათანადო შეფასება არ ეძლეოდა. „გასაოცარი ის იყო, რომ არც დამფუძნებელი კრება და არც ნოე ჟორდანიას მთავრობა თითქოს არ გრძნობდა ჩრდილოეთიდან მომაკვდინებელი საფრთხის მოახლოებას. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ემსგავსებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი[1] პატრიარქალურ მწყემსმთავრს, შესაფერს იდილიური არკადიისათვის. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სულიერი დისციპლინის და თავდაჭერილობის შედეგი იყო," - შენიშნავდა გერონტი ქიქოძე.[2]

გერონტი ქიქოძე საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრთა საყურადღებო დახასიათებას იძლევა. მისი სიტყვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „მთავარი ხუროთმოძღვარი ნოე ჟორდანია იყო. როგორც დროებით პარლამენტში, ისე დამფუძნებელ კრებაში მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ის თავისუფალი იყო ყოველი ერთპიროვნული დიქტატორული მისწრაფებისგან და ყურს უგდებდა, როგორც თავისი უახლოესი ამხანაგების, ისე სხვა პარტიების შეგონებასაც, თუ ეს მართებულად და სასარგებლოდ მიაჩნდა სახელმწიფოს ინტერესებისათვის." ...ნოე ჟორდანია ...ყველასათვის ადვილად მისაწვდომი იყო თავის უბრალოდ მოწყობილ ბინაში შიო ჩიტაძის ქუჩაზე. ...როცა თბილისის მოსახლეობა ხედავდა, როგორ მიაქროლებდა რუსთაველის პროსპექტზე წვერგაბარდნილი მეეტლე ორცხენიან ეტლს, რომელშიც რესპუბლიკის პრეზიდენტი შეუშფოთებლად იჯდა, მას შეეძლო წარმოედგინა, რომ ქართული დემოკრატიის კიდობანი მტკიცედ იყო შეკრული და ყოველ წარღვნას გაუძლებდა," - დასძენდა პუბლიცისტი.[3]

თვით ნოე ჟორდანია მიიჩნევდა, რომ რევოლუციით გამოწვეულ იდეურ ქაოსში პირადი ავტორიტეტი უფრო სჭრიდა და რომ საქართველოში მთავრობის მეთაურობა დაუკავშირეს პიროვნებას: „ნოე ჟორდანიას ბრძანებას დავემორჩილები, სხვებისას კი არა - აი, ამ

1 ნოე ჟორდანია პრეზიდენტი არ ყოფილა. იგი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე იყო.

2 ქიქოძე გ., თანამედროვის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 41

3 ქიქოძე გ., თანამედროვის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 16-17; 41-42.

ფსიქოლოგიის ამოძახილი," ამიტომაც იძულებული ვიყავი დავმორჩილებოდი ბედს, მეწია მესვეურობის ჭაპანი და ვერას გზით ვერ მოვიშორე ეს თანამდებობაო.[1]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მოგვიანებით საკმაოდ დადებითად ახასიათებდა ცნობილი ქართველი ბოლშევიკი სერგო ქავთარაძეც. ნოე ჟორდანია თავის პარტიაში „ყველაზე მაღლა იდგა ჭკუით, ნიჭით, ცოდნით და სამართლიანად ითვლებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკების) ერთ-ერთ ბელადად და ბურჯად. ასე აფასებდნენ მას ჩვენი პარტიის ბელადებიცო,"- წერდა იგი.[2]

გერონტი ქიქოძის შეფასებით, „საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ჭკვიანი და დარბაისელი კაცი იყო, მაგრამ მისი სამინისტრო სავსე იყო ფრანგულად და ინგლისურად მოლაპარაკე მოხელეებით, რომელთაც დაუსრულებელი ბანკეტები დროს არ უტოვებდა თუნდ „ტანი" და „ტაიმსი" ეკითხათ. ამიტომ საქართველოს დიპლომატებს, სხვათა შორის, არ გაუგიათ, რომ დიდი ბრიტანეთის კოალიციური სამინისტროს მეთაური ლოიდ-ჯორჯი ლენინის მთავრობას შეუთანხმდა, რომ მისი მთავრობა არ ჩაერეოდა რუსეთის და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ურთიერთობაში."[3]

შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის დახასიათებისას გერონტი ქიქოძე საქართველოს მტრების, მათ შორის ბოლშევიკებისადმი მის უკომპრომისო დამოკიდებულებას გამოჰყოფდა. წერდა: „უეჭველია, ნოე რამიშვილი სასტიკად გაუსწორდებოდა ქართველ ბოლშევიკებსაც, თუ ჟორდანიას არ შეეკავებინა და თუ საერთოდ საქართველოს მთავრობა იძულებული არ გამხდარიყო ხელშეკრულება დაედო მოსკოვის მთავრობასთან და ანგარიში გაეწია მისი მოთხოვნებისათვის."[4]

სხვა თანამედროვე ავტორის სიტყვით, „რუსეთის რევოლუციის ბობოქარ ზღვაში საქართველო წარმოადგენდა მცირე ნავს. ...დაუდგრომელი სტიქიონი მას ერთი მხრიდან მეორისაკენ ისროდა. ...სა-

1 ჟორდანია ნ., მემუარები, თბ., 1990, გვ. 98.

2 ქავთარაძე ს., დღეები პარიზში, ჟურნ. „მნათობი," 1966, # 4, გვ. 182.

3 ქიქოძე გ., თანამედროვის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 19.

4 ქიქოძე გ., თანამედროვის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 18.

უბედუროდ, ნავზე არ აღმოჩნდა გამოცდილი მესაჭე, რომ ის უშიშარ ადგილზე მიეყენებია. ...ქვეყნის სათავეში იდგა არა ეროვნული, არამედ პარტიული მთავრობა, რომელმაც მეტი ყურადღება რევოლუციის მონაპოვრის დაცვას დაუთმო, ვიდრე ერის სამსახურს."[1]

ხელისუფლებასთან პოლიტიკურად დაპირისპირებული ოპოზიცია ბოლშევიზმის საფრთხეზე საუბრისას სურათს სულაც არ ხატავდა მუქ ფერებში. ისინი რეალისტურად აფასებდნენ სიტუაციას და მოვლენებს თავის სახელებს არქმევდნენ. საბჭოთა რუსეთის ნამდვილი სახე, მისი აგრესიული ბუნება და იმპერიული მისწრაფება მკაფიოდ და ნათლად წარმოჩნდა 1921 წლის თებერვალ-მარტში, როდესაც წითელი არმიის ნაწილებმა საქართველოს საზღვრები გადმოლახეს და ჩვენი ქვეყნის ფარგლებში შემოიჭრნენ.

როგორ წარმოჩნდა საქართველოს ხელისუფლება კრიტიკულ სიტუაციაში? რამდენად გაართვა მან თავი ახალ საშიშ გამოწვევას?

საქართველოს პირველი რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას რუსეთის ინტერვენციის პირობებში მოქმედების გამოცდილება უკვე გააჩნდა. მართალია, 1919 წლის ზაფხულში აგრესორი სხვა ძალა, სახელდობრ, დენიკინის თეთრგვარდიული მოხალისეთა არმია იყო, მაგრამ ხელისუფლებამ საომარ სიტუაციაში ქვეყნის მართვის გამოცდილება შეიძინა. დენიკინის საფრთხის წინაშე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური მესვეურები არც პანიკას და არც ეიფორიას არ მოუცავს. მთავრობამ სრულად გააცნობიერა საშიშროება და განახორციელა შესაბამისი ზომები. აღსანიშნავია, რომ სამხედრო-სტრატეგიული ღონისძიებების გარდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მოსახლეობის სულისკვეთების ამაღლებას, სამშობლოს თავდაცვისათვის ხალხის საბრძოლო შემართების უზრუნველყოფას. ამ მიზნით მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრები ხვდებოდნენ საზოგადოების სხვადასხვა წრეების წარმომადგენლებს, განუმარტავდნენ მომენტის სერიოზულობას, მოუწოდებდნენ ერთიანობისა და სიმტკიცისაკენ.[2]

ხელისუფლებას დაბნეულობა არც 1921 წლის ომში გამოუჩენია, ქვეყნის ხსნისათვის დაგვიანებით, მაგრამ მაინც განახორციელა და-

1 გაზ. „კლდე," ბერლინი, 1934 წ., # 5-6.

2 გაზ. „სახალხო საქმე," 1919 წ., 5 ივნისი.

მატებითი ღონისძიებები და სხვ. ნოე ჟორდანიამ დეპეშით მიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს გ. ჩიჩერინს, „რას მოითხოვთ ჩვენგან. გვაცნობეთ მიზნები, რისთვისაც დაიწყეთ ომი. შეიძლება უსისხლო შევთანხმდეთ.“ დეპეშაზე არავის უპასუხია. ასევე უნაყოფო გამოდგა ნოე ჟორდანიას ცდა, უშუალოდ დაკავშირებოდა ლენინსა და ტროცკის.

1921 წლის 16 თებერვალს საქართველოს ხელისუფლებამ გამოაქვეყნა მიმართვა „ყველას, ყველას, ყველას!“ მიმართვაში აღნიშნულია: „რუსეთის საბჭოთა მთავრობა იდენს ისტორიაში უმაგალითო ბოროტმოქმედებას. მას შემდეგ, რაც დაარღვია ჩვენთან დადებული ყველა ხელშეკრულება, მან გადაწყვიტა შეიარაღებული ძალით მოსპოს ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი სუვერენობა!“ დამფუძნებელმა კრებამ მთელ ერს მოუწოდა, დაეცვა სამშობლო, გადაერჩინა მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ხელისუფლების სახელდახელო ძალისხმევას სამხედრო თვალსაზრისით მანამდე დაშვებული შეცდომების გამოსწორება ომის პირობებში აღარ შეეძლო. მიუხედავად ამისა, უსამართლობა იქნება ითქვას, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება არ სარგებლობდა მოსახლეობის მხარდაჭერით. ცნობილია, რომ 1919 წლის თებერვალში გამართულ დამფუძნებელი კრების არჩევნებში ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ ელექტორატის ხმების 84 %-მდე დააგროვა და 130 სადეპუტატო ადგილიდან 109 მანდატი მოიპოვა. ქვეყნის მართვა-გამგეობისას ორი წლის მანძილზე მთავრობის საქმიანობაში გამოვლენილი ხარვეზები, ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებები, უნდა ვიფიქროთ, მმართველ პარტიას მხარდამჭერთა რიცხვს გარკვეულად შეუმცირებდა. ცხოვრების მძიმე პირობები და სხვა სიძნელეები საზოგადოების ნაწილს მთავრობისადმი ნდობასაც შეუსუსტებდა, მაგრამ მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა ლოიალურად იყო განწყობილი საკუთარი ხელისუფლების მიმართ. ამის ნათელსაყოფად საკმარისია აღინიშნოს, რომ საბჭოთა ჯარების ინტერვენციის შედეგად თბილისიდან დევნილი ნოე ჟორდანიას მთავრობის ზურგს უკან ხალხის შურისძიებისა და რისხვის ტალღა არ აზვირთებულა. „არც ერთი შინაგანი გართულება, არც ერთი უბრალო წესიერების დარღვევა საქართველოს ტერიტორიაზე, არც ერთი

თოფის გავარდნა საქართველოს მხედრობის ზურგს უკან. ...მხედრობასთან ერთად უკან იხევს დამარცხებული რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც თვით ფრონტზე და ფრონტის ზურგში მცველები და დარაჯებიც კი არ დასჭირებია. აი, ასეთი სამოქალაქო დისციპლინა და წესიერება დაიცვა მთელმა საქართველომ, ომის დაწყებიდან მის დამთავრებამდე, ფოილო-შაგალის ფრონტიდან დაწყებული ვიდრე შავი ზღვის ნაპირებამდე," - წერდა გრიგოლ ლორთქიფანიძე.[1] მეტიც, 1921 წლის თებერვალ-მარტში დედაქალაქის ქუჩებში ბოლშევიკ-ოკუპანტთაგან მალულად სახელდახელოდ შეთხზული ლექსის ასეთ სტრიქონებსაც გაიგონებდით:

„ნატვრა მომცა, ნატვრა მომცა, ნატვრა ამიხდებოდეს,
ლენინ-ტროცკი-მახარაძე სახრჩობელას სწვეოდეს,
ჩვენი ნოე ჟორდანია ქალაქს დაბრუნდებოდეს..."[2]

უბრალო ადამიანები ერთხანს მართლაც ინარჩუნებდნენ სიმპათიას ძალმომრეობით დამხობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი, მაგრამ სრულიად საპირისპირო განწყობა შეიმჩნეოდა ზოგიერთ პოლიტიკურ და სამხედრო წრის წარმომადგენელთა შორის.

წითელი არმიის ნაწილების შემოჭრისთანავე, როდესაც ცხადი გახდა, რომ ქვეყანა მზად არ იყო ომისათვის, ოპოზიციურ პარტიებში მთავრობისადმი უკმაყოფილებამ იმძლავრა. აღსანიშნავია, რომ ასეთივე გულნაკლულობა თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნითაც იგრძნობოდა. აღშფოთებას ახლა ისინიც ვეღარ მალავდნენ. ცნობილი ექიმი და პუბლიცისტი ივანე გომართელი, წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, სპირიდონ კედიას მიმართავდა: „თუ გვეღირსა თბილისში დაბრუნება, თქვენ ეგენი ისე უნდა დაანგრიოთ, რომ მათი სახსენებელიც აღარ იყოსო."[3]

როგორც გენერალი გიორგი კვინიტაძე იგონებდა, თბილისის დაცვის ბოლო დღეებში დამფუძნებელი კრების დეპუტაციას მთავარსარდლისთვის დიქტატურის გამოცხადების მოთხოვნითაც კი მიუმა-

1 ლორთქიფანიძე გ., ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 37.

2 გურული ვ., ნოე ჟორდანია. პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 1999, გვ. 129.

3 ჩიჯავაძე-კედია ს., ნასმენ-ნახული, თბ., 2001, გვ. 227.

რთავს.[1]

გერონტი ქიქოძე მოგვითხრობს, რომ საომარ ვითარებაში დედაქალაქმა სიმშვიდე და სტაბილურობა შეინარჩუნა. „თბილისის მოსახლეობას არც რაიმე ექსცესები ჩაუდენია, არც პანიკა გამოუმჟღავნებია. ყველაზე მეტი დაბნეულობა თვით მთავრობის წევრებს ემჩნეოდა: მინისტრები თავიანთ ადგილებზე არ ისხდნენ, ზოგიერთ მათგანს სამხედრო ფარაჯა ჩაეცვა, მხარზე თოფი გადაეკიდა და სასახლის წინ დადიოდა.“[2]

1921 წლის 24 თებერვალს მთავარსარდალმა გიორგი კვინიტაძემ ნოე ჟორდანიასთან შეთანხმებით თბილისის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. ჯარის უკან დახევის პარალელურად, ევაკუაცია სახელისუფლებო სტრუქტურებსაც შეეხო.

დედაქალაქიდან გახიზნულმა მთავრობამ და დეპუტატებმა რამდენიმე დღე ქუთაისში დაჰყვეს. აქ გამართული დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოსული ნოე რამიშვილი ირწმუნებოდა, სამიოდე თვეში ისევ დედაქალაქში ვიქნებითო. სპირიდონ კედიას რამიშვილისთვის მიუგია: „ღმერთმა გვარგუნა ეს ჩვენი დამოუკიდებლობა ისე, რომ თქვენ არამცთუ იბრძოლეთ და სისხლი დაჰღვარეთ ამისათვის, პირიქით, წინააღმდეგნიც კი იყავით; ქვეყნის დასაცავად ჯარი არ შეჰქმენით, პარტიის მცველად კი გვარდია გაიჩინეთ და ახლა ლაპარაკობთ თბილისში დაბრუნებაზედ. სამი და ექვსი თვე კი არა, იქნება ბევრი ასეული თვეებიც გავიდეს, რომ ჩვენი ქვეყნის თავისუფლება ვეღარ ვნახოთო.“[3]

ქუთაისში მყოფი ხელისუფლება ჯერ კიდევ ოპტიმისტურად იყო განწყობილი, არ კარგავდა იმედს და მოსახლეობასაც სიმხნევისა და აგრესორთან საბრძოლველად მობილიზებისაკენ მოუწოდებდა. გაზეთ „ერთობის“ ინფორმაციით, „მტრის შემოსევამ, თბილისის დაჭერამ, ათასმა უბედურებამ, რაც ჩვენს ქვეყანას თავს დაატყდა, სრულებითაც ვერ შეარყია ჩვენი სახელმწიფო; იმ საშინელმა უროს ცემამ, რომლითაც მტერს უნდოდა დაენგრია ჩვენი სახელმწიფოებრივი შენობა, ვერ მოშალა, ვერ შეარყია ვერც ერთი არსებითი ნაწილი ამ შენობისა.“ მთელი

1 კვინიტაძე გ., მოგონებები, II, თბ., 1999, გვ. 127.

2 ქიქოძე გ., თანამედროვის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 47.

3 ჩიჯავაძე-კედია ს., ნასმენ-ნახული, თბ., 2001, გვ. 227.

მთავრობა, რომელსაც „ჯერ წარბიც არ შეუხრია და რომლის გულში უწინდებურზე მეტად ელვარებს სამშობლოდან მტრის განდევნის წადილი და იმედი, თავის ალაგას უკლებლივ დგას.“[1]

დამფუძნებელმა კრებამ გამოხატა ურყევი რწმენა, რომ თბილისს ახლო მომავალში დაიბრუნებს და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სხდომა კვლავ გაიხსნება სასახლის თეთრ დარბაზში. „მუხანათი მტრის შემოსევის გამო თბილისი დროებით მოსწყდა საქართველოს, ქართველი ერის თავგანწირული ბრძოლა თავდებია, რომ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი დაბრუნებულ იქნება თავისუფალ რესპუბლიკის წიაღში,“ - აღნიშნულია დამფუძნებელი კრების მოწოდებაში ქართველი ხალხისადმი.[2]

სხვადასხვა მხრიდან ნიაღვარივით მომდინარე წითელი არმიის ნაწილების შეჩერება თბილისის დატოვების შემდეგ შეუძლებელი აღმოჩნდა. საქართველოს გამოუვალი მდგომარეობა შეუქმნა კრემლთან უნისონში მყოფმა თურქეთმაც, რომლის ჯარებმა, დახმარების ნაცვლად, ართვინ-არტაანი დაიკავეს და ბათუმის მისაკუთრებაც მოინდომეს. ასეთ ვითარებაში დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ქუთაისიდან ბათუმისაკენ გადაინაცვლა და ბოლშევიკებთან დაზავება ამჯობინა.

მოლაპარაკება 1921 წლის 17-18 მარტს ქუთაისში გაიმართა. საქართველოს ხელისუფლებას მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე წარმოადგენდა, რევკომის რწმუნებული კი მამია ორახელაშვილი იყო. შეხვედრას საბჭოთა რუსეთის სახელით აბელ ენუქიძე უძღვებოდა. მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მხარეებმა შეწყვიტეს საომარი მოქმედება.

ქართული ჯარის შენაერთებმა გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით წითელი არმიის დაუხმარებლად თურქები ბათუმიდან განდევნეს. ეს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშით მოპოვებული უკანასკნელი გამარჯვება.

გენერალ გიორგი კვინიტაძის სიტყვით, „რაც უფრო ვუახლოვდებოდით ბათუმს, მით უფრო იზრდებოდა მთავრობისადმი უარყოფითი განწყობილება.“ ბათუმში ეს განწყობილება აშკარა მტრულ დამოკი-

1 ჩვენი საქმე მართალი საქმეა და მან უნდა გაიმარჯვოს, თბ., 2009, გვ. 18.

2 ჩვენი საქმე მართალი საქმეა და მან უნდა გაიმარჯვოს, თბ., 2009, გვ. 24-25.

დებულებაში გადაიზარდა: „ჩემთან უამრავი ხალხი მოდიოდა, მათ შორის, პოლიტიკური მოღვაწეებიც, და მეუბნებოდნენ, მთავრობამ ხალხს უღალატა, ქვეყნის თავდაცვაზე არ ზრუნავდაო და ა.შ და ა.შ. ისინი მთავრობის დაპატიმრებას მოითხოვდნენ. ხალხი მოდიოდა და საიდუმლო საუბრის მიზნით აუდიენციას ითხოვდა. მოდიოდნენ ოფიცრებიც, რომლებიც იგივეს დაუფარავად, ხმამაღლა აცხადებდნენ," - იგონებდა მთავარსარდალი.[1] ამასვე მოწმობს შალვა ამირეჯიბიც, რომელიც წერდა: „ბათუმში ოფიცერთა ერთ ჯგუფს სურდა მთავრობის დატუსაღება."[2]

ამ ფაქტის შესახებ, ჩანს, სცოდნიათ ბოლშევიკებსაც. ჯერ კიდევ 1921 წლის აპრილში, საბჭოთა რუსეთის ყოფილი ელჩი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. შეინმანი ერთ-ერთ საგაზეთო კორესპონდენციაში მიუთითებდა, რომ „ქართულმა ჯარმა მოითხოვა მთავრობის წევრთა დაჭერა."[3]

შეინმანს პარიზში გამომავალი გაზეთ „თავისუფალი საქართველოს" ფურცლებზე გამოეპასუხა კარლო ჩხეიძე. იგი ზოგადი ფრაზებით შეეცადა უარეყო ხსენებული ბრალდება, აღნიშნავდა: „ჩვენი ჯარისკაცები, ჩვენი შეიარაღებული მუშები და გლეხები მუდამ ერთგულნი იყვნენ სოციალისტური მთავრობის. მაშინაც, როცა მამაცურად ებრძოდნენ ბოლშევიკების ჯარს და მაშინაც, როცა ბათუმიდან ერეკებოდნენ მოსკოვის მოკავშირეებს, ქემალისტებს, რომელთაც უნდოდათ ამ ქალაქის ხელში ჩაგდება."[4]

მოგვიანებით თვით ნოე ჟორდანიაც აღიარებდა, რომ ბათუმში მართლაც გაჩაღდა აგიტაცია ოპოზიციურ პარტიებში: „გამოდიოდნენ მომხრედ მთავრობის დაშლის, ან დარჩენის, ბოლშევიკებთან მორიგების და სხვ. იმართებოდა მათი შეერთებული სხდომები, სადაც ესწრებოდნენ აგრეთვე „სხიველები" (სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან გამოყოფილი დამოუკიდებელი პოლიტიკური ჯგუფი პ. საყვარელიძის, მ. ხოჭოლავასა და სხვ. შემადგენლობით, - ო.ჯ). რადგანაც ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავით ამ აზრების, საიდუმლოდ

1 კვინიტაძე გ., მოგონებები, II, თბ., 1999, გვ. 128-129.

2 ქართული ლიტერატურის მუზეუმი, შ. ამირეჯიბის ფონდი, საქ. 16960/3.

3 გაზ. „თავისუფალი საქართველო," პარიზი, 1921 წ., 15 ივნისი.

4 გაზ. „თავისუფალი საქართველო," პარიზი, 1921 წ., 15 ივნისი.

გადაწყვიტეს ჩვენი დატყვევება. შესდგა საამისო რაზმი, რასაც მეთაურობდა ერთი პირი. ერთ დღეს ვხედავ ვაგონიდან, ვიღაც საეჭვო ცხენოსანთა ბანდა მოგვიახლოვდა და აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა. მხოლოდ ამით დაინტერესებულმა გავიგე სინამდვილე," - წერს მთავრობის მეთაური.[1]

სპირიდონ კედიას მეუღლე, სოფიო ჩიჯავაძე-კედია, რომელიც ასევე მომსწრე და თვითმხილველი იყო სოციალ-დემოკრატიული მთავრობის საქართველოში მოღვაწეობის ბოლო დღეებისა, კიდევ უფრო აკონკრეტებს: „ბათუმში სპირიდონთან მოვიდნენ ქართველი მხედრები სუსლიკა ანდრონიკაშვილი, ჩრდილელი, ორი გვარდიელი, სხვების გვარი არ მახსოვს, ესენი აპირებდნენ მთავრობის დატუსაღებას და ზოგიერთის მოსპობასაც კი. სპირიდონმა ეს ხალხი გააჩერა: „ჩვენთვის ტერორი მისაღები არ არის, დაე, წავიდნენ ცოცხლები სადაც უნდათო."[2]

ნოე ჟორდანიას მემუარების საპასუხოდ გამოცემულ ბროშურაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უკანასკნელი მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე აღნიშნავს: „ჩემთან მოვიდნენ ოფიცრები და პოლიტიკური მოღვაწენი და მკითხეს, როგორ შევხედავ იმას, თუ ისინი დაიჭერენ მთავრობას. ვუპასუხე მოკლედ: გადაივლით ჩემს გვამზე."[3]

თავის მოგონებების წიგნში კი მხცოვანი გენერალი დასძენს: „ამის ნებას ვერ მივცემდი, რადგან საკმაოდ პატიოსანი ვიყავი საიმისოდ, რომ არა მხოლოდ არ დამეშვა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლა, არამედ თუნდაც გულგრილად მეყურებინა ამგვარი უკანონო აქტისათვის; ვერ მივცემდი მთავრობის დაპატიმრების ნებას მისი ცხოვრების ურთულეს მომენტში, მაშინ, როდესაც იგი თავს ყველასაგან მიტოვებულად თვლიდა. ...ცხოვრების მძიმე მომენტში უარის თქმა იმ ხალხზე, ვისთანაც ბედმა დამაკავშირა, უნამუსობა იქნებოდა."[4]

როგორც ვნახეთ, ქვეყნის მთავარსარდალმა გიორგი კვინიტაძემ და გავლენიანი პოლიტიკური პარტიის ლიდერმა სპირიდონ კედიამ

1 ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 126.

2 ჩიჯავაძე-კედია ს., ნასმენ-ნახული, თბ., 2001, გვ. 229.

3 კვინიტაძე გ., ჩემი პასუხი, პარიზი, 1954, გვ. 28.

4 კვინიტაძე გ., მოგონებები, II, თბ., 1999, გვ. 129.

ჩაშალეს ემიგრაციაში მიმავალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შეპყრობის გეგმა. მოგვიანებით, როდესაც პარიზში ს. კედიას ამ ამბის შესახებ ჰკითხეს, მან უპასუხა: „მე რომ ამგვარი რამ ჩამედინა, იმის ღირსი ვიქნებოდა, რაც მაკედონელმა დარიოსის მკვლელებს უყო, თავები რომ დააყრევინაო.“ შენიშვნაზე - „ყოველ შემთხვევაში ჟორდანია და მისი ჯგუფი ემიგრაციას არ მოწამლავდნენო“, - სპირიდონ კედიამ ხაზი გაუსვა: „საქართველოს დაღუპვაში ჟორდანიას იქნებ წილი ედოს, მაგრამ ეს მას შეგნებულად და ღალატით არ ჩაუდენიაო, ხოლო თუ საქართველო ჯერ ვერ განთავისუფლდა, ამაში ჟორდანიას ბრალი ვერ დაედებაო.“[1]

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფიზიკური განადგურება ჰუმანური მოტივის გარდა მიუღებელი იყო პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ხელისუფალთა დაპატიმრება არ შეიძლებოდა, რათა ბოლშევიკებს საფუძველი არ ჰქონოდათ მტკიცებისა - მთავრობა ხალხმა ჩამოაგდოო (თუმცა ისინი ყოველგვარი საბუთის გარეშეც ირწმუნებოდნენ, საქართველოში მშრომელთა აჯანყება მოხდა და წითელი არმია ამბოხებული მუშებისა და გლეხების დასახმარებლად შემოვიდაო). ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ მთავრობა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას განასახიერებდა. იგი ნდობით სარგებლობდა უცხოეთშიც და არა მხოლოდ სოციალისტურ წრეებში. დემოკრატიული მთავრობის უარყოფა ჩანასახშივე ჩაკლავდა ევროპის თანაგრძნობისა და დახმარების იმედს და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ერს იმთავითვე მოკავშირისა და მხარდამჭერის გარეშე დარჩენას უქადდა.

საგულისხმოდ მეჩვენება კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც ასევე ანგარიში უნდა გასწეოდა: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა ხელში ჩაგდებას ესწრაფვოდა საბჭოთა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებაც. მიზანი მარტივი და ადვილად მისახვედრი იყო: ბოლშევიკთა აგრესია უკეთ შეინიღბებოდა, თუ სოციალ-დემოკრატიული მთავრობა გადადგომის შესახებ ოფიციალურად თვითონვე გამოაცხადებდა და დამფუძნებული კრებაც თავის უფლებამოსილებას ნებაყოფლობით მოიხსნიდა.

---

1 ქავთარაძე მ., სპირიდონ კედია. ბიოგრაფიული ცნობები და ნაკვთები მოღვაწისა და კაცის პორტრეტისათვის, ჟურნ. „ივერია,“ პარიზი, 1979, #21, გვ. 7.

არსებობდა ამ გეგმის განხორციელების ორი გზა: საქართველოს კანონიერ მთავრობასთან გარიგება, ანდა უარის შემთხვევაში - ხელისუფლების შეპყრობა და მისი იძულება.

ლენინმა ორივე სცადა. პროლეტარიატის ბელადის მითითებით, საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა ნოე ჟორდანიას ბათუმში დელეგაცია აახლა მიხაკო წერეთლის, გერონტი ქიქოძის, გიგო ნათაძისა და თედო ღლონტის შემადგენლობით და საქართველოში დარჩენა შესთავაზა (ფრაზა ლენინის ინსტრუქციიდან: „განუზომლად მნიშვნელოვანია მოიძებნოს მისაღები კომპრომისი ჟორდანიას ბლოკთან...“).

სერგო ორჯონიკიძე ამ პოლიტიკურ აქციას ქართველი ინტელიგენციის თაოსნობად ასაღებდა, მაგრამ სინამდვილეში იგი რევკომის მოთხოვნით განხორციელდა. ნიშანდობლივია, რომ ბოლშევიკურმა მმართველობმ დაზღვევის ზომასაც მიმართა: იმისათვის, რომ დელეგირებულნი არ შეერთებოდნენ და თან არ გაჰყოლოდნენ ემიგრირებულ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას, მძევლად აიყვანეს ინტელიგენციის რამდენიმე წარმომადგენელი, მათ შორის შალვა ნუცუბიძე.[1]

მთავრობის თავმჯდომარეს საქართველოში დარჩენა, ოღონდ არა პოლიტიკურ ასპარეზზე, ბოლშევიკების სახელით სერგო ქავთარაძემაც შესთავაზა: „არის მეცნიერების დარგები, სადაც თქვენ სასარგებლო სამუშაო მოგელით. მე არ მესმის, რად უნდა იყოს ასეთი შესაძლებლობა უარსაყოფი. ნუთუ უცხოეთში ცხოვრებას მეტი აზრი აქვს?“ - უკითხავს ქავთარაძეს ჟორდანიასთვის სწორედ იმ ღამეს, რომელიც მისთვის უკანასკნელი იყო საქართველოში, რადგან ვაგონიდან, სადაც ეს შეხვედრა შედგა, „ის პირდაპირ გემზე უნდა გადაბარგებულიყო საზღვარგარეთ დაკარგული ბედის საძებნელად.“ ს. ქავთარაძე დასძენს: მე გამაკვირვა ჟორდანიას გარეგნობამ. „ეს მაღალი, მოსული და წარმოსადეგი კაცი, ახლა დაპატარავებულად მომეჩვენა, ძალზე გამხდარად, ფერნაკლულად, ბამბასავით თეთრი თმით და წვერით.“[2]

---

1 შველიძე გ., მისთვის საქართველო იყო ყველაფერი, წიგნში - ასე იგონებენ შალვა ნუცუბიძეს, თბ., 1999, გვ. 310 .

2 ქავთარაძე ს., დღეები პარიზში, ჟურნ. „მნათობი“, 1966, #4, გვ. 181.

ნოე ჟორდანიამ ბოლშევიკთა წინადადება არ მიიღო და დელეგატები უარით გამოისტუმრა. ალბათ, მაშინ იყო, რომ ჟლობას ებრძანა, თავისი კავალერიით გოდერძის უღელტეხილით სასწრაფოდ ბათუმში გადასულიყო და ხელთ ეგდო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.

ჟლობამ დავალება ვერ შეასრულა. ნ. ჟორდანიამ და მთავრობის სხვა წევრებმა გახიზვნა მოასწრეს და ემიგრაციაში გაემგზავრნენ, სადაც აქტიური ბრძოლა გააჩაღეს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. სწორედ ამან ათქმევინა ვ. ლენინს სინანულით: „დავკარგეთ კონსტანტინოპოლს გამგზავრებული მენშევიკები, არცთუ მცირე რაოდენობისა."

ამდენად, გადაწყვეტილება, ხელი არ შეეშალათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის, წასულიყო ემიგრაციაში, იყო სწორი და ყოველმხრივ გამართლებული.

სხვაგვარად ფიქრობდა ნოე ჟორდანიას საქართველოში დარჩენილი არაერთი თანაპარტიელი. მაგალითად ცნობილი სოციალ-დემოკრატი პეტრე გელეიშვილი გამოდგება. აი, რას წერდა იგი 1925 წელს თბილისში გამოცემულ წიგნში: „საქართველოს ახალი ისტორია პირუთვნელად აღნუსხავს თავის ფურცლებზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყოვლად სამარცხვინო საქმეს, იმ მთავრობისას, რომელიც, მის მაგივრად, რომ დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოცხადებულიყო, გემბანზე გაიხიზნა და რეიდიდან უყურებდა მათ მიერ დაწყებული საქართველოს ტრაგედიის უკანასკნელ აქტს."[1]

პ. გელეიშვილის ამ ნაწერს აშკარად ეტყობა საბჭოურ-ბოლშევიკური გავლენის დაღი. არ არის სწორი, რომ თითქოს საქართველოს მთავრობის წევრები დამფუძნებელ კრებაში არ მივიდნენ და ისე გაიხიზნენ ემიგრაციაში. მას შემდეგ, რაც ჯარმა და მთავრობამ 24 თებერვალს თბილისი დატოვეს, საქართველოს დამფუძნებელი კრების ორი სხდომა ჩატარდა. მათგან ერთი 28 თებერვალს ქუთაისში გაიმართა და მის შესახებ ზემოთ უკვე მქონდა საუბარი. რაც შეეხება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უკანასკნელ სდომას, იგი 16 მარტს ბათუმში შედგა. მთავრობა ესწრებოდა როგორც ქუ-

1 ყარიბი (პ. გელეიშვილი), მეტის ატანა შეუძლებელია, თბ., 1925, გვ. 10.

თაისის, ისე ბათუმის სხდომებს. უკანასკნელი სხდომის სტენოგრამა მიკვლეული არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ სწორედ ბათუმის თვითმმართველობის დარბაზში შეკრებილმა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, უმკაცრესი კრიტიკის მიუხედავად, მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით საგანგებო უფლებით აღჭურვა, რათა მას საზღვარგარეთ განეგრძო ბრძოლა ქვეყნის თავისუფლებისათვის. სპეციალური დადგენილებით, მთავრობასთან ერთად სამუშაოდ გაიგზავნა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმიც, როგორც ამ კრების იურიდიული გამოხატულება.

კიდევ ერთი თანამედროვე ასე გვისურათებს ნოე ჟორდანიას ხელისუფლების საქართველოში ყოფნის ბოლო დღეებს:

ბათუმი სავსე იყო ხალხით. „ლაპარაკობდნენ:

მთავრობაზე - წავა თუ არ წავა (უცხოეთში), გაუშვებს ჯარი, თუ დახოცავს ყველას. ამას ლაპარაკობდნენ ჩუმად, სანდო პირებში. საშიში იყო ხმის აწევა.

მენშევიკებზე - დაღუპეს ქვეყანა მაგ მამაძაღლებმა. მაგათი დედა...

გვარდიაზე - უდიერად იხსენიებდნენ „მაგ ყაჩაღებს.“

არკვევდნენ მთავარსარდლის კვინიტაძის ტაქტიკას - აძაგებდნენ პარტიული კაცები (მენშევიკები), აქებდნენ მოქალაქენი, ქართველები: მაგ რომ არ ყოფილიყო, სულ მოგვეჭრებოდა თავი. ...ქუჩაზე ყიდდნენ დარცხვენილი გაზეთ „ერთობას.“[1]

ტენდეციურობისაგან მთლად დაზღვეული ვერ არის, მაგრამ ეპოქის სულის შესაგრძნობად საგულისხმოა მწერალ ლევან მეტრეველის 1921 წლის 25 თებერვლით დათარიღებული ჩანაწერი, რომელშიც ვკითხულობთ: „პლეხანოვის პროსპექტზე გავლისას უნებლიედ მაგონდება: ხუთი დღის წინეთ აქ თვალი მოვკარ - საბარგო ავტო როგორ მიაქანებდა სადგურისაკენ - ქუთაისში გადასაგზავნად ზოგიერთ მინისტრის ოჯახის მოწყობილობას: მაგიდებს, სკამებს, პირსაბანს და სხვა „ჭირისოფლით“ შეძენილ ავეჯეულობას.

ეს მეშჩანური წინდახედულება ალბათ გამოწვეული იყო მათი „სტრატეგიული“ წინდახედულობით.

ამით ერთხელ კიდევ ცხადად წარმოვიდგინე, თუ რა „დარბაისელი“ და „სულგრძელი“ ხალხი მართავდა საქართველოს ბედ-იღბალს.

1 მიწიშვილი ნ., თებერვალი, თბ., 2009, გვ. 18-19.

და ეს „მოჭირნახულე“ ხალხი ეხლა, ხუთი დღის შემდეგ, თვითონაც უკან მისდევდნენ თავიანთ ოჯახის ბარგიბარხანას.“[1]

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის შესახებ დაახლოებით ამგვარივეა პოეტ ნიკოლო მიწიშვილის შეხედულებაც, რომელიც გამოხატულია მის წიგნში „თებერვალი.“ დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს:

1921 წლის 18 მარტის სუსხიან დილით მოქალაქეთა შეკრებაზე ბათუმში ერთი ორატორი აცხადებდა: „ისინი, ვისაც დღემდე ეწოდებოდა საქართველოს მთავრობა, ვისაც მოჰქონდა თავი ხალხის მესვეურად, მის ბელადათ, ხელმძღვანელად ხალხისა, აღარ არიან დღეს აქ. ...მოხდა ბატონებო სირცხვილი, მაგრამ სირცხვილი უმაღლესი, უნახავი სირცხვილი. ...მთავრობა წავიდა. შეიძლება ვსთქვათ, ... - გაიქცა მთავრობა. ...გაიქცა მოქალაქენო და არც კი მოიხედა უკან. დაივიწყა სინდისი, ნამუსი, ზნეობა და პატიოსნება. და ასე უსახელოდ მიატოვა სამშობლო კერა. ასე უსახელოდ მოსწყდა მშობელ მიწას. ...ისინი წავიდნენ, მაგრამ აქ დარჩა საქართველო, ქართველი ხალხი - მშრომელი ხალხი აქ არის. თუ მისი ცრუ მოციქულები წყალში გადაცვივდნენ, ჩვენ გვწამს, - ქართველი ხალხი მათ წყალში არ გადაჰყვება. ეს უნდა იცოდნენ მათ, ვინც დღეს დასტოვა საქართველო. ...მოშორდნენ საქართველოს უღირსი შვილები. დარჩა საქართველო გაწმენდილი. ...სირცხვილი მოღალატეთ.“[2]

ფრაგმენტი სხვა ორატორის სიტყვიდან: „ქართველი ხალხი მიატოვა მისმა მეთაურებმა. ...ქართველი ხალხი მოატყუეს, გააბახეს, გააუპატიურეს, ლეჩაქი მოხადეს მისივე შვილებმა. მათ ჰქვიოდა - ქართული მთავრობა. არ გამოჩნდა მათში არც ერთი პატიოსანი ადამიანი, არც ერთი კეთილშობილი მოქალაქე, რომ ჩვენთან მოსულიყო, რომ ეთქვა უბრალო ამბავი მაინც. ნაცვლად ამისა, - გაიპარნენ ისინი. ...წავიდნენ: უსირცხვილოდ, უტიფრად. მიატოვეს თავისი მრევლი. შიშველი და მშიერი ჯარი სიცივეში. ...წავიდნენ და წარიტაცეს ქონება და სიმდიდრე ერისა. ...პურიც კი არ დაუტოვეს მშიერ ქალაქს. ძუძუმწოვარ ბავშვებს წაართვეს რძე - თან წარიტანეს ევროპაში ნაყიდი რძე.

1 მეტრეველი ლ., 25 თებერვალი, თბ., 1931, გვ. 10-11.

2 მიწიშვილი ნ., თებერვალი, თბ., 2009, გვ. 36-39.

...მათ საგზლათ წაიღეს ხალხის ქონება, სიმდიდრე და სამკაული.“[1]

კიდევ ერთი საუბრის შინაარსი იმავე წიგნიდან: „დასაკლავი არიან ეგ ...(ე.ი. მთავრობის ხალხი), მიგვატოვეს. ...აგვრიეს. მოგვშალეს. მოგვწამლეს. ახსენებდნენ ქრთამს, ღალატს და გაიძვერობას. ახსენებდნენ ჟორდანიას: მას რომ ყველაფერი ეს სცოდნოდა, სხვანაირად იქნებოდა საქმე. ...დავმარცხდით. რატომ ჩვენ? ჩვენ კი არა - ისინი დამარცხდნენ, ვინც გაექცა საქართველოს.“[2]

ამგვარი აზრი იმხანად და ცოტა მოგვიანებითაც მართლაც არსებობდა. ცნობილი პოეტისა და პოლიტიკური მოღვაწის შალვა ამირეჯიბის სიტყვით, „სოციალ-დემოკრატიული პარტია დამბაჩის სროლით მოვიდა საქართველოში და ზარბაზნის გრიალზედ დასტოვა იგი. ყველაზე მწარე ამ ტრაღიკული ბოლოსი ის იყო, რომ ზარბაზნებს მათი გუშინდელი ამხანაგები ესროდნენ.“[3]

სამწუხაროდ, ბევრს სრულად ვერ გაეცნობიერებინა, რომ წითელი არმიის სახით მოძალადე სამშობლოს ეცილებოდა და რაც ხდებოდა, არ იყო მხოლოდ ბოლშევიზმ-მენშევიზმის ჭიდილი ძალაუფლებისათვის. მაგალითად, ქართველი თვალსაჩინო ემიგრანტი სევერიან ჭირაქაძე მიიჩნევდა, რომ საქართველოში ერთმანეთს დაუპირისპირდა ბოლშევიზმი და სოციალ-დემოკრატია. „ამ ბრძოლაში იმ მხარემ გაიმარჯვა, რომლის მეთაურებს ხელით მარქსიზმის დროშა მოჰქონდათ, გულით კი რუსული იმპერიალიზმი. დამარცხდა ის მხარე, რომლის მეთაურები ეროვნული დროშით იბრძოდნენ, ხოლო გულში მარქსიზმს ატარებდნენ.“[4]

სინამდვილეში დამარცხდა არა მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველი პოლიტიკური ძალა - სოციალ-დემოკრატია და მისი მთავრობა, რომელიც იძულებული გახდა ემიგრაციაში გაიხიზნულიყო, არამედ დამარცხდა სრულიად საქართველოც, რადგან ქვეყანაში საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმისა და ბოლშევიკური დიქტატურის დამყარებით ბოლო მოეღო მის ეროვნულ თავისუფლე-

1 მიწიშვილი ნ., თებერვალი, თბ., 2009, გვ. 41-42.

2 მიწიშვილი ნ., თებერვალი, თბ., 2009, გვ. 51-52.

3 ამირეჯიბი შ., ქართული სოციალ-დემოკრატიის კრიზისი, ჟურნ. „სამშობლო", პარიზი, 1929, #3-4, გვ. 9.

4 ჯანელიძე ო., 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, თბ., 1990, გვ. 58.

ბასა და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთთან მოსალოდნელი ომისათვის სათანადოდ ვერ მოემზადა. სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას ჯერ კიდევ ჰქონდა დასავლეთის სახელმწიფოთა მხარდაჭერის მოლოდინი და იმის ილუზია, რომ ბოლშევიკური რუსეთი საქართველოზე არ გამოილაშქრებდა. დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებმა ვერ შეძლეს ქართველი ერის განწყობა წინააღმდეგობის სულისკვეთებით. მართალია, თბილისიდან უკან დახეული მთავრობისათვის ზურგში ტყვია არავის დაუხლია და საქართველოს მოსახლეობამ ხელისუფლებისადმი ლოიალობა ბოლომდე შეინარჩუნა, მაგრამ ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას იარაღი არც შემოჭრილი მტრის მოსაგერიებლად შეუმართავს.

Essays of the history of the Democratic Republic of Georgia
Summary

The Act of Georgia's Independence

The National Council adopted the Act of Independence of Georgia on May 26, 1918. Until today, only the official version of this most important document and its several additions were known. The author has discovered two different projects of the act of Georgia's independence in one of the archives. One of them is presented as the project of Niko Nikoladze, and the other as that of Zurab Avalishvili.

The view that the representative of Germany in Georgia, Friedrich-Werner Count von der Schulenburg, and Konstantine Apkhazi took part in the writing of the Act is proved wrong in the article.

The comparative analysis of the projects of the Act of Georgia's independence makes it clear that all of them have common themes, though the texts differ perceptibly. Neither of these projects fully coincide. They do not coincide with the final wording in the official act of Georgia's independence.

All the projects consider a democratic republic to be the political form of the newly created Georgian state. In article 3, the official version of the Act of Georgia's Independence as well as Niko Nikoladze's handwritten variant (also article 3) declare that Georgia is permanently neutral in international warfare. The project, considered to have been written by Zurab Avalishvili, does not contain the article concerning neutrality.It declares that the duty of the National Council and the Provisional Government is to defend the frontiers of the country with military force.

Three States in One City

By accepting the Act of Independence of May 26, 1918, the National Council of Georgia resumed the interrupted statehood of Georgia and created a Democratic Republic. Two days later, the Armenian National Council (also in Tbilisi), founded the Republic of Armenia; on May 28, the

People's Republic of Azerbaijan was also declared in Tbilisi. In the capital of Georgia, in three days, three new states were established, and all three of them for some time were situated in Tbilisi.

The government of the Republic of Azerbaijan remained until June 16, 1918; it moved first to Ganja and thereafter to Baku (September 17, 1918.). The Armenian government left Tbilisi in July 19, 1918, and moved to Yerevan.

This article deals with the common foreign policy factors in the establishment of the three neighboring states, and the first steps in the relationship between these states, It outlines issues and disagreements which contributed to the common tragic fate for all the three states.

The Caucasian policy of the Democratic Republic of Georgia in 1918-1921

A main tasks of the foreign policy of the country set by the leaders of the Democratic Republic of Georgia was peaceful and good neighborly relations with neighboring countries, helping to create the consolidation of economic and military defense of the Caucasus.

The Georgian state was established on its own historic lands, but it faced territorial claims from its neighbors. Armenia tried to resolve the issue of borders with Georgia with war at the end of 1918, but an armed conflict could not solve the dispute. Even more complex were relations between Armenia and Azerbaijan. Military and economic conflicts between the Caucasian states prevented good mutual relations and a regional partnership.

In June 1919, Georgia and Azerbaijan signed a military defense agreement with each other, but Armenia refused to join it. On the initiative of the Government of Georgia, in 1919 and 1920 ocnferences of all Caucasian Republics were announced. The Democratic Republic of Georgia paid particular attention to the the mountain repubics, and helped the North Caucasian people to repel both General Denikin and Bolshevik forces. Official delegations of the Caucasian states sent to the Paris Peace Conference in 1919 were able to establish cooperation, publish joint statements and join

in united lobbying. In spite of all this, the incompatibility of the Caucasian republics'geostrategic interests led to instability, and competition among the Great Powerw in the region, which undermined "Caucasian Unity" in 1918-1921.

"Fractured Nations" in the Democratic Republic of Georgia

The term "fractured nations" was used to describe the role of ethnic minorities in the Democratic Republic of Georgia. The Georgian State was largely tolerant towards the ethnic minorities. It defended the rights of minorities and granted various degrees of national-cultural autonomy to non-Georgian populations of the country. In the "Bill of Independence" and Constitution, equal civil and political rights were granted to every citizen of the Republic, regardless of nationality, and a f the development of every nation living on Georgian territory was guaranteed. On the bases of legislation, at least, national minorities were provided conditions for harmonious cohabitation with the Georgians, and a chance of social, economic and cultural development.

In 1918-1921, despite conflicts, it's hard to say that any national or ethnic minority experienced harrrasement on a purely ethnic bases in Georgia. Promises declared in legislative acts were implemented,, though there were government violations as well. Despite Georgian government policy, civil integration of the minorities was controversial, and such problems have not ended yet.

German-Georgian Relations in 1918

Georgia's independence was restored in 1918 with Germany's support. In order to strengthen the sovereignty of the newly-formed republic, German military units were established in Georgia. Vladimir Lenin judged this an "occupation.". The article shows that Germany did not "occupy" Georgia. Germans did not interfere in the formatio or in the factivity of the Georgian administration. On the basis of documentary materials, the author describes German-Georgian relations in 1918 as a preeminent model of

cooperation, based on mutually beneficial principles and partnership-based relations between the two countries.

The Memoirs of General Von Kress and the Reality of Georgia in 1918-1921

One significant primary source of the history of democratic Georgia is analyzed in the present article, namely the memoirs of the head of the military-diplomatic mission in the South Caucasus in 1918 – General, Baron Friedrich Freiherr Kres von Kressenstein. The reminiscences of von Kressenstein reflect encounters the author had in Georgia with leaders and events. His information is unbiased. His observations significantly enrich our sources on the first Republic of Georgia and help our understanding of the post WW1 epoch in Georgia.

The Memoirs– "My Memoirs in the Caucasus"- highlights the difficult Georgian reality, in particular the hardships and peculiarities involved in renewing national and state life. Here we encounter essential information on the development of the state structure of Georgia, on the flow of social- and political life, on the social-democrats, on the representatives of the opposition, snd on attitudes of the various layers of society towards the German army and its commanders.The Memoirs of are honest, informative, and accurate.

European values in the Democratic Republic of Georgia

In the Democratic Republic of Georgia, many of those values considered the foundation of Western democracy (democratic elections, political pluralism, universal suffrage, the rule of law, human rights and freedoms). The first multi-party political system in the region was established in the Republic of Georgia. In addition to the ruling party, there was a whole spectrum of opposition parties, which played a significant role in the life of the state. Government branches were separated. Along with the central government, there was a functioning local government..Those 20 and above of both sexes were given voting rights. Conditions for the formation

of a civil society ere created, including the free activities of religious groups, cultural and educational institutions, and mass media.

Niko Nikoladze and Political Discourse in Democratic Republic of Georgia

Political elites in the Democratic Republic of Georgia led multiple political organizations and parliamentary fractions in the Constituent Assembly of Georgia. These included the Social-Democratic Party of Georgia, the Socialist-Federalists of Georgia, the National-Democratic party and the Socialist-Revolutionary party.

One of the leaders of the National-Democratic Party of Georgia, Niko Nikoladze, belonged to the rightist, constructive opposition of the National Council and Constituent Assembly of Georgia. He cooperated with the ruling party and "tolerated the beliefs of others" and "respected the identity of other persons". Nikoladze offered the ruling Social-Democratic Party alternative opinions and tried to influence the decision-making process.

For Niko Nikoladze the tribune of the Constituent Assembly was the main arena for verbal communication. His public speeches were characterized by a deep understanding of issues and by clear thinking; he was not an ideologue dedicated to abtractions. Propaganda and party visions were alien to him. Nikoladze was respected by his opponents, and a persuasive orator. Contemporaries considered Niko Nikoladze to be a standard-bearer of "European democratic thinking".

The public and political activities of Ivane Javakhishvili , 1918-1921

Ivane Javakhishvili was actively involved in the building of the Democratic Republic of Georgia, as well as in the field of research and education. He was deeply involved in the design of the national flag and the national coat of arms. Ivane Javakhishvili helped create a map of the Democratic Republic of Georgia in French, and contributed to the drafting of the 1921

Constitution. He pursued the Georgianization of school education and was invested in the renaming of Georgian settlements (usually from Russian).

The role of Ivane Javakhishvili in the formation of the national educational system was critical. The Ministry of Public Education invited Javakhishvili to head the Commission for the development of programs for elementary schools. Between 1919-1921, Ivane Javakhishvili was a professor of Tbilisi State University, and a professor at the Georgian Military School where he helped educate Georgian cadets.

Javakhishvili was granted the status of "consultant" in the official delegation to the peace conference in Paris. However, he was denied a visa, and with several members of the delegation, got no further than Constantinople. For the delegation, he prepared the work, The Historical Borders of Georgia in the Modern Context... Javakhishvili also took part in national elections as a representative of the Union of Non-Partisans but did not gain a mandate. Nevertheless, he continued to be active in the new republic

The Administrative-Territorial Arrangement of Georgia (the autonomy of Muslim Georgia)

Muslim Georgia was the given name of the historical provinces of the South-Western Georgia, which were captured and occupied by the Ottoman Empire at different times. Its inhabitants were gradually converted to Islam. In the 19th century, Muslim Georgia was reincorporated into the Russian Empire as a result of the Turkish-Russian Wars. But long life under Ottoman rule led to the alienation of the local population from the other regions of Georgia. This created serious difficulties for the Democratic Republic of Georgia. In March 1918, in accordance with the Treaty of Brest-Litovsk, Soviet Russia granted the provinces of Batumi, Kars and Ardahan to the Ottoman Empire and the Georgian State lost jurisdiction.

Historical Meskheti (the administrative units of Akhaltsikhe and Akhalkalaki) were contested by Armenia and Azerbaijan. The local landowners (begs) were largely supported and backed by the Ottomans, General Denikin and the English army. Till July, 1920, Batumi was occupied

by British military units. In such circumstances, the pro-Georgian nobility of Muslim Georgia, sought the restoration of relations with the historical homeland, and raised the issue of the region's incorporation into Georgia with a special status.

The government of the Democratic Republic of Georgia granted autonomous status (autonomous self-government in local affairs) to the Batumi Province, which united Adjara and Klarjeti. Autonomous status took account of the cultural and economic specifies of the region. The decision was endorsed in the Constitution, although autonomy was poorly defined. A special law regarding the issue was never drafted.

Ossetians in the Democratic Republic of Georgia

Ossetian politicians today argue their population in Inner Kartli (Shida Kartli) was oppressed on an ethnic basis in the years of the Democratic Republic of Georgia (1918-1921). In their opinion, the Georgians perpetrated genocide of Southern Ossetians in 1920. The unbiased scholarly analysis of primary sources suggests these accusations are not justified. The Democratic Republic of Georgia created conditions of co-existence with the South Ossetians and granted them national-cultural autonomy. But, Ossetian supporters of Bolshevism, encouraged and supported by Soviet Russia, were hostile to the Georgian State. A number of Ossetians organized armed revolts three times between 1918-21with the purpose of overthrowing the Democratic Republic of Georgia. They aspired to cut the historic province of Georgia, Inner Kartli, from Georgia and declare it a Soviet republic.

The Democratic Republic of Georgia had little choice but to defend its sovereignty and territorial integrity. The Georgian government punished the insurgents for their anti-state activities, and not because of their ethnic origin. True, the Government was often too severe in its actions, but it was a reaction to real threats against Georgia.

Local Government and the media in the Democratic Republic of Georgia

The article discusses the activities of the print media and urban and local self-government bodies of the Democratic Republic of Georgia. The article analyzes publications such as "Кавказский город" (Caucasian City) "Eroba da Kalaki" (Nation and the City), "Наш город" (Our City) and "Eroba" (The Nation). National newspapers and magazines also covered municipal issues, and the activities of self-governing entities. They provided readers advice on farming, on technical equipment, and on the application of agricultural practice. They published materials on public events in Georgia's local districts, and Promoted the establishment of democratic values among the population of Georgia.

The Constituent Assembly and the Georgian Political Spectrum

The article focuses on the formation of the legislative organ of the Georgian Democratic Republic – the Georgian Constituent Assemblyd. The design of legislative organs, as well as choices around the formation of executive organs, was one of the main factors of successful democracy making in the country. The author describes pre-election platforms and political slogans of the main political partiesorganizations. The Social-Democratic, National-Democratic, Socialist-Federalist and other revolutionary parties are analyzed. The reasons for the particular success of Social-Democrats are explained. In the Constituent Assembly, the personalities of representatives and the nature of Abkhazian, Ossetians, Armenian, Azerbaijanian, Jewish and Greek representation is explained. The role and significance of the Constituent Assembly is central to understanding the workings of the Georgian state.

The Regional Policy of the Georgian Democratic Republic

In the Declaration of Independence, the Democratic Republic of Georgia established neutrality. The Declaration states: "Georgia in case of

international war is permanent neutral state. The Democratic Republic of Georgia wishes to establish good neighborly relations with all countries, especially with our bordering nations". This policy was approved by the Constituent Assembly which sat from March 12, 1919 till the overthrow of the Democratic Republic. It was the highest legislative body.

The prerogatives of the Constituent Assembly included the announcement of war, approval of peace, trade and other agreements with foreign states. The Constituent Assembly's stated duty included "protection of the foreign interest of republic." Foreign policy in the Constituent Assembly was led by the Standing Committee of Foreign Affairs (Chairman S. Mdivani).

The Georgian Democratic Republic conducted good-neighborly relations with Armenia and Azerbaijan. Armenia and Azerbaijan had territorial claims on Georgia, which led to tense relations. However, the Constituent Assembly along with the government maintained relatively stable diplomatic and peaceful relations.

On June 16, 1919, for example, Georgia signed an agreement on military cooperation between Georgia and Azerbaijan. The Constituent Assembly approved a peace agreement in the city of Aghstapa, on June 12, 1920 between Georgia and the new Soviet Socialist Republic of Azerbaijan. Important transit and arbitration agreements were signed with Armenia.

Relations between US and Georgia,1918-1921

After the First World War, the US became a powerful factor in the international political arena. Over the same period the republic of Georgia struggled to find its place in the family of civilized nations. This article will show the degree to which the Georgian political elite reacted to the American factor. It will explore US knowledge and opinion about the Democratic Republic of Georgia and how US-Georgian relations developed in 1918-1921. The instructions of the US State Department to its delegation at the Paris Peace Conference, acknowledged the provisional independence of Georgia.

The Georgia government's goal was international recognition, but it conceded that if the Paris Peace Conference delayed approval of the

sovereignty of the Democratic Republic of Georgia, then Georgia could accept French or British protection as long as the principle of non-interference in the internal affairs of Georgia was guaranteed.

On 14 May of 1919, the Supreme War Council granted the US a mandate for Armenia and the straits of Black Sea by, but before that, at the end of 1918, a special US mission headed by the Rector of Chicago University - a Professor Judson - had visited Tbilisi. Before that, Admiral Mark Lambert Bristol, the High Commissioner of the US in Constantinople, had also visited Tbilisi and Batumi. In March 1919, F. Willoughby-Smith, the US consul in Tbilisi and Benjamin B. Moore, the Director of US political intelligence in the South Caucasus, met the members of the Georgian government. In October 1919, the mission of General James Harbord, on the instruction of President Wilson, traveled to Georgia. Harbord wrote a long report on the region to the Secretary of State of the US, arguing for an extended mandate over the Ottoman Empire and South Caucasus. However, the US Senate did not approve of this or President Wilson's plan for a mandate and refused to ratify it. The mandate was removed from the agenda.

The US postponed recognition of the sovereignty of Georgia. A note of Bainbridge Colby on 10th of August, 1920, cast doubt on the legitimacy of the political independence for Georgia. This caused dissatisfaction among Georgian political circles, which was evident in the debates in the constituent assembly. The official delegation of Georgia in France protested to the US embassy. Nevertheless, the US continued its relations with Georgia. The US consulate continued its work in Tbilisi.

Diplomatic representation of the Democratic Republic of Georgia in Poland

The first contacts between Poland and the Democratic Republic of Georgia emerged mainly on economic grounds. In August 1918, the leader of the Second Republic of Poland, Joseph Pilsudski, appointed his representative in Tbilisi Wazlav Ostrovsky, who on October 1 of the same year was appointed of the Polish mission in the South Caucasus. A Polish delegation was created to visit the South Caucasus. Its leadership was

entrusted to Titus Philipovich. In Tbilisi he held a meeting with the Minister of Foreign Affairs Evgeny Gegechkori.

Georgia sent a diplomatic mission to Poland. Giorgi Sidamon-Eristavi was appointed Georgia's plenipotentiary representative, Vladimir Bakradze was counselor, Nikoloz Fernadze - Attaché and Sergo Kurulishvili, - the Secretary of the Embassy. The goal of the mission was to establish friendly political relations, to strengthen political and economic ties between Poland and Georgia. There was a focus on convincing Poland to recognize the Democratic Republic of Georgia de jure. The mission was successful. When the Allied Supreme Council adopted the Declaration of juridical recognition of the Democratic Republic of Georgia on January 27, 1921, the Polish Republic joined it the next day.

Georgia's diplomatic representation in Poland was short. On February 12, 1921, a Polish citizen, Edmund Fricke, was appointed to the post of of Georgia's honorary consul in Warsaw. From 1922, Ioseb Salakaia served as a representative of the Georgian government-in-exile in the Republic of Poland.

Geopolitical Reality in 1920-1921 and Bolshevik Occupation of Georgia

This article discusses the geopolitical situation in Georgia in 1920-1921, characterized by tensions with Soviet Russia and annexation of Georgia's neighbors, Armenia and Azerbaijan. After the formation of Bolshevik power in Azerbaijan and Armenia, the Kremlin prepared the same fate also for Georgia. Georgia was to be part of the world proletarian revolution. In addition, Moscow had economic interest in Georgia: Batumi was vital to the export oil from Baku. Soviet relations with Turkey could only be effective if Georgia was under Soviet control.

The Georgian Democratic Republic was legally recognized by France, England, Italy, Japan, Belgium, and many others,, but the League of Nations refused to accept Georgia into the League. This was fatal for the continued existence of the country. The US mandate for Armenia failed Italy refused

to take on a mandate for Georgia. The sending of a planned military expedition from Rome to Georgia never occurred. All this isolated Georgia from the rest of the world.

Soviet Russia linked any militray action against Georgia to favorable conditions in the international arena. Through diplomaticnegotiations, the Kremlin excluded England from any interference in Georgian issues. London preferred the renewal of trading-economic cooperation with Russia, rather than doubtful perspectives in the Caucasus.

Moscow also aimed to neutralize Turkey and gave to Ankara millions of rubles, arms and ammunition together with the promise of certain territories in the South Caucasus. In February-March of 1921 Turkey promised the Government of Georgia it would defend it from the Bolshevik occupation and deployed troops not only in Artvin and Ardahan but also in the Akhaltsikhe-Akhalkalaki provinces. Turkey tried to take Batumi as well. The army of the Georgian Democratic Republic was defeated in a disproportionate war with Russia.

The "geopolitical solitude" of Georgia in 1921 and the noninvolvement of the West in the Russo-Georgian war was fatal for the Democratic Republic of Georgia. Georgia was occupied, and then annexed by Soviet Russia.

February 1921 in Georgia

At the end of January 1921, major European states recognized the Democratic Republic of Georgia de jure. Minister of Foreign Affairs of Georgia Evgeni Gegechkori visited England, France and Italy. Georgia's economic mission in London signed an agreement with the British Foreign Trade Bank for a half million pound loan. With this money, the government wished to strengthen the fragile financial system of the republic. Foreign investments were beginning to emerge in the Georgian industry: an agreement on a Silk Concession was signed with a French Syndicate of silk producers in Paris; a contract was signed in Marseille with the Trading House there..

In February 19921, the writing of the constitution was coming to an end. By February 27, dates for elections of the city councils were established,

and after the adoption of the constitution, the parliamentary elections were scheduled for the spring of 1921. All of this created a basis for optimism, but the dangers expected from the North and South would not disappear. An additional challenge for Georgia was the alliance of Soviet Russia and Kemalist Turkey, which agreed between themselves to divide Georgian territories.

On February 11-12, 1921, units of the Soviet Red army invaded Georgia. For more than a month, the Georgian army resisted, but with no results. On February 25, 1921, the capital of Georgia was occupied by the Red Army.

The Relationship between the Democratic Republic of Georgia and Turkey (1920-1921)

Relations between the Democratic Republic of Georgia and Turkey in 1920-1921 were difficult. Despite mutual recognition and diplomatic ties, the relationship of the government of Turkey, established in Ankara in 1920 under the leadership of Mustafa Kemal, with the Georgian state were troubled. The Turkish government claimed that the existence of an "independent and strong" Georgia was in harmony with its interests. But when Soviet Russia invaded Georgia, government of Ankara promised to support Tbilisi, only in exchange for the Ardahan-Artwin territories. On the basis of negotiations with Tbilisi, on March 11, 1921, Turkish military forces arrived in Batumi and occupied the town. Colonel Kyazim Bei was appointed as the General-Governor of Batumi Region, and with the support of Turkey's Grand National Assembly, this muslim territory of Georgia was recognized as a part of Turkey.

On March 16, 1921, a "brotherhood and friendship agreement" between Soviet Russia and Turkey was signed. According to this document, Batumi was to remain in Georgia, while Artvin and Ardahan districts were transferred to Turkey. The Turks procrastinated the withdrawal from Batumi. The Government of the Democratic Republic of Georgia, which was defeated in the war with Soviet Russia, was forced to emigrate, but Georgian troops under the command of General Giorgi Mazniashvili drove Turkish armed forces from the city and thus retained Batumi for Georgia.

"Let the alive go"

Democratic Republic of Georgia could not properly prepare for a war with Soviet Russia. The social-democratic government had expectations of Western allied support, and was deluded, thinking that Bolshevik Russia would not invade Georgia. With defeat, a group of opposition politicians and officers moved the government from Tbilisi to Batumi, but the Georgian population maintained loyalty throughout the war to the social democratic government. Commander-in-Chief Gen. Giorgi Kvinitadze and right-wing opposition leader Spiridon Kedia opposed the arrest of the members of the government. Their decision was in everyway justified.

The Constituent Assembly of Georgia on March 16, 1921, authorized the social democratic government under the leadership of Noe Zhordania to continue the struggle for freedom abroad.